

48K 86690
2

କେତେବେଳେ କାହିଁଏବେଳେ କାହିଁଏବେଳେ କାହିଁଏବେଳେ
କାହିଁଏବେଳେ କାହିଁଏବେଳେ କାହିଁଏବେଳେ କାହିଁଏବେଳେ

ՀԵՐԱՑՑՈՎՈՒՆ
ՅԵՌԵՄԵԼՈՑՈՎՈՒՆ
ԵԿՈՏԵՎՈՒՆ

ଭାରତ ପାତ୍ରମାନ ପରିଷଦ । ୧୯୫୦ ମେସର୍‌ଟିକ୍ ପତ୍ର
ମୁଦ୍ରଣ ମେସର୍‌ଟିକ୍ - ୧୯୫୦

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

370.1
3952

კველაგონის ფილოლოგიური საკითხები

კრებული



ინსტიტუტის გამოცემა
თბილისი—1950

მესიერების აღზრდის ფინანსური საფუძვლები

1. სწავლა, როგორც მოწაფის მიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცოდნის შეთვისების პროცესი, რთული ბუნების პროცესია. შართალია, იგი მრავალ სხვადასხვა ფსიქიკურ ფუნქციათა მოქმედებას გულისხმობს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს მაინც მეხსიერება თამაშობს. მოწაფის წარმატება სწავლაში—ცოდნის მტკიცედ შეოვისება—ბევრად არის დამოკიდებული „დასწავლის“, მეხსიერების პრუდუქტულობაზე, ე. ი. მეხსიერების მოქმედების პრაქტიკულ ეფექტზე. აქედან გასაგებია, რომ სწავლის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია დასახულ იქნას ცოდნის განმტკიცების ისეთი გზები და საშუალებები, რომლებიც ითვალისწინებენ მეხსიერების კანონზომიერებებს.

მაგრამ საქმის ვითარება ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ მეხსიერების ის ფორმა, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს, თითქოს რაღაც ისეთი „ბედისწერის“ მსგავსი კანონების მიხედვით განისაზღვრებოდეს, რაც პედაგოგიურ ზემოქმედებას არ ექვემდებარება. ეს ასე აქვთ წარმოდგენილი იმათ, ვინც ჩვეულებრივად „კარგი“ ან „ცუდი“ მეხსიერების ქვეშ გულისხმობს მოწაფის რაღაც ისეთ თანდაყოლილ თავისებურებას, რაზედაც მისი წარმატებაა დამოკიდებული; მათივე აზრით ამ თავისებურებათა შეცვლა და განვითარება სწავლა-აღზრდის საშუალებით სრულიად შეუძლებელია.

საქმის ვითარების ასე წარმოდგენას არაფერი აქვს საერთო მეცნიერული ფსიქოლოგიის მონაცემებთან.

სწავლის შემთხვევაში, ერთი მხრით, მეხსიერების მოქმედება, და, მეორე მხრით, სწავლებისა და აღზრდის პროცესი თავისი ბუნებით არ არის ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული და აბსოლუტურად დამოუკიდებელი პროცესები. სწავლების დროს

შესწავლეს მხოლოდ ცოდნათა მარაგს კი არ გადავსცემთ, მეხსი-
ერების კანონების შესატუვისად, არამედ მეხსიერების იმ სახესაც
ვუვითარებთ, რომელიც ამ ცოდნის მტკიცედ შეთვისებისათვის
არის საჭირო. მასწავლებელი თავის მუშაობაში იმ აზრით უნდა
ხელმძღვანელობდეს, რომ მეხსიერების თავისებურებანი სწორად
აფებულ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ცოდნის შეძენის
ჩაყოფია. მეხსიერება, როგორც იტყვიან, მხოლოდ სწავლაში კი
არ იჩენს თავს; სწავლის პროცესში თვით მეხსიერებაც ყალიბ-
დება და ვითარდება.

ამ შრომის ამოცანაა, განვაზოგადოთ ის მონაცემები, რაც სხვა-
დასხვა მკვლევარს მიუღია მეხსიერების კვლევის მიმართულებით
და ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვართა საფუძველზე გავა-
შუქოთ საკითხი; თუ რამდენად შესაძლებელია და გასაგები ფაქ-
ტი მეხსიერების აღზრდისა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის
პროცესში. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ,
რამდენადმე მაინც ნათელი უნდა გავხადოთ, თუ რაში გამოიხა-
ტება საერთოდ მეხსიერება და რა ამოსავალი თვალსაზრისით უნ-
და ხელმძღვანელობდეთ მის, ე. ი. მეხსიერების ფსიქოლოგიის
საკითხების შესწავლისას?

2. მეხსიერება შემეცნების პროცესია, ე. ი. იგი სინამდვილის ასახ-
ვის პროცესია. აღქმა სინამდვილის უშუალო ასახვაა, ე. ი. ასახვაა
მაგნებისა და მოვლენების გრძნობის ორგანოებზე უშუალო მოქმე-
დების საფუძველზე. ამისგან განსხვავებით მეხსიერება იმ სინამდვი-
ლეს ასახავს, რაც წარსულში იყო განცდილი. მაშ, მეხსიერება ამ
თვალსაზრისით დაცვაა, შენარჩუნებაა იმისა, რასაც წარსულ გამო-
ცდილებაში ჰქონია აღვილი. მაგრამ იმისთვის, რომ რაიმე იყოს
დაცული, იგი როგორმე უნდა ყოფილიყო შენიშნული და აღმეც-
დილი. დასასრულ, მეხსიერება იმის აღდგენაა; რაც აღმეცდილი
და დაცული იყო. მაშ, მეხსიერება გამოიხატება იმის აღმეცდვაში,
დაცვასა და აღდგენაში, რასაც წარსულ გამოცდილებაში ჰქონდა
აღვილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წარსული გამოცდილების
აღმეცდვა, დაცვა და აღდგენა ყოველთვის ერთი და იგივე ფორ-
მით არ ხდება. წარსულის ზეგავლენა აწყობში შიმდინარე ფსიქი-
კურ პროცესებზე სხვადასხვა სახით მუღავნდება.

რა ამოსავალი თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეთ მეხ-
სიერების ამ პროცესების შესწავლისას?

აღამიანი სინამდვილეს მასთან აქტიური ურთიერთმოქმედების
პროცესში ასახავს; ამდენად, მეხსიერებაში ასახული სინამდვილე ეს
ის მხარეა ობიექტური სინამდვილისა, რომელიც აღამიანის მოქმე-

დების, მისი მოღვაწეობის შინაარსი ყოფილა. მაგრამ, საგულის-ხმო ისაა, რომ მეხსიერება ადამიანის მოქმედებასთან, მის მოღვა-წეობასთან მარტო იმ მხრით კი არ არის დაკავშირებული, რომ იგი იმ სინამდვილეს ასახავს, რომელიც ადამიანის მოქმედების საგანი ყოფილა, არამედ იმ მხრითაც, თუ როგორ აისახება ეს წარსული გამოცდილების შინაარსი: რა სახით, რა ფორმით „მოქ-მედებს“ მეხსიერება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მოქ-მედების ფარგლებში მეღვანდება მეხსიერების ფუნქცია. იგულის-ხმება, რომ ადამიანის მოქმედება ეს არ არის უბრალო ჯამი ცალ-კეული ფსიქიკური ფუნქციებისა, პირიქით, მას აქვს თავისი საკუ-თარი სტრუქტურა, შინაარსი, კანონზომიერებანი, რომელთა საფუ-ძველზე უნდა აიხსნას ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციათა და, მათ შო-რის, მეხსიერების ფუნქციის მოქმედებაც.

ცხადია, რომ სინამდვილესთან ურთიერთობის ცალკეული ფსი-ქიკური ფუნქცია კი არ ამყარებს, როგორც ეს ბურჟუაზიულ ფსი-ქოლოგებს ჰვინით, არამედ ადამიანის პიროვნება. ამდენად ყოვე-ლი ფსიქიკური ფუნქციის შესწავლისას ამოსავალი ცნება უნდა იყოს პიროვნება და მისი მოქმედება, მისი პრაქტიკა, მისი სინამ-დვილესთან ურთიერთობის ხასიათი.

კერძოდ, ამავე თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ მეხ-სიერების ფსიქოლოგიის საკითხების გარკვევის შემთხვევაშიც. სულ-ერთია მეხსიერების პრობლემებს რა ასპექტში განვიხილავთ, ზო-გადი ფსიქოლოგიის, თუ გენეტიკური ფსიქოლოგიის ასპექტში, ამოსავალი ცნებები ყველა შემთხვევაში პიროვნებისა და მისი მოქმედების ცნებები უნდა იყოს.

ეხლა გავარკვიოთ საკითხი, თუ მეხსიერების პროცესების რა ძირითადი ჯგუფები არსებობს და რისი მიხედვით უნდა გამოი-ყოს ისინი? მეხსიერების პროცესების ძირითადი ჯგუფები უნდა გამოიყოს იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავთ მათ ქცევაში. ამ შემთხვევაში უნდა ამოვდიოდეთ იმ მიმართებებიდან, რომლე-ბიც განსაზღვრავენ მეხსიერების მოქმედების ადგილს ქცევაში. მაგ-რამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქცევაში რა მიმართებები უნდა მივიჩნიოთ ისეთებად, რომლის მიხედვით კანონიერი იქნე-ბოდა მეხსიერების ადგილის გარკვევა ამა თუ იმ ქცევაში?

აკად. ლ. უხნაძე ფიქრობს, და სრულიად სამართლიანად, რომ ქცევა ფსიქოლოგიური აზრით არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი გარკვეული აზრის, მნიშვნელობის, ღირებულების მქონედ განი-ცდება. ქცევად მას ეს აზრი, ეს ღირებულება, ეს მნიშვნელობა აქცევს. მის გარეშე იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა, —წერს

აკად. დ.. უზნაძე. ქცევას, მაშ, სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმა-
ყოფილება შეუძლიან და იმისდა მიხედვით, რამდენ განსხვავებულ
მიზანს ემსახურება იგი, იმდენად მისი განსხვავებული სახეებიც
არსებობენ.

მაშ, მესიერების სხვადასხვა ადგილი სხვადასხვა ქცევაში იმის
მიხედვით განისაზღვრება, თუ რა მიმართებაშია მესიერების მო-
ქმედება ქცევის აზრთან, ქცევის მნიშვნელობასთან ისე, როგორც
იგი გაცნობიერებული აქვს სუბიექტს.

ქცევას ერთ შემთხვევაში პიროვნებისათვის ისეთი აზრი აქვს,
რომელთანაც მიმართებაში მესიერების მოქმედების მნიშვნელო-
ბა მას სრულიად არა აქვს გაცნობიერებული. სხვაგვარად რომ
ვთქვათ, მისი აქტივობა ამ მოქმედების შემთხვევაში ისეთ სხვადას-
ხვაგვარი მოთხოვნილებებისა და მიზნების დაკმაყოფილებისაკენ
არის მიმართული, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვს დახსო-
მების მიზანთან. მაგრამ, ამის მიუხედავად ასეთი ქცევების ფარგლებ-
შიც არ შეიძლება ითქვას, რომ მესიერების მოქმედებას ადგილი არ
აქვს. ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ ამ შემთხვევაში მესი-
ერების მოქმედებაც მეღლავნდება და ისეთი ხასიათის აქტივობებს
აქვს ადგილი, რომლებიც უთუოდ წარმოადგენენ დახსომების ფაქ-
ტორს. მაგალითად, ცნობილია, რომ, რაც გვახსოვს ჩვენი წარსული-
დან, ყოველთვის ის შინაარსი კი არ არის, რომლის დახსომება-
საც ჩვენ საგანგებოდ ვისახავდით, ან როდესაც რამეს აღვაღგენთ
ამა თუ იმ მოქმედების დროს, ყოველთვის წინასწარი განზრახვით
როდი აღვაღგენთ! ამის სულ უბრალო მაგალითი შეიძლება დავა-
სახელოთ. ვთქვათ, მოსწავლეს ავალებთ მოიგონოს ყველაფერი,
რაც მას შეხვდა გზაში, როდესაც იგი სკოლაში მოდიოდა. ცხა-
დია, რომ მოსწავლეს, როდესაც იგი სკოლაში მოდიოდა, არ პქო-
ნია განზრახული დაეხსომებია ყველაფერი, რასაც იგი გზაში შეხვ-
დებოდა. მისი ქცევის მიზანი იყო სკოლაში წასვლა, მაგრამ ეს იმას-
როდი ნიშნავს, რომ ის ვერაფერს მოიგონებს იმისგან, რაც მას-
გზაში შეემთხვა, როდესაც სკოლაში მოდიოდა. რასაკვირველია
არა! მოსწავლეს შეუძლია ბევრი რამ აღადგინოს, მაგრამ ყველა-
ფერი ის, რასაც ის ამ შემთხვევაში მოიგონებს, იქნება თანმხლე-
ბი, შემთხვევითი ეფექტი იმ ქცევისა, რომლის მიზანი სულ სხვა-
იყო, ვიდრე დახსომება გზაში მომხდარ შემთხვევებისა. გასაგებია,
რომ თუ მოსწავლემ რამე მოიგონა, ეს მეხსიერების მოქმედების
წყალობით ხდება. გამოდის, რომ მას განუხორციელებია ისეთი
სახის აქტივობა, ამ სხვა მიზნის მქონე მოქმედების ფარგლებში,
რაც დახსომების ფაქტორი აღმოჩნდა, მაგრამ ამ აქტიონბას ის

ახორციელებდა ისე, რომ სულ არ ჰქონდა შეკნებული, რომ დახსოვების ხასიათის მქონე აქტივობას ახორციელებდა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივად ამბობენ, რომ მეხსიერების პასიური ფორმების მოქმედებას ჰქონდა აღგილიო.

მეხსიერების ასეთ მოქმედებას დავადასტურებთ, ვთქვათ, ბავრშის თამაშის შემთხვევაში. თამაშიც ქცევის ისეთი სახეა, რომლის შიზნებიც არ მოითხოვენ მეხსიერების პროცესების აქტიურ მოწესრიგებას ბავშვის მხრივ.

ასეთი სახის ქცევების შედეგად ადამიანი უთუოდ იძენს რაღაც ცას, როგორც იტყვიან, „სწავლობს“ რაღაცას. შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც „გამოცდილებას“ უწოდებენ, სწორედ ასეთი არა-განზრახული, პასიური მეხსიერების ფორმების საშუალებით არის მონაგარი. მაშ, არსებობს ისეთი სახის მოქმედებები, რომელთა ფარგლებში ადგილი აქვს მხოლოდ პასიური მეხსიერების ფორმებს. პასიური მეხსიერების პროცესები მეხსიერების პროცესების ერთ ჯგუფს შეადგენენ.

ამგვარ მოქმედებათა გვერდით ჩვენ ისეთ მოქმედებებსაც კავდებით, რომელთაც იმგვარი აზრი აქვთ სუბიექტისათვის, რომ მასთან მიმართებაში მეხსიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ამდენად, ამ მოქმედების ფარგლებში, მეხსიერება სუბიექტის განზრახვების მიხედვით მოწესრიგებულ პროცესს წარმოადგენს. ქცევის ასეთი სახე სწავლაა. ამდენად, სწავლის შემთხვევაში აქტიური მეხსიერება ფუნქციობს და არა პასიური. ამისდა მიხედვით გამოიყოფა მეხსიერების პროცესების მეორე ჯგუფი, რასაც აქტიური მეხსიერების პროცესები ეწოდება.

ბავშვის ქცევის ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განხილვისას ნათლად დავინახავთ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ მოქმედებათა სახეებს. ბავშვის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე ჩვენ დავადასტურებთ მისი მოქმედების ისეთ სახეებს, რომელთაგან ერთნი, განსაკუთრებით იმით გამოიჩინიან, რომ მათ ისეთი აზრი აქვთ ბავშვისთვის, რომელთანაც მიმართებაში მეხსიერების ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება და ამდენად ასეთი მოქმედების ფარგლებში აქტიური მეხსიერება ფუნქციობს. მოქმედების ასეთი სახეა სწავლაც. მეორე მხრით, ვნახავთ ისეთ მოქმედებასაც, რომელთა ფარგლებში მეხსიერების მხოლოდ პასიური ფორმების მოქმედებას აქვს ადგილი.

ამრიგად, მოქმედების ის სახეები და მეხსიერების ის ფორმები; რომელზედაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, ერთნაირად არ იჩენენ თავს. ბავშვის ასაკობრივი განვითარების ყველა საფეხურზე. მხოლოდ

განვითარების მაღალ საფეხურზე, კერძოდ, სასკოლო ასაკში, იჩენს თავს ისეთი სახის ქცევა, რომელსაც სუბიექტისათვის ისე-თი აზრი აქვს, რომელიც მეხსიერების მოქმედებას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს და ამდენად მას (მეხსიერებას) ნების-ყოფისაღმი დაქვემდებარებულს, განზრახვის საფუძველზედ მოწეს-ტიგებულ პროცესად აქცევს. რასაკვირველია, აქტიური მეხსი-ერების ის ფორმა, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმო-ადგენს და რასაც ჩვენ დასწავლას ვუწოდებთ, შემხატებულია მეხსიერების იმ ფორმების განვითარებით, რომლებიც ბავშვის ასა-კობრივი განვითარების აღრინდელ საფეხურზე იჩენს თავს.

არ იქნებოდა სწორი, რომ სასკოლო ასაკში მომხდარი მეხსიე-რების ცვლილება უშუალოდ გამოგვეყანა, როგორც შედეგი იმ ცვლილებებისა, რომელთაც მეხსიერების განვითარებაში პქონდა ადგილი სკოლამდელ ასაკში. სკოლამდელი ბავშვის მეხსიერების ფორმების საფუძველზე რომ მეხსიერების აქტიური ფორმები განვი-თარებულიყო, აუცილებელი იყო ბავშვისთვის დაბახასიათებელი თამაშის სახის მოქმედება შეცვლილიყო ბავშვის გარემოსთან ურთი-ერთობის იმ თავისებური სახით, რასაც სწავლა ეწოდება.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი არაფერს არ სწავლობს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ სასკოლო პერიოდამდე აქტიური მეხსიერების პროცესებს არ ვხვდე-ბით.

არ შეიძლება ითქვას, მაგალითად, რომ სკოლამდელ ასაკში, როდესაც მოქმედების გაბატონებულ სახეს თამაში წარმოადგენს, ბავშვი არაფერს იხსომებს, არაფერი აქვს ნასწავლი. ასეთი შეხე-დულება შემცდარია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის, რაც არასწავ-ლითი სახით აქვს ბავშვს ნასწავლი და, რაც არასწავლითი ქცევის შედეგად ახსოვს მას, ეს ყველაფერი მხოლოდ თანმხლები შედეგია იმ მოქმედებისა, რასაც იგი გარემოსთან ურთიერთობის პროცეს-ში მიმართავს და სულ სხვა მიზანი აქვს, ვიდრე რაიმეს დახსომე-ბა ან დასწავლა.

დახსომებული, დასწავლილი, ასეთ შემთხვევებში, როგორც აკად. ს. უზნაძე წერს, „მთავარი მიზნის შესრულებისათვის ზრუნვის თან-მხლები ეფექტია მხოლოდ“. როგორც ალვნიშნეთ, სწორი არაა, რომ თითქოს სკოლამდელ ასაკში ბავშვს სულ არა აქვს დახსომე-ბის უნარი. როგორც გამოკვლევებმა დაადასტურა, ასეთი მეხსიე-რების დაწყებით ფორმებს ჩვენ ვხვდებით სკოლამდელ ასაკში— თუგინდ თამაშის შემთხვევაშიც. არასწავლითი მოქმედების შემ-თხვევაში დადასტურებული ჩანასახვანი ფორმები აქტიური მეხ-

მიერებისა და სწავლითი მოქმედების შემთხვევაში დადასტურებული განვითარებული ფორმები აქტიური მეხსიერებისა, სულ სხვა- რასხვა ბუნების მატარებელნი არიან; სხვადასხვაა იმიტომ, რომ სხვადასხვა აზრის მქონე ქცევაშია წარმოდგენილი.

ლეონტიევის მიერ ჩატარებული იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე შემდეგი სახის ექსპერიმენტი: საბავშვო ბალში სამხედრო ხა- სიათის თამაშის პროცესში ბავშვი ასრულებდა „მოკავშირის“ მოვალეობას. მას ევალებოდა შტაბისათვის გადაეცა „ცნობა“, რომელიც ყოველთვის იწყებოდა ერთი და იმავე ფრაზით, რასაც მოსდევდა საგანგებოდ შერჩეულ საგანთა დასახელება (სხვადასხვა შემთხვევაში სულ სხვადასხვა).

სულ პატარა ასაკის ბავშვები „მოკავშირის“ მოვალეობის აზრის წვდომას ვერ ახერხებდნენ. მათთვის მოკავშირის როლი მხოლოდ გარეგანი მაჩვენებლების მიხედვით იყო წარმოდგენილი: მირბოდნენ, სამხედრო სალამს აძლევდნენ და ა. შ. რაც შეეხება არსებით მხა- რეს მოკავშირის მოქმედებაში—ცნობის გადაცემას (ცნობის შინა- არსის ზუსტად აღდგენა და სხვ.), ეს მხარე „მოვალეობისა“ მათ- თვის არ არსებობდა. ცნობის გადაცემის დროს არავითარ ზომებს არ იღებდნენ სწორი მოვონებისათვის და ა. შ.

უფროსი ასაკის ბავშვები კი არა მარტო ისმენდნენ დავალებას, არამედ საგანგებო ზომებს იღებდნენ, რომ მეხსიერებაში ზუსტად აღებეჭდათ ცნობის შინაარსი, მიმართავდნენ მის გაშუალებულ აღ- ქმას, ე. ი. ქმნილნენ გამაშუალებელ როგორებს იმისთვის, რომ „შტაბში“ შეძლებოდათ ცნობის შინაარსის აღდგენა. ამ ასაკის ბავ- შვი რომ „შტაბში“ მირბოდა, არავის ხმას არ სცემდა, ეშინოდა ცნობის დავიწყებისა, „შტაბში“ ცნობის გადაცემისას დავიწყებულის აქტიურად აღდგენას ცდილობდა და ა. შ. ამ ექსპერიმენტის შე- დეგების საფუძველზე ლეონტიევი დასკვნის, რომ ბავშვის ცნო- ბიერებაში დახსომება და აღდგენა, როგორც სპეციალური მიზნის მქონე ნებისმიერი მოქმედება მხოლოდ მაშინ ყალიბდება, როდე- საც ის ქცევა, რომელშიც დახსომებისათვის შესატყვისი ობიექ- ტური ამოცანა არსებობს, იმ მოტივით სრულდება, რაც აზრს აძლევს ბავშვისთვის აქტიურ დახსომებას. ამ ექსპერიმენტებში მოკავშირის ქცევა ობიექტურად შეიცავს ისეთ ამოცანას, რომლის გადასაწყვეტად, აუკილებელია აქტიური დახსომება. მაშინ კი რო- დესაც ბავშვი მოკავშირის როლს გარეგან თავისებურებათა გამო- სახვის მოტივით ასრულებს, დახსომებას არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ საქმარისი შეიცვალოს ამ ქცევის შესრულების მოტივი და მოკავშირის ქცევა შესარულოს ცნობის გადაცემის მოტივით,

რომ სუბიექტისათვის აზრი მიეცემა დახსომების. ამრიგად, დახსომება, როგორც დამოუკიდებელი აქტი მოქმედებისა მაშინ გამოიყოფა, როდესაც ქცევას ისეთი აზრი და მნიშვნელობა იქვეს სუბიექტისათვის, რომ მასთან მიმართებაში განსაკუთრებული აზრის მქონე ხდება მისი დახსომების ნებისმიერი აქტების წარმოება.

რასაკვირველია, სკოლამდელ ასაკში ბავშვისათვის ბევრ მოქმედებას აქვს ისეთი აზრი, რომელთანაც მიმართებაში მნიშვნელობა ეძლევა აქტიურ დახსომებას. მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ ეს ყოველთვის არასწავლითი ხასიათის მოქმედებებია და ამდენად დახსომების, როგორც ცალკე მოქმედების მიზანი და იმ ქცევის აზრი და მიზანი, რომელშიც დახსომებას აქვს ადგილი ამ ასაკისათვის, ყოველთვის სხვადასხვაა.

ამრიგად, დასწავლა, როგორც აქტიური მეხსიერების ფორმა, სწავლის შემთხვევაში სპეციფიკური აზრის მატარებელია. ის, რაც ჩაისახა სკოლამდელ პერიოდში, შესაძლებელია განვითარებულიყო და აღქვატური აზრი მიეღო მხოლოდ სწავლის ხასიათის ქცევაში.

რა არის სწავლის, როგორც ქცევის ფორმის ის თავისებურება, რომლის გამო ამ ქცევის პროცესში თავისებური სახით ყალიბდება მეხსიერების მოქმედება?

ჩვეულებრივად, სწავლას უწოდებენ ყოველგვარი ახალი ცოდნის თუ მოქმედების შეძენას. ამ შემთხვევაში იგულისხმება, როგორც აკად. დ. უზნაძე წერს, რომ „სწავლა“ თავისთავად დამოუკიდებელ ფორმას არ წარმოადგენს ქცევისას, იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა ქცევის თანმხლები შემთხვევითი ეფექტი, რომელიც სუბიექტს საგანგებოდ სრულიად არ ჰქონია მხედველობაში.

ნამდვილად კი საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სწორედ სწავლასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი ჩამოყალიბდებულია, როგორც ქცევის დამოუკიდებელი სახე.

რა ახასიათებს ფორმალურად სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმას? ცნობილია, რომ სწავლა შეიძლება მიმართული იყოს რომელიმე ფუნქციის აქტივობის გაუმჯობესებისადმი, უნარის გამომუშავებისადმი, ან ცოდნის შეძენისადმი. სწავლა ფსიქოლოგიურად, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, სწორედ იმით ხასიათდება, რომ ის რაიმესადმია მიმართული, ვთქვათ, უნარის ან ცოდნის დაუფლებისადმი, რასაც უშუალოდ აქვს აზრი სუბიექტისათვის. იმის აზრი, რასაც სუბიექტი სწავლით ეუფლება. სუბიექტისათვის თვით იმაშია, რასაც ეუფლება. როდესაც ცოდნის

ან უნარის დაუფლების მოტივი თავად ამ უნარსა და ცოდნაშია, მაშინ აქვს აღგილი სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმას.

სამართლიანად შენიშნავს აკად. დ. უზნაძე, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვი, ვთქვათ, კითხულობს სახელმძღვანელოს იმისთვის, რომ იცის—თუ არ წაიკითხა, ეზოში თამაშობის უფლებას არ მისცემენ, ან კინოში არ გაუშვებენ, იგი ნამდვილად სწავლას, როგორც დამოუკიდებელი სახის ქცევას კი არ ახორციელებს, არამედ ეზოში თამაშის ქცევას, კინოში წასვლის ქცევას ახორციელებს, მაგრამ, თუ ბავშვი იმისთვის კითხულობს, რომ იცოდეს, რაც მისი გაკვეთილია, იცოდეს წარმატებით, ამ შემთხვევაში აღგილი აქვს ნამდვილ სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმას.

აკად. დ. უზნაძე სწავლის შემთხვევაში ერთ უთუოდ არსებითი მნიშვნელობის გარემოებას აქცევს ყურადღებას, სახელდობრ. იმას, რომ სწავლა ობიექტივაციას გულისხმობს.

თუ სწავლა ისეთი ქცევაა, რომლის მოტივი იმაშია, რისკენაც სწავლაა მიმართული, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ის, რისკენაც არის მიმართული სწავლა, თავისთავად არის მისთვის საინტერესო, ე. ი. იგულისხმება, რომ იგი გაცნობიერებულია, როგორც სუბიექტისაგან დამოუკიდებელი საკუთარი ობიექტური მიმართებებით შესაცნობი ობიექტი, ე. ი. ობიექტივირებულია.

ცხადია, რომ ქცევის ისეთ ფორმაში, როგორიცაა სწავლა, მეხსიერების მოქმედება სრულიად თავისებური სახით მულავნდება, ვიდრე, ვთქვათ, თამაშის შემთხვევაში. ქცევის მიზანი სწავლის შემთხვევაში იმის შეთვისებაა, რაც ობიექტივირებულია, როგორც სწავლის საგანი. ამ ქცევის (სწავლის) ფარგლებში მეხსიერების მოქმედება ყალიბდება სპეციფიკური ფორმის—აქტიური მეხსიერების სახით. სწავლა, პირველ ჩიგში, აქტიური მეხსიერების მოქმედებას გულისხმობს.

ახლა გასარკვევია, რა სახით ყალიბდება აქტიური მეხსიერების მოქმედება სწავლის ფარგლებში? აქტიური მეხსიერება სწავლის შემთხვევაში არ არის მხოლოდ დასწავლის სახით წარმოდგენილი. ჩვეულებრივად კი ფიქრობენ, თითქოს სწავლის შემთხვევაში აქტიური მეხსიერების მხოლოდ იმ სახესთან გვაქვს საქმე, რომელსაც დასწავლას უწოდებენ.

ეს შეხედულება არ არის სწორი. სწავლის შემთხვევაში სწავლის სხვადასხვა ჭონკრეტული ამოცანის შე-

სატყვისად, მეხსიერების სხვადასხვა ფორმა იღებს მონაწილეობას.

როგორც აღნიშნეთ, მეხსიერების პროცესები ძირითადად ორ ზოდ ჯუფად შეიძლება დაიყოს: მეხსიერების პასიური ფორმები ზა. მეხსიერების აქტიური ფორმები.

ჩვენს წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა — გავარჯიშოთ სახეები პასიური და აქტიური მეხსიერებისა ზა მათი ადგილი სწავლის შემთხვევაში. ვნახოთ სწავლის შემთხვევაში მართლა მხოლოდ მეხსიერების ერთი ფორმის — დასწავლის — მოქმედებასთან გვაქვს საქმე, თუ მეხსიერების სხვა პროცესებიც იღებენ მონაწილეობას.

პასიური მეხსიერების პროცესებია მეხსიერების ის პროცესები, რომელთა შემთხვევაში არც აღბეჭდვისა და არც აღდგენის პროცესებში აღამიანის წინასწარი განზრახვა, სპეციალური დახსოვების მიზნით გამოწვეული აქტიობა არ მონაწილეობს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო შემთხვევაში აღამიანი ვერ ახერხებდეს, როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. დ. უზნაძე, მეხსიერების ამ ფორმების მიმართ თავისი აქტიობის, ნებისყოფის გამოყენებას. არ არსებობს პასიური მეხსიერების არც ერთი ფორმა, რომლის მოქმედების ფარგლებში შესაფერისი ეფექტის გამოწვევა არ შეეძლოს: აღამიანს თავისი ნებისყოფის ჩარევის შედეგად.

სწავლის შემთხვევაშიაც, სწავლის კონკრეტული ამოცანების შესაბამისად აღამიანი პასიური მეხსიერების ფორმებს იყენებს, მაგრამ ისე, რომ მას გარდაქმნის შეგნებულად, დასახული მიზნების შესატყვისად. ამას იგი აღწევს აზროვნების და ნებისყოფის ჩარევის საფუძველზე. ამ სახით გარდაქმნილი პასიური მეხსიერების ფორმები, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაერთმნიშვნელოვანებული არიან მისი განსაზღვრული ფაქტორების მიხედვით, მეხსიერების იმ აქტიურ პროცესთან, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს და დასწავლა ეწოდება. ამდენად ის, რაც ქვემოთ იქნება ნათქვამი მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ, შეეხება სწავლაში წარმოდგენილი „პასიური“ მეხსიერების ყველა ფორმას.

დავხტასიათოთ ზოგიერთი ძირითადი ფორმა პასიური მეხსიერებისა, რომლებიც სწავლის იმოცანების შესატყვისად, აზროვნებისა და ნებისყოფის აქტივობის მონაწილეობის საფუძველზე სწავლის პროცესში გარდაიქმნებიან აქტიური მეხსიერების სახეებად.

3. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეხოთ ე. წ. უშუალო მეხსიერებას. უშუალო მეხსიერების პროცესები ისეთი პროცესებია,

რომელებიც აღქმის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ. მოვიყეანთ ამის მაგალითები: ვთქვათ, ვზიგარ სამუშაო ოთახში და გაცაცებით ვმუშაობ. მეზობელ ოთახში გაისმა საათის ზარის ცემა. მუშაობით გატაცებულს, არ მიმიქცევია ყურადღება, რამდენჯერ დარეკა საათის ზარმა. ვთქვათ, უეცრად დამებადა სურვილი იმის გაების, თუ რა დრო. თუ დიდი ხანი არ გავიდა საათის რეკვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე საგანგებო ყურადღება არ შიმიქცევია იმისთვის, თუ რამდენჯერ დარეკა საათის ზარმა, მაინც შევძლებ ჩემს ცნობიერებაში მოუბრუნდე საათის ზარის რეკვას და დავთვალო რამდენჯერ დარეკა საათმა. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მეხსიერების იმ პროცესს, რომელსაც განცდის ხანიერებას უწოდებენ. ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ იმის შემდეგ, რაც გამლიზიანებლის მოქმედება წყდება, შთაბეჭდილება ერთხანს განაგრძობს არსებობას ჩვენს ცნობიერებაში. ყოველი პირველი განცდა, ვიდრე სულ გაქრებოდეს ცნობიერებიდან, ერთხან რაღაც რეზონანსივით რჩება ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ ეს „ხანი“, რომლის განმავლობაშიაც პირველი განცდას შეუძლიან არსებობა. ჩვენს ცნობიერებაში, მეტი ან ნაკლები ხანგრძლიობის შეიძლება იყოს. პირვანდელი განცდა, ყველა შემთხვევაში ისეთი რეზონანსის ხანგრძლიობის კი არ არის, როგორიც იყო ზარის ხმის შთაბეჭდილება ჩვენს მაგალითში, იგი შეიძლება უფრო ხანიერიც იყოს. მაგალითად, ისე ხანიერი, რომ მოწაფე ამის საფუძველზე ახერხებს საკმარისად გრძელი წინადადების ჩაწერას, ან ასოთა-მწყობი ერთხელ წაკითხული, საკმაოდ გრძელი წინადადების აწყობას და ა. შ. ასეთ შემთხვევებში, როდესაც პირვანდელი განცდის ხანიერობა ისე დიდია, ლაპარაკობენ უკვე „უშუალო მეხსიერებაზე“ სპეციფიკური გაგებით. უშუალო მეხსიერებასთას საქმე, გვაქვს მაშინ, როდესაც გამლიზიანებელი შეწყვეტილია, მაგრამ ფსიქიკურად იგი მაინც განაგრძობს არსებობას, სანამ ამას ჩვენთვის აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. „უშუალო მეხსიერებას“, რომ გორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს, ადგილი აქვს პირვანდელი განცდის ხანიერობის ფარგლებში.

უშუალო მეხსიერების შემთხვევაში აღმეტდილის, აღქმულის აღდგენა უშუალოდ ხდება აღქმის პირვანდელი განცდის დამთავრებისთანავე. უშუალო მეხსიერების შემთხვევაში ვიზსომებთ აღქმულს არა ხანგრძლივი დროისათვის, არამედ მხოლოდ იმ ხნის განმავლობაში, სანამ ნაკარნახევს ჩავიწერდეთ და ა. შ. ამრიგად, ერთ-ერთ ფორმას მეხსიერებისას წარმოადგენს უშუალო მეხსიერება, ან, თუ შეიძლება ისე თქვას, ხანმოკლე დროით დახსომებას

საწერ მანქანაზე მპეჭდავი იმ ტექსტს, რომელსაც ბეჭდავს, ისე კი არ იხსომებს, როგორც, ვთქვათ, მოწაფე იხსომებს გაკვეთილის შინაარსს, არამედ მხოლოდ მოკლე დროით, სანამ დაბეჭდავდეს.

სწავლის პირობებში უშუალო მეხსიერება მიმდინარეობს არა როგორც პასიური პროცესი, არამედ როგორც აქტიური პროცესი, ე. ვ. სწავლის აშოცანების შესაბამისად უშუალო მეხსიერება იქცევა სპეციფიკურ, წინასწარ განზრახული დახსომების სახელ და, როგორც ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დააღასტურეს, ამ საფუძველზე აღწევს უშუალო მეხსიერება განვითარების მაღალ საფეხურს. უშუალო მეხსიერებას უმთავრესად იმ შემთხვევაში მიმართავს აღამიანი, როდესაც რაიმეს დახსომება სჭირდება ხანმოკლე დროის განმავლობაში. ამიტომ სწავლის შემთხვევაში გასაგებია, რომ ამ ფორმის მეხსიერებას არ აქვს წამყვანი მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, ეს ფორმა მეხსიერებისა მაინც თამაშობს როლს სწავლაში. უშუალო მეხსიერება, რომლის წყალობითაც, როგორც აღვნიშნეთ, პირველადი განცდა ერთხანს რჩება უშუალოდ ჩვენ ცნობიერებაში, იმ პედაგოგიკური ლირებულების მქონეა, რომ მოსწავლეს ამის საფუძველზე საშუალება აქვს მოამწიფოს ეხლახან აღქმული, მაქსიმალურად ამოსწუროს შთაბეჭდილების, აღქმის მონაცემები და ამდენად უფრო უკეთესად აითვისოს იგი. მასწავლებლის საუბარი, თვალსაჩინო მასალის მიწოდება, სასწავლო კინოფილმების ჩვენება ყოველთვის ისე უნდა ხდებოდეს, რომ უშუალოდ მეხსიერების მოქმედების ფარგლებში მაქსიმალურად იყოს ამოწურული შთაბეჭდილების მონაცემები. სწორად აგებული პედაგოგიური პროცესი გულისხმობს, რომ ერთ შთაბეჭდილებას მეორე მხოლოდ იმის შემდეგ უნდა მოჰყეს, რაც პირველი განცდის მონაცემები უშუალო მეხსიერების ფარგლებში მაქსიმალურად ამოიწურა.

უშუალო მეხსიერება ექვემდებარება ნებისყოფის და აზროვნების მოქმედებას. ამ საფუძველზე იცვლება მისი თვისებები და ასეთი აქტიობის საფუძველზე გარდაქმნილი სახით იგი სწავლაში იღებს მონაწილეობას. ასე გარდაქმნილ უშუალო მეხსიერებას ეყრდნობა მოსწავლე, როდესაც კარნასს წერს, გადმოწერას აწარმოებს, ხატავს ნიმუშის მიხედვით, ზეპირად ანგარიშობს და ა. შ. როგორც ზოგი მკვლევარი ამტკიცებს იმის მოცულობა, რაც ერთხელ აღქმის შედეგად შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს უშუალო მეხსიერებაში, დაბალ ასაკში უფრო მცირეა. იგი ბავშვს უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე მოზრდილს. მაგრამ როგორც დადასტურდა, პედაგოგიური ზემოქმედების წყალობით უშუალო მეხსიერების შოცულობა იზრ-

დება. ამ შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეს უვითარდება ყურადღება, მოსწავლე სულ უფრო და უფრო ახერხებს ყურადღების განსაკუთრებულ კონკრენტრაციას სასურველი მიმართულებით, უვითარდება პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად ტექნიკა წერის, კითხვის, თარგმნის, უვითარდება უნარი მიწოდებული მასალის სათანადო ორგანიზაციის; გააზრების და ა. შ. ამრიგად, მეხსიერების ეს ფორმა პედაგოგიური ზემოქმედების პირობებში ვითარდება. ამის შესაძლებლობას ის, პეტრი, რომ სწავლის პროცესში უშუალო მეხსიერება მოქმედებს როგორც აზროვნების — ნებელობის აქტივობის საფუძველზე გარდა- ქმნილი ფორმა მეხსიერებისა.

4. უშუალო მეხსიერების პროცესებიდან განსხვავდება, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მეხსიერების გაშუალებული პროცესები. უშუალო მეხსიერება იმით ხასიათდება, რომ აღბეჭდვას უშუალოდ მოსდევს აღდგენა. მაგრამ არსებობს ხანგრძლივი მეხსიერების პროცესები, როდესაც აღბეჭდილს უშუალოდვე არ მოსდევს აღდგენა. პირიქით, აღბეჭდილის აღდგენა მეტი ან ნაკლები დროის გავლის შემდეგ ხდება. აღბეჭდილის გარკვეული ხნის გავლის შემდეგ აღ- დგენის ორი შემთხვევა უნდა გავარჩიოთ — ერთი, როდესაც წარსულის აღდგენა ხდება უშუალოდ მოცემულ აღქმასთან დაკავშირებით და მეორე, როდესაც წარსულის აღდგენა ხდება თავისუფლად, უშუალოდ მოცემული აღქმისაგან დამოუკიდებლად. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცნობასთან, ცნობით მეხსიერებასთან და მეორე შემთხვევაში კი — რეპროდუქციასთან. ამრიგად, ხანგრძლივი, ე. ი. არა უშუალო მეხსიერების შემთხვევაში წარსულის ასახვის ძირითად ფორმებს ცნობა და რეპროდუქცია წარმოადგენს.

ხანგრძლივი მეხსიერების პროცესების ერთი ჯგუფი იმით ხასიათდება, რომ მეხსიერების პროცესის დამოუკიდებელ მოქმედებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სხვა ფსიქიკურ პროცესთან დაკავშირებულ მოქმედებასთან, კერძოდ აღქმასთან დაკავშირებულ მოქმედებასთან. ასეთია ცნობა. ცნობა იმის ცნობიერებაში მდგომარეობს, რომ მოცემული აღქმის საგანი წარსულშიაც იყო განცდილი. ვიმეორებ, ამ შემთხვევაში წარსულის აღდგენა აღქმისაგან დამოუკიდებლად კი არ ხდება, არამედ, აღქმასთან დაკავშირებით. ცნობითი მეხსიერება აღრე უვითარდება ბავშვს. ის მეხსიერების პასიური ფორმაა. ჩვეულებრივად ცნობითი მეხსიერება არ გულისხმობს სუბიექტის აქტიონის ჩარევას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლის შემთხვევაში მისი მონაწილეობა გამორიცხული იყოს. სწავლის პროცესში არსებობს ისეთი ამოცანები, რომლებიც ცნო-

ბას, როგორც დამოუკიდებელი და თავისებური მეხსიერების პროცესის მოქმედებას ანიჭებენ სუბიექტისათვის მნიშვნელობასა და აზრს. ამ შემთხვევაში ცნობითი მეხსიერება, სწორედ როგორც თავისებური ფორმა მეხსიერებისა, დამოუკიდებელ მოქმედებათ გამოიყოფა და ამდენად სწავლის შემთხვევაში განზრახული, ნებისმიერი მეხსიერების სახეს იღებს. ფსიქოლოგიაში არჩევენ როგორც თავისებურ სახეს ცნობისას გაშუალებულ, მომზადებულ ცნობას, გაშუალებული ცნობის მაგალითია, ვთქვათ, როდესაც სუბიექტი უკვე ამა თუ იმ საგნის აღქმისას იღებს სათანადო ზომებს, რომ გაუადვილდეს მომავალში, განმეორებით აღქმის პირობებში, შეიცნოს ამ აღქმის საგანი.

სწავლა, ძლიერ ხშირად ისეთი ამოცანების გადაწყვეტას ისახავს. მიზნად, რომელთა გადაჭრა სწორედ ასეთ ნებისმიერი ცნობის მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგალითად, პირველ კლასშივე წერა-კითხვის სწავლის პროცესში აუცილებელია ცნობა ასოების. ბუნების მეტყველების სწავლის. შემთხვევაში საჭიროა ცნობა მცენარეების, ცხოველების და ა. შ. ერთი სიტყვით, სწავლა მრავალ შემთხვევაში გულისხმობს საგანთა და მოვლენათა ცნობას. მაგრამ ისევ ხაზი უნდა გაუსვათ, იმას, რომ ცნობითი მეხსიერება—ბუნებრივად, პასიური მეხსიერების ფორმა—სწავლის შემთხვევაში მხოლოდ როგორც ნებისმიერი პროცესი იღებს მონაწილეობას. ცნობითი მეხსიერების განვითარება ხდება სწავლის პროცესში.

როგორც აღვნიშნეთ, ცნობისგან უნდა განვასხვავოთ ზანგრძლივი მეხსიერების ის სახე, რომელსაც რეპროდუქცია (ხელახალი აღდგენა) ეწოდება. ამ შემთხვევაში მეხსიერების მოქმედება უშუალოდ მოცემულ ფსიქიკურ პროცესებთან დაკავშირებით კი არ იჩენს თავს, არამედ ამათგან სრულიად დამოუკიდებელ წარმონაქმნის გვაძლევს. მეხსიერების მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ჩენ განვაახლებთ წარსულში განცდილს და ეს ხელახლა წარმოქმნილი, რეპროდუქცირებული წარსული ჩვენს ცნობიერებაში ვაცნობიერებულია თავის მიმართებაში წარსულთან. რეპროდუქცია მეხსიერების მაღალი პროცესია. იგი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ამ შემთხვევაში წარსულის აღდგენა გაცნობიერებულია სწორედ როგორც წარსულის აღდგენა; ამ პროცესებში წარსულთან ცნობიერი დამოკიდებულებას აქვს აღვილი. თუ რას ნიშნავს თავისუფალი აღდგენა წარსულისა, ეს შეიძლება ნათელი გავხადოთ შემდეგი მაგალითით. მაგ., თუ ცნობის ღროს აუცილებელი იყო განმეორებითი აღქმა (ე. ი. მე შემიძლია მხოლოდ ის ვიცნო, რასაც აღვიქვამ ამჟამად) წარმოდგენის შემთხვევაში მე შემიძლია აღვა-

დგინო ხატი იმის, რაც არ აღიქმება. წარმოდგენა რეპროდუქციით წარსული აღქმის, მაგრამ რეპროდუქცია არა მარტო აღქმისა, არამედ ყოველივე იმისა, რაც წარსული გამოცდილების საგანი იყო: წარსულში აღმულის, განცდილი აზრის, გრძნობის, გადაწყვეტილების, თვით წარმოდგენის და ა. შ. უშუალო მეხსიერების, პროცესები, როგორც აღვნიშნეთ, იმით ხასიათდება, რომ ამ საფეხურზე აღეჭდვა, დაცვა და აღდგენა ერთ მთლიან, დაუნაწევრებელ პროცესს წარმოადგენს. ცნობის შემთხვევაშიაც ამ მხრით თითქოს იგივე გარემოება გვხვდება. ცნობის მეხსიერების საფეხურზედაც აღბეჭდილის—აღქმის და აღდგენის პროცესები არ არას ცნობიერად გამონაწევრებული. ამ შემთხვევაში აღდგენა აღბეჭდვის პროცესების შიგ ხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამრიგად, მეხსიერების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სწორედ იქ, სადაც ჩნდება რეპროდუქციის უნარი ცნობიერდება მეხსიერების ისეთი პროცესები, როგორიცაც აღბეჭდვა, დაცვა და აღდგენა. მაგრამ ამ პროცესების გაცნობიერება, ამ პროცესების არსებობის განცდა ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესები ამ საფეხურზე აუცილებლად ნებისმიერი და წინასწარი განხრახვის მიხედვით მიმართულ პროცესებს წარმოადგენენ. იმის შემდეგ, რაც გაცნობიერებულია აღბეჭდვის და აღდგენის, როგორც განსხვავებული პროცესების არსებობა, შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი ფორმები აღდგენისა და აღბეჭდვის, რომელთა არსს ნებისყოფის ფაქტორის მონაწილეობა წარმოადგენს და რაც მიმდინარეობს როგორც წინასწარი განხრახვის მიხედვით მოწესრიგებული პროცესი.

ამრიგად, როგორც აღბეჭდვის, ისე აღდგენის (რეპროდუქციის) პროცესები შეიძლება იყოს ნებისმიერიცა და არანებისმიერიცა, აქტიური რეპროდუქცია, ე. ი. რეპროდუქცია, როგორც წარსულის წინასწარ განხრახული განახლება ყალიბდება ორი ფსიქიკური პროცესის სახით—ცოდნისა და მოგონების სახით. ამრიგად, აქტიური რეპროდუქციის მონაცემები, როგორც სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთი იფტორი, წარმოადგენენ შინაარსს ან ცოდნისას და ან მოგონებისას. წინასწარ განუზროჩეოლი, აქტიური ძალების მოქმედების გარეშე რეპროდუქციის სახეები კი პერსევერაციის და ასოციაციის პროცესებია. თავის ბუნებრივ მიმდინარეობაში პერსევერაციისა და ასოციაციის პროცესები წინასწარ აქტიურ აღბეჭდვას, დასომებას არ გულისხმობენ. ასოციაციისა და პერსევერაციის შემთხვევაში არც აღბეჭდვის და არც აღდგენის პროცესი

სები არ მიმდინარეობენ ნებისყოფის, აზროვნების და სზვა აქტიური ოპერაციების საფუძველზე.

ჩვენი ამოცანაა მეხსიერების აღნიშნული პროცესების აღვილის გარკვევა სწავლაში. ჩვენ ხომ სწავლა მხოლოდ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც იგი მეხსიერების პროცესებს გულისხმობს.

განვიხილოთ პასიური რეპროდუქციის პროცესები: ასოციაცია და პერსევერაცია. წარმოდგენათა რეპროდუქცია შეიძლება იყოს პასიურიცა და აქტიურიც. წარმოდგენათა პასიური რეპროდუქციის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ე. წ. პერსევერირებული განცდები. პერსევერირებული განცდები აკვიატებულ განცდებს ეწოდება. ასეთია, მაგალითად, მელოდია, სიტყვა, ხატი და ა. შ. ჩვენ აქ იმდენად გვაქვს საქმე მეხსიერებასთან, რამდენადაც აკვიატებული ხატი იმის ხატია, რაც წარსულში ყოფილა განცდილი. მაგრამ იგი სპეციფიკური ფორმაა რეპროდუქციისა იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი კავშირის გარეშეა იმასთან, რაც ჩემი ცნობიერების შინაარსს წარმოადგენს ამჟამად. რალაც ავტონომიური ძალით, ეს წარსულის ამსახველი ხატები ამოტივტივდებიან და ქრებიან. ეს ხატები ჩნდებიან წარსულის რეპროდუქციის განცდის გარეშე, არ ექვემდებარება ნებისყოფისა და აზროვნების შეგნებულ რეგულაციას. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას განუზრახველი რეპროდუქციის იმ სახის შესახებ, რომელსაც ასოციაცია ეწოდება, და მეხსიერების იმ სახის შესახებ, რომელსაც ასოციაციური მეხსიერება ეწოდება.

მოგონების და ცოდნის შინაარსია რეპროდუქტირებული შინაარსი. წარმოდგენაა მოგონებისა და ცოდნის შინაარსი. მოგონებისა და ცოდნის შემთხვევაში ის, რაც დახსომებულია, ის, რაც რეპროდუქტირებულია, წარმოდგენილია არა ურთიერთისაგან დაცალკევებულად და შემთხვევითად დაკავშირებულად, არამედ სრულიად გარკვეული ხასიათის კავშირებითა გაერთიანებული. ამრიგად ამ შემთხვევაში მთავარია საკითხი იმის შესახებ, თუ რა კავშირები მყარდება დახსომების დროს, რაც რეპროდუქციის საფუძველს წარმოადგენს მოგონებისა და ცოდნის შემთხვევაში. ჯერ ვიყითხოთ, რას ეწოდება ასოციაცია და რა არის ასოციატური მეხსიერება? ყოველი წარმოდგენა ცნობიერებაში სხვა წარმოდგენასთან კავშირში ჩნდება. მაგრამ არსებობს ერთი სპეციფიკური სახე ამ კავშირისა. ამ სახესთან გვაქვს საქმე როცა აზროვნების და ნებელობის აქტივობის ჩარევის გარეშე ერთი წარმოდგენის გაჩენა იწვევს მეორეს გაჩენას. მაგალითად, ხიდის წარმოდგენა იწვევს წყლის წარმოდგენას, დაფის წარმოდგენა—ცარცის წარმო-

დგენას და ა. შ. აი, ასეთი კავშირი წარმოდგენებს შორის, როცა ერთი წარმოდგენა იწვევს მეორე წარმოდგენის გაჩენას, შეიცავს იმ სრულიად უეჭველ ემპირიულ ფაქტს, რომლის ცნებასაც ასოციაცია წარმოადგენს.

მაგრამ ასოციაციის აღნიშნული ემპირიული ფაქტის შესახებ ფსიქოლოგიას ყოველთვის სწორი ცნება არ გააჩნდა. ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში დიდხანს ბატონობდა ასოციაციის ის მექანისტური გაგება, რომელსაც ე. წ. ასოციაციონისტური ფსიქოლოგია იცავდა. ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს ასოციატიური კავშირი ესმით, როგორც ისეთი კავშირები, რომებიც დროში მოსაზღვრეობის საფუძველზე მყარდება. ამ თეორიის მიხედვით ერთი წარმოდგენა იწვევს იმ მეორე წარმოდგენას, რომელიც მრავალგზის იყო მასთან ერთად განცდილი. ვთქვათ, ხიდის წარმოდგენა წყლის წარმოდგენას იწვევს, იმიტომ, რომ ხიდი და წყალი მრავალგზის ყოფილა წარსულში ერთდროულად განცდილი.

დახსომებისა და რეპროდუქციის პრობლემა, ე. ი. მთლიანად მეხსიერების პრობლემა ამ თეორიის წარმომადგენელთა მიერ დაყვანილი იყო ასოციაციის პრობლემამდე. ასოციაცია კი გაგებული იყო, როგორც ფსიქიურ შინაარსთა დროში მოსაზღვრეობის საფუძველზე შექმნილი კავშირები.

ეს თეორია, როგორც ცნობილია, აღმოცენდა ყალბი სუბიექტი-ვისტურ-იდეალისტური ფილოსოფიის შედეგად და გასაგებია, რომ ის ბურუუაზიულ პედაგოგიკისთვის მეხსიერების მისაღებ თეორიას წარმოადგენდა.

5. მეხსიერების ასოციაციონისტური თეორია განხილული უნდა იქნეს როგორც მეხსიერების ბურუუაზიული თეორია, რომელიც საფუძვლად ედო ბურუუაზიულ პედაგოგიკას და გაბატონებულ შეხედულებას მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ ბურუუაზიულ პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში. კეშმარიტად ბურუუაზიული პედაგოგიკის კლასობრივი მიზნების შესატყვისი მეხსიერების ფსიქოლოგიურ თეორიას წარმოადგენდა ასოციაციონისტური თეორია!

მთელი ბურუუაზიული ფსიქოლოგიისათვის კლასიკური გამოკვლევები მეხსიერების სფეროში, დაწყებული ებინგჰაუზიდან, იმ არსებითად ყალბი შეხედულებიდან გამოდიან, რომ სწავლა მხოლოდ მეხსიერების მოვლენაა, მეხსიერება კი მხოლოდ ასოციაციის პროცესია.

ბუნებრივია, რომ სწავლისა და მეხსიერების ეს ფსიქოლოგიური თეორია მისაღები იქნებოდა. ჩმ პედაგოგიკისათვის, რომელსაც სწავლის პროცესი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც აღამიანისათვის რაღაც „ხორცმეტის“ მსგავსი პროდუქტის „მიწებების“ პროცესი.

ასეთი იყო ძეელი, თვითმპურობელური პერიოდის სკოლა, ასეთია თანამედროვე ბურუუზიული სკოლა.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. ვ. ზანკოვი „მეხსიერების ასოციაციონისტური კონცეფცია, რამდენადმე განახლებული, დღეს ემსახურება თანამედროვე რეაქციულ-ბურუუზიულ პედაგოგიურ „თეორიებსაც“. მაგალითად, ამერიკული ბურუუზიული ფსიქოლოგისა და პედაგოგიკის ერთი ყველაზე „თვალსაჩინო“ წარმომადგენელი თორნდაიკი, ეყრდნობა რა ასოციაციონისტურ კონცეპციას, „მეცნიერულად ასაბუთებს“ წვრთნის მეთოდს, ე. ი. ბრძა მექანიკურ გაზეპირების მეთოდს, როგორც უნივერსალურ საშუალებას სწავლისას. თორნდაიკს უჩვეულო სიმაღლეზე აჰყავს განმეორების კანონი და ყოველ მხრივ ზაზს უსვამს ჩვეულების ძალას, რაც ემსახურება ერთხელ გამომუშავებული ქცევის განმტკიცებას“.

ასოციაციონისტურ თეორიას მეხსიერების პროცესები (როგორც დახსომების, ისე რეპროდუქციის პროცესები) დაჰყავს ცალკეულ მექანიზმებამდე, რომლებიც თითქოს თავისთვალ მოქმედებენ პიროვნებისა და მისი მოქმედების განმსაზღვრელ ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

შეიძლება ზოგი ავტორი, რომელსაც ჩვენ ამ მიმდინარეობას ვაკუთვნებთ, ყველა არ იყო იმ აზრის, რომ მეხსიერების ფუნქცია მხოლოდ ასოციაციაზე დაიყვანება. ამ ავტორთა შორის აღმოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც, ვთქვათ, ასოციაციური კავშირების გვერდით მეხსიერების ფუნქციაში აზრითი კავშირების დამყარებასაც გულისხმობენ, მაგრამ პრინციპულად ყველა მათგანი მაინც იმ შეხედულებისაა, რომ მეხსიერების პროცესების არსი დაიყვანება ცალკეულ გონებრივ ოპერაციებსა ან სხვა მექანიზმებამდე.

ამ ძირითადი შეხედულების საფუძველზე რამდენიმე თვალსაზრისი იყო წამოყენებული მეხსიერების აზრდის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ. ერთი თვალსაზრისი ასეთი იყო: რაღვანაც მეხსიერება ნიშნავს მხოლოდ დროში მოსაზღვრების საფუძველზე წარმოშევენათა შორის კავშირის დამყარებასა და ამ კავშირის საფუძველზე მათ რეპროდუქციას, ცხადია, არ არსებობს მეხსიერების ზოგადი, საერთო ფუნქცია; არსებობს სხვადასხვა კონკრეტული სახე ასოციაციისა, რომლებიც მეტად ან ნაკლებად მტკიცენი არიან.

ამისდა მიხედვით, თუ ეს ასოცირებული ელემენტები ოპტიმუმის შინაგან უფლებაზე უძლებელი განცდილი. მაგრამ ყოველ ასოციაციას მნიშვნელობა აქვს იმ წარმოდგენათა ფარგლებში, რომლებიც ასოციაციის შემთხვევაში არიან დაკავშირებული და ამიტომ შეუძლებელია რაიმე მნიშვნელობის ან ძალის მქონე აღმოჩნდეს სხვა. წარმოდგენათა შორის კავშირის დასამყარებლად. ამდენად წმინდა ასოციაციონისტური თვალსაზრისით უაზროა მეხსიერების ოპტიმუმის შესაბამისობა.

ამ მიმდინარეობაში სხვა თვალსაზრისებიც აღმოჩნდა. ამის მიხედვით მეხსიერების აღზრდაზე იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც, მათი აზრით, მასალის დახსომებაზე ვარჯიშობა აუმჯობესებს შეორენს სახის მასალაზე დასწავლის ეფექტს.

ამ მიმდინარეობის სხვადასხვა წარმომადგენლები ექსპერიმენტული გზით ცდილობდნენ თავიანთი შეხედულების დასაბუთებას.

ჯერ იკვლევდნენ შესასწავლად აღებული ცდისპირების სპეციალურ მეხსიერებას, ე. ი. როგორ იხსომებდნენ და რა მაჩვენებლებით სხვადასხვა სახის მასალას: პროზას, ლექსის, ციფრს, ასოებს, სიტყვებს, წინადაღებებს და უაზრო სიტყვებს. იმის შემდეგ, რაც გამოირკვიეს ცდის პირების მეხსიერების თავისებურებანი ამ სხვადასხვა ხასიათის მასალის მიმართ, — დაიწყეს მათი ვარჯიშობა უაზრო სიტყვების დახსომებაზე. ცდის პირებს უაზრო სიტყვების დახსომებაზი ვარჯიშებდნენ 36 დღის განმავლობაში. ამ ცდების შედეგად გარმოირკვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცდის პირები უაზრო სიტყვების დასწავლაში ვარჯიშობდნენ, ვაუმჯობესდა როგორც უაზრო სიტყვების დახსომების უნარი (მაგ., ერთი ცდის პირი თუ უაზრო სიტყვების რიგის დასახსომებლად ვარჯიშობამდე 28 განმეორებას ანდომებდა, ვარჯიშობის შედეგ მას სჭირდებოდა იმავე რაოდენობის უაზრო სიტყვების რიგის დასახსომებლად 3 განმეორება), ისე ყველა სხვა-სახის მასალის დახსომების უნარიც — პროზის, ლექსის, ციფრის და ა. შ.

ამრიგად, ამ გამოკვლეულის შედეგები თითქოს ასეთია, რომ მეხსატერება უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ფუნქციად, რომლის პროდუქციის ზრდა შესაძლებელია უბრალოდ მეხსიერების პროცესების შრავალების განმეორების შედეგად, ე. ი. ვარჯიშობის შედეგად. ას ფაქტი, რომ ერთი სახის მასალის დახსომებაზე ვარჯიშობა სხვა სახის მასალის დახსომებასაც აუმჯობესებს, თანავარჯიშობის ფაქტის სახით არის ცნობილი. როგორ უნდა აიხსნას თანავარჯიშობის ეს ფაქტი? როგორც აღინიშნა, წმინდა ასოციაციონისტური თვალსაზრისით მეხსიერების ვარჯიშობაზე შეუძლებელია ლაპარაკი,

რადგანაც მეხსიერება სხვა არაფერჩა, თუ არა ასოციაციური კავშირები და ეს კავშირები კი ძალის მქონეა მხოლოდ იმ წარმოდგენათა ფარგლებში, რომელთა შორისაც ასოციაცია მყარდება. მეორე თვალსაზრისის წარმომადგენელნი, რომლებიც პრინციპულად იმავე დებულებილან ამოდიან, რომლისგანაც ასოციაციონისტური თეორია, წმინდა ასოციაციონისტებისაგან განსხვავებით იმას აღნიშნავენ, რომ დახსომების პროცესი არ დაიყვანება მხოლოდ ასოციაციის მექანიზმზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის გამორიცხავს მეხსიერების აღზრდის შესაძლებლობას. მათი აზრით დახსომების შემთხვევაში სხვა ფუნქციებიც მოქმედებენ და თანავარჯიშობა თუ ასოციაციის მექანიზმის საფუძველზე შეუძლებელია, სამაგიეროდ სხვა მექანიზმების არსებობის გამოეს თანავარჯიშობის ფაქტი გასავებია და ამდენად დასაშვებია მეხსიერების აღზრდაზე ლაპარაკი.

ერთი სიტყვით, ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები ასოციაციონისტებისაგან განსხვავდებიან არა პრინციპში, რომ მეხსიერება არ დაიყვანება ცალკეულ ოპერაციებსა და მექანიზმებამდე, არამედ მექანიზმების რაოდენობის საკითხში. მაში, მეხსიერების ფუნქციის სირთულით (რომ მასში მარტო ასოციაციებს არ აქვს ადგილი, რომ იგი სხვა პროცესებთანაც არის დაკავშირებული) უნდა აიხსნას ამ თვალსაზრისის წარმომადგენელთა აზრი „თანავარჯიშობის“ ფაქტის შესახებ. უფრო კონკრეტულად საქმის ვითარება თითქოს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მეხსიერება რთულია იმ მხრით, რომ მისი მოქმედება სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქციის მოქმედებასთანაა დაკავშირებული; მაგალითად, ყურადღების კონცენტრაციასთან, ყურადღების სწრაფი შეგუების უნართან, განმეორების სხვადასხვა წესთან და ა. შ. ეს ისეთი ზოგადი ფუნქციებია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ განურჩევლად იმისა, თუ რა ხასიათის მასალას ვიხსომებთ. ამიტომ, თუ ფაქტია, რომ ერთი სახის მასალის დახსომებაში ვარჯიში აუმჯობესებს სხვა სახის მასალის დასსომებას, ეს იმას ნიშნავს (ამ ავტორების შეხედულებით), რომ, მართალია, არის მეხსიერების ის მხარე (ვთქვათ, როგორც ასოციაციონისტები ფიქრობენ), რასაც მნიშვნელობა აქვს კერძო შინაარსების დაკავშირებისათვის და მისი მნიშვნელობა ამ დაკავშირებული შინაარსების ფარგლებით ამოიწურება, მაგრამ არსებობს ისეთი ზოგადი ფუნქციებიც, მაგალითად ყურადღების კონცენტრაცია და ა. შ., რომლებიც ყოველგვარი ხასიათის მასალის დახსომების შემთხვევაში იჩენენ თავს და ამიტომ მათი გაფარჯიშება ერთი შინაარსის

მასალის შემთხვევაში ნიშნავს სხვა შინაარსის დასასწავლად საჭირო ფუნქციების გაუმჯობესებასაც.

ამრიგად, ამ მიმღინარეობის მიხედვით მეხსიერების აღზრდა თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით ნიშნავს ვარჯიშობას. იგი უბრალოდ იმაში მდგომარეობს, რომ დახსომების აქტების მრავალგზის განმეორების შედეგად, თავის თავად ხდება სრულქმნა იმ ზოგადი ფსიქიური ფუნქციებისა, რომლებიც დახსომების ყველა შემთხვევაში მონაწილეობენ.

რამდენად სწორია ასეთი შეხედულება მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ, ეჭვი რომ არ შევიტანოთ იმ ექსპერიმენტების სისწორეში, რომლებიც აშ თვალსაზრისის წარმომადგენლებს მოჰყავთ, როგორც თავიანთ შეხედულებათა დასაბუთება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულება მეხსიერების აღზრდის შესახებ მცდარია, რაღაც მეხსიერების როგორც ფსიქიკური ფუნქციის საკითხების განხილვის შემთხვევაში უგულებელყოფილია ის ძირითადი ჰეშმარიტება, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, როდესაც ვარკვევდით საკითხს იმის შესახებ, თუ მეხსიერების ფსიქოლოგიის საკითხების როგორი დაყენება უნდა მივიჩნიოთ კანონიერად. ჩვენ ალენიშნეთ, რომ კანონიერი იქნება ის თვალსაზრისი, რომელიც მეხსიერების პრობლემის განხილვისას ამოსავალ ცნებებად პიროვნებისა და მისი მოქმედების ცნებებს მიიღებს.

ის თვალსაზრისი კი მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ, რომელიც ჩვენ ახლა წარმოვადგინეთ, საკითხის განხილვისას სწორედ ამ ძირითად ჰეშმარიტებას ივიწყებს და მეხსიერება დაჰყავს პიროვნებისა და მისი მოქმედებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ მექანიზმებამდე. ცხადია, რომ ამ შეხედულების წარმომადგენლებს სხვაგვარი გაგება მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ არ შეიძლებოდა პქონოდათ თუ არა ისეთი, რომ მეხსიერების აღზრდა ნიშნავს უბრალოდ მეხსიერების პროცესების მრავალგზის განმეორების შედეგად, თავისთვავად, იმ მექანიზმების სრულქმნას, რომელზედაც დაიყვანება მეხსიერების პროცესები.

მოყვანილი ექსპერიმენტებიდან ის გამომდინარეობს, რომ უაზროვანის მრავალჯერ დასწავლის შემდეგ მეხსიერების პროდუქტულობის მაჩვენებლები, ვთქვათ, სისწრაფე და მოცულობა სხვაგვარი მასალის დასწავლის შემთხვევაშიც გაიზარდა. მაგრამ შეიძლება ეს ცვლილება ისე მოხდა, რომ თავად ფაქტი უბრალო განმეორებისა აქ არაფერ შუაში იყო. თუ არსებითად არ იქნა ნაჩვენები,

რომ დასწავლის განმსაზღვრელ ფაქტორებს ისეთი თვისებები აქვს, რომელთა განვითარება აუცილებლად თავისთავად განმეორებას გულისხმობს, ამის გარეშე არავითარი საბუთი არ არსებობს ისე ვიფიქროთ, როგორც უღნიშნული ავტორები ფიქრობენ. პირიქით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწავლა სწორედ ისეთი ფაქტორებითაა განსაზღვრული, რომ მესხიერების აღზრდისათვის უბრალოთ მეხსიერების პროცესების მრავალგზის განმეორება სრულიად უმნიშვნელო გარემოებად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, ასეთი შეხედულება რომ მესხიერების აღზრდის საგანს დასწავლის ეფექტის განმსაზღვრელი ისეთი „თავისთავად“ მომქმედი ფორმალური ფაქტორები წარმოადგენ, რომლებიც დასწავლის ყველა შემთხვევებში იჩენ თავს, და თანაც ისეთი ბუნების არიან, რომ მათი სრულქმნა მხოლოდ და მხოლოდ მრავალგზის განმეორების შედეგად მიიღწევა, და რომ ამდენად მესხიერების აღზრდის პროცესი—ეს არის უბრალოთ მეხსიერების პროცესების მექანიკური განხეორების პროცესი, როგორც დავინახეთ, გამომდინარეობს ყალბ სუბიექტივისტურ-იდეალისტურ მეთოდოლოგიურ წანამძღვრებიდან და მოწოდებულია ფსიქოლოგიურად დაასაბუთოს სწავლისა და აღზრდის ისეთი სისტემა, რომელიც კაპიტალიზმისათვის არის მხოლოდ მისალები.

ასეთია ჩვენი მსჯელობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეგატიური შედეგი.

6. საკითხის დადებითი გადაშეყვეტის მიმართულებით რომ ჩვენი მსჯელობის გაგრძელება მოხერხდეს, უნდა დავუბრუნდეთ ასოციაციის იმ ფაქტს, რომლის ყალბი გაგების ნიადაგზე აღმოცენდა არა მარტო ყალბი მესხიერების თეორია, არამედ ყალბი გაგებაც სწავლისა და სწავლის პროცესში მესხიერების აღზრდის ბუნებაზე.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის უშუალო ამოცანას იმის გარკვევა წარმოადგნს, თუ მესხიერების რა პროცესები და რა სახით მონაწილეობენ სწავლის, როგორც დამოუკიდებელი სახის ქცევის შემთხვევაში. იმის შემდეგ, რაც გაირკვა აღგილი და სახე უშუალო და ცნობითი მესხიერების მონაწილეობისა სწავლაში, უნდა გაირკვეს ასოციატური მესხიერების აღგილიც ამ რთულ პროცესში.

ამრიგად, ისმება კითხვა: იმ კავშირებს, რაც ასოციატურ პროდუქციას უდევს საფუძვლად, რა აღგილი უჭირავს სწავლის შემთხვევაში? ჩვენს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად შევდებით ასეთ შეხედულებას, რომ დასწავლა ასოციაციური კავშირების დამყარებასაც გულისხმობს. მაგრამ რა არის არსებითად ეს ასოციატური კავშირები? მაგალითად, სმირნოვი და რუბინშტეინი

ჩი ფიქრობენ, რომ ის, რასაც ჩვენ მექანიკურ დასწავლას კუწო-დებთ, ეს ფაქტიურად არის დასწავლა ასოციატური კავშირების საფუძველზე და ეს ასოციატური კავშირები დროში შოსაზღვრეო-ბის საფუძველზე შექმნილ კავშირებს წარმოადგენენ. ჩვენის აზრით ყოვლად დაუშებელია, რომ საბჭოთა ფსიქოლოგიის სისტემაში რაიმე ადგილი შეიძლება მოეძებნოს ასოციაციის იმ მექანისტურ ცნებას, რომელიც გამორიცხავს პიროვნებისა და მისი მოქმედე-ბის მიზნებს, როგორც მეხსიერებითი ხასიათის კავშირების საფუ-ძველს. ამიტომ მიუტევებელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ზოგიერ-თი ავტორის მიერ ასეთი დუალიზმის დაშვება, თითქოს არის სწავლაში ასეთი პიროვნებისა და მისი მოქმედების მიზნებიდან დამოუკიდებელი მნემური კავშირები — ასოციატური კავშირები (მე-ქანიკური დასწავლა) და ამის გვერდით არსებობს ისეთი კავშირე-ბი, რომელთა ფაქტორსაც პიროვნება და მისი მიზანდასახული აქტივობა წარმოადგენს. ყველა სახის მნემური კავშირების არ-სებობა პიროვნებისა და მისი მოქმედების ცნების სინათლეზე უნდა იყოს გაშუქებული. როგორც ვთქვით, კაპიტალიზმის მონათა აღზ-რდის სისტემას, წერთნის სისტემას აწყობდა და აწყობს მეხსიე-რების ისეთი კანონზომიერების არსებობის დაშვება, როგორიცაა მექანიკური ასოციაცია. აქედან გამომდინარე შესატყვიის შეხედუ-ლებანი იყო შემუშავებული მეხსიერების აღზრდის შესახებაც, მაგ-რამ საბჭოთა ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ბურუუაზიულ პედაგო-გიდან და ფსიქოლოგიდან განსხვავებული პრინციპებით ხელმძღ-ვანელობს და ამდენად სულ სხვაგარად უყურებს მეხსიერების იპ-ფორმას, რომელსაც ასოციატური მეხსიერება ეწოდება.

როგორც ვთქვით, ასოციატური მეხსიერება მეხსიერების პასიური ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოადგენათა ასოციატური მიმ-დინარეობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ერთი წარმოა-გენის გაჩენა იწვევს მეორე წარმოადგენის გაჩენას, ისე მყარდება და ისე ხდება აქტუალური, რომ ნებისყოფა და აზროვნება ამ კავშირების დამყარებაში მონაწილეობას არ იღებს. ზოგჯერ, პირ-იქით, ეს პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ ეწინააღმდეგება კი-დევაც ჩვენს ნებისყოფას, მაგალითად, რისამე დავიწყება გვინდა, მაგრამ ჩვენდა უნებურად, ასოციატურად, როგორც იტყვიან, ჩნდე-ბა იგი ჩვენს ცნობიერებაში. აი, ეს პროცესი უნდოდა წარმოედგინა ასოციატურ ფსიქოლოგიას, როგორც ისეთი პროცესი, რომლის ასახსნელადაც პიროვნებისა და მისი აქტივობის ცნებები სრული-ად ზედმეტია. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ფიქრობს, რომ მეხსიერების ისეთ სახეს, რომელიც პიროვნებისა და მისი აქტი-

ვობის გარეშე. მიმდინარეობს, სწავლის შემთხვევაშიაც აქვს აღ-
გილი. ეს არის მექანიკური დახსომება.

საბჭოთა ფსიქოლოგიას მოეპოვება უტყუარი საბუთი იმის და-
სადასტურებლად, რომ არა თუ სწავლის, როგორც გარკვეული
მიზნისაკენ მიმართულ ქცევის ფარგლებში არ შეიძლება აღგილა-
ექნეს არავითარი ისეთი მექანიკური დასწავლის სახეს, რომელიც
პიროვნებისა და მისი ქცევის მიზნებისაგან დამოუკიდებელ „თავის
თავში დასაბუთებულ“ პროცესს წარმოადგენდეს, არამედ, საერთოდ,
არ შეიძლება შინაარსებს შორის ისეთი მეხსიერებითი ხასიათის
კავშირის არსებობაზე ვილაპარაკოთ, რომელიც პიროვნებისა და
მოქმედების მიზნის ცნებების გარეშე იყო გასაგები.

ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას, რომელიც სუბიექტივისტური
იდეალიზმის პოზიციებიდან ამოდიოდა, ბუნებრივია, რომ ობიექ-
ტური, რეალური ფაქტორები, რომლებიც ისახებიან პიროვნების
გარემოსთან აქტიური ურთიერთზედ მოქმედების პროცესში, არ
შეეძლო მიელო მხედველობაში როგორც ასოციატური კავშირების
საფუძველი და იძულებული იყო ყოველგვარი მეხსიერებითი ხასი-
ათის კავშირი მხოლოდ დროში მოსაზღვრეობის კავშირამდე და-
ეყვანა.

მრავალი საბუთის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად,
რომ მრავალგზის შეიძლება დროში მოსაზღვრედ ყოფილიყო გან-
ცდილი შინაარსები, მაგრამ მათ შორის ასოციატური კავშირი არ
დამყარებულიყო, მაგ. დაფის წარმოდგენა იწვევს ცარცის წარმო-
დგენას და არა იატაკისას, თუმცა დაფის აღქმასთან ერთად ჩვენ ია-
ტაკსაც ყოველთვის აღვიქვამთ. ჩანს, უბრალოდ დროში მოსაზღვრეო-
ბა არ არის საქმარისი ასოციატური კავშირების დამყარებისათვის.
შინაარსები უკვე იმთავითვე რაღაც აზრიანი მთლიანის ნაწილებს
უნდა წარმოადგენდეს, რომ ერთის გაჩენაში მეორეს გაჩენა გამო-
იწვიოს.

სავსებით სწორია ის შეხედულება, რომ ერთი წარმოდგენა იმ-
შემთხვევაში კი არ იწვევს მეორის რეპროდუქციას თუ ისინი ხში-
რად ყოფილან ერთდროულად განცდილი, არამედ მაშინ, როცა
ისინი ერთი მთლიანის ნაწილებს წარმოადგენენ და რაღაც
აზრით კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან (შეად. დ. უზნაძის
. ფსიქოლოგია"). მაში, როგორც ჩანს, ასოციატური კავშირი (ე. ი.
ისეთი კავშირი, როდესაც ერთი შინაარსის რეპროდუქცია უ შუა-
ლოდ იწვევს მეორეს რეპროდუქციას) ისეთ ელემენტებს შორის
კი არ ხდება, რომლებსაც საერთო ის აქვთ, რომ შემთხვევით დრო-
ში მოსაზღვრედ იყვნენ განცდილი, არამედ ისეთ შინაარსებს შო-

რის, რომლებიც იმ თავითვე იყვნენ განცდილი, როგორც რაღაც აზრით ურთიერთთან დაკავშირებულები. ასოციაცია, როგორც სამართლიანად ამბობენ, გულისხმობს, რომ „წინასწარ მოცემულია მთლიანი და ასოციაცია ამ მთლიანის ნაწილებს შორის არსებობს“. მაში, ასოციაციის პროცესი მთლიანის ალდგენის პროცესია. ეს გამოლიანება შინაარსების გარკვეულის აზრის მქონე მოქმედების ფარგლებში ხდება, მოქმედების, რომლის აზრი სხვა არის, ვიდრე მნებური კავშირების შეგნებული დამყარება. ამრიგად, ასოციატური კავშირი შინაარსების შორის დამყარებულია ისეთ პირობებში, როდესაც აზროვნებისა და ნებისყოფის ცეტივობა ამ კავშირის დამყარებისადმი არ არის შეგნებულად შიმართული, მაგრამ იგი მაინც მყარდება აზრის მქონე მოქმედების ფარგლებში. როგორც ჩანს, ასოციატური კავშირები არ არის ისეთი კავშირები, რომელიც პიროვნული აზრის მატარებელი არ იყოს. ზანკოვს მოჰყავს იმის შესანიშნავი მაგალითები, თუ როგორ მყარდება ასეთი მეხსიერებითი კავშირები იმ საგნების ამსახველ წარმოდგენათა შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ. ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

სწავლის შემთხვევაში მეხსიერების ყველა ფორმა ნებისმიერი ქცევის სახით ყალიბდება და ამ მხრივ გამონაკლისს არც ასოციატური მეხსიერება წარმოადგენს.

მაგრამ მაინც გავარკვიოთ, როგორ კავშირებს ვუწოდოთ სწავლის შემთხვევაში ასოციატური კავშირები; სწავლის შემთხვევაში ამ ქცევის მიზნიდან გამომდინარე რა ამოცანები შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ასოციატური მეცნიერების მოქმედების შედეგად?

ასოციატური კავშირი, როგორც აღვნიშნეთ იმაში გამოიხატება, რომ ერთი შინაარსი თითქოს „უშუალოდ“ იწვევს მეორეს. რეპროდუქციის მიზეზი ყოველთვის ერთი რომელიმე შინაარსია, რომელთანაც ის აღგენს ერთ აზრიან მთლიანს. ასოციაციის პროცესი სწორედ ასეთი მთლიანი აღდგენის პროცესია ერთი განცდის მიერ მეორე განცდის გამოწვევის მექანიზმების აგებული. ასოციაციით რეპროდუქტირებული მთელი არ არის ლოგიკური კავშირების საფუძველზე, აგებული და ამიტომაც ასოციაციის პროცესი—ეს არ არის წარმოდგენათა რეპროდუქციის პროცესები ლოგიკური კავშირების საფუძველზე. სწავლის შემთხვევაში ისეთ ასოციატურ კავშირებს ამყარებენ ისეთი მასალის ნაწილებს შორის, რომელთა დაკავშირება არ ხერხდება ლოგიკური მიმართების საფუძველზე, ან როდესაც პიროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს შინაარსების სპონტანუ-

რად გარკვეული თანმიმდევრობით აღდგენა. ამრიგად, როდესაც წინასწარი განზრახვით იქმნება სწავლის შემთხვევაში ასლციატური კავშირები, ისინი პიროვნებისათვის ერთი აზრის—ფორმალური აზრის მქონენი არიან. მათი აზრი იმაშია, რომ უზრუნველყონ პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი კავშირების ფორმის თავისთავალ სპონტანური ორგანიზაცია (მაგალითად, რიცხვების გარკვეულ თანმიმდევრობით აღდგენა რომელიმე თარიღის დახსომების შემთხვევაში, უცხო სიტყვისა, ბგერითი კომპლექსის დახსომება. და სხვ.). ამ შემთხვევაში, პიროვნება ფორმალურ სტრუქტურებს ქმნის: რითმიზაციას ახდენს, აერთიანებს სივრცით მიმართებებში, ქმნის ვერბალურ - მოტორულ სტრუქტურებს და ა.შ.

ამრიგად, სწავლაში, როგორც გარკვეული მიზანდასახული ქცევის შემთხვევაში, მისი მიზნების შესატყვისად იღვილი იქვე მეხსიერების იმ პროცესებსაც, რომლებიც ასაკობრივი განვითარების წინა საფეხურებზე არა სწავლითი ხასიათის მქონე ქცევის ფარგლებში იჩენს თავს. არსებითი ხასიათის ცვლილება, რომელიც მეხსიერების აღნიშნულმა პროცესებმა სწავლის შემთხვევაში განიცადეს, იმაში გამოიხატა, რომ მათი მიმდინარეობა დაექვემდებარა მიზანს, რასაც სწავლა, როგორც ქცევა ისახავს.

7. მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, სწავლის შემთხვევაში მეხსიერების მარტო „ძველი“ ფორმების გარდაქმნას არა აქვს აღგილი. სწავლის შემთხვევაში მეხსიერების მოქმედების სპეციფიკური ფორმაც ყალიბდება იმ სპეციფიკური მიზნების შესატყვისად, რომელთაც სწავლა, როგორც ქცევის ფორმა, ისახავს. ამ სპეციფიკურ ფორმას მეხსიერებისას; როგორც აღნიშნეთ, დასწავლა ეწოდება: იგი წარმოადგენს სწავლის არსებით მნარეს. აკად. დ. უზნაძე სამართლიანად მიუთითებს რომ, თუ მეხსიერების სხვა ფორმები, რომლებიც თავს იჩენენ სწავლის შემთხვევაში, მოქმედებენ აგრეთვე ნებისყოფის მონაწილეობის გარეშეც, დასწავლა ამათგან იმით განსხვავდება, რომ იგი მეხსიერების სწორედ ის პროცესია, რომლისათვის განზრახვისადმი დაჭვემდებარებულობა, შეგნებულად დასახული მიზნისაკენ მიმართულობაა დამახასიათებელი. მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, სწავლის როგორც სპეციფიკური მიზნის მქონე ქცევის ფარგლებში თავისებურია დასწავლის, როგორც მეხსიერების მოქმედების აღგილი.

დასწავლა აქტიური დახსომების სახეა. აქტიური დახსომების შედეგები ყალიბდება ცოდნაში და მოგონებაში. ცოდნა უნდა

განვასხვაოთ შოგონებისაგან. „ვიცი“ და „მაგონდება“ არ არის ერთი და იგივე. „ვიცი“ ნიშნავს წარსულში დახსომების გამოყენების შესაძლებლობას, დახსომების პრაქტიკულ ეფექტს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ვიცი ამ ენაზედ ლაპარაკი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენის მეშვეობით შემიძლიან დავამყარო კონტაქტი ადამიანებთან. მაგრამ მოგონების შემთხვევაში მთავარი წარსულში დახსომებულის პრაქტიკული ეფექტი კი არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, არამედ თავად ისტორიაა ამ წარსულისა, ვთქვათ, როდის დავიწყე ამ ენის შესწავლა, ვინ მასწავლიდა და ა. შ. მოგონება პიროვნების ცხოვრების ისტორიის ასახვაა. ის, რაც ცოდნის სახით ყალიბდება, დასაწყის საფეხურებზე მოგონება იყო. ცოდნის თანაბათანობითი გამოკრისტალება ხდება მოგონებიდან. ვარკვეული წარსულის შესახებ მოგონება დარჩება, თუ ცოდნა ეს პიროვნების წინაშე მდგარ ამოცანებზე დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ დასწავლის შედეგი ყოველთვის ცოდნაში ან მოგონებაში ყალიბდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის, რაც ცოდნას და მოგონებას წარმოადგენს, აუცილებლად ყოველთვის დახსომების იმ სპეციფიკური სახის შედეგი იყოს, რასაც ჩვენ დასწავლას ვუწოდებთ. არსებობს ცნობიერი აქტივობის გარკვეული სახეები, რომელთა საფუძველზე ადამიანს რჩება ცოდნა ან მოგონება წარსულზე, მაგრამ ეს აქტივობა არ არის დასწავლის სახეები.

მესსიერების მოქმედების ამ სახეს აზრი შეოლოდ სწავლის შემთხვევაში აქვს. რატომ უნდა ვიფიქროთ ასე? რა არის სპეციფიკური დასწავლისათვის; როგორც მესსიერების სახისათვის?

სწავლა—მოწაფის ქცევა ყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, როდესაც ობიექტივაცია ხდება იმის არსებობისა, რასაც კაცობრიობის კულტურის მონაპოვარი ეწოდება და გაცნობიერებულია ისიც, რომ ეს ცოდნა შეიძინება არა პირადი გამოცდილების გზით, არამედ სწორედ სკოლაში მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლის გზით.

ამრიგად, სწავლის შემთხვევაში ჩვენ ქცევის იმ სახესთან გვაქვს საქმე, რომლის მიზანი ცოდნის მიღებაშია. ცოდნის მიღება კი მის მესსიერებაში განმტკიცებას ნიშნავს, ე. ი. ის რაც სწავლის საგანია, ის უნდა იყოს აღმეცდილი და საჭირო შემთხვევაში აღდგენილი. ამრიგად, სწავლის, როგორც ქცევის შიზანი, უთუოდგულისხმობს. მესსიერებითი ეფექტის მიღებას და ბუნებრივია, რომ მესსიერების პროცესები ამ ქცევის ფარგლებში მიზნისაღმი მიმართული, ნებისმიერად მოწესრიგებული პროცესებია.

ცოდნის შეძენა მეხსიერებაზე განმტკიცებისათვის მიმართული განხრახვის შედეგად არის დასწავლა.

ამრიგად, მეხსიერების ყველა სახის მოქმედება სწავლის შემთხვევაში ნებისყოფისადმი არის დაქვემდებარებული. ისინი სწავლის, როგორც შეგნებული ქცევის, მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული ნაწილობრივი ხასიათის ისეთ მოქმედებებს წარმოადგენენ, რომელთა აზრს პიროვნებისათვის სწავლის აზრი და მნიშვნელობა განსაზღვრავს. ეს უთუოდ მნიშვნელოვანი დასკვნაა იმას ნათელსაყოფად, თუ როგორი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მეხსიერების აღზრდაზე.

სწავლას, როგორც მოქმედებას, ისეთი მიზანი აქვს, რომელიც პირველ რიგში მეხსიერების ნაყოფის სახით მულავნდება. ჩვენ ენახეთ, თუ რა სახის გარდაქმნებს განიცდიან მეხსიერების სხვადასხვა პროცესები სწავლის მიზნის შესატყვისად. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სწავლა მთლიანად მეხსიერების მოქმედებაა და აქედან გამომდინარე ვიფიქროთ, რომ მეხსიერების აღზრდა კი არ არის დამოკიდებული სწავლის, როგორც ქცევის ჩამოყალიბების ფაქტორებზე, არამედ, პირიქით, სწავლის, როგორც ქცევის ჩამოყალიბება მეხსიერების კანონზომიერებამდე დაიყვანება.

დასწავლა და საერთოდ მეხსიერების პროცესები სწავლის, როგორც მთლიანი ქცევის, ნაწილობრივი მოქმედებებია; რომლებიც ახორციელებენ ამ ქცევის მიზანს. მეხსიერების აღზრდა საბჭოთა სკოლაში გულისხმობს მეხსიერების განვითარებას სწავლის მიზნების შესატყვისად. ამდენად მეხსიერების მოქმედების ნაყოფიერებასა და მის განვითარებას, სწავლის, როგორც პიროვნებისეული ქცევისათვის დამახასიათებელი მიმართებები განსაზღვრავენ.

საბჭოთა სკოლაში მეხსიერების აღზრდა პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად არის მიმართული პიროვნების ყველა ფუნქცია, რომელიც პიროვნებისეული აქტების თავისებურებას ქმნის (პიროვნების ნებისყოფა, გონება, ინტერესი, მისი გრძნობები) სწავლის მიზნებისაკენ.

ამ პირობებში სწავლის მიზანი—ცოდნის შეძენა—მხოლოდ მეხსიერების მიზანი კი არ იქნება, არამედ ყველა იმ ფუნქციისა, რომელთა ერთობლიობის გამომუღავნებასაც წარმოადგენს. ყველა პიროვნებისეული აქტი. ამის შედეგად კი ცოდნაც შეიძინება არა როგორც მხოლოდ მეხსიერების პროდუქტი, არამედ როგორც მთლიანი პიროვნების დოვლათი. ეს კი, როგორც ცნობილია, საბჭოთა სკოლის ძირითადი ამოცანაა. მხოლოდ ცოდნა, როგორც

პიროვნებისეული დოკუმენტით, შეიძლება იყოს ქმედითი და საბჭოთა აღამიანების შემოქმედებითი მოღვაწეობის საფუძველი.

მეხსიერების აღზრდა სწავლის პიროვნებისეული აქტად ჩამოყალიბების გზით, ახორციელებს საბჭოთა სკოლის როგორც იმ ამოცანას, რომ ცოდნა პიროვნებისეული დოკუმენტის შარმოადგენდეს, აგრეთვე იმ ამოცანასაც, რომ გარდაქმნის მეხსიერებას მისი პროდუქტულობის ამაღლების მიმართულებით და, მაშასადამე, შტკიცე ცოდნის შემუშავებისათვის საჭირო მიმართულებით.

8. მაგრამ მაინც საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ამ გზით, სწავლის ამოცანის მიმართულებით პიროვნების უველა ფუნქციის (ნებისყოფის, გრძნობის, ინტელექტის, ინტერესის) მობილიზაციის გზით, მართლაც აღიზრდება და გარდაიქმნება მეხსიერება. დავრწყოთ იმის გარკვევით, თუ რა როლს თამაშობს მეხსიერების განვითარებაში სწავლის მიზნის, ნებისყოფის მიზნად ქცევის ფაქტი. რა როლს თამაშობს ნებისყოფის მობილიზაცია სწავლის ამოცანების შესატყვისად? თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში ის, რასაც „ცუდ“ მეხსიერებას უწოდებენ, არის უმთავრესად შემთხვევა, როდესაც პიროვნების ნებისყოფა არ არის მობილიზებული სწავლის ამოცანების მისაღწევად. ნებისყოფა იმ მეხსიერების მთავრი ფაქტორია, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს. სწავლის ამოცანის გადაწყვეტა გულისხმობს დასწავლას, დასწავლა კი ცოდნის შეძენაა, მისი მეხსიერებაში განმტკიცებისათვის მიმართული განზრახვის შედეგად. ამიტომ დასწავლა, როგორც მეხსიერების თავისებური პროცესი, არ არსებობს ნებისყოფის მონაწილეობის გარეშე. აქედან ცხადია ისიც, რომ მეხსიერების აღზრდაც, პირველ რიგში, ნებისყოფის, განზრახვის, როგორც დასწავლის არსებითი ფაქტორის, საჭირო მიმართულებით წარმართვას გულისხმობს. მაგრამ, ჯერ მაინც იმის დამტკიცებაა საჭირო, რომ ნებისყოფა მართლა დასწავლის არსებით ფაქტორს წარმოადგენს. მოვიყვანოთ ამის დამატკიცებელი ცნობილი ექსპერიმენტული საბუთი. ერთი მკვლევარი ასეთ შემთხვევას აღწერს: ცდის პირს უნდა დაეხსომებია უაზრო სიტყვების რიგი, რომელთა დასასწავლად, ჩვეულებრივ სულ რამდენიმე განმეორება იყო საჭირო. ცდის პირს ევალებოდა, როდესაც დარწმუნდებოდა იმაში, რომ მასალა დახსომებული აქვს, ენიშნებია ეს ცდის ხელმძღვანელისთვის, რომ ამ უკანასკნელს შეეწყვიტა ცდა. ცდის ხელმძღვანელმა ორმოცდა-ექვსჯერ მიაწოდა ეს უაზრო სიტყვები ცდის პირს, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არავითარ ნიშანს არ იძლეოდა იმისას, რომ დაიხსომა. ცდის ხელმძღვანელი იძულებული იყო ბოლოს და ბოლოს

ცდა შეეწყვიტა და ეთხოვა ცდის პირისთვის აღედგინა, რაც დაა-სხომდა. გამოირკვა, რომ ცდის პირს არ დაუხსომებია მიწოდებული მასალა, უბრალოდ იმისთვის, რომ ცუდად იცოდა რა ის ენა-რომელზედაც კადის ხელმძღვანელი მას ელაპარაკებოდა, ვერ გაე-გო რას მოითხოვდნენ მისგან. ამრიგად, ცდის პირმა, რომელსაც არ ჰქონდა განზრახვა დახსომების, მიუხედავად იმისა, რომ მასა-ლა გაიმეორა ორმოცდაექვსჯერ, მაინც ვერ დაიხსომა ის. ამრიგად, თავისთავად განმეორება, როგორც ჩანს, დასწავლის განზრახვის გარეშე არ იძლევა შესაფერის ეფექტს. მაში, როდესაც ამბობენ „ცუდი“ მეხსიერების შესახებ, ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონ-დეს იმასთან, რომ სუბიექტს არა აქვს შესაფერისი განზრახვა, რაც საჭიროა დასწავლის წარმატებისათვის. მოსწავლეს არა აქვს საჭირო ნებისყოფის სიმტკიცე იმისათვის, რომ გასწიოს ის „შრო-მა“, არმელსაც დახსომება მოითხოვს; „შრომა, რომელიც ზოგჯერ არ არის ადვილი“ (უშინსკი). დასწავლის განზრახვის შექმნა, მოს-წავლის ნებისყოფის აღზრდა სწავლის ამოცანების შესატყვისადაც პირველი და ძირითადი პირობაა იმ მეხსიერების აღზრდისას, რო-მელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს.

დასწავლა რომ ნებისყოფის წამყვან მონაწილეობას გულისხმობს, ამაში მეხსიერების ამ ფორმის სხვა მხრით ანალიზიც გვარწმუნებს—დასწავლა—ეს არის გაშუალებული გზებით დახსომება (ვთქვათ, მრავალჯერ განმეორებით, განმეორებათა სხვადასხვაგვარი ორგა-ნიზაკიის გზით). ეს გამაშუალებელი მოქმედებები, დასწავლის ზო-გად მიზანთან შედარებით კერძო, მისგან გამომდინარე ნაწილობ-რივი მიზნების გამახორციელებელი მოქმედებებია. მაგალითად, გან-მეორების მიზანი კერძოა დასწავლის ზოგად მიზანთან შედარებით—ამ კერძო მოქმედებებს აზრი მხოლოდ დასწავლის ზოგად მიზან-თან კავშირში აქვთ. აქედან გასაგებია, რომ რაც უფრო მტკიცე-დასწავლის განზრახვა, როგორც სტაბილური მიზანი, მით უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იქნება მის მისაღწევად საჭირო გამაშუა-ლებელი მოქმედებები; მით უფრო მეტად აქვს ამ გამაშუალებელ მოქმედებებს ადგილი, ე. ი. მით უფრო აქვს დახსომებას დასწავ-ლის ხასიათი. დახსომების გამაშუალებელი მოქმედების შესრუ-ლებისთვის საჭირო ენერგია დასწავლის განზრახვის ზოგადი მიზ-ნიდან მომდინარეობს. რამდენადაც დასწავლა გაშუალებული დახ-სომებაა, ამდენად მასში გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისყო-ფის ფაქტორი. იმის შემდეგ, რაც ნათელი შეიქმნა, რომ ნების-ყოფა მართლაც არსს წარმოადგენს მეხსიერების იმ პროცესებისას, რაც სწავლაში იღებს მონაწილეობას, ასეთი საკითხები დგება:

კონკრეტულად რა მხრით განსაზღვრავს ნებისყოფა, განზრახვა, შეხსიერების მოქმედებას და რა მხრით არის იგი საფუძველი მე ხსიერების აღზრდისა?

განზრახვას, პირველ რიგში, დასწავლის პროდუქტულობის ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამის დამადასტურებელია, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ განზრახული დახსოვება უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე განუზრახველი. ეს დამტკიცებულ იქნა სულ უბრალო ექსპერიმენტით. ცდის პირს ერთ შემთხვევაში ევალებოდა დაჰკირვებოდა მასალას დახსომების მიზნით, მეორე შემთხვევაში კი ცდის პირი უბრალოდ ეცნობოდა მასალას ისე, რომ მის მიმართ დახსომების მიზანს არ ისახავდა. როდესაც გარკვეული დროის შემდეგ ცდის პირს, მისთვის მოულოდნელად, არა მარტო იმ გასალის აღდგენა მოსთხოვეს, რომლის მიმართაც მას დახსომებას განზრახვა ჰქონდა, არამედ იმის აღდგენაც, რასაც დახსომების მიზნის გარეშე ათვალიერებდა, გამოირკვა, რომ ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ცუდად მოიგონა, ვიდრე პირველი. ექსპერიმენტის ეს შედეგი სრულიად გასაგებია, რადგანაც განზრახული დახსომება (დასწავლა), როგორც აღვნიშნეთ, დახსომებაა აღდგენის უზრუნველყოფა გამაშუალებელი პროცესების საგანგებოდ შექმნის საფუძველზე და რაღგანაც არაგანზრახული დახსომების შემთხვევები არ იქმნება საგანგებოდ ასეთი აღდგენის უზრუნველყოფი გამაშუალებელი რგოლები, გასაგებია, რომ მეხსიერების ეფექტიც დახსომების ამ სახის შემთხვევაში დაბალია.

ჩვენ ვთქვით, რომ განზრახვა დახსომების პროდუქტულობის ზრდის ფაქტორია. მაგრამ ისმის კითხვა—დახსომების პროდუქტულობის რა მაჩვენებლებია ცნობილი? თანამედროვე ფსიქოლოგიაში დახსომების პროდუქტულობის ასეთი მაჩვენებლებია ცნობილი: დასწავლის მასალის სისრულე, დასწავლის სიზუსტე, სიმტკიცე, სისწრაფე და თანმიმდევრობა. ნებისყოფის მონაწილეობის გარეშე, როგორც აღვნიშნეთ, დასწავლას, როგორც მეხსიერების პროცესს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგრამ ეს ნებისყოფა, ეს განზრახვა, როგორც ფაქტორი დასწავლის, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა შინაარსის შეიძლება იყოს. გამოირკვა, რომ იმისდა მიზედვით, რისკენ არის მიმართული განზრახვა,— დასწავლის სისრულისკენ, სიზუსტისკენ, სიმტკიცისკენ, თუ სხვა მაჩვენებლებისაკენ, დასწავლის სხვადასხვა-გვარ ორგანიზაციის აქვს ადგილი, სხვადასხვა სახის გამაშუალებელი გზები იქმნება და ბუნებრივია, რომ დასწავლის ნაყოფიერებაც

სხვადასხვა მაჩვენებლის მქონეა. ეს განსაკუთრებით ნათლად იყო დამტკიცებული საბჭოთა ფსიქოლოგების სმირნოვისა და ზანკოვის ექსპერიმენტებით¹.

სისრულის მხრით შეიძლება განზრახული იყოს როგორც სრული ისე ნაწილობრივი დახსომება (შერჩევითი დახსომება). მაგალითად, მთავარი აზრი, ცალკეული ფაქტების დახსომება და ა. შ: გამოირკვა, რომ სხვადასხვა განზრახვა ამ მიმართულებით დახსომების სხვადასხვა შედეგს გვაძლევს. გამოირკვა ისიც, რომ როდესაც ცდის პირს საგანგებო ინსტრუქციას აძლევენ დაიხსომოს რაც შეიძლება სრულად და იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი საგანგებო ინსტრუქციას სისრულით დასწავლის შესახებ არ აძლევენ, დასწავლის სხვადასხვა შედეგებს აღწევენ. როდესაც სუბიექტს აქვს განზრახვა სრული დახსომების, დასწავლის შედეგიც ამ მაჩვენებლის მიხედვით მაღალია. თავისთავად დასწავლის განზრახვა არ არის, როგორც ჩანს, საკმარისი იმისთვის, რომ დახსომება სრული იყოს.

დასწავლის შედევი სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თანმიმდევრობით დახსომების განზრახვა ჰქონდა თუ არა სუბიექტს. ერთ შემთხვევაში სუბიექტი შეიძლება მიზნად ისახავს დაიხსომოს, მაგალითად, მოვლენები, ფაქტები, სიტყვიერი მასალა იმ თანმიმდევრობით, როგორითაც იგი მას ეძლეოდა. მეორე შემთხვევაში კი მას შეიძლება ასეთი განზრახვა არ ჰქონდეს და მიზნად ისახავდეს რაც შეიძლება მეტი ობიექტების დახსომებას. გამოირკვა, რომ, მაგალითად, მეოთხე კლასის მოწაფეები, რომელთა წინაშე დასმული იყო ამოცანა გეომეტრიული ფიგურების თანმიმდევრობით დახსომებისა, შესაფერისი თანმიმდევრობით აღაღვინეს კიდეც სამოცდა-ათი მიწოდებული ფიგურა. იმავე კლასის მოწაფეებმა, რომლებიც დასწავლის მიზნად ისახავდნენ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გეომეტრიული ფიგურებისა დაეხსომებიათ და არ ისახავდნენ მიზნად მათი თანმიმდევრობის აღდგენას, მოახერხეს შესაფერისი თანმიმდევრობით აღდგინათ მხოლოდ 28 ფიგურა.

შემდევი თავისებურება განზრახვისა, რომელიც ზეგავლენას ახდენს დახსომების ეფექტზე, არის მიმართულება მტკიცე დახსომებისაკენ. გამოირკვა, რომ ერთ შემთხვევაში შეიძლება სუბიექტი მასალას იხსომებდეს „ერთხელ და საბოლოოდ“ და მეორე შემთხვევაში სუბიექტი იხსომებდეს უახლოესი მიზნების მიღწევი-სათვის. უკანასკნელ შემთხვევაში მისთვის სულერთია ამ მიზნის

¹ А. А. Смирнов—Психология запоминания, стр. 54—80, А. В. Занков—Память, стр. 27.

შილწევის შემდეგ, ვთქვათ, გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მას ეხსო-
მება თუ არა ეს მასალა. ერთ-ერთ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში
მოსწავლეებს დაავალეს ორი ერთნაირი სიძნელის ტექსტის და-
ხსომება, მხოლოდ ერთის შესახებ გააფრთხილეს, რომ ამას გა-
მოკითხავდნენ მეორე დღეს, მეორეს შესახებ კი უთხრეს, რომ იგი
დიდი ხნით უნდა იქნეს დახსომებული. როდესაც განზრახ გამო-
კითხვა გადადვეს და მოსწავლეებს ორივე ტექსტის აღდგენა მოს-
თხოვს ორი კვირის შემდეგ, გამოირკვა, რომ მეორე ტექსტი,
რომლის დასწავლა ხდებოდა ხანგრძლივი პერიოდისათვის, უკეთ
აღადგინეს, ვიდრე პირველი ტექსტი.

ცნობილია ასეთი დაკვირვებაც: ერთ მსახიობს, მოულოდნელად
მოუხდა ამხანგის შეცვლა და მისი როლის დასწავლა ერთი დღის
განმავლობაში. წარმოდგენის დროს მან შესანიშნავად იცოდა ზე-
პირად ეს როლი, მაგრამ წარმოდგენის შემდეგ იგი წაიშალა მის
მეხსიერებაში და სულ დაავიწყდა. დაავიწყდა იმიტომ, რომ ეს
როლი მისთვის შემთხვევითი იყო და იგი მან დაისწავლა იმ განზ-
რახვით, რომ ერთხელ შეესრულებინა იგი. ასეთი ფაქტები ნათ-
ლად მოწმობენ, რომ განზრახვა ხანგრძლივი დროით დახსომე-
ბისა გადამწყვეტი ზეგავლენის მქონეა, როგორც დასწავლის პრო-
ცესის მიმდინარეობაზე, ისე მის შედეგებზე.

ახლა შევჩერდეთ ზუსტი დახსომების განზრახვის მნიშვნელობაზე.
დახსომების სიზუსტე ერთ შემთხვევაში შეიძლება შინაარსს ეხებო-
დეს, და მეორე შემთხვევაში კი მისი გამოსახვის ფორმას. ამ უკა-
ნასკნელ შემთხვევაში, როგორც გამოირკვა, ორ უკიდურესობას შეი-
ძლება. ჰქონდეს ადგილი: ერთია სიტყვა-სიტყვით დახსომება და
მეორე—სულ საკუთარი სიტყვებით დახსომება.

დუნლევას გამოკვლევით, რაც ზანკოვის ხელმძღვანელობით იყო
შესრულებული, დადასტურდა ზუსტი დახსომების განზრახვის
დიდი მნიშვნელობა.

მაგალითად, მეოთხე კლასის მოსწავლეები ტექსტიდან, რომელ-
საც ზუსტი დახსომების განზრახვით სწავლობდნენ, საშუალოდ
31 სიტყვას იხსომებდნენ.

იმავე კლასის მოწავლეებმა, რომლებიც მოთხრობის შინაარსის
დახსომებას ცდილობდნენ და მისი „საკუთარი სიტყვებით“ აღდგენა
ჰქონდათ განზრახული, მიწოდებული ტექსტის მხოლოდ 23 სიტყვა.
აღადგინეს.

გამოირკვა, ისიც რომ მნიშვნელობა აქვს თავის დროზე აღდგე-
ნის განზრახვასაც, ე. ი. იმის განზრახვას, რომ დასწავლილი

ალდგენილ იქნეს გარკვეულ მომენტში და გარკვეულ სიტუაციაში. აშე შემთხვევაში დახსომების ორგანიზაციიაც თავისებურია და შედეგიც ამრიგად, საბჭოთა მკულევარებმა დაადასტურეს, რომ განზრახვის ეს სხვადასხვა შინაარსი გავლენას ახდენს როგორც პროდუქტულობაზე დახსომებისას (განსაკუთრებით ამას აქცევდა ყურადღებას ზანკოვი), ისე თავად დახსომების პროცესზე, მის ხასიათზე (ეს განსაკუთრებით გამოიკვლია სმირნოვმა).

ამეამად ყველა ამ მონაცემს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რაშია ფსიქოლოგიური საფუძველი მექსიერების აღზრდისა. გამოირკვა, რომ დასწავლის როგორც პროდუქტულობა, ისე მისი მიმღინარეობის ხასიათი პირკველ რიგში დამოკიდებულია დასწავლის განზრახვისა და მის ხასიათზე. სწავლის მიზნების შესაფერისი განზრახვის შემუშავება პირკველი პირობაა დასწავლის ნაყოფიერებისა. თუ ასეა, ცხადია, რომ მექსიერების აღზრდაც ამ ფაქტორზე მოქმედების გზით უნდა ხდებოდეს. ნასწავლებელს ევალება განახორციელოს ამ მიმართულებით საონადო ღონისძიებები. ჩვენი მასწავლებლობა აკეთებს კიდეც ამას. მაგალითად, ჩვენი სკოლის მასწავლებელი რომ სისტემატურად ამოწმებს მოწაფის მუშაობას იმას აღწევს, რომ მოსწავლეებს უმუშავებს განზრახვას ცოდნის მტკიცე შეთვისებისას. ასევე ყალიბდება სწავლის პროცესში დასწავლის განზრახვის სხვა მიმართულებებიც არავითარი თანდაყოლილი მიმართულებები არა აქვს სწავლის განზრახვას, როგორც სამართლიანად შენიშვნავს ზანკოვი. მაგალითად, ფიქრობენ, თითქოს უმცროს სასკოლო ასაკის ბავშვს ახასიათებდეს ბუნებრივი ტენდენცია სიტყვა-სიტყვით დახსომებისა და არ შეუძლიან ამ ტენდენციას დააღწიოს თავი. გამოირკვა, რომ ნამდვილად ეს ასე არ არის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა განზრახვას შეუქმნის მასწავლებელი და საითკენაც მიმართავს მოსწავლის განზრახვას, იმ მაჩვენებლების ხაზით წავა დასწავლის ნაყოფიერებაც. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოწაფეს ყოველ კერძო შემთხვევაში, რას უნდა აკმაყოფილებდეს დასწავლა, რა მოეთხოვება მას დასწავლის შემდეგ: სისრულე, სიზუსტე, თანმიმდევრობით ცოდნა და სხვა. ზანკოვს მოჰყავს მასწავლებელ დერიაბინას სამართლიანი შენიშვნა, რომ მასწავლებელს ევალება დაზოგოს ბავშვის მექსიერება. მან უნდა მიაქციოს ბავშვის ყურადღება იმაზე, თუ რა უნდა იყოს დახსომებული განსაკუთრებით ტეკიცელ, რა ზუსტად, რა სიტყვა-სიტყვით და ა. შ. არის სასწავლო საგნები, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანმიმდევრობის დახსომებას. როგორც გამოირკვა, ამ მიმართებით

უნდა შეექმნას მოსწავლეს შესაფერისი განზრახვა, თუ გვსურს შივილოთ სასურველი ეფექტი სწავლის დროს. ერთი სიტყვით, მოსწავლე არ უნდა სწავლობდეს ვთქვათ, სიტყვა-სიტყვით იმას, რის თანამიმდევრობაა მხოლოდ დასახსომებელი, უნდა არჩევდეს განსაკუთრებით მტკიცედ დასახსომებელ მასალას იმისაგან, რაც ამ შთავართან დაკავშირებით თავისთავად შეიძლება აღდგენილ იყოს და ა. შ.

ერთი სიტყვით, დასწავლის განზრახვა, როგორც აირითადი ფაქტორი, პედაგოგიურ ზემოქმედებას ექვემდებარება და ამ გზით გარდაიქმნება როგორც დახსომების პროცესი, ისე მისი პროდუქტულობა.

გაკვრით აქ ერთ საგულისხმო გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება. ზანკოვის ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ საგანვებო ინსტრუქციის მიცემა სრული და ზუსტი დახსომების შესახებ დასწავლის ეფექტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან გზას მხოლოდ მოსწრებილებთან იძლეოდა, შედარებით ნაკლებს—მოსწავლეებთან. ეს ფაქტი, ვფიქრობთ უმთავრესად იმით აიხსნება; რომ მოსწავლეს სკოლაში სისტემატური სწავლის გავლენით სრულად და ზუსტად დახსომების განწყობა მტკიცედ ფიქსირებული აქვს, მოსწრებილს კი ეს განწყობა თავისთავად არა აქვს, იგი შან საგანვებოდ, ყოველ კერძო შემთხვევისათვის უნდა შეიმუშაოს. ამიტომ არის, რომ ინსტრუქცია სრული და ზუსტი დახსომებისა არ სცვლის საგანვებოდ მოსწავლის მეხსიერების პროდუქტულობას. იგი ისეთი ინსტრუქციის მიცემის გარეშედაც ამ განზრახვით მოქმედებს, და რის მიღწევაც შეუძლიან, ამას ამ ინსტრუქციის გარეშეც იძლევა. სმირნოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ასე შეიძლებოდა ახსნილიყო ის ფაქტი, რომელზეც ჩვენ ჩემთ შევჩერდით, თუმცა მას ეს აზრი სულ დამარწმუნებლად არ ეჩვენება. ჩვენ ვფიქრობთ, ამ ფაქტში უნდა დავინახოთ მწორედ მეხსიერების აღზრდის პედაგოგიური ეფექტი. სკოლა და მასწავლებელი პირველ რიგში იმას აღწევენ, რომ მოსწავლეს უმუშავებენ ისეთ განზრახვებს, ისეთ განწყობებს, რომლებიც დახსომების პროდუქტულობას ზრდის და მეხსიერების პროცესების შესაფერის ორგანიზაციასაც უზრუნველყოფენ.

ამრიგად, უდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ მეხსიერების აღზრდის ეფექტი პირველ რიგში დასწავლის განზრახვის შესაფერის ჩამოყალიბებაში იჩენს თავს.

ჩვენ დავადას ტურეთ, რომ განზრახვა შეიძლება იყოს სხვა-
დასხვა მიმართულებისა და შინაარსის მქონე და ამის მიხედვით
დასწავლის ეფექტიც იცვლება. მაგრამ რის მიხედვით იცვლება
განზრახვის მიმართულება? რა ფაქტორით არის განსაზღვრული
დასწავლის განზრახვის ეს სხვადასხვა შინაარსი? როგორც ა-
სმირნოვის გამოკვლევამ დაადასტურა, ჯერ ერთი, ეს დამოკიდე-
ბულია იმაზე თუ როგორ აქვს შეგნებული სუბიექტს დასწავლის
მიზანი. მაგალითად, მოწაფეს როგორ ესმის, რას მოითხოვს მისგან-
სკოლა და მასწავლებელი? ზოგჯერ მცდარად ესმის მოწაფეს საქმის
ვითარება, მაგალითად ისე, თითქოს სკოლა მისგან ყოველთვის სი-
ტყვა-სიტყვით დაზეპირებას მოითხოვდეს და ა. შ.

მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განზრახვის
მიმართულებას განსაზღვრავენ. ამავე ავტორის გამოკლევით ეს ფაქ-
ტორები ასეთია: ასაკობრივი თავისებურებები, დასწავლის პირო-
ბები, მასალის შინაარსი და მოცულობა და ა. შ. ყველა ეს ფაქ-
ტორები ექვემდებარებიან სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებე-
ბის ზეგავლენას. მაგრამ დასწავლის განზრახვის ყველაზე მნიშვნე-
ლოვან ფაქტორს სწავლის, როგორც ქცევის მოტივი წარმოადგენს-
თუ ასეა, ცხადია, რომ ძირითად ფსიქოლოგიურ საფუძველს მესაი-
ერების აღზრდისას სწავლის მოტივთა სფეროს ჩამოყალიბება წარ-
მოადგენს.

ამ საკითხთან დაკავშირებით უსათუოთ განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია ისტომინას გამოკვლევა. ისტომინას გამოკვლევა ეხება-
დასწავლის მოტივის როლს. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩატარე-
ბული იყო ცდების ორი სერია. ერთ სერიაში სკოლამდელ ასაკის-
ბავშვს ევალებოდა გაემეორებია ლაბორატორულ პირობებში-
ექსპერიმენტატორის მიერ მიწოდებული სიტყვები და ასე დაეხსო-
მებია ისინი. მეორე სერიაში ამ სიტყვების დახსომების პროცესი-
ჩართული იყო თამაშში. თამაში იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვი-
მიღიოდა „მაღაზიაში“ და იქ უნდა „ეყიდა“ „საბავშო ბალისათ-
ვის“ მთელი რიგი ნივთებისა. ნივთების სახელები ამ შემთხვე-
ვაში შეესატყვისებოდა იმ სიტყვებს, რომელთა დახსომებასაც
ავალებდა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ექსპერიმენტატორი ლაბო-
რატორულ პირობებში. ამ ცდების შედეგად გამოირკვა, რომ მეო-
რე სერიაში სიტყვების დახსომების ეფექტი უფრო დიდი იყო, ვიდ-
რე პირველ სერიაში. ამ შემთხვევაში მარტო პროდუქტის ზრდას-
კა არ ჰქონდა ადგილი, არამედ თავად დახსომების პროცესი იყო
არსებითად გარდაქმნილი. აღსანიშნავია ისტომინას გამოკვლევის
ის შედეგიც, რომ განმეორება ამ დახსომების პროცესებისას, ე. თ-

ფაქტიურად ვარჯიშობა, სხვადასხვა შედეგს იძლეოდა იმისდა მიხედვით, იგი ლაბორატორულ პირობებში ხდებოდა, თუ თამაშის პირობებში. ისტომინას მონაცემებით დახსომების პროდუქციის ზრდა ვარჯიშობის, ე. ი. განმეორების შედეგად თამაშის პირობებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ლაბორატორულ პირობებში. მაგალითად, ლაბორატორულ პირობებში განმეორების, ე. ი. ვარჯიშის შედეგად დახსომების პროდუქცია გაიზარდა 4-5 წლის ბავშვებთან 33 სიტყვით და თამაშის პირობებში განმეორების შედეგად დახსომების პროდუქცია გაიზარდა 62 სიტყვით.

აქედან ა. სმირნოვს სრულიად სამართლიანად გამოაქვს ასეთი დასკვნა: ყველა ეს მონაცემი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ როდესაც დახსომების განზრახვას ამოძრავებდა ბავშვებისათვის ნათელი მოტივები, რომლებიც გამომდინარეობდნენ თვით თამაშის მოქმედებიდან და რომელთაც საზოგადოებრივა ხსიათი ჰქონდათ (რამდენადაც თამაშის შემთხვევაში დახსომებას მოითხოვდა „საბავშვო ბალის ინტერესები“), მაშინ დახსომება უფრო ეფექტური იყო, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც დასწავლის განზრახვას საფუძვლად ედო „თავზე მოხვეული“ მოტივი. ამგვარად დასწავლის ნაყოფიერება დამოკიდებულია იმისგან, თუ დასწავლის განზრახვა რა მოტივითაა გამართლებული. მოტივი აძლევს დასწავლის განზრახვის აზრს. აქედან გასაგებია, რომ მით უფრო ნაყოფიერი იქნება დასწავლა, როდესაც იგი ისეთ ქცევაში იქნება ჩართული, როგორიცაა სწავლა, რომლის მოტივი იმ ცოდნის დაუფლებაა, რაც დახსომების საგანს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეხსიერების აღზრდა საბჭოთა სკოლაში გულისხმობს სწავლის მოტივების აღზრდას, სწავლის მოტივთა ჩამოყალიბებას. იქ, სადაც სწავლის მოტივი არ არსებობს, დასწავლის ნაყოფიერებაც არ არის ღიღი.

ეხლა, რაც შეეხება სწავლის მოტივების ჩამოყალიბების პროცესს. იგი პედაგოგიური ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელი პროცესი კი არ არის, არამედ სწორედ პედაგოგიური ზემოქმედების ნაყოფია. საბჭოთა სკოლაში მასწავლებელი ცოდნის განმტკიცების იმ გზებს მიმართავს სწორედ, რომელნიც თავისთავად სწავლის მოტივის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას ნიშნავს. ვასწავლით რა ბავშვს, ვაწოდებთ რა მას ცოდნას ისე, რომ ვავითარებთ მასში კომუნისტურ მსოფლმხელველობას, ვუმუშავებთ მიღრეკილებას შეგნებული და მტკიცე ცოდნის მიღებისაკენ. ვუქმნით რა მას შინაგან მიღრეკილებას სწავლისადმი, ვაყალიბებთ რა მისი დამოუკიდებელი მუშაობის უნარს, გამუდმებით მოვითხოვთ რა მისგან

შეგნებული მიმართებების დამყარებას ყველა მიღებულ ცოდნათა შორის, მათი პრაქტიკული მნიშვნელობის გაცნობიერებას — ჩვენ უმით განვამტკიცებთ და ვიღორმავებთ სწავლის მოტივებს. ამ გზით კი, როგორც ხემოდ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე დავრწმუნდით, ჩვენ ვხრდით და გარდავჭმნით კიდეც მის მეხსიერებას, რაღანაც სწავლის, როგორც სპეციფიკური მოტივის მატარებელი ქცევის სტრუქტურაში, დასწავლის, როგორც მეხსიერების სპეციფიკური ფორმის ნაყოფიერება, განსაკუთრებით მალალია. სწავლის მოტივი არა მარტო დასწავლის პროცესში ზრდის ფაქტორია, არამედ მის პროცესების სპეციფიკური გარდაქმნის პირობაცაა. ამრიგად ცხადი ხდება, რომ ვასწავლით რა მოსწავლეს, — მას ცოდნათა მარაგს კი არ გადავცემთ მხოლოდ მეხსიერების კანონების მიხედვით, არამედ განუმტკიცებთ მას სწავლის მოტივებს და ამ გზით მეხსიერების იმ სახესაც ვაყალიბებთ, რომელიც აუცილებელია ამ ცოდნის მტკიცედ შეთვისებისათვის.

ამრიგად, სწავლის მოტივების აღზრდა საფუძველია მეხსიერების აღზრდის, საფუძველია მეხსიერების პროცესების ისეთი გარდაქმნის, რომლის შედეგადაც შეძენილი ცოდნა პიროვნების ავლა-დიდებად იქცევა. პიროვნების ავლა-დიდებად ის იქცევა, რაც სწორედ მისი მოქმედების მოტივების ნიაღაზეა შეძენილი.

მაგრამ პედაგოგიური ზემოქმედების, სწავლა-აღზრდის პროცესში მარტო აღნიშნულის მხრით არ ხდება მეხსიერების აღზრდა. რამდენადაც პიროვნების ინტელექტი დასწავლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ამდენად ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას მეხსიერების აღზრდის მიმართულებით წარმოადგენს მოსწავლის აზროვნების აღზრდაც სწავლის პროცესში. მაგრამ იმისთვის, რომ ეს გზა მეხსიერების აღზრდისა გასაგები გახდეს, ჯერ უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, რამდენად წარმოადგენს აზროვნება დასწავლის ფაქტორს.

9. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სწავლას, როგორც აკად. დ. უზნაძე ამბობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ექნეს, როდესაც კაცობრიობის მიერ მოპოვებული კულტურა ობიექტივირებულია, როგორც შესაცნობი ობიექტი სკოლისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ამის გარეშე სრულიად შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ სახეს. ის რაც უნდა შეითვისოს მოწაფემ სკოლაში, ეს პირველ რიგში ცოდნათა სისტემაა. სწავლა სწორედ ამ ცოდნათა სისტემის ობიექტივაციას გულისხმობს. იგი იმდენად ზრის სწავლა, რამდენად მისი მოტივი სწორედ ისაა, რაც მის მიზანს წარმოადგენს — მისი მიზანი კი ცოდნათა სისტემის დაუფლებაა. მაშასადამე იგია მისი მოტივიც.

სწავლის კავშირი აბიექტივაციასთან, როგორც მისი საგნის ჭამოყოფისთვის აუცილებელ აქტივობასთან, ნათელია. ნათელია ზასწავლის, როგორც მეცნიერების პროცესის კავშირი სწავლის საგანთან. დასწავლა ხომ იმის შეიძლება, რაც აბიექტივირებულია, როგორც სწავლის საგანი! აბიექტივაცია კი მთლიანი პიროვნების ეული აქტივობაა! ამრიგად, აქტივობა კიდევ ცხადი ხდება, რომ სწავლა არავითარ შემთხვევებაში არ დაიყვანება მეხსიერების პროცესებამდე და, რაც მთავარია, ნათელი ხდება ისიც, რომ დასწავლა, როგორც მეხსიერების ფაქტი და დასწავლის წარმატება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადა სწავლის მიზნის მიმართებით მობილიზებული მთლიანი პიროვნება, მისი აქტივობის გამოვლენის ყველა სახის მიმართულებით. ჩვენ ამაში დაფრინულით ნებელობის როლის გარკვევის დროს. ახლა აბიექტივაციის როლის გარკვევით ვრწმუნდებით იმავე დებულების სისწორეში.

ჩვენ მაინც აზროვნების, ინტელექტის როლი გვაინტერესებს. ამასთან დაკავშირებით ერთ ძირითად მნიშვნელობის მქონე გარე მოებას უნდა გაესვას ხაზი. ირკვევა, რომ გაგება, როგორც აზროვნების მოვლენა, როგორც იმის აზრის წვდომა, რაც დასასწავლასას, როგორც ცოდნის სისტემას გააჩნია და დასწავლა-დახსომება, როგორც მეხსიერების მოვლენა, როგორც ამ ცოდნის დაუფლება, მისი აღმერდება მომავალში აღდგენის მიზნით, არ არის ურთიერთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული პროცესები. ადამიანის მეხსიერების თავისებურება, როგორც ეს მრავალმა გამოკვლევამ დაადასტურა, სწორედ იმაშია, რომ ადამიანის საფეხურზე დახსომება. ნიშნავს გაგებას — გააზრებას. რამდენადაც დახსომება-დასწავლა სწორედ გაგების საფუძველზე ხდება, ამდენად გაგება—გააზრება დახსომების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია:

როდესაც „ცუდი“ მეხსიერების შესახებ ლაპარაკობენ, ამ შემთხვევაში ზოგჯერ დახსომების ის ცუდი ეფექტი იგულისხმება, რომელიც სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ სუბიექტი იმ მასალის აზრს ვერ წვდა, რომელიც უნდა დაეხსომებია; ვერ გაიგონ და იმიტომაც ვერ დაიხსომა. როგორ უნდა გავიგოთ აზროვნების ეს როლი დახსომების პროცესებში.

როგორც აღვნიშნეთ, დასწავლა გაშუალებული დახსომებაა. ძირითადად ადამიანის შემთხვევაში ეს საშუალება აზრითი კავშირების წვდომაა, გააზრებაა. აღდგენა, არსებითად „მოგონებაა“, როგორც ქართულად იტყვიან, სწორედ გონებაში მოტანა, მოაზრება. ერთი მიზანით, ადამიანის შემთხვევაში აზრითი კავშირების დამყარება

გადამწყვეტ როლს თამაშობს მეხსიერების პროცესებში, რაღაც ამაშია ბოლოს და ბოლოს გაშუალებული დახსომების აზრი. აზრით კავშირებია ის კავშირები, რომელთა დადგენა ხდება დასწავლის შემთხვევაში, როგორც დახსომების გამაშუალებელი რგოლებისა. იგივე აზრითი კავშირები საფუძველია აღმატებილის აღდგენისა.

მრავალი ექსპერიმენტალური გამოკვლევა იყო ჩატარებული იმის დასამტკიცებლად; რომ აზრითი კავშირების დამყარებით გაშუალებული დახსომება უფრო ნაყოფიერია, ვიდრე მექანიკური. როგორც აღვნიშნეთ, მექანიკური სწორედ ისეთ დახსომებას ეწოდება, როდესაც მასალის როგორც გარეგნული კავშირებით გაერთიანებული მოქლის და არა როგორც აზრის მატარებელი მთელის დახსომება ხდება.

ჩვენ ამოცანასთან დაკავშირებით არ არის აუცილებელი ამ ექსპერიმენტული მონაცემების დაწვრილებითი ანალიზი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ცდის პირს დასახსომებლად ეძლეოდა სიტყვათა წყვილის რიგი. ერთ შემთხვევაში მას ევალებოდა დაეხსომებია ეს სიტყვები მათ შორის აზრითი კავშირების დამყარების საფუძველზე და მეორე შემთხვევაში კი ევალებოდა დაეხსომებია ეს სიტყვები ისე, რომ მათ შორის აზრითი კავშირების დამყარება არ ეცადათ. გამოირკვა, რომ მეორე შემთხვევაში ცდის პირმა 22-ჯერ მეტი შეცდომა დაუშვა, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ასე, რომ ამ შემთხვევაში შეფარდება მექანიკურ და აზრით დახსომების პროდუქტულობას შორის არის 1:22. უპირატესობა აზრის მიხედვით დახსომებას დასწავლის პროდუქტულობის სხვა მაჩვენებლების მხრითაც აღმოაჩნდა. მაგალითად, უაზრო სიტყვების რიგი, რომელიც მექანიკურად იყო დახსომებული, 8 საათის შემდეგ 50%-ით იყო დავიწყებული, აზრიანი მასალის 50%-კი დავიწყებული იყო მხოლოდ ასი დღის შემდეგ. ასეთი შედეგები იყო მიღებული, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო სისრულისა და სიმტკიცის მაჩვენებლების მიმართებით, არამედ დასწავლის ყველა სხვა მაჩვენებლების მიმართულებით: სიზუსტის, სისწრაფის, სიმტკიცის და ა. შ.

როგორია დასკვნა?

თუ ადამიანური მეხსიერების არსი არსებითად აზროვნების პროცესებია, გასაგებია, რომ აბსოლუტურად ყალბად უნდა ჩაითვალოს ბურეუაზიულ ფსიქოლოგიაში გაბატონებული შეხედულება, რომ მეხსიერების აღზრდა ნიშნავს უბრალოდ დახსომების პროცესების (უმთავრესად მექანიკურ დახსომების პროცესების) მრავალგზის განმეორების გზით გავარჯიშებას. ამ შეხედულების თანახმად

დახსომების მექანიზმის სრულქმნა თავისთავად ხდება დახსომების პროცესების მრავალგზის განმეორების შედეგად. ეს აზრი გულისხმობს მეხსიერების საფუძვლად სწორედ მექანიკურ კავშირებს, რომელთა სრულქმნა უკეთ მოქმედება. ბუნებრივია, მხოლოდ მექანიკური განმეორების შედეგად შეიძლება მოხდეს. მაგრამ, როგორც დავინახეთ, არაფერი არ არის ისე დაცილებული საქმის ფაქტიურ ვითარებას, როგორც მექანიკისტური შეხედულება აღამიანის მეხსიერების აღზრდის შესახებ.

ის ფაქტი, რომ აღამიანის მეხსიერების პროცესები არსებითად ინტელექტუალიზირებული პროცესებია, ნათელს ჰქონის მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიურ ბუნებას. ცხადია, რომ მეხსიერების აღზრდა პირველ რიგში გულისხმობს მოსწავლის აზროვნების აღზრდას, აზროვნების განვითარებას თვით სწავლის პროცესში და ამასთან ერთად მოსწავლისათვის იმ გზების გაცნობიერებას, რომლებიც მასალის უკეთ გააზრების მიღწევის საშუალებას წარმოადგენს.

სმირნოვის გამოკვლევებმა ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ნათელი გახადეს, თუ რა გზები და საშუალებები არსებობს მასალის უკეთ გააზრებისათვის და, მაშასადამე, უკეთ დახსომებისათვის. ჩვენ მხოლოდ სქემატურად წარმოვადგენთ ამ გამოკვლევის შედეგებს. სმირნოვის მონაცემებით გააზრებით დახსომების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს დასასწავლი მასალის ნაწილების გამოყოფა აზრის მიხედვით. ეს შეიძლება თავისთავად მოხდეს მასალის წაკითხვის პარალელურად, მაგრამ თუ მასალა ძნელია, შეიძლება ამისთვის საგანგებო მუშაობა შეიქნეს საჭირო. სმირნოვი წერს: იმის უნარის გამომუშავება, რომ დასასწავლი მასალა აზრის მიხედვით იყოს დაჯგუფებული და ეს დაჯგუფება ხდებოდეს ნაწილებს შორის შინაგანი ლოგიკური კავშირების დადგენით, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა მასალის უკეთ გააზრებისა და, მაშასადამე, უკეთ დახსომებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს სმირნოვის მონაცემებით გამოყოფილ აზრითი ნაწილების გარჩევის მიზნით ყოველი მათგანისათვის გარკვეული ნიშნის მიკუთვნებას, ვთქვათ, ერთ ნაწილს ერთი სათაური მიეცა, სხვას მეორე და ა. შ. მაგრამ ისეთი ნიშნები უნდა მიეცეს თითოეულ აზრით ნაწილს, რაც მის არსს გამოხატავს. ყველაფერს ამას მოსწავლე მიჰყავს მასალის ლოგიკური სტრუქტურის გაგებამდე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დახსომების წარმატებისათვის რადგან შემდეგში დახსომებული მასალის მოგონებას სწორედ ის გეგმა უდევს საფუძვლად, რაც დასწავლისას იყო.

შედგენილი. ამრიგად, დასასწავლი მასალის ლოგიკური გეგმის შედგენა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მასალის გააზრებისათვის. ამასთან დაკავშირებულია მასალის აგების პრინციპის წვდომის მნიშვნელობა, მაგალითად, დასახსომებელი მასალის სიკრცეში განლაგება უკეთ და მტკიცედ მაშინ აღიბეჭდება, როდესაც გარკვეულია ის პრინციპი, რომელის მიხედვითაც ეს მასალა სიკრცეშია განლაგებული. დასასწავლი მასალის ლოგიკური გეგმის შედგენა და მისი აგების პრინციპის წვდომა გულისხმობს მასალის გააზრებისათვის ისეთ მნიშვნელოვან პროცესს, როგორიც არის გამოყოფილი ნაწილების აზრით ურთიერთ შედარება. ეს პროცესი, როგორც სმირნოვი აღნიშნავს, ძირითადი აზროვნებითი ოპერაციაა აზრით დახსომების დროს.

დასახელებული გამოკვლევების შედეგად დადასტურდა, რომ დასაყრდენს აზრის დახსომებისას წარმოადგენს აგრეთვე თვალსაჩინო ხატები. მაგალითად, აღწერითი ხასიათის მქონე მასალა უკეთ ახსომდება მოწაფეს, როდესაც აღწერილი ხატის სახით იქნება წარმოდგენილი. ასეთივე მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინო სქემებს, დიაგრამებს, ცხრილებს, რომლებიც თვალსაჩინოდ გამოსახავენ აზრიან მასალის შინაარს. აზრიანი მასალა უკეთ ახსომდება სუბიექტს, როდესაც ამ სქემებს, დიაგრამებს, ცხრილებს ოვითონ ადგენს. დადებით ეფიქტს იძლევა აგრეთვე მასალის შინაარსის სიკუთარი სიტუაციებით გადმოცემის ცდა.

ამრიგად, მეხსიერების აღზრდის მიმართულებით მასწავლებლის ამოცანაა მიუთითოს მოსწავლეს იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც მიიღწევა მასალის უკეთ გააზრება. გააზრება, გაგება, როგორც აღვნიშნეთ, დასწავლის პროდუქტულობის ზრდის საფუძველია.

აქ საჭიროა შევჩერდეთ მეხსიერების აღზრდის ერთ ღონისძიებაზე. მასწავლებელმა უნდა გამოუმუშავოს მოსწავლეს დასწავლის რაციონალური გზებით და საშუალებებით სარგებლობის ჩვევა, ე. ი. „ასწავლოს დასწავლა“, თუ შეიძლება ასე ითქვას:

მასწავლებელი არ უნდა იყოს, როგორც ამბობენ, ინდეფერენტული იმისადმი, თუ როგორ აწარმოებს დასწავლას მოწაფე. მასწავლებელი თვითონ უნდა იცნობდეს დასწავლის ძირითად კანონებს, დასწავლის რაციონალურ გზებს, რომ მოსწავლეს ამის ჩვევა შეუმუშაოს. ჩვენ ზემოთ მივუთითეთ იმ გზებზე, რომლებიც მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს მასალის უკეთ გააზრების მისაღწევად: ფსიქოლოგიაში საკმაოდ ნათლად არის დადგენილი ასეთივე მიზან-

შეწონილი გზები განმეორებისა და სხვა პროცესებისათვის, რომ-
ლებსაც დასწავლა გულისხმობს. მოსწავლე ამ წესებსა და გზებს
უნდა მიჰყებოდეს, მაგრამ ამაზე ქვემოთაც შევჩერდებით.

ერთი სიტყვით, მეხსიერების აღზრდის ერთ მხარეს, უთუოდ,
წარმოადგენს მოწაფეში დასწავლის რაციონალური ჩვევების შე-
მუშავება, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დახსომების გზების რაცი-
ონალიზაციამდე არ დაიყვანება მეხსიერების აღზრდის ფსიქოლო-
გიური საფუძველი. ძირითადი მაინც მთლიანად მოწაფის პიროვ-
ნების ჩამოყალიბების პროცესია.

ამრიგად, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაგება, აზროვნება
წარმოადგენს დასწავლის ძირითად ფაქტორს, მაინც ის არსებითი
მნიშვნელობის მქონე დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მეხსიერე-
ბის აღზრდა პირველ რიგში მოსწავლის აზროვნების განვითარებას
გულისხმობს. აზროვნება კი ისევ სწავლის პროცესში ვითარდება.
მეცნიერების ცოდნათა სისტემის დაუფლება აზროვნების პროცე-
სების განვითარების საფუძველია. სამართლიანად მიუთითებს გრუზ-
დევი ერთ-ერთ თავის ნაშრომში, რომელიც სწორედ ამ საკითხს
ეხება, „იმისთვის, რომ იცოდე—აზროვნებაა საჭირო, მაგრამ იმის-
თვის, რომ აზროვნება შეგეძლოს—უნდა იცოდე“. აქედან ნათე-
ლია, რომ სწავლება არის არა მარტო ცოდნათა სისტემის დაუფ-
ლების პროცესის ხელმძღვანელობა; არამედ მოსწავლის გონიერივი
განვითარების პროცესის ხელმძღვანელობაც¹. ცოდნათა სისტემის
დაუფლება და გონიერივი განვითარება განუყრელ ერთიანობას
წარმოადგენს. ამრიგად, მართლდება ის ძირითადი მოსაზრება, რო-
მელიც ჩენ ზემოთ წამოვაყენეთ, როგორც ძირითადი მნიშვნელო-
ბის მქონე მოსაზრება მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური სა-
ფუძლების გასარკვევად: სწავლება ცოდნათა მარაგის
გადაცემა კი არ არის მხოლოდ მეხსიერების კანო-
ნების მიხედვით, არამედ მეხსიერების იმ სახის
განვითარებაც, რომელიც ცოდნათა სისტემის და-
უფლებისათვის არის აუცილებელი. ცოდნათა სისტემის
დაუფლება აზროვნების განვითარების საფუძველია და ამასთან
ერთად მეხსიერების განვითარების საფუძველიც, რამდენადაც აზ-
როვნება მეხსიერების ფაქტორია. ამრიგად, მასწავლებელს ყოველ-
თვის უნდა ახსოვდეს, რომ მოწაფეთა მიერ მეცნიერებათა სისტემის,
მტკიცე ცოდნის შეთვისება დამოკიდებულია არა მოსწავლის მეხ-
სიერების რალაც თანდაყოლილ „კარგ“ და „ცუდ“ თვისებებზე,

¹ იხ. კრებული მისი რედაქციით „Вопросы воспитания мышления в про-
цессе обучения“, 1949.

არამედ იმტკე, თუ სწავლება რამდენად ხელმძღვანელობს მოწიბლეთა შეირ ცოდნის; სწორედ როგორც სისტემის დაუფლებას, რამდენად ხელმძღვანელობს ის ამ პროცესში მოსწავლის ლოგიკური პროცესის განვითარებას, რადგან სწორედ ის ფორმა მეხსიერებისა, რომელიც ამ მტკიცე ათვისებას უზრუნველყოფს, სხვა გზით არ ვითარდება, თუ არა სწორედ სისტემატური მეცნიერული ცოდნის დაუფლების გზით. მეხსიერება მიცემული ცოდნის მტკიცე ათვისებაში იჩენს თავს და სწორედ ამ სისტემატური მეცნიერული ცოდნის დაუფლების პროცესში ყალიბდება კიდევაც.

გააზრება, გაეგება, რომ არსებითი მხარეა დახსომების უზრუნველსაყოფ გამაშუალებელი პროცესებისა (და ამდენად მეხსიერების განვითარება არსებითად აზროვნების განვითარების პროცესს უახლოვდება), ამას განსაკუთრებით არანებისმიერი დახსომების ის შემთხვევები ადასტურებენ, როდესაც სუბიექტს არა აქვს განზრახვა დახსომების (ვთქვათ, რომელიმე მასალას დახსომების მიზნით კი არა, სულ სხვა მიზნით ეცნობა), მაგრამ მას მაინც მტკიცედ ახსომდება იგი ეს, იმ შემთხვევაში, თუ მასალის გაცნობა მაღალი ინტელექტუალური აქტივობის საფუძველზე ხდებოდა. მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციოდ საბჭოთა მკვლევარების ექსპერიმენტულ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგი. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ზინჩენკოს, სმირნოვის, კეშერაძის მონაცემები. სმირნოვის მიერ დაყენებული იყო ასეთი ექსპერიმენტი: ერთ შემთხვევაში ცდის პირს ევალებოდა წაეკითხა რიგი ფრაზებისა და დაედგინა, თუ რომელი მათგანი იყო შემცდარი, სინამდვილისაგან დაშორებული (იგულისხმება, რომ ცდის მასალაში მოიპოვებოდა ასეთი შინაარსის შემცდარი და სინამდვილისაგან დაშორებული ფრაზები). მეორე შემთხვევაში ცდის პირს ევალებოდა ფრაზები (პირველ სერიაში მიწოდებული ფრაზების ანალოგიური) მხოლოდ წაეკითხა და დაეხსომებია. ამ ცდის შედეგად გამოირკვა: მიუხედავად იმისა, რომ პირველ სერიაში ცდის პირს არ ევალებოდა დახსომება მიწოდებული ფრაზებისა, მან მაინც პირველ სერიაში მიწოდებული ფრაზები უკეთ დაიხსომა, ვიდრე მეორე სერიის ფრაზები, რომლებსაც სწორედ დახსომების მიზნით კითხულობდა.

ამ ცდების მონაცემებიდან სმირნოვს გამოჰყავს დასკვნა: რომ მოქმედების ხასიათს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დახსომების წარმატებისათვის. კერძოდ, ყველაფერი ის, რაც აქტიური მოქმედების საგანია სუბიექტს უკეთესად ახსომდება, ვიდრე ის, რაც პასიურად იყო აღქმული; ამასთან ნათლად ჩანს ისიც, თუ რაში

შდგომარეობს არსებითად ბუნება იმ აქტივობისა, რომელიც უკე-
ლაზედ უფრო მნიშვნელოვანია დახსომების წარმატებისათვის;
გამოირკვა, რომ ასეთია აზროვნებითი აქტივობა.

ამრიგად, ეს ცდები განსაკუთრებით საგულისხმოა იმ მხრით, რომ
ადასტურებს უეჭველ ფაქტს, რომ არსი იმ პროცესებისა, რომლებიც
უზრუნველყოფენ მტკიცე დახსომებას. აზროვნებით, ინტელექ-
ტუალურ აქტივობას წარმოადგენს. დასწავლის განზრახვა ბოლოს
და ბოლოს, როგორც ჩანს, დახსომებისათვის გამაშუალებელი გზე-
ბის შექმნისთვისაა აუცილებელი. ეს უკანასკნელი კი არსებითად
ინტელექტუალიზირებული პროცესია. თუ ჩვენ მასალის გაცნობი-
სას მოსწავლის მაღალ ინტელექტუალურ აქტივობას ვიწვევთ, ამით
არსებითად მტკიცე დახსომების საფუძველს ვქმნით, თუგინდ
მოსწავლეს დახსომების განზრახვა არ ჰქონდეს.

ამრიგად, მარტო განზრახვის შექმნა დასწავლისათვის საკმარისი
არ არის, საჭიროა ეს განზრახვა დაფუძნებული და შერწყმული
თყოს მტკიცე დახსომების გამაშუალებელ პროცესთან. მოყვანილო
ცდები სწორედ იმას ამტკიცებენ, რომ დახსომების მიზნის ქონე-
ბის შემთხვევაში სპონტანურად არ გამოიძებნება მტკიცე დახსო-
მებისათვის აუცილებელი გამაშუალებელი გზები. ამრიგად, მასწავ-
ლებლის მოვალეობაა დასწავლის არა მარტო მტკიცე განზრახვა
შეუქმნას მოსწავლეს, არამედ დახსომების გაშუალებული სწორი
გზებიც მოაძებნინოს მას.

10. პიროვნების იმ ფუნქციათა შორის, რომლის მობილიზაციაც
სწავლის მიზნების შესატყვისად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოად-
გენს მეხსიერებისას, ნებისყოფისა და ინტელექტის გვერდით მნიშვს
ნელოვანი ადგილი უჭირავს გრძნობებს. სწავლა იმიტომაც არ
დაიყვანება მეხსიერებამდე, რომ თვით მეხსიერების ნაყოფიე-
რება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად
ნახულობს დალებით ასახვას სწავლის მიზნები პიროვნების გრძნო-
ბების სფეროში. ჩვენ ზემოთ პირველ რიგში შევჩერდით იმ მნიშვ-
ნელობაზე, რომელიც აქვს სწავლის ჩამოყალიბების პროცესში
ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერებას, მის ობიექტივაციას. მა-
გრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ რიგი ფსიქოლოგე-
ბისა, სწავლის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი სახის ჩამოყა-
ლიბებაში, ფსიქოლოგიურად, სწავლის მიზნის ობიექტური მნიშვნე-
ლობის გაცნობიერების გვერდით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტე-
რესს, როგორც სტიმულირებელ მისწრაფებას სწავლის მიზნისაკენ.
სწავლა, როგორც სპეციფიკური სახე ქცევისა, გულისხმობს შინაგან
ემოციურ საფუძველზე აღმოცენებულ მისწრაფებას მისი მიზნისა-

კენ, ე. ი. ინტერესს. აქედან გასაგებია, რომ ისევე, როგორც სწავლის მიზნის ობიექტური მნიშვნელობის საფუძველზე აღმოცენებული განხრახვა თამაშობს ძირითად როლს მეხსიერების მოქმედებაში, ხელს უწყობს მის განვითარებასა და აღზრდას, ასეთივე როლს თამაშობს ინტერესიც, როგორც შინაგანი, გრძნობითი საფუძველი სწავლისა. როგორც ამბობენ, ეს შინაგანი საფუძველი—ემოცია, ინტერესი—აყალიბებს სწავლას, როგორც ქცევას. აქედან გასაგებია, რომ იგი ფაქტორიცაა დასწავლის ნაყოფიერების, რადგან დასწავლის ამოცანა შეხსიერებაში იმის აღმეცდვაა, რაც სწავლის ინტერესით განმტკიცებულ მიზანს წარმოადგენს. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სწავლის, როგორც ქცევის ჩამოყალიბებაში, ეს ორი ფუძეულებელი მნიშვნელობის ფაქტორი: განხრახვა—ობიექტური მნიშვნელობის ცნობიერებაზე აგებული და ინტერესი—ემოციური მიღრეკილება სწავლის მიზნისაკენ სხვადასხვა ასაკში ერთნაირი მნიშვნელობის მქონე არ არის. აღრეულ ასაკში უმთავრეს როლს ემოციური მიღრეკილებანი, ინტერესები თამაშობენ, უფროს ასაკი კი შეგნებულად დასახული მიზნები. შეგნებული განხრახვა და ინტერესი სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე რომ სხვადასხვა როლს თამაშობს, ეს ფაქტი ავალებს მასწავლებელს რომ ასაკობრივი განვითარების ყოველ საფეხურზე სპეციფიკური გზები დასახოს ამორი ფაქტორის ურთიერთთან დაკავშირებისა და შეთანხმებისათვის.

ამრიგად, ცხადია, რომ ბევრჯერ „ცუდი მეხსიერების“ შესახებ, რომ ლაპარაკობენ, ეს ბოლოს და ბოლოს ის შემთხვევებია, როდესაც სუბიექტს არა აქვს რა ინტერესი ამა თუ იმ, ვთქვათ სასწავლო საგნის მიმართ, არც ახსომდება ისე, როგორც ეს მასწავლებელს სწადია.

სამართლიანად ამბობენ, რომ არ არსებობს აღამიანი, რომელსაც ყველაფერი ავიწყდებოდეს, ისევე, როგორც არ არსებობს აღამიანი, რომელსაც ყველაფერი ახსოვდეს. ის, ვის შესახებაც ჩვეულებრივად ამბობენ, რომ „ცუდი მეხსიერება“ აქვსო, რასაკიორველია, არ არის ისეთი აღამიანი, რომელსაც არაფერი არ ახსოვდებოდეს. ის რაც მას აინტერესებს, ახსოვდება კიდევაც. ამრიგად, ნაწილობრივი ჭეშმარიტება უთუოდ არის გამოთქმაში, რომ „მეხსიერება ეს ინტერესიაონ“.

ფსიქოლოგიას მრავალი საბუთი მოეპოვება იმის დამამტკიცებელი, რომ ინტერესი მეხსიერების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს—დახსომების წარმატება მით უფრო მეტია, რაც უფრო საინტერესოა დასწავლის საგანი. იმისთვის რომ ცოდნა პიროვნების ფლა-

დიდებად იქცეს და ის ფორმალური მონაპოვარი არ იყოს, მასწავლებელს ევალება — ცოდნის განმტკიცება ცოდნის შეძენისადმი ძლიერი ინტერესის გალვიძებას დაუკავშიროს. ინტერესის გალვიძება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა მოპოვებული ცოდნის პიროვნებისეულ ფვლადიდებად ქცევისათვის.

აქედან ცხადია, რომ მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიურ სა-ფუძველს სწავლის ინტერესის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მეხსი-ერების აღზრდა გულისხმობს სწავლის ინტერესების ჩამოყალიბებისა და მიმართული პედაგოგიური ღონისძიებების გატარებას.

საბჭოთა ფსიქოლოგიური ნაცადი იყო სასკოლო დისკიპლინისა-დმი ინტერესის ფორმირების გზების დადგენა. მაგალითად, ზანკოვი აღნიშნავს, რომ პირველ რიგში სასწავლო დისკიპლი-ნის შინაარსისადმი ინტერესს ჩამოყალიბება ჩვენ სკოლაში მიიღწევა გაკვეთილის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებით. მაგალითად, გეოგრაფიის გაკვეთილებზე მასწავლებელი კლასს შინაარსიანად და გატაცებით უნდა მოუთხრობდეს ჩვენი სამშობ-ლოს სიმდიდრეებზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე, სტალინურ ზუთწლედებზე და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მნიშ-ვნელოვან როლს თამაშობს მხატვრული ლიტერატურის გამო-ყენება. მნიშვნელობა აქვს მეცნიერული ცოდნის დაუფლების შედე-გად მოწაფის გამოცდილებიდან ცნობილი პრაქტიკული. საკით-ხების გაშუქებას და ა.. შ.

ერთი: სიტყვით, მასწავლებელი შესაფერისი სასწავლო-აღმზრდე-ლობით ღონისძიებების გატარებით აყალიბებს რა მოსწავლეთა ინტერესს სასწავლო საგნისადმი, იგი აყალიბებს და ავითარებს მეხსიერების იმ ფორმასაც, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს.

ამრიგად, ცხადია, რომ მეხსიერების იმ ფორმის მოქმედების ნაყოფიერება, რომელიც სწავლის არსებით მხარეს წარმოადგენს, განსაზღვრულია იმით, თუ რამდენად არის მობილიზებული პიროვ-ნების ყველა ძალა სწავლის მიზნის მიმართულებით. ამიტომ მეხსი-ერების აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძველსაც ჩვენ ამ მიმართულებით ვეძებდით.

11. მაგრამ დასწავლა, როგორც მეხსიერების პროცესი სწავლის მიზნის მისაღწევად (ცოდნის მეხსიერებაში განმტკიცება), განმეო-რებას გულისხმობს. ზოგი ფსიქოლოგი იმასაც კი ამბობს, რომ დასწავლა ეს ბოლოს და ბოლოს არის ცოდნის შეძენა განმეორე-ბის მეშვეობით და მეტი არაფერით. მეხსიერებაში განმტკიცების განზრახვა დასწავლის შემთხვევაში, მხოლოდ განმეორების გზით

ხრისტიელდება. განზრახვას, ინტერესს და სხვა ფაქტორებს იმდენად აქვთ მნიშვნელობა ამ შეხედულების მიხედვით, რამდენადაც ასინი სწორედ განმეორებისათვის საჭირო ენერგიის წყაროს წარმრადგენენო. ეს სულ ასე არ არის. მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც შეუძლებელია უარყოთ განმეორების, როგორც სპეციფიკურად მეხსიერებითი ხასიათის საშუალების დიდი მნიშვნელობა დასწავლის შემთხვევაში. უდავოა, რომ, მაგალითად, მხოლოდ გაეგბა არ არის საქმარისი ცოდნის მეხსიერებაში განმტკიცებისათვის. ამის მისაღწევად დასწავლის განხრახვის და ინტერესის ქონებასთან და მაღალ ინტელექტუალურ აქტივობასთან ერთად მრავალგზის განმეორებაცაა საჭირო.

„განმეორება, ამბობენ, ცოდნის დედააო“.

თუ ასეთია განმეორების მნიშვნელობა, ცხადია, ისმის კითხვა, როგორ უნდა გავიგოთ ამ ფაქტთან დაკავშირებით მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნება? რაში უნდა. მდგომარეობდეს ეს უკანასკნელი? ბურუჟაზიულ ფსიქოლოგიას დასწავლა დაკავდა რა განმეორებამდე და ეს განმეორების პროცესი ესმოდა რა ცოდნის შეძენის შემთხვევაში მხოლოდ როგორც მექანიკური რეკაპიტულაცია, გასაგებია, რომ მეხსიერების განვითარებაც ამასთან დაკავშირებით გაეტული იყო, როგორც მექანიკური ბუნების მქონე შედეგი.

საბჭოთა ფსიქოლოგიას სულ სხვაგვარად ესმის ცოდნის მეხსიერებაში განმტკიცებისათვის განმეორების აუცილებლობის ფაქტი და, ცხადია, რომ ამის ნიადაგზე თავისებურადაც არის გაგებული მეხსიერების აღზრდის ბუნებაც.

განმეორება ცოდნის შემთხვევაში საბჭოთა ფსიქოლოგთა შორის თითქმის საყოველთაოდ მიღებული გაგების თანახმად, არის არა მექანიკური რეკაპიტულაციის პროცესი, არამედ სულ ახალი და ახალი გადამუშავება მასალისა მისი სულ უფრო და უფრო ჭრიმა გააზრების მიმართულებით (სმირნოვი, ზანკოვი, ხოჯავა).

ამის გამო, როგორც სამართლიანად მიუთითებდნენ, განმეორება დასწავლის შემთხვევაში პრინციპულად კი არ უნდა დაუკირისპიროთ გაგებას როგორც ამისგან თავისი ბუნებით განსხვავებული პროცესი, არამედ უნდა გვესმოდეს, როგორც პროცესო, რომელიც თავიდან ბოლომდე ამ გაგების გალრმავებას წარმოადგენს. როგორც სამართლიანად მიუთითებს სმირნოვი, ყოველი განმეორება წინანდელის აღდგენა კი არ არის, არამედ ახალ-ახალ ამოცანას სწყვეტს, იმისდა მიხედვით, რა იყო წინა განმეორების შედეგად მიღწეული და რა წარმოადგენს. საბოლოო მიზანს. ზანკოვის ხელ-

მძღვანელობით ლევიტანის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა სავსებით დაამტკიცეს ამ დებულების სისწორე, ნაჩვენები იქნა, რომ განმეორება ცოდნის განმტკიცების შემთხვევაში დადებით შედეგს იმიტომ კი არ გვაძლევს, რომ მასალა თავისთავად იყო მრავალჯერ აღქმული, არამედ იმიტომ, რომ ერთი განმეორებიდან მეორემდე მოსწავლე სულ უფრო და უფრო სწვდება აზრს დასასწავლი მასალისას. ის ამჩნევს იმ მიმართებებს დასასწავლი მასალის ნაწილებს შორის, რასაც წინათ ვერ ამჩნევდა, ამყარებს კავშირს იმ ელემენტებს შორის, რომლებიც წინათ მის ცნობიერებაში სულ იზოლირებულად იყო წარმოდგენილი, მოჰყავს მიმართებაში იმასთან, რაც მისთვის წინათ იყო ცნობილი და ა. შ. ასეთი გამაშუალებელი გზების განმტკიცებით ის კიდევაც აღწევს სასურველ ეფექტს (ზანკოვი).

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მეხსიერების აღზრდის მიმართულებით, ამ შემთხვევაში (განმეორების საფუძველზე დასწავლის შემთხვევაში) მასწავლებელს, უპირველეს ყოვლისა, ევალება გაუცნობიეროს მოსწავლეს, რომ განმეორება თავისთავად არ იძლევა იმ შედეგს, რის მიღწევასაც ის ისახავს მიზნად დასწავლის შემთხვევაში.

სმირნოვის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უმცროსი ასაკის ბავშვების და მოზრდილების შედარებას დასწავლის შემთხვევაში განმეორების თავისებურობების მხრით, აჩვენებს, რომ უმცროს ასაკში განმეორება შედარებითი ერთფეროვნებით ზასიათდება; იმდენად, რამდენადაც ცალკეული განმეორებები, რაიმე დიფერენცირებულ, საკუთარ მიზანს კი არ ისახავდენ, არამედ ყველა ერთ საბოლოო მიზანს ერთნაირად ემსახურებოდნენ. ასეთი დიფერენციაცია, როგორც სმირნოვი აღნიშნავს, და ამასთან დაკავშირებული გამრავალფეროვნება განმეორებებისა, იმის მიხედვით იზრდება, რაც უფრო მეტი გამოცდილება უგროვდება მოსწავლეს დასწავლის პრაქტიკის მიმართულებით. პირველ ხანებში ეს მრავალფეროვნება განმეორებებში მოწაფეებს შეუგნებლად შეაქვთ, შემდეგ კი ამას შეგნებულად მიმართავენ (სმირნოვი).

გამოცდილი ადამიანი,—წერს სმირნოვი,—დასწავლაში ასე იქცევა: ჯერ იგი ეცნობა მასალის მთლიანად და ყველი შემდგომი განმეორებისას ახალ და ახალ ამოცანებს აყენებს (ძირითადი დებულებების გამოყოფა, ყველაზე ძნელ აღგილების დახსომება, ფაქტიური მონაცემების დაზუსტება, ტექსტის თანმიმდევრობით დახსომება, და ა. შ.).

ამრიგად, სკოლასა და მასწავლებელს, სმირნოვის. აზრით, ევა-ლება ასწავლოს მოწაფეს, რომ დამოუკიდებელი მუშაობის დროს მრავალფეროვანი გახადონ განმეორებები, დიფერენცირებული, კონკრეტული ამოცანები დაუსახონ ყოველ განმეორებას. მაგრამ ყველაზე უკეთესი საშუალება ამის დანერგვისა იმაში მდგომარეობს, რომ თვით მასწავლებელი ისე აგებდეს სწავლების პროცესში განმეორებას, რომ იგი ყოველთვის მასალის ახალ-ახალი მხრით დაუფლებას წარმოადგენდეს, ერთხელ მიღებული ცოდნა უკავშირდებოდეს შემდეგ მიღებულ ცოდნას და ასეთი განზოგადების სახით მიმდინარეობდეს განმეორება. განზოგადებული განმეორება, როგორც ზანკოვი აღნიშნავს, ამ შემთხვევაში ყველაზე არსებითი მნიშვნელობის მქონეა. რაც უფრო მრავალფეროვანია და განზოგადებული განმეორება პედაგოგიურ პროცესში, მით უფრო ნაცოფიერია ასეთი განმეორებები.

ჩვენი ამოცანა არ შეადგენს ასეთ განმეორებათა კონკრეტულ გზებზე შევჩერდეთ. ეს ზოგადი მითითებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძირითადი გეზი უნდა ჰქონდეს მეხსიერების აღზრდას მეხსიერების იმ ფორმის მიმართ, რასაც განმეორების გზით დასწავლა წარმოადგენს.

ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება აღზრდის ამოცანა მეხსიერების ამ ფორმის მიმართ. აღზრდის ამოცანა მეხსიერების ამ ფორმის მიმართ მიზნად უნდა ისახავდეს, მოსწავლეს შეუმუშაოს. ჩვევა განმეორებათა სწორი ორგანიზაციისა. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ჩვევა განმეორებები იმ პრინციპების საფუძველზე აწარმოოს რაც, თანახმად ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემებისა, განმეორებათა ეფექტურობის ზრდას უზრუნველყოფს. ეს არის ისეთი ღონისძიება, რომელსაც ჩვენ ზემოთ „დასწავლის სწავლება“ უწოდეთ. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე მოსწავლეები თავისითვად ვერ აგნებენ განმეორებათა რაციონალურ ორგანიზაციის გზებს. მასწავლებელს ევალება განსაკუთრებული გულდასმით განუმარტოს მოწაფეებს რაციონალური გზები განმეორებათა ორგანიზაციისა. ჩვენ მოკლედ აღვნიშნავთ ფსიქოლოგიის მონაცემებს ამ მიმართულებით და მოკლედ თავს მოვუყრით იმას, რაც საკმაოდ ცნობილია ჩვენს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.

უპირველეს ყოვლისა გამოირკვა, რომ მნიშვნელობა აქვს განმეორებათა რაციონალურ განაწილებას.

გამოირკვა, რომ უფრო ნაყოფიერია დროში განაწილებული განმეორებანი, როდესაც განმეორებათა შორის გარკვეული ინტერვა-

ლია, ვიდრე თანმიყოლებრთი განმეორებანი. მაგალითად, ვოლკოვის გამოკვლევით, ლექსის დასასწავლად თანმიყოლებით 16 განმეორება იყო საჭირო, მაგრამ ყოველდღე ორ-ორი განმეორების შემთხვევაში სულ 8 განმეორების შემდეგ ლექსი ზეპირად იქნა დასწავლილი. განმეორებათა დროში განაწილებით მიიღწევა არა მხოლოდ სწრაფი დახსომება, არამედ მტკიცე დახსომებაც. განმეორება იმასაც სჭირდება, რაც უკვე დასწავლილია, რადგან ამის გარეშე მისი მეხსიერებაში განმტკიცება შეუძლებელია. დასწავლილის განმტკიცებისათვის მოწოდებული განმეორებებიც დროში უნდა იყოს განაწილებული.

სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ თანაბარი განაწილებაც არ არის ყოველთვის ნაყოფიერი. დასწავლის პირველ ეტაპზე, როდესაც მეტი რაოდენობა განმეორებისა იყო ნაწარმოები, ვიდრე მეორე ეტაპზე, ეს უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე განმეორებათა თანაბარი განაწილება ყველა ეტაპზე დასწავლისა.

სმირნოვის სავსებით სწორი მოსაზრებით, განმეორებათა დროში განაწილებას უფრო დიდი ეფექტი იმიტომ აქვს, რომ ამ სახით განმეორებათა გამრავალფეროვანება ხდება; ხანის გამოშვების გამო მასალის სულ სხვა მხრით განზოგადებას აქვს ადგილი. გარდა ამისა, ამ გზით უფრო აქტიურ დახსომებასაც ვახორციელებთ და მასალის უკეთეს გაგებასაც ვაღწევთ.

დასწავლის ნაყოფიერებისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ხდება მასალის განმეორება მთლიანად, თუ ნაწილ-ნაწილ. როგორც ცნობილია, შეიძლება ყოველი განმეორების დროს მასალის მთლიანად განმეორება ხდებოდეს და შეიძლება ცალ-ცალკე ნაწილებს იმეორებდნენ. მთელმა რიგმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებისამ დაადასტურეს, რომ ყველაზედ ნაყოფიერია ამ შემთხვევაში კომბინირებული გზა—ჯერ მასალის, როგორც მთელის, გააზრება, შემდეგ იმ ნაწილების ცალ-ცალკე დასწავლა, რომლებიც თავისებური სიძნელის გამო ტექსტის მთლიანად წაკითხვის დროს ვერ აღიბეჭდებოდა შესაფერისად, და ბოლოს ისევ მთლიანი განმეორება, დასწავლილ ნაწილებს შორის კავშირის განმტკაცების მიზნით. ამ გზის უპირატესობა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ (ზანკოვი), აიხსნება იმ საერთო კანონზომიერებით, რომელიც აზრიანი მასალის დახსომების შემთხვევაში დასტურდება. მასალის დასასწავლად მისი ისეთი გააზრებაა ყველაზე ნაყოფიერი (და ნამდვილი გააზრებაც ესაა), რომლის შედეგადაც მასალა წარმოდგენილია, როგორც ურთიერთთან გარკვეული კავშირებით გაერთიანებული ნაწილების შემცველი მთელი. კომბინირებუ-

ლი მეთოდი მასალის სწორედ როგორც ნაწილების შემცველ მთელის წარმოდგენას უზრუნველყოფს. ნაწილ-ნაწილ დასწავლის შემთხვევაში მასალა არ არის გააზრებული, როგორც გარკვეული აგებულების მქონე მთელი. სწორია სმირნოვის. შეხედულებაც, რომ კომბინირებული მეთოდის უპირატესობა განმეორების გამრავალფეროვნების ეფექტს წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი და იმავე წესით სარგებლობა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ყოველგვარი მასალის დასასწავლად არ იქნებოდა სწორი, დასწავლის წესის განსაზღვრისას მასალის თავისებურებანიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. გამოირკვა, რომ თუ მასალა ერთნაირი სიძნელის ნაწილების მქონეა, მაშინ მთლიანი წესით დასწავლაა ნაყოფიერი. მაგრამ თუ მასალა სხვადასხვა სიძნელის მქონე ნაწილებს შეიცავს, მაშინ უფრო მიზანშეწონილია კომბინირებული წესით სარგებლობა.

განმეორებათა რაციონალიზაციისათვის საგულისხმოა იმ ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტის გათვალისწინება, რომ დასწავლის პროცესში განმეორებით აღქმაზედ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა მასალის განმეორებითი აღდგენა. დაყენებული იყო ასეთი ცდა—ცდის პირს ევალებოდა ტექსტის დასწავლა, ერთმა ჯგუფმა ეს ტექსტი ორჯერ წაიკითხა, მეორე ჯგუფმა კი ერთხელ წაიკითხა და მეორედ ევალებოდა არა წაკითხვა, არამედ აღდგენა. ამრიგად, ორივე ჯგუფში მასალა ორჯერ იყო განმეორებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ მეორე შემთხვევაში განმეორება, ხელახალ წაკითხვაში კი არ გამოიხატა, არამედ აღდგენაში. დახსომების უფექტის შემოწმებისას გამოირკვა, რომ ტექსტი უკეთ ჰქონდათ დასწავლილი მეორე ჯგუფის ცდის პირებს, ვიდრე პირველი ჯგუფის ცდის პირებს.

დასწავლის პროცესში მასალის აღდგენა, როგორც ჩანს, დადებით ეფექტს იძლევა. ეს ფაქტი, როგორც მართებულად ფიქრობენ, იმით აიხსნება, რომ აღდგენის შემთხვევაში მასალის აქტიურად ათვისებას აქვს აღვილი და შეგნებულ თვითკონტროლს აღდგენისადმი. ესენი კი, როგორც ცნობილია საერთოდ, დახსომების პროცესტიულობის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

მასწავლებლისათვის საგულისხმოა აგრეთვე ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტი, რომ არ არსებობს საერთოდ პირდაპირი პროპორციული დამოკიდებულება მასალის მოცულობის გადიდებასა და მის დასასწავლად საჭირო განმეორებათა რიცხვს შორის: უაზრო მასალის შემთხვევაში განსაკუთრებით აღინიშნება მასალის მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით მის დასასწავლად

საჭირო განმეორებათა რიცხვის არა პროპორციულად დიდი ზრდა, მაგალითად, ერთი მკვლევარის მონაცემებით, თუ 6 უაზრო სიტყვის დახსომებას ერთი განმეორება სჭირდება, 36 სიტყვის დასხსომებლად, ე. ი. მასალის მოცულობის 6 ჯერ გაზრდამ, მოითხოვა განმეორებათა რიცხვის 55-ჯერ გაზრდა. აზრიანი მასალის შემთხვევაში მასალის მოცულობის 6-ჯერ გაზრდამ მოითხოვა 7,5 ჯერ გაზრდა განმეორებათა რიცხვისა. მართალია, აქ ისეთ არა-პროპორციულობას არ აქვს ადგილი, როგორც პირველ შემთხვევაში, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მიმართება მათ შორის მაინც არ არის სულ პირდაპირ პროპორციული. მასალის მოცულობის ზრდა არაპროპორციულად ზრდის მისი დასწავლის სიძნელეს. აღნიშნული არაპროპორციულობის ფაქტი, თუ არ იქნა მიღებული მხედველობაში, მოსწავლე ჩვენდა შეუმჩნევლად სიძნელის წინაშე შეიძლება დავაყენოთ, რაც საგრძნობლად დასწევს მის შრომით უნარიანობას.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებას მოეპოვება საგულისხმო მონაცემები დასწავლის ტემპის შესახებაც. უდავოდ ითვლება, რომ დახსომების სწრაფი ტემპი, რომელიც, რასაკვირველია, არ აღემატება გარკვეულ ზომას და შეესატყვისება მოსწავლის ბუნებრივ ტემპს, აუცილებელია უშუალო მეხსიერების პროცესებისათვის, ე. ი. როდესაც ხანმოკლე დროით დახსომების ამოცანა დგას სუბიექტის წინაშე. საერთოდ-კი, როგორც გამოირკვა ყოველ ადამიანს თავისი ბუნებრივი ტემპი აქვს და დასწავლის ის ტემპია ნაყოფიერი, რომელიც სუბიექტის ბუნებრივ ტემპს შეესატყვისება. არსებითად კი დასწავლის ის ტემპია ყველაზე ნაყოფიერი, რომელიც აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც ძირითადად ითვლება აზრიანი მასალის დახსომების წარმატებისათვის—დასასწავლი მასალა წარმოდგენილ იქნეს. როგორც შინაგანი ნაწილების შემცველი მთლიანობა. ძლიერ სწრაფი ტემპის შემთხვევაში დასასწავლი მასალის ნაწილების გარჩევა ძნელდება, ძლიერ ნელი ტემპის შემთხვევაში—მთლიანის გაცნობიერება. დადასტურდა ისიც, რომ დასწავლის დასასტყისში საორიენტაციო კითხვის დროს ნაყოფიერია შედარებით ნელი ტემპი, რომელიც თანდათანობით შეიძლება უფრო სწრაფი გახდეს; დასასრულს, ამის შემოწმების დროს დასწავლილია თუ არა მასალა, ტემპი ისევ შენელდება.

ზოგადად შეეჩერდეთ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის იმ მონაცემებზე, რომლებიც სწავლისათვის დღე და ღამის ყველაზედ ნაყოფიერი დროის საკითხს ეხება. გამოირკვა, რომ ადამიანთა შორის დიდ ინდივიდუალურ განსხვავებას აქვს ადგილი. სხვადასხვა

ადამიანისათვის დღე და ლამის სხვადასხვა ღრო სხვადასხვა ნა-
უკოფიერების მქონე აღმოჩნდა, ძირითადად, თითქოს: სხვადასხვა
შეკვლევართა მონაცემები იმ საერთო მოსაზრებას ამტკიცებენ, რომ
დილის საათებში დასწავლის სისწრაფის მაჩვენებლებია მაღალი
და საღამოს საათებს კი დასწავლის სიმტკიცის დიდი მაჩვენე-
ბელი ახასიათებს. საღამოს საათებში დასწავლის სიმტკიცე იმით
უნდა აიხსნას, რომ მას მოჰყება რა ძილი, აღკვეთილია შემაფერ-
ხებელ ზევავლენათა მოქმედება. მრავალი ექსპერიმენტული გამო-
კვლევით დადასტურებულია, რომ დასწავლის ნაყოფიერება დამო-
კიდებულია როგორც იმაზე, თუ რა სახის მოქმედება უსწრებდა
მას წინ (მაგალითად, თუ ისეთი ცოდნის შეძენა უსწრებდა, რაც ახა-
ლის შეთვისებისათვის გამოდგება დასაყრდნელად, ცხადია, რომ
დასწავლა ამ შემთხვევაში უფრო ნაყოფიერი იქნება), ისე იმაზე,
თუ რა სახის მოქმედება მოყვება დასწავლის. არის მოქმედებათა
ისეთი სახეები, მაგალითად, მსგავსი სახის მოქმედება, ძნელი მო-
ქმედება და ა. შ. უკან მომქმედი ზევავლენით რომ აფერხებს და-
სწავლის შედეგს.

რასაკვირველია, ის, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, არ ამოსწურავს
უველა გზას, რომელიც ექსპერიმენტული ფსიქოლოგის მიერ არის
დადგენილი განმეორების რაციონალიზაციისათვის. ამათგან ჩვენ
მხოლოდ ძირითადზე შევჩერდით, რომ ჩვენ საკითხთან დაკავში-
რებით კონკრეტულად მიგვეთითებია, თუ რას ნიშნავს „დასწავლის
სწავლება“, როგორც მეხსიერების აღზრდის ერთ-ერთი გზა.

ჩვენ მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნების საკითხე-
ბით ვიყავით უმთავრესად დაინტერესებული. ეს იმას არ ნიშნავს,
რომ მეხსიერების აღზრდის საქმეში ფიზიოლოგიური ფაქტორების
როლი არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში. დასწავლის ეფე-
ქტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსწავლის ჯან-
მრთელობაზე, დალლილობაზე და სხვა ისეთი ფიზიოლოგიური ხასი-
ათის ფაქტორებზე. ამ მხრით უარყოფითი ზევავლენების აღმოფხვრას
მოითხოვს, რასაკვირველია, სწორად აგებული პედაგოგიური პრო-
ცესი. ამ მიმართულებით პირველ რიგში აუცილებელია მოსწავლის
დღის რეჟიმის სწორი ორგანიზაცია.

12. დასასრულ განვიხილოთ ერთი საკითხიც: როგორ უნდა გავი-
გოთ მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური ბუნება იმ ფაქტთან
დაკავშირებით, რომ დადასტურებულია მეხსიერების მხრივ ინდივი-
დუულური განსხვავებანი ადამიანთა შორის. ძირითადად ითვლება
განსხვავება—1. მეხსიერების ტიპებს შორის და 2. განსხვავებან
დასწავლის პროდუქტულობის მხრით.

განსხვავება მეხსიერების ტიპებს შორის შემდეგში გამოიხატება: სხვადასხვა აღამიანი, კერძოდ, მტკიცედ დახსომების მიზნით, სხვა- ლასხვა წარმოდგენებს ეყრდნობა, ერთნი დახსომებისათვის მხედვე- ლობით წარმოდგენებს ეყრდნობიან. მაგალითად, ამ ტიპის აღამი- ანები, ვთქვათ, ტექსტის უკეთ დახსომებისათვის თავისთვის კი- თხულობენ — ეს მხედველობითი ტიპის აღამიანია. მეორენი კი უკეთ დახსომებისათვის სმენის წარმოდგენებს მიშართავენ. მაგალითად, ამ ტიპის აღამიანი ცდილობს, რომ დასახსომებელ ტექსტი სხვამ წაუკითხოს, თვითონ კი ისმინოს. სმენითი ხასიათის მასალა მას უკეთ ახსომდება, ვიდრე მხედველობით ხასიათის. მესამე ტიპი მოტორული ტიპია — ის უკეთ დახსომებისათვის მოტორულ, მო- ძრაობით წარმოდგენებს ეყრდნობა. მაგალითად ის დასახსომებელ ტექსტს ხმამალლა კითხულობს და თანაც დადის ან სხვა მოძრა- ობებს უკავშირებს მას. ჩუმად, თავისთვის, მხოლოდ მხედველობის გზით კითხვის შემთხვევაში ამ ტიპის აღამიანი დახსომების დაბალ შაჩვენებლებს იძლევა.

ამრიგად, ფსიქოლოგიაში განსხვავებენ მუხსიერების მხედველო- ბით, სმენით და მოტორულ ტიპს. ნერავმა, როგორც ცნობილია, პირველად დაამტკიცა ექსპერიმენტულად, რომ მოსწავლეებშიაც გვხვდება მეხსიერების აღნიშნული ტიპები. სუფთა სახით ეს ტი- პები იშვიათად გვხვდება. უმთავრესად შერეული ტიპები გვხვდება, უცელაზედ გავრცელებულად აღამიანთა შორის მხედველობით — მო- ძრაობითი ტიპი გვხვდება. საბჭოთა ფსიქოლოგთა შორის არ არის აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხში, რომ სხვადასხვა მოწაფე უკეთ დახსომების მიხნით სხვადასხვა სახის წარმოდგენებს რომ მიმარ- თავს, ეს არ არის თანდაყოლილი თვისება. უპირატესად ამა თუ იმ სახის წარმოდგენით სარგებლობა გამოცდილების შედეგია და ამ გამოცდილების შესაფერისად მიმართვის გზით შეიძლება შეიცვა- ლოს კიდევაც მეხსიერების ტიპი:

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ზანკოვი, მეხსიერების აღ- ნიშნული ტიპების არსებობის ფაქტიდან მასწავლებელმა პირველ რიგში ის საერთო პრინციპული მნიშვნელობის მქონე დასკვნა უნ- და გამოიტანოს, რომ დახსომება დასახსომებელ მასალის გრძნო- ბად თვისებებს ეყრდნობა, რომ დახსომებას მტკიცე საფუძველი უნდა ჰქონდეს აღქმაში, შემეცნების ამ პირველ და მნიშვნელოვან საფუძულში, აქ არის კიდეც თვალსაჩინოების პრინციპის გამოყე- ნების მნიშვნელოვანი ასპარეზი.

ამიტომ მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ დასასწავლი მასალა რაც შეიძლება მრავალ მხრივ იყოს აღქმული: მხედველო-

ბით, სმენით, პოტორულად და ა.შ. ამით იქმნება სხვადასხვა კახეის წარმოდგენები, რაც მტკიცე დახსომების საფუძველს ჰქმნის. ამავე გზით მიაღწევს მასწავლებელი იმას, რომ მოსწავლეს განუვითარდება იმ წარმოდგენის სფერო, რომლებიც მისი გამოცდილების შედეგად არ იყო შესაფერისად წერილი. მაშ, მეხსიერების ტიპების არსებობა იმ მხრით კი არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ შეეგულს მათ მასწავლებელი, არამედ იმ მხრით, რომ ეს ცალმხრიობა იყოს გადალახული. პედაგოგიური გამოცდილება მოწმობს, რომ ამის მიღწევა საუსებით შესაძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავება ადამიანთა შორის არსებობს მეხსიერების პროდუქტულობის მხრითაც. ჩვენ ზემოთ გავარკვით, თუ პროდუქტულობის რა მაჩვენებლებია ცნობილი თანამედროვე ფსიქოლოგიაში (სისრულე, სისწრაფე, სიზუსტე, სიმტკიცე და სხვ.). გამოირკვა, რომ ადამიანთაგან ერთნი სწრაფად იხსომებენ, მეორენი—ნელა, ერთნი—მტკიცედ, მეორენი—უფრო ხანმოკლე დროის მანძილზე და ა.შ. მოწაფეოთა შორისაც დასტურდება მეხსიერების აღნიშნული თვისებების მხრით განსხვავება. საბჭოთა მკვლევარების მონაცემები ადასტურებენ, რომ მეხსიერების ეს თვისებებიც ვითარდება და იცვლება პედაგოგიური პროცესის ზეგავლენით. ყველაფერი, რაც ცნობილია თანამედროვე ფსიქოლოგიაში, მეხსიერების პროდუქტულობის ფაქტორების შესახებ (ამაზე ჩვენ ზემოთ შევჩერდით), უნდა საფუძვლად დაეღოს მეხსიერების აღნიშნული თვისებების განვითარებას პედაგოგიურ პროცესში. ჩვენ ზემოთ დავრჩიმუნდით, რომ ყველა ფაქტორი მეხსიერების პროდუქტულობის ზრდისა ყალიბდება პედაგოგიკურ პროცესში და ამდენად მეხსიერების თვისებებიც ამ პროცესის ზეგავლენით იცვლება. მაგალითობისათვის ავილოთ მეხსიერების ისეთი თვისება, როგორიც არის სისწრაფე. მისი აღზრდა, რასაკვირველია, შესაძლებელია. მოწაფემ, რომელიც იწყებს მასალის დასწავლას, უნდა იცოდეს თუ რა მოეთხოვება: სიტყვა-სიტყვით დასწავლა, ძირითადი აზრის გაღმოცემა, თუ მხოლოდ თანმიმდევრობის ცოდნა. ეს ხელს უწყობს დასწავლის სისწრაფის ზრდას. ან ავილოთ სიმტკიცე. ზემოთ გამოირკვა, რომ დაწაწვლის სიმტკიცე დამკიდებულია იმ განზრახვის ხასიათზე, რომლის საფუძველზედაც სწარმოებს დახსომება. მაშ, მეხსიერების ამ თვისების შესაფერისად მიმართვაც პედაგოგიურ ზემოქმედებას ექვემდებარება. იგივე შეიძლება გავიმეოროთ მეხსიერების ყველა იმ თვისების შესახებ, რომელთა მხრივ დასტურდება ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავების არსებობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ მეხსიერების აღზრდა ისე კი არ უნდა გავიკოთ, როგორც ბურუუაზიულ ფსიქოლოგიას ესმოდა, ე. ი. როგორც დახსომებების პროცესების მრავალგზის განმეორების შედეგად დახსომების მექანიზმების ეკონომიური და შეუფერხებელი მოქმედების მიღწევა, არამედ როგორც მოსწავლის მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბების, მისი ყველა პიროვნულ ძალის სწავლის მიზნებისათვის მობრლიზაციის პროცესი, რომელიც სკოლისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

უურადღების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები

I

როგორც ვიცით, გაკვეთილის მიმღინარეობაში მასწავლებელს არა ერთხელ უხდება მოწაფეთა გაფრთხილება, რომ ისინი ყურადღებით იყვნენ. იგი მოწაფეთაგან ყურადღებას მოითხოვს და, ცხადია, უნდა იცოდეს, რასაც მოითხოვს.

პრაქტიკულად ყოველმა მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლე მის მიერ ახსნილ გაკვეთილს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიგებს უკეთ, თუ იგი გაკვეთილს ყურადღებით უსმენს. მასწავლებელი აღვილად ამჩნევს მოსწავლის გულისყური მიპყრობილია თუ არა გაკვეთილის შინაარსის გაეგებისაკენ. ზოგი მასწავლებელი ისეთი ფსიქოლოგიური ალლოთია აღჭურვილი, რომ მოსწავლე მას ყურადღების ძალიან მოხერხებულ სიმულაციასაც ვერ გამოაპარებს.

მაგრამ ცხადია, მარტო ასეთი პრაქტიკული ცოდნა და ფსიქოლოგიური ალლო ნაყოფიერი სწავლებისათვის საკმარისი არ არის. სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აფუძნებს მასწავლებელი თავის საქმიანობას მეცნიერულ ცოდნაზე. კერძოდ ყურადღება სწავლის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია და მასწავლებელი ზედმიწევნით უნდა ფლობდეს იმ ცოდნას; რომელიც ყურადღების შესახებ არსებობს ფსიქოლოგიაში.

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ ყურადღების მეცნიერული რაობის საკითხი. სახელდობრ, აღამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში რა მოვლენებს უნდა ვუწოდოთ ყურადღება? რა უნდა ვიგულისხმოთ ყურადღების ცნებაში?

ამ კითხვებზე ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში მრავალგვარი პასუხი არსებობს.

ა) ე. ინტელექტუალისტური თეორიები ყურადღებაში ინტელექტუალური პროცესებისგან განსხვავებულს არაფერს ხედავთ. ყურადღება მათ დაპყავთ თვითონ წარმოდგენების ცვლილებაზე,

მათი მიმდინარეობის თავისებურებაზე, მათს უპირატეს ძალაშე, რომლითაც ისინი გაბატონებულ ადგილს იკავებენ ჩვენი ცნობიერების ნათელ არეში (პერბარტი). ხშირად მას განიხილავენ ცნობიერების შინაარსის თვისებად (ტიტჩენერი). ყურადღების მოტორული თეორიის. ავტორიც ინტელექტუალისტური თეორიის ნიადაგზე რჩება, რამდენადაც იგი ყურადღების არსს მოტორული დაძაბულობის შეგრძნებებში ჭრეტს.

ბ) მკლევართა ვოლიუნტარისტულად განწყობილი ჯგუფი ყურადღების არსს ნებელობაში ხედავს. ყურადღება მათ მიერ განიხილება, როგორც შემეცნების ნებელობა. აქაც ყურადღება დაყვანილია ნებელობაზე და მასთან შედარებით სპეციფიკურს არაფერს შეიცავს.

გ) ბოლოს ემოციონალისტური თეორიის წარმომადგენლები ყურადღების არსს ემოციაში ხედავენ. ყურადღების ძირითად მოვლენას ჭრეტენ გრძნობის მიმართებაში ინტელექტუალური შინაარსისადმი, შემეცნებისადმი. ამ შეხედულების თანახმად ყურადღების მთავარ პრობლემას ინტერესი შეიცავს.

მოკლედ, ყურადღების ფსიქოლოგიაში დღემდე ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ყურადღებაში სპეციფიკურს ვერაფერს ხედავენ და ამიტომ არის, რომ ფსიქოლოგიაში ყურადღების ცნება თითქმის ვერავითარ როლს ვერ ასრულებს.

გამოსარკვევია, რა არის ყურადღების ფსიქოლოგიაში ასეთი მდგომარეობის მიზეზი, რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

საქმე ისაა, რომ ძველი ბურუუაზიული ფსიქოლოგია სწავლობდა ნაწილობრივ პროცესებს, ფსიქიურ ფუნქციებს და ელემენტებს იდამიანის კონკრეტული საქმიანობისგან მოწყვეტილად. სწავლობდა ისე, თითქოს, ეს ფუნქციები სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობდნენ და მოქმედებდნენ. ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში იგულისხმებოდა და ამჟამადაც იგულისხმება, რომ ეს ნაწილობრივი პროცესები პირველადი პროცესებია და იმთავითვეა მოცემული. კვლევა-ძიება წარიმართებოდა ამ ფუნქციების თავისებურებათა და მათი უშუალო ურთიერთობის კანონების შესასწავლად. ასეთ პრინციპულ მოსაზრებათა გამო ამ ფუნქციათა მატარებელი სუბიექტი, პიროვნება, სავსებით კვლევა-ძიების გარეშე რჩებოდა.

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ მთელი რიგი ძალებისა და, კერძოდ, ყურადღებაც, რომელიც თვითონ პიროვნების აქტივობის სახით გვევლინება, უგულებელყოფილი იყო მკლევართა მიერ. ხოლო, როდესაც პიროვნებიდან მომდინარე რაიმე მოვლენა მაინც

აჩენდა თავს კვლევის პროცესში და ვერ თავსდებოდა ტრადი-
ციული ფსიქოლოგის თეორიულ ჩარჩოში, მას კანონს გარეშე
აცხადებდნენ,

II

საბჭოთა სინამდვილეში ადამიანმა პპოვა თავისი ბუნებრივი აღ-
უნლი საზოგადოებაში. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო
ქმნის აღამიანის ძალთა გაშლისა და გაფურჩქვნის განუსაზღვრელ
შესაძლებლობას. ამით აიხსნება გმირობისა და მამაკრძალის ის
სასწაულები; რომლებიც ჩვენმა ხალხმა გერმანელ ფაშისტებთან
ბრძოლის დროს გვიჩვენა დიდ სამამულო ომში. ამითვე აიხსნება
ჯმირობისა და თავდადების ის სასწაულებიც; რომლებსაც ახდენენ
ჩვენი საბჭოთა აღამიანები ომის შემდგომ მშვიდობიანი შრომის
ფრონტებზე.

შეიცვალა ადამიანის ცხოვრების პირობები, შეიცვალა თვითონ
აღამიანიც. ჩვენ გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახუ-
ლი სრულებით ახალი სოციალური ცხოვრება. საბჭოთა აღამია-
ნი ბურუუაზიული საზოგადოებრივი წყობისაგან პრინციპულად
სავსებით განსხვავებულ ვითარებაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.
ამიტომ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის აღამიანი თავისუფალია იმ
შეზღუდულობისაგან, რომელიც ბურუუაზიული ქვეყნის აღამიანის-
თვის არის დამახასიათებელი. ბურუუაზიული ფსიქოლოგიის კრი-
ზისთ თვითონ ბურუუაზიული საზოგადოების განწირულობის გამო-
ხატულებაა. ამით აიხსნება ის საშინელი რეაქცია, რომელიც ამ-
ჟამად საერთოდ ბურუუაზიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ბურ-
უუაზიულ ფსიქოლოგიაში მძვინვარებს.

საბჭოთა ქვეყნის ადამიანი სრულებით ახალი ადამიანია. იგი
ახალი მოვლენაა ფსიქოლოგიურადაც. ამიტომ არის, რომ საბჭო-
თა აღამიანი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამ შესწავლის პრო-
ცესში საბჭოთა ფსიქოლოგიას გააჩნია მძლავრი დასაყრდენი
მარქს-ენგელსისა, ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების სახით.

„ყოფიერება განსაზღვრავს აღამიანის შეგნებას“, ეს ძირითადი
პრინციპი საბჭოთა ფსიქოლოგიის წინაშე აყენებს ადამიანის, რო-
გორც ისტორიული, აქტიურად მოქმედი სუბიექტის, მთლიანი
პიროვნების შესწავლის ამოცანას. 1947 წლის ივლისში პედაგო-
გიური განათლების საკითხზე მოწვეულ სრულიად რუსეთის ყრი-
ლობაზე პროფესორი ა. ა. სმირნოვი სპეციალურად აღნიშნავდა,
რომ ჩვენი საბჭოთა ფსიქოლოგიის უველაზე დიდ მიღწევად ის
ითვლება, რომ იგი პიროვნების პრობლემას აყენებს, როგორც
თავის ძირითად პრობლემას. პროფ. რუბინშტეინის წიგნის გარ-

შემო გამართულ დისპუტზეც ამას ხაზგასმით აღნიშნავდნენ. კრ-
ძოდ, პროფ. მიასიშჩევი შეჩერდა რა ამ საკითხზე, აღნიშნა, რომ
პიროვნების პრობლემის დაყენებისა და კვლევის საქმეში დადი
მუშაობა ტარდება თბილისში დ. უზნაძის ხელმძღვანელობით.

დ. უზნაძის მიერ ჩამოგალიბებული ფსიქოლოგიური სისტემა—
განწყობის ფსიქოლოგია; საბჭოთა ფსიქოლოგიის უდიდესი მონა-
პოვარია. კრიტიკა, რომელიც ბურუუაზიული ფსიქოლოგიის წი-
ნააღმდევ არის მიმართული, წარმოებს მატერიალისტური დია-
ლექტიკის პრინციპებიდან და ეხება არა ბურუუაზიული ფსიქო-
ლოგიის კერძოულ საკითხებს, არამედ მის პრინციპულ საფუძ-
ლებს, მის დუალიზმს, უშუალობის ჰიპოთეზს, ფსიქიკურის პრიმა-
ტობის პრინციპს, მის მეტაფიზიკურ ბუნებას და სხვ.

დ. უზნაძის მიერ ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების სრულებით ახა-
ლი ფაქტორის—განწყობის აღმოჩენამ ფსიქოლოგიის თითქმის
ყველა საკითხის ახლებურად დაყენებისა და გადაწყვეტის საჭი-
როება გამოიწვია. განწყობის ცნება ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაშიც
არსებობს. მისი საჭიროება ტრადიციულ ბურუუაზიულ ფსიქოლო-
გიაში გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტებით, რომელთაც მკვლევა-
რი ვერ ხსნიდა ძველი, ასოციაციური პრინციპების ნიაღავზე, რადგან
ეს ფაქტები ასოციაციის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ
განწყობის ცნების შინაარსი ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში ისეთია,
რომ მას რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება არ შეუძლია.
საქმე ისაა, რომ განწყობის ქვეშ გულისხმობენ არა მთლიანი სუ-
ბიექტის რაიმე მდგომარეობას, არამედ ცნობიერების ფენომენთა ამა-
თუ იმ მოდიფიკაციას. იქ განწყობა ცნობიერების შინაარსთა რაიმე
კომპლექსის ან მისი ცვლილების ამსახველი ცნებაა, მაშასადამე იგი
ეხება არა ფსიქიკური ცხოვრების სუბიექტს, არამედ თვითონ
ამ ფსიქიკურს, ცნობიერ პროცესებს. ცხადია, განწყობის ასეთი
ცნება ვერავითარ როლს ვერ შეასრულებს ფსიქოლოგიაში.

დ. უზნაძემ აღმოაჩინა სრულებით ახალი სინამდვილე, ჩვენი
ფსიქიკური ცხოვრების სრულებით ახალი ფაქტორი, რომელიც
„ცოცხალი ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობის აქტში ისახე-
ბა“, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მთლიანობითი ხასიათის
მოდიფიკაცია. ეს მთლიანობითი ხასიათის მოდიფიკაცია აშუალებს
ცოცხალი არსების ურთიერთობას გარემოსთან. იგი საერთოდ, ცოც-
ხალი არსებისა და, კერძოდ, ადამიანის ქცევის პირველადი და ძირი-
თადი მნიშვნელობის ფაქტორია.

ადამიანის ქცევა ამ ფაქტორის უშუალო ზეგავლენით და ხელ-
მძღვანელობით წარიმართება, რადგან ქცევა არის სუბიექტის ამ

მთლიანობითი ხასიათის მოდიფიკაციის განხორციელება, ან გაშლა დროსა და სივრცეში. ამ მთლიანობითი ხასიათის მოდიფიკაციას დ. უზნაძე განწყობის სახელით აღნიშნავს და გულისხმობს, რომ ადამიანის ქცევა, მოქმედება, ერთი სიტყვით მთელი მისი ფსიქიკური ცხოვრება აიგება და ხორციელდება განწყობის ნიადაგზე. წარმოადგენს განწყობის რეალიზაციას.

განწყობის თეორიით სრულებით იცვლება მიღებობა—ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებისადმი. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ბურჯუაზიულ ფსიქოლოგიაში ამოსავალს წარმოადგენს არა კონკრეტული საქმიანობის მთლიანი და აქტიური სუბიექტი, არამედ თვითონ ის ნაწილობრივი პროცესები, რომლებიც ამ სუბიექტში მიმდინარეობს, სხვადასხვა განცდის სახით. ეს ნაწილობრივი პროცესები შეისწავლება, აბსტრაქტულად, ისე, თითქოს, ისინი მთლიანი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ და მოქმედებდნენ. მაგ. მეხსიერება განიხილება არა როგორც მთლიანი სუბიექტის ფუნქცია, არამედ შეისწავლება ისე, თითქოს იგი თვითონ იმახსოვრებდეს, აზროვნება განიხილება ისე, თითქოს იგი თვითონ აზროვნებდეს, სუბიექტისგან დამოუკიდებლად. განწყობის ფსიქოლოგის ამოსავალს წარმოადგენს არა სუბიექტში მიმდინარე ნაწილობრივი პროცესები, არამედ თვითონ მთლიანი სუბიექტი. პროცესები განიხილება, როგორც ამ მთლიანი სუბიექტის მთლიანობითი ხასიათის მოდიფიკაციის—განწყობის რეალიზაცია.

მაგრამ ახლა შეიძლება ვიკითხოთ, რა არის თვითონ განწყობა, რა ნიადაგზე წარმოიშობა იგი?

ავტორი მაგალითი, ვთქვათ, ტყეში ნაღირობის დროს მოვეწყურდა, მაგრამ წყალი არსად არაა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, წყურვილი წყურვილად დარჩება და ჩვენ ნაღირობას განვაგრძობთ. მაგრამ საკმარისია საღმე წყალი გამოჩნდეს, რომ ნაღირობა შევწყვიტოთ და წყურვილის დაკმაყოფილება მოვინდომოთ. იმის მიხედვით, თუ რა პირობებში იქნება მოცემული წყალი, სხვადასხვავარად გაიშლება წყლის დალევის ქცევა. თუ წყალი ჩვენს წინ არის და ხელს არაფერი გვიშლის, რომ იგი დავლიოთ, მაშინ ავიღებთ ჭურჭელს, რომელიც თან გვაქვს, გავავსებთ მას წყლით, მივიტანთ ტუჩებთან და დავლევთ. თუ ასეთი რამ არა გვაქვს თან, მაშინ შესაძლებელია წყლის დალევა, პირდაპირ ვცალოთ წყაროდან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მივმართავთ მოძრაობათა მთელ რიგს, რომელთა მიზანი იქნება წყურვილის დაკმაყოფილება. ჩვეულებრივ ასეთ მოძრაობებს ქცევას უწოდებენ. ჩვენს მაგალითში

საქე გვაქვს წყლის დალევის ჭცევასთან. ჭცევა სავსებით განსაზღვრული მოვლენაა, რომელიც გარკვეულ პირობებში წარმოიშობა. რა არის ეს პირობები?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოთხოვნილება, წყურვილი იქნება თუ სხვა რამ, სულ ერთია. მაგრამ მხოლოდი (წყურვილი) მოთხოვნილება, როგორც ეს ჩვენს მაგალითშიაც დავინახეთ, ჭცევას ვერ წარმოშობს, საჭირო ხდება მეორე პირობაც. ეს არის გარემოს გარკვეული პირობები, რომლებშიც მოთხოვნილების საგანჩია მოთავსებული. ამრიგად, ჭცევის წარმოშობის მეორე პირობას გარკვეული გარემო წარმოადგენს. მაგრამ ეს უკანასკნელიც, წყურვილის ქონების გარეშე, ჭცევას ვერ წარმოშობს. წყურვილის გარეშე, თვით უმშვენიერესი წყაროც კი ვერ მიგვიზიდავს წყლის დასალევად. აქედან ცხადია, რომ მოთხოვნილება და გარემო— ჭცევის ორი აუცილებელი ფაქტორია. ჭცევის წარმოშობისათვის ორივე აუცილებელია: ერთი მათგანი ჭცევას ვერ გამოიწვევს.

მაგრამ საკითხი ისმის, თუ როგორ წარმოშობს ეს ორი ფაქტორი ჭცევას. მოთხოვნილებისა და გარემოს ცნებები ცალ-ცალკე აღებული თავის შინაარსში სრულებით არ შეიცავს იმის განსაზღვრებას, თუ როგორი უნდა იყოს კონკრეტული ქცივა. წყურვილი რომ ავილოთ, მასში სრულებით არაა განსაზღვრული, თუ ჩანაირი იქნება ის მოძრაობები, რომლებიც მისი დაკმაყოფილების მიზანს ემსახურება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია სხვადასხვა მოძრაობის საშუალებით. ეს მოძრაობანი კი დამკიდებულია პირობებზე. იგივე ითქმის ყოველგვარ მოთხოვნილებაზე, როგორც ქცივის სუბიექტურ ფაქტორზე. მოთხოვნილება არის ქცევის მხოლოდ ზოგადი ფაქტორი.

მოთხოვნილებისაგან დამოუკიდებლად, არც გარემოს ცნებაშია მოცემული ქცევის კონკრეტული ფორმის განსაზღვრება. გარემოს ცნებაშიც, თუ მას სუბიექტისაგან დამოუკიდებლად ავილებთ, არა-ფერი განსაზღვრავს ქცევის კონკრეტულ სახეობას. ერთისა და იმავე გარემოს მიმართ უამრავი სხვადასხვა ქცევა არის შესაძლებელი. წყალი შეიძლება დავლიოთ, გადავასხათ, წყალში შეიძლება რაიმე მოვხარშოთ, გავრეცხოთ. ამრიგად, ერთისა და იმავე ნივთიერების მიმართ უამრავი სხვადასხვა ქცევა შესაძლებელი იმის მიხედვით, თუ რა თვისებების მქონეა იგი და რა კონკრეტულს ვითარებაშია მოცემული. მაშასადამე, გარემოს ცნებაც თავისთავად აღებული კონკრეტული ქცევის განსაზღვრებას არ შეიცავს. მაშ, როგორ უნდა იქნეს წარმოდგვენილი ამ ორი ფაქტორის მნიშვნელობა ქცევისათვის? ეს ორი ფაქტორი ქცევაზე გავ-

ლენას უშუალოდ როდი ახდენს. იგინი განაპირობებენ იმ ფაქტორს, რომელიც ქცევას უშუალოდ განსაზღვრავს, განაპირობებენ სუბიექტის განწყობას და ეს უკანასკნელია, რომ ქცევის კონკრეტულ განსაზღვრებას შეიცავს. როდესაც მოთხოვნილების მქონე სუბიექტი, მაკ. მონადირე, ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ მაგალითში, ისეთ გარემოში მოხვდება, რომელშიც წყალია მოცემული, ამ უკანასკნელის გავლენით მთლიანობითი ხასიათის ცვლილებას განიცდის. მწყურვალი სუბიექტის ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ იგი წყლის დასალევად მოიმართება, წყლის დალევის ქცევისთვის განეწყობა. ამ მომენტიდან იგი იქცევა არსებად, რომელიც წყლის დასალევადა მომართული. ეს გამართულობა, ან განწყობა წინ უსწრებს წყლის დალევის ქცევას და თავის რეალიზაციას მასში ჰპოებს. ამრიგად, მოთხოვნილება და გარემო უპირველესად ყოვლისა განსაზღვრავენ სუბიექტის განწყობას. ხოლო ქცევა, როგორც განწყობის რეალიზაცია, ამ უკანასკნელის (განწყობის) ნიადაგზე და მისი ხელმძღვანელობით მიმღინარეობს. მაშასადამე, სანამდე სუბიექტი რაიმე ქცევას დაიწყებდეს, იგი ჯერ ამ ქცევისთვის უნდა განეწყოს. ამიტომ გარემოსთან პირველადს ურთიერთობას უშუალოდ ფსიქიკური, ან ქცევა კი არ ამყარებს, არამედ ამ ფსიქიურის, ამ ქცევის სუბიექტი. ქცევის დამოკიდებულება გარემოსთან განწყობითაა გაშუალებული. გარემო სუბიექტის განწყობაში აისახება პირველადად, ხოლო ფსიქიური პროცესები და ქცევის პრაქტიკული აქტები, როგორც ამ განწყობის რეალიზაცია, გარემოსთან არის არა უშუალო ურთიერთობაში, არამედ სუბიექტის განწყობითაა გაშუალებული.

ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ როდესაც სუბიექტი რაიმე ქცევისათვის არის განწყობილი, ამ მომენტში შეიძლება მასზე უამრავი გამლიზიანებლები ახდენდეს ზეგავლენას. მაგალითად: ათასგვარი ხმა, მცენარეულობა, სურნელებანი და სხვ. მაგრამ შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ იგი ყველაფერს ამას აღიქვამს? ცხადია, არა. სანადიროდ განწყობილი ადამიანისათვის ტყეში ყველა გამლიზიანებელს არ აქვს მნიშვნელობა. იგი მასზე ზემოქმედ გამლიზიანებელთაგან აღიქვამს მხოლოდ იმას, რასაც მისთვის მნიშვნელობა აქვს. მავრამ რაზეა დამოკიდებული ის, თუ რას აქვს მისთვის მნიშვნელობა? ცხადი უნდა იყოს, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ქცევისთვის არის იგი განწყობილი. ტყეში წყლის მოთხოვნილების მქონე ადამიანისთვის მნიშვნელობას ის გარემო იძენს, რომელშიც წყალია მოცემული და არა ნაღირი. წყლის შემცველი გარემო იქცევა მისთვის სიტუაციად. უამრავ გამლიზიანებელთა-

ვან მასზე გამლიზიანებელთა ის წრე ახდენს ზეგავლენას, რომელიც შეიტუაციაში შემოღის, როგორც მისი კომპონენტი.

წყლის დასალევად განწყობილმა შესაძლებელია სრულებით ვერ შეამჩნიოს ნადირის სიახლოების მანიშნებელი გამლიზიანებლები. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან წყურვილი დაიკმაყოფილა, ე. ი. მის შემდეგ რაც მოხდა წყლის დალევის განწყობის რეალიზაცია და იგი ისევ სანადიროდ განეწყო, ახლა მას ბუჩქების უმნიშვნელო ინტენსივობის შრიალსაც ვერ გამოაპარებ. იმის გამო, რომ მის-თვის წყლის შემცველი გარემო უკვე სიტუაციას აღარ წარმოადგენს, მან შესაძლებელია ახლა მშვენიერ წყაროს ისე ჩაუაროს გვერდით, რომ „ყურადღება“ არც კი მიაქციოს.

შეიძლება ითქვას, რომ გარემოსთან განწყობისეული დამოკიდებულება სუბიექტურია. სანადიროდ განწყობილი აღამიანი ტყეში ბუჩქებს და ხეებს აღიქვამს, როგორც სინამდვილეს, რომელშიც შეიძლება ნადირი იმალებოდეს. მაგრამ კვლევა-ძიებისთვის გან-წყობილი ბოტანიკოსი იმავე საგნებს აღიქვამს, როგორც სინამ-დვილეს, რომელშიც შესაძლებელია, მისთვის საინტერესო მცენა-რეთა ჯიში მოიძებნოს. ამრიგად, თუ რას და როგორ აღიქვამს სუბიექტი, ეს მისი ქცევის აქტუალურ მიზნებზე, მის განწყობაზეა დამოკიდებული.

აღამიანის ფსიქიკური ცხოვრების განწყობისეულ პლანში უცვლე-ლი არაფერია. თვით ერთი და იგივე სინამდვილეც კი იმის მი-შედვით, თუ როგორია სუბიექტის განწყობა, განსაზღვრულის აზრით, ცვალებადობას განიცდის, რამდენადაც იგი ამ პლანში უშუალო, მომენტის ინტერესებითაა განსაზღვრული.

ავილოთ მაგალითი: ვთქვათ, მეგობრისაგან წერილი მივიღეთ. წავიკითხეთ იგი და პასუხის მიწერის მოთხოვნილება გაგვიჩნდა. ვიმყოფებით ოთახში, საღაც საწერი მაგიდა არის მოთავსებული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა უნდა მოხდეს. მე მექმ-ნება პასუხის წერის განწყობა, რომელიც რეალიზაციას პპოებს შემდეგ ქცევაში: მე მივდივარ მაგიდასთან, ალვიქვამ სკამს, რომე-ლიც შეიძლება უხერხულად იდგეს, მე მას ვაბრუნებ მაგიდისაკენ; ალვიქვამ ხაზებიან საფოსტო ქაღალდს, რომელიც მაგიდის მარჯ-ვენა მხარეს ძევს, ვიღებ მას და წინ ვდებ; ალვიქვამ საწერ-კალამს, ვიღებ მას ხელში; ალვიქვამ სამელნეს, რომლის თავიც დახურუ-ლია, ავხდი მას, ვაწობ მასში კალამს და ვიწყებ წერას. ჩვენ ვხე-დავთ, რომ წერილის წერის ქცევის განხორციელების პროცესში მე ალვიქვამ არა ყოველგვარ გამლიზიანებელს, რომელიც შესაძლე-ბელია ჩემზე ახდენდეს ზეგავლენას, არამედ ალვიქვამ სავსებით

განსაზღვრულს, წერის ქცევის თვალსაზრისით აქტუალურს, იმ სა-
გნებს, რომლებიც სიტუაციაში შემოდის. შაგრამ ამ საგნებსაც იმდე-
ნად აღვიქვამ, რამდენადაც ეს საჭიროა წერის ქცევის რეალიზაციისა-
ხვის. ცხადია, რომ თითოეულ მათგანს: სკამს, მაგიდას, ქალალდს,
საწერ-კალამს, სამელნეს მე ნათლად აღვიქვამ. ეს იქიდან ჩანს, რომ
მე მათ სავსებით აღექვატურად ვეპყრობი. მაგრამ თითოეულის უ-
ქმა წერილის წერის მთლიან პროცესშია ჩართული და სავსებით
განისაზღვრება იმ განწყობით, რომელიც ამ ქცევას უდევს საფუძ-
ვლად. მაგალითად, ქალალდი. იგი მთელი წერის პროცესში ჩემ
თვალშინაა, მას ვხედავ ნათლად. მაგრამ წერის ქცევის განხორცი-
ელებისათვის სავსებით საკმარისია, თუ მე დავინახავ მის სითუ-
რეს და ხაზიანობას. ჩემს ქცევაში ამ შემთხვევაში ქალალდი შემო-
დის, როგორც ამ თვისებათა მატარებელი. ჩემი აღქმის შინაარსს
ქალალდის ეს თვისებები ქმნიან. ცხადია, ქალალდს უამრავი სხვა-
თვისებებიც გააჩნია, მაგრამ რამდენადაც იგი წერის ქცევისა-
თვის არ არის აქტუალური, იმდენად მე მას არ განვიცდი.

იგივე ქალალდი სხვა ქცევაშიც შეიძლება თყოს ჩართული და
ალიქმებოდეს ამ სხვა ქცევის განწყობის ნიადაგზე. მაგალითად
ჩემ საწერ მაგიდაზე მე მტვერი შევნიშნე. ჰიგიენური მოთხოვნი-
ლებისა და იქვე არსებული ქალალდის გავლენით, იმავე ქალალ-
დისა, რომელზეც გუშინ წერილს ვწერდი, მე შეიძლება მაგიდის
გასუფთავების ქცევის განწყობა შემექმნეს. ასეთი ქცევისთვის
განწყობილი ადამიანი, ცხადია, ქალალდს ალიქვამს არა რო-
გორც ნივთს, რომელზეც წერენ, არამედ როგორც ნივთიერებას,
რომელიც შეიძლება დაიქმუქნოს და შაგიდის გასუფთავების ქცე-
ვას შეუწყოს ხელი. მაშასაღამე, იგივე ქალალდი, რომელზეც გუ-
შინ წერილს ვწერდი, ახლა სრულებით სხვა ქცევის სიტუაციის
კომპონენტად გვევლინება და ულიქმება სრულებით სხვა განწყობის
ნიადაგზე. ახლა ქალალდი შემოდის ჩემს ცნობიერებაში არა თვი-
სი სითეროით და მასზე გავლებული პორიზონტალური ხაზებით,
არამედ სულ სხვა თვისებებით. მაგიდის გასუფთავების ქცევისთ-
ვის ქალალდის ეს თვისებები სრულებით არ არის აქტუალური.
ჩვენ მათ არც ვაქცევთ „ყურადღებას“. ჩემი ქცევა წარმატებით
განხორციელდება, თუ ეს ნივთიერება (ქალალდი) საკმაოდ ჩამოიძი-
ლა ადვილად იქმუქნება. ჩემი აღქმის შინაარსს ამჟამად ქალალდი
ამ თვისებებით ქმნის. მაშასაღამე იმავე ნივთის, რომელზეც გუშინ
წერილს ვწერდი, აღქმის შინაარსი საფუძვლიანად იცვლება, მისი
სხვა ქცევაში ჩართვის გამო.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ აქტუალური განწყობის რეალიზა-

ციის პროცესში ჩართულ საგანთა აღქმა იცვლება ჩემი განწყობის შეცვლასთან ერთად. იგი განწყობის რეალიზაციის პროცესის გარკვეულ რგოლს წარმოადგენს, ამ პროცესში იგი გარკვეულ როლს ასრულებს. მისი დანიშნულება იმაშია, რომ მთლიანი ქცევის რაიმე კერძოული აქტის განხორციელებას შეუწყოს ხელი. შესარულებს თუ არა იგი თავის მოვალეობას, ჰქარგავს მნიშვნელობას სუბიექტისთვის და, გარდა საგანგებო შემთხვევებისა, დავიწყებას ეძლევა.

ჩვენ მიერ ზემომოყვანილ შაგალითებში ქალალდის აღქმა, არსალარ იძენს სუბიექტისთვის დამოუკიდებელ ღირებულებას. იგი ქცევის მიმდინარეობაშია ჩართული, როგორც მისი ერთ-ერთი რგოლი. ქალალდი ქცევის მიმდინარეობაში არსად დაბრკოლებას არ ქმნის. მისი ზემოაღწერილი აღქმა სავსებით საკმარისი ხდება ქცევის გარკვეული აქტების განხორციელებისათვის. ეს აღქმა რომ ყოველ თვის ნათელი და გარკვეული არ ყოფილიყო, სუბიექტი ვერ მოახერხებდა, სავსებით ადექვატურად მოპყრობოდა მას.

პრაქტიკულ ქცევაში ჩართული საგნები რომ ნათლად აღიქმება, ეს ზოგიერთმა სხვა ავტორმაც შენიშნა, მაგრამ აღქმის ეს სინათლე მათ ყურადღების ფუნქციად მიაჩნია. დ. უზნაძის კონცეფციის ნიადაგზე სავსებით გასაგები ჩანს, რომ ამ შემთხვევაში არავითარ ყურადღებაზე არ შეიძლება ვილაბარაკოთ. პრაქტიკულ ქცევაში ჩართულ ობიექტთა აღქმის სინათლეს სავსებით უზრუნველყოფს ქცევის საფუძველში მდებარე განწყობა. ჩვენს მაგალითებში სუბიექტს არც ერთხელ არ უხდება ყურადღების მიპყრობა ქცევაში ჩართულ ობიექტებისათვის. განწყობისეული შემეცნება პრაქტიკული შემეცნებაა. სიტუაციის საგნები აისახებიან ჩვენი აღქმის საშუალებით, მაგრამ აისახებიან არა. მათი ობიექტური რაობის თვალსაზრისით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა როლის შესარულება შეუძლიათ მათ ჩვენი ქცევის აქტუალური მიზნებისათვის.

მაგრამ ხომ არის მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც სიტუაციაში ჩართული საგნების ასეთი განწყობისეული აღქმა სრულებით არ აღმოჩნდება საკმარისი ჩვენი ქცევის წარმატებით განხორციელებისათვის. ხშირად ხდება ისე, რომ რაიმე განწყობის ქცევაში რეალიზაციის პროცესში, მის რომელიმე მომენტში დაბრკოლება ჩნდება და ქცევა ვერ მიდის წარმატებით წინ, იგი ფერხდება.

რა ხდება ასეთ შემთხვევებში? დაუბრუნდეთ ზემომოყვანილ მავალითს. ვთქვათ, წერილის წერა უნდა დავიწყო. ვიღებ საწერალამს, ვაწებ სამელნეში და ვიწყებ წერას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჭალამი არ წერს, ქალალდზე ჭალს არ აჩენს. რა მოხდება ასეთს

შემთხვევაში? ცხადია, რომ მე შევჩერდები, ცხადია, რომ
ასეთ შემთხვევაში არავინ გააგრძელებს წერითს მოძრაობებს. ხდება
შეჩერება, ქცევა წყდება. მაგრამ ეს შეჩერება სრულებით არ
ნიშნავს ყოველგვარი აქტივობის აღკვეთას. პირიქით, ასეთ შემ-
თხვევაში, მართალია, წერის აქტუალური ქცევა წყდება, მაგრამ
იწყება სრულებით ახალი ქცევა. შეჩერება იმისთვის მოხდა, რომ ეხ-
ლა შევუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ რა მიზეზით არ წერს კალა-
ში. ამის მიზეზი შეიძლება თვითონ კალაშის უვარებისობა იყოს,
შაგალითად, ის აღმოჩნდეს დაუანგული ან გატეხილი. ან შეიძლე-
ბა იგი იმიტომ ვერ წერდეს, რომ სამელნეში მელანია ამომშრალი

წერა რომ დავიწყეთ, ცხადია, საწერ-კალაშიც აღვიქვით და სა-
მელნეც. მაგრამ ეტყობა ეს აღქმა, განწყობისეული აღქმა, ვერ აღ-
მოჩნდა საქმარისი წერის ქცევის წარმატებისთვის. წერის ქცევა
შეწყდა და ჩვენ ვუბრუნდებით ისევ იმავე საგნებს ხელმეორედ აღ-
ქმისთვის. საწერ-კალაში და სამელნე ახლა ჩვენთვის იძენს დამო-
უკიდებელ ღირებულებას, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვი-
თონ ხდებიან მიზნად და ობიექტად იქცევიან. ეს აქტი ღრმა პი-
როვნულ ცვლილებას წარმოადგენს და მოასწავებს სუბიექტის აქ-
ტივობის მეორე პლანში გადასვლას. დ. უზნაძე ამას ობიექტი-
ვაციას უწოდებს¹.

დ. უზნაძე ობიექტივაციის რამდენიმე თავისებურებას აღნიშ-
ნავს. ა) „...ობიექტივაცია ქცევის შეწყვეტას, ერთხანს შეჩერე-
ბას ნიშნავს“. ბ) „ობიექტივაციის შემდგომი თავისებურება ისაა,
რომ იგი სუბიექტის შემეცნებითი აქტივობის, ასე ვთქვათ, „თეო-
რიული ქცევის“ აუცილებელ პირობად და ელემენტად იქცევა“
ჩვენს მაგალითში წერის ქცევა წყდება და მე ვჩერდები საწერ-კა-
ლამზე, რათა გამოვარკვიო რა მიზეზები იწვევს წერის შეფერხე-
ბას. მე წერის გაგრძელების ნაცვლად შემაფერხებელი რგოლის
კვლევა-ძიებას ვიწყებ, ჩემი პრაქტიკული დამოკიდებულება საწერ-
კალამის მიმართ იცვლება თეორიული დამოკიდებულებით. აქედან
წარმოსდგება ობიექტივაციის მესამე თავისებურებაც. გ) „...იგი
შესაძლებლობას გვაძლევს, ჩვენი შემეცნებითი ფუნქციები ხანგ-
რძლივად შევაჩეროთ ერთსა და იმავე შინაარსზე და ამ გზით ამ
უკანასკნელის შედარებით უფრო ზუსტი და სრული შემეცნებითი
ასახვა უზრუნველყოთ. სხვანაირად: ობიექტივაცია ობიექტივირე-
ბული შინაარსის მკაფიო და ცხადი გაცნობიერების შესაძლებლო-
ბას იძლევა“.

¹ დ. უზნაძე, ფსიქოლოგიური ცხოვრების ორი პლანის შესახებ. თეზისები მო-
სენებისათვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე.

დ) შემდეგ, თავისებურებას ობიექტივაციისას ის ქმნის, რომ „ობიექტივაცია... განწყობის ნიადაგზე გაცნობიერებულ შინაარსებს ეხება და ცნობიერებას ის კი არ აძლევს პირველად შინაარსს, არა. ასეთი შინაარსი მანამდეა განწყობისეულად წარმოდგენილი: ის ამ შინაარსს სხვა ქცევის პროცესში რთავს მხოლოდ, სახელდობრ: „შემეცნებითი ქცევის“, ან „თეორიული ქცევის“ პროცესში—სხვა ქცევის ელემენტად აქცევს და არა თვითონ ქმნის მას. ამიტომ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ობიექტივაცია უბრალოდ გაცნობიერებას ნიშნავს, რომ ეს ორი ცნება არსებითად იდენტური ცნებებია“¹.

ჩვენს მაგალითში ობიექტივაცია ჩვენი აღქმის შინაარსის პირველად გაცნობიერებას არ ახდენს. საწერ-კალამი წერის დაწყების პროცესშიც იყო მოცემული: იმისათვის, რომ წერა დაჟეშუო, ცხადია, საწერ-კალამი უნდა ამელო. მაგრამ იმისათვის, რომ ეს გამეცეთებინა, საწერ-კალამი უნდა ნათლად აღმექვა. მაშასადამე, სანამდე საწერ-კალპის ობიექტივაციას მოვახდენდი, იგი უკვე აღქმული მქონდა. მაგრამ ეს აღქმა არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წერილის წერა გამეგრძელებინა. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ ჩემი დამოკიდებულება საწერ-კალმისადმი განისაზღვრებოდა წერის ქცევის აქტუალური მიზნებით, წერის ქცევის აქტუალური განწყობით. მე მისი განწყობისეული აღქმა მქონდა. ამიტომ ვერ შევნიშნე მისი ძირითადი მანკი. განწყობისეული აღქმა ამისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი. ქცევა შეფერხდა მისი განხორციელების გარკვეულ მომენტში, მოხდა შემაფერხებელი შინაარსის ობიექტივაცია. ეს ნიშნავს, რომ ეს შინაარსი დგება ეხლა ჩემ წინაშე, როგორც საგანგებო შემეცნების ობიექტი.

დ. უზნაძის მითითების თანახმად ფსიქოლოგიაში ყურადღების სახელით ცნობილ ფუნქციას სხვა არაფერი არა აქვს გასაკეთებელი, გარდა ამ სპეციფიკურ მოქმედებისა, რომელიც არ დაიყვანება დღემდე ცნობილი კატეგორიის ფსიქიკურ აქტივობაზე. ყურადღების არსს ასეთი შემაფერხებელი მომენტების ობიექტივაცია წარმოადგინს. მაგრამ თუ ეს ასე არის, მაშინ ნათელი ხდება, თუ რა აზრით არის შესაძლებელი ყურადღებაზე, როგორც „ზოგად უნარზე“ ან ფსიქიკურის მიმდინარეობის ზოგად პირობაზე ვილაპარაკოთ. ყურადღება არის ფსიქიკური ცხოვრების არა ყოველგვარი გამოვლინების და მიმდინარეობის პირობა, არამედ იგი ქმნის ჩვენი ფსიქიკური ცხოვ-

¹ დ. უზნაძე,—ყურადღების არსის პრობლემისათვის. ფსიქოლოგია, ტ. IV 1947, გვ. 155.

რების მიმდინარეობის მეორე პლანს¹; იგი არის ჩვენი შემეცნება-თი აქტივობის პირობა, თეორიული ქცევის წარმოშობისა და მიმდინარეობის პირობა.

რაც შეეხება აღამიანის ფსიქიკის იმპულსურს, აქტუალურ მიმდინარეობას, მას სავსებით უზრუნველყოფს განწყობა.

ობიექტივაციის აქტი პიროვნების განწყობის შეცვლას ნიშნავს. ფსიქიური ცხოვრების აქტუალური პლანიდან თეორიულში, ე. ი. მეორე პლანში გადასვლა შოასწავებს იმას, რომ აქტუალური ქცევის განწყობა იცვლება თეორიული ქცევის განწყობით. ეს ცვლილება გარკვეულად აისახება სუბიექტის ცნობიერებაში. ფსიქიური ცხოვრების პირველ პლანში, ქცევის განწყობისეული მიმდინარეობის პროცესში სუბიექტი და ობიექტი არ არის ურთიერთობისგან გამოყოფილი. ისინი ორივე შთანთქმულია ქცევის მიმდინარეობაში. მაგრამ ასეთი ქცევის მიმდინარეობის იმ მომენტში, როცა ობიექტივაციის აქტი ხდება, ერთ შესანიშნავ მოვლენას აქვს აღგილი. ქცევის შემაფერხებელი რგოლი ამოვარდება ქცევილან. დ. უზნაძე მას ახასიათებს, როგორც აქტუალური განწყობისეული ქცევის მთლიანი პროცესიდან მისი ერთი რგოლის ამოვარდნას. თითქოს ქცევის ამ მომენტის სუბიექტისაგან განშორებას აქვს აღგილი მისისთვის, რომ სუბიექტმა მას უკეთ შეხედოს.

ზაგრამ ობიექტივაციის აქტს დ. უზნაძის მითითების თანახმად მეორე მხარეც აქვს. იგი არა მარტო ქცევიდან მისი შემაფერხებელი რგოლის ამოვარდნას, არამედ სუბიექტის ამორთვასაც ნიშნავს. საქმე ისაა, რომ ობიექტისაციის აქტში სუბიექტში იღვიძებს ემოციურად შეფერილი სპეციფიური მდგომარეობა, შემეცნების ინტერესის სახით. შემეცნების ამოცანა გადაუწყვეტელია, სანამ შემეცნების ინტერესი არ იქნება დაკმაყოფილებული.

მაგრამ რაზეა დამოკიდებული ებ შემეცნებითი ინტერესს დაკმაყოფილება? იგი დამოკიდებულია აზროვნებაზე. ობიექტივაციის ნიადაგზე გაშლილი აქტივობა უმთავრესად ყოველთვის შემეცნებითი აქტიობაა. ამ უკანასკნელის წარმატება არის შემეცნების ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობა. ობიექტივაცია ამ აზრით იძლევა შემეცნების საგანს და მას თნარჩუნებს მანამ სანამდე აზროვნება ამ საგნის მიმართ წარმატებით არ შეასრულებს თავის საქმეს. თვითონ აბიექტივაცია, ცხადია, არ არის ცნობიერების შინაარსი და არც შეიძლება ჩყოს, რაღაც იგი პიროვნების ცვლილება.

დ. უზნაძე – ფსიქიური ცხოვრების ორთ პლანის შესახებ. მოხსენება საქ. სსრ შეც. აკადემიის სამეცნიერო სესიაზე, 1947.

ის ფაქტი, რომ აზროვნებას საგანი აქვს, რომ იგი ყოველთვი
ასამეზეა მიმართული, სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ ობიექტს
აზროვნება ქმნის. საგანი ყოველთვის არსებობს აზროვნებამდე და
აზროვნებისაგან დამოუკიდებლად. აზროვნება მხოლოდ საგნის
აზროვნების სახით არსებობს და მის გარეშე ფიქციას წარმოად-
გენს. მაგრამ, თუ რა იქნება აზროვნების საგანი აღამიანის კონკ-
რეტულ ქცევაში, ეს თვითონ აზროვნებაზე სრულებით არაა და-
მოკიდებული. აზროვნების საქმეა საგანთა არსისა და მიმართებუ-
ბის წვდომა. რაც შეეხება საგანს, იგი მას ობიექტივაციის აქტით
ეძლევა¹.

ობიექტივაცია აზროვნებას საწყისსაც აძლევს და მის მიმართულე-
ბასაც განსაზღვრავს. ამიტომ, ცხადია, რომ იგი ლოგიკურადაც პირ-
ველია (რადგან აზროვნება რამეზე აზროვნებას ნიშნავს, ეს რამაც
აზროვნებამდე უნდა არსებოდეს) და ფაქტიურადაც წინ უსწ-
რებს მას.

შვიდწლიანი ბავშვის ყურადღების საკითხზე ჩვენ მიერ ჩატარე-
ბულ გამოკვლევაში დადგენილი იყო ზოგიერთი ფაქტი, რომელ-
შიც ობიექტივაციის აქტი უთუოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ
იმის გამო, რომ ბავშვის ცნებითი აზროვნება არ არის მომწიფე-
ბული, აზროვნების გაშლას არა აქვს აღგილი.

ეს ფაქტები შემდეგში მდგომარეობს: 6-დან 7 წლამდე ასაკის
ბავშვებს ეძლევათ კლასიფიკაციის ამოცანები.

ბავშვის წინ ვდებთ ორ ნიმუშს ზოგად „ცნებათა ლოტოდან“²:
ვაშლისა და ვარდის სურათებს. ხელთ გვაქვს კიდევ 5—5 სხვადა-
სხვა ხილისა და ყვავილების სურათები. ბავშვს ასეთი ინსტრუქ-
ცია ეძლევა: „ეხლა მე შენ სურათებს მოგცემ, ასეთები (მივუთი-
თებთ ვაშლის სურათზე) აქ დადევი; ხოლო ასეთები (მივუთითებთ
ვარდის სურათზე)—აქ“. შემდეგ ცდები ასე მიმდინარეობს: ბავშვს
ეძლევა მსხლის (ნაყოფის) სურათი. იგი მას ვაშლთან დებს. ამის
შემდეგ ეძლევა ხილის სამი სხვადასხვა სურათი ზედიზედ: კომში-
სა, ლელვისა და ბლისა. იმის შემდეგ, რაც მას ბავშვი ხილთან
დასდებს, ეძლევა ყვავილის სურათი. ბავშვთა მნიშვნელოვან ნაწილს
ეტყობა ყვავილის ხილთა ჯგუფში მოთავსების ტენდენცია. ეს თავს
იმაში, იჩენს, რომ ყვავილის სურათს რომ მიიღებს, ბავშვს „ხელი
გაექცევა“ ხილის ჯგუფისაკენ, მაგრამ ზოგი მათგანი სურათს გზა-
ში აჩერებს და შეჩერების შემდეგ, ისევ ყვავილთა ჯგუფისაკენ მი-

¹ დ. უზნაძე, „ყურადღების არსის პროცესისათვის“, ფიქოლოგია, ტ. IV,
გვ. 153.

² ბ. ხაჭაპურიძე, „ზოგადი ცნებათა ლოტო“, ლილაქტიკური მასალები.

აქვს. ზოგი შეცდომას ასწორებს მის შემდეგ, რაც ყვავილის სურათი შეკვე დასდო ხილთა ჯგუფში.

ბავშვების მეორე ნაწილი ასე იქცევა: მიიღებს თუ არა ყვავილის სურათს, ჩერ დე ბა. იგი სურათს დახედავს, შემდეგ ჯგუფებს გადახედავს, ხან ერთს, ხან მეორეს და შემდეგ სურათი ყვავილთა ჯგუფისკენ მიაქვს. აქ ობიექტივაციის გარე გამომულავნება ნათელია. მაგრამ იგივე ფაქტი უფრო მյაფიოდ ჩანს ცდების შემდგომ მიმდინარეობაში. ჩვენ ცდებში შემოგვაქვს კრიტიკული ობიექტი ფრინველის სურათის სახით. იგივე ცდები ტარდება შემდეგის დამატებით. მის შემდეგ, რაც ც. პ-ს ყველა საკლასიურიკაციო სურათები მიკვეცით, ე. ი. მან 5—5 სურათის შესაფერ ჯგუფებისთვის მიკუთვნება დაამთავრა, მას ეძლევა კრიტიკული ობიექტი, ოფოფის სურათი. როგორც ცდების ზემომოცემული აღწერიდან ჩანს, იქ ბავშვის თვალშინ ორი ჯგუფია, ხილისა და ყვავილისა. ფრინველების ჯგუფი იქ მხედველობის ველში არ იმყოფება. ც. პ-ს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ოფოფის სურათი ცალკე დადოს. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ბავშვმა მოახდინა ოფოფის ობიექტივაცია, ამ ნიაღაგზე განასხვავა იგი, როგორც მის თვალშინ არსებული ჯგუფებისათვის შეუფერებელი რამ და „გახსნა“ ახალი ჯგუფი. ამას ბავშვი მაშინ გააკეთებს, თუ მას ფრინველის ცნება, ან მისი ფუნქციონალური ექვივალენტი¹ გააჩნია. როგორ წყვეტს ბავშვი ამ ამოცანას?

ტიპიური სურათი ასეთია: ბავშვების ერთი ნაწილი მიიღებს თუ არა ოფოფის სურათს, იგი მიაქვს მის თვალშინ არსებული ერთ-ერთი ჯგუფისაკენ. აქ ხშირად ბავშვი შეცდომასაც ვერ ამჩნევს კითხვაზე „რატომ დადევი აქ?“, ბავშვი უპასუხებს: „იმიტომ, რომ ჭამს“. (მაგალითად მაშინ, როდესაც ოფოფი, მან ხილის ჯგუფში მოათავსა). ასეთ შემთხვევებს ჩვენ ვუწოდეთ ამოცანის განწყობისეული გადაწყვეტა².

არსებობს ამოცანის წარმოშობისა, მაგრამ მისი გადაუწყვეტლობის შემთხვევებიც. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ეს წარმოადგენს. ბავშვების ერთი ნაწილი, მიიღებს თუ არა კრიტიკულ ობიექტს, ჩერდება, უყურებს მის თვალშინ არსებულ ორ ჯგუფს და ოფოფის სურათს, შემდეგ ექსპერიმენტატორს. სურათი ხელში ჩერდა და იცდის. ზოგი მათგანი კითხულობს „სად წავილო სურათი“. ეს ის ბავშვებია, რომელთაც არც ფრინველის ცნება აქვთ და არც მისი „ფუნქციონალური ექვივალენტი“.

¹ პროფ. რ. ნათაძე, „ცნების შემუშავების გრძეზისისათვის“, თბილისი, სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები № 12, 1940 წ.

² ა მოსიავა, შვიდწლიანი ბავშვის ყურადღება, ხელნაწერი, 1946 წ.

რას ნიშნავს ეს ფაქტი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინაშეა ფაქტი ობიექტივაციისა. ბავშვი ჩერდება, აკვირდება კრიტიკულ სურათს და ჯგუფებს, მაგრამ იმის გამო, რომ მას ფრინველის ცნება ჯერ კიდევ მომწიფებული არა აქვს, ამოცანას ვერ წყვეტს. ან სხვის აზროვნებას, ექსპერიმენტატორის აზროვნებას მოიხმობს პროცენტის გადასაწყვეტად. ჩვენ წინაშეა ობიექტივაცია, შეიძლება ითქვას აზროვნების საწყისიც, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ბავშვი კითხულობს, „სად წავიღოო“, მაგრამ აზროვნება გაშლას ვერ ახერხებს მისი მოუმწიფებლობის გამო.

ამავე კატეგორიის მოვლენა უნდა იყოს ზოგი ფრიად საინტერესო ფაქტი, რომელიც ა. ავალიშვილს აქვს მითითებული თავის „შრომაში „ქართველი ბავშვის მეტყველების განვითარების შესახებ დაბადებიდან 4 წლის ასაკამდე“¹, ე. წ. კითხვების პერიოდში. 1,5, წლიდან 2,5 წლამდე არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ბავშვი კითხულობს „რა არის ეს“, მაგრამ მას ყოველგვარი პასუხი აქმა-ყოფილებს. სრულებით არ დაგიდევს იმას, სწორია, თუ არა ეს პასუხი. კითხვა, უდაოდ არის ობიექტივაციის გამოვლინება. ბავშვის განვითარებაში კითხვების პერიოდის ესოდენ დიდი მნიშვნელობა მისი შემეცნებითი ფუნქციების მომწიფებისა და განვითარებისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს. კითხვების პერიოდში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბავშვი „გარჯიშობს“ ობიექტივაციაში.

ობიექტივაციის პირველობის მაჩვენებელი ფაქტები ჩვენს სხვა გა- მოკვლევებშიც არის დადგენილი². მოზრდილებზე ჩატარებულ ცდებ- შიც დასტურდება არა ერთი შემთხვევა, როდესაც ც. პირი სანამ- დე კრიტიკულ სიტყვას გაიგებდეს; მანამ ჩერდება მასზე ერთხანს; გაგება იმ სიტყვის მნიშვნელობისა, რომელიც მას ობიექტივაციის, მომენტში ეძლევა მნიშვნელობას მოკლებულ და უაზრო ბერათა, კომპლექსის, ან გეშტალტის სახით, ყოველთვის ობიექტივაციის შედეგად ხდება.

ყველა ზემომოყვანილი ფაქტი ჩვენთვის ნათელს ხდის ობიექტივ გაციის ცნების უპირატესობას. იგი საშუალებას იძლევა ყურადღე- ბა განვასხვავოთ ინტელექტუალური პროცესებისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ცნებაში ნაჩვენებია ყურადღების სპეციფიკურო- ბა, და, მაშასადამე, მისი ინტელექტუალურ პროცესზე დაყვანის შეუძლებლობა.

¹ ა. ავალიშვილი, „ქართველი ბავშვის მეტყველების განვითარება დაბადები- დან 4 წლის ასაკამდე“, 1948 წ. (ხელნაწერი).

² ა. მოსიავა, „მასალები ობიექტივაციის პრობლემისათვის“, ფსიქოლ. ტ- 111, 1946 წ.

ობიექტივაციის აქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღამიანის კხოვრებაში. იგი მხოლოდ აღამიანისთვისაა. დამახასიათებელი, აღამიანის განასხვავებს და აყენებს ცხოველზე მაღლა. იგი ათავით სუფლებს აღამიანის მომენტურობის კლანჭებისაგან და საშუალებას, აძლევს მას, სანამ ქცევის პრაქტიკული აქტების განხორციელებას დაიწყებდეს, მანამ გაითვალისწინოს ის ვითარება, რომელშიც მას მოქმედება უხდება და ისც, თუ როგორ სჯობია მოქმედება¹.

III

ობიექტივაციის ცნების თვალსაზრისით ყურადღების შესახებ არსებულ გამოკვლევათა გადათვალიერებისას თვალში გვეცემა ერთი შეუსაბამობა: გამოკვლევათა უმრავლესობა იმდენად თვითონ ყურადღების მოვლენებს არ ეხება, რამდენადაც სხვა ფსიქიკურ ფუნქციებს: აღქმას, აზროვნებას და მექსიერებას. ძალიან ხშირად ეს ცდები არა ერთ რომელიმე ფუნქციას, არამედ აღამიანის მთლიან მოქმედებას ეხება და გულისხმობს, რომ ყურადღებას იყვალევს. ასეთი ცდები ორმაგ, ან მრავალმაგ მოქმედებებზე, ცდებთ ყურადღების გადანაცვლებაზე და სხვა.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ეს გამოკვლევები ყურადღების ცნების ყალბ გაეგებას ემყარება. წანამძღვარი, რომელიც ყურადღების შესახებ არსებულ თითქმის ყველა გამოკვლევას აქვს საფუძლად, მდგომარეობს იმაში, რომ ყურადღება ნაგულისხმევია, როგორც ჩვენზე ზემოქმედ შთაბეჭდილებათვან, გარკვეული ჯგუფის სინათლისა და სიცხადის უშუალოდ უზრუნველყოფი ფაქტორი, ჩვენს გარედ არსებული მოვლენები და საგნები პირველად მაშინ ჩნდება ჩვენთვის, როდესაც მას ყურადღებას მივაქცევთ. ამრიგად ნაგულისხმევია, რომ უშუალო ურთიერთობას სინამდვილესთან ჩვენ ყურადღების საშუალებით ვამყარებთ.

ეს ასე იგულისხმება: ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენზე ზემოქმედ უამრავ შთაბეჭდილებათვან ყურადღება შეარჩევს და გამოყოფს შთაბეჭდილებათა განსაზღვრულ ჯგუფს და მასზე ახდენს ჩვენი ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციას. ამის შედეგად ეს შთაბეჭდილება და ან შთაბეჭდილებათა ჯგუფი გახდება ცხადი და ნათელი.

მართლაცდა დღემდე, როგორც ამას ობიექტივაციის ცნების ავტორი დ. უზნაძე მიუთითებს, ყურადღებისთვის არსებით ნიშანად სამი ნიშანი ითვლება:

ა) შერჩევა — სელექცია. ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენზე უამრავი გამლიზიანებელი მოქმედებს. მაგრამ ჩვენი ცნობიერების მათელ არეში ყველა როდი შემოდის. ყურადღება შერჩევას ახდენს,

¹ დ. უზნაძე, „აღამიანის ფსიქიკური ცხოვრების ორი პლანის შესახებ“.

იგი შთაბეჭდილებათა გარკვეულ ნაწილს უშვებს ჩვენი ცნობიერების ქარებში, დანარჩენს კი უარს ეუბნება. ამრიგად გამღიზიანებელთა შერჩევა, სელექცია ყურადღების არსებით ნიშნად არის მიჩნეული.

ბ) კონცენტრაცია. ყურადღება ამ შერჩეულ და გამოყოფილ შთაბეჭდილებებზე ჩვენი ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციას ახდენს. იგულისხმება, რომ ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენ ფსიქიკური ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობას ვფლობთ. ყურადღება ამ ენერგიას განსაზღვრული შერჩეული შთაბეჭდილებისაკენ მიმართავს.

გ) ამის შედეგად ეს შთაბეჭდილება უფრო ცხადი და ნათელი ხდება. ის საგანი, რომელსაც ყურადღებას ვაქცევთ უფრო ცხადად და ნათლად არის მოცემული, ვიდრე ის საგანი, რომელსაც ყურადღება არ ეცევა.

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად ყურადღებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებლად სიცხადე, გამოკვეთილობა, სინათლე უნდა ჩაითვალოს. მიღებულია, რომ მხოლოდ ის შთაბეჭდილება განიცდება ცხადად და ნათლად, რომელსაც ყურადღებას ვაქცევთ. ყურადღება წარმოდგენილია, როგორც გარკვეული ენერგიის მქონე შუქურა, რომელიც ანათებს მხოლოდ იმას, რაც მის შუქს ქვეშ მოხვდება.

ყურადღების არც მეორე ნიშანი, (კონცენტრაცია) არაა წარმოდგენილი ფსიქოლოგიაში ერთი გარკვეული მნიშვნელობით. ზოგი ამ ცნების გეომეტრიულ ასპექტს აქცევს ყურადღებას. ამ შემთხვევაში საკითხი ყოველთვის იმას ეხება, თუ როგორია ყურადღების ველის ფართობი, შთაბეჭდილებათა რა რაოდენობა. ეტევა მასში. ზოგი ამ ცნებას ხმარობს ქიმიის ანალოგიურად და ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ყურადღების ხარისხს ან ინტენსივობას იქცევა მეტი ყურადღება. ზოგიერთი ცდები ჩატარებული ყურადღების განაწევრებაზე და განსაკუთრებით გადახრის საკითხის შესასწავლად გულისხმობს, რომ ყურადღება არის გარკვეული ოდენობა ფსიკიკური ენერგიისა, რომელსაც ყოველ მოცემულ მომენტში ვფლობთ.

რაც შეეხება სელექციის ცნებას, იგი შედარებით ერთმნიშვნელოვნად იხმარება ფსიქოლოგიაში და მუდამ ნიშნავს ყოველ წუთს ჩვენზე მოქმედ უამრავ გამღიზიანებელთაგან საესებით განსაზღვრულის შერჩევას ყურადღების მიერ.

დ. უზნაძემ თავის ცნობილ გამოკვლევაში ყურადღების შესახებ გვიჩვენა, რომ არც ერთი ზემო დასახელებული ნიშანი ყურადღებასთან არ არის არსებითად დაკავშირებული, რომ ყველა ეს მოვლენები: სელექცია, კონცენტრაცია და სიცხადე ან სინათლე ყურადღების მონაწილეობის გარეშეც, სრულებით სხვა ფაქტორის

წიაღაგზეც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს. მართლაცდა, როგორ შეიძლება, რომ ყურადღებას არჩევის მოხდენა დაევალოს. იგი ხომ ტრადიციული შეხედულების მიხედვით შუქურად არის მიჩნეული! მაგრამ ეს თუ ასეა, თუ ყურადღების ფუნქცია განათებაშია, მაშინ როგორ შეიძლება იგი შერჩევას ახდენდეს. თუ იგი პროექტორია, მისთვის ხომ სულერთია, თუ რა შინაარსი მოხვდება მის შუქს ქვეშ. ერთი სიტყვით თუ ყურადღება არა შინაარსეული, არა-შედ ფორმალური ფუნქციაა, მაშინ მასზე შთაბეჭდილებათა შერჩევისა, ან სელექციის დაკისრება შეუძლებელია.

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ზოგ მომენტში შთაბეჭდილებათა სელექციის მართლა აქვს აღგილი. ყოველ წუთს ჩვენზე ზემოქმედ შთაბეჭდილებათაგან ჩვენ მივიმართებით არა ყველაფრისადმი, არამედ სავსებით განსაზღვრულ შთაბეჭდილებათა კომპლექსზე. რა არის ის ფაქტორი, რომელიც შთაბეჭდილებათა ამ სავსებით განსაზღვრული წრის გამოყოფას და ჩვენი ქცევის მათი ადექვატურად წარმართვას უდევს საფუძვლად? დ. უზნაძის ძირითად შეხედულებათა თანახმად, როგორც ეს ზემოთაც დავინახეთ, ასეთ შინაარსობრივ კატეგორიას განწყობა წარმადგენს. მაშასადამე განწყობა არის ის ფაქტორი, რომელიც შთაბეჭდილებათა შერჩევას უდევს საფუძვლად. განწყობის ცნების შინაარსის განხილვიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ როდესაც მოთხოვნილების მქონე სუბიექტი ამ მოთხოვნილების საგნის შემცველ გარემოში მოხვდება, მისი გავლენით იგი მთლიანობითი ხასიათის მოღიტიკაციას განიცდის. იგი გარკვეული ქცევისათვის განეწყობა. მაგრამ ამიერიდან გარემოც იცვლება მის მიმართ. ახლა მასზე, თუმცა უამრავი სხვადასხვაგვარი გამლიზიანებელი შეიძლება ახდენდეს გავლენას, მაგრამ მისთვის მხოლოდ იმ საგნებს აქვს მნიშვნელობა, რომლებიც მისი მომავალი ქცევის სიტუაციაში შემოდის. ამიტომ მხოლოდ ასეთ გამლიზიანებელთა წრე იძენს მასზე განსაკუთრებული გავლენის უნარს. აქედან კი ჩანს, რომ შთაბეჭდილებათა შერჩევას სულ სხვა საფუძველი აქვს და ყურადღების საქმეს სრულებით არ წარმოადგენს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ შეუძლებელია კლასიკურ ტაქისტოსკოპურ ცდებში ყველაფერი ისე იქნეს წარმოდგენილი, როგორც ეს. ამ ცდებშია წინასწარ ნაგულისხმევი.

ტაქისტოსკოპურმა ცდებმა განვითარება განიცადა. 1. თავდაპირველად მკვლევარები ცდ. პირებს აძლევდნენ ელემენტარულ შთაბეჭდილებებს, განლაგებულს მოუწესრიგებლად იმისთვის, რომ

ვამოერიცხათ — აზრიანობის ფაქტორი. აღმოჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში ცდ. პირს შეუძლია საშუალოდ ექვსი ელემენტარული შთაბეჭდილების აღქმა.

2. მაგრამ შემდეგ კვლევა-ძიებაში დადგინდა, რომ 6 ელემენტარული შთაბეჭდილება უშუალო მეხსიერების მოცულობასაც წარმოადგენს. მაგ., 10-12 უაზრო მარცვლის ერთხელ წაკითხვის შედეგად ცდ. პირი საშუალოდ 6 უაზრო მარცვალს იმახსოვრებს. ამრიგად აღმოჩნდა, რომ ყურადღებისა და უშუალო მეხსიერების მოცულობა ერთმანეთს ემთხვევა.

3. ტაქისტოსკოპური ცდებისშე მდგომი განვითარება იმაში გამოიხატა, რომ ელემენტარულ შთაბეჭდილებებს აძლევდნენ არა სიმულტანურად (იმავდროულად), არამედ სუქუესიურად (თანმიყოლებით). ცდის პირს ეძლევა მეტრონომის კაკუნი. აღმოჩნდა იგივე კანონზომიერება: ცდ. პირი ისმენს მეტრონომის კაკუნის განსაზღვრულ რაოდენობას ისე, რომ მოსმენის პროცესში არ თვლის. თუ კაკუნის რაოდენობა 6-ს არ აღემატება, ცდ. პირს შეუძლია შისი დათვლა მოსმენის შემდეგ, ე. ი. ჯერ მოისმენს კაკუნთა ჯგუფს და მის შემდეგ, რაც იგი შეწყდა, დასთვლის მას.

გამოიჩინა, აგრეთვე, რომ თუ კაკუნთა ჯგუფი 7-ს აღემატება, მაშინ ცდის პირს შისი რაოდენობის განსაზღვრა არ შეუძლია, მაგრამ 7-ზე მეტი რაოდენობის კაკუნის შეცცველ ორი ჯგუფის შედარებას (10—12) კი ახერხებს, ე. ი. შეუძლია დაუთვლელად განსაზღვროს, თუ რომელი ჯგუფი შეიცავს კაკუნის მეტ რაოდენობას.

4. ახალს გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ საკითხის კვლევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყურადღების მოცულობისათვის ელემენტარული მასალის განლაგებას ტაქისტოსკოპში და აგრეთვე მასალის აზრიანობას. დადასტურდა, რომ თუ ელემენტარული მასალა (წერტილები, ციფრები, ასოები და სხვ.) ცდ. პირს გარკვეული ფორმით ან აზრიანად განლაგებული სახით ეძლევა, მაშინ ყურადღების მოცულობა იზრდება. მაგ., თუ წერტილები დალაგებულია ასე:

მაშინ ცდის პირს შეუძლია გაცილებით მეტი რაოდენობის აღქმა, ვიდრე ეს მაშინ, როდესაც აგივე წერტილები მოუწესრიგებლად ეძლევა მას. ამ შემთხვევაში ყურადღების მოცულობა ერთისამად იზრდება. ასეთივე შედეგია მიღებული ასოებისა და ციფრების მიმართაც. თუ ასოები არა უაზროდ, არამედ აზრიანი სიტყვის სახით ეძლევა ცდის პირს, მაშინ მას გაცილებით მეტის წაკითხვა შეუძლია.

5. შემდგომში კვლევამ დაადასტურა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყურადღებას საქმე აქვს არა ელემენტებთან (ცალკე წერტილებთან, ასოებთან და სხვ.), არამედ მთელებთან. ჩვენ მიერ ზემომოყვანილ მაგალითში ყურადღება წვდება არა ცალკე წერტილებს, არამედ წერტილების ოთხ ჯგუფს. რაც შეეხება წერტილების სრული რაოდენობის განსაზღვრას, ეს შემდეგ ხდება. ამის გარდა დადგინდა; რომ ყურადღება ელემენტარულ შთაბეჭდილებებს ამთლიანებს, აჯგუფებს მაშინაც კი, როდესაც ისინი ობიექტურად მოუწესრიგებლად ეძლევა.

საქმარისია ოდნავი დაკვირვება, რათა დავინახოთ, რომ ასეთ გამოკვლევებში ყველგან იგულისხმება ერთი წინასწარი, შეუმოწმებელი მოსაზრება: ყურადღებაა, რომ უშუალოდ უზრუნველყოფს შთაბეჭდილებათა სინათლეს, რომ არსებობს გარევეული განათებული ველი და, რაც იქ მოხვდება, ყველაფერი ნათლად იქნება. განცდილიო. ამრიგად, იგულისხმება, თითქოს, გარემო სინამდვილესთან უშუალო ურთიერთობას ჩვენ ყურადღების საშუალებით ვამყარებდეთ, პირველადი შთაბეჭდილება ჩვენთვის ყურადღების საშუალებით ხდებოდეს ცნობიერი.

მაგრამ არის თუ არა სინამდვილეში ასე? ეს რომ ასე იყოს, მაშინ აუცილებლად შთაბეჭდილებათა ექსპოზიციისა და მათი რაოდენობის განსაზღვრის მომენტები ურთიერთს უნდა ემთხვეოდეს. ტაქისტოსკობის ფანჯრის გაღებისთანავე უნდა ნათელი იყოს, თუ რა შთაბეჭდილებებია და რამდენი.

მაგრამ ეს რომ ასე არაა, ნაწილობრივ გაირკვა ე. წ. შთაბეჭდილებათა სუქცესურად მიწოდების ცდებში. ფსიქოლოგიურს ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ ერთ შესანიშნავ მაგალითზე: ვთქვათ, გზაზე მიღიხარ რაღაც ფიქრებში გართული. უცებ ამჩნევა, რომ გუმბათიდან საათი რეკდა თურმე. შენ მხოლოდ უკანასკნელი რეკვა მოისმინე¹. ხშირად, თუ ეს რეკვა 7-ს არ აღემატებოდა, შენ შეგიძლია განსაზღვრო რეკვის რაოდენობა. ამ შემთხვევაში ფაქტია, რომ საათის ყველა ცემა რაღაცნაირად მოგისმენია ისე, რომ მოსმენს პროცესში არ დაგითვლია, უ. ი. საათის რეკვათა რაოდენობის რაღაცნაირი მოცემულობა გაქვს. ახლა უბრუნდები ამ პირველადს მოცემულობას და განსაზღვრავ მის რაოდენობას. მაშასადამე შესაძლებელია რაიმე აღიქვა ისე, რომ მას ყურადღებით არ ეპყრობოდე და შემდეგ მიაქციო ამ აღქმულს ყურადღება.

ანალოგიურია მდგომარეობა ტაქისტოსკობურ ექსპერიმენტშიც.

¹ აკად. დ: უზნაძე, როვორც მან გადმოგვცა, ობიექტივაციის ცნებამდე ანალოგიური ფაქტის მეობებით მრვიდა.

ყველამ, ვისაც ტაქისტოსკოპური ექსპერიმენტი მოუხდენია, კარგად იცის, რომ ცდ. პირის ქცევა ტაქისტოსკოპურ ცდებში ყოველთვის ასეთია: იგი დაძაბულად უყურებს ტაქისტოსკოპის ფანჯარას. მის შემდეგ, რაც მოხდება მასალის ექსპოზიცია, იგი ერთხანს ჩერდება და ფიქრობს, შემდეგ ჩამოთვლის, თუ რა ნახა. აქ სრულებით არ არის ერთი პროცესი, მხოლოდ ყურადღების პროცესი. ამის გარდა, აქ ყურადღება სრულებით არ არის ფუნქცია, რომელსაც პირველადად და უშუალოდ აქვს საჭმე მიწოდებულ შთაბეჭდილებებთან. იმისათვის, რომ ც. პირმა გამლიზიანებელთა რაოდენობა განსაზღვროს, ცხადია, მას ყურადღება უნდა მიაწყიოს. მაგრამ ყურადღება რომ მიაქციოს, ეს გამლიზიანებლები ხომ უნდა არსებობდნენ მისთვის როგორმე, რაიმე განცდის სახით, ისინი ხომ უნდა იყვნენ შენიშნულნი. ტაქისტოსკოპურ ცდებში სწორედ ამას აქვს ადგილი: ც. პირი გაფრთხილებულია ყურადღებით იყოს იმისათვის, რომ მიღებული ელემენტარული შთაბეჭდილებები განსაზღვროს. პირველი, რასაც ის აკეთებს, ეს მასალის აღქმაა, შთაბეჭდილების მიღებაა, მასალის შენიშვნაა, მისი ნათელი აღქმაა. მაგრამ ამისათვის ყურადღება სრულებით არ არის საჭირო.

როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი საჭმის ნამდვილი ვითარება? ცდების ჩატარების წინ ყოველი ინსტრუქცია, როგორც ამას თანამედროვე ფსიქოლოგიაში არა ერთი ფსიქოლოგი მიუთითებს, ც. პირს განწყობას უქმნის. როდესაც ჩვენ ც. პ. ვეუბნებით: „უყურეთ ტაქისტოსკოპის ფანჯრის შუა ნაწილს, იქ გამოჩნდება ასოები და ისევ გაქრება. თქვენ გევალებათ, დააკვირდეთ იმ ასოებს. და მითხრათ რამდენია?“. ცხადია, რომ ამ ინსტრუქციით ცდ.. პირს განვაწყობთ ასოების აღსაჭმელად. მას უჩნდება ჯერ ცნობისმოყვარეობა, როგორც განწყობის სუბიექტური, ფაქტორი. წარმოსახვის, ნიადაგზე მას ასოების აღქმის განწყობა უჩნდება, რომელიც უზრუნველვყოფს:

1. შერჩევას იმ აზრით, რომ ცდების სიტუაციაში მასზე სხვა უამრავი გამლიზიანებლებიც ახდენენ ზეგავლენას, მაგრამ იგი მხოლოდ ტაქისტოსკოპის ფანჯრისკენ მიიმართება, მასზე ზეგავლენას მხოლოდ ტაქისტოსკოპი და მასში მოთავსებული მასალა. ახდენს.

2. ტაქისტოსკოპით მიწოდებული მასალის (ასოების) ნათელ და ცხად აღქმას. ამისათვის ყურადღების მონაწილეობა სრულებით არ არის საჭირო. საკმარისია მარტოოდენ განწყობა. ხოლო ყურადღების აქტივობა რომ დაიწყოს, სავსებით აუცილებელია, მა-

სილა აღქმული იქნეს, იგი განწყობისეულად იყოს მოცე-
მული.

მაგრამ როგორია ეს აღქმა? ტაქისტოსკოპური კითხვის ჩვეულე-
ბრივ ცდებში დგინდება, რომ სუბიექტი აღიქვამს მთლიან სიტყვას
და არა ასოების რაოდენობას. ეს ასეა ყველაზე კითხვის ცდებში
და გამონაკლისს ვერ ვხვდებით. ასოების რაოდენობა შემდევ შეი-
ძლება დავითვალოთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყურადღების მო-
ცულობაზე ლაპარაკი გაუგებრობას წარმოადგენს.

იგივე დასტურდება იმ ცდებშიც, სადაც ამოცანას არა ელემენ-
ტების განსაზღვრა, არამედ სიტყვის მნიშვნელობის წვდომა წარ-
მოადგენს. ჩვენს ერთ-ერთ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დადგენილ
იქნა, რომ ცდ. პირი ნაკარნახევ სიტყვას ისმენს ნაწილობრივად:
სიტყვის მნიშვნელობის წვდომამდე, მას ერთ ხანს მხოლოდ მისი
ბგერითი გეშტალტის განცდა აქვს.

როგორც ითქვა, ობიექტივაციის ფაქტორს ყოველთვის შეფერ-
ხება წარმოადგენს. მაგრამ ეს შეფერხება შეიძლება გამოწვეულ
იქნეს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებითაც. წერის
პროცესში შეიძლება საწერ-კალამის უვარვისობამ შემაფერხოს:
ობიექტივაციას აქ ეს ობიექტური მიზეზი წარმოშობს. მაგრამ
როგორც ეს ჩვენს ცდებში დადასტურდა¹. შესაძლებელია სუბი-
ექტს გარკვეული მოქმედების განწყობის ფიქსაცია მოუხდინოთ და
შემდეგ ამ განწყობის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დავაყენოთ.

ასეთ შემთხვევაშიც წარმოიშობა ქცევის დაბრკოლება. არსებით
თად ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მდგომარეობა გვაქვს,
მაგრამ განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით მაინც განსხვავე-
ბულია. ფიქსირებული განწყობის ახალ სიტუაციისადმი შეუსატე-
ჭვისობის ნიადაგზე წარმომდგარი დაბრკოლების შემთხვევაში ცდის
პირი ან ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე განაგრძობს მოქმედე-
ბას და ამიტომ ქცევა. ახალი სიტყვისადმი შეუფერებელი გამოდის,
ან იგი დიდხანს ჩერდება, ახალი ამოცანის ობიექტივაციას ახდენს.

ცდების შინაარსი მოკლედ შემდეგში მდგომარეობს. ცდის პირს
ეძლევა 20 უცხო სიტყვა, რომელიც ლათინური შრიფტით უნდა
დაწეროს. იგი მას სწრაფად წერს ზედმიულებით. ოცი სიტყვის
დაწერის შემდეგ მას უცებ რუსული, ან ქართული სიტყვა, მაგა-
ლითად „გემი“ ეძლევა დასაწერად. ცდის პირი ამ სიტყვასაც
ლათინური შრიფტით წერს. უფრო ხშირად კი იგი ჩერდება, მთა-
ცემულ სიტყვას არ წერს: იგი საწერად მომართული იცდის და

¹ ა. მოსიავა, „მორალური ობიექტივაციის პროცესებისათვის“, ფსიქოლოგია,
ტომი VII.

რალაცაზე ფიქრობს. კითხვაზე „რატომ არ წერთ“, უპასუხებს „რა ციტყვაა გემი, უცებ ვერ მოვიგონე“. ცდის პირები აცხადებენ: „მაქვს, ბგერითი სიტყვა მნიშვნელობის გარეშე“. „პირველად ვფიქრობ იმაზე, რომ მოვიგონო ეს მნიშვნელობა“. ამ მნიშვნელობას მოკლებულ ბგერათა კომპლექსს ჩვენ მაშინ „აკუსტიკური გეშტალტი“ ცუშტოდეთ. ეს მნიშვნელობას მოკლებული ბგერათა კომპლექსი, ბგერების უბრალო თავმოყრა როდია, იგი როგორც მთელი, როგორც ბგერითი სიტყვა განიცდება. ცდის პირებიც ასე უწოდებენ მას. იგი სიტყვის ნამდვილი განწყობისეული აღქმაა და წარმოიშობა ფიქსირებული განწყობის ახალით შეცვლის მიჯნაზე, ისეთ მდგომარეობაში, როდესაც სუბიექტი ჯერ კიდევ უცხო ენის ფიქსირებული განწყობის ბრკყალებში იმყოფება, როდესაც მის წინაშე ახალი ენის აღექვატურად გადახალისების ამოცანა დგება, ძველი განწყობის, უცხო ენაზე წერის განწყობის ფიქსაციის გამო, ამას იგი უცებ ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, ის გრძნობს ახალი სიტუაციის შეუფერებლობას მისი ძველი განწყობისადმი და ამიტომ ჩერდება. აი სწორედ ამ მდგომარეობაში აქვს მას ეს აკუსტიკური. ვეშტალტი, რომლის რაობის გასარკვევად იგი მასზე ჩერდება. ცხადია, რომ ეს აკუსტიკური გეშტალტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სიტყვის ნამდვილ აღქმას, რადგან სიტყვის ნამდვილი აღქმა ყოველთვის გულისხმობას არა მარტო შინაარსს (ბგერით გეშტალტს), არამედ მნიშვნელობასაც ამიტომ ეს აკუსტიკური გეშტალტი ჩვენ მაშინ შეგრძნებითი აღქმის კატეგორიის მოვლენად ჩავთვალეთ. ეს არის ის პირველადი განწყობისეული მოცემულობა, რომელზეც ც. პ. ჩერდება, რომლის ობიექტივაციასაც ახდენს. აღნიშნული ცდები ხელსაყრელი აღმოჩნდა იმით, რომ მან საშუალება მოვცემისა და განწყობისეული განცდის გამონაშევრებისა. ამ ცდებში ნათელი შეიქნა, რომ ობიექტივაციას ყოველთვის წინ უსწრებს. შთაბეჭდილების განწყობისეული მოცემულობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტაქისტოსკოპურ და სუკცესურ ცდებში დადასტურებული მთლიანობითი ხასიათის განცდა, რომლის შემდგომი რაოდენობით განსაზღვრა ხდება, სავსებით დაიყვანება ჩვენს ფენომენზე, სიტყვის პირველად მოცემულობაზე, „აკუსტიკურ გეშტალტზე“.

ამრიგად, ტაქისტოსკოპურად, სიმულტანურად მოწოდებული ელემენტების შემთხვევაში აღიქმება პირველ ჩიგში მთელი, ხოლო მისი ნაწილების რაოდენობის განსაზღვრა შემდეგ ხდება. მთელის აღქმას კი სავსებით უზრუნველყოფს განწყობა.

მაგრამ შემდეგ ელემენტარულ შთაბეჭდილებათა რაოდენობის განსაზღვრა, ან კიდევ მნიშვნელობის წვლომა ხომ ხდება? და, აი,

როგორ ხდება ეს? რაოდენობის განსაზღვრას, ცხადია, ყურადღების ფუნქციად არავინ ჩათვლიდა. რაოდენობის განსაზღვრა, მნიშვნელობის წვდომა და ჯგუფების შედარება არა ყურადღების, არამედ აზროვნების საქმეა. მიმართებათა დასადგენად ადამიანს აზროვნება აქვს. მაშინ რალა რჩება?

შთაბეჭდილებათა აღწმა, როგორც ვნახეთ, ყურადღებას არ საჭიროებს. არც რაოდენობის განსაზღვრა არის ყურადღების საქმე, იგი აზროვნების ფუნქციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ყურადღებას მაინც რჩება გასაკეთებელი ფრიად დიდი მნიშვნელობის საქმე. მისი ფუნქცია აღქმული მთელის ობიექტივაციაშია შდგომარეობს. ფაქტიური ვითარების დაკვირვებული ანალიზი ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, რომ მის შემდეგ, რაც ცდის პირმა ექსპოზიციის მომენტში მთლიანი ჯგუფი შენიშნა, აღიქვა, იგი ერთხანს ჩერდება მასზე, მის ობიექტივაციას ახდენს, მას ხელმეორედ აღიქვამს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ჩერდება იმ ხატზე, რომელიც მომენტურად აღქმის შედეგად დარჩა მასში, მის ობიექტივაციას ახდენს. აი ეს შეჩერება, ობიექტივაცია, როგორც ზემოთ აღნიშნავდით, არის ყურადღების მოქმედების არსი. იგი იმას ნიშნავს, რომ განწყობისეულად მოცემულის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იცვლება. იგი ჩვენი აქტივობის მეორე პლანში გადასვლას, თეორიულ პლანში გადასვლას ნიშნავს. შეჩერება, ობიექტივაცია (ჯგუფის ობიექტივაცია) ქმნის პირობას ამ მთელის ანალიზისას, მასში მისი წევრების დასადასტურებლად, ან მისი მნიშვნელობის დასადგენად, იგი აზროვნების მიმართულებას განსაზღვრავს.

მაგრამ ეს თუ ასეა, მაშინ სრული უაზრობა უნდა იყოს ყურადღების მოცულობაზე ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ყურადღებას უშუალოდ სრულებით არა აქვს საქმე გამოიზიანებლებთან, ელემენტებთან, შინაარსთან. იგი არ არის შინაარსობრივი ცნება. ასეთ შინაარსობრივ ცნებას განწყობა წარმოადგენს. ყურადღება წინასწარ გულისხმობს შინაარსების მოცემულობას, თუ როგორია ეს შინაარსები, ეს დამოკიდებულია არა ყურადღებაზე, არამედ განწყობაზე. თვით ყურადღებისათვის სულერთია რა შინაარსიც იქნება. იგი ობიექტივაციაში მდგომარეობს, ე. ი. განწყობისეული პროცესის შეჩერებას და მეორე პლანში გადასვლას ნიშნავს.

IV

კონცენტრაცია. როგორც აღნიშნავდით, ბურუჟაზიულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციას ყურადღების ერთ-ერთ არსებით ნიშნად თვლიან. იგულისხმება, რომ აღამიანს

ფსიქიკური ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა გააჩნია: ყურადღება ჩეენზე მოქმედ მრავალ შთაბეჭდილებათაგან განსაზღვრულის შერჩევას ახდენს, ამავე დროს მისკენ მიმართავს ჩვენს ფსიქიკურ ენერგიას. ყურადღების ობიექტი შეიძლება ერთი იყოს, ან რამდენიმე. რაც უფრო მეტია იმ ობიექტთა რაოდენობა, რომლებსაც ყურადღებას ვაქცევთ, მით უფრო ნაკლები ენერგია იხარჯება თითოეულ მათგანზე და, მაშასადამე, მით უფრო ბუნდოვნად განიცდება ისანი და, პირიქით. ყურადღებასა და შთაბეჭდილებას შორის არსებული ეს მიმართებანი ასე იყო ფორმულირებული: რაც უფრო მეტია ყურადღების კონცენტრაცია, მით უფრო ვიწროა მისი ცელი, მით უფრო ნაკლებია იმ საგანთა რაოდენობა, რომლებიც ყურადღებით აღიქმება. ხოლო რაც უფრო მეტია ყურადღების განაწევრება, ე. ი. იმ საგანთა რიცხვი, რომლებსაც ყურადღება ქვევა, მით უფრო ნაკლებია ყურადღების კონცენტრაცია, ე. ი. მით უფრო ნაკლები ფსიქიკური ენერგია მოდის თითოეულ ობიექტზე. ამრიგად, ყურადღების კონცენტრაცია და განაწევრება უკუპროპორციულ მიმართებაში იყო ნაგულისხმევი.

ასე მაგალითად, ცდის პირს, რომ ორმაგი მოქმედების შესრულება დავავალოთ, ვთქვათ რაიმე მოთხოვობის შინაარსის მოსმენა და იმავე დროს ერთნიშნა რიცხვთა შეკრება, დავინახავთ, რომ ხეირიანად ვერც ერთს ვერ გააკეთებს. სულ სხვაა, როდესაც თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ასრულებს. თითოეულის შესრულების მაჩვენებლები გაცილებით მეტია და უკეთესი, ვიდრე ის მაჩვენებლები, რომელთაც ცდ. პირი ამ ორი მოქმედების ერთდროულად შესრულებისას იძლევა.

რატომ ხდება ასე? შტერცინგერი ფიქრობს, რომ როდესაც ცდ. პირი ამ მოქმედებებს ცალ-ცალკე ასრულებს, თითოეულზე მთელი ყურადღება, ე. ი. მთელი ფსიქიკური ენერგია არის მიმართული, მაგრამ, როდესაც ცდის პირი ორივეს ერთად ასრულებს, ყურადღება შუაზე იყოფა, თითოეულ მოქმედებაზე ყურადღების მხრიდან ნახევარი მოდის. ამიტომ, გასაგებია, რომ მოქმედების შესრულების მაჩვენებლებიც უარესდება და კლებულობს.

სხვა ავტორთა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ კონცენტრაციისა და დისტრიბუციის უკუპროპორციულობის კანონი მთლად. სწორი არ უნდა იყოს. გარკვეულს ფარგლებში შესაძლებელია ყურადღების განაწილების ზრდასთან ერთად ყურადღების კონცენტრაციაც იზრდებოდეს.

ჩვენ სპეციალურად გამოვიყვლით ეს საკითხი და დავადგინეთ, რომ მოქმედებანი, რომელიც შედარებით აღვილია და მათთ

როგორ ხდება ეს? რაოდენობის განსაზღვრას, ცხადია, ყურადღების ფუნქციად არავინ ჩათვლიდა. რაოდენობის განსაზღვრა, მნიშვნელობის წვდომა და ჯგუფების შედარება არა ყურადღების, არა მედ აზროვნების საქმეა. მიმართებათა დასადგენად ადამიანს აზროვნება აქვს. მაშინ რაღა რჩება?

შთაბეჭდილებათა აღწმა, როგორც ვნახეთ, ყურადღებას არ საჭიროებს. არც რაოდენობის განსაზღვრა არის ყურადღების საქმე, იგი აზროვნების ფუნქციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ყურადღებას მაინც რჩება გასაკეთებელი ფრიად დიდი მნიშვნელობის საქმე. მისი ფუნქცია აღქმული მთელის ობიექტივაციაში მდგომარეობს. ფაქტიური ვითარების დაკვირვებული ანალიზი ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, რომ მის შემდეგ, რაც ცდის პირმა ექსპოზიციის მომენტში მთლიანი ჯგუფი შენიშნა, ალიქვა, იგი ერთხანს ჩერდება მასზე, მის ობიექტივაციას ახდენს, მას ხელმეორედ აღიქვამს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ჩერდება იმ ხატზე, რომელიც მომენტურად აღქმის შედეგად დარჩა მასში, მის ობიექტივაციას ახდენს. აი ეს შეჩერება, ობიექტივაცია, როგორც ზემოთ აღნიშნავდით, არის ყურადღების მოქმედების არსი. იგი იმას ნიშნავს, რომ განწყობისეულად მოცემულის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იცვლება. იგი ჩვენი აქტივობის მეორე პლანში გადასვლას, თეორიულ პლანში გადასვლას ნიშნავს. შეჩერება, ობიექტივაცია (ჯგუფის ობიექტივაცია) ქმნის პირობას ამ მთელის ანალიზისას, მასში მისი წევრების დასადასტურებლად, ან მისი მნიშვნელობის დასადგენად, იგი აზროვნების მიმართულებას განსაზღვრავს.

მაგრამ ეს თუ ასეა, მაშინ სრული უაზრობა უნდა იყოს ყურადღების მოცულობაზე ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ყურადღებას უშუალოდ სრულებით არა აქვს საქმე გამლიზიანებლებთან, ელემენტებთან, შინაარსთან. იგი არ არის შინაარსობრივი ცნება. ასეთ შინაარსობრივ ცნებას განწყობა წარმოადგენს. ყურადღება წინასწარ გულისხმობს შინაარსების მოცემულობას, თუ როგორია ეს შინაარსები, ეს დამოკიდებულია არა ყურადღებაზე, არამედ განწყობაზე. თვით ყურადღებისათვის სულერთია რა შინაარსიც იქნება. იგი ობიექტივაციაში მდგომარეობს, ე. ი. განწყობისეული პროცესის შეჩერებას და მეორე პლანში გადასვლას ნიშნავს.

IV

კონცენტრაცია. როგორც აღვნიშნავდით, ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციას ყურადღების ერთ-ერთ არსებით ნიშნად თვლიან. იგულისხმება, რომ ადამიანს

ფსიქიური ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა გააჩნდა: ყურადღება ჩეენზე მოქმედ მრავალ შთაბეჭდილებათაგან განსაზღვრულის შერჩევას ახდენს, ამავე დროს მისკენ მიმართავს ჩვენს ფსიქიურ ენერგიას. ყურადღების ობიექტი შეიძლება ერთი იყოს, ან რამდენიმე. რაც უფრო მეტია იმ ობიექტთა რაოდენობა, რომლებსაც ყურადღებას ვაქცევთ, მით უფრო ნაკლები ენერგია იხარჯება თითოეულ მათგანზე და, მაშასადამე, მით უფრო ბუნდოვნად განიცდება ისინი და, პირიქით. ყურადღებასა და შთაბეჭდილებას შორის არსებული ეს მიმართებანი ასე იყო ფორმულირებული: რაც უფრო მეტია ყურადღების კონცენტრაცია, მით უფრო ვიწროა მისი ველი, მით უფრო ნაკლებია იმ საგანთა რაოდენობა, რომლებიც ყურადღებით აღიქმება. ხოლო რაც უფრო მეტია ყურადღების განაწევრება, ე. ი. იმ საგანთა რიცხვი, რომლებსაც ყურადღება მქცევა, მით უფრო ნაკლებია ყურადღების კონცენტრაცია, ე. ი. მით უფრო ნაკლები ფსიქიური ენერგია მოდის თითოეულ ობიექტზე. ამრიგად, ყურადღების კონცენტრაცია და განაწევრება უკუკრობორციულ მიმართებაში იყო ნაგულისხმევი.

ასე მაგალითად, ცდის პირს, რომ ორმაგი მოქმედების შესრულება დაგავალოთ, ვთქვათ რაიმე მოთხრობის შინაარსის მოსმენა და იმავე დროს ერთნიშნა რიცხვთა შეკრება, დავინახავთ, რომ ზეირიანად ვერც ერთს ვერ გააკეთებს. სულ სხვაა, როდესაც თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ასრულებს. თითოეულის შესრულების მაჩვენებლები გაცილებით მეტია და უკეთესი, ვიდრე ის მაჩვენებლები, რომელთაც ცდა პირი ამ ორი მოქმედების ერთდროულად შესრულებისას იძლევა.

რატომ ხდება ასე? შტერცინგერი ფიქრობს, რომ როდესაც ცდა-პირი ამ მოქმედებებს ცალ-ცალკე ასრულებს, თითოეულზე მთელი ყურადღება, ე. ი. მთელი ფსიქიური ენერგია არის მიმართული, მაგრამ, როდესაც ცდის პირი ორივეს ერთად ასრულებს, ყურადღება შუაზე იყოფა, თითოეულ მოქმედებაზე ყურადღების მხოლოდ ნახევარი მოდის. ამიტომ, გასაგებია, რომ მოქმედების შესრულების მაჩვენებლებიც უარესდება და კლებულობს.

სხვა ავტორთა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ კონცენტრაციისა და დისტრიბუციის უკუბრობორციულობის კანონი მთლად სწორი არ უნდა იყოს. გარკვეულს ფარგლებში შესაძლებელია ყურადღების განაწილების ზრდასთან ერთად ყურადღების კონცენტრაციაც იზრდებოდეს.

ჩვენ სპეციალურად გამოვიყლიეთ ეს საკითხი და დავადგინეთ, რომ მოქმედებანი, რომელნიც შედარებით აღვილია და მათი

შესრულება მაღალი ინტელექტუალური პროცესების ჩარჩვას ას მოითხოვს, შესაძლებელია ერთად შესრულდეს და ამასთანავე ზოგ შემთხვევაში გაცილებით უკეთ, ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი ცალ-ცალკე სრულდება. ამავე დროს ეს ორი მოქმედება სრულდება; როგორც ერთი: ერთი მოქმედება მეორის რიტმს ექვემდებარება.

მაგრამ თუ ერთად შესასრულებელი მოქმედებანი ისეთია, რომ თითოეული მათგანი ინტელექტუალური პროცესების ჩარჩვას მოითხოვს, შაშინ: ა) ან ვერც ერთი ვერ სრულდება; ბ) ან ერთი მათგანი სრულდება, ხოლო მეორე სრულებით არა; გ) ან ხან ერთის ნაწილი სრულდება და ხან მეორისა. ვთქვათ, ცდ. პირ შე იმავდროულად ტაქისტოსკოპურად მიწოდებული ციფრებიც უნდა წაიკითხოს და მორჩეს ელექტროსაკეტზე რაიმე ტაქტიც უნდა გამოიყვანოს. ცდები ისე ტარდება, რომ ორივე ამ მოქმედების პარალელური ფიქსაცია ხდება. შედეგი ასეთია: როდესაც ცდის პირი ციფრებს კითხულობს, შას ხელი უჩერდება, ტაქტი ვერ გამოჰყავს, ხოლო, როდესაც ტაქტზე გადადის, ციფრებს თუმცა უყურებს ტაქისტოსკოპში, მაგრამ ველარ კითხულობს¹.

ჰენინგი განასხვავებს ყურადღების განაწევრებას, ყურადღების შეფერხებისაგან. მაგრამ თვითონ ყურადღების განაწევრება კი ყალბად აქვს გაგებული.

ზოგ მომხსენებელს, აღნიშნავს იგი, ჩვეულებად აქვს მოხსენების წაკითხვის დროს აქეთ-იქეთ სიარული, ან ხელში რაიმე ნივთი ითამაშოს. აი ეს სიარული ან ხელში ნიეთის თამაში შას ხელს კრატუშლის, არამედ ხელს უწყობს მოხსენების გაკეთებაში. ყურადღების განაწილებაზე ასეთ შემთხვევებში უნდა ვილაპარაკოთ.

ცხადია, სანამ არ დაგვიმტკიცებია, რომ ჰენინგის მომხსენებელი თავისი მოხსენების შინაარსის გარდა, სიარულსაც, ან იმ ნიჟარებაც ჰქიცევს ყურადღებას, რომელსაც ხელში ითამაშებს, ყურადღების განაწევრებაზე ვერ უილაპარაკება. ხოლო ასეთი რამის დამტკიცება ძნელია. აშეამად უკვე ცნობილია რომ სიარულს და სხვა აკტო მატურ მოქმედებებს ყურადღება მხოლოდ იმ შემთხვევაში სჭირდება, როდესაც ისინი რამენაირად ფერხდებიან. რაც შეეხება ჰენინგის მაგალითს, იქ ყურადღების განაწევრება სრულებით საჭირო არ არის.

აქვე უნდა შევეხოთ ყურადღების ნეგატიური მუშაობის საკითხს: როგორც ცნობილია, როდესაც რაიმე საქმით ვართ დაკავებული ის გამოიზიანებლები, რომლებიც ამ ჩვენს საქმიანობას არ უკავშირდება, ვერ ახდენს ჩვენზე ზეგავლენას. ყველას უნახავს ტრამვაიში

¹ ა. მოსიავა, „ყურადღების დისტრიბუციის პრობლემისათვის“. ქუთაისის პედ-ინსტიტუტის შრომები, ტ. 11. 1941 წ.

შჯლოში ქალი, ან კაცი, რომელიც წიგნს კრთხულობს. ეს აღა-
მიანები, მიუხედავად მრავალფეროვან და ინტენსიურ, ხშირად
გამაყრუებელი გამლიზიანებლებისა, მაინც ახერხებენ წიგნის კით-
ხვას. ეს გამლიზიანებლები ვერ აფერხებენ მათს ყურადღებას:
მართალია, ეს ყველას არ შეუძლია, ზოგი არა თუ ტრამვაიში,
არამედ თვით თავის სახლში, მცირე ხმაურის პირობებშიც კი ვეღარ
ახერხებს წიგნის კითხვას და რაიმე სამუშაოს შესრულებას, რო-
მელიც ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს. მაგრამ, როგორც
ვიცით, ზოგი ხმაურის პირობებშიც, ე. ი. ყურადღების ამცილებელ
გამლიზიანებელთა პირობებშიც მშვენიერად მუშაობს.

ასეთი ფაქტები უამრავია. ხშირად ისე ხდება, რომ ჩვენ აზრებში
გართული მივდივართ ქუჩაზე და შეიძლება ნაცნობს ისე ჩავუაროთ,
რომ ვერც კი შევამჩნიოთ. ვის არ ჰქონია შემთხვევა, ვინმეს ესა-
უბრები და ცოტა ხნის შემდეგ იგი საუბრის შინაარსის განმეორე-
ბას გთხოვს, ბოდიშის მოხდით, „ყური ვერ დაგიგდეთ, რადგან
სხვაზე ვთიქმიროდიო“. ან კიდევ ამხანაგს უძახით საკმაოდ ძლიერი
ხმით, მაგრამ მას არ ესმის იმის გამო, რომ ვილაცასთან საუბარ-
შია გართული.

ბოლოს, ყოველ დედას ჰქონია შემთხვევა, როდესაც იგი თამა-
შით გართულ თავის შვილს, პაჭარა ბიჭს ან გოგონას უძახის,
ხშირად ახლო მანძილიდან, მაგრამ ბავშვი, როგორც იტყვიან
„ყურსაც არ იბერტყავს“!

ეს ფაქტები აქვთ მნედველობაში; როდესაც ყურადღებას, რო-
გორც ნაწილობრივი ძილის მდგომარეობას უყურებენ. რაც უფრო
დიდია ყურადღება რომელიმე საგნის ან რაიმე საქმის მიმართ,
მით უფრო დიდია უყურადღებობა სხვა გამლიზიანებლებისადმი. ამი-
ტომ მით უფრო მეტი ძალის გამლიზიანებლის ზემოქმედებაა სა-
ჭირო ყურადღების გადასახრელად. მაგრამ დაგება საკითხი, შესა-
ძლებელია თუ არა ვამტკიცოთ, რომ ყოველთვის, როდესაც სუბი-
ექტი რაიმე საქმითა გართული, ან რომელიმე საგნით არის გატა-
ცებული და ამის გამო ყველაფერი ის, რაც ამ საქმეს ან ამ საგანს
არ ეკუთვნის, მისთვის არ არსებობს, იგი დიდ ყურადღებას იჩენს?

ჩვენ ვთიქმირობთ, რომ საქმით გართულობა არ მოასწავებს დიდ
ყურადღებას ამ საქმის შინაარსისადმი. ეს რომ ასეა ყველას შეუ-
ძლია დარწმუნდეს პატარა ბავშვთა თამაშში ჩართულობის მაგა-
ლითებიდან. ვთქვათ, ბავშვი 3—4 წლისა თამაშშია ჩართული,
შაშასადამე მისი ფსიქიკური ენერგია კონცენტრირებულია ამ საქ-
მიანობაზე. მას დედა უძახის, მაგრამ არ ესმის. ხშირად ფიზიკური
შენჯლრევა({}) შეიძლება იქნეს საჭირო იმისთვის, რომ ბავშვის
„ყურადღება“ მივიქციოთ.

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, ეს იმიტომ ხდება, რომ ბავშვი დიდ ყურადღებას იჩენს თამაშისაღმი? ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშინ ბავშვს უნდა შეეძლოს დაწვრილებითი ანგარიშის მოცემა, იმ თამაშის შინაარსის შესახებ, რომელშიც იგი ჩართული იყო.

მაგრამ ეს ასე არაა. 3—4 წლის ბავშვმა საეჭვოა ეს შესძლოს, რაღან ასეთი ანგარიშის მოცემა წინასწარ გულისხმობს თვითდაკვირვების უნარს. ასეთი უნარი კი 3—4 წლის ასაკის ბავშვს არ გააჩნია.

ამავე კატეგორიის მოვლენებთან გვაქვს საქმე ემოციური გამოვლინებების შემთხვევაში, რაიმე აფექტის ან სხვა, თუნდაც უბრალო ემოციური მდგომარეობის შემთხვევაში. აკად. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ემოცია ფსიქიკური ენერგიის ძალიან დიდ კონცენტრაციას იძლევა რაიმე მიმართულებით, მაგრამ ემოციურ მდგომარეობას ყურადღების მდგომარეობად ვერ ჩავთვლით. ვერ ვიტყვით, რომ ბრაზმორეული კაცი, რომელიც აფექტის ქვეშ ვინმეს თავდასხმას უპირებს და ამ მდგომარეობაში ვერ ისმენს მეგობრის დარიგებას თავი დაანებოს ჩხუბს, დიდი ყურადღებით არისო, თუნდაც იმისადმი, რაც უნდა ჩაიდინოს. მან, რომ შესძლოს ყურადღების გამოჩენა, მისი აფექტი მაშინვე შესუსტებას დაიწყებს და იგი შესძლებს თავდასხმაზე ხელი აიღოს.

მაგრამ ყველაფერი ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ზემოამოთვლილი ფაქტებიც ამის გამო უმართებულო ფაქტებია და ისინი ბუნებაში არ არსებობენ. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს ფაქტები არ არის ყურადღების ფაქტები. ყველა ეს ფაქტი აიხსნება განწყობის ნიადაგზე და სავსებით გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ფიქსირებული განწყობის მოქმედების თავისებურებას.¹ მუშაობაში ჩართულობას ზემოაღნიშნული ფაქტი, რომელიც ძალიან აშკარად იჩენს თავს განწყობის ფიქსაციის შემთხვევაში სწორედ რომ არ წარმოადგენს ყურადღებას. პირიქით, განწყობის ასეთი ფიქსაცია, ხშირად ხელს უშლის ყურადღებას (ობიექტივაციას). აბა რას ვიტყვით იმ დარაჯის შესახებ, რომელიც რაღაც სანახაობამ გაიტაცა, (შთანთქა) და მოახლოებულ მცერს ვერ ამჩნევს. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ იგი ყურადღებითააო. ან რას ვიტყვით იმ მოწაფეზე, რომელიც დასვენების დროს შეწყვეტილმა თამაშის შინაარსმა ისე გაიტაცა, რომ მის გავლენას თავს ვერ აღწევს და გაკვეთილს ვერ უსმენს ყურადღებით. რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, ეს მოწაფე გაკვეთილზე ყურადღებით იმიტომ ვერ არის, რომ მი-

¹ დ. უზნაძე. „ზოგადი ფსიქოლოგია“, გვ. 81, 86.

სი ყურადღება შეწყვეტილი თამაშისკენ არის მიმართული. ყურადღების ტრადიციული ცნების ნიადაგზე სრულებით გაუგებარი უნდა იყოს ეს მოვლენა, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი და რომელსაც ძალიან კარგად იცნობს ყოველი მასწავლებელი და მშრომელი.

განწყობის ფსიქოლოგიის ნიადაგზე სავსებით გასაგები ხდება ესა და მისი ანალოგიური მოვლენები. ჩვენ ვიცით, რომ განწყობა ერთგვარი შეუვალობით ხასიათდება. ყოველ მოცემულ მომენტში ადამიანს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ ერთი განწყობის ნადაგზე. ამ განწყობის ნიადაგზე განხორციელების პროცესში მყოფი ქცევა თავის თავში ჩაირთავს მხოლოდ იმ საგნებს, რომელიც ამ ქცევის სიტუაციაში შედიან. დანარჩენი გამლიზიანებლები, იმის გამო, რომ იგი სიტუაციაში არ შემოდის, ვერ მოქმედებს შუბიექტზე. მაშასადამე, განწყობის ნიადაგზე, გასაგები ხდება სიტუაციის ერთგვარი შემოფარგლულობა, ან ერთგვარი შეუვალობა. ეს შეუვალობა მით უფრო დიდი უნდა იყოს, რაც უფრო ფიქსირებულია განწყობა. ჩვენი მოწაფის მაგალითი თამაშის განწყობის ფიქსაციის ნიადაგზე შეიძლება იყოს გასაგები. იმისათვის, რომ ის ყურადღებით იყოს გაკვეთილზე მან თავი უნდა დააღწიოს თამაშის ფიქსირებულ განწყობას; უნდა განთავისუფლდეს მისი გავლენისაგან. აკად. დ. უზნაძე სპეციალურად გაუსვამს ხაზს ობიექტივაციის მეორე ასპექტს. იგი მიუთითებს, რომ ობიექტივაცია ნიშნავს აგრეთვე სუბიექტის ამორთვას იმ მდგომარეობიდან, ან იმ განწყობიდან, რომელშიც მას ობიექტივაციის აქტმა მოუსწრო.¹

თუ ეს განწყობა ფიქსირებულია, მაშინ იგი აძნელებს ობიექტივაციის აქტის წარმოშობას. ჩვენს ექსპერიმენტებში ეს გარემოება თავს იმაში იჩენს, რომ ცდ. პირები იმის შემდეგ, რაც მათი განწყობის ფიქსაცია მოვახდინეთ, ამ განწყობისათვის შეუფერებელ გამლიზიანებლებსაც ამავე განწყობის ნიადაგზე აღიქვამენ.²

* მაგალითად, ცდ. პირებს ოცი უცხო სიტყვის ლათინური შრიფტით დაწერის შემდეგ მოულოდნელად ეძლევა ქართული სიტყვა „გემი“ საწერად. ცდ. პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მას ლათინური შრიფტით წერს „gemī“. ცდ. პირთა აბსოლუტური უმრავლესობა სანამდე სიტყვას დაწერდეს, ერთხანს ჩერდება. კითხვაზე „რატომ შეჩერდით“? გიპასუხებს „რა არის გემი“? ც. პირმა, ქართველმა, თითქოს არ იცის რას ნიშნავს სიტყვა გემი.

¹ ც. უზნაძე, „ყურადღების არსის პროცესისათვის“, ფსიქოლოგია, ტ. IV.

² ა. მოსიავა, „მასალები ობიექტივაციის პროცესისათვის“, ფსიქოლოგია, ტ. III.

რატომ ხდება ასე? რა ნიადაგზე ჩნდება ეს ექსპერიმენტულო ფაქტი? ცხადია, უცხო სიტყვათა ლათინურად წერის განწყობას ტიქსაციის ნიადაგზე. ეს ფიქსირებული განწყობაა, რომ მას ხელს უშლის სიტყვა გემის მნიშვნელობა გაიგოს. რადგან იმისთვის, რომ გაიგოს, სიტყვის ობიექტივაცია უნდა მოახდინოს. ხოლო ამ აქტის განხორციელებას ხელს უშლის ფიქსირებული განწყობა.

მაგრამ რომ არის მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც სუბი ექტი რაიმე ძნელი ამოცანის გადაწყვეტის პროცესშიც ამუღავნებს ამ საქმეში ერთგვარ ჩართულობას. ამოცანის გადაწყვეტა, როგორც ვიცით, ყოველთვის ობიექტივაციის პლანში მიმდინარეობს. მაგრამ ამ პლანშიც განწყობა მოქმედებს. თეორიული ქცევა, რომელიც ობიექტივაციის პლანში ხორციელდება თეორიული განწყობის ჩართულიად უნდა ვიგულოთ: მართალია, აქ ჩვენი განწყობის როგორც სუბიექტური, ისე ისე აქტუალური განწყობის შემთხვევაში, მაგრამ განწყობა მაინც რჩება თავისი ზოგადი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თვისებებით:

ამიტომ ის, რასაც ბურუუაზიულ ფსიქოლოგიაში ყურადღების კონცენტრულობას ან ინტენსიონობას, მის ადვილსა და ძნელს გადახრადობას, მის განაწილებას და სხვ. უწოდებენ, ადამიანის განწყობის სხვადასხვათვისებების გამომუღავნების მეტს არაფურს არ წარმოადგენს. ასევე გასაგები ხდება განწყობის ცნობილი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ნიადაგზე ე. წ. ყურადღების ტიპოლოგიური თავისებურებანი.

V

ზემოთ გამოიჩვა, რომ აღქმის სინათლესა და გამოკვეთილობას უშუალოდ ყურადღება არ ქმნის, სინამდვილესთან უშუალო ურთიერთობას ადამიანი ყურადღების მეშვეობით როდი ამყარებს. არსებობს სხვა ფაქტორი, რომელიც ადამიანის სინამდვილესთან ასეთს უშუალო ურთიერთობას უდევს საფუძვლად. ეს ფაქტორი, როგორც ზემოდ დავინახეთ, არის განწყობა. განწყობა სავსებით უზრუნველყოფს აღქმას, მის აქტივაციას, სინათლესა და გამოკვეთილობას. მაგრამ, როდესაც სუბიექტის წინაშე მდგარი ამოცანა რთულდება, როდესაც მისი ქცევა მხოლოდია განწყობისული აღქმის ნიადაგზე ვერ წარიმართება წარმატებით, მაშინ ხდება აღქმის ობიექტივაცია. სუბიექტი, როდესაც მისი ქცევა ბრკოლდება, ვთქვათ, აღქმითი შემეცნების უკმარობის გამო, იგი ჩერდება, ქცევას წყვეტის და დამაბრკოლებელ მომენტს ობიექტიდ აქცევს. ეს

იმისთვისაა საჭირო, რომ უფრო მაღალი შემცენებითი პროცესები აამოქმედოს.¹ ასეთ შემთხვევაში სუბიექტი, ჩვეულებრივ, აზროვნებას მიმართავს იმისათვის, რომ უფრო ზუსტად გაითვალისწინოს ქცევის მიმდინარეობის დამაბრკოლებელი ფაქტორები.

მაგრამ, ესლა შეიძლება ასეთი საკითხი დადგეს. ყოველთვის საქმარისია თუ არა ჩვენი ქცევის წარმართვისათვის დამაბრკოლებელი მომენტის ობიექტივაცია და მისი ზუსტად გათვალისწინება?

ა) ჩვენ ზემოთ აღნიშნავდით, რომ ქცევის დამაბრკოლებელი მიაზეზი შეიძლება იყოს ან გარეგანი. ან შინაგანი წარმოშობისა. ზოგიერთი ფაქტები ამ აზრის საილუსტრაციოდ ჩვენ ზემოდაც გავითვაროს წინეთ.

მაგრამ ამის გარდა ხომ არის მჟელი რიგი ფაქტებისა ადამიანის მოთხოვნილებათა სფეროდან. ადამიანი უამრავი სხვადასხვა, მოთხოვნილებების მატარებელია და როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს ყოველთვისაა შესაძლებელი, რომ ეს მოთხოვნილებები სუბიექტში ურთიერთს დაუპირისპირდეს. ჩვეულებრივ და ხშირად ურთიერთს დაბალი და მაღალი მოთხოვნილებები ეწინაღმდეგებიან, თუმცა შეიძლება მაღალი მოთხოვნილებებიც ეწინაღმდეგებოდნენ ერთიმეორებს. მაგალითად, ადამიანი ცოცხალი არსებაა. მას აქვს თავდაცვის ბიოლოგიური მოთხოვნილებაც. მაგრამ იგი რომ მხოლოდ ამ მოთხოვნილების ამარა ყოფილიყო, ცხოველისაგან არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული. მის ადამიანობას ის ქმნის, რომ მას მაღალი მოთხოვნილებებიც გააჩნია. მას აქვს მორალური, ესთეტიკური და თეორიული მოთხოვნილებანი.

ყოველი საფრთხე, ცხადია, ალვიძებს თავდაცვის მოთხოვნილებას. მაგრამ ნამდვილი ადამიანი, გმირი, ახერხებს თავისი ქცევა გამოკვლიჯოს ამ ცხოველურ ინსტიქტს და იგი წარმართავს მაღალ მორალურ ან პატრიოტულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და, ხშირად, გასტელოს, მატროსოვის, კოსმოდემიანსკაიას, კოშევრის და სხვების დარად თავისა სიცოცხლე შეგნებულად შესწიროს სამშობლოს.

როდესაც მოტხოვნილებათა ასეთი შინაგანი დაპირისპირება ჩნდება, ცხადია, სუბიექტი ჩერდება. მოთხოვნილებათა წინააღმდეგ გობა სუბიექტში შინაგან დაბრკოლებას ავლენს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მეს ჩარევა ქცევის წარსამართავად. სუბიექტი, სანამდე ასე თუ ისე მოქმედებას დაიწყებდეს, ქცევის ობიექტია გაციას ახდენს, რათა კარგად გაითვალისწინოს თუ როგორ სჯოს.

¹ დ. უზნაძე, „განვითარების პრობლემისათვეს ფუნქციონიზმი“ ფსიქიატრიული სამეცნიერო სამეცნიერო კონფერენციაზე, 1949.

ბია მოქმედება. მისი ქცევა მეორე პლანში, ობიექტივაციის პლანში გადადის, სუბიექტი ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად გაათვალისწინოს მოცემულს ვითარებაში შესაძლო მოქმედებანი. მოძებნოს ყველაზე სწორი მოქმედება. ამიტომ არის, რომ ნებელობის ამ პერიოდისთვის განსაკუთრებული ინტენსიური აზროვნებაა დამახასიათებელი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მისი ქცევა მისთვის ობიექტს წარმოადგენს. ობიექტივაცია გრძელდება მანამდე, სანამ სუბიექტი არ გამონახავს უფრო ზუსტს და სწორ მოქმედებას, შედარებით იმასთან, რომელიც მხოლოდ განშეყობის ჩიადაგზე იყო შესაძლებელი.

მაგრამ, ვთქვათ, მან ასეთი ზუსტი და სწორი ქცევა მართლაც მოსხებნა, აზროვნების შემწეობით. იძლევა თუ არა ეს იმის გარანტიას, რომ სუბიექტი ზუსტად და სწორად მოიქცევა? ცხადია, არა. სწორად მოქმედებისათვის, მაგალითად, მაღალი პატრიოტული ქცევის განხორციელებისათვის სრულებით არ არის საკმარისი სწორი აზროვნება და, მაშასადამე, იმის მიხვედრა, რომ ასეთი ქცევა პატრიოტული ქცევაა. ამისათვის საჭიროა ეს ქცევა მიღებულ იქნეს:

მაშასადამე, რთული სამოქმედო ამოცანების გადაწყვეტისას სუბიექტს სრულებით არ ყოფა სწორი აზროვნება, საჭიროა მტკიცებადაწყვეტილების მიღების უნარი, საჭიროა ნებელობა. ობიექტივაცია, ამრიგად, ქმნის საფუძველს არა მხოლოდ აზროვნებისას, არამედ განსაკუთრებით რთული ამოცანების გადაწყვეტისას, თვითონ ნებელობის მოქმედებისასაც.

ყოველივე ზემოთქმულს თუ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ საფუძველი ეცლება ნებისმიერი და უნებური ყურადღების კონცეფციას. ნებელობა კი არ ქმნის ყურადღების საფუძველს, არამედ თვითონ ყურადღება ქმნის ნებელობის მოქმედების საფუძველს ანუ პლანს. წანამძღვარი, რომელსაც ყურადღების ნებისმიერად და უნებურად დაყოფა ემყარება, მდგომარეობს იმაში, რომ ყურადღება ფსიქ. მოვლენის ტრადიციული სამწევრიანი კლასიფიკაციის ცნობილ ფუნქციებთან შედარებით,— არაფერს ახალს და სპეციფიკურს არ შეიცავს. ამიტომ იგი შეიძლება იყოს ან ნებელობის მოქმედების, ან ემოციის გამოვლინების, ან თვითონ შემეცნებითი პროცესების თავისებურება.

ბ) რამდენი საინტერესო რომანი წაგვიკითხავს გართობის მიზნით, შაგრამ ყველა გვახსოვს? ცხადია, არა. რატომ? „იმიტომ, რომ მისთვის საგანგებო ყურადღება არ მიგვიქცევიაო“ იტყვის ყველა. შაგრამ ხომ წავიკითხეთ ესა და ეს. რომანი? საქმე ის არის, რომ იგი წავიკითხეთ არა მისთვის, რომ დაგვემახსოვრებია, დაგვესწავლა,

არამედ იშისთვის, რომ გავრთობილვიყავით, ე. ი. რომანი ჩვენთვის უკავშირობის საშუალება და არა საგანგებო დაკვირვების, ან დასწავლის ობიექტი. მას ჩვენთვის დამოუკიდებელი ლირებულება არ ჰქონია. მისი ობიექტივაცია არ მოგვიხდენია. იგი განწყობის ულად იყო წაკითხული. ასეა ადამიანის ფსიქოლოგიური ცხოვრება აგებული. ჩვენს ცხოვრებაში ჩვენზე უთვალავ გამლიზიანებელს უმოქმედნია, მაგრამ ყველა მათგანი როდი დაგვემახსოვრდა. დაგვამახსოვრდა მხოლოდ ის, რასაც ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ უკანასკნელიდანაც ძლიერ მცირე დარჩა ჩვენს მეხსიერებაში, იმიტომ, რომ ამ შინაარსს ჩვენთვის ჰქონია არა თავისთავალი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, არამედ იგი ჩვენი განწყობის ქცევაში რეალიზაციის აქტუალურ პროცესებში ყოფილა ჩართული, როგორც მისი მიმღინარეობის ერთი მომენტი.

მაგრამ ხომ არის ისეთი შინაარსი, რომელიც მკვიდრად ჯდება. ჩვენს მეხსიერებაში და ჩვენი სასიცოცხლო ამოცანათა გართულების, უყველ მომენტში გამოიყენება, როგორც ერთგვარი იარალი, როგორც ჩვენი აღჭურვილობა, ან ცოდნა. არსებობს მეხსიერების მაღალი, აქტიური ფორმები. მას მიეკუთვნება დასწავლა და მოგონება.

ამჟამად, უდავოდ დადგენილად ითვლება, რომ რაიმე შინაარსის დასწავლისათვის უბრალო განმეორებას როდი აქვს მნიშვნელობა. შესაძლებელია ესა თუ ის მასალა მრავალჯერ გაიმეორო, მაგრამ მაინც ვერ დაისწავლო. თავისთავად განმეორებაში არ არის საქმე. ფსიქოლოგიურს ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ როდოსავლევიჩის ცდებზე, სადაც დადასტურდა, რომ მასალის პასიურიდ კითხვა დასწავლას არ იძლევა. იგი—ერთ სტუდენტს, რომელმაც როდოსავლევიჩის ენა კარგად არ იცოდა. აძლევდა უაზროვან ცდებს დასასწავლად. მან სტუდენტი დასვა მნემომეტრის წინაშე, აუხსნა თუ რა უნდა გაეკეთებინა და აამოქმედა აპარატი. მაგრამ, რადგან სტუჯენტმა, ენის უცოდინარობის გამო, კარგად ვერ გაიგო, თუ რა უნდა გაეკეთებინა, დაიწყო უაზრო მარცვლების კითხვა პასიურად. როდესაც სტუდენტმა მასალა, რომლის დამასოვრებას რაღაც 10—12 განმეორება სჭირდებოდა, 40-ჯერ გაიმეორა, ცდის ხემძღვანელს ეჭვი დაებადა და ჰქითხა: „დაისწავლე, თუ არაო?“ სტუდენტი ეხლა მიუხდა, რომ, თურმე, წაკითხული მასალა უნდა დაესწავლა. ამის შემდეგ მხოლოდ 6 განმეორება იყო საკმარისი, რომ მასალა ზეპირად დაესწავლა.

რა მოხდა, რა მიზეზით ვერ დაისწავლა სტუდენტმა მასალა 40 განმეორებით პირველ შემთხვევაში და რამ შეუწყო ხელი ინსტრუქციის გაგების შემდეგ იგივე მასალა 6 განმეორებით დაესწავლა?

უიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში განზრახვის ფაქტორს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ნებელობას აქვს მნიშვნელობა. პირველ შემთხვევაში არ იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა ცდის პირს (სტუდენტს), იგი კითხულობდა განზრახვის გარეშე ხოლო მეორე შემთხვევაში, გაიგო რა, რომ უნდა დაისწავლოს, განზრახა დაქს-შავლა მოცემული მასალა.

იმის მიხედვით, რაც ზემონათქვამიდან უკვე ვიცით, ამ შემთხვევაში განზრახვის უშუალო მონაწილეობაშიც არ უნდა იყოს საქმე, აქ საქმე ეხება სწორედ დასასწავლ მასალაზე შეჩერებას, მის ობიექტივაციას. თუ ესა თუ ის მასალა განზრახვის გარეშე იკითხება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ობიექტს არ წარმოადგენს, იგი შეიძლება ჩვენი განწყობისეული ქცევის ქმნადობაში იყოს ჩართული, როგორც მისი ორგანული ნაწილი. ამ შემთხვევაში იგი მოკლებული იქნება ჩვენთვის დამოუკიდებელ ღირებულებას. თუ ამ შემთხვევაში ადგილი ექნება დამახსოვრებას, ეს იქნება არა ობიექტივაციის შედეგი, არამედ განწყობისეული ქცევის თანმსდევი ეფექტია.

დასწავლის შემთხვევაში კი ჩვენი ჭკევის მიზანს თვითონ დამახსოვრება შეადგენს და სწორედ ამიტომ მასალა ჩვენთვის დამოუკიდებელ ღირებულებას იძენს. მასზე ვჩერდებით, მისი ობიექტივაცია ხდება, მეხსიერების მუშაობა მეორე პლანში, ობიექტივაციის პლანში გადადის. ამ შემთხვევაში შესაძლებელია თვითონ მეხსიერების მუშაობა არ იცვლებოდეს არსებითად. ობიექტივაციის პლანში მეხსიერების მუშაობა მხოლოდ გაშუალებული ხდება. ეს პლანი ქმნის დასწავლაში ინტელექტის და ნებელობის მონაწილეობის შესაძლებლობას. მაშასადამე, დასწავლისათვის ყველაზე დამახასიათებელია ობიექტივაცია. ობიექტივაცია ქმნის საფუძველს მეხსიერების მაღალი, წმინდა ადამიანური ფუნქციებით გაშუალებისას. ამით ხელს უწყობს დასწავლის გააღვილებას და უფრო მკვიდრს ხდის მას.

ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა პროფ. ა. ა. სმირნოვისა და ზინჩენკოს გამოკვლევები მეხსიერების შესახებ.

სმირნოვის გამოკვლევის მეთოდი ძლიერ მარტივია. იგი ფსიქოლოგის ინსტიტუტის თანამშრომლებს თხოვდა მიეცათ წერილობითი ანგარიში ყველა განცდაზე, რომლებიც ცდის პირებს ჰქონდათ დილით სახლიდან წამოსვლის მომენტიდან სამსახურში მისვლამდე. აღმოჩნდა, რომ ცდის პირებს კარგად ახსოვდათ სწორედ ს განცდები და შთაბეჭდილებანი, რომლებიც სამსახურში მისვლისას, გზაზე შემთხვევით შექმნილ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ც. პ. არ ახსოვს, თუ როგორ გამოვიდა სახ-

ლიდან, მაგრამ ძალიან კარგად ახსოვს ის, რომ მეტროპოლიტების
აბონემენტი დაავიწყდა და იფიქრა, სახლში ხომ არ დავბრუნდეთ
ან კიდევ ცდ. პირს ცუდად ახსოვს ყველა შთაბეჭდილებანი, რომ
ლებიც სახლიდან წამოსვლის შემდეგ მიიღო, მაგრამ ძალიან კარგად
ახსოვს, რომ გზაზე ნაცნობს შეხვდა და მასთან საინტერესო საუ-
ბარი ჰქონდა. ცდ. პ. კარგად ახსოვდა აგრეთვე ის რომ უნივერსი-
ტეტის ეზოში შევიდა არა ალაყაფის კარიდან, რადგან იქ ავტო-
მდგა და ხელს უშლიდა შესვლას, არამედ პატარა კარიდან. კარგად
ახსოვს ისიც, რომ ერთ-ერთი საათი ქუჩაზე გაჩერებული იყო ექვსის
ზახევარზე¹.

თავისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყველა ეს ფაქტი დამაჯერებ-
ლად ობიექტივაციის ცნების ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. ყველა
შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სამსახურში. დროულად გამოცხადე-
ბის განწყობის ქცევაში განხორციელების დაპრკოლებასთან და ამ
ნიადაგზე დამაბრკოლებელი მომენტის ობიექტივაციასთან. მაგრამ
დას, როგორც ხსენებული ფაქტები მოწმობენ, გადამწყვეტი მნიშ-
ვნელობა აქვს დახსომების ეფექტისათვის. ც. პ.-ს უკეთ ის ამახ-
სოვრდება, რისი ობიექტივაციაც მოუხდენია.

ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება საქ. მეცნ- აკადემიის ფსიქოლოგიის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის გ. კეურაძის ფრიად მნიშ-
ვნელოვანი გამოკვლევა ამ საკითხზე. მან ექსპერიმენტულად შეის-
წავლა მეხსიერების განვითარება სკოლამდელ და სასკოლო ასაკში,
და ნათლად უჩეენა, რომ დახსომების ეფექტივობა სწორედ ობი-
ექტივაციაზეა დამოკიდებული. ამასთან—დადგინდა უგრეთვე, რომ
დახსომების ეფექტივობაზე გავლენას ახდენს დასახელების სიძნე-
ლეც².

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ, თუ შესაძლებელია ვილაპა-
რაკოთ, მეხსიერებისათვის ყურადღების მნიშვნელობაზე, მას ე. ი-
ყურადღებას როგორც ობიექტივაციას, აქვს მნიშვნელობა.

VI

6) სწავლა. სწავლა სკოლაში მოწაფის ქცევის ძირითად ფორმას
წარმოადგენს. იგი მხოლოდ მოწაფისაგან ყურადღებით ყოფნის
პირობებში შეიძლება მიმდინარეობდეს წარმატებით. ეს ისეთი ფაქ-
ტია, რომელიც ყოველმა მასწავლებელმა მშენივრად იცის. ეს, ცხა-

¹ Проф. А. А. Смирнов, „О влиянии — направленности и характера де-
ятельности на запоминание. Псих. т. III, стр. 400, 401.

² გ. კეურაძე, „მეხსიერების განვითარება სკოლამდელ და დაწყებითი სკოლის
ასაკში“, სკანდ. დისერტ. 1949 წ.

დია, იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ სწავლა მხოლოდ-ლა ყურადღებას მოითხოვს და სხვა ფსიქიკური ფუნქციები სწავლის-თვის სრულებით ზედმეტია. სწავლაში სხვა ფსიქიკური ფუნქციების მონაწილეობა აუცილებელია. იმისათვის, რომ მოსწავლემ გაკვეთილის შინაარსი შეითვისოს, ცხადია, მან იგი უნდა იღიქვას, შემდეგ გაიგოს (აზროვნება) და დაიმახსოვროს. მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ყურადღებით იქნება. შესაძლებელია დაისვას საკითხი, რომელია ჩამოთვლილი ფსიქიკურ ფუნქციათაგან სწავლისთვის უფრო არსებითი მნიშვნელობისა?

ჩვენს საბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ერთი ხანია სწავლის საკითხი განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ ხანებში ამ საკითხს დიდი ყურადღებით სწავლობს პროფ. ა. ლეონტიევი და მისი მოწაფეები. ეს გამოკვლევები უთუოდ მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენენ ამ საკითხის გარკვევაში და თავისი პრობლემის დასმითაც და მისი კვლევის მეთოდებითაც: ამჟღავნებენ ფსიქოლოგიის საბჭოთა პრინციპების გადამწყვეტ უპირატესობას ბურუუაზიული ფსიქოლოგიური მეცნიერების პრინციპთ წინაშე.

მიუხედავად აშისა პროფ. ლეონტიევისა და მის მოწაფეთა შეხედულებანი ამ საკითხზე ვერ ჩაითვლება უნაკლოდ და ვერ იძლევა სწავლის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას.

საქმე ისაა, რომ ლეონტიევის კონცეფცია აიგო უმთავრესად სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქიკის შესწავლის მასალებზე. თვითონ ნამდვილი სასკოლო სწავლის მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ შესწავლას ლეონტიევისა და მის მოწაფეთა გამოკვლევებში ნაკლები ყურადღება ექცევა. სწავლის პრობლემის გარკვევისას ამ ქვეიდან ზევით სვლამ, ის გამოიწვია, რომ სწავლის მოტივაციის პრობლემა გადაუწყვეტელი აღმოჩნდა.

ამჟამად ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ის, რაც ბავშვის სკოლის-თვის მზაობის უდაო და ობიექტურ კრიტერიუმს იძლევა, ეს არის ობიექტივაციის უნარის მომწიფება. ამ საკითხისათვის ჩვენ უკვე მოგვეპოვება ექსპერიმენტული გამოკვლევები ე. კეშერაძისა¹ და ჩვენი².

¹ ე. კეშერაძე, „ბავშვის ყურადღების განვითარება სკოლამდელ ასაკში“, ფსიკოლოგია, ტ. IV.

² ა. მოსიავა, „7 წლის ბავშვის ყურადღება“, ხელნაწერი, 1946 წ.

ამ გამოკვლევებმა ნათელი გახადეს, თუ რაში მდგომარეობს იმ გარდატების აზრი, რომელიც ბავშვის განვითარებაში 6—7 წლის ასაკში იჩენს თავს. ეს გარდატება იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს სკოლამდელ ასაკში განვითარების შედეგად უმწიფდება თავისი ძალების ობიექტივაციის პლანში ამოქმედებისა და განვითარების უნარი¹. ამიტომ ცხადია, რომ ბავშვი ასეთი უნარის მომწიფების შემდეგ განსაკუთრებულად ისტრაფის სკოლისკენ. მას საბავშო ბალის პარობები ვერ აკმაყოფილებს, რადგან საბავშო ბალი არ უყენებს ბავშვის ძალებს ობიექტივაციის ამოცანებს. იქ ყველაფერი, რასაც ბავშვი „სწავლობს“ თამაშის პროცესში და თამაშის ონტერესისთვის სწავლობს. ობიექტივაციის უნარის მომწიფების შემდეგ ცხადია, მისი საბავშო პალში გაჩერება მის განვითარებას კი არა, მისი ძალების შეჩერებას გამოიწვევდა.

მოკლედ, შეიძლება ასე დავასკვნათ. ყველა ფუნქციაში, რომლებიც სწავლის პროცესში ღებულობს მონაწილეობას, არსებითი მნიშვნელობა ობიექტივაციას აქვს. იგია, რომ ქმნის ბავშვის ძალების განვითარების ახალს, სპეციფიკურ აღამიანურ საფუძველს. აკად. უზნადე მიუთითებს, რომ სწავლა მხოლოდ აღამიანისთვისაა დამახასიათებელი. „სწავლის პროცესის ანალიზი, გვიჩერებას, რომ იგი არა მარტო მოსწავლის, არამედ მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობასაც გულისხმობს. ნამდვილი სწავლა სწავლების ასეთი თუ ისეთი მონაწილეობის, ე. ი. „ახსნის“ გარეშე შეუძლებელია. ახსნა მასწავლებლის სწავლაში მონაწილეობის მთავარი ფორმაა. მისი ძირითადი აზრია ბავშვის განცდის შინაარსები, მისი საგანგებო დაკვირვების საგნად დასახოს, ცოცხალი, რეალური პროცესი ობიექტად აქციოს და ამით მისი წინასწარი განხილვისა და განსჯის შესაძლებლობა მოუპოვოს. სწავლის აუცილებელი პირობა ობიექტივაციის უნარის მომწიფებაა². ამის მიხედვით ცხადი ხდება, ქვალიტეტური განსხვავება სწავლას, როგორც თამაშის თანმიმდევრულებისა და სწავლას, როგორც ქცევის დამოუკიდებელ ფორმას შორის. პირველი მნიშვნელობით ეს ცნება გამოიყენება სკოლამდელი ასაკის ბევშვისა და ცხოველების მიმართ, მეორისა კი სასკოლო პროცესთა მიმართ.

¹ დ. უზნადე, „ბავშვის სკოლისათვის მომწიფებულობის საკითხი“. ფსიქოლოგია, ტ. V, 1949 წ.

² დ. უზნადე, „სწავლა, როგორც სასკოლო ასაკის ქცევის ძირითადი ფორმა სკოლაში“. პედაგოგიკა, ტ. III, 1947 წ.

ჩვენს შრომაში დისკიპლინის აღზრდის ფსიქოლოგიის საკითხებზე, პირველ, და ვკადეთ აღზრდის ზოგიერთი საკითხის განხილვა განწყობის თეორიის ნიადაგზე. განსაუთრებით ყურადღებას ვაქცევდით რძიექტივაციის ცნების გამოყენებას. მის შემდეგ ბევრი ახალი ნაბიჯი გადადგა განწყობის თეორიამ. ამჟამად, იმის მიხედვით, რაც ჩვენ უკვე ვთქვით იდამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში, ობიექტივაციისა და აზროვნების, ობიექტივაციისა და ნებელობის ურთიერთობის საკითხზე უკვე უფრო გარკვევით შეიძლება ზოგი რამ ითქვას.

სანამდე არ მოგვიძებნია სწავლისა და აღზრდის საერთო ფსიქოლოგიური საფუძველი, მანამდე სწავლება და აღზრდა ყოველთვის ურთიერთისაგან მოწყვეტილი პროცესების სახით წარმოვეიდგება. ობიექტივაციის ფაქტი სწორედ ასეთს საერთო ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ქმნის როგორც სწავლის, ისე აღზრდისთვის.

აღმხრდელობითი სწავლების პრინციპი, რომელიც საბჭოთა დიდაქტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპთაგანია, თავის ფსიქოლოგიურ დასაბუთების სწორედ ობიექტივაციის ფაქტია პპოებს. ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ სწავლება და სწავლა მხოლოდ ობიექტივაციის პირობებში და მის ნიადაგზე შესაძლებელი. როგორც სწავლის, ისე სწავლების არსი — აღქმის, თუ სხვა განცდათა შინაარსის ობიექტად ქცევაში მდგომარეობს. ობიექტივაცია ქმნის ბავშვის შემეცნებისა და აზროვნების განვითარების საფუძველს. მაგრამ სწორედ ამიტომ სწავლება არ შეიძლება პირველ ჩიგში ბავშვის ობიექტივაციის უნარის მომაგრებას არ უწყობდეს ხელს. იგი იმავე დროს აღზრდის პირობებსაც ქმნის უპირველესად ყოვლისა, იმის გამო, რომ ის ხელს უწყობს არა მხოლოდ ობიექტივაციის უნარის განვითარებას, არამედ აზროვნების განვითარებასაც.

ობიექტივაციის უნარის მომაგრება და აზროვნების სათანადოდ განვითარება კი, თავის მხრივ, საფუძველს ქმნის აღზრდისათვის, ბავშვის პიროვნების თანდათანობით მომაგრებისათვის. ბავშვი ამავე ნიადაგზე იწყებს თავის ქცევისადმი შეფასებითი დამკიდებულების განხორციელებას. ასეთი დამოკიდებულებისთვის სწორედ ქცევის ობიექტივაცია არის საჭირო.

ავილოთ, მაგალითი. ვთქვათ, ბავშვმა უნდა ისწავლოს მრავალნიშნა რიცხვთა შეკრება. ამას თავისი წესი აქვს. მასწავლებელი გარკვეულ მაგალითს წერს დაფაზე და უხსნის ბავშვებს, რომ ერთეული უნდა დაიწეროს ერთეულის ქვეშ, ათეული—ათეულის ქვეშ და ა.

ჭ. მასწავლებელი სპეციალურად მიუთითებს მოსწავლეს ამაზე, ანუ რებს მას ამ წესის ილუსტრაციაზე, ეხმარება მას, ობიექტად აქციოს იგი (ახსნა). ამის შემდევ მოსწავლეს ახალი მაგალითი ეძლევა. მან ჯერ წესი უნდა გაიმეოროს (წესის ობიექტივაცია), შემდეგ მოცემული მაგალითი უნდა გადასწყვიტოს. ეს გადასწყვეტა ორგვარი შეიძლება იყოს:

ა) მოსწავლე ისე მოიქცევა, როგორც მაჟავლებელი მოიქცა; ე. ი. პრაქტიკულად გაიმეორებს მაგალითის გადასწყვეტას იმგვარად, რომ შეიძლება ერთი სიტყვაც არ თქვას. ეს ამოცანის გადასწყვეტის ერთი სახე იქნება.

ბ) მოსწავლე მაგალითის გადასწყვეტისას ყოველ ნაბიჯზე ჯერ განმარტავს იმას, რასაც გააკეთებს და შემდეგ—აკეთებს, ე. ი. ჯერ მეტყველებით გამოხატავს იმას, რაც უნდა გააკეთოს და შემდეგ პრაქტიკულად ასრულებს. ყოველმა გამოცდილმა მასწავლებელმა იცის, რომ ეფექტი გაცილებით უკეთესია მეორე შემთხვევის დროს.

რა ხასიათისაა ეს ეფექტი? ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ის მხოლოდ სწავლაში მდგრმარეობს, რომ მოსწავლემ უკეთ შეითვისა მრავალნიშნა რეცხვის შეკრება. ხომ უეჭველია, რომ მოსწავლემ, ამ მაგალითის გადასწყვეტის დროს წესის შესაფერისად მოქმედებაც ისწავლა. მან ისწავლა თავისი მოქმედების ჯერ გააზრება და შემდეგ შესრულება. მაგრამ რა ხასიათისაა ეს უკანასკნელი ეფექტი? თავისი ქცევის ჯერ გააზრება და შემდეგ შესრულება აღმზრდელობითი ეფექტია. მაშასადამე, ჩვენს მაგალითში ერთსა და იმავე დროს ორი ეფექტი გვაქვს: ერთი—ბავშვმა ისწავლა მრავალნიშნა რიცხვთა შეკრება, მეორე—მან შეითვისა წესის მიხედვით მოქმედებაც, თავის მოქმედების ჯერ გააზრება და შემდეგ შესრულება.

რა ნიადაგზე იყო შესაძლებელი მაგალითის გადასწყვეტისას იმავდროულად ეს ორგვარი ეფექტი? აშკარაა, თუ მათ საესებით სხვადასხვა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვთ, აღმზრდელობით სწავლებაზე შეუძლებელი უნდა იქნეს ლაპარაკი. ვთქვათ, თუ სწავლა შეცნიერულ მნიშვნელობათა შეთვისებაში მდგომარეობს და ეს უკანასკნელი თავისთვის აღებული მოტივს არ შეიცავს, მაშინ, იგი აღმზრდას არ შეუწყობს ხელს.

რა ორის ეს საერთო ფსიქოლოგიური საფუძველი? იმისათვის, რომ ბავშვმა მრავალნიშნა რიცხვების შეკრების ამოცანა გადასწყვიტოს, უპირველესად ყოვლისა მან ეს ამოცანა უნდა განიცადოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამოცანასთან დაკავშირებული თავისი განცდის ყოველი შინაგარსი ობიექტიდ აქციოს. ამას იგი ახერხებს

მეტყველების საშუალებით, მასწავლებელი მას უკარნახებს, ვთქვათ, მრავალნიშნა რიცხვების შეკრების მაგალითს, 7,953. 5,178.

იმისთვის, რომ ბავშვმა ეს მაგალითი დასწეროს, ცხადია, მან ამ რიცხვის შემაღენლობა კარგად უნდა გაიაზროს, მაგრამ რა შემთხვევაშია ეს შესაძლებელი? ეს შესაძლებელია მაშინ, თუ იგი ამ რიცხვის ობიექტივაციას მოახდენს და მას დაისახავს წინასწარი გათვალისწინებისა და განსჯის საგნად. რიცხვის შემაღენლობის გააზრება უამისოდ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

ვთქვათ, ბავშვმა დასწერა პირველი შესაკრებელი 7953. ეხლა იმისათვის, რომ მას მეორე შესაკრებელი მიუწეროს, უნდა მოახდინოს მეორე შესაკრებლის ობიექტივაცია, მისი შემაღენლობის გასააზრებლად. მან აგრეთვე უნდა მოიგონოს შეკრების წესი. აქაც იგი ობიექტივაციის გარეშე ვერაფერს გააკეთებს, რადგან ეს წესი უნდა თქვას. ასეთი თქმა-მეტყველება, წინასწარ გულისხმობს სათქმელის ობიექტივაციას. მაგრამ წესი, ყოველთვის მოქმედებას ეხება, „მრავალნიშნა რიცხვთა შესაკრებად ისე უნდა მოვუწეროთ ერთი მეორეს, რომ ერთეული იყოს ერთეულის ქვეშ, ათეული-ათეულისა დაა.“ შ. შეკრება დავიწყოთ ერთეულებიდან. მიღებული ჯამიდან ათეულები შევინახოთ, ხოლო ერთეულები დავწეროთ ერთეულების ქვეშ და ა. შ.“ ყველაფერი ეს ეხება იმას, თუ როგორ მოიქცეს მოწაფე, რა ნაბიჯის შემდეგ რომელი გადადგას. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ მოწაფე თავის მოქმედების ყოველ რგოლს სპეციალური დაკვირვების საგნად გადააჭცევს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ერთ მაგალითში ორი პროცესი: არითმეტიკულ მნიშვნელობათ შეთვისებისა და თვითონ ქცევის გარკვეული წესის მიხედვით წარმართვის პროცესი ურთიერთთან ორგანულადაა დაკავშირებული და ერთს ნიადაგზე, ობიექტივაციის ნიადაგზე წარიმართება. უპირველესად ყოვლისა ეს პლანი, როგორც მაგალითიდან დავინახეთ, ბავშვის აზროვნების აქტივობის პირობებს ქმნის, მაგრამ ეს პლანი მისი პიროვნების აქტივობის წესის მიხედვით მოქმედების პირობებსაც ქმნის. ამრიგად სწავლის აღმზრდელობითობასთან ათვისებით ამ ნიადაგზე, ობიექტივაციის ნიადაგზე საგსებით გასაგები ხდება.

სკოლამდელი ბავშვის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებებს მისი ქცევის იმპულსურობა წარმოადგენს. თუ საბავშვო ბალი ბავშვის ფსიქიკურ ძალებს შედარებით თავისუფალ ვითარებაში, თამაშის პირობებში აყენებდა და ყველაფერი საბავშვო ბალში თამაშის ელფურის მატარებელია, სკოლა ბავშვის ძალებს გარკვეულ რეუიმულ ჩარჩოში აყენებს. სკოლისათვის ბავშვის ძალთა ყოველგვარი აქტი-

ვობა როდია დასაშვები, აქ ზავშვის მხოლოდ ის აქტივობაა შესაწყნარებელი, რომელიც გამართლებული არის სწავლის თვალსაზრისით.

აღზრდის არსებითი ფსიქოლოგიური საკითხი ბავშვის ქცევის იმპულსურობის დაძლევაშია. ამ საკითხისათვის, ზოგიერთი მოსაზრება, ვემყარებოდით რა განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემებს, ჩვენ უკვიდ გამოვთქვით¹. აქ შევეცდებით მხოლოდ ამ მოსაზრებათა არა-შებითი ნაწილი მოკლედ გადმოვცეთ.

რეჯიმი, რომელსაც ბავშვთათვის სკოლა ქმნის, ბავშვს ეხმარება. შეჩერდეს თავის ძალებზე, მათი ობიექტივაცია მოახდინოს და მათი ასოქმედების გზები წინასწარ გაითვალისწინოს. სკოლა ბავშვის ძალებს და საერთოდ ქცევის განვითარებას ობიექტივაციის, პლანს უქმნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვს აქ უკვე არ ეყოფა თავისი ქცევის აქტუალური განწყობის ნიადაგზე წარმართვა. ბავშვს თამაშის მოთხოვნილების ნიადაგზე თამაშის განწყობა უჩნდება. კოქვათ, 1 კლასის მოწაფემ გაკვეთილზე ჯდომის დროს ფანჯრიდან მისი მეგობარი ბავშვები შეამჩნია, რომლებიც რიკ-ტაფელას თამაშობენ. ცხადია, მას თამაშის განწყობა გაუჩნდება, რომელიც გარეთ გაქცევასა და თამაშში აქტიური მონაწილეობის სახით უნდა განხორციელდეს.

მაგრამ ამ განწყობის უშუალოდ რეალიზაციას სასკოლო რეჯიმი ელობება წინ. გაკვეთილის მიმღინარეობაში მოწაფე ვალდებულია უცრადლებით იყოს მხოლოდ გაკვეთილის შინაარსისადმი. ყველაფერი ის, რაც ამას ხელს შეუშლის აკრძალულია.

აი, ეს აკრძალვა სასკოლო რეჯიმის ნეგატური მომენტია და ყოველთვის ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის აქტუალური განწყობების ქცევაში უშუალოდ რეალიზაციის შეჩერებას. ბავშვს თვითონ ჯერ კიდევ არ ძალუშს აქტუალური განწყობის იმპულსებს თავი დააღწიოს. სასკოლო რეჯიმის ეს ნეგატური მომენტები, აკრძალვა, გაფრთხილება, სასკოლო სასჯელები და სხვ., მას დახმარებას უწევს შეჩერდეს, აქტუალური განწყობის იმპულსს თავი დააღწიოს. ამავე დროს ყოველ აკრძალვას თან ახლავს განმარტება, დასაბუთება იმისა, თუ რატომ არ შეიძლება იმპულსურად მოქმედება. მასწავლებლის აღმზრდელობითი მუშაობა მდგომარეობს არა მხოლოდ აკრძალვის განხორციელებაში, არამედ იმის განმარტებაშიც, თუ რატომ არ შეიძლება ასე მოქმედება, მაშასადამე, ეს აკრძალვა პავშვს ეხმარება თავისი ქცევის ობიექტივაცია მოახდინოს. ეს

¹ ა. მოსიავა, დისციპლინისა და ორგანიზებულობის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, პედაკოგიკა, ტ. II.

ქმნის საფუძველს მასშავლებლის სააღმიჩრდელო ზემოქმედებისათვის, ამით მასშავლებელი ეხძარება ბავშვს თავისი ქცევის გაცნობიერებაში.

მაგრამ სასკოლო რეჟიმი ტადებითი ზექმედების მომენტებსაც შეიცავს. იგი შეიცავს არა მარტო აკრძალვას, არამედ ვალდებულებასაც. ქცევის სავალდებულო წესები ყოველთვის შეიცავს იმასაც, რაც სავალდებულოა. სავალდებულოს შესრულება ყოველთვის წინასწარ მოითხოვს იმის გაცნობიერებას, თუ რა არის სავალდებულო. ეს კი შეიძლება მოხდეს, მხოლოდ სავალდებულო ქცევის ობიექტიად დასახვის ნიაღაგზე. იმისათვის, რომ ბავშვს დავეხმაროთ სავალდებულო ქცევის ღირებულების გაცნობიერებაში, ცხადია, ეს ქცევა ჯერ მისთვის ობიექტიად უნდა გავხადოთ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა აღზრდის საკითხები ამით ამოწურულად ჩაგვეთვალა. აქ ხშრად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წამახალისებელ ღონისძიებათა გონიერად შერჩევასა და გამოყენებას. მაგრამ წამახალისებელი ღონისძიებანი ქმედითი ძალისა მხოლოდ სასკოლო რეჟიმის პირობებში შეიძლება იყოს.

ბოლოს, უდიდესი მნიშვნელობის საკითხი ეს არის ბავშვის მაღალ მოთხოვნილებათა, პატრიოტულ, ესთეტიკურ და მორალურ მოთხოვნილებათა აღზრდა.

გმირობისა და სიმამაცის იმ უამრავი მაგალითების გაცნობა ბავშვთათვის, რომლებიც დიდ სამამულო ომში გამოაელინა ჩვენმა გმარმა ხალხმა და ამჟამადაც ავლენს კომუნიზმის მშენებლობის, სოციალისტური შრომის ფრონტზე, დიდ მასალას აძლევს საბჭოთა პედაგოგს ბავშვების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა საქმეში. მაგრამ აქაც, ქცევის ამაღლებული მოტივების აღზრდა, ცხადია, ამ გმირულ ქცევათა ობიექტიად დასახვას, მის დაკვირვებას, ე. ი. მის ობიექტივაციას უნდა დაემყაროს.

ნებისყოფის აღზრდის ფაიფოლოგიური საფუძვლები

ნებისყოფის არსის შესახებ

რა არის ნებისყოფა? რაში მდგომარეობს მისი არსი? ამ საკითხები თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ერთი საყოველ-თაოდ მიღებული აზრი არ არსებობს. მაგრამ ერთი გარემოება მაინც ყველას მიერ უდავოდ არის აღიარებული: ნებისყოფა გარკვეულ ქცევის აქტებთან არის დაკავშირებული, როგორც მისი ჭარმმართველი ძალა და ქცევას, რომელიც ნებისყოფის საფუძველზე მიმდინარეობს ცნობიერი ხასიათი აქვს: იგი წინასწარ გააჩრებული, წინასწარ აგვემილი გზით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ნიშნით განასხვავებუნ ნებისმიერ ქცევას ქცევის სხვა დანარჩენი ფორმებისაგან.

მაგრამ მიზნის შეგნებულობა და მისი მიღწევისათვის საჭირო საშუალებათა გათვალისწინება ინტელექტის საქმეა. ინტელექტი (აღქმა, წარმოსახვა, აზროვნება) ახდენს გარემო სინამდვილის (ქცევის სიტუაციის) ანალიზს, მისი დახმარებით ვალწევთ მიზნისა და საშუალების გაცნობიერებას. შემეცნება გონების საქმეა. აზრი არ ექნებოდა, რომ იგივე ფუნქცია ნებისყოფისათვისაც დაგვეკისრებინა. ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ, ნებისმიერი ქცევის ცნობიერი ხასიათი ნებისყოფის თავისებურებაზე არ მიუთითებს. არ შეიძლება ის ნიშანი, რის გამოც აზროვნებას აზროვნებას ვეძახით, ნებისყოფის ძირითად ნიშნად იქნას აღიარებული. მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ორი განსხვავებული ფსიქიკური ფუნქციის—ნებისყოფისა და ინტელექტის შესახებ ლაპარაკს! ამ გარემოებას ჩვენი ყოველდღიური დაკვირვებაც აღასტურებს: ზოგჯერ გვხვდება ადამიანი, რომელსაც დიდი ინტელექტუალური ნიჭი, შემეცნების დიდი უნარი გააჩნია, მაგრამ შესამჩნევად სუსტი ნებისყოფა აქვს. ასეთ ადამიანს მიზნის გაცნობიერება და მისი მიღწევისათვის საჭირო საშუალებათა გათვალისწინება არ გაუძნელდება. მისი ნებისყოფის სისუსტე თავს იმაში იჩენს, რომ იგი უერ ისახავს ისეთ

მიზნებს, რომლის მიღებაც ნებისყოფის აქტთან არის დაკავშირებული; ან კიდევ აღვილად იღებს ხელს ასეთი მიზნის განხორციელებაზე, როცა მას წინ რაიმე გარეგანი ან შინაგანი დაბრკოლება დაზვდება.

მეორე მხრივ, მართლაც შეუძლებელია ნებისმიერი ქცევის შესახებ ვილაპარაკოთ იქ, სადაც ქცევის მიზანი და მისი მიღწევისათვის საჭირო ლონისძიებანი არ არის წინასწარ გათვალისწინებული. ნებისმიერი ქცევის დროს პიროვნებამ იცის არა მარტო მიზნისა და საშუალების შესახებ, არამედ ამ ქცევის შედეგის ღირებულების შესახებაც. მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ინტელექტური ნებისყოფის წინაპირობას შეადგენს; რომ შეუძლებელია ნებისყოფის შესახებ ვილაპარაკოთ იქ, სადაც აზროვნება ჯერ კიდევ იქამდე არ მომწიფებულა, რომ მის ნიადაგზე გარემოს ისეთი ანალიზი იქნას წარმოებული, რომელიც მიზნისა და საშუალების ცნობიერებას გახდის შესაძლებელს.

პიროვნების სულიერი შესაძლებლობანი და მათ ნიადაგზე აღმოცენებული ფსიქიური მოვლენები მრავალმხრივ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ზოგჯერ ისინი ისე მჭიდროდ არიან ჩაწყულნი ურთიერთში, რომ ძნელი ხდება შემეცნების მიზნით, მათგან ერთი რომელიმეს გამოცალებება და საკუთრივ მისი სპეციფიკური თავისებურების განსაზღვრა. როცა კაცი ნებისყოფის აქტებს აწარმობს, ამ უკანასკნელს მის ცნობიერებაში შემეცნების განცდებთან ერთად მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი გრძნობითი შინაარსიც ერთვის. ამიტომ წმინდა ნებისყოფა, რომელიც განხილული იქნება ადამიანის სხვა სულიერი შინაარსებილან გამოცალებებით, აბსტრაქციაა, მაგრამ აზრიანი აბსტრაქცია. ასეთი აბსტრაქცია საშუალებას მოგვცემს გამოვიკვლიოთ რა არის თვითონ ნებისყოფა და რა თავისებურება შეაქვს მას აღამიანის სულიერი ცხოვრების მთლიან დინებაში.

1. ვერაგიშლობა და ნაგისყოფის სიმარტი

ჩვენს ორგვლივ მყოფ ადამიანებს რომ დავუკვირდეთ, შევამჩნევთ, რომ მათ შორის არიან ისეთი პირები, რომელნიც გამოირჩევიან განსაკუთრებული ენერგიულობით. ენერგიულობა მულავნდება მათ ყოველდღიურ მოქმედებაში, ყოველგვარ ქცევის აქტში, რომლის განხორციელებასაც კი ისინი კისრულობენ. მათი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე იმპულსები და მისწრაფებანი განსაკუთრებით ძლიერია. ამიტომ ასეთი პირები მთელი თავის არსებით ეძლევიან მოქმედებას. არ ეშინიათ ქცევის პროცესში წამოჭრილი სიძნელე.

ებისა. მათ არ იციან დალლა, დასვენება, სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევენ. შესაძლებელია, ასეთი პირი ფიზიკურად სუსტიც კი რყოს.

ჩვენს ნაცნობთა შორის შეიძლება მოინახოს ისეთიც, რომელსაც, ჩვეულებრივ, ზანტ, უსიცოცხლო, ინერტულ ადამიანს უწოდებენ. ასეთი პირი მიუხედავად იყოსა, რომ შეიძლება ფიზიკურად ძლიერი იყოს მოქმედებაში ნაკლებ ენერგიულობას იჩენს. იგი დიდ ჯაფას არ დაიყენებს თავის თავს, თუ რაიმემ განსაკუთრებით არ შეაწუხა. სუსტია მისი მოთხოვნილებებიდან მომდინარე იმპულსები, რის გამოც ზოგჯერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზედაც აღვილად იღებს ხელს, თუ მას წინ რაიმე ძნელად გაზიარდა დაბრკოლება შეხვდა.

ასეთ განსხვავებას ჩვენ ბავშვებშიც ვამჩნევთ და ისიც ადრინდელ ასაქში. შეხვდებით შემთხვევას, როცა ბავშვი თავდაუზოგველად ებრძვის მასზე ძლიერს, არ ეშვება მას, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ძალა გამოელია და თან მოწინააღმდეგისაგან მიუენებულ მწვავე ტკივილებს გრძნობს. იგივე ბავშვი აღვილად იმორჩილებს მეორე მასზე ფიზიკურად გაცილებით ძლიერ, მაგრამ ზანტი, ინერტული ტიპის ბავშვი.

შეცდომა იქნებოდა რომ გვეფიქრა: ასეთი ენერგიული ადამიანი უძველად ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა, ხოლო შედარებით ნაკლებ ენერგიული კაცი აუცილებლად უფრო სუსტი ნებისყოფით ხასიათდება. ენერგიულობა და ნებისყოფა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ზოგჯერ ცხოვრებაში გვხვდება განსაკუთრებული ენერგიის, დაუღვრომელი, მოუსვენარი ადამიანი, რომელიც მუდამ მოქმედებაში, ქცევაში არის ჩართული, მაგრამ იგი ნებისყოფის მიზნებს არ მიჰყება. მისი ქცევა თითქმის ყოველთვის იმპულსური ხასიათისა არის. ასეთ მოზარდს ვნახავთ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა შორის.

კაცს რომ ძლიერი ნებისყოფა პქონდეს, აუცილებლად საჭიროა იგი ენერგიული პიროვნებაც იყოს. მაგრამ ენერგიულობა თავის-თავად არ მიუთითუბს ნებისყოფაზე, ენერგიის სიჭარე არ გამოხატავს ნებისყოფის სიძლიერეს. პირიქით, ზოგიერთ კერძო შემთხვევაში ის შეიძლება აფერხებდეს კიდეც ამ უკანასკნელს. ნებისყოფის აღზრდის გზით შეიძლება ნაკლებად ენერგიული მოზარდი ენერგიულ პიროვნებად იქცეს, ენერგია გააჩნია ადამიანს, პიროვნებას და არა თვითონ ნებისყოფას. სად, რა მიმართულებით მოიხმარება ეს ენერგია, რა ხასიათის ქცევის აქტებში იქნება ჩართული იგი, ეს თვითონ ენერგიის ბუნებაზე, ან კიდევ მის სიძლი-

ერეზე არ არის დამოკიდებული. ნებისმიერი ქცევაც იმავე ფიზიკური მოძრაობის გზით სრულდება, რომლითაც იმპულსური ქცევა ხორციელდება; ამიტომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე რა გვარობის ენერგია იხარჯება. პრაქტიკულ ცხოვრებაში ნებისყოფის სიმტკიცეს ხშირად აიგივებენ ენერგიულობასთან, რამაც შეცდომაში არ უნდა შეიყენოს აღმზრდელი.

2. ნებელობის აღზრდა და ნებელობის განვითარება

ნებელობა განცდაა სხვა განცდათა შორის: იგი აღამიანის ცნობიერების ფენომენია. როდესაც, რომელიმე ფსიქიკური ფუნქციის მაგალითად, ეთიკური თუ ესთეტიკური გრძნობის აღზრდას ისახავენ მიზნად, ცდილობენ საქმე ისე წარმართონ, რომ სათანადო პირობებში აღზრდილის ცნობიერებაში ამ გრძნობებმა, რაც შეიძლება ჭარბად იჩინოს თავი, რომ აქედან მათ მეტი ზეგავლენა შოაზღინონ ქცევის სასურველ მიმღინარეობაზე. რაც უფრო აღაფრთოვანებს აღამიანს სამშობლოზე ფიქრი, რაც უფრო ფართოდ გაიშლება მის ცნობიერებაში პატრიოტული გრძნობები, მით უფრო მეტი ძლიერებით აღიძვრის იგი სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამოქმედოდ. აქ აღზრდის მიზანი იძღენად უფრო მეტად არის მიღწეული, რამდენად უფრო ინტენსიური გრძნობები უჩნდება აღზრდილს შესატყვის გარემოში.

სხვანაირ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ნებისყოფის შემთხვევაში. აქ აღზრდა მიზნად არ ისახავს აღსაზრდელის ცნობიერებაში ნებელობის განცდათა მოცულობის გაფართოებას, მისი რაოდენობის გაზრდას. ნებელობის აღზრდა არ გულისხმობს, რომ აღამიანს რაც შეიძლება მეტი და ძლიერი ნებისყოფის განცდები ჰქონდეს ყველგან, სადაც კი მას ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღება მოუხდება და ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო ქცევის აქტების შესრულება დასჭირდება. პირიქით, აღზრდის იდეალი ის არის, რომ პიროვნებაშ ნებისმიერი ქცევის წარმართვა ისე შესძლოს, რომ მასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ნაკლები ნებელობის განცდები ჰქონდეს. ნებელობის განცდა გაჩნდება ყველგან, სადაც გადაწყვეტილების გამოტანა ძნელდება, ხოლო მისი შესრულების გზაზე ყოყმანი, მერყეობა. და შინაგანი წინააღმდეგობანი იჩენენ თავს. რაც უფრო ძლიერი და ხანგრძლივია ეს უკანასკნელი გარემოებანი მით უფრო მეტადა ნებელობა წარმოდგენილი ცნობიერებაში. ნებელობის განცდები მეტი აქვს, იმას, ვინც მტკიცედ არ დგას ერთხელ არჩეულ გზაზე, ვისაც შინაგანი იმპულსები ხშირად უბრა-

ძეგბს საწინააღმდეგო მიმართულებით, ვისაც უძნელდება თავშეკავება ან კიდევ ვინც ღრმად განიცადა მიზნის ღირებულება, მაგრამ მისი მიღწევისათვის საჭირო ენერგიას ძლივძლივობით ნახულობს თავისთავში. მე, ვიცნობდი ერთ კაცს, რომელსაც განსაზღვრულ გარემოებათა გამო ძალიან უნდოდა თამბაქოს წევა მიეტოვებინა. რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ რაღაც წამალი შეამზადებინა, რომლის პირში გამოვლების შემდეგ თამბაქოს მოწევა გულისრევას იწვევდა. ხშირი განმეორების შემდეგ პირობითი რეფლექსი შემუშავდა: თამბაქო ერთხანს წამლის მიღების გარეშეც იწვევდა გულისრევას. მაგრამ ვერც ამ გარემოებამ უშველა. ბოლოს ჰიპნოტიზორს მიმართა, რომ შთაგონების ზეგავლენა ეცადა. ეს ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა. არ შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნულ პირს თამბაქოს მიტოვების ცდებთან დაკავშირებით ნებისყოფის განცდები არ ჰქონიდეს. ასეთი განცდები მას უთუოდ ჰქონდა და ჭარბადაც, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლო; იგი მაინც იმპულსურ ქცევის მიმდინარეობას გაჰყვა.

ვისაც მტკიცე ნებისყოფა აქვს, მას ნებელობის განცდებთან ნაკლებად აქვს საქმე: იგი აღვილად ღებულობს გაღაწყვეტილებას და უმტკიცენებულოდ ასრულებს მას. ასეთმა პიროვნებამ არ იცის ყოფანი და მერყეობა. მას არ სჭირდება მუდმივი ნებელობითი დაბაბულობა. ადამიანები, რომელნიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს კაცობრიობის კეთილდღეობის ზრუნვის საქმეს ანდომებენ, იმაზე ფიქრში როდი ჰქარგავენ დროსა და ენერგიას, მოვახმარო თუ არა ჩემი სიცოცხლე ამ წმინდათა წმინდა მოვალეობასო. არა, მათ სხვა საქმე არ იციან, მათვის სხვა უფრო მაღალი სასიცოცხლო ღირებულება არ არსებობს და ამიტომ ისინი შინაგნად მუდამ მზად არიან ამგვარი მოქმედებისათვის. სხვადასხვა მიმართულების შინაგანი იმპულსები მათ მიერ იმთავითვე დაქვემდებარებულია: ამ მოვალეობისაღმი. ნებისყოფა ასეთი პიროვნების შინაგან ბუნებად არის ქცეული, რის გამოც იგი მის ცნობიერებაში ნაკლებად ვლინდება, მაგრამ მის მოქმედებას ყოველთვის აძლევს მიმართულებას და და ძალის.

ამგვარად, ნებისყოფის სიმტკიცე და ნებელობის განცდათა სიჭარებე არ ემთხვევა ერთმანეთს. მტკიცე ნებისყოფის კაცს არ აქვს ძლიერი და დიდი რაოდენობის ნებელობის განცდები. ნებისმიერო ქცევა და ნებელობის განცდა არ ფარავს ერთმანეთს.

3. ნებისყოფა არა ფორმალური ფუნქცია

მევლევართა ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ნებისყოფა არის ძალა, ენერგია, რომელსაც კაცი იყენებს მაშინ, როცა მას ცხოვრ ჩების გზაზე რაიმე დაბრკოლება გადაეღობება. როცა მის წინ ვადაწყვეტილების მიღების მომენტში ან კიდევ მისი შესრულების პროცესში რაიმე ისეთი სიძნელე წამოიჭრება, რომლის გადალახვა მეტად თუ ნაკლებად ინტენსიურ შინაგან დაძაბულობას მოითხოვს. ჟიოთონ ეს ძალა, ეს ენერგია თავისთავად ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშია ქცევის მიზანთან. რა ხასიათის მიზანიც არ უნდა დაისახოს კაცმა, რა მოთხოვნილებისა და მისწრაფების საფუძველზეც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი მიღებული, სულ ერთია, ნებისყოფა ყველგან ერთნაირად იქნება გამოყენებული, თუ მიზნის მიღებისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო გზაზე რაიმე სიძნელემ იჩინა თავი. ნებელობა, როგორც განცდა ცნობიერების სპეციფიკური შინაარსია, რომელიც აღმოცენდება შინაგანი თუ გარეგანი წინააღმდეგობის გადალახვისათვის საჭირო ენერგიის კონცენტრაციის პროცესში. ენერგიის კონცენტრაციას პიროვნება, ახდენს, რომელიმე მოთხოვნილების, რომელიმე ნდობის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის აქტების განსახორციელებლად და ამიტომ ამ მომენტში იგი განსაკუთრებული სიცხადით განიცდის ერთი მხრივ—თავის ნდომას, ხოლო მეორე მხრივ—მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ძალისა და ენერგიის მოცემულობას. ამიტომ ცნობიერების ეს მდგომარეობა ასე გამოითქმის: „მე ნამდვილად მინდა და შემიძლია კიდეც რაც მინდა სისრულეში მოვიყვანო“.

ნებისყოფა ამგვარი გაგების შედევად ფორმალური ხასიათის ფუნქციად იქცევა. მას სპეციფიკური შინაარსი ეკარგება. იგი ერთნაირად უდგება ყოველგვარი ქცევის აქტს, ყოველგვარ მიზან-შწრაფებს. ისე გამოდის, რომ ნებისყოფა, თითქოს ენერგიის მარა-გია, რომელიც გაჭირვების დროს მოიხმარება პიროვნების საგან-გებო ძალისხმევის გზით. ნებისყოფის აქტს არ გააჩნია თავისი საკუთარი, სპეციფიკური საგანი. ნებისმიერ ქცევას არ აქს დამა-შასიათებელი მოტივები და მიზანი: ერთი და იგივე მოტივი, ერთი და იგივე მიზანი შეიძლება ერთ შემთხვევაში ნებისმიერი ქცევის მოტივი და მიზანი იყოს, ხოლო მეორეში—იმპულსურისა. ამგვა-რად გაეგბული ნებისყოფა ჰქარგავს სოციალურ ხასიათს, იგი არაფერს არ გვეუბნება იღამიანის განსაკუთრებული. ბუნების შე-სახებ, მაშინ, როცა არაფერი არ შეიძლება იყოს ისე სპეციფიკუ-

რო ადამიანისათვის, როგორც ნებისყოფა. ინტელექტი, როგორც ცნობილია, ელემენტარული სახით ცნოველებსაც გაიჩნიათ. ნებისყოფა კი სპეციფიკური, ადამიანური მოვლენაა. იგი სოციალურია არა მარტო თავის შინაარსით, არამედ წარმოშობის ხასიათითაც. რაც შეეხება ენერგიის განსაკუთრებულ დაძაბულობის უნარს, მას ცნოველებიც არ არის მოკლებული. ვის არ უნახავს, თუ რამდენად დაძაბული ენერგიით მიეზიდებიან აღმართზე ხარები მძიმედ დატვირთულ ურემს მაშინაც კი, როცა მას ჰატრონი საგანგებოდ არ მიერგება. ზოგჯერ ისინი ტკივილების მიუხედავად კენჭებზე მუხლებითაც კი იჩოქებენ, რომ ამნაირად აღგილიდან გადანაცვლება შესძლონ.

ნებისყოფის აქტს თავისი სპეციფიკური საგანი აქვს. ნებისმიერ ქცევას მოეპოვება განსაკუთრებული მოტივები. ერთიც და მეორეც—სოციალური, ადამიანური ბუნებისა და ამიტომ ისინი ბიოლოგიური კანონზომიერების საზღვრებში ვერ მოთავსდება. ნებისმიერი ქცევის მოტივი და საგანი არასოდეს არ შეიძლება იმპულსური ქცევის მოტივად და საგნად იქცეს.

მაგრამ რა შეადგენს ნებისყოფის საგანს? რაზეა მიმართული ნებისყოფის აქტი? რა ხასიათის მოტივებით შეიძლება იყოს შეპირობებული ნებისმიერი ქცევა? ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა ნებისმიერი ქცევის შედარებითი ანალიზი მოვახდინოთ. ვნაშოთ, რით განსხვავდება იგი იმპულსური ქცევისაგან.

4. ჩცვვის პირითადი მოხვევები

ქცევაში შემდეგი მომენტები უნდა განვასხვაოთ: მოტივი, მიზანი, საგანი, მოძრაობანი და მიზეზი. ქცევის მოტივი არის ის, რის საფუძველზეც მიზანი ისახება. მოტივი აძლევს, რომელიმე საქმის ვითარებას მიზნის ხასიათს. ქცევის მიზანს შეადგენს ის, რაც უნდა განხორციელდეს, რისთვისაც ქცევის აქტები წარმოებს. ქცევის აქტები უშუალოდ ქცევის საგნისადმია მიმართული, ამ საგანზე ოპერაციის გზით აღწევს ქცევა თავის მიზანს. მოძრაობანი ქცევის ოპერაციულ მხარეს შეადგენენ. გარკვეულ მოძრაობათა ფორმაში მიმდინარეობს ქცევა. ამ მოძრაობათა საშუალებით ხერხდება მიზნის განხორციელება. მიზეზი აქაც მისი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული. ქცევის მიზეზი არის ის, რაც უშუალოდ იმ მოძრაობებს იწვევს, რომლითაც ქცევა ხორციელდება. ზოგიერთი მკვლევარი მოტივს აიგივებს მიზეზთან და არა ცნობიერი მოტივების შესახებაც ლაპარაკობს. ასეთი მოსაზრება არ შეიძლება ფამართლებულ იქნას. შეუძლებელია მიზეზიდან პირდა-

პირ მიზანზე გადასვლა. მოტივი ცნობიერების ფენომენია, მის შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მთოლოდ იმდენად, რამდენადაც ქცევის მიზნის მიღების პროცესი ცნობიერი პროცესია. ცნობიერების ფენომენები მისი ბუნების თავისებურების გამო არ შეიძლება ქცევის უშუალო მიზეზი იყოს. მიზეზი ყველგან არსებობს, შადაც კი საერთოდ ქცევასთან, მიზანშეწონილ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. თუ ქცევა მიმდინარეობს, მას უეჭველად თავის მიზეზი აქვს, მაგრამ მოტივი მას შეიძლება ყოველთვის არ გააჩნდეს. ძნელია კაცმა, მაგალითად უმარტივესი ცხოველების ქცევის მოტივების შესახებ ილაპარაკოს.

ვთქვათ, მოწყვურდა. ვდგები და წყალს ვასხამ გრაფინიდან ჭიჭაში, რომელიც პირთან მიმაქვს და წყურვილის უსიამოვნების განცდას თავიდან ვიშორებ. აქ, ქცევის მოტივი თვითონ წყურვილია, როგორც ჩემი ცნობიერების თავისებური მდგომარეობა. ქცევის საგანს წყალი შეადგენს, მისკენ არის ჩემი ქცევის აქტები მიმართული. წყალი თავისთვად არ არის ქცევის მიზანი, რადგან ჯერ ერთი იგი უკვე არსებობს მაგიდაზე გრაფინში და რაც არსებობს იმის მიზნად დასახვას აზრი არ აქვს. შემდეგ: მე წყალი კი არ მინდა როგორც ასეთი, არამედ წყურვილის თავიდან მოშორება მწარია. წყლის მიღების პროცესს, მაშინ შევწყვეტ, როცა უკვე წყურვილს აღარ ვიგრძნობ. სხვა უფრო ადვილი და მოკლე გზით, რომ ყოფილიყო შესაძლებელი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, მაშინ წყლისთვის შეიძლება არც კი მიმემართა. იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ, რაიმე გარემოების გამო ბევრი წყლის სპა გვეკრძლება, სხვა საშუალებას ვეძიებთ, რომ როგორმე წყურვილის გრძნობა თავიდან მოვიცილოთ. ამგვარად, ქცევის მიზანი აქ წყალი კი არ არის, არამედ წყურვილის უსიამოვნო მდგომარეობის თავიდან აშორება. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი წყლის დალევის გზით ხერხდება, რადგან წყალი შეადგენს იმ საგანს, რომელსაც წყურვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ვინაიდან წყლის დალევის პროცესი და წყურვილის უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოსვლა დროში ერთმანეთს ემთხვევა შეიძლება ვთქვათ, რომ ჩემი ქცევის მიზანს წყლის დალევა შეადგენდა მეთქი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა, მაგალითად, კაცი რაიმე წამალს სვამს, რომ მწვავე ტკივილები დაიყუჩოს. მის მიზანს ტკივილის მდგომარეობიდან გამოსვლა, ტკივილის თავიდან მოცილება შეადგენს, მაგრამ წამლის დალევის პროცესს არ ემთხვევა დროში ტკივილების დაყუჩება. ეს უკანასკნელი მას მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის შემდეგ შეიძლება მოჰ-

ჟვეს. ასეთ შემთხვევაში არ ვიტყვით ქცევის მიზანი წამლის და-ლევაში მდგომარეობდაო. ქცევის მიზანს აქ ტკივილების აუტანე-ლი მდგომარეობიდან გამოსვლა შეადგენს, სწორედ ისე, ო-გორუ პირველ შემთხვევაში იგი წყურვილის უსიამოვნების თავი-დან მოშორებაში გამოიხატება.

იმ მიზნით, რომ ქცევის, კერძოდ კი ნებისმიერი ქცევის თავისებუ-ლება გამოეკვლიათ, კვლევა-ძიება დიდი ხნის მანძილზე მოძრაობა-თა თავისებურებების შესწავლისკენ იყო მიმართული. სხვადასხვა გზით იკვლევდნენ მოძრაობის სისწრაფეს, მის სიზუსტეს, მოძრა-ობათა კოორდინაციის შესაძლებლობებს და ა. შ. მაგრამ მოძრა-ობა არ არის ქცევა. იგი ქცევის ერთი მხარე, ერთი მომენტია და ისიც ისეთი, რომელსაც თავისთავად საერთოდ არაფერი არ შეუ-ძლია გვითხრას ქცევის ბუნების, მისი ხასიათის თავისებურების შესახებ. რა თქმა უნდა, მოძრაობის გარეშე ქცევა ვერ განხორ-ციელდება, რადგან მოძრაობა ქცევის ფიზიკურ შესაძლებლობას წარმოაღენს. რამდენად უფრო მოქნილი, სწრაფი, ზუსტი და კოორდინირებულია მოძრაობანი, იმდენად უკეთესი შესაძლებლობა არსებობს ამა თუ იმ ქცევის განხორციელებისათვის. მაგრამ თვი-თონ მოძრაობანი, რომლებითაც ქცევა ხორციელდება ქცევის ში-ნაარსთან, მის ხასიათთან ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშია: ერთი და იგივე მოძრაობა ან მოძრაობათა სისტემა შეიძლება ერთ-ნაირად იქნას გამოყენებული ორი ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებული ქცევის მიმღინარეობის დროს. ჩვენ ნებისმიერ ქცე-ვასაც იმავე მოძრაობებით ვახორციელებთ, რომლითაც იმპულ-სური ან კიდევ იძულებითი ხასიათის ქცევა მიმღინარეობს. მო-ძრაობა ქცევაში დაქვემდებარებულია ქცევის სხვა მომენტებისადმი.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში ქცევის უშუალო მიზეზის თავისებური. ხასიათი საფუძვლიანად არის შესწავლილი. აკად. დ. უზნაძის მო-ძლვრების მიხედვით ქცევის მიმღინარეობას განწყობა ედება საფუ-ძვლად. განწყობა გარკვეული აქტუალური მოთხოვნილების მატა-რებელი არსების ის მთლიანი მდგომარეობაა, რომელიც მას ამ მოთხოვნილების სიტუაციასთან ურთიერთობაში ექმნება. ცოცხა-ლი არსების ამ მთლიან მდგომარეობაში განსაზღვრულია ყველა ის მოძრაობანი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში გარკვეული ქცევის აქტების სახით უნდა გაიშალოს. განწყობა გვიხსნის არა მარტო იმ მოძრაობათა თავისებურ ხასიათს, რომლებითაც ქცევა ხორცი-ელდება, არამედ მის ნიაღაგზე გასაგები ხდება ქცევის მთელი ცანონგომიერება. (იხ. დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“. კარი III)

ქცევის ბუნების გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქცევის მოტივისა და მიზნის დადგენას. თუ ამ ორიდან ერთ-ერთი ვიცით, ვიცით რა ხასიათის ქცევასთან გვაქვს საქმე, რა ამო-ძრავებს პიროვნებას და საითქენ ისწრაფვის იგი. შესაძლებელი იყო ქცევის ხასიათის გარკვევა, კაცს ქცევის საგნის ბუნების გათ-ვალისწინებით დაეწყო, მაგრამ ამ გზით წასვლა არ არის ხელსაყ-რელი, რადგან ზოგჯერ ერთი და იგივე საგანი, ერთი და იგივე ნივთი ორი ან რამდენიმე განსხვავებული ქცევის საგანი შეიძლება იყოს. როცა, მაგალითად, მწყემსი ცდილობს გადაარჩინოს ცხვარი, რომელსაც მგელი თავს დაესხა, მგლისა და მწყემსის მოქმედება ერთ და იმავე საგანზე, ცხვარზე არის მიმართული. მგლისა და მწყემსის ქცევებს შორის არსებული განსხვავება რომ დავინახოთ საჭიროა ქცევის მოტივიდან ან კიდევ ქცევის მიზნიდან გამოვი-დეთ. შეიძლება გამოირჩეს, რომ მწყემსსა და მგელს ორივეს ერთი და იგივე რაგვარობის მოტივი ამოძრავებდა, რომ მწყემსსაც მგლის მსგავსად შიმშილის ახლანდელი მდგომარეობის თავიდან ასაშო-რებლად უნდოდა ცხვარი. ჩვეულებრივად, მოსალოდნელია საწი-ნააღმდეგო აღმოჩნდეს: მწყემსისთვის ცხვარი ღირებულებას წარ-მოადგენს, რომ ცხვართან მისი ქცევა ამ წუთში შიმშილის მოთხოვ-ნილებით არ არის დაკავშირებული. შეიძლება მას ამ ცხვრის-თვის ჯერ, როგორც ხორცისთვის, როგორც საკუთარი შიმშილის მოთხოვნილების საგნისთვის არც კი შეუხედავს. როცა მწყემსი-მგელს უტევდა, რომ ცხვარი გადაერჩინა, მაშინ მან შეიძლება, არც კი იცოდა სად, როდის და რა მოთხოვნილებების დასაკმაყო-ფილებლად გამოიყენებდა იგი ამ ცხვარს. ცხვარი იმ წუთში მის-თვის განსაზღვრული (მაგრამ რომელობითად გაურკვეველი) ღირე-ბულების მატარებელი იყო და მისი მოქმედება ამ ღირებულების გადასარჩენად იყო მიმართული. ასეთ შემთხვევაში მწყემსის მოქ-მედება არსებითად განსხვავდება მგლის ქცევისაგან. აქ თავისი ბუნებით ორ ერთი მეორისაგან სრულიად განსხვავებულ ქცევას-თან გვაქვს საქმე.

მ. იმპულსური ქცევა

ა. იმპულსური ქცევა

ქცევის შესახებ, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, მხოლოდ იქ შეიძ-ლება ვილაპარაკოთ, სადაც მას რაიმე მოტივი გააჩნია. დანარჩენ შემთხვევაში უბრალო მიზანშეწონილ მოძრაობასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. მაგალითად, ტროპიზმი არ არის ქცევა, თუმცა იგი მიზანშეწონილი მოძრაობაა, რომელიც სიცოცხლის შენახვის

საქმეს ემსახურება. მოტივი ცნობიერების მოვლენაა, მაგრამ იგი, თავის მხრივ, შეიძლება ცოცხალ არსებაში არაცნობიერად მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებთან იყოს. დაკავშირებული. შშიერი ბავშვი რომ საქმელს შეექცევა, მისი ქცევის აქტები სუბიექტურად შიმშილის უსიამოვნო განცდებით არის შეპირობებული. მაგრამ შიმშილი თავისმხრივ ბავშვის ორგანიზმში მიმღინარე ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესთან დაკავშირებული განცდაა. როცა ბავშვს ავადმყოფობის გამო შიმშილის გრძნობა დაკარგული აქვს, მის ორგანიზმს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესის ნორმალური მიმღინარეობისათვის ისევე სჭირდება საკვები, როგორც მაშინ, როცა იგი ჯანმრთელად იყო. მაგრამ ახლა ბავშვს საკვები აღარ უნდა, უარს ამბობს ჭამაზე, რედგან აღარ არსებობს მოტივი, რომელიც აქამდე ბავშვის მიერ წარმოებულ ჭამის აქტებს ედვა საფუძვლად. ბავშვის ორგანიზმი შეიძლება მაღის აღძერამდე მშიერი დარჩეს, შეიძლება უჭირელობით დაილუპოს კიდეც, თუ არ მოინახა ისეთი მოტივი, რომელიც ჭამის აქტებს მისთვის მისაღებს გახდის.

ყველაგან, სადაც ქცევას ასეთი გრძნობისებური მოტივი ედება საფუძვლად, ჩვენ საქმე გვაქვს იმპულსურ ქცევასთან. ცხოველის ქცევა თავიდან ბოლომდე იმპულსურ ხასიათს ატარებს. იმპულსური ქცევა აღამიანისათვისაც ჩვეულებრივი მხვლენაა, თუმცა იგი მისთვის არა სპეციფიკურია. საკვების შერჩევისას ჩვენ ყოველთვის იმას კი არ მივმართავთ, რაც უფრო საჭირო ჯანმრთელობისათვის, არამედ ხშირად იმას ვირჩევთ, რისი მიღებაც მეტ სიამოვნებასთან არის დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება ჯანმრთელობისათვის საჭიანო იყოს.

ქცევა შეიძლება გრძნობით იყოს მოტივირებული, მაგრამ იგი გარკვეულ ობიექტურ ღირებულებას ქმნიდეს. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კეთილშობილი გრძნობების აღზრდის საქმეს. ბავშვი რომ პირველად სწავლას იწყებს და ისიც ასეთი ხალისით, იგი ცოდნის ობიექტური ღირებულებიდან კი არ გამოდის, არამედ იმ სიამოვნებიდან, რომელსაც სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინტელექტუალური აქტივობის გზით ღებულობს. ბავშვისთვის საკმარისია რაიმე მხრივ ეს აქტები არასასიამოვნო გახდეს, ან კიდევ სხვა, მეტი სიამოვნების მომგვრელი ქცევის განხორციელების შესაძლებლობა გაიშალოს მის წინ, რომ მან სწავლის პროცესი შესწყვიტოს.

მაინც რაში მდგომარეობს იმპულსური ქცევის თავისებურება? რა ხასიათს აძლევს ამ ქცევას ის გარემოება, რომ იგი გრძნობით არის მოტივირებული?

ყოველი ქცევის აქტი, როგორი ბუნებისაც არ უნდა იყოს იგი, მეტად თუ ნაკლებად შესამჩნევ ცვლილებებს იწვევს, ერთი მხრივ, იმ გარემო სინამდვილეში, რომელშიაც ეს აქტები მიმდინარეობს, ხოლო მეორე მხრივ, თვითონ იმ სუბიექტში, რომელიც ამ ქცევის აქტებს აწარმოებს. ქცევის პროცესის დასრულების შემდეგ რჩება ეს ცვლილებები. მათ შეიძლება დადგებითი ან უარყოფითი ობიექტური ღირებულება ჰქონდეს. იმპულსურ ქცევას არასოდეს ეს ღირებულება არა აქვს მხედველობაში, იგი არასოდეს ამ ღირებულების განხორციელებას არ რახავს მიზნად. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ მისი ობიექტური შედეგი იყოს. მიზანი თვითონ ქცევის პროცესშია მოცემული. იმპულსური ქცევის სუბიექტი მთლიანად უშუალოდ ქცევასთან დაკავშირებულ განცდებით არის განსაზღვრული. ბავშვს გაცხოველებულ თამაშში გზადაგზა შეიძლება აგონდება კიდევც, რომ მას გაკვეთილები დარჩა მოუმზადებელი, მაგრამ იმდენად არის თამაშით გატაცებული, რომ მას თავს ვეღარ აღწევს. ახლა თვითონ თამაშთან დაკავშირებული ქცევის აქტებია მისთვის მიმზიდველი, რადგან მათთან გარკვეული განცდებია დაკავშირებული. რა რჩება მას თამაშის შედეგად? ზოგჯერ უდროო და მოუწესრიგებელი თამაშის შემდეგ, დალლილი და ნაცემი სხეული, დახეული ტანსაცმელი და მოუმზადებელი გაკვეთილები, რისთვისაც სახლშიც და სკოლაშიც უსიამოვნებაა მოსალოდნელი, მაგრამ ეს უკანასკნელი მოსალოდნელი უსიამოვნებაა, რომელიც თამაშის პროცესში აქტიურად არ განიცდება, ამიტომ სანამ იგი აწმყოს მდგომარეობად არ იქცევა, იმპულსური ქცევის მოტივის როლს ვერ შეასრულებს. მოსალოდნელი შემთხვევის წინასწარი გათვალისწინების წიადაგზე აღმოცენებული უსიამოვნებას გრძნობა შეიძლება ბავშვის სხვა რომელიმე იმპულსური ქცევის მოტივად იქცეს.

იმპულსური ქცევის მიმდინარეობის ენერგიულობა მოტივად მინეულ გრძნობის ინტენსიონის ხარისხზე არაა დამოკიდებული. ენერგიულია ქცევის მიმდინარეობის პროცესი, თუ არა ეს იმ აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსის სიძლიერეზეა დამოკიდებული, რომლის ნიადაგზეც აღმოცენებული გრძნობა მოტივის ფუნქციას ასრულებს. ძლიერი იმპულსი ყოველთვის არ არის ცნობიერებაში ინტენსიური გრძნობით წარმოდგენილი.

ქცევა შეიძლება წინასწარ გათვალისწინებული გეგმით მიღიონდეს, მაგრამ იგი მაინც იმპულსურ ხასიათს ატარებდეს და გრძნობით იყოს მოტივირებული. ასეთ შემთხვევაში

ინტელექტი ქცევის აგეგმვას აქტუალური იმპულსის ზეგავლენით ახდენს. შეიძლება აღამიანს იმპულსური ქცევის უარყოფითი შედეგები ნათლად ჰქონდეს გათვალისწინებული, მაგრამ იმპულსური ქცევის აქტების შეკავება მაინც ვერ შესძლოს. ასე, მაგალითად, ავადმყოფი, რომელმაც მუცლის ტიფი გადაიტანა, მკაცრ დიეტაზე იმყოფება; მას პირველ ხანებში სასტიკად ეკრძალება ჩვეულებრივი საკვების მიღება, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის შეიძლება მომაკვდინებელი აღმოჩენის მისი ორგანიზმი ავადმყოფობის მთელ მანძილზე თითქმის შიმშილობდა, რის გამოც ახლა ავადმყოფი ამ მიმართულებით განსაკუთრებული სიძლიერის იმპულსს გრძნობს. იგი ცდილობს ამ იმპულსების შეკავებას. მომვლელს სთხოვს აკრძალული საკვები არ დაანახოს. არ დატოვოს იგი თვალსაჩინო ადგილას. მაგრამ შეიძლება ბოლოს მაინც ვერ გაუძლოს მან ამ იმპულსის მოწოლას, ვეღარ აიტანოს დაბაბული უსიამოვნების მდგომარეობა და მომვლელი განზრახ გაგზავნოს გარეთ, თითქოს, რაიმე დავალებით, რომ მისი არ ყოფნით ისარგებლოს, მონახოს გასაღები, გააღოს კარაღა, მოძებნოს პური და დაუწყოს ჭამა. მან იცის, როცა პურს ჭამს სიცოცხლეს, რომლის გატარებას სთხოვდა ყველას ავადმყოფობის მძიმე პერიოდში, ახლა თავის ხელით აგზებს საფრთხეში, შეიძლება სპობს კიდეც მას, მაგრამ ძალა აღარ აქვს თავი შეიკავოს. ანალოგიურ მოვლენებს ჯანსაღი ადამიანის ცხოვრებაშიაც ვხვდებით. განსაკუთრებით ახალგაზრდობის სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ასეთ შემთხვევებში წინასწარ არის გათვალისწინებული რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს, მაგრამ ეს გარემოება ქცევას იმპულსურ ხასიათს არ ართმევს, რადგან იგი თავიდან ბოლომდე გრძნობით არის მოტივირებული და ყველა მისი აქტები, აზროვნების აქტის ჩათვლით, აქტუალური მოთხოვნილების იმპულსიდან მიღებული ენერგიით საზრდოობს. გრძნობით შეიძლება მოტივირებული იქნას ისეთი ქცევის აქტებიც, რომელნიც მაღალ ლირებულებას ახორციელებენ. სიყვარულის, მეგობრობის, სამართლიანობის, შურისძიების და სხვა გრძნობები ხშირად ყოფილან საგმირო მოქმედების მოტივებად. მაგრამ ყველგან საღაც მოქმედება მხოლოდ გრძნობებით არის მოტივირებული, საქმე გვაქვს იმპულსურ ქცევასთან.

გ. ნებისმიერი ქცევა

ნებისმიერ ქცევას იმპულსური ქცევიდან არსებითად განსხვავებული მიმართულება აქვს. იმპულსური ქცევის მიზანი თვითონ

ქცევაშია ჩართული. იგი განცდაა, რომელიც უშუალოდ უკავშირს დება მიმდინარე ქცევის აქტებს. ამიტომ, როგორიც არ უნდა იყოს იმპულსური. ქცევის ობიექტური შედეგი, სუბიექტურად იგი მაინც აქტუალურობის საქმის ვითარებით არის განსაზღვრული და შეპირობებული.

ნებისმიერი ქცევა ქცევის აქტებთან დაკავშირებულ სუბიექტურ ვითარებას სრულებით არ ღებულობს მხედველობაში, ეს უკანასკნელი მისი მიზნის ქონსტიტუციურ მომენტს არ წარმოადგენს. ამიტომ ამ ორი ქცევის მიზანი ერთმანეთს არ ემთხვევა. პირველი უშუალოდ განცდასთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე — იმ მდიექტურ ლირებულებასთან, რომელიც შემდეგ ში შეიძლება განცდის საგნად იქცეს. აქედან შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ნებისმიერი ქცევა არ შეიძლება ისეთი მოტივებით იყოს შეპირობებული, რომელნიც იმპულსურ ქცევას ედება საფუძვლად. ამ გარემოებაში ადვილად დავრწმუნდებით თუ ნებისმიერი ქცევის ანალიზს მოვახდენთ.

განვიხილოთ ნებისმიერი ქცევის ზოგიერთი შემთხვევა.

1. დაუშვათ ისეთ ადგილას მოვხვდი, სადაც საკვების შოვა შეუძლებელია. ჩემს განკარგულებაში ერთი კილოგრამი პურია. არ არის იმედი, რომ ორი დღის განმავლობაში დამატებით საკვებს მივიღებ. ამავე დროს მწვავე შიმშილს ვგრძნობ. საკვების მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსი ძლიერ ძალით მიბიძებს იქეთკენ, რომ პურის მთელი ნაჭერი შევჭამო. ამ მოთხოვნილების ნიადაგზე აღმოცენებული დაბაზული უსიამოვნების განცდა, რომელიც დროთასვლის კვალობაზე კიდევ და კიდევ უფრო ძლიერდება მთელი პურის შეჭმისთვის საჭირო ქცევის აქტების მოტივად იქცევა. ცნობიერებაში მე მხოლოდ ის განცდა მაქვს, რომელიც მოტივის ფუნქციას ასრულებს; მისი წყაროს შესახებ მე არაფერი ვიცი. ცნობიერების ეს მდგომარეობა, რომ აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით არის შეპირობებული, რომ იგი ორგანიზმის სიცოცხლესთან, ორგანიზმში მიმდინარე გაცვლა-გამოცვლის პროცესებთან არის დაკავშირებული და ამიტომ საჭმელი, რომ არ მივიღო ორგანიზმისთვის საზიანოა, ამის შესახებ შიმშილის უსიამოვნების გრძნობა თავისთავად არაფერს მეუბნება. ამ უკანასკნელის შესახებ შეიძლება არც კი იცოდეს კაცმა საერთოდ (ბავშვი ამას საკმაოდ გვიან ასაქმი გაიგებს). პურის შეჭმისკენ მიმართული ქცევის აქტები ფსიქოლოგიურად მხოლოდ შიმშილის ცნობიერების მდგომარეობით არის მოტივირებული. ამიტომ არაფერი არ შემიშლიდა.

Ցյ Եղլս პუրու ծռლოմდյ ჭամաშո, հռմ Շիմշիլուս ցրճնօնք զցըր-
դու սեցանաօրո ծյնեծու մուրոց ար յինա տացո. Ցյ հյմս եցալոն-
ցըլ գլըս զուցալուսինյնը, პյրու յրո նաեցարս զկամ, եռլո մյ-
ռույս—զոնախաց. პյրո, հռմելսաց պիմպոն Շեցեյլուրո և մուս մյ-
ռույ եցալուստցու ցալագրեծու նաեցարո, հյմս ւրնօնիւրեծան սեց-
դասեցանաօրաց արու. Վարմուցցենու, սվորու ույ, հռցորու ու
մուտեռունուլուրեծան, հռմլու աթլա լուցանցըլո ուլուցու յմայո-
ւուլցը և հռմլուստցուսաց პյրու մյուրո նավուլու Շենաեցու. եց-
ալոնցըլ ուլուցու և եցալոնցըլ մուտեռունուլուրեծան աթլա պիմպո-
ւուրաց հյմս պիմպո մցցոմարյոնօնօնտան լայացմուրեծու և սայմուս զո-
տարեծաց ար ցանցուրո. ամուրու հյմու պիմպո մցցոմարյոնօն ար Շյ-
ունցը պյրո, հռմելու աթլա ար մուսմարյու և մումշու, հռ-
մելու պիմպու մուրենու ար ոցրճնօնօն, համու աթրու և մունշու-
լուրեծան աթլուցու. եցալուստցու ցալագրեծու պյրու նայերու աթլա
հյմտցու ածոյյէլուրո լուրեծուլուրեծան մարյացըլ մուցլունան Վար-
մուացցեն. մուտեռունուլուրեծան, հռմելու ամարտեծան պյրու ածոյ-
յէլուր լուրեծուլուրեծան լուրեծու պիմպու, պիմպուլուրաց յու ար արսյընօն,
արամեց ոցու օանիրու, հռցորու Շեսածուլեծլուրեծան. ոցու արու մուտեռու-
նուլուրեծան սայրուու, հռմելու արացու ար ցանցուրո. հռու յս պյա-
նասյնելու պիմպուլուր ցանցուրաց յիւցու, մամուն պյրու սաեմարու լո-
ւուրեծուլուրեծան ցորման լուրեծու լուրեծուլուրու, հռ-
մելու պիմպու ածոյու օմ ցանցուրեծան տացուսեցուրեծան ցանուսանցուրեծան, հռ-
մելու պիմպու մուսմարյու պիմպու լայացմուրեծան լայացմուրեծան մո-
ւուրեծան, ույ, հռցորու ամաս, հյուսլուրեծրուց, պյուցու օմպյուլսուրու յիւցու
ուրեցու լուրու պյու ածցուու. լուրեծան պյրու, հռմելու պյա-
լուստցու մայու Շենաեցու, հյմտցու ածոյյէլուր լուրեծուլուրեծան պիմ-
պու, մացրու եցալ, հռու յու մուսկյուն մումշու լուրեծու տացուրան
ասացուլուրաց ցարյուցու յիւցու պիմպու մուցմարտաց, Շյունցը սրու-
լուրեծան ար մյոնցը մեցուրելուրեծան մուսու ածոյյէլուր լուրեծու-
լուրեծան. յունց պյուրու լուրու օյնեծան Շենաեցու պյրու ածոյյէլուր ու-
րեցու հյմտցու, ույ յու մեցուրելուրեծան մուցուրու արա հարտու
եցալոնցըլ մումշու, արամեց սայրուու մումշու լայացմուրեծու և սե-
նուցութելու լուրեծուլուրեծան.

Պյրու մարացու յրու նավու հռմ մուսմարյու տու յիւցու պիմպու պիմ-
պու մուր ցանցուրեծան ցալայուրիյս, հռմ Շեսածուլուրեծու ցանցը ամ
յիւցու պիմպու յիւցու մուցմարտաց մուցուրու արա հարտու
եցուսուցու պիմպո յոնց ցանցուրու պյրու Շենաեցու,—նյ-
մուսուցու պիմպո յոնց ցանցուրու պյրու յիւցու.

მაგრამ რაზედ არის ეს აქტი მიმართული, რა აქვს მას მხედველობაში? აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის შეგავებას თავისთვად არაფერო აზრი არ აქვს. მოცემულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ პურის ერთი ნაწილი იქნას გადარჩენილი. ამიტომ, აქ ნებისყოფის აქტი იმპულსების შეგავებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ პურის როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულების შენახვას. აქტუალური მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსების შეგავება მხოლოდ ამ გარემოებისათვის ხდება აუცილებელი. პურზე აქტუალური მოთხოვნილების იმპულსიც არის მიმართული, მაგრამ პურთან იგი დაკავშირებულია, როგორც აქტუალურ, ამ წუთში არსებულ მოთხოვნილების საგანთან და არა როგორც ობიექტური ღირებულების მატარებელ მოვლენასთან. აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი მოხმარებისკენ ისტრაფვის. სხვა რაიმე მას არ შეიძლება მხედველობაში ჰქონდეს.

2. ვთქვათ, კოლმეურნე x თავს უგუნებოდ გრძნობს: თავის ტკივილი აწუხებს და საერთო სისუსტეს უჩივის. ამიტომ მისთვის ახლა შრომა და ისიც მწეზე, მინდორში საკმაოდ ძლიერ უსიამოვნებასთან იქნება დაკავშირებული. მას შეუძლია სახლში დარჩეს, ამისთვის კაცი არ უსაყველურებს, მაგრამ დიდი ხნის გვალვების შემდეგ, მხოლოდ წუხელ დაალბო წვიმამ მიწა, რომელიც ხვალ და ზეგშეიძლება ისევ გამოვალვოს და ხვნა შეუძლებელი გახდეს. ამიტომ საჭიროა მისი გასვლა მინდვრად. x სახლში დარჩენაზე უარს ამბობს, გუთანს ჰკიდებს ხელს და სამუშაოდ გადის. მზის მხურვალე სხივები კიდევ უფრო ამწვავებს ტკივილებს, ხოლო დალლილობა აძლიერებს საერთო სისუსტეს, ნაგრამ x შრომას დაღამებამდე არ ანებებს თავს. უცველია x-ის ქცევას ნებისყოფა წარმართავს. ქცევის ის აქტები, რომლებითაც ხვნის საქმიანობა სრულდება, მოცემულ შემთხვევაში x-ისთვის მძიმეა, მასთან საკმაოდ დიდი უსიამოვნება არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი შრომის მიტოვებისა და შინ დასასვენებლად წასვლის ქცევის მოტივად გადაიქცეოდა, რომ x-ს ნებისყოფის სიმტკიცე არ გამოეჩინა. x-ის მოქმედება გარკვეული ობიექტური ღირებულების შექმნისკენ იყო მიმართული და ამ შექმის პროცესში იგი სრულებით არ ფიქრობდა იმაზე, როდის, სად, ვის მიერ და რა პირობებში იქნება მოხმარებული მის მიერ შექმნილი ღირებულება. იმ პროდუქტის სახმარი ღირებულების განცდა, რომელსაც იგი შრომის გზით ქმნიდა, შრომის პროცესში მას შეიძლება საერთოდ არც კი ჰქონია.

საერთოდ შრომის აქტივობისთვის დამახასიათებელი ის არის, რომ „იგი მისთვის კი არ წარმოებს, რომ ის პროდუქტი შექმნას, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა საჭირო, იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც სუბიექტი აი ახლა, ამჟამად განიცდის, არამედ კვების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოდ, იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც შეიძლება ხვალ, ან როდისმე გაუჩნდეს მას, ან სხვა ვისმე, სულერთია“. შრომა აქტივობის თავისებურ სახეს გულისხმობს, „ისეთ სახეს, რომელსაც აქტუალური მოთხოვნილების გარეშე მოქმედებისა და ამ მოთხოვნილებისაგან დამოუკიდებელი ღირებულების შექმნის ძალა შესწევს“. „აქტიობის ასეთ სახეს... ნებელობა წარმოადგენს“.¹ შრომის აქტებისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ ისინი ღირებულებას ქმნიან, ღირებულების განხორციელების საქმეს ემსახურებიან. მეორე მხრივ შრომის პროცესი ნებისმიერი ქცევის ტიპიური ფორმაა: შრომის ყოველი აქტი ნებისმიერი ქცევის აქტია, იგი მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებაზეა მიმართული.

3. ძელ მხატვრულ ღიტერატურაში და ისტორიულ წყაროებში ზოგჯერ გვხვდება ისეთი პირი, რომელსაც ომის ქარცეცხლთან დაკავშირებული განცდები განსაკუთრებული ძალით იზიდავს. ამიტომ იგი მოუთმენლად მოელის ომს. მას რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდეს, თვითონ გახდებოდა ომის წამოწყების საბაბი. დადგება თუ არა სათანადო შემთხვევა, ისიც ხალისით მიეშურება ბრძოლის ველისკენ, სადაც თავგამოდებით იბრძის და ზოგჯერ გმირულ წარმატებებსაც აღწევს. ასეთი პირის მოქმედება არა კეთილშობილი გრძნობით არის მოტივირებული და თავიდან ბოლომდე იმპულსურ ხასიათს ატარებს.

ახლა, ავილოთ მეორე შემთხვევა, რომლის მსგავსნიც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა სამამულო ომის პერიოდში.

დედას ერთი ვაჟი ჰყავს. მთელი თავისი პირადი ცხოვრების აზრს მასში ხედავს, მასთან არის დაკავშირებული ყველა მისი განცდები. ვაჟსაც განსაკუთრებით უყვარს სიცოცხლე, უყვარს დედა, ახლობები და ისიც ტკბება საკუთარი ცხოვრების საამური მიმდინარეობით. მან მძიმე ავაღმყოფობა გადაიტანა ცოტახნის წინ და ახლა კიდევ უფრო ძლიერ განიცდის სიცოცხლის ძალასა და ხალის. ცხოვრების ამ ტკბილ პარმონიაში სიკვდილზე ფიქრი, რომელიც

¹ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 141, 142, 1940 წ.

დროგამოშვებით შეიძლება უნებლიერ გაუჩნდეს კაცს, მას ტანში შიშის ურუანტელს გვრის... და ის უცებ გერმანელი ურდოების ჩვენს ქცეყანაზე თავდასხმის ამბავი საშინელებად დაატყდა თავს დედაშვილის ცხოვრების ბეღნიერ წუთებს. და რა ხდება? დედა შვილს წინადადებას აძლევს: „შვილო, სამშობლო გეძახის, უნდა წახვიდე!..“ შვილიც კმაყოფილი ხვდება დედის წინადადებას, რაღაც გან მისი გადაწყვეტილებაც ასეთი იყო და ისიც სამშობლოს, ხალხის, კულტურის გადასარჩენად მიღის და თან მიაქვს მსხვერპლად თავის სიცოცხლე, რომელიც მას ასე უყვარდა; სტოვებს აღამიანებს, რომლებთანაც ყოფნა მას ასე ატკბობდა. მისი ორგანიზმი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გამოჯანმრთელებული; შეეძლო თავი აერიდებინა ომში წასვლისთვის, რომ მას მისი ჯანმრთელობის მდგრადარეობა გაემხილა, მაგრამ მან ეს არ ისურვა. ომის სანახაობის წარმოდგენა და ქვემეხების გრიალი მას შიშის ურეოლვას ჰგვრის, რაც უკან დაბრუნებისკენ უბიძგებს, მაგრამ იგი უმკლავდება ამ იმპულსს და მტკიცელ მიღის წინ ფრონტის ხაზისაკენ, სადაც გმირულად წირავს სიცოცხლეს.

საითკენ არის აქ მებრძოლის ნებისყოფის აქტები მიმართული? რა შეადგენს მისი ნების საგანს? იგი მტრის ჯარისკაცებს ებრძევის ჰკლავს, ახრჩობს, ანადგურებს. ბოლოს გმირულად ეცემა თვითონაც. ნუთუ ამ ხოცვა-ულეტისკენ იყო წარმართული მისი ქცევის აქტები? რა თქმა უნდა არა. მისი მოქმედება ხალხის, სამშობლოს კულტურის დაცვისკენ, აი ამ მაღალ ობიექტურ ღირებულებათა გადარჩენისკენ იყო მიმართული, რაც მტრის ჯარისკაცთა განადგურებისა და საკუთარი სიცოცხლის განწირვის გარეშე შეუძლებელი იყო.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი ქცევის საგანს ობიექტური ღირებულება წარმოადგენს. ნებისმიერი ქცევის მიზანი ყოველთვის ობიექტურ ღირებულებასთან არის დაკავშირებული: ღირებულების შექმნა, ღირებულების შენახვა, ღირებულების დაცვა და გადარჩენა, აი რა შეიძლება იყოს ნებისმიერი ქცევის მიზანი. ამიტომ ნებისყოფის აქტი ყოველთვის ითხოვს მსხვერპლს და ბიოლოგიურად სწორედ ამ მსხვერპლის გაღება ხდება ძნელი, როცა კაცს ნებისყოფა ღალატობს.

ნებისყოფის აქტი ღირებულებაზეა დამოკიდებული, მაგრამ რით არის იგი მოტივირებული? რა მოტივები ედება საფუძვლად ნებისმიერ ქცევას? საჭიროება, მოვალეობა, კალდებულება და სხვა ასეთი გარემოებანი წარმოადგენენ ნებისმიერი ქცევის მოტივებს. მაგრამ საჭიროებას, მოვალეობას, ვალდებულებას ხომ რა.

ამე ენერგია არ გააჩნიათ, რომ მათ ქცევის აქტების გამოწვევა შესძლონ საქმე იმაშია, რომ ენერგია არც გრძნობას გააჩნია, არც გრძნობა იწვევს უშუალოდ რაიმე ქცევის აქტს. ენერგია იმ აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს აქვს, რომლის ნიაღაზედაც მმოტივირებელი გრძნობაა აღმოცენებული და იმპულსური ქცევის აქტები ამ ენერგიით იკვებება. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში „აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი კი არ არის მოქმედებისთვის ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც მას“.¹ ენერგია მოტივს საერთოდ არ გააჩნია, რადგან არ შეიძლება ცნობიერების ფენომენს რაიმე სახის საკუთარი ენერგია ჰქონდეს. მოტივს რომ ენერგია ჰქონდეს, მაშინ იგი ქცევის მიზეზის როლსაც შეასრულებდა. მაშინ, საიდან იკვებება ნებისმიერი ქცევის აქტები?

ნებისყოფა აწვდის ნებისმიერ ქცევის აქტებს ენერგიას. იგი ნებისმიერი ქცევის მიმართ ისეთივე ფუნქციას ასრულებს, რასაც აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი, იმპულსური ქცევის მიმართ. ნებისყოფა მიმართულებას აც აძლევს პიროვნების მოქმედებას და ამ მოქმედებისათვის საჭირო ძალასაც აწვდის მას, სწორედ ისე, როგორ ამას აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი აკეთებს თავის სფეროში.

ნებისმიერი მოქმედების სფეროს ლირებულებათა სამყარო შეადგენს. ლირებულებას სოციალურ ურთიერთობაში განხილული გარეშე ქვეყნის საგნები და მოვლენები ატარებს. ჩვენი მეც ამ ლირებულების მატარებელ საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში, ამ სოციალურ ურთიერთობაში იძენს ობიექტურ ფასს. ამიტომ, იმისთვის, რომ ნებისყოფის აქტი განხორციელდეს, საჭიროა მას წინ უძლოდეს ჩემი მეს, ნებელობის მიზნისა და ამ მიზნისკენ მიმართული ქცევის აქტების ლირებულებათა ცნობიერება. ეს უკანასკნელი ცნობიერების საგანგებო მომართვას ითხოვს: საჭიროა შენს მეს, მის მომავალ ქცევის აქტებს და ამ აქტებთან დაკავშირებულ ვითარებას შეხედო არა როგორც შენი ცნობიერების ახლანდელ მდგრადრეობას, არამედ, როგორც მოცემულობას, რომელიც შენი შეფასებითი მსჯელობის საგანგენს. ერთი სიტყვით, „ნებელობის ყველა შემთხვევისათვის მე-სა და ქცევის ობიექტივაც იაა დამახასიათებელი“².

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 144.

² დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 143.

ამგვარად, ნებელობის წინა პირობას ინტელექტუალური პროცესები ამზადებენ: მხოლოდ აზროვნების საშუალებით ვწვდებით იმ ობიექტურ ვითარებას, რომელზეც ნებისყოფის აქტებია მიმართული. ამის გამო არის, რომ საღაც აზროვნება არ არის, იქ არც ნებისყოფაა შესაძლებელი; სწორედ ისე როგორც ის კაცი, რომელსაც თვალი არ დაყოლია თან შეუძლებელია ფერითი სანახაობისკენ. მიმართულ აქტუალური მოთხოვნილების იმპულს გრძნობდეს.

გ. ნებისყოფის სისუსტე

ნებისყოფის სისუსტე ორი მიმართულებით იჩენს თავს: 1) შეიძლება კაცს საერთოდ უძნელდებოდეს ნებისმიერი ქცევის მიზნის მიღება, ან კიდევ 2) ასეთ მიზანს ადვილად ღებულობდეს, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებდეს მის განხორციელებას.

გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ნებისყოფის სისუსტე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ორი ისეთი შესაძლო ქცევიდან, რომელთაგანაც ერთი იმპულსურია, ხოლო მეორე—ნებისმიერი, ერთ-ერთი უნდა იქნას მიღებული. როცა ვაკალითად, საკითხი ასე დგას: პურის მთელი მარაგი ახლა შევჭამო, ახლა მოვიკლა მისი მოხმარებით შიმშილი, თუ ნაწილი ზეალისთვის შევინახო; თამაში დავიწყო თუ მეცადინეობას მოვკიდო ხელი; გასართობად წავიდე თუ სამუშაოდ და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, რაც უფრო ენერგიულია აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი, მით უფრო ძნელი ხდება ნებისმიერი ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ამიტომ შესაძლებელია ორ პიროვნებას ერთნაირი სიმტკიცის ნებისყოფა ჰქონდეს, გარდამ ერთი მათგანი იდვილად ახერხებდეს ნებისმიერი ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტას, ხოლო მეორეს კი ასეთი რამ განსაკუთრებით უძნელდებოდეს იმის გამო, რომ მის აქტუალურ მოთხოვნილებიდან მომდინარე იმპულსებს პირველთან შედარებით გაცილებით მეტი ენერგია გააჩნდეს. შეიძლება პირიქითაც: აქტუალური მოთხოვნილების ერთნაირი ენერგიის იმპულსის მქონე ორი აღამიანიდან ერთი ადვილად მიჰყვებოდეს ნებისყოფის მიზნებს, ხოლო მეორესთვის ყოფილი და მერყეობა იყოს ჩვეულებრივად დამახასიათებელი იმის გამო, რომ მისი ნებისყოფითი მხარეა სუსტი:

ზოგჯერ ქცევის მიზნისა და საკუთარ შესაძლებლობათა განსაზღვრა-შეფასებაში ცდება კაცი. გადაწყვეტილების გამოტანას ჩქარობს, ისე რომ ანგარიშს არ უწევს და არ ითვალისწინებს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ საკუთარ აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების ძალასა და შესრულების გზაზე წამოჭრილ ტექნიკურ დაბრკოლებათა სიძნელეებს, რის გამოც მას ხში-

რად უხდება ხელის ალება. უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე. ასე მარტო ისეთ კაცს კი არ ემართება, ვისაც ნაკლები ინტელექტუალური შესაძლებლობა აქვს, არამედ ისეთსაც, ვისაც ნათელი აზროვნების უნარი აქვს. ქცევის პიროვნულ შესაძლებლობათა და სათანადო სიტუაციურ გარემოებათა შეცნობა, და ურთიერთ შეფარდება აზროვნების ფუნქციის წარმოადგენს. მაგრამ აზროვნების ამ საქმისკენ ნებისყოფა უნდა მიმართავდეს, ნებისყოფა უნდა აჩერებდეს მას საჭიროების შესაფერისად და, სწორედ ამას ვერ ახერხებდეს სუსტი ნებისყოფა, ვერ იმორჩილებს იგი ტემპერამენტს.

ნებისყოფის სისუსტედ ითვლება აგრეთვე ჯიუტობაც. ჯიუტის ისეთ კაცს ეძახიან, რომელსაც განზრახვა უზრუნველად მოჰყავს სისრულეში. იგი გადაწყვეტილების განხორციელებაზე ხელს ვერ იღებს მაშინაც კი, როცა ხედავს, რომ ახლა ამ გადაწყვეტილების შესრულებას აზრი აღარ აქვს. ჯიუტი კაცი რასაც იტყვის, იმას უზრუნველად გააკეთებს, ანგარიშს არ უწევს ახლა საჭიროა ის რასაც აკეთებს თუ არა. ჯიუტური გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ნებისყოფის აქტს, იგი უფრო აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით არის განსაზღვრული.

ნებისყოფის სიმტკიცის გამოვლენას, სხვათა შორის, გამბედაობა-სა და უშიშროებაში ხედავენ. მაგრამ ყოველთვის ნებისყოფის სიმტკიცი და უშიშროება არ ემთხვევა ერთმანეთს. შიში და სხვა ზოგიერთი აფექტური გამოვლენანი ნორმალური მოვლენაა. ვინც საშიშ ვითარებაში შიშს არ განიცდის, იგი ისევე არანორმალურია, როგორც ის კაცი, რომელიც ყოველ უმნიშვნელო გარემოებასთან დაკავშირებით ეძლევა ასეთ აფექტს. ნებისყოფის სიმტკიცე თავს იმაში იჩენს, რომ შიშმა არ უნდა შეიძყროს კაცი, შიში არ უნდა დაეუფლოს მას ისე, რომ მან ნებისმიერი მოქმედების უნარი დაკარგოს. „ცნობილია ერთი თქმულება მარშალ ტიურენზე, რომელსაც იპყრობდა ნერვული ურუოლვა ტყვიის გასროლის ხმაზე: ერთხელ ის ზიზლით მიუბრუნდა თავის თავს და ასე უთხრა:

— შენ ძრწი. ჩონჩხო? შენ უფრო მეტად შეძრწუნდები რომ იცოდე, თუ სად წაგიყვან!

ტიურენი სუვოროვისათვის მისაბად მაგალითს წარმოადგენდა. ოჩოვოვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ სუვოროვი ექიმს ნებას არ რთავდა, მისთვის ჭრილობა შეეხვია და თან იმეორებდა: „ტიურენ! ტიურენ!“ — და მხოლოდ მაშინ, როდესაც გაბრაზებულმა ექიმმა შენიშნა, რომ ტიურენსაც მკურნალობდნენ, ვინაიდან ის ამის თანხმობას აცხადებდა, სუვოროვი დამორჩილდა¹.

¹ ქ. ოსიძოვი, სუვოროვი, გვ. 406, 1941 წ.

სუვოროვი ალტაცებაში მოჰყავდა. ტიურენის ნებისყოფის სიშტკიცეს, რომლითაც ეს უკანასკნელი საკუთარ აფექტებზე შბრძნებლობდა. შიშის ურეოლა აქ, კიდევ უფრო ამაღლებს მის ნებისყოფით ბუნებას. გაკიცხვის ღირსია სიმხდალე და არა შიში და სიფრთხილე:

აღამიანის ქცევის აქტები იქნება იგი ნებისმიერი თუ იმპულსური; გარკვეულ საგანზეა მიმართული. ამ საგანზე ოპერაციის გზით ხერხდება მიზნის განხორციელება. შესაძლებელია ერთსა და იმავე საგანზე მიმართულ ერთი და იმავე მოძრაობის აქტების გზით აქტუალური მოთხოვნილებაც კმაყოფილდებოდეს და ნებისყოფის მიზანიც ხორციელდებოდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ: შესაძლებელია ნებისყოფის აქტის განხორციელებისათვის საჭირო მოძრაობათა მიმღინარეობას აქტუალური მოთხოვნილების იმპულსიც უწყობდეს ხელს, თუ ეს უკანასკნელი ამავე დროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმესაც ემსახურება. ასეთ შემთხვევაში ქცევის მიმღინარეობა ერთდროულად ორი სხვადასხვა ბუნების მოტივით: გრძნობითი და ნებელობითი ხასიათის მოტივებით არის შეპირობებული. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი მოქმედება ჩვეულებრივად, ასეც მიმღინარეობს. შრომის პროცესი ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არა მარტო ღირებულებათა შექმნის პროცესია, არამედ იგი პიროვნული აქტივობის გამოვლენის აღამიანური ფორმაა, რომელიც კაცს სიამოვნებასაც განაცდევინებს. აღამიანს თვითონ შრომის აქტების განხორციელებაზეც აქვს აქტუალური მოთხოვნილება. უსაქმოდ, უმოქმედოდ გაჩერებას კაცი, ზომიერ ფარგლებში უსასყიდლო შრომას ამჯობინებდა. ნებისმიერ სწავლას მხედვილობაში აქვს ცოდნა, როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულება; მაგრამ რა ძნელი იქნებოდა სწავლის საქმე, რომ ცოდნის მიღების პროცესთან ერთგვარი ეთიკური და ინტელექტუალური სიამოვნებაც არ იყოს დაკავშირებული.

ამგვარად, ნებისყოფა გრძნობას პრინციპულად კი არ უპირისპირდება, არამედ შემთხვევათა გარემოების გამო. საქმე ადვილად კეთდება იქ, საღაც სიყვარულიც არის, საღაც აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით შეპირობებული გრძნობა და ნებისყოფა პარმონიულად არის პიროვნების მთლიანობაში შერთული. ნებისყოფის აღზრდა გრძნობათა დაქვემდებარებას გულისხმობს და არა გრძნობათა სიკვდილს. კეთილშობილური გრძნობები სიცოცხლის აწმყოში მდგომარეობისათვისაც ღირებულად ხდის ნებისმიერი ქცევის აქტებს, რის გამოც ეს უკანასკნელი უფრო ენერგიულნი ხდებიან. ნებისყოფის წარმატებასთან, მისი მიზნის განხორციელე-

ბასთან საკმაოდ ინტენსიური კეთილშობილური გრძნობებია და-
კავშირებული. ნებისმიერი მოქმედების პროცესში პიროვნება ამ
გრძნობებით ცოცხლობს, ეს გრძნობებია მოშენტალური, სუბიექ-
ტის ხევდო. ნებისყოფის აღზრდა სოციალური გრძნობების-
აღზრდასაც გულისხმობს. პიროვნება მთლიანია. ცხოვრების ნორ-
მალურ მიმდინარეობაში ნებისყოფა და გრძნობა ცალ-ცალკე თა-
ვისთვის კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ ორივე ერთად უნდა
ავსებდეს პიროვნების მოქმედებისა და ცხოვრების შინაარსს.

დ. ნებისყოფის აქტი და განწყობა

ნებისმიერ ქცევას (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ნებისყო-
ფის აქტი უსწრებს წინ. ეს უკანასკნელი გადაწყვეტაში ანუ ნების-
მიერი ქცევის მიზნის მიღებაში მდგომარეობს. გადაწყვეტილების-
მიღებით მთავრდება ნებითი აქტივობის ერთი და ძირითადი სა-
ფეხური. ახლა უკვე გარკვეულია რა და როგორ გაკეთდეს. ამიე-
რიდან საქმე უკვე მის პრაქტიკულ განხორციელებას ეხება. მიზ-
ნის მიღება და მიზნის განხორციელება ერთი და იგივე ქცევის-
ორი, ერთიმეორისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული საფეხურია.
ამიტომ თითოეული მათგანი პიროვნების თვისებურ აქტივობას-
ითხოვს.

გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში პიროვნება მოვლენის-
ობიექტური ლირებულებისადმი არის მიმართული. ობიექტურ
ლირებულების გარემო სინამდვილის საგნები და მოვლენები ატა-
რებს, როცა ეს უკანასკნელი აღებულია სოციალურ-ადამიანურ
მიმართებაში. საგნის ობიექტურ ლირებულებას რომ მიწვდე, სა-
ჭიროა მას შეხედო არა შენს ახლანდელ სუბიექტურ მდგომარეო-
ბასთან მიმართებაში, არა შენი წუთიერი განწყობილების თვალით,
არამედ იმ ობიექტურ-სოციალურ მიმართებაში, რომელშიაც იგი
უშენოდ, შენი ცნობიერების ახლანდელი მდგომარეობის გარეშე იმ-
ყოფება. ასეთი რამე მხოლოდ აზროვნების გზით შეიძლება, ობიექ-
ტური ლირებულებანი ჩვენ მხოლოდ აზროვნების საშუალებით-
გვეძლევა. გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული განწყობის-
ობიექტურ ფაქტორს ობიექტური ლირებულებანი წარმოადგენენ-
როგორც ვნახეთ, ეს უკანასკნელი. მხოლოდ აზროვნებას ეძლევა.
ამიტომ, ნებისყოფის აქტის განწყობის სიტუაციას აზროვნებით
ვუკავშირდებით, მას მხოლოდ აზროვნებით ვწვდებით. ამიტომ
არის, რომ აზროვნება ნებისყოფის აქტის ერთ აუცილებელ პი-
რობას წარმოადგენს. შეიძლება ამიტომ იყო, რომ ნებისყოფასა და
აზროვნებას, ზოგჯერ, შეცდომით აიგივებდნენ ერთმანეთთან.

მაგრამ, რა უნდა იყოს ნებისყოფის აქტის სუბიექტური ფაქტორი? ნებისყოფა ცნობიერებაში საჭიროების, ვალდებულების, მოვალეობის, და ა. შ. სახით არის წარმოდგენილი. როცა საჭიროება ცნობილია, ვალდებულება აღიარებულია, მოვალეობა განცდილია, ხოლო სათანადო ობიექტური ღირებულებანი მოცემულია აზროვნების მიერ, ნებისყოფის სუბიექტს განწყობა ექმნება, რომლის ნიადაგზეჯაც ნებისყოფის აქტი ხორციელდება, გადაწყვეტილება მიიღება, ნებისმიერი ქცევის მიზანი დგინდება. ხოლო მას შემდეგ რა კი გადაწყვეტილება გამოტანილია, ნებისმიერი ქცევის მიზანი განსაზღვრულია, მეორე საქმე იწყება: პიროვნების წინაშე ნებისმიერი ქცევის პრაქტიკული განხორციელების საკითხი დგება, უშუალოდ პრაქტიკული მოქმედების ამოცანა ისახება: მან ახლა ის, რაც გადაწყვიტა, გარეგანი ქცევის აქტების გზით უნდა განახორციელოს. ეს უკანასკნელი პირველიდან განსხვავებული აქტის მიერ არის. იგი სათანადო განწყობას ითხოვს, რომელიც პიროვნებას მიღებული გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო სიტუაციის ფაქტიური, რეალური მოცემულობის პირობებში ექმნება. ამ განწყობის ნიადაგზე იშლება ნებისმიერი ქცევის აქტები. გადაწყვეტილებისა და, მაშასადამე, მის საფუძველში მდებარე განწყობის სიმტკიცე ნებისყოფის სიმტკიცეზეა დამოკიდებული, ხოლო ნებისმიერი ქცევისა და მისი განწყობის ენერგიულობა გადაწყვეტილების ენერგიულობით არას შეპირობებული. ამგვარად, ნებისყოფის აქტისა და ნებისმიერი ქცევის განწყობები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ორი სხვადასხვა განწყობა კი არ არის, არამედ ისინი ერთი საერთო განწყობის—ნებისმიერი ქცევის განწყობის დიფერენცირებულ მომენტებს წარმოადგენენ.

აღზრდის საკითხისათვის

ნებისყოფა სოციალური განვითარების მონაპოვარია. იგი ისტორიულად შრომის პროცესში ჩაისახა და განვითარდა. პიროვნების სოციალურად ღირებული აქტივობა არსებითად მასზე არის დაფუძნებული. ძირითადად ნებისყოფა ქმნის ყოველგვარ სოციალურ ღირებულებას. მაგრამ სწორედ იმის, გამო, რომ ნებისყოფა ადამიანის სოციალური მხარეა, სოციალური პიროვნებაა, იგი ინდივიდუალურადაც სოციალური ურთიერთობის პროცესში ისახება და ვითარდება. მისი ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად აღზრდითა და სოციალური გარემოს ზემოქმედებით არის შეპირობებული.

მას შემდეგ, რაც გარკვეულია, თუ რა არის ნებისყოფა, ცხადია; საითქენ უნდა იყოს მიმართული აღმზრდელობითი ზემოქმედება, რომ აღსაზრდელის ნებისყოფის ფორმირება სასურველი გზით წარმართოს. გონიერ აღმზრდელს ყოველი ცალკე შემთხვევა თვითონ უკარნახებს, თუ რა კონკრეტული ლონისძიება უნდა იქნას გამოყენებული მოცემულ მომენტში ამ მიმართულებით. აღმზრდის ერთი ყოველი დროისა და ყველასათვის სავალდებულო ჩეცეპტის შედგენა შეუძლებელია. ასეთი შაბლონი საჭიანო იქნებოდა საქმისათვის.

ობიექტურ ღირებულებათა გაცნობილება და ღირებულებათა აღზრდა

როგორც ვნახეთ ნებისყოფა ობიექტურ ღირებულებაზე არის შიმართული. ღირებულებათა გაცნობიერება ნებისყოფის აქტის და, შაშასადამე, ნებისმიერი ქცევის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენს. ამიტომ აღმზრდელობითი მუშაობის ერთი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დახმარებით მოზარდი ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროს მიწვდეს.

ბავშვი ცხოვრების დასაწყისში სენსომოტორული არსებაა: იგი გამლიზიანებლის ყოველ ზემოქმედებაზე სათანადო მოტორულ რეაქციას იძლევა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ზოგიერთ რეაქციათა შეკავებას ეჩვევა, მაგრამ მისი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის ობიექტურ ღირებულებასთან დაკავშირებული. ასეთი რაიმეს ცნობიერების უნარი მას ჯერ კიდევ არ გააჩნია. პირველ წლებში ბავშვის ქცევა მთლიანად საკუთარი სურვილებით არის განსაზღვრული; მას ის უნდა, რაც მეტ სიამოვნებას განაცდევინებს, რაც მის ახლანდელ მოთხოვნილებას აქმაყოფილებს. სხვა რამეს იგი ანგარიშს არ უწევს. მაგრამ მშობლები და საერთოდ უფროსები, რომელთაც ბავშვის აღმზრდა და მეთვალყურეობა აქვთ დაკისრებული, ბავშვის ყველა სურვილს არ აქმაყოფილებენ. ბევრ რაიმეს უკრძალვენ მას, ზოგს კიდევ ისეთს აქისრებენ, რაც მას არ სურს. ბავშვის სურვილები განუწყვეტლივ ეჯახება ასეთ წინააღმდეგობებს უფროსების მხრივ, რის გამოც იგი თანდათანობით ეჩვევა ანგარიში გაუწიოს აკრძალულ და ნება დართულ გარემოებებს. ამჩნევს, რომ ზოგიერთ მოქმედებას მას უწონებენ, ხოლო ზოგისთვის კიცხავენ, უწყრებიან კიდეც. მესამე წლის ასაკიდან ბავშვმა უკვე იცის, რომ ყველაფერი, რაც მას სურს და რასაც იგი აკეთებს უფროსების მიერ ერთნაირად მისაღები და მოსაწონი არ არის. მას ერთგვარი წარ-

მოდგენა ექმნება კარგისა და ცულის შესახებ არა მხოლოდ საჯუ-
თარ თავთან მიმართებაში, არამედ საერთოდ. ახლა იგი იმის გამო,
რომ შემთხვევით რაღაც საოჯახო ნივთი გაუტყდა ტირილს იწყებს
მანამ, სანამ უფროსები რამეს ეტყოდნენ, რადგან გრძნობს; რომ
კარგი რამ არ გაუკეთებია. მაგრამ რისთვის არის ერთი მოვლენა
კარგი და მეორე—ცული, ამის შეგნების უნარი ბავშვს ჯერ კიდევ
არ აქვს. ბავშვმა არ იცის რატომ აქეზებენ მას ერთი მოქმედები-
სთვის, ხოლო კიცხავენ — მეორესთვის. არც აქვს იმის მოთხოვნი-
ლება, რომ ეს გაიგოს. დადებითისა და უარყოფითის მიმართ მას
უფრო რწმენითი დამოკიდებულება გააჩნია, რომელიც უფროსები-
დან მომდინარეობს.

სკოლის წინარე ასაკში ამ მიმართულებით ბავშვი მნიშვნელოვ-
ნად იწევს წინ. მეექვსე, მეშვიდე წელში „ობიექტური ლირებუ-
ლების ცნობიერების შესამჩნევი მომწიფება...ხდება“. ბავშვი ახლა
„თავისი ქცევის ობიექტური ლირებულების შესატყვისად
წარმართვას ეჩვევა“¹. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან ახლა
ზოგიერთი მოვლენის მიმართ არა მარტო ის იცის, რომ იგი ლი-
რებულია, არამედ ისიც თუ რატომ არის ლირებული. ახლა მას
ლირებულებითი ხასიათის მსჯელობის უნარიც გააჩნია.

სკოლა და სწავლის პროცესი საბოლოოდ ამტკიცებს ლირებუ-
ლებათა ცნობიერების უნარს და მას განსაზღვრული შინაარსით
ავსებს. სწავლა-აღზრდის პროცესი ბავშვს მაღალ ეთიკურ ლირე-
ბულებასთან აკნობს, რის გამოც ახლა მოზარდს შესაძლებლობა
ეძლევა ცხოვრების შორეული მიზნები მაღალ ობიექტურ ლირებუ-
ლებებთან მიმართებაში დასახოს, საკუთარი მოქმედების მეტად თუ
ნაკლებად მტკიცე პრინციპები დაადგინოს.

მაგრამ იმისთვის, რომ ობიექტურ ლირებულებათა განხორ-
ციელება, მისი შექმნა, მისი დაცვა და შენახვა დაისახო მიზნად
მარტოდ ის არ კმარა, რომ იციდე კაცმა რა წარმოადგენს ობიექ-
ტურ ლირებულებას და რას აქვს მეტი ფასი. ზარმაცმა მოსწოვლემ,
ყოველ შემთხვევაში გარკვეული ასაკის შემდეგ, იცის, თუ რა ლი-
რებულება აქვს ცოდნას; მაგრამ მისი ქცევის აქტებს ეს ლირებუ-
ლება როდი განსაზღვრავს. კაცი, რომელიც ბოროტმოქნედებას
ჩადის, იცის რა უარყოფითი ობიექტური ლირებულება აქვს მის
მოქმედებას, რაცის რა უნდა გააკეთოს მან, რომ მის მოქმედებას
დადებითი ფასი მიეცეს, მაგრამ იგი მაინც ბოროტი მოქმედების
გზით მიდის.

¹ დ. უჩინაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, გვ. 311, 1947 წ.

როგორც ზევით ვნახეთ, იმისთვის, რომ ადამიანმა ნებისყოფის აქტი განახორციელოს და ნებისმიერი ქცევის მიხანი დაისახოს, საჭიროა ობიექტური ღირებულების ცნობიერებასთან ერთად ისეთი მოტივიც გააჩნდეს, რომელიც სუბიექტის მხრიდან ნებისყოფის აქტის განწყობის აღმოცენებას დაედება საფუძვლად: აუკილებელია იგი საჭიროებას, ვალდებულებას, მოვალეობას განიცდიდეს. აღვჩრდელობითი საჭმიანობა განსაკუთრებით აქტკენ უნდა იყოს შიმართული.

მაგრამ რა გზით არის შესაძლებელი ასეთი აღმზრდელობითი ზემოქმედების განხორციელება? ვალდებულების შეგნების უნარი ობიექტურ ღირებულებათა ცნობიერების პარალელურად უმწიფდება ბავშვს. მისი ელემენტები მესამე წლის ასაქში ისახება და შემდეგ განუწყვეტლივ ვითარდება. როგორც დ. უზნაძე ამბობს, სკოლის წინარე ასაკის „ერთერთ ძირითად მონაპოვარს ვალდებულების ცნობიერების ჩასახვა და მომაგრება შეადგენს“¹. ამ ასაკის ბავშვში „ვალდებულების გრძნობა ილვიძებს, რომელიც მას თავისი სუბიექტური მიღრეკილებებისა და მომენტის სურვილების ობიექტური ღირებულებისადმი დაქვემდებარებას მოსთხოვს“². ღირებულების ცნობიერებისა და ვალდებულების მიღების უნარის განვითარების შესატყვისად იქმნება და ფორმირდება ნებისყოფის სუბიექტი – სოციალური „მე“ ანუ ნებისყოფა.

მაგრამ ვალდებულების უბრალო ცნობიერება, მისი უბრალო ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვალდებულება თავის თავშე მიღლო. ბევრმა იცის რა შეადგენს მის ვალდებულებას, მაგრამ მას არ კისრულობს, შინაგნად არ განიცდის. ვალდებულება, რომ მიღლო, ვალდებულების მიხედვით რომ იმოქმედო, ამისთვის საჭიროა შენი პიროვნების ნებისყობა იყოს ფორმირებული, ნებისყოფა გშონდეს.

ნებისყოფა პიროვნების ღირებულებასთან აქტუალურ ურთიერაობის პროცესში ისახება და ვითარდება. ვალდებულებას პიროვნება მონალოდ ასეთ ურთიერაობაში ღებულობს. არ კმარა ღირებულების უბრალო ცნობიერება, საჭიროა ღირებულება აქტუალურად განიცადოს კაცმა, რომ მის მიმართ რაიმე ვალდებულება აყისროს. აქ ისეთივე გარემოებას აქვს ადგილი, როგორსაც ვიტალურ მოთხოვნილებათა სფეროში ვხვდებით. მაგალითად, ლული რომ სასარგებლოა, ამის ცოდნა არ კმარა იმისთვის, რომ ლულის მიმართ აქტუალური მოთხოვნილება აღეძრას კაცს. საჭიროა ლუ-

¹ დ. უზნაძე. ბავშვის ფსიქოლოგია, გვ. 313.

² რევე, გვ. 312.

³ კრებული.

დი რამდენჯერმე აქტუალურად განიცადო, ლუდი რამდენჯერმე მაინც დალიო, რომ შენში მის მიმართ აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი იგრძნო. სწორედ ასევეა საჭირო, კაცი ობიექტურ ლირებულებებს უშუალოდ დაუკავშირდეს, რომ მის მიმართ რაიმე ვალდებულება იკისროს. მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ეს? ამისთვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს, რომელთა მოხერხებული გამოყენება აღმხრდელის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენ აქ მთოლოდ ზოგიერთ მათგანზე მივუთითებთ.

ავტორიტეტი.

ყველაზე მეტი აღმზრდელობითი ზემოქმედების უნარი აქვს თვითონ ცხოვრების პრაქტიკულ მიმღინარეობას. იმას, რასაც პავში ყოველდღიურ ცხოვრებაში უშუალოდ ხედავს და განიცდის, რასაც იგი თავისი სასიცოცხლო ინტერესებით უკავშირდება.

მშობელი, აღმზრდელი, მასწავლებელი ბავშვისთვის ავტორიტეტს წარმოადგენს. რომელთანაც იგი ამავე დროს სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით არის დაკავშირებული, ბავშვი ავტორიტეტს უბრალოდ კი არ აღიარებს, არამედ საკუთარი ცხოვრების შინაარსში განიცდის მას და განიცდის განსაკუთრებული სიძლიერით. საქმარისია ის, ვისაც მოზარდი ავტორიტეტიდ თვლის, მის წინაშე ცუდად მოიხსენიოთ, მის შესახებ რაიმე დამამცირებელი აზრი გამოსთქვათ, რომ იგი გაწითლდეს, შეწუხდეს, გაჯავრდეს, აენთოს, ერთი სიტყვით ისე მოიქცეს, რომ აშკარად იგრძნოთ თქვენი სიტყვებით როგორ შელახეთ მისი წმინდათა-წმინდა.

ყველაფერი, რაც ავტორიტეტის ხელიდან გამომდინარეობს ბავშვისთვის ობიექტური ლირებულების მატარებელია და ამ ლირებულებას იგი განიცდის ჯერ კიდევ მანამ, სანამ მას მისი სრული გაცნობიერებისათვის საჭირო უნარი მოუმწიფდება, სანამ იგი სათანადო ცოდნით შეიარაღდება. მსჯავრი დადეთ ავტორიტეტს, უარყოფითად შეაფასეთ მისი რომელიმე მოქმედება და აბა ნახეთ, როგორ განიცადოს ეს უკანასკნელი ბავშვმა.

აღმხრდელის ცხოვრება და მოქმედება ჭვრეტით ფორმაში მოცემული მხამზარეული გზაა, როჟელსაც მიჰყვება აღსაზრდელი. ბავშვს, როცა იგი ქცევის ფიზიკური მხარის უბრალო მიმბაძველობის საზღვრებს გადააბიჯებს, აწამს, რომ ადამიანის ცხოვრება იმ გზით უნდა წავიდეს, რომელსაც მისი აღმზრდელი მიჰყვება, რომ ყველაფერი, რასაც უკანასკნელი აკეთებს ობიექტურად ლირებულია. ეს რწმენა განსაკუთრებული ხასიათის განცდაა. რომელიც თან ახლავს ავტორიტეტის ყოველ მოქმედებაზე დაკარიცვებას. ამიტომ ავტორიტეტის ყოველი საქმიანობა, მისი ზნეობრივ-მორა-

ლური მხარე ბავშვის მოქმედების საზომს წარმოადგენს. ბავშვი ამ მაზომით ზომავს თავის თავსა და ობიექტურ ლირებულებათა სამყაროს. ამ საზომის მიხედვით აფასებს იგი თავის მოქმედებასაც. როცა ბავშვი ხედავს, რომ აღმზრდელი, რომელიც მისთვის ავტორიტეტს წარმოადგენს, სიმართლისა და კეშმარიტების გულისთვის დიდ ტანჯებას ლებულობს თავის თავზე, მაშინ, როცა მას ტყუილის თქმითა და თალღითობით ადვილად შეეძლო გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან—სამართლიანობასა და ზეობრივ კეშმარიტებას იგი განსაკუთრებული ძალით განიცდის, რის ნიადაგზედაც იგი შისკონტარების სუბიექტურად სავალდებულო ლირებულებად იქცევა. როცა მოზარდის თვალშინ მისი აღმზრდელი პირადი ბეღნიერების მნიშვნელოვან ნაწილზე უარს ამბობს და მძიმე ტვირთს კისრულობს თავის თავზე ხალხის კეთილდღეობის, სოციალისტური სამშობლოს წინსვლის, მშობლიური მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების გულისთვის, ისიც ამ უკანასკნელ ლირებულებებს შთელი თავისი არსებით განიცდის და საუთარი მოქმედების მომავალ მიზნებს მათში სახავს. აღმზრდელის მხურეალე პატრიოტული აღვზნება თავისთავად გადადის აღსაზრდელზე. ვის არ ასხოვს პატარა ბავშვებშიაც რა დიდი აღტაცება, რა განუსაზღვრელი სიხარული გამოიწვია ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი ხალხის გამარჯვების ცნობამ. ხუთი, ექვსი წლის ბავშვებიც კი, რომელთათვისაც გამარჯვების ნამდგილი აზრი და მნიშვნელობა მიუწვდომელი იყო, განუსაზღვრელ აღტაცებას მიეცნენ. ქუჩებში შეხვდებოდით ასეთ ბავშვთა ჯგუფებს, რომელნიც სიხარულით ხტოდნენ და გაიძახოდნენ: „წავიდეთ, ძია სტალინს ვახაროთ რომ ჩვენ გავიმარჯვეთო“. ეს უბრალო თამაში კი არ იყო, არამედ იმ შინაგანი სულიერი მდგომარეობის ეფექტი, რომელიც მათში გამარჯვების ცნობამ შეჰქმნა. მაგრამ საიდან მიეცა მათთვის ასეთი დიდი ლირებულება საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების საქმეს, როცა მათთვის ქაბჭოთა ქვეყნისა და სამამულო ომის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ გაუგებარი იყო? მხოლოდ იქიდან, რომ ისინი უოველ წუთში ხედავდნენ და განიცდიდნენ, თუ რა დიდი ლირებულება ჰქონდა ამ მოვლენას მათი. მშობლების, აღმზრდელებისა და საერთოდ ყველა იმათთვის, ვისაც ისინი პატივს სცემდნენ. და აფასებდნენ.

აღმზრდელის ავტორიტეტი თავისთავად მიმართავს მოზარდის ცნობიერებას გარევეულ ობიექტურ ლირებულებებისაკენ და განსაკუთრებული სილრმით განაცდევინებს კიდეც მას. ამით იგი მოზარდის ნებისყოფის მიმართულებასაც განსაზღვრავს. სწავლისა და

ქორეკურ საკითხებზე საუბრის აღმზრდელობით ზემოქმედება უმნიშვნელოა იმ ეფექტთან შედარებით, რომელსაც აღმზრდელი აეტონიტეტი ამ მიმართულებით, უბრალოდ, თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და მოქმედებით აღწევს ადრინდელი ასაკის მოზარდში. რამდენიც არ უნდა ელაპარაკოთ მორალურ ღირებულებათ შესახებ, რანაირი ახსნა-განმარტებაც არ უნდა მისცეთ ბავშვს ზნეობრივ საკითხებზე, სულ ერთია, მიზანი მაინც მიუღიერებული დარჩება, თუ აღმზრდელის საუბარი ერთი გზით მიღის, ხოლო მისი ყოველდღიური ცხოვრება საწინააღმდეგო მიმართულებას ღებულობს. ასეთ შემთხვევაში ავტორიტეტული რჩება არა მისი სიტყვა, არამედ მისი საქმე, ან კიდევ საერთოდ იყარება ავტორიტეტი.

საკმარისია ბავშვმა აღმზრდელი, რომლის ავტორიტეტსაც იგი აქამდე ასე ძლიერ განიცდიდა, რომელიც მას ასე ღრმად სწამდა, რომლის სიტყვა და საქმე მას გულთან ასე ახლოს მიჰკონდა, ერთხელ აშკარა სიყალბეში დაიჭიროს, რომ ყველაფერი გათავებულად ჩაითვალოს. ამის შემდეგ ავტორიტეტის ყოველი სიტყვა და მოქმედება საეჭვო გახდება. არაფერი არ არის მოზარდისთვის ისე შემაძრწუხებელი, როგორც აღმზრდელი ავტორიტეტისადმი რწმენის შელახვა. მოიგონეთ ვოინიჩის „კრაზანას“ შინაარსი და ნათლად წარმოგიდგებათ, თუ რა მძიმეა ავტორიტეტისადმი არსებული რწმენის გაყილბების განცდა.

ბავშვი სრული ნდობით ეკიდება აღმზრდელს: იგი მას ყოველგვარი ძალადატანების გარეშე ემორჩილება და მიჰკვება. ავტორიტეტის მოქმედების ძალა მთლიანად ამ ნდობასა და დამორჩილებაზეა დაფუძნებული და თუ მას განსაკუთრებული სიფრთხილით არ მოვეკიდეთ აღმზრდელობითი ზემოქმედების საფუძველი ერთბაშად გამოვეცულება ხელიდან. ამიტომ აღმზრდელი მეტისმეტი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს თავისთვის. მისი ყოველდღიური ცხოვრების შინაარსი, რომელიც აღსაზრდელის თვალშინ მიმდინარეობს ავტორიტეტს აღმზრდელობით ძალას უნდა განამტკიცებდეს.

მაგრამ მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ ავტორიტეტი მოპოვებული და შენარჩუნებული იქნას? ბავშვის ნებისყოფის აღზრდის პროცესში აღმზრდელი თავის საკუთარ ნებისყოფასაც უნდა ზრდიდეს და ამტკიცებდეს. უბირველეს ყოვლისა შენი საკუთარი ცხოვრება უნდა გქონდეს მოწესრიგებული, რომ სხვის ცხოვრებაში წესრიგის შეტანა შესძლო. „აღმზრდელი თვითონ უნდა აღზარდოს“—ო, —წერს მარქსი.

აღმზრდელის ავტორიტეტი არსებითად სულიერ-მორალურ უბირატესობის უმყარება. ბავშვი აღმზრდელ ავტორიტეტად თვლის

ომას, ვისშიც ის მორალურ ძლიერებას ხედავს. ბავშვს შეიძლება განაცდევინო, რომ რგო დამოკიდებულია შენს ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, შენი ფიზიკური უპირატესობით შეიძლება დააშინო კიდეც, მაგრამ ამ გზით იძულებითი ხასიათის მორჩილებას მიაღწევ, ავტორიტეტს კი ვერ მოიპოვებ. აღმზრდელის ავტორიტეტს ბავშვი აღიარებს ყოველგვარი იძულების გარეშე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მორალურ „იძულებას“, რომელსაც ბავშვი თავისუფლების სახით განიცდის.

ზოგჯერ მშობელი და საერთოდ აღმზრდელი ისეთ დამოკიდებულებას იჩენს ბავშვის მიმართ, რომლითაც ისპობა ავტორიტეტის ყველა საფუძველი. ბავშვი დიდი პატივით ეკიდება აღმზრდელის ავტორიტეტს და თვითონაც ასეთივე დამოკიდებულებას. მოითხოვს მისგან. ბავშვის აბუჩად აგდება, მისი საქციელის გამასხარავება ამცირებს ავტორიტეტს; ანადგურებს იმ ფსიქოლოგიურ ნიადაგს, რომელზეც ავტორიტეტის აღიარება მოხდა. ამავე მიმართულებით მოქმედებს ბავშვის რომელიმე საქციელის გამო აღმზრდელის თავშეუკავებელი ბრაზი, რომელიც ისეთ ხასიათს ღებულობს; რომ მასში ბავშვი ადვილად ამჩნევს აღმზრდელის ერთგვარ ზიზღა და სიძულვილს შისდამი.

ავტორიტეტს ფასს უკარგავს გადაჭარბებული სინაზე და მგრძნობელობა. მშობლის დაუსრულებელი ალერსი, მშობლის მიერ ბავშვისათვის ყველაფრის; პატიება ბავშვსაც აუძლურებს სულიერად და ავტორიტეტსაც ამდაბლებს. ბავშვი უნდა გრძნობდეს შეკავებულ სიყვარულს, რომელიც იშვიათად გადადის ალერსში. ამ მიმართულებით ბავშვის მიერ თუნდაც ძილში ნაგრძნობი „ძუნწი“ და „მკაცრი“ მშობლის ერთი ნაპარევი კოცნა—ათასჯერ მეტ სიყვარულს განაცდევინებს ბავშვს, ვინერ იმ მშობლის საქციელი. რომელიც მეტისმეტი ტრფობითა და ალერსით ბავშვს მოსვენებას არ აძლევს. მოხარდი უნდა გრძნობდეს აღმზრდელის „სიმკაცრეს“, რომელიც მასზე, როგორც ობიუქტურ ლირებულებაზე არის მიმართული და ამავე რროს იგი მის, ამ ლირებულების გულისთვის შეკავებულ, სიყვარულსაც უნდა განიცდიდეს. ზოგჯერ მშობელი გააფთრებულია, თავდავიწყებამდე მიღის იმის გამო, რომ მის ბავშვს ამხანაგმა თამაშის რროს აწყენინა ან ატკინა რამე, ბავშვის თვალწინ ემუქრება „დამნაშავეს“, ბავშვს ჰპირდება, რომ დასჯის ამ უკანასკნელს, ან კიდევ, მართლაც ჩადის ამას და ისიც იმის განუსჯელად, თუ ვინ იყო „დამნაშავე“. ასეთი დედა ბავშვის ფიზიკურ ცნობიერებას აბნელებს, ხელს უშლის მას, რომ ზნეობრივი ლირებულებანი დაინახოს.

არის გამონაკლისი შემთხვევა, როცა მშობელი ხელოვნურად სპობს ბავშვის ყველა წმინდა გრძნობებსა და პატივისცემას მისდამი იმითი, რომ იგი გადაჭარბებით ეალერსება მას სხვების თვალშინი იმ მოსაზრებით, რომ ამ უკანასკნელი უჩვენოს, თუ რა მოსიყვა, რულე დედა არის იგი, მაშინ როცა შვილთან მარტოდ ყოფნის დროს იგი ბავშვისადმი საგრძნობ გულცივობას იჩენს. ასეთ შემთხვევაში ბავშვს არ რჩება შეუმჩნეველი ის გარემოება, რომ დედა სტუმრებთან მშობლიური გრძნობით ვაჭრობს. და რა არის ამაზე საშინელი? რაღა ავტორიტეტზე შეიძლება ვილაპარაკოთ აქ?

აღმზრდელი უნდა ახერხებდეს შინაგან, ვიტალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას, მითუმეტეს ბავშვის თვალშინი, და ისიც ისე, რომ ამ უკანასკნელმა არ იგრძნოს, რომ აღმზრდელი ამას მხოლოდ მის დასანახად აკეთებს. იქ, სადაც მოზარდი იმდენად მომწიფებულია, რომ იკი აღმზრდელის მიერ ვიტალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას გრძნობს, მან როგორმე ისიც უნდა დაინახოს, თუ რა ობიექტური ლირებულფბის გულისთვის აყენებს აღმზრდელი თავისთავს ასეთ მდგომარეობაში.

როდესაც მოზარდი იმდენად მომწიფებულია, რომ საკუთარ შესაძლებლობაზე დაყრდნობით თვითონ შესძლებს სინამდვილის გარევულ სფეროში მოცემულ საგანთა და მოვლენათა ობიექტური ლირებულებების განსაზღვრას და ამის მიხედვით ნებისმიერი ქცევის მიზნების დადგენას, მაშინ მას ავტორიტეტი აღარ სჭირდება. ამ სფეროს მიმართ მისი ნებისყოფის აღზრდის საქმე ძირითადად დამთავრებულია: ახლა მასში უკვე არსებობს სათანადო ნებისმიერი ქცევის მოტივები ჩამოყალიბებული ავტორიტეტის აღმზრდელობითი ზემოქმედების დახმარებით. ამიერიდან მას ავტორიტეტი სინამდვილის ლირებულებათა ახალ სფეროსთან დააკავშირებს. და ასე მიდის წინ აღზრდა-განვითარების საქმე. ავტორიტეტი მოეპოვება არა მარტო მოზარდს, არამედ ზრდადასრულებულსაც. ამიტომ ავტორიტეტის აღმზრდელობითი როლი ასაკის ზრდასთან ერთად კლებულობს, მაგრამ იგი არასოდეს არ ისპობა, ყოველთვის რჩება, როგორც აღზრდის ერთ-ერთი საშუალება. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორიტეტის აღმზრდელობითი ზეგავლენა სწორედ მაშინ არის ყველაზე ძლიერი, როცა მოზარდის ნებისყოფის აღზრდა შედარებით აღვილი საქმეა, როცა ნებისყოფის მიმართულებით აღმზრდელობით ზემოქმედებას ბავშვი აღვილად ღებულობს.

ბავშვს ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში და საერთოდ ყველგან საღაც კი იგი შეიძლება იყოს ქცევის განსაზღვრული ნორმები, მეტი თუ ნაკლები სიმტკიცით დადგენილი წესები ხვდება, რომელიც მისგან დაქვემდებარებას ითხოვს. ბავშვის მთელი ცხოვრება ასეთ რეეი-მულ ვითარებაში მიმდინარეობს. ქცევის ყოველი წესი, ყოველი ნორმა გარკვეულ ობიექტურ ლირებულებასთან არის დაკავშირებული. წესი, ნორმა თავისი გავად მოკლებული იქნებოდა მნიშვნელობას, რომ იგი ეთიკურად ან კიდევ ეკონომიურად ლირებულ ვი-თარებასთან მიმართებაში არ იყოს. წესი, ნორმა არსებობს არა წესისა და ნორმისათვის, არამედ სხვა რაღაცასათვის, რაც თვითონ წესი და ნორმა არ არის. მოზარდის მიზართ წესრიგის დამორჩი-ლებისადმი მოთხოვნა ორი განსხვავებული გარემოებით არის შე-პირობებული. ერთი მათგანი მოზარდთან, როგორც აღზრდის ობიექტთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე იმ ობიექტურ ლირებულებასთან, რომელიც წესრიგის დაუმორჩილებლობის გამო ზიანდება. ბავშვი რომ უწესრიგოდ იქცევა, ამით იგი შეიძლება ავიწროვებს და შეურაცყოფას აყენებს ვინმეს, ანაფურებს გარ-კვეული ლირებულების ნივთებს, მაგრამ ამითვე იკი საკუთარ თავ-საც აფუჭებს, მისი მომავალი პიროვნების სასურველი მიმართუ-ლებით ფორმირების საქმეს აბრკოლებს. აღმზრდელს ბავშვის პი-როვნება აინტერესებს, მაგრამ მას როგორც ადაპიანს შეუძლებე-ლია ეს ლირებულებებიც არ ჰქონდეს მხედველობაში. იქ, სადაც მთელი ყურადღება მთლილ ამ უკანასკნელს ექცევა, საეჭვოა, რომ აღზრდის საქმე სასურველი მიმართულებით შავიდეს. ასეთ შემთხვე-ვაში ეკონომიურად შექლებული მშობელი შეიძლება ლიმილით შეხვდეს ბავშვის საქციელს, რომელსაც ოჯახური ნივთის წახდენა მოჰყვა შედეგად, ხოლო ხელმოკლე დედამ სიბრაზისგან სცემოს კიდეც ბავშვს რაიმე ნივთის, თუნდაც შემთხვევით, გაფუჭებისათ-ვის. აღმზრდელი ორივე შემთხვევაში დანაშაულს ჩადის, მის მოქ-მედებას ორივე შემთხვევაში პირადი ინტერესები განსაზღვრავს და არა აღზრდის ამოცანები.

რეეიმმა ბავშვში შეგნებული დისკიპლინის აღზრდას უნდა შეუწ-ყოს ხელი. ხშირად დისკიპლინის სახელწოდებით აღნიშნავინ იმ წესებსა და ნორმებს; რომელიც ბავშვს გარედან ეძღვევა. როგორც მისი ქცევის სავალდებულო ნორმა. ამ მხრივ მართალია ა. მოსია-ვა, როცა აღნიშნავს, რომ წესები და ქცევის ნორმები თავისთა-ვად დისკიპლინას არ წარმოადგენენ. ისინი უფრო დისკიპლინე-

შის პირობებს, სახელდობრ, რეუიშს მიეკუთვნებიან. რაც შეეხება დისკიპლინას, ის პიროვნების დახასიათებაა, ის იმას გულისხმობს, რომ რეუიმულს ვათარებაში მოქმედი ადამიანები ყოველთვის რეუიმის შესატყვისად იქცევიან, მას ემორჩილებიან. მაშასადამე, დისკიპლინა პიროვნების თვისებაა, ყოველთვის წესის მიხედვით იმოქმედოს, და არა თვითონ წესი¹. ძველი სკოლა მოზარდის მიმართ აღმზრდელობით მუშაობას კი არ აწარმოებდა, მას რეუიმულ ვითარებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს კი არ განაცდევინებდა, არამედ მოცემულ რეუიმის შესატყვისად წვრთნიდა ისე, როგორც ცხოველს წვრთნიან.

როგორ და რანაირად ემორჩილება ბავშვი რეუიმულ ვითარებას? ეს ბევრად არის დამოკიდებული ბავშვის ასაკობრივ თავისებურებაზე. მოზარდი დიდხანს დარჩებოდა იმპულსურ არსებად, რომ სოციალურად მოწესრიგებული გარემო მას იმთავითვე გარკვეულ რეუიმულ პირობებში არ აყენებდეს. მოზრდილს შეაქვს წესრიგი ბავშვის ქცევაში, ბავშვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში, რის ნიადაგზედაც მას ამ წესრიგის შესატყვისი ელემენტარული ხასიათის ჩვევები ექმნება. „ბავშვს წარამარა ვუკრძალავთ იმის გაკეთებას, რაც არ შეიძლება; და ვასწავლით და ვაქეზებთ ისე მოიქცეს, როგორც ჩვენ მიგვაჩნია წესიერად. ამრიგად ბავშვის წინაშე აკრძალულისა და ნებადართულის მთელი სისტემა იქმნება, რომელიც მისი ქცევის თანდათანობით იმპულსების ბატონობისაგან ანთავისუფლებს და მოწესრიგებულ მიმართულებას აძლევს. ასე თუ ისე, 1—3 წლის ბავშვი იძულებული ხდება თავის იმპულსების თანდათანობით შეზღუდვებასა და უფროსებისგან ნაჩვენები გზით მოქმედებას მიეჩიოს“². ამ ასაკში ბავშვი აღვილად ემორჩილება რეუიმს. მაგრამ ამ მორჩილებას უფრო პირობითი რეფლექსების ხასიათი აქვს. ჯერ შეგნებულ დისკიპლინაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. მაგრამ მალე ბავშვის ფიზიკური ძალების განვითარებას და საკუთარ მოტორულ აპარატის დაუფლებასთან დაკავშირებით აქტივობის ძლიერი ტენდენცია იჩენს თავს. რომელიც 3—4 წლისათვის იმდენად ძლიერი ხდება, რომ ახლა ბავშვი ამ ტენდენციიდან მომდინარე აქტივობის იმპულსს ვეღარ უმორჩილებს გარედან მიწოდებულ წესრიგს და იგრ უაღრესად თვითნებურს, ჟინიანსა და ჯიუტ არსებად იქცევა, რგო თავის სურველების უდარეკ იმპულს ააშკარავებს; ხშირად არაჩვეულებრივ წინააღმდეგო-

¹ ა. მოსიავა, სიმტკიცე და თავდაჭრილობა, როგორც მებოძოლის შირითადი თვისება, გვ. 8, 1942 წ.

² ღ. უზნაძე, ბოგადი ფსიქოლოგია, გვ. 188.

ბას გვიწევს და თავისი რომ გაიტანს, ზოგჯერ პირდაპირ ხილი ცარს ძალისხმევის უნარს ამჟღავნებს¹. ბავშვის განვითარების ეს თავისებური პერიოდი პირველი უინიანობის ხანის სახელწოდებით არის ცნობილი.

უინიანობის პერიოდი დიდხანს არ გრძელდება, რადგან ბავშვის უინიანი სურვილები და მოთხოვნილებანი უფროსების მხრივ წინააღმდეგობას აწყდება და დაუკმაყოფილებელი რჩება, რის გამოც ბავშვი ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდება თავისი სურვილები, ობიექტურად მოცემულ წესებსა და გარემოებებს დაუმორჩილოს. მას ახლა ამ წესების ცნობიერება უვითარდება, თუმცა იმითი ჯერ კიდევ არ არის დაინტერესებული, თუ საიდან ლებულობს ეს წესები მნიშვნელობას.

იქ, სადაც ბავშვის უინიანი მოთხოვნილებანი მშობლების მხრივ წინააღმდეგობას არ ხვდება, სადაც ბავშვს ჯიუტობა იღვილად გაუდის, უინიანობა და ჯიუტობა რჩება მისი მომავალი პიროვნების ხანგრძლივ მანკად, რომელიც მას შემდეგ ცხოვრებაში საშუალებას არ მისცემს ზოგიერთ ეთიკურ ღირებულებას მიწვდეს და მოქმედება მას შეუფარდოს. აღმზრდელი, რომელიც ბავშვის ყველა სურვილს აკმაყოფილებს ხელს უწყობს ბავშვში აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების განვითარებას, რომელნიც მომავალში მოზარდს ნებისმიერ მოქმედებისა და საერთო საკუთარ თავზე შატონობის უნარს წაართმევს.

იქ კი, სადაც ბავშვის უინიანი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებული რჩება, მალე „ბავშვი წესის გარდაუვალობასა და აუცილებლობას გრძნობს; იგი მის იძულებით ძალას ცნობს და თავისი ნებით ემორჩილება. რასაკვირველია ამით იგი აქტიობის უფრო მარტივ დავალებათა ნებისმიერი შესრულების ძალა შესწევს. სკოლა და სწავლის პროცესი კიდევ უფრო ავითარებს ბავშვს ამ მიმართ თულებით.

სქესობრივი მომწიფების ხანაში ერთხელ კიდევ იჩენს თავს უინიანობა და ჯიუტობა. სქესობრივი ჯირკვლების გაძლიერებულ ფუნქციონალური ძალების სწრაფი ტემპით მომწიფება მოსდევს თან. ახლა მოზარდი თავისთავში დამოუკიდებელი, არსებობისათვის საჭირო ძალებს გრძნობს, რის ნიადაგზედაც

¹ დ. უზნარე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 189.

² იქვე, გვ. 190.

ჩნდება მისწრაფება სხვისგან დამოუკიდებელი, სხვისი ნებისგან შეუზღუდველი ცხოვრებისაკენ. ეს ტენდენცია, ეწინააღმდეგება იმ რეჟიმს, რომელშიც აქამდე მოზარდის ცხოვრება მიმდინარეობდა ჩნდება კრიტიკული დამოკიდებულება ავტორიტეტისადმი. მოზარდი ახლა საკუთარ ინტელექტუალურ ძალებზე დაყრდნობით ცდილობს განსაზღვროს ცუდი და კარგი. „ყველაფერს, რისიც ამდენ ხანს ეგოდენ სჯეროდა და რასაც საკუთარი ხალისით ემორჩილებოდა, ეხლა უარყოფით უწყებს ცქერას, და იგი კვლავ თვითნება, კვლავ უინიან, კვლავ ნეგატურად განწყობილ არსებად იქცევა, რომელსაც თავისი თავის საუკეთესო ბატონპატრონად თავისი თავილა მიაჩნია“¹.

არც ეს უინიანობის მეორე ხანა გრძელდება დიდხანს. მოზარდი ახლა სულიერად უკვე იმდენად მომწიფებულია, რომ ბოლოს და ბოლოს იგი ახერხებს საკუთარი იმპულსების ობიექტურად ლირებულ მიზნებისადმი დამორჩილებას და სრულყოფილ ნებისყოფის სუბიექტად იქცევა.

აღზრდის თვალსაზრისით ეს ასაკი ორი მხრით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: ჯერ ერთი მოზარდი ახლა განსაკუთრებული სიძლიერის შინაგანი ძალების მოზღვავებას გრძნობს, რომელიც მას დიდი ენერგიით უბიძებს იმპულსური მოქმედებისაკენ ხოლო შინაგანი ძალების ნიადაგზე აღძრული ემოციური განცდები აბნელებს მის ცნობიერებას და ობიექტურ ლირებულებათა გაცნობიერების უნარს ართმევს. ამიტომ აღვილი შესაძლებელია მოზარდი, თუ მას აღმზრდელის მტკიცე ნებისყოფა არ მართავს, ცხოვრების სწორ გზას აცდეს; მასში ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ნებისყოფის სუბიექტი აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებმა დასძლიოს და სამუდამოდ დააუძლებოს.

მეორე მხრივ მოზარდი ინტელექტუალურად იმდენად მომწიფებულია, რომ მას ახლა რეჟიმულ ვითარებასთან დაკავშირებულ ღირებულებათა გაცნობიერების უნარი გააჩნია, რომ ამ უკანასკნელ საქმეში მას შინაგანი იმპულსების ნიადაგზე აღძრული გრძნობები და მისწრაფებანი არ უშლიდეს ხელს. აღმზრდელის მოქმედება ისე უნდა წარიმართოს, რომ მან შესძლოს პირველის შენელება მეორის სასარგებლოდ. მოზარდი ამ ასაკში რომანტული განწყობილებით ხასიათდება, რაც აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან დასაყრდენად უნდა იქცეს. ამ ასაკში ბავშვს არ შეუძლია საგნებთან და მოვლენებთან ცივი ინტელექტუალური დამოკიდებულება იქონიოს. ყველაფერს, რაზეც მისი ცნობიერება ჩერდება,

¹ დ. უნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 191.

იგი განიცდის და განიცდის სხვა ღროისათვის უჩვეულო სიძლიერით. ხოლო ეს განცდები მასში გარკვეულ კვალს ტოვებს, მის ნებისყოფას გარკვეული მიმართულებით აფორმებს. ამიტომ, როდესაც მისი უურადღება საგანთა და მოვლენათა ობიექტურ ღირებულებაზე ჩერდება, იგი ამ უკანასკნელს უბრალოდ კი არ აცნობიერებს, არამედ მთელი შესაძლებელი სილრმით განიცდის. და სწორედ ამ განცდის პროცესში ძლიერდება და მაგრადება ნებისყოფის სუბიექტი, სწორედ ამ განცდებში ისახება ჭეშმარიტებისა, და სამართლიანობის იდეით განათებული მომავალი ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის გზა. პატრიოტული მხურვალებით ანთებულ-მა ამ ასაკის ახალგაზრდობამ უმნიშვნელო როლი როდი შეასრულა სამამულო ომის ფრონტზე. ისინი ჭეშმარიტების, სამართლიანობისა, და ხალხის კეთილდღეობის იდეებით შეპყრობილნი გაბედულად ეწირებოდნენ მსხვერპლად გამარჯვების დიდ საქმეს.

ასე ძლიერ განიცდის ეს ასაკი ვიტალურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ ღირებულებებსაც და ამიტომ არის საჭირო აღმზრდელის განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ ეს უკანასკნელი მის საბოლოო საცხოვრებო ღირებულებად არ იქცეს.

მას შემდეგ, რაც ბავშვში ობიექტურ ღირებულებათა ცნობიერების უნარი გაიღვიძებს მისი იმპულსებისა და მისწრაფებების ყოველი შეზღუდვა და გარკვეული წესისადმი დამორჩილება, ამ შეზღუდვასთან და ამ წესთან დაკავშირებულ ღირებულების ცნობიერების გზით უნდა მიღიოდეს. ბავშვი თავის ცნობიერების განვითარების კვალობაზე უნდა განიცდიდეს იმ ქცევის ფასს, რომლის შესრულებისაკენაც მას მოუწოდებენ: იგი მანამ, სანამ მაკაცა დასაბუთების შესაძლებლობანი განუვითარდება, უნდა გრძნობდეს, რომ მოქმედება, რომლისკენაც მას აღმზრდელი მოუწოდებს აღმზრდელის ეინიანობიდან, მისი კაპრიჩიდან კი არ მომდინარეობს, არამედ საყოველთაოდ სავალდებულოა. მეორე მხრივ, მოზარდი, რამდენადაც ეს მოცემულ ასაკის შესაძლებლობებს აღმატება, ყოველ წუთში უნდა განიცდიდეს, რომ აღმზრდელის მოქმედება მასზე როგორც ღირებულებაზეა მიმართული: მას იმიტომ უკრძალავენ ერთ მოქმედებას და აქეზებენ მეორესადმი, რომ უნდათ თითონ იგი იყოს დადებითი და კარგი.

აღმზრდილი ყველა უპირატესობით სარგებლობს. სულიერ-მორალურ უპირატესობასთან ერთად მის ხელთ არის ფიზიკური და უკონომიური შესაძლებლობანი. შეგნებული დისკიპლინის აღზრდის, საქმეში, საჭიროების მიხედვით ყველა ეს შესაძლებლობანი უნდა იქნას გამოყენებული. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც სულიერ-

მორიალურ შესაძლებლობებს აქვს. მოზარდა აღვილად და ხალისთვის ემორჩილება აღმზრდელის მტკიცე ნებისყოფას. მაგრამ იქ, სადაც აღსაზრდელის ეინიანობა აღმზრდელის რბილ და სუსტ ხასიათს ჰყდება, იგი აღვილად ახერხებს მის დამორჩილებას. მაშინ როლები იცვლება: ახლა აღსაზრდელი აიძულებს „აღმზრდელს“ თავის ეინიანი სურვილების მიხედვით მოქმედებას. იგი იქცევა დაუნდობელ დესპოტად, რომელიც საკუთარი სურვილების გარდა ანგარიშს არაფერს უწევს. ასეთებს ხშირად ვხვდებით დედისერთა შვილებს შორის, რომელთა ბუნება ბავშვობის ასაკში გადაჭარბებულ ნებივრობას შეულასავს.

ბავშვში მაინც იმპულსები კარბობს. ამიტომ იგი ხშირად არღვევს რეეიმს, ვერ იცავს გარედან მიწოდებულ წესებსა და ნორმებს, მაშინაც კი, როდესაც მას მათი ლირებულება საქმაოდ გაცნობიერებული აქვს. ასეთ შემთხვევაში აღმზრდელის განკარგულებაში არის ის უპირატესობანი, რომელიც მას სასჯელის სახით შეუძლია გამოიყენოს. სასჯელი აღმზრდელობითი ზემოქმედების ის საშუალებაა, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევისათვის უნდა იქნას შემონახული. ამ ონისძიების ხშირი ხმარება, მას დადგებითი აღმზრდელობითი მოქმედების უნარს ართმევს და ხშირად უარყოფით შედეგს იწვევს: ბავშვს სასჯელისადმი მგრძნობიერობის უნარს უკარგავს.

დასჯა შეიძლება ორი გარემოებით იყოს ნაკარნახევი: 1. ბავშვმა შეიძლება თავის საქციელით აფექტურ მდგომარეობაში ჩააგდოს მშობელი (ან საერთოდ აღმზრდელი) გააბრაზოს, წონასწორობის დან გამოიყვანოს იგი. ხშირად მშობელი ამ აფექტური მდგომარეობის დაცლას ბავშვის დასჯაში ახერხებს, სწორედ ისე, როგორც ამას ცხოველებშიც ვხვდებით. უსიამოვნებას, რომელიც მშობელმა ბავშვიდან მიიღო უსიამოვნებით უზღავს. ასეთ შემთხვევაში საქმე ერთგვარ შურისძიებასთან გვაქვს, რომელსაც აღმზრდასთან არაფერი არ აქვს საერთო. ბავშვი ადრე ასაკში გრძნობს ასეთი სასჯელის შურისძიებით ხასიათს და მასაც სანაცვლო შურისძიების განწყობა ექმნება. იგი ბოროტდება, ავდება. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ბავშვი, რომელსაც მშობელი საერთოდ უყვარს, სასჯელის განცდის წუთებში ფიქრობს: „რა კარგი იქნება ახლა მა დასჯასთან დაკავშირებით იგი მძიმე ავად გახდებოდეს, რომ მოკვდებოდეს კიდეც, როგორ დაიტანჯებოდა, რამდენს ინანებდა, მაშინ დამსჯელი მშობელი“. 2. დასჯა, რომელსაც აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს, აღმზრდის ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა საკუთარი

აფექტიდან. მოზარდი უნდა გრძნობდეს, რომ სასჯელი, რომელ-
საც იგი ლებულობს, აღმზრდელის პირად ინტერესებთან არ არის
დაკავშირებული, რომ მისი დასჯის პროცესს დამსჯელიც მტკი-
ნეულად განიცდის, რომ იგიაუცილებელი გახდა მხოლოდ მისი უზი-
აკობის გამო, რომ სასჯელი მასზე მიმართულია, როგორც სიკეთვა-
და არა როგორც ბოროტება. თუ ეს უკანასკნელი არ მოხერხდა,
მაშინ, ბავშვი სასჯელს ზემო აღწერილი სახით განიცდის, რაც
აღზრდის თვალსაზრისით დანაშაულს წარმოადგენს. ყოველი სახის-
სასჯელი, რომელიც ამ მიზანს მიაღწევს, გამართლებულად შეიძ-
ლება ჩითოვალოს. ცნობილია, რა მოხერხებულად იყენებდა მაკა-
რენკო სასჯელის აღმზრდელობით მხარეს. მაკარენკომ ზედიშედ-
სილა გააწინა ზაღოროვეს. ბედნიერი შემთხვევის გამო, ზაღოროვმა-
გარტყმაში, უპირველეს ყოვლისა, ის დიდი ობიექტური ლირებუ-
ლება დაინახა, რომლისთვისაც მაკარენკო თავს სწირავდა, საკუთარ-
სიცოცხლეს ანადგურებდა: და რა მოხდა? ეს გამდვინვარებული-
„მხეცი“, რომელმაც აქამდე საკუთარი ძლიერებისა და პირადი მოთ-
ხოვნილებების მეტი არაფერი იცოდა, ერთბაშად მოუშვა და ბო-
ლიში მოუხადა დამსჯელს. და მერე რისთვის? უპრალოდ იმიტომ,
რომ სასჯელი, რომელიც მან თავისთვზე განიცადა, კანონიერიდ-
სცნო, ხოლო თავისი საქციელი, რომლითაც მან მაკარენკო თავდა-
ვიწყებამდე მიიყვანა, დანაშაულად აღიარო, და რას წარმოადგენდა-
ის წარმავალი ფიზიკური ტკივილები, რომელიც ზაღოროვეს სას-
ჯელმა განაცდევინა მარადიული სიკეთის ამ დიდ აღმოჩენასთან შე-
დარებით. ზაღოროვე ერთბაშად გარდაქმნა ამ ერთმა შემთხვევამ.
საერთოდ ფიზიკური დასჯა, რათქმა უნდა არ შეიძლება გამარ-
თლებულ იქნას, რადგან, ჩვეულებრივად, აღმზრდელს ნორმალურ-
ადამიანებთან აქვს საქმე, რომელნიც ასეთ ღონისძიებას არ მოითხო-
ვენ. ხოლო ზაღოროვის ტიპის აღსაზრდელის მიმართ საეჭვოა,
რომ იგი მეორედაც ისე მიზანშეწონილი იქნას, როგორც ეს
ფრთხელ შექმნილ გარემოებათა გამო მაკარენკოს ხელში აღმოჩნდა.

სასჯელი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ იმ შემთხვევაში-
შეიძლება იქნას გამართლებული თუ იგი მოზარდს იმ ობიექტურ-
ლირებულებას განაცდევინებს, რომელთან მამართებაშიც იგი
სასჯელს ღებულობს. იქ საღაც სასჯელს მხოლოდ შიში და სხე-
ულებრივი ან სულიერი ტკივილები მოსდევს, იგი სპობს აღზრდის-
იმ დადებით შედეგებს, რომელიც უკვე მოპოვებულია.. სასჯელი
ნებისყოფის სუბიექტს უნდა ამაგრებდეს და აძლიერებდეს.

ჯილდოს, როგორც აღმზრდელობით ზემოქმედების საშუალებას
სასჯელთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. იგი უფრო

აღზრდის უკვე მოპოებული დადებითი შედეგების გამტკიცების მიზნით გამოიყენება და მხოლოდ მაშინ ამართლებს თავის თაგან, როცა წაქეზების ფუნქციას ასრულებს, როცა იგი იმ მოვლენის ღირებულებაზე მიუთითებს, რომლის გამოც დაჯილდოების ფაქტი მოხდა. დაჯილდოებასთან დაკავშირებით თავს იჩენს საშიშროება, რომ თვით ჯილდო და მასთან დაკავშირებული ემოციური სიამოვნება არ იქცეს მიზნად. ჯილდოს შეუძლია აღსაზრდელში პატივმოყვარეობისა და ქედმალლობის გრძნობები აღძრას, რასაც უნდა ებრძოდეს აღმზრდელი.

სასჯელი და წაქეზება შეფარდებული უნდა იყოს დანაშაულისა და წარმატების სიღილესთან. არაფერს არ განიცდის მოზარდი ისე მწვავედ, როგორც უსამართლო სასჯელს. ეს უკანასკნელი ავტორიტეტს ართმევს აღმზრდელს. სასჯელი და წაქეზება მორალურ ზემოქმედებას ახდენს აღსაზრდელზე. მათ უფრო ხმირად სიტყვიერი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. სიტყვას მორალური ზემოქმედების ძალა მაშინ აქვს, თუ იგი ზომიერია და მასში აღმზრდელის მტკიცე ნებისყოფის მიმართულება, მისი რწმენა და მისწრაფება განიცდება. ზოგი აღმზრდელის ერთ სიტყვას შეუძლია მოზარდში ძლიერი სულიერი მღელვარება და მწვავე სინანულის განცდები აღძრას, მაშინ, როცა იგივე ბავშვი მეორე მასშავლებლის მთელ „ქადაგებას“ გულცივად და ხელის ჩაქნევით ხვდება.

ჩვენს ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევა, როცა რაიმეს განვიზრახავთ, რისიმე გაკეთებას გადავწყვეტო, მაგრამ სიზარმაცის თუ სხვა გარემოების გამოვერ ვახერხებთ, მის განხორციელებას ხელს ვერ ვკიდებთ. ამის გამო დროგამოშვებით საგრძნობლად ვწუხვართ. ზოგჯერ, ასეთ შემთხვევაში მოულოდნელად იქმნება ისეთი გარემოება, რომელიც გვაიძულებს, პირდაპირ გვიბრძანებს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეთ განზრახვის განხორციელების საქმეს. ასეთ იძულებას ბეჭნიერ შემთხვევად ვთვლით და კმაყოფილი ვრჩებით გისით. მოზარდისთვის ასეთი მდგომარეობა ჩვეულებრივია. მან იცის იმ მიზნების ობიექტური ღირებულების შესახებ, რომელთაც უფრო სები უსახავენ, მაგრამ აქტუალურ მოთხოვნილებათა ენერგიული იმპულსები დროგამოშვებით, მისი, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ ნებისყოფის დამორჩილებას ახერხებს და ბავშვს საჭიროებისა და ვალდებულების შესატყვისად მოქმედების ძალას აცლის, ღირებულებათა ცნობიერების უნარს უქვეითებს. ასეთ შემთხვევაში მკაცრ რეაქტის, ავტორიტეტულ ბრძანებას, რომლის დახმარებითაც იგი აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების ტყვეობას აღწევს თავს, მტკიცნეულ იძულებად არ განიცდის, პირიქით, მასში იგი ერთგვარ

თავისუფლებას ხედავს, რომელიც მას ხელს უხსნის და ობიექტზე რაღ ღირებული აქტიობის შესაძლებლობას აძლევს. არ შეიძლება ზარმაც ბავშვს ღროვამოშვებით არ აწუხებდეს სიზარმაცე, რომლის-თვისაც მას თავი ვერ დაუღწევია. ხოლო როცა ის წუხს, სიზარმაცეში თავისუფლებას კი არ ხედავს, არამედ შეზღუდვას განიცდის, ასეთ შემთხვევაში გარეგანი იძულება, რომელსაც იგი სიზარმაცი-დან გამოჰყავს, შეუძლებელია მტკიცნეულად იქნას ნაგრძნობი, მთავარია იძულების განცდას ობიექტური ღირებულებისა და სა-კიროება-ვალდებულების ცნობიერება ახლდეს თან.

ბავშვი რომ ასეთ იძულებას მტკიცნეულად განიცდიდეს გაუგგ-ბარი იქნებოდა, რატომ არის, რომ აღმზრდელი, რომლის იძულე-ბის ქვეშაც ბავშვის მთელი ცხოვრება მიმდინარეობს, ასე უყვარს-მას.

სწავლა. ხელოვნების ჯემოჩმედება

სწავლის პროცესში მოსწავლე ცოდნას ღებულობს. იგი ობიექ-ტური სინამდვილის თავისებურებას ეცნობა. მაგრამ პრინციპულად არ არის შეუძლებელი ცოდნა ისე მიიღოს კაცმა, რომ შეცნობილი სინამდვილის ობიექტური ღირებულება არ განიცადოს. შესაძლე-ბელია მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის და სხვა გაკვეთილები ისე ჭარიმართოს, რომ მიწოდებული ცოდნის მიღების პროცესში მო-ზარდს მოქმედებისათვის ერთი ნერვიც არ შეუტოკდეს. ნ. ვ. სამსო-ნოვი თავის წიგნში „ნებისყოფის ფსიქოლოგია“ იხსენიებს ვილაც მენტოლს, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა თორმეტი ენა და ლრმად დაეუფლა ცოდნას ზუსტ მეცნიერებათა ყველა სფეროში. ამისთვის იგი ოცდაათი წლის მანძილზე ყოველ კვირაში ექვს დღეს, ხოლო დღეში 13 საათს მეცადინეობდა. იგი მოკვდა ისე, რომ ერ-თხელაც არ უგრძენია მისწრაფება მიღებული ცოდნა რაიმე მიმა-რთულებით გამოეყენებინა, ერთხელაც არ განუცდია ცოდნაში მოცემულ სინამდვილის ობიექტური ღირებულება. ამ ქვეყნიდან წავიდა უსიტყვოდ.

ცოდნა ფასს მოხმარებაში, აქტივობაში ღებულობს, სწავლების პროცესი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ცოდნის ამ მხარეს, რომ მას აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდეს. მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის და სხვ. სწავლება კომუნისტური საზოგადოების მშენებლო-ბის ამოცანებთან დაკავშირებით უნდა მიმდინარეობდეს. მოზარდი ამ მეცნიერებათა სწავლის პროცესში ჩვენი ხალხის ინტერესებს უნდა უკავშირდებოდეს, ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების ობიექტურ ღირებულებას უნდა განიცდიდეს, რომ მან მიღებული

ცოდნის საფუძველზე მისი ცხოვრების საკუთარი მიზნები ამ ამოცანის მიმართულებით დასახოს.

აღზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების საქმის სწორად დაყენებას. ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლე ეცნობა იმ აღამიანებს, რომლებმაც უარი სთქვეს პირად ბეღნიერებაზე და მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს მოახმარეს. აქ მასებთან ერთად იგი ხვდება იმ ისტორიულ პირებს, რომელიც უკიც ცნობის, ძალმომრეობას, ჩაგვრასა და მონობას ვერ ითვენდნენ, სისხლიდან იცლებოდნენ, მწვავე ტკივილებს განიცდიდნენ, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მაინც ფეხზე იდგნენ და გმირულად იბრძოდნენ. სამოქალაქო და სამამულო ოშების ისტორია, კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია ახალგაზრდობას თვალწინ უშლის იმ მძიმე გზას, რომელიც ჩვენმა ხალხებმა ძლევამოსილად განვლეს ხალხთა დიდი ბელადის ხელმძღვანელობით. იგი აქ ხედავს, თუ როგორ შესწირეს ყველაფერი ბელადებმა ხალხთა კეთილდღეობის საქმეს. ამ აღამიანთა ცხოვრებისა და მოქმედების გაცნობიერების პროცესში მოსწავლე განსაკუთრებული სიღრმით განიცდის იმ ობიექტურ ლირებულებებს, რომლებისათვისაც აღამიანები ისტორიულად სისხლიდან იცლებოდნენ, რომელთაც ათასობით სიცოცხლე ეწირებოდა. და ამ მომენტში მასაც ავიშუდება პირადი ორტერესები და განცდილ ობიექტურ ლირებულებებისკენ, აქტიურად მიიმართება. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ასეთი განცდის პროცესში ისახება, მაგრდება და ვითარდება ნებისყოფის სუბიექტი, რომელიც შემდეგ აღრე განცდილ ობიექტურ ლირებულებათა მიმართ მოცემული ვითარების შესატყვის ვალდებულებას იკისრებს.

ისტორია, ისტორიაა, მაგრამ მასწავლებელზე ბევრად არის დამკიდებული, თუ რამდენად განაცდევინებს იგი მას; რამდენად ფრინობინებს ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის მოციალისტური წყობის სიყვარულსა და ლირებულებას. ამისთვის მასწავლებელს თავისთავისადმი საგანგებო ძალდატანება არ დასჭირდება. საჭიროა მხოლოდ თვითონ მთელი თავისი არსებით განიცდიდეს თანადროულობას, ისტორიის გმირებსა და იმ ობიექტურ ლირებულებებს, რომელთათვისაც ხალხი და მისი რჩეულები იწვოდნენ. მაშინ ენა თავისთავად მონახავს იმ საშუალებებს, რომელიც აღმზრდელობითი ზემოქმედების სასურველი გზით წარმართვისათვის არის საჭირო.

ლიტერატურის მასწავლებლის განკარგულებაში ისტორიკოსზე მეტი აღმზრდელობითი ზემოქმედების შესაძლებლობა არსებობს.

ლიტერატურულ ნაწარმოებებში ისტორიაც შეიძლება იყოს მო-
 ცემული და თანადროულობაც. მაგრამ მთავარი ეს კი არის,
 არამედ ის, რომ ეთიკური ლირებულებანი, ეთიკური იდეები და
 ადამიანისა მიერ ამ იდეებისათვის თავისანწირვა, ცოცხალ სახეებში,
 გრძნობადი ჭვრეტის ფორმებში არის მოცემული. მხატვრულ ნა-
 წარმოებში ეთიკური ლირებულებანი და მათთან დაკავშირებული
 მიზნებისათვის მებრძოლი ადამიანები წინა პლანზეა მოცემული.
 როცა ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების კითხვას იწყებ, თავის-
 თავად დგები ასეთი ადამიანის მხარეზე: მისი ცხოვრებით ცხოვრობ,
 მისი მისწრაფებით ივსები, მისი წარმატებებით ხარობ და მარცხით
 იტანჯები. მისი მოქმედების მიზანს შენი საკუთარი მიზნის მსგავ-
 სად განიცდი და ყველაფერი, რაც მას ამ მიზნის განხორციელებაში
 ხელს უშლის, შენში ერთგვარ სიძულვილს იწვევს და მტკიცნეულად
 განიცდება. კითხულობ და არ გრძნობ შიმშილს, წყურვილს, ვერ
 ახერხებ შეჩერებას, გინდა დაუსრულებლად იარო იმ გმირთან
 ერთად, რომელიც მაღალი ეთიკური ლირებულებისათვის იბრძვის.
 ავტორის მხატვრული ხერხი, რომელიც მკითხველს ხშირად დროე-
 ბით აშორებს ასეთ გმირებს, გაწუხებს, რადგან გინდა მუდამ შენს
 გმირთან იყო და მისი სუნთქვით სუნთქვავდე, მის ვირსა და ვარამს
 იზიარებდე. უკანასკნელ გვერდს ჩაიკითხავ, წიგნს დახურავ და
 გრძნობ, რომ ამ წუთში ის აღარ ხარ რაც კითხვის დაწყების წინ
 იყავი. ახლა რაღაც მაღალზე, რაღაც ისეთ ლირებულებისაკენ ხარ
 მიმართული, რომელთან შედარებითაც შენი ყოველდღიური
 პირადი მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი არარაობად მოსხანს,
 მათზე ფიქრი დამამცირებლად გეჩენება. ასეთ შემთხვევაში მოზარ-
 დი ხშირად ოცნებობს იმაზე, თუ როდის დაულგება მას ის სანა-
 ტრელი შემთხვევა, რომელიც საშუალებას მისცემს წაკითხული რო-
 მანის გმირივით გასწიროს თავი მაღალი ეთიკური მიზნებისათვის.
 მაგალითად ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ წაკითხვის შემდეგ
 მოზარდის ცნობიერებას დიდხანს არ შორდება ის იდეალები, რო-
 მელთათვისაც კრასნოდონელი კომკავშირელები იბრძოდნენ, რომელ-
 თაც ამდენი ლამაზი და წარმტაცი სიცოცხლე შეეწირა.

მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ავტორს ინდივიდუალური
 მისწრაფებანი, ვიტალური მოთხოვნილებანი და მათთან დაკავში-
 რებულ გარემოებებზე მიმართული ადამიანის აქტიობა გადაუქცე-
 ვია გამოსახვის საგნად, აჩლუნებს ეთიკურ ლირებულებათა ცნო-
 ბიერების უნარს, არყევს და აუდლურებს ახალგაზრდის ჯერ ისედაც
 გაუმაგრებელ ნებას, მიმართულებას უცვლის მის კეთილშობილ
 აზრებსა და მისწრაფებებს. და ამას იგი შიო უფრო მეტი ძალით

ახერხებს, რაც უფრო მეტი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული ნაწარმოები. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს საკუთარი ესთეტიკური ღირებულება აქვს, მისი შინაარსი თანადროულ ეთიკურ ღირებულებათა სუეროდან უნდა იქნას ალებული, რომ მან თავისი შინაარსით არ წარყვნას ახალგაზრდის ეთიკური ცნობიერება.

ერთი სიტყვით, მხატვრული ნაწარმოები განცდისთვის აღვილად მისაწვდომ ფორმაში მოცემულ ეთიკური იდეებით მოქმედებს რა მოზარდის სულიერ ცხოვრებაზე ზრდის, ამტკიცებს და ანვითარებს ნებისყოფის სუბიექტს, მიმართულებასა და შინაარსს აძლევს ნებისყოფის აქტებს, აღვივებს და აძლიერებს ნებისმიერი ქცევის მოტივებს.

აღმზრდელი მასწავლებლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლოს მხატვრულ ლიტერატურაში მოცემულ ამ დიდ აღმზრდელობით შესაძლებლობათა გამოყენება. მან დახმარება უნდა ვაუწიოს მოზარდს ეთიკურ ღირებულებათა გაცნობიერების საქმეში. უნდა ეცადოს გაკვეთილზე თხრობის დროს არ მოჰკლას ის ეთიკური იდეა, რომელიც ავტორმა მხატვრულ ნაწარმოებში გააცოცხლა, ხორცი შეასხა და ყველასათვის თვალსაჩინო გახადა. მაგრამ, ვიმეორებთ, ამას მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ თვითონ ლრმად განიცდის ნაწარმოების ეთიკური იდეის ობიექტურ ღირებულებას, თუ იგი თვითონ მოჰკავს აღზნებაში ამ ღირებულებებზე ფიქრს.

კიდევ უფრო დიდია ნებისყოფის ფორმირებისა და პიროვნების მიერ თბიექტურად ღირებულ მიზანთა სახვის საქმეში კინოსა და თეატრის როლი. ისტორია და ლიტერატურა მაინც თხრობაა იმ აღამიანთა შესახებ, რომელთაც თავიანთი ცხოვრების მიზნები ეთიკურ ღირებულებათა მიმართულებით დაუსახავთ და მთელი თავიანთი ცხოვრება ამ მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმისათვის დაუმორჩილებიათ. კინოკრატზე და სცენაზე თვითონ ეს აღამიანები გამოდიან და მათი ცხოვრებისა და ბრძოლის რეალურ მიმდინარეობას უშუალოდ განიცდის კაცი. ახლა, პირდაპირ თვალში უცქერი შენ საყვარელ გმირებს და მათი ნათელი მიზნებით იმსჭვალები, მათი ბრძოლის ცეცხლით ენთები. შინაგანად მზად ხარ მათთან ერთად შეებრძოლო ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც ამ აღამიანებს მიზნის განხორციელებაში ხვდება. გინდა აწამო, მოჰკლა. დაახრჩო ის გაიძვერა აღამიანები, რომელიც მათ ამ დიდი მიზნებისათვის ბრძოლაში წინ ელობებიან და სიცოცხლეს უმწარებენ. თეატრიდან მოდიხარ და თან მოგაქვს ის ეთიკური იდეები, რო-

შელთათვისაც აქ ასე გაბედულად სწირავდნენ თავს. შენ ხომ ამ იტე-
რბისთვის შეიყვარე ის გმირები, რომელნიც მათ ემსახურებოდნენ. ფიქრობ და ხედავ, რომ ჩვეულებრივზე ამაღლებულხარ; რომ ახ-
ლა სხვა დროზე უფრო მეტად ხარ მხად გააკეთო რაღაც მნიშვნე-
ლოვანი ხალხისთვის, ქვეყნისთვის, კულტურისთვის. გრძნობ რომ
ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ასეთ მოქმედებისგან ღებულობს
აზრსა და მნიშვნელობას და შენც მზად ხარ შენი სიცოცხლე შენი
ეპოქისათვის ლირებულ მიზნებს დაუმორჩილო.

ნებისყოფის ფორმალური მხარეების აღზრდა

აქამდე, ჩვენ, ვლაპარაკობდით პიროვნების საცხოვრებო მიმარ-
თულების განსაზღვრის შესახებ. მხედველობაში გვქონდა ობიექ-
ტურად ღირებული მიზნებისათვის საჭირო ნებისყოფის სუბიექტის
აღზრდა, მასში ნებისმიერი ქცევის მოტივების განვითარება. ერთი
სიტყვით საქმე ეხებოდა ნებისყოფის შინაარსეულ მხარეს.

მაგრამ ნებისყოფას ფორმალური მხარეც აქვს, რომელიც ძირი-
თადათ ნებისყოფის სიმტკიცის სახით იჩენს თავს. ნებისყოფის სიმ-
ტკიცე და მისი შინაარსეული მხარე არ არის ორი ერთმანეთისა-
ვან დამოუკიდებელი მოვლენა. ამიტომ ყელაფერს რაც ზემოდ
ნებისყოფის შინაარსეული მხარის აღზრდის შესახებ ითქვა, გადა-
შწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფის ფორმალური მხარის
აღზრდა-განვითარების საქმეშიაც. მაგრამ ვინაიდან არსებობს ღონის-
ძიებანი, რომელნიც ძირითადად ნებისყოფის ფორმალური მხა-
რის განვითარების საქმეში შეიძლება გამოვიყენოთ, ხოლო მეორე
მხრივ ნებისყოფის ამ მხარეს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს,
რომ ზოგი ნებისყოფის არსა და მისი აღზრდის მიზნებს მხოლოდ
ამ შიმართულებით ხედავს, საჭიროა სპეციალურად შევწერდეთ
ნებისყოფის ზოგიერთ ფორმალურ თავისებურებასა და მისი აღზ-
რდისათვის საჭირო ღონისძიებაზე.

მტკიცე ნებისყოფის ფორმალური ნიშნებია: თავშეკავება, მოთმი-
ნება, სისწრაფე ან მიზნის მიღების საქმე-
ში, პრინციპულობა, ენერგიულობა, ინიციატივა, გამბედაობა და
სიმამაცე.

1. შეიძლება ორ პიროვნებას ერთნაირი სიმტკიცის ნებისყოფა
ჰქონდეს, მაგრამ ერთნაირ ობიექტურ ვითარებაში ერთმა თავი-
სუფლად და უმტკივნეულოდ შესძლოს გადაშწყვეტილების სისრუ-
ლეში მოყვანა, ხოლო მეორემ მიზნის ბოლომდე განხორციელება
ვერ მოახერხოს უბრალოდ იმის გამო, რომ მასში განზრახვის წი-
ნააღმდეგ მიმართული აქტუალური მოთხოვნილების იმპულსები

განსაკუთრებით ძლიერი იყოს. ნებისყოფის წარმატება ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად იმ აქტუალურ მოთხოვნილების იმპულსის სიძლიერებები დამოკიდებული, რომელიც ნებისმიერი ქცევის მიზნის. მიღებისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო ქცევის აქტების წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ აღმზრდელობითი მუშაობის მიზანს ამ იმპულსების ზომიერი შენელებაც უნდა შეადგენდეს, რომ ამ გზით ნებისყოფის წინააღმდეგ აღმართული ძალა შევასუსტოთ და იგი ნებისყოფის მისწრაფებებს დავუმორჩილოთ. ასეთ შემთხვევაში ჩენ უშუალოდ ნებისყოფაზე არ ვმოქმედებთ, მაგრამ მას გზას ვუწმენდთ, ამ გზაზე არსებულ წინააღმდეგობის ძალას ვასუსტებთ.

აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების ზომიერ შენელებაზე ზრუნვა შეიძლება აღრე ასაკიდან დავიწყოთ. აქ განსაკუთრებით დიდი როლი მშობლებს ეკისრებათ. მშობლები ბავშვზე ზრუნვის დროს მის უინიან და ჯიუტურ მოთხოვნილებებიდან არ უნდა გამოდიოდენ. მათ ხედველობაში მხოლოდ ბავშვის მომავალი კეთილდღეობა უნდა ჰქონდეთ. როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, რბილი ხასიათის მშობელი ბავშვის იმპულსებს მიჰყვება, უარს არ ამბობს მის უინიან მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებაზე. პირიქით, ბავშვმა ოლონდ ისურვოს რაიმე და ისიც მზადაა სურვილი მას დაუყოვნებლივ დაუკმაყოფილოს. ბავშვი ეჩვევა ამას. იგი თვითნებური ხდება, რის შემდეგაც რომელიმე აქტუალურ მოთხოვნილების დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში არაჩვეულებრივ ენერგიას იჩენს, ტირის, ლრიალებს, ანგარიშს არავის არ უწევს, ზოგჯერ ნივთებსაც ამტვრევს, ერთი სიტყვით მოსვენებას არ იძლევა. აქტუალური მოთხოვნილების ასეთი შეუკავებელი იმპულსები გაჰყვება რა მოზარდს, მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ნებისმიერი ქცევის სუბიექტს მოქმედებისათვის საჭირო ძალასა და ენერგიას. გამოაცლის და უძლურად გახდის.

ზოგიერთი მშობელი პატივმოყვარეობის გამო ხელს უწყობს ბავშვში საერთოდ უარყოფითი ხასიათის იმპულსების განვითარებას, ბავშვის ყურადღებას საგანგებოდ აჩერებს ოჯახის მორალურ, ეკონომიურ და ფიზიკურ უპირატესობაზე. რომ მაგალითად, მისი მშობელი სხვებთან შედარებით მაღალი თანამდებობის პირია, დრიდი სულულია, დიდი საქმის კაცია, რომ მისი ოჯახი მეზობლებისაზე უფრო ძლიერია ეკონომიურად, რომ მშობელი ან ბავშვი განსაკუთრებით ლამაზი და კარგია და ა. შ. ასეთი საქციელით მშობელი ბავშვში აღვივებს და ავითარებს პატივმოყვარეობის გრძნობას, რომ მელიც შემდეგში ზნეობრივად გაუმართლებელი ქცევის მოტივად.

იქცევა. ძობარდი პატივმოყვარე ხდება. ტოლებს ზევიდან უშესებს ცემრას. ყველგან პირველობას ითხოვს, ვერ ითმენს, როცა სხვებს აქებენ მის წინ, სურს ყველას ყურადღების საგანი თვითონ იყოს, კმაყოფილია როცა სხვებს აძაგებს ან აძაგებენ. ისწრაფვის იქეთკენ, რომ როგორმე სხვების ყურადღების საგნად იქცეს. მისთვის არავის ანგარიშს არ უშევს: თავზე გადააბიჯებს ერთ ამ-ხანაგს, წინ ჩამოუდგება მეორეს და ა. შ.

ხდება პირიქითაც, მშობელი ბავშვს განსაკუთრებული სიძლიერით განაცდევინებს სხვა ოჯახებისა და ბავშვების უპირატესობას და საკუთარი ოჯახის ხელმოკლეობასა და თვით ბავშვის ნაკლულოვან მხარეზე მტკიცნეულად მიუჰითებს. ასეთ შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რა ემოციური ელფერით არის მშობლის მოქმედება შეფერადებული, შეიძლება ორი სხვადასხვა სახის უარყოფითი შედეგი მივიღოთ: შეიძლება ბავშვი შურიანი და ხარბი გახდეს ან კიდევ საკუთარი მდგომარეობა ბუნებრივ მოვლენად ჩასთვალოს, ყველას გზა დაუკალოს და თვითონ უკანა რიგში დადგეს, ეს ჩასთვალოს მან თავის ბუნებრივ აღგილად.

ბავშვი უნდა მოვარიდოთ ვიტალური მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნების შესახებ ვნებიან საუპარს. ვიყოთ ზომიერი აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს სქესობრივი ცხოვრება. ბავშვი ადრე ამჩნევს მშობელთა ურთიერთობას, ზოგჯერ შეუმჩნევლად დარაჯობს კიდეც მათ. ამ მიმართულებით მშობელთა თავშეუკავებლობასა და მოურიდებლობას ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია. აღმზრდელი ყოველ მხრივ უნდა ზრუნავდეს მოზარდის ვნებათა შენელებას. ბავშვი უმტკიცნეულოდ უნდა მივაჩვით მოთმინებას, შიშილის, წყურვილის ატანას და სხვ.

2. ზოგიერთი მშობელი გადაჭარბებულ მზრუნველობას იჩენს ბავშვის მიმართ. მეტისმეტი სისათუთით ინახავს მას, მუდამ იმის შიშშია ფეხი არ დაუსველდეს, არ შესცივდეს, არ მოშივდეს, ჯაფა არ დაადგეს, თამაშისა და საქმიანობის დროს არ დაიღალოს; ერთი სიტყვით ისეთ მდგომარეობაში არ ჩადგეს, რომ რამემ შეაჭუხოს. საქმარისია ბავშვს თავი წამოსტკივდეს ან კიდევ თამაშის დროს სხეული გაიკაჭროს, რომ მან ერთი ამბავი შექმნას; ბავშვს ისე განაცდევინოს, რომ თითქოს იგი რაღაც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. ასეთი მშობელი ბავშვს იმთავითვე აცლის გამბედაობასა და გამძლეობას, ართმევს მას გაჭირების ატანისა და ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლის უნარს და მტკიცე პიროვნების ნაცვლად სუსტ და აზიზ არსებას ავითარებს. მშობლები მტკიცნეულად განიცდიან ბავშვის გაჭირებას, მაგრამ არავითარ შემთხვეულად განიცდიან ბავშვის გაჭირებას, მაგრამ არავითარ შემთხვე-

ვაში არ უნდა აგრძნობინონ მას ეს. პირიქით, ზოგჯერ საჭიროა მშობლიური ინსტიქტი დავძლიოთ და განზრახ მოვაქციოთ ბავშვი: ისეთ პირობებში, რომლებიც მისგან მოთმინებას, გამძლეობასა და სიმამაცეს მოითხოვს.

3. მას შემდეგ რაც მოზარდში ნებისყოფის სუბიექტი შესამჩნევად მომწიფდება, საჭიროა თვითონ მოზარდიც გამოვიყენოთ მისი ნებისყოფის აღზრდის საქმეში. უპირველეს ყოვლისა მას უნდა შევაგნებინოთ, თუ რა ლირებულება აქვს მტკიცე ნებისყოფას, ხოლო შემდეგ ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა იმუშაოს თავისთავზე, რა ძერხებს უნდა მიმართოს, რომ მას მტკიცე და შეურყეველი ნებისყოფა განუვითარდეს. ცნობილია, რომ კაცი რომელიც საკუთარ ნებისყოფის აღზრდას სერიოზულ მიზნად დაისახავს ამ მიმართულებით, განსაკუიფრებელი შედეგის მიღწევას ახერხებს. ამიტომ აღმზრდელს არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ნებისყოფის აღზრდის ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება.

4. ნებისყოფის აღზრდის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. აქ მოზარდი არა მარტო იმსჭვალება ჩვენი დიდი ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეებითა და მისწრაფებებით, არამედ ამ იდეებისა და მისწრაფებების განხორციელებისათვის საჭირო ნებისყოფის სიმტკიცეს, სიმამაცეს, გამბედაობასა და ინიციატივის უნარს იძენს. კომკავშირი მოზარდს მომავალი გმირული ცხოვრებისათვის ამზადებს და ამიტომ არ ითქმენს მისგან სიმხდალეს, სულმოკლეობას, პატივმოყვარეობას, მერყეობას, თავიშვებულობასა და გადაჭარბებულ სინაზეს. ამიტომ მოზარდის ნებისყოფის აღზრდის საქმეში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ამხანაგებს უაღრესად საპასუხისმგებლო როლი აკისრიათ: მათ დიდი აღმზრდელობითი ზემოქმედების უნარი უნდა ჰქონდეთ. ისინი მოხერხებულად უნდა სარგებლობდნენ ერთი მხრივ, ამ ორგანიზაციათა ყველა უპირატესობით, ხოლო მეორე მხრივ, ნებისყოფის აღზრდისათვის საჭირო ყველა ცნობილი ღონისძიებით, რათა ქვეყანას ნაწილობი ნებისყოფის ახალგაზრდები მიეცეს.

ხასიათის აღზრდის ფენტოლოგიური საფუძვლები

I

ხასიათის აღზრდის შესაძლებლობისა და საშუალებების შერჩევის საკითხი ისტორიულად მჭიდროდ უკავშირდება ხასიათის ცნებისა და განსაკუთრებით მისი ცვლილების შესახებ გავრცელებულ შეხედულებებს.

ხასიათის ცნების ქვეშ თავიდანვე იგულისხმებოდა მთლიანი ადამიანის თავისებურება, ამ მთლიანის რაგვარობა. სიტყვა ხასიათი ბერძნული წარმოშობისა (Χαρακτήρ) და ნიშნავს გამოკვეთას, ანაბეჭდს, პიროვნების მიმართ კი გამოკვეთილ თავისებურებას. ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამ მნიშვნელობით იხმარა ეს სიტყვა თეოფრასტემ, ხასიათის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ პირველი წიგნის ავტორმა. ჟარბი სულიერი ნიშნების მშიშარობა, დაურწმუნებლობა, სიძუნწე, უსინდისობა და სხვა ამგვარი ოცდაათი ნიშანი თეოფრასტეს მიერ მიჩნეულია ხასიათის ძირითად თვისებად, პიროვნების თავისებურების გამოსახატავად; ამ თვისებების ასპექტში განხილულია მთლიანი ადამიანის საქციელი.

ხასიათის შესახებ მოძღვრების — ქარაქტეროლოგიის — ყურადღების ცენტრში უძველეს დროიდან დღემდე დგას მთლიანი ადამიანის თავისებურების, ამ მთლიანის რაგვარობისა და ამის მიხედვით ადამიანის ქცევისა და განცდების განსხვავებულობათა დადგენის საკითხი. მეცნიერულ აზროვნებას ყოველთვის აინტერესებდა, თუ რა პიროვნული მექანიზმი განსაზღვრავს ადამიანის განცდებისა და ქცევის თავისებურებას, ადამიანის ცალკეულ ფსიქიკურ თვისებათა ქცევაში თავისებურად გაშლას, რა სახისა ის პიროვნული მთლიანი, რომლის თავისებურებით აღმდეგილია ადამიანის ქცევა.

ამ პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა ვერ მოხერხდა, რაღაც თვითონ პიროვნების, როგორც მთლიანობის გაგება და კვლევა ყალბ ნიადაგზე წარმოებდა. ქარაქტეროლოგია ემყარებოდა

ისეთ ფსიქოლოგიურ კონცეფციებს, რომელთა მიხედვით პიროვნება გაიგივებულია ფსიქიკურ პროცესებთან და ამ უკანასკნელის ერთობლიობის მეტს არსებითს ახალს არ შეიცავს. აკაღ. დ. უზნაძემ ბურუუაზიულ ფსიქოლოგის ამოსავალი პრინციპის—უშუალობის პიპოთეზის ანალიზის შედეგად ნათლად გვიჩვენა, რომ მასში უგულვებელყოფილია კონკრეტული სუბიექტის ცნება. ბურუუაზიული ფსიქოლოგის თვალსაზრისით, სინამდვილესთან ურთიერთობას ამყარება არა გარკვეული, კონკრეტული მოთხოვნილების სუბიექტი, არამედ უშუალოდ ფსიქიკური ფუნქციები. თვით პიროვნება ან მეტაფიზიკურ არსად არის გამოცხადებული ან მისი რაობა სტიმულსა და რეაქციას შორის უშუალო კავშირით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში მხედველობაში არაა მიღებული ის ჭეშმარიტი დებულება, რომ ფსიქიკის განვითარების ძირითად წყაროს რეალური, აქტიური, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა წარმოადგენს, რომ ფსიქიკა თვითონ სუბიექტი კი არაა, არამედ „მისი ორგანო“ (მარქსი).

კლასიკური ბურუუაზიული ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელმა უშუალობის პიპოთეზამ თავისი დალი დაასვა იგრეთვე დღემდე არსებულ ყველა ქარაქტეროლოგიურ მოძღვრებას. ამ მოძღვრებებში სავსებით უგულებელყოფილია ცოცხალი პიროვნება, მთლიანი სუბიექტი; ხასიათში გამომულავნებული განცდები და ქცევა მისი განმსაზღვრელი ცოცხალი აქტიური პიროვნების ფუნქციები კი არაა, არამედ ასეთი პიროვნებისაგან გათიშული—აბსტრაქტული ფენომენები.

თუ გადავხედავთ ხასიათის შესახებ დღემდე არსებულ მოძღვრებებს, დავრწმუნდებით, რომ ხასიათის საფუძვლის, მთლიანი პიროვნების გაგება ყალბი იყო. ამ მოძღვრებებში ხასიათის ცნების განმარტებაც არ წარმოებდა ხასიათის არსებითი და აუცილებელი ნიშნების მიხედვით და ამის გამო ხასიათის აღზრდის პრობლემაც მართებულად წყდებოდა.

ქარაქტეროლოგიის მთელი რიგი სისტემები ემყარება ემპირიულ ფსიქოლოგიას, რომლის მიხედვით პიროვნება სულიერ ფენომენთა კონგლომერატია, პიროვნების მთლიანობა—სულიერი თვისებების ჯამია ან სინთეზი. ემპირიულ ფსიქოლოგიაზე დამყარებულ ქარაქტეროლოგთა ყველაზე ტიპიური წარმომადგენლები მთლიანი ადამიანის ხასიათის თავისებურებას ერთი ან რამდენიმე სულიერი ფენომენის სიჭარბის ასპექტში განიხილავთ; ისინი სულიერი ფენომენის თავისებურებას ისევ ამ სულიერ მოვლენასთან კავშირში მყოფ სხვა სულიერი ფენომენებით ხსნიან. მათი აზრით სულიერი ცხოვ-

რება თვითონ წარმოადგენს სინამდვილეს. სულიერი ცხოვრების გარეთ მდგომი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები არ არსებობენ. პიროვნების ერთიანობის საფუძველი თვით ფსიქიკურ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. ფსიქიკურ განცდათა ერთიანობის საფუძველს ამ განცდათა შორის ყველაზე აქტიური ფსიქიკური ფენომენი წარმოადგენს. ზოგისთვის ასეთი ფენომენი არის ნებელობა, ზოგისთვის გრძნობა ან ინტელექტი, ან საშივე ფენომენთა ურთიერთმოქმედება.

ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითად მანქს შეადგენს, მთლიან პიროვნების ელემენტებად დაშლა და ამ ელემენტების შეჯამების გზით ისევ მთლიანი ადამიანის აგების ცდა, სხეულისა და ფსიქიკის გათიშვა. იდეალისტური და მექანისტური მეთოდოლოგიის პრინციპებზე დამყარებულ ქარაქტეროლოგიას არ შეეძლო დაედგინა კონკრეტული, მთლიანი პიროვნების ხასიათის თავისებურება. ქარაქტეროლოგიას, რომლის ამოცანაა მთლიანი პიროვნების დაღით აღბეჭდილი ქცევისა და განცდების ტიპოლოგია, პირველ რიგში უნდა ჰქონდა კონკრეტული, მთლიანი, სუბიექტის ცნება. ასეთი ცნება ზემოაღნიშნულ ქარაქტეროლოგებს არ გააჩნდათ. ცხადია, გარემოსა და პიროვნებისაგან მოწყვეტილი ფსიქიკური ფენომენების თავისებურებათა ჯამის სახით გაგებული ხასიათის ცნების საფუძველზე მეცნიერულად გამართლებული ხასიათის აღზრდის სისტემის წარმოშობა შეუძლებელი იყო. ზოგი მკვლევარი მიიჩნევდა რა ხასიათის ფენომენებს უცვლელ თვისებად, მთლიანად უარყოფდა. მისი აღზრდის შესაძლებლობას. სხვა ავტორები მოითხოვდნენ ხასიათის ცალკეული ფენომენების (ნებელობის, გრძნობის, ინტელექტის) ან თვისებების აღზრდას, ამ ფენომენების ვარჯიშს, განვითარებას, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩებოდათ მთლიანი პიროვნება, რომელიც მატარებელია ამ ფენომენებისა და რომლის თვისებებითაც აღბეჭდილია ეს ფენომენები. ნაცვლად იმისა, რომ აღმზრდელობითი ზემოქმედება წარმართულიყო ხასიათის თვისებების განმსაზღვრელ საფუძველზე, მთლიან სუბიექტზე, ეს ზემოქმედება მიიმართებოდა შედეგზე, მთლიანი სუბიექტის გამოვლენაზე, ხასიათის ფენომენებზე.

ამრიგად, მთელი კლასიკური ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის მანკი ხასიათის ცნების ფსიქიკურ თვისებათა ჯამის სახით გაგებაში მდგომარეობს. ეს მექანიციზმი თავს იჩენს სხვა მიმართულებითაც.

ემპირიული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების შეხედულებაში ჯურ კიდევ გამატონებული იყო ლოკის, კონდილაკის, ჰულვეციუსის

შიერ წამოყენებული „სუფთა დაფის“ პრინციპი, რომლის მიხედვათ ყველა აღამიანი დაბალებიდან უნარის მხრივ ერთგარია, მხოლოდ აღმზრდელობითი პირობების განსხვავებულობა აყალიბებს განსხვავებულ ხასიათებს. ქარაქტეროლოგიაში ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპი თავისებურ პოზიციებიდან განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოსთვავა ჯემს მიღმა თავის „ლოგიკის სისტემაში“. მიღმა აზრით, არ არსებობს თავისთავადი უნივერსალური ხასიათი, არამედ არსებობს ხასიათის წარმოშობისათვის აუკილებელი უნივერსალური კანონები. ეს კანონები ზოგადი ხასიათისაა. ისინი მომდინარეობენ სულის ზოგადი კანონებიდან. სულის ზოგადი კანონების ცოდნის ნიადაგზე, დელუქტური მსჯელობის გზით შესაძლებელია ხასიათის წარმოქმნის კანონების დადგენა. მიღმა აზრით გარე პირობების ზეგავლენით უნდა აიხსნას „ყოველი ტიპის ხასიათის თვისებები. ამ შემთხვევაში, წინასწარი, თანდაყოლილი თვისებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი ახსნაშეუძლებელია და არცა დიდათ საინტერესო“.

ხასიათის ჩამოყალიბებისათვის გარებირობების მნიშვნელობაზე, ხაზის გასმა ქარაქტეროლოგიისათვის უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო. მაგრამ სუბიექტისა და გარემოს ურთიერთობის მექანისტური გაება უნაყოფოდ ხდიდა თავისთავად ნაყოფიერ იდეას. მიღმა და მისი მიმდევრების კონცეფციებიდან აღმოცენებულ ქარაქტეროლოგიურ სისტემებში ნათლად ჩანს, ხასიათის ჩამოყალიბებისათვის კონკრეტული მოთხოვნილების მატარებელი სუბიექტის უგულვებელ ყოფა, უნივერსალური უცვლელ გარემოს დაშვება, მექანიზმი—შინაგანისა და გარეგანის ურთიერთობის, უშუალობის პიკოთეზის, როგორც პოსტულატის დაშვების ნიადაგზე გაება, აქტიური, გარკვეული მოთხოვნილებების მქონე კონკრეტული სუბიექტის უარყოფა. ყოველივე ეს დაუსაბუთებელს ხდიდა ასეთ ქარაქტეროლოგიურ მოძღვრებაზე დამყარებული ხასიათის აღზრდის სისტემებს.

განმანათლებლობის ეპოქაში წამოყენებული ხასიათის ცნებისა და აღზრდის გაგების მთელი რიგი პროგრესული იდეები, განსაკუთრებით გარემოს ზეგავლენით ხასიათის ფორმირების იდეა, ჯერ კიდევ ემპირიული ფსიქოლოგიის წილში თანდათანობით მიერწყებულ იქნა. ჩვენს საუკუნეში ბურუუაზიულმა ფსიქოლოგიამ და ქარაქტეროლოგიამ ხასიათის ცნების გაგებაში ახალი პრინციპი წამოაყენა. ფსიქოლოგიაში შეიჭრა აზრი, რომ აღამიანს ახასიათებს ცხოვრების მიღმა მდებარე კონკრეტული შესაძლებლობა—დისპოზიცია; ამ უკანასკნელის აქტივაციის შედევია განცდებისა და ქცევის მიმდინარეობა. ამ ცნების წამოყენებამ თავისებური სახე მისცა ხასიათის შესახებ

მოძღვრებებს და თავისებურად დააყენა ხასიათის აღზრდის პრობლემაც. თანდათანობით ამ ცნების შინაარსში უცვლელი, თანდაყოლილი, გენოტიპურად განსაზღვრული თვისებების შეტანამ განაპირობა რეაქციული ქარაქტეროლოგიური სისტემის ჩამოყალიბება და ხასიათის გამოცხადება თანდაყოლილ უცვლელ ფატალურ მოვლენად. ხასიათის საფუძვლად გამოცხადებულ იქნა ცნობიერების მიღმა მდებარე, თანდაყოლილი მიღრეკილებები, ინსტიქტები, სასიცოცხლო ძალები; განმტკიცდა აზრი, რომ ინსტიქტი განსაზღვრავს ყოველი აქტივობის მიზანს; ინსტიქტი ძრავია, საყრდენია მთელი ფსიქიკური ცხოვრებისა; ფსიქიკა წარმოადგენს მხოლოდ რთულ აპარატს. ინსტიქტის მიზნის განხორციელებისათვის; ინსტიქტი აფორმებს პიროვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებას; თანმობილი ინსტიქტის გარესამყაროსთან უშუალო ურთიერთობა აყალიბებს აღამიანის გამოცდილებას, მის ხასიათს. მაგ. მაკ-დაუგოლი, რომელმაც პირველად შემოიტანა ინსტიქტის ცნება ქარაქტეროლოგიაში, ინსტიქტის შინაარსობლივი განხილვისას ყურადღებას ამახვილებს მის ოზ მხარეზე, მის შემეცნებითსა და აფექტურ მხარეზე. ინსტიქტში იგულისხმება მიზნისაკენ სწრაფვის უნარი; ეს სწრაფვა პირველ ხანებში ხასიათდება გაურკვევლობით. როდესაც ამ სწრაფვას შეხვდება სიამოვნების გამომწვევი რომელიმე კონკრეტული ობიექტი, ჩნდება ამ ობიექტის შესახებ კონკრეტული წარმოდგენა ე. ი. შემეცნების პროცესი. შემეცნების შინაარსში იჭრება ისევ ინსტიქტიდან მომდინარე ემოციური შინაარსი. ამ ორი შინაარსის (შემეცნებით და ემოციური) შეკავშირების ნიადაგზე წარმოიშობა ახალი შინაარსი. ამ ახალ შინაარსს მაკ-დაუგოლი უწოდებს სენტიმენტს. სენტიმენტი მაჩვენებელია თუ როგორ მიემართება კონკრეტულ ობიექტისაკენ პიროვნების ქცევა და რა შინაარსის შემცველია პირ როვნების ფსიქიკა. მაგ., სიყვარულის სენტიმენტი გულისხმობს, თუ როგორია აღამიანში კავშირი შემეცნებითსა და აფექტურ ტენდენციათა შორის, იგი ნათელს ხდის იმას, თუ რა საგანი უყვარს აღამიანს, ვინ უყვარს; როგორ უყვარს? აღამიანის ინსტიქტებს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს მრავალ ობიექტს და ამის გამო დროთა განშავლობაში, ობიექტურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში წარმოშვას მრავალი სენტიმენტი. აღამიანის ხასიათი წარმოადგენს სწორედ იერიარქიულად ორგანიზებულ სისტემაში მოყვანილ სენტიმენტებს. სენტიმენტი ინსტიქტის ნიადაგზე აღმოცენებული გამოცდილებაა, გარესამყაროს გამლიზიანებლებისადმი ინსტიქტური ხასიათის რეაქციაა.

რადგანაც ინსტიქტის ცნება გამორიცხავს განვითარების იდეას, ამიტომაც სრულიად შეუძლებელი ხდება ამ ცნების ნიადაგზე ხასიათის აღზრდის, ხასიათის ფორმირების ფაქტის გაგება და ხასიათის აღზრდის სისტემის შექმნა.

მართლაცდა მაკ-დაუგოლის თეორიის მიხედვით სრულიად გაუგებარი ხდება, თუ როგორ შეიძლება ინსტიქტი და მის ნიადაგზე აღმოცენებული სენტიმენტი გახდეს ხასიათის ჩამოყალიბების საფუძვლი. სენტიმენტი მიუთითებს იმაზე, თუ რას ესწრაფვის ინსტიქტი, გაგრამ თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქცევა-ეს სრულებით არ იგულისხმება ამ ცნებაში. იგი ფაქტიურად წარმოადგენს ინსტიქტებიდან მომდინარე ემოციებისა და საგნის წარმოდგენის მექანიკურ კავშირს; როგორ შეიძლება ამ მექანიკურ კავშირთა ერთობლიობამ გაგვითვალისწინოს პიროვნების ხასიათის თავისებურება, რომელიც თავის ბუნების მიხედვით შეუძლებელია წარმოადგენდეს შემთხვევითი კავშირების ნიადაგზე აღმოცენებულ ჟისტემის ჯამს. გაუგებარი ხდება, რა იწვევს მიზანშეწონილი ნებელობითი ხასიათის ქცევას, ადამიანის შეგნებულ დამოკიდებულებებს გარემოსაღმი. ამ საკითხზე დამაჯერებელი პასუხი მაკ-დაუგოლს არ გააჩნია. მის შეხედულებას, რომ თვით ინსტიქტშია მოცემული ისეთ ძალა, რომელიც წარმართავს ორგანიზმს მიზანშეწონილი ქცევისაკენ. მივყევართ ადამიანის ხასიათის თანდაყოლილ ძალების ფატალურად განსაზღვრულობის რეაქციულ იდეამდე, ხასიათის აღზრდის შესაძლებლობის უარყოფამდე, მივყევართ სრული ვიტალიზმისა და თელეოლოგიზმისაკენ, რომელთა ნიადაგზე სრულიად შეუძლებელია კონკრეტული, ისტორიული ადამიანის ხასიათის ფორმირების გაგება, ხასიათის აღზრდის შესახებ ჭეშმარიტი პედაგოგიური სისტემის აგება.

პიროვნების სიღრმეში მოქცეული სასიცოცხლო ძალების ნიადაგზე ხასიათის განსაზღვრება განსაკუთრებით მკვეთრად წამოაყენა ფსიქოანალიზმა. ამ უკანასკნელმა დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ ხასიათის და, კერძოდ, კონფლიქტური ხასიათის აღზრდის შესახებ თვალსაზრისის ჩამოყალიბებაზე.

ფსიქოანალიზის მიხედვით ფსიქიკა შეიცავს ურთიერთის მოწინააღმდეგე ცნობიერი, წინაცნობიერ და არაცნობიერ სფეროებს. არაცნობიერი შინაარსი ფაქტიურად შედგება მიღრეკილებათა კომპლექსებისაგან. მიღრეკილებები მიღიან რა კონტაქტში ფსიქიურთან, უკავშირდებიან წარმოდგენებს, გრძნობებს. ამ კავშირების ნიადაგზე წარმოიშევბა დინამიკური ერთეული — კომპლექსი. კომპლექსი არის ფსიქიკის ძირითადი „გული“. კომპლექსი წარმო-

იშობა სამოქმედოდ გამზადებული ინსტიქტის, ცნობიერების — ცენტორის შეირ შეზღუდვისა და არაცნობიერში განდევნის ნიადაგზე. რაც უფრო შეზღუდულია და განდევნილი ინსტიქტი, მით უფრო ძლიავრ კომპლექსად იქცევა იგი. ფროიდის მიხედვით ყველაზე აკრძალულ, შეზღუდულ და ცნობიერებიდან არაცნობიერში განდევნილად ითვლება სექსუალური ინსტიქტი, ამიტომაც იგი იქცევა გაუნალდებელ კომპლექსად. ფაქტიურად ეს ინსტიქტი წარმოადგენს ფსიქიური ცხოვრების ძრავს.

ფსიქოანალიზის თეორიის მიხედვით პიროვნების ხასიათი ყალიბდება ბავშვობის ხანაში. ბავშვს თავიდანვე აქვს სექსუალობის ძლიერი ტენდენცია. ბავშვის სექსუალურ დაკმაყოფილების, სიამოვნებისაკენ მიღრეკილების ტენდენციას სინამდვილე ეღობება. იგი იძულებული ხდება მოახდინოს თვითკასტრაცია. რთულდება და მწვავდება იოდიპოსის და თვითკასტრაციის კომპლექსები. ეს კომპლექსები ხასიათის ჩამოყალიბების წყაროდ იქცევა. ჩნდება ამ კომპლექსების სიმპტომები, სიმბოლოები: ჭარბა-უფლებისმოყვარეობა, ცინიზმი, უკმარობის გრძნობა, და სხვ. ეროტიზმის განვითარების გარკვეულ ფაზაში შეფერხების, სუბლიმაციის შედეგად წარმოიშვა ხასიათის სხვადასხვა ნიშნები: სირცხვილი, ზიზლი, მორალური განცდები, პედანტობა, კეთილსინდისიერება და სხვ. ხასიათის ყოველი თავისებურება პირველადი ინსტიქტების უშუალო გამოვლინებაა ან წარმოადგენს ახალ წარმოქმნას, რომელსაც ამ მიღრეკილების მიმართ რეაქციის მნიშვნელობა აქვს. ამრიგად ხასიათის საფუძვლად გამოცხადებულია არაცნობიერი და არაცნობიერში გამოვლენილი სექსუალური კომპლექსები. ხასიათის აღზრდა ფაქტიურად წარმოადგენს შეფერხებულ ინსტიქტების, სოციალურად დადებითი მიმართულებით სუბლიმაციას. ხასიათის დადებითი თვისებები წარმოადგენს სუბლიმაციაქმნილ ინსტიქტებს.

სიღრმის ფსიქოლოგიიდან აღმოცენდა ინდივიდუალური ფსიქოლოგია, რომელიც ხასიათის აღზრდის პრობლემებს ფრთიდთან შედარებით თავისებურად აყენებს. ამ თეორიის მიხედვით ბავშვის ხასიათი ძირითადში ყილიბდება სამ წლაშედე. აღამიანის სული თავიდანვე წარმოადგენს ძლიერებისაკენ, საქუთარი „მე“-ს სრულყოფისაკენ განუსაზღვრელ სწრაფვას. ამ ტენდენციასა და მისი შემაფერხებელი სოციალური გარემოს ურთიერთობის ნიადაგზე ბავშვობიდანვე ისახება უკმარობის პიპერკომპენსაციის, ნაკლის ჭარბად შეესტინების ტენდენცია. იწყება კონფლიქტი გარემოსა და ამ ტენდენციათა შორის. ამ კონფლიქტებში იწროობა ბავშვის ხასიათი.

ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, როცა განსაკუთრებით ძლია-
ერია, ეს არაცნობიერი ეგოცენტრული ტენდენცია და იმის გამო
გარემოსთან კონფლიქტიც, ყალიბდება ხასიათის ძირითადი ნიშნე-
ბი. ბავშვობის პერიოდი განსაზღვრავს ხასიათის განვითარების შემ-
დგომ ბედს. ეგოისტური ტენდენციებისა და გარემოს შორის კონ-
ფლიქტის ნიადაგზე წარმოშობილი ჰიპერკომპენსაციის თავისებუ-
რება განსაზღვრავს პიროვნების ხასიათის ტიპს. რაღაც ხასი-
ათის თვისება ყალიბდება უკმარობის კომპენსაციის პროცესში,
ჰედაგოგიურ ზემოქმედებათა სისტემის მიზანი უნდა იყოს განამტ-
კიცოს ბავშვი „მე“-ს სრულყოფისაკენ სწრაფვის ეგოისტური
ტენდენცია, აღავსოს ბავშვი საკუთარ ძლიერებისადმი რწმენით,
წახალისება ძირითადი პედაგოგიური ზომა ბავშვში იმთავითვე
ჩანერგილი უკმარობის გრძნობის კომპენსაციისათვის.

ინსტიქტებისა და არაცნობიერების ცნების ნიადაგზე აღებული
ქარაქტეროლოგია სრულიად შეუძლებელს ხდის ხასიათის აღზრდის
დასაბუთებულ ფსიქოლოგიური საფუძვლების დადგენას. მრავალ-
ჯერ იყო აღნიშნული, რომ არაცნობიერის (ცნება ლოგიკური წი-
ნააღმდეგობის შემცველია. არაცნობიერი განცდა უდრის არაცნო-
ბიერ ცნობიერს. ასეთი მსჯელობა ლოგიკურ წინააღმდეგობას შეი-
ცავს. გამოთქმა „არაცნობიერი წარმოდგენა“, „არაცნობიერი
გრძნობა“ მარჯვედ გამოსაყენებელია, მაგრამ აბსურდულია; განცდა-
თა შინაარსი არ წარმოადგენს საგნებს, რომ შეიძლებოდეს განცდე-
ბიდან მათი გამოთიშვა და სხვაგან შენახვა, შემდეგ კი შენარჩუნე-
ბული იგივეობით კვლავ განცდაში შემოტანა“. ჩვენ ვრცლად არ შევ-
ჩერდებით არაცნობიერ განვლილ განცდათა კომპლექსების განხილ-
ვაზე, რომელიც ფსიქოლოგიაში მრავალჯერ იყო მხილებული.
„განცდევნილი სურვილები“ — ამბობს აკად. დ. უზნაძე — ისეა ფრონტის
სისტემაში გაგებული, თითქოს იგი ცოცხალი არსება იყოს, რომელ-
მაც მშვენიერად ესმის თუ ვისთან აქვს ბრძოლა, წინასწარ აქვს
გათვალისწინებული, თუ რა უნდა და საგანგებოდ ირჩევს საშუა-
ლებებს თავისი მიზნის მისაღწევად. განცდევნილი სურვილების ასე-
თი პერსონიტიკაცია; მისი ინტელექტითა და ნებელობით აღჭურვილ
არსად წარმოდგენა ფანტასტიკურ სახეს აძლევს ფრონტის თეო-
რიულ კონსტრუქციას და მის მიღებას მეცნიერებისათვის სრულიად
შეუძლებელს ხდის“.¹

დებულება, თითქოს ბავშვობის ხანაში ფაქტიურად სრულდებო-
დეს ხასიათის ძირითადი თვისებების ჩამოყალიბება, რომ ბავშვ-

¹ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ. გვ. 477.

შის ხანა ფატუმია პიროვნების შემდგომი ცხოვრებისათვის, შემც-
რარია. რა თქმა უნდა, ბავშვობის ხანაში მიღრეკილებების მდგომა-
რეობას დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტის ხასიათის შემდგომი
ფორმირებისათვის, მაგრამ ხასიათის ჩამოყალიბება არამცდაარამც
არ სრულდება ბავშვობის ხანაში. ხასიათი ვითარდება და იცვლე-
ბა განვითარების ყოველ ახალ პერიოდში. ჩნდება ახალი რომე-
ლობები, ახალი თვისებები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგე-
ნენ მოსამზადებელ ფაზებს შემდგომ ახალ თვისებათა მოვლენი-
სათვის. თვით მიღრეკილებები პიროვნების განვითარების პროცეს-
ში განიცდიან მრავალ მოდიფიკაციას.

მოთხოვნილების ცნების ისტორიული განხილვაც ნათელს ხდის,
რომ შეუძლებელია ადამიანის ცხოვრების წარმყვანად ითვლებოდეს
ერთი რომელიმე იმპულსი. ყველაზე ადრე კარლ მარქსმა დაამტკი-
ცა, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ბიოლოგიურად
განსაზღვრული მოთხოვნილებები იცვლება, რომ საზოგადოებრივი
ურთიერთობის პროცესში ადამიანის მოთხოვნილებანი ვითარდე-
ბიან, და უკვე არსებული მოთხოვნილების გარდაქმნის საფუძველზე
ახალი მოთხოვნილებები წარმოიშვება. ადამიანის მოქმედების სტი-
მულს წარმოადგენს არა ერთი მოთხოვნილება-მიღრეკილება, არა-
მედ მრავალი მოთხოვნილება.

თუ ამ უდავო დებულებებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ალ-
ნიშნული ქარატეროლოგიური თეორიების მიერ ერთი ვიტალური
მოთხოვნილებისათვის პიროვნების ხასიათის ფორმირებისათვის
უნივერსალური როლის მინიჭება სრულიად დაუსაბუთებლად უნდა
ჩაითვალოს. სინამდვილეში ეს მოთხოვნილებები (ძლიერების, სექ-
სუალური და სხვ.) ერთ-ერთი მოთხოვნილებაა პიროვნების მრავალ,
მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა შორის. ამ მოთხოვნილებათა გა-
მოქულავნება და რეალიზაცია სწარმოებს არა თავისთავად, თვი-
ოთონ მოთხოვნილებიდან, არამედ ისინი განსაზღვრული არიან პი-
როვნების მთლიანი მდგომარეობით. მოთხოვნილება, როგორც სუ-
ბიექტის თვისებები მოქცეულია მთლიანში და მისი მოქმედება
განსაზღვრულია ამ მთლიანის პოზიციით. შემცდარი იქნება თუ
პიროვნების ხასიათის აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლად ვიგუ-
ლისხმებთ პიროვნების რომელიმე ცალკეულ ძალას, ცალკეულ იმ-
პულსს, ან ძალების ჯამს. ხასიათის აღზრდისათვის პედაგოგიური
ზემოქმედება უნდა ვაწარმოოთ მთლიან პიროვნებაზე, ამ მთლიან-
ში მოქცეულ იმპულსთა სისტემაზე და არა პიროვნების ცალკეულ
ნაწილებზე.

ქარატეროლოგთა მესამე წყება ხასიათის საფუძვლად თვლის
პიროვნებისათვის ყველაზე ცენტრალურს, თანდაყოლილს, ფილო-

გენეზში განმტკიცებულ ბიოლოგიურ თვისებებს. ამ თვისებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ტემპერამენტი. ტემპერამენტი წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციის ცენტრალურ ბირთვს. ტემპერამენტი, რომელიც განსაზღვრულია სისხლის ქიმიზმის თავისებურებით, აკავშირებს სხეულსა და ფსიქიკურს; იგი განსაზღვრავს ადამიანის გრძნობათა ტონუსს, მთელი ფსიქიკის აპარატის მდგომარეობას, სტიმულს აძლევს მის მოქმედებას, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ფსიქიკის აგზნებადობობის უნარზე, განწყობილებაზე, ფსიქიკის ტემპზე, ფსიქომოტორულ სფეროზე, განსაზღვრავს წარმოდგენისა და აზროვნების ტიპს, ადამიანის დამოკიდებულებებს საზოგადოებისთან, მის იდეოლოგიასაც, მიმართულებას აძლევს ტალანტს. ტემპერამენტში იგულისხმება ყველა ფსიქიკური თვისება, მთელი პიროვნების სტრუქტურა, მთელი ხასიათი, რომელიც თავისთავად გენოტიპურადა მოცემული. ტემპერამენტთა შორის განსხვავებულობა განსაზღვრავს ადამიანთა თავისებური ტიპების არსებობას.

ხასიათის ბიოლოგისტურ-კონსტიტუციური თეორია, შეიძლება ითქვას, მთლიანად უარყოფს ხასიათის აღზრდის შესაძლებლობას. ხასიათის დაყვანა უცვლელ ბიოლოგიურად განსაზღვრულ ტემპერამენტამდე, გენოტიპამდე, სრულიად შეუძლებელს ხდის ამ თეორიის ნიადაგზე, რაიმე ღირებული პედაგოგიური სისტემის გამოშუავებას; ამ თეორიის მომხრენი კიდევაც ავითარებენ აზრს, რომ ხასიათის ტიპი თანდაყოლილია, მისი შეცვლა შეუძლებელია, შეცვლა პათოლოგიურ მდგომარეობას გამოიწვევს; ადამიანის ხასიათის თვისებურება. იმ თავითვე ფატალურადა განსაზღვრული, ამიტომაც ხასიათის განვითარება, პიროვნების ფორმირება შეუძლებელია - ადამიანზე პედაგოგიურ ზემოქმედებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი; თუ შევარჩევთ პედაგოგიურ ზეგავლენათა ისეთ სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობდა დადებითი თანდაყოლილი ხასიათის თვისებების თავისუფლად გაშლას და შეაფერხებდა თანდაყოლილ ფარულფით თვისებებს:

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება უაღრესად ფატალისტური და რეაქციულია, ამიტომაც ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულება მას არ გააჩნია. სინამდვილეში ტემპერამენტი ისეთი ბიოლოგიური თვისებაა, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ემოციურ ცხოვრებას, ფსიქიკის ტემპსაც; ძირითადში, ყველა მკვლევარების თვალსაზრისით, ტემპერამენტი აფექტური ცხოვრების საფუძველია, იგი ემოციების აღვილად იგზნებადობასა და ინტენსივობას განსაზღვრავს. ტემპერამენტი იმპულსური ბუნებისაა, მისი გამოვლენა ცნო-

ბიერების გაშუალების გარეშეც ხდება. ხასიათისა და ტემპერამენტის გაიგივება ნიშნავს ნებელობითი ქცევის იმპულსურ ქვეჯამდედაყვანას, პიროვნების ცხოვრებაში, ემოციურ-აფექტურ მარატათვის პირველობის მინიჭებას. პიროვნების შეგნებული ქცევის ანალიზი ადასტურებს, რომ ადამიანს, როგორც მთლიან პიროვნებას, გააჩნია სრული შესაძლებლობა არ დაემორჩილოს ამ შინაგან იმპულსებს, შეუძლია მოახდინოს თავისი აფექტური ცხოვრების მოწესრიგება და ქცევის შეგნებულად, მიზანშეწონილად წარმართვა. პიროვნების ხასიათის საფუძვლად ტემპერამენტის გამოცხადება, სრულიად გაუგებარს ხდის ადამიანის შეგნებული სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. უკუელია, რომ ტემპერამენტი და ხასიათი მჭიდრო კავშირშია ურთიერთობა. ტემპერამენტი უჩვენებს პიროვნების ერთ ერთ მნიშვნელოვან მხარეს, მიუთითებს ემოციურ აფექტურ ცხოვრების ფორმალურ თვისებებს, მაგრამ პიროვნების ხასიათის ტემპერამენტამდე მთლიანად დაყვანა დაუსაბუთებელია. პიროვნების ხასიათისა და ტემპერამენტის საფუძველია, არა ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები ცალ-ცალკე, არამედ მათი დიალექტიკური ურთიერთობა. პიროვნების არც ერთი დისპოზიცია (ინსტიქტი, მიღრეკილება, ტემპერამენტი) არ წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც ფატალურად განსაზღვრავდეს პიროვნების განვითარების მომავალ ბედს. პიროვნება მოღვაწეობის და გარემოს ზეგავლენათა პროცესში იცვლება, პიროვნებაში მოცემული ძალები, დისპოზიციები, პიროვნების მოღვაწეობის პროცესში არა თუ იღვიძებენ, არამედ იცვლებიან, ახალი თვისებებით მდიდრდებიან. კერძოდ სოციალური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მიღრეკილება, ინსტიქტი, ტემპერამენტი და სხვა მხრალოდ განვითარების პირობაა და არა ძრავი. წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება იმ სოციალურ მამართებებს, სოციალურ დამოკიდებულებებს, რომელთა კონკრეტური მატარებელიც თვითონ ადამიანია — მთლიანი ადამიანი, რომელიც წარმოადგენს „სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობას“ (მარქსი).

ბურჟუაზიულ ქარაქტეროლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ისეთ სისტემებს, რომლებიც ხასიათის არსის გაგებაში პერსონალისტურ-ტელეოლოგისტურ პრინციპზე დგანან. ამ შეხედულების მიხედვით მთლიანი პიროვნების არსი მდგომარეობს პიროვნების წამყვან მიზანთა განხორციელებისაკენ სწრაფვაში. პიროვნების ძრავს, მისი აქტივობის წყაროს წარმოადგენს მიზნის საკენ სწრაფვა. აქტივობის მიზეზი მიზანია. მიზანსწრაფვა, რომელიც შეიძლება იყოს არაცნობიერი დისპოზიციის, სახითაც მოცე-

ზული, პიროვნების სტრუქტურის ძირითადი და არსებითი მხარეები. შიზნის შინაარსი განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულების თავისებურებას საკუთარ თავთან სხვა ადამიანებთან, საერთოდ ობიექტურ სამყაროსთან. მიზანსწრაფების თავისებურებაში, მისი აქტიური ქცევისა და განცდების სახით გაშლაში ვლინდება პიროვნების ხასიათის ზუსტება. ამ შეხედულების მთავარი წარმომადგენლების მიხედვით სუბიექტური სული გონითი აქტივობის საშუალებით ქნის კულტურის საგნებს, ობიექტურ გარემოს, ანუ გონით ლირებულებებს. თითოეულ ინდივიდუალურ სულში ჩანერგილია მიღრეკილება სრულიად გარკვეული კულტურის საგნებისადმი; პიროვნების არსი მულავნდება იმის მიხედვით, თუ რომელ ობიექტურ ზედროულ ლირებულებისადმი აქვს მას მისწრაფება. მაგალითად, ადამიანის ხასიათის ტიპის დადგენა უნდა წარმოებდეს მიზნის დისპოზიციიდან მომდინარე გონითი ლირებულებისადმი მისწრაფების თავისებურების გაგების ნიადაგზე. ლირებულებისადმი დასრულებული მისწრაფებები, მხოლოდ ზრდადამთავრებული ადამიანებისაოვისაა და მახასიათებელი. ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ ეს მისწრაფებები ჩამოყალიბებული. ბავშვებს მხოლოდ გააჩნია ობიექტურ ლირებულებებისადმი სწრაფვის გაუშლელი დისპოზიცია. პიროვნების განვითარება მდკომარეობს სწორედ გონითი აქტივობით შექმნილი კულტურის საგნებისადმი შეზრდაში. ბავშვი ვითარდება როგორც გონითი ლირებულების განმცდელი და ამ ლირებულების შექმნელი არსება. აღზრდის მთან შეადგენს გაიგოს ბავშვის საერთო განწყობილება, ფარული მისწრაფებანი, მისი გონითი სტრუქტურა და ამათ ნიადაგზე ხელი შეუწყოს მის ობიექტურ კულტურასთან შეზრდას და დისპოზიციის სახით მოცემული გარკვეული ადამიანის ტიპის ჩამოყალიბებას (თეორიული, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, ესთეტიკური, ძალაუფლების ადამიანის ტიპი). ამ თეორიის მიხედვით პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს ადამიანში ჩანერგილი სულიერი ძალებიდან მომდინარე მიზნები. განვითარება ფსიქიკური სტრუქტურის ჯაჭვია. ჯაჭვის რეალები ურთიერთობან დაკავშირებულია არა მიზეზობრივად, არამედ თელეოლოგიურად. კერძოდ, ვ. შტერნის აზრით პიროვნებაში ჩანერგილი მიზნების განხორციელებაში ჩართულია არა მხოლოდ ფსიქიკური, არამედ ფსიქოფიზიკურად მთლიანი პერსონა, რომელიც წარმოადგენს ყველა ფსიქოფიზიკურ აქტივობისა და პროცესების ტელეოლოგისტურ მთლიანობას. პერსონაში ჩანერგილი დისპოზიციებიდან ხასიათის ჩამოყალიბებისათვის ძირითადია მიზნის დისპოზიცია. ხასიათის განვი-

თარება ხდება მიზნის დასპოზიციისა და შესატყვისი გარემოს კონკრეტული ნიაღავგზე. ხდიათის აღზრდის მიზანია ჩანარებილი, დისპოზიციებად მოცემული მიზნების გაშლისათვის შესატყვისი პრობების შექმნა.

ტელეოლოგისტურ-პერსონალისტური თვალსაზრისი, სრულებით კურ ხდის გასაგებს ბავშვის ხასიათის ცვლილებისა და ფორმირების ფაქტს. ეს თვალსაზრისი უგულებელყოფს ფაქტს, რომ პიროვნების აქტიური მიზნის თავისებურება მთლიანად განსაზღვრულია იმ ისტორიული ეპოქის საწარმოო ძალთა ურთიერთობით, რომელშიც ცხოვრობს პიროვნება. ადამიანის მისწრაფებანი ჩნდებიან, ვრთარდებიან, ისპობიან და ადგილს უთმობენ ახალ მისწრაფებებს, იცვლებიან ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციების შესატყვისად. არ არსებობს არავითარი ზედროული ლირებულება, ყოველი კულტურული მოვლენის არსებობა განსაზღვრულია ამ კულტურის კლასობრივი საზოგადოების ბუნებით. ამის გამო არამეცნიერულად უნდა ჩაითვალოს დებულება, რომ თითქოს ხასიათის აღზრდის მიზანია ბავშვის ზედროული ლირებულებისადმი შეზრდა. ადამიანის ხასიათის ტიპების თავისებურებაც საზოგადოებრივ ურთიერთობის თავისებურებითაა განსაზღვრული. შპრანგერის მიერ აღწერილი ტიპებისათვის დამახასიათებელია სოციალურისა და პირადულის ურთიერთისაგან გათიშვა, ინდივიდუალიზმი. ასეთ თვისებას მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. სოციალიზმის ქვეყანაში ადამიანის ტიპიური ნიშანია პირადულისა და საზოგადოებრივის ურთიერთობან შეშყობა, ჰარმონიული მთლიანობა.

კეთი ხასიათის მატარებელია. „მიზნის დისპოზიციისა და სი-
ნამდვილის ურთიერთობა ფაქტიურად მკვეთრად ხაზს უსვამს აწ-
ორ მოვლენათა არაერთიანობას, არაშედ დამოუკიდებელ რეალო-
ბად გამოცხადებას, ფაქტიურად ეს კონვერგენცია დუალისტურია“
(დ. უზნაძე).

ამ შეხედულების მიხედვით მიზანი თავიდანვე განსაზღვრავს პი-
როვნების ქცევას, მიზანში მოცემულია პიროვნების აქტივობის-
თავისებურების მიზეზი. ასეთი შეხედულება უაღრესად ტელეოლო-
გისტურია. აქ, უგულებელყოფილია ის კეშმარიტი მეცნიერულ-
დებულება, რომ მიზეზობრივი განვითარების პროცესში, სიცო-
ცხლის ფორმაში ისახება მიზნობრივი მოქმედების ტენდენციები,
რომ ყოველი მიზანი, ორგანიზმის რომელიმე სპეციფიკური თავი-
სებურებიდან, კერძოდ მოთხოვნილებიდან შეიძლება მომდინა-
რეობდეს. ტელეოლოგისტურ კონცეფციის: ნიაღაგზე დადგენილ
ხასიათის ტიპები სინამდვილეში აბსტრაქტულ სქემებს წარმოად-
გენენ, რომელიც ვერ ასახავენ აქტიური, სოციალური პიროვნე-
ბის ჩამოყალიბების პროცესს.

ბურუუაზიულ ქარაქტეროლოგიაში არის სხვა სისტემებიც, მაგ-
რამ აქ განხილულიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამ-
დენად უმწეოა ბურუუაზიული ქარაქტეროლოგია გადასჭრას ხასი-
ათის აღზრდის პრობლემა.

II

როგორც ვნახეთ პიროვნების რაგვარობის დასახასიათებლად წამო-
ჭენებული იყო, „წარმოდგენის“, „ნებელობის ენერგიის“, „სენტიმენ-
ტის“, „ინსტიქტის“, „მიდრეკილების“, „ტემპერამენტის“ „მეტაფი-
ზიკური პერსონის“, და სხვა ანალოგიური ცნებები. ყველა მკვლევარი-
სათვის პიროვნება გაიგივებულია ფსიქიკურ პროცესებთან, პიროვ-
ნების არსი ემთხვევა სილრმეში მდებარე ინსტიქტებს, მიდრე-
კილებებს. წარმოდგენები, პიროვნების სილრმის იმპულსები აღ-
ჭურვილი არიან მისტიკური ძალით. ამ სისტემებში მთლიანობის-
ცნება გაულენთილია მექანისტური, ბიოლოგისტური და იდეა-
ლისტური სულისკვეთებით. კონკრეტული ისტორიული სუბიექტი
მთლიანად გამორიცხულია ამ სისტემებიდან. ხასიათის თავისებუ-
რების მატარებელი და განმსაზღვრელი მთლიანი პიროვნება, კი-
არაა, არამედ პიროვნების ერთ-ერთი იმპულსი ან იმპულსთა კომ-
პლექსი. პიროვნების ხასიათი დაყვანილია ამ იმპულსებიდან უშუა-
ლოდ აღმოცენებული ფსიქიკური ფუნქციების ერთობლიობამდე-
ხასიათის აღზრდაც ამ ქარაქტეროლოგების გაგებით მდგომარეობს.

ჭიროვნების სიღრმეში მოქცეულ დისპოზიციებზე რაციონალურ უძმოქმედებაში; რადგანაც ეს დისპოზიციები (ინსტიქტი, მიღრეკილება და სხვ.) არ ხასიათდება განვითარების თვისებით, გამორიცხავს განვითარების ნიშანს, რადგანაც ხასიათი ძირითადში. ფატალურად განსაზღვრული თანდაყოლილი თვისებაა, ამიტომაც ხასიათის აღზრდის შესაძლებლობა იმთავითვე პრინციპულად უარ-ყოფილია.

ხასიათის აღზრდის მეცნიერული საფუძვლების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. საბჭოთა ფსიქოლოგიის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს, ის, რომ ხასიათი ვითარდება და ყალიბდება ობიექტური საზოგადოებრივი პირობების მიხედვით, პიროვნების მოქმედების, მოღვაწეობის შედეგად. ამიტომაც ხასიათის ფორმირებისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია მოთხოვნილების საფუძველზე მიმღინარე აღამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკის, მოღვაწეობის ცნება; ამავე დროს ხასიათი მთლიანი პიროვნების თავისებურებების გამოვლენაა, ამიტომაც მთლიანი პიროვნების ცნების გარეშე შეუძლებელია ხასიათის შესწავლისა და აღზრდის სწორ ნიადაგზე დაყენება. კოველივე ამას მივყავართ ისეთი ცნების დადგენის აუცილებლობამდე, რომელიც გააერთიანებს როგორც სუბიექტს, ისე ქცევასაც. რადგანაც ხასიათის ცნების სწორი გავება უთუოდ გულისხმობს კონკრეტული პიროვნების თავისებურების ქცევისა და განცდებში გამოვლენას, პირველ რიგში უნდა მოიძებოს სწორედ ეს კონკრეტული, მთლიანი სუბიექტი, დადგინდეს ამ სუბიექტის კანონზომიერება. პიროვნების ხასიათის აღზრდის სისტემა უნდა დაემყაროს ამ მთლიანი, კონკრეტული, გარკვეული კანონზომიერების მქონე სუბიექტის ცნებას, უნდა დაემყაროს ისეთ ცნებას, რომელშიც დაძლეული იქნება, როგორც უშუალობის პიპოთეზი, ისე ამ მთლიანობის იდეალისტური, ვიტალისტური, ტელეოლოგისტური და მექანისტური გავება.

განწყობის ფსიქოლოგია ადასტურებს, რომ ფსიქიკურ აქტებს და მოვლენებს წინ უსწრებს ამ აქტების მატარებელი სუბიექტი, როგორც მთელი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ რომელობას და შეიცავს სპეციფიკურ კანონზომიერებას. როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას. ფსიქოლოგიის ამოცანა მდგომარეობს ამ პირველადი მთლიანობის კანონზომიერების შესწავლაში. რადგანაც პიროვნება წარმოადგენს ვარესინამდვილის პროდუქტს, აქტიური სუბიექტს, როგორც

მთლიანობის გააზრება, შეუძლებელია, მისი გარესანამდვილესთან ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე; ამიტომ განწყობის ფსია ქოლოგია იკვლევს საკითხს, თუ რა პირობებია საჭირო ამისათვის, რომ სუბიექტს, სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ეს მთლიანობითი ხასიათის ცვლილება ტრმოუცენდეს.

კარლ მარქსი ავითარებს აზრს, რომ ისტორიის შექმნისათვის ადამიანებს უწინარეს ყოვლისა, სიცოცხლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ სიცოცხლისათვის პირველ რიგში სასმელ-საჭმელია საჭირო, ზრა, ტანსაცმელი და სხვა. მაშასადამე, პირველი ისტორიული საქმეა ამ მოთხოვნილებების დაკავშიროფილებელ საშუალებათა წარმოება.

საერთოდ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, აგრეთვე ადამიანიურ გარკვეული მოთხოვნილების მატარებელია. ამ მოთხოვნილების იმპულსების ნიადაგზე ამყარებს იგი კავშირს გარესამყაროსთან. მოთხოვნილების დაკავშიროფილებისათვის მიმართავს იგი გარკვეულ ქცევას, მაგრამ ქცევა რომ აღმოცენდეს და გაიშალოს უნდა არსებობდეს თვით ის სინამდვილე, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკავშიროფილების პრობას, სიტუაციას წარმოადგენს. ამგვარად მოთხოვნილება ზა მოთხოვნილების დაკავშიროფილების სიტუაცია (სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი) აუცილებელია სუბიექტში პირველადი მთლიანობითი ხასიათის ცვლილებების წარმოშობისათვის.

განწყობა სუბიექტის პირველადი მთლიანობითი ხასიათის მოზიფიკაციაა, რომელიც მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკავშიროფილების სიტუაციის ერთიანობის წიადაგზე აღმოცენდება; ამრიგად აღმოცენებული განწყობა განსაზღვრავს სუბიექტის ქცევისა ზა განცდების მიმდინარეობას. განწყობისეული მდგომარეობა დინამიკური სახის მოვლენაა; რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა ჰპოვოს.

სხვა ცოცხალ ორგანიზმთან შედარებით ადამიანის სპეციფურო ჭავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ მას ბიოლოგიური მოთხოვნილების გვერდით მაღალი სოციალური მოთხოვნილებებიც გააჩნია. ცხოველი ძირითადში ემორჩილება აქტუალურ სიტუაციის ზეგავლენას, ადამიანს კი განსაკუთრებულად განვითარებული ცნობიერება გააჩნია, რეზ აქტუალური სიტუაციის ნიდაგზე. აღმოცენებულ განწყობის სმიცულს არ წმორჩილება: ადამიანი წინასწარ განვითარებას თავის მოქმედებას და ამა თუ იმ ქცევას თუ აქტს უშის მიხედვით წამოიშეებს. ცხოველს განწყობას აქტუა-

ლური ბიოლოგიური მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციის ერთიანობა ქმნის; ადამიანის განწყობას კი —ძირითადად სოციალური მოთხოვნილებებისა და გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაციის ერთიანობა.

როგორც განწყობის ცნების დახასიათებიდან ჩანს იგი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ კონკრეტული, რეალური სუბიექტი, რომელიც გარკვეული მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაციის ზევავლენით სათანადოდ შეცვლილია, გავითვალისწინოთ ის პირველი მთლიანობითი ხასიათის ცვლილება, რომელიც ქცევისა და განცხების წამმართველია. სრულიად უდავოა, რომ ქცევა იმ თავისებურების დალით იქცება აღბეჭდილი, როგორიცაც ეს პირველი ცვლილება-განწყობა. ამისათვის ნაორელი უნდა იყოს. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პიროვნების ხასიათის თავისებურების გაებასა და განსაკუთრებით ხასიათის აღზრდის მეცნიერულად გამართებული სისტემის დადგენისათვის განწყობის ცნებას. ქარაქტეროლოგიაში ყოველთვის წინა პლანზე იდგა მთლიანი ადამიანის პრობლემა, მაგრამ ეს მთლიანი გაებული იყო, როგორც ფსიქიკურ ფუნქციათა ჯამი, ან ინსტიქტების, მიღრეკილებების, მეტაფიზიკური პერსონის ნიადაგზე აღმოცენებული ფსიქიკური. განწყობის ცნება გვათავისუფლებს ყველა იმ მექანისტური, ვიტალისტური და ტელეოლოგისტური გაებისაგან და ხასიათის აღზრდის საკნად აქცევს არა ინსტიქტს, მიღრეკილებებს, დისპოზიციებს, ცალკეულ ფუნქციებს და თვისებებს, არამედ კონკრეტულ რეალურ სუბიექტს, რომელიც სრულიად გარკვეული მოთხოვნილების მატარებელია, რომელიც ამ მოთხოვნილების განხორციელებისათვის გარე სიტუაციასთან ურთიერთობისას განიცდის მთლიანობითი ხასიათის ცვლილებას. ეს ცვლილება მას მოუწოდებს სრულიად განსაზღვრული ქცევისაკენ. განწყობა, რომელიც მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების შესატყვისი ობიექტური სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე ჩნდება, თავის რეალიზაციის პროცესში ხშირად სათანადო პირობების უქონლობის გამო ფერხდება და კონკრეტული ქცევის გამოვლენის ნაცვლად ფსიქიკური, კერძოდ წარმოსახული რეალიზაციის სახით კმაყოფილდება; არადგანაც განწყობის ნამდვილი რეალიზაცია მხოლოდ ქცევაში შეიძლება მოხდეს, ამიტომაც ქცევაში გაუნალდებელი ყველა განწყობა ე. ი. მხოლოდ ცნობიერებაში რეალიზებული ყველა განწყობა ფაქტურად არარეალიზებულ გაუნალდებელ განწყობათ ჩაითვლება. ხშირად ადამიანის მოთხოვნილებათა სირთულისა და სიმრავლის გამო, ზოგიერთი

განწყობა თავის ფსიქიურ ჩეალიზაციას მოკლებული შეიძლება, იყოს. საკითხი ისმის: რა ემართება არარეალიზებულ განწყობებს?; გამოირკვა, რომ ერთხელ აღმოცენებული განწყობა უკვალოდ არ იქარვება, იგი სუბიექტში რჩება, ფიქსირდება სათანადო პირობების განმეორების შეზრდვაში, როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობა; დადასტურდა ის გარემოება, რომ „განწყობა, რომელიც გარკვეულ სიტუაციაში ჩნდება, მის შემდეგაც, როცა იგი შეასრულებს თავის როლს, მიმართულებას მისკემს გარკვეულ ქცევას, ამ ქცევის დასრულების შემდეგაც მთლიანად არ ჰქონება. როდესაც სუბიექტი კვლავ იმავე სიტუაციაში ჩადგება, მას გაცალებით ადვილად უჩნდება იგივე განწყობა, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი სრულიად ახალ სიტუაციის პიროვნებში იძყოფება და სრულიად ახალი განწყობა უნდა შეექმნას“¹. დადასტურდა ის გარემოებაც, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების განწყობა, რაც უფრო დიდი პიროვნული წონის მქონეა იგი, მით უფრო მტკიცედაა ასეთი განწყობა პიროვნებაში ფიქსირებული. განწყობის სიმტკიცეს განსაზღვრავს აგრეთვე განმეორება; რაც უფრო ხშირად ვიწვევთ ერთსა და იმავე განწყობას, უფრო მტკიცე აქტუალიზაციის მზაობა ახასიათებს მას. ამრიგად, ერთხელ წარმოშობილი განწყობა შეიძლება ფიქსირდებოდეს პიროვნებაში; ეს განწყობა დიდი პიროვნული წონისა და ხშირი განმეორების გამო იძენდეს ადვილ აგზებადობის უნარს, იგი ინახებოდეს სუბიექტში; როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობა. იგი ხშირად იმდენად აგზებადი შეიძლება გახდეს, რომ „არაშესატყვისი გამლიზიანებლის ზემოქმედების შემთხვევაშიც, ადვილად აქტუალდებოდეს. ამით აღექვატური განწყობის გამოვლენის შესაძლებლობას ართმევდეს. ასეთ განწყობას შეიძლება ფიქსირებული განწყობა კუჭოდოთ“ (დ. უზნაძე).

ადამიანს ცხოვრების მანძილზე უამრავი ფიქსირებული განწყობა აქვს შექნილი, მაგრამ მათ შორის არის ისეთებიც, რომელთაც პიროვნებისათვის განსაკუთრებული წონა, ღირებულება აქვთ: დიდი პიროვნული წონის განწყობათა თავისებურება ფაქტიურად ადამიანის ქცევასა და განცდების მიმღინარების საფუძველს წარმოადგენს. დიდი პიროვნული წონის განწყობა, ყველაზე აქტუალური მოთხოვნილებისა და გარკვეული სოციალურ გარემოთი განსაზღვრული სიტუაციის ერთიანობის ნიაღაგზეა წარმოქმნილი. დიდი პიროვნული წონის განწყობანი რჩებიან პიროვნებაში, როგორც „დისპოზიციები“, როგორც ხელახალი აქტუალიზაციის მზაობანი;

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ. გვ. 79.

ასეთი „დისპოზიციური“ განწყობანი თავისთავში გულისხმობენ იმათ აქტიურ მოთხოვნილებებს, რომელნიც შექმნილია პიროვნების ცხოვრების მანძილზე და იმ ობიექტურ პირობებსაც, რომელთა ზემოქმედებით ჩამოყალიბდა ეს განწყობა, რომლის ასახვასაც იგი წარმოადგენს და რომლის თავისებურებითაცაა აღმოჩენილი. ასეთი განწყობა გულისხმობს იმ ობიექტურ პირობებსაც, სადაც უფრო ადვილად უნდა მოხდეს მისი აქტუალიზაცია, გარკვეული ქცევისა და განცდების სახით მისი გაშლა.

დიდი პიროვნული წონის განწყობანი, რომელნიც „დისპოზიციური“ განწყობის სახით არიან პიროვნებაში მოცემული, და რომელთა ძირითადი თვისებაა პიროვნების გარემოსთან ურთიერთობისას, ადვილი აგზებადობის, აღმოცენების სიადვილე, განსაზღვრავს მთლიანი პიროვნების რაგვარობის, მისი, როგორც მთლიანი პიროვნების თავისებურებას. პიროვნების თავისებურების დახასიათებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა სახის ფიქსირებული განწყობანი გააჩნია მას. საინტერესოა ვიცოდეთ თუ რა იზიდავს პიროვნებას ყველაზე უფრო, გარე სამყაროს რა შინაარსისადმი, რა ღირებულებებისადმი არის იგი უფრო განწყობილი და როგორი განცდის სახით მერავნდება იგი თავის რეალიზაციის პროცესში. განწყობის ასეთი შინაარსეული თავისებურების გარდა მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხორციელდება ეს განწყობა, როგორია დიდი პიროვნული წონის განწყობათა მიმღინარეობის ფორმალური მხარე, როგორი ფორმის განწყობის სახით მერავნდება იგი. რადგანაც ფორმა ყოველთვის შინაარსის განხოგადებული გამოსახულებაა, ამისთვის განწყობის ფორმის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების ხასიათის თავისებურების და დგენისათვის.

როგორც აღვნიშნეთ ცხოვრების მანძილზე გარემოს ზეგავლენით, ფიქსირებული განწყობა სრულიად გარკვეული ქცევის მიმართ პიროვნებაში განმტკიცებული მზაობაა. მაგალითად ბავშვის განწყობათა თავისებურება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აღმზრდელობით გარემოში უხდებოდა მას ცხოვრება, როგორი საზის მოთხოვნილების აქტივაციას აწარმოებს ბავშვში ეს გარემო, მაღალ მორალურს, საზოგადოებრივს, ალტრუისტულს თუ ამორალურს. თუ ცხოვრების პრაქტიკაში ასეთ განწყობებს, მაგრამ რაღაც ალტრუისტულ განწყობებს ხშირად უხდებოდათ გამომელავნება, მათი ხშირი გამომელავნების გამო ისინი ბავშვში იქცევიან მტკიცელ ფიქსირებულ განწყობებად; ისეთ მზაობებად, რომელნიც მორალურ ქცევისათვის საჭირო აქტუალური

სიტუაციის შემთხვევაში მაშინვე აღვილად აქტუალდებიან და სა-
თანადო მორალული განწყობის წარმოქმნას აღვილებენ. ეს ფიქ-
სორებული განწყობანი იქცევიან პიროვნების შეღარებით მყარ პი-
როვნულ თვისებებად. აქედან ნათლად ჩანს თუ რას უნდა მიექცეს
განსაკუთრებული ყურადღება პიროვნების ხასიათისეულ თვისებე-
ბის აღზრდისათვის.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია ბავშვის მაღალ მორალურ მოთ-
ხოვნილებათა აქტივაცია, ისე რომ მას ყოველთვის გარკვეული მი-
ზიდულობა ჰქონდეს მორალური სიტუაციისაკენ; საჭიროა ბავშვის
ისეთ კონკრეტულ სიტუაციაში მოქცევა, რომ მასში მოხდეს ამ მა-
ღალ მიზიდულობათა და შესატყვის მორალული სიტუაციის
ერთიანობის ნიადაგზე გარკვეული განწყობის შექმნა; ასეთი
განწყობები, რაც უფრო ხშირად გაიშლებიან მოქმედებაში, მით
უფრო მტკიცე თვისებად იქცევიან ისინი და ყოველ საჭირო შემ-
თხვევაში მორალური ქცევის განწყობის აღმოცენება უზრუნველ-
ყოფილი იქნება.

რომელი ფსიქიური მოვლენების სახით იჩენს თავს ხასიათი-
სათვის სპეციფიკური ქცევა? რომელ ფსიქიურ ფუნქციას უნდა
მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ხასიათის აღზრდის პრო-
ცესში?

დღიდი პიროვნული წონის განწყობის სრული რეალიზაცია ყოველ-
თვის ქცევის სახით ხდება; ამისათვის განწყობის თავისებურე-
ბის გამომულავნება უმთავრესად ისეთი ფსიქიური პროცესების სა-
ხით წარმოებს, რომელიც ქცევის, მოქმედების სახით მულავნდე-
ბიან; ადამიანისათვის ასეთი პროცესები ძირითადში ნებელობა
და ემოციური სფეროა. პიროვნების მოთხოვნილებათა განხორცი-
ელება და განწყობათა შეგნებული რეალიზაცია ნებელობის გზით
წარმოებს. ფსიქიური ფუნქციები წარმოადგუნდნ არა აბ-
სტრაქტულ, მყარ მექანიზმებს, არამედ განსაზღვრული არაანსინამ-
დგილის მოვლენებისადმი პიროვნების დამოკიდებულებით. განწყო-
ბის ცნებაში სწორედ პიროვნების ისეთი მზაობა იგულისხმება;
რომელიც პიროვნების ცხოვრების მანძილზე გარესინამდვილისადა
მოთხოვნილების სრულიად გარკვეული დამოკიდებულების ნიადა-
გზეა შექმნილი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქცევისა და ფსი-
ქიური ფუნქციების მიმდინარეობა განწყობის თავისებურების და-
ლით არის აღმოჩენილი. მაგალითად, ნებელობის პროცესი, რომე-
ლიც ფიქსირებულ, მაღალი მიზნებისათვის ბრძოლის მზაობას ახორ-
ციულებს, განსხვავებული იქნება ისეთი ნებელობის პროცესია-

გან, რაც შგოცენტრული მშაობების გაზალდების პროცესში მექანიზმების მისათვის ხასიათის ძირითადი ფენომენებიც, კურძოდ ნებელობა უნდა განიხილებოდეს არა აბსტრაქტულად, პიროვნებისა, გან ზოწყვეტილად, ურაშედ როგორც პიროვნების განწყობის ფუნქცია.

ნებელობა უმთავრესად აღამიანის მოქმედებაში, ქცევაში მექანიზმების ნებელობა პიროვნების იარაღია თავისი ინტიმური მიზნების შესრულებისათვის. ამის გამო პიროვნების მოთხოვნილება და განწყობის რაგვარობა ნებისმიერ ქცევაში ნათლად მექანიზმება, უყოველი ნებელობის აქტი არსებითს კავშირში იმყოფება პიროვნებასთან, ჯერ ერთი, იგი რაიმე ცალკეულ ფსიქიკურ შინაარსს, კი არა, პიროვნების განწყობას წარმოადგენს და შემდეგ იგი მთლიანად მოტივს ემყარება, ხოლო ეს უკანასკნელი პიროვნების მოთხოვნილებათა სისტემიდან მომდინარეობს, პიროვნება კი თავის სებურ სტრუქტურულ მთლიანს ნიშნავს, მაშასაღამე ნებელობის აკურური აქტები და პროცესები, როგორც მთლიანი პიროვნების არსებითს მოთხოვნილებათა და განწყობათა გამოვლენა პიროვნების თავისებურების დაღით უნდა იყოს აღმდეჭილი. სხვანაირად, თითოეულის განსხვავებული პიროვნების შემთხვევაში, ნებელობის მეტად თუ ზაკლებად განსხვავებული მიმდინარეობაა მოსალოდნელი. მაშასაღამე, ნებელობის აქტუალურ პროცესებს წინ უსწრებს პიროვნების მიღრეკილება გარკვეულის, სხვებისაგან განსხვავებული სახის ნებისმიერი მოქმედების მიმართ¹.

აშრიგად, ზრდევვა, რომ პიროვნების ჭასითის სტრუქტურაში ნებელობას გადამწყვეტი ადგილი უჭირავს. მისი ფესვები დიდი პიროვნული წონის განწყობაში და მოთხოვნილებებშია; მისი აქტივობის ხარისხიც პიროვნების განწყობების, მიზნების, ინტერესების რომელობას, და ინტენსივობაზეა დამოკიდებული. რაღაც ნებელობა პიროვნების ძირითად იმპულსებში ჩართული ფუნქციაა; იგი ამ იმპულსების განმახორციელებელი აუქნტიკა, ამიტომ ცხადია, ზასიათის ძირითადი ფენომენის, ნებელობის აღზრდა — უნდა წარიმართოს არა თვით ამ ფუნქციის ვარჯიშის, წროვნის ნიაღაზე, არამედ მასი განმსაზღვრელი მთლიანი პიროვნების მოთხოვნილებათა, განწყობათა აღზრდასთან კავშირში. თუ ბავშვებში განვამტკიცებთ კომუნიზმის იდეასათვის, სამშობლოსათვის, ინტელექტუალური, ესთეტიკური და საერთოდ მაღალ მორალურ ღირებულებისადმი სამსახურის შზაობებს და ამისთან განვუმტკიცებთ მათ

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1910 წ., გვ. 192.

სუბიექტივისტური, ინდივიდუალისტური, ეგოცენტრული. ქცევა-საღმი სიძულვილს, მაშინ ბავშვის ნებელობითი გაღაწყვეტილება, ყოველ სიტუაციაში, ყოველ არჩევანის შემთხვევაში დაემყარება. მაღალ მორალურ მზაობებს და ნებელობითი ქცევაც მორა-ლური იქნება.

მიზნებისათვის ბრძოლის პროცესში წარმატებასა და წარუმატებლობას თან ახლავს ემოციური განცდები. აღამიანის ინდივიდუალური თავისებურებანი განსაკუთრებული სიმკვეთრით ემოციურ სფეროში იჩენენ თავს. ემოციური განცდის თავისებურებით აღბეჭდილია პიროვნების ხასიათის, ინტელექტის ინტერესების სფეროები. ნებელობითი საქციელიც სრულიად განსხვავებული შეიძლება: იყოს იმისდამიხედვით, როგორი განცდის ფონზე მიმდინარეობს იგი, ლრმა, ინტენსიური ემოციებისა, თუ ზერელე, აფექტური ემოციების ფონზე.

პიროვნების ხასიათი იმაშიც მულავნდება, თუ როგორია მისი სუბიექტური მდგომარეობა მიზნისათვის ბრძოლის პროცესში, როგორ აფასებს იგი საკუთარ სუბიექტურ მდგომარეობას, როგორია მისი ემოციური დამოკიდებულება სხვა აღამიანებთან, გარე სამყაროსთან, იმ ლირებულებასთან, რისთვისაც იბრძეს პიროვნება. საინტერესოა ის მოტივირებული გრძნობები, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან მოვლენის აზრთან, იმპულსურ და ნებელობით ქცევასთან, რომელშიც ასახულია აღამიანის დამოკიდებულება მოვლენებთან.

ცნობილია, რომ ბავშვის ქცევა ჯერ კიდევ უმთავრესად იმპულსური ხასიათისაა: იმპულსური ქცევა ძირითადში ემოციური განცდის სახით მულავნდება. ძირითადი განცდა, რომელიც თან ახლავს იმპულსურ ქცევას, ეს ემოციური განცდაა: იმპულსური ქცევის დახასიათებისათვეს მნიშვნელოვანია — ეს ქცევა ვიტალური ხასიათისაა თუ მაღალი მორალური ემოციების ფონზე იშლება. თუ ჭავშვში ხელსაყრელი გარემოს ზეგავლენით ჭარბად ფიქსირებულია მორალური საქციელისადმი განწყობა, ზოგადისათვის პირადულის შეწირვის მზაობა, მაშინ ბავშვის ცნობიერებით გაშუალებების გარეშე მიმდინარე იმპულსური ქცევაც კი მორალური ხასიათის იქნება.

ამრიგად, ხასიათის ემოციური მხარე პიროვნების მთლიანობის ერთი ასპექტია, მის მოთხოვნილებათა, მიზანთა, განწყობათა განხორციელებისას წარმატების თუ წარუმატებლობის შედეგად წარმოშობილი განცდაა; მასში ასახულია პიროვნების მოთხოვნილებათა, დიდი პიროვნული ჭრის მზაობების განალდების პროცესი. ხასი-

ათის ამ მხარის აღზრდაც პიროვნების წამყვანი სისტემების აღზრდასთან უნდა იქნეს დაკავშირებული.

თუ მთლიანად თავს მოვუყრით იმას, რაც აქამდე ჩვენ ვთქვით ხასიათის ცნების შესახებ, შეგვიძლია, საბოლოოდ, სრულიად გარკვეული განმარტება მივცეთ ამ ცნებას. ხასიათი არის მთლიანი პიროვნების რაგვარობის დალით აღბეჭდილი ქცევისა და განცდების თავისებურება. რადგანაც განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით კონკრეტული პიროვნების რაგვარობა ასახულია მის განწყობაში, განსაკუთრებული წონის მქონე ფიქსირებულ დისპოზიციურ განწყობაში, ამ განწყობის ფიქსაციისა და მისი რეალიზაციის თავისებურებაში, ამიტომ განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ხასიათის ჩვეულებრივი ზოგადი განმარტება შემდეგნაირად შეიძლება გამოვთქვათ: ხასიათი არის „დისპოზიციურად“ მოცემული დიდი პიროვნული წონის განწყობის ნებელობითი ან იმპულსურ-ემოციური ქცევის სახით აქტუალიზაციის უნარი. ხასიათის ასეთი განმარტება სრულიად ნათელს ხდის თუ როგორ უნდა წარიმართოს ხასიათის აღზრდა.

III

ხასიათის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების დადგენის პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ხასიათის ცვლილების გაგებასთან. მაგალითად, თუ ხასიათს გავიგებთ როგორც პიროვნების უცვლელ, მყარ თვისებას, მაშინ მის აღზრდაზე და კერძოდ, აღზრდის თეორიაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. ხასიათის აღზრდის შესახებ გარკვეული სისტემის გამომუშავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხასიათის ცნების ერთ-ერთ არსებით ნიშნად მიღებული იქნება გარემოს ზეგავლენით ხასიათის ცვლილების, განვითარების შესაძლებლობა.

ისტორიულად, ხასიათის ცვლილების საკითხის შესახებ ორი უკიდურესად საწინააღმდეგო შეხედულება იყო. XVIII საუკ. ფრანგი მე-ცნიერები, კერძოდ, ჰოლბახი და ჰელვეციუსი, იდამიანის ფსიქიურ ცხოვრებას გარემოს პროდუქტად თვლიდნენ, მათი აზრით ფსიქიური ცხოვრება სახეშეცვლილი შეგრძნებებია; წარმოდგენები, ცნებები, გრძნობები, მორალი, ხასიათი, შეგრძნებიდან აიგება; რადგანაც შეგრძნება გარე სინამდვილის ზემოქმედების შედეგია, ამიტომ ყოველი ადამიანიც ისეთი იქნება, როგორიც შექმნა გარემო. აღზრდა მათ ესმოდათ ფართო მნიშვნელობით. ისინი მთლიანად უარყოფდნენ ყოველგვარი ტენდენციების, იღების თანდაყოლილობას. მათი აზრით ხასიათი მთლიანად გარემოს პროდუქტია; როგორიცაა საზოგადოების მორალი, ისეთია პიროვნების აღზრდა.

შის ხასიათი. ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია აღზრდაშე ამ-
ბობდა ჰელვეციუსი. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხედულების მი-
ხედვით, პიროვნების მოქმედებას წმინდა მექანიკური კანონზომი-
ერება განსაზღვრავს, უარყოფილია აქტიური სუბიექტის როლი,
პიროვნების გაებაში მთელ რიგ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი,
მაინც, ეს შეხედულება თავის დროისათვის პროგრესული იყო, აյ-
მკეთრადაა წამოყენებული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქ-
შნასთან დაკავშირებით ადამიანის ხასიათის გარდაქმნის, აღზრდის
იდეა. ეს პროგრესული იდეა,—ადამიანის ხასიათის აღზრდის შე-
საძლებლობის იდეა, XVIII საუკ. ემპირიულ ფსიქოლოგიასაც გა-
აჩნდა. მაგრამ თანდათანობით ეს იდეა ქრება და XIX საუკ. მეორე
წახევრის მთაზროვნეთა შორის დამკვიდრდა აზრი, რომ ხასიათი
უცვლელი, თანდაყოლილი თვისებაა; „ნამდვილი ხასიათები არ
იცვლებან“ ამბობს რიბო.

XX საუკ. ბურუუაზიულ ქარაქტეროლოგიაში თანდათანობით
განმტკიცდა აზრი, რომ ხასიათი უცვლელი, კონსტანტური, თან-
დაყოლილი თვისებაა. ბურუუაზიულ ქვეყნებში ისევ გაცოცხლდა
ლომბროზოს რეაქციული შეხედულება, რომლის მიხედვით მორა-
ლური დეფექტურობა იმდენად თანდაყოლილია, რომ ყოველ სა-
ჭიოგადოებას უფლება აქვს სამუდამოდ ციხეში ყავდეს ისეთი ადა.
მიანი, რომელმაც ერთხელ მაინც ჩაიღინა რაიმე დანაშაული. გა-
ცოცხლებული იქნა ჯერ კიდევ კანტისა და მერე შოპენპაუერის მიერ
წამოყენებული აზრი, რომ არსებობს ორი ხასიათი: ძირითადი და
ემპირული ხასიათი. მაგალითად, ფენდერის მიხედვით, ემპირული
ხასიათი ექვემდებარება ყოველგვარ მოდიფიკაციებს, იგი იცვლება
დროში, მას მიეკუთვნება ყოველი წარმავალი პიროვნული ნიშნები,
ავადმყოფური თვისებები. ემპირული ხასიათი ცხოვრების მანძილ-
ზეა შეძენილი. ნამდვილი—ძირითადი ხასიათი კი აბსოლუტურად
ნორმალურია და ჯანმრთელი. ის შეიცავს ყოველივე იმას, რაც მიზან-
შეწონილია, რაც მომდინარეობს პიროვნების ძირითადი სწრაფ-
ვიდან; იგი უცვლელია ადამიანის ცხოვრების მანძილზე. ის თავი-
დანვე როგორც დისპოზიცია მოცემულია ადამიანში და მხოლოდ
სულის არსთან შესაფერისად ვითარდება და იზრდება. მისი შეს-
წავლა შესაძლებელია არა ცდის, დაკვირვების საშუალებით, არამედ
„თეორიული იდეალიზაციის“ მეთოდით. ეს შეხედულება მთლია-
ნად მცდარია, არ არსებობს ორი ხასიათი. ადამიანს აქვს ერთი
მთლიანი ხასიათი, რომელიც პიროვნების მოთხოვნილებათა და გა-
რემოს ერთიანობის ნიადაგზეა შემუშავებული და, რომელიც ყო-
ველთვის „ემპირიულად გვევლინება და ემ გამოვლენის გარეშე“

ცალკე არსად არსებობს“ (უზნაძე). ფენდერის შეხელულების ანალიზიდან ირკვევა, რომ „ნამდვილი“ ხასიათი თანდაყოლილია და უცვლელი. ამრიგად ხასიათის ამგვარი გაგების ნიაღაგზე შეუძლებელია ხასიათის აღზრდის ჭეშმარიტი თეორიის მოცემა.

ქარაქტეროლოგები, რომელთაც ხასიათი დაყავთ—მიდრეკილების, ტემპერამენტის, ინსტიქტის ცნებამდე—უარყოფენ ხასიათის ცვლლების შესაძლებლობას. ინსტიქტი, ტემპერამენტი თანდაყოლილი, უცვლელი დისპოზიცია; დაბადებიდანვე აღამიანში ესკიზურად შოცემულია ძირითადი ხასიათი, აღზრდის ვალია მხოლოდ ხელი შეუწყოს ამ ჩანასახის გაშლას, შესაძლებელ დონემდე განვითარებას.

საბჭოთა ქარაქტეროლოგია, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის შეთოდოლოგიას ემყარება დიამეტრალურად საჭინაალმდეგო პოზიციაზე დგას. საბჭოთა ქარაქტეროლოგიის შეაღულებით ხასიათი იცვლება გარეპირობების ზეკავლენით. ხასიათი ყალიბდება და იცვლება ისტორიულ, სოციალურ გარემოს ცვლილებასთას ერთად. ხასიათის ტიპის თავისებურება განსაზღვრულია ისტორიულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებით; ხასიათი ყალიბდება ცხოვრებაში, ცხოვრების მიმდინარეობაში.

საბჭოთა ქარაქტეროლოგია ხასიათის ცვლილების საკითხში რუსული ქარაქტეროლოგიის პროგრესულ იდეებს ემყარება. ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ მკაცრად გაიღაშერა ხასიათისა და ტემპერამენტის მუდმივობის რასიულ-ანტროპოლოგისტურ თეორიების წინაალმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ არა თუ ხასიათი, არამედ ტემპერამენტიც შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების პირობების ზე-გავლენით.

ხასიათის ჩამოყალიბების პრობლემა მკვეთრადაა დასმული უშინესის და ლესგაფტის ცნობილ შრომებში. მაგალითად ლესგაფტი თავის „შრომაში„ „საოჯახო აღზრდა“ ავითარებს იმ აზრს, რომ ხასიათი ყალიბდება ცხოვრების მიმდინარეობაში. აღამიანის ხასიათის ტიპს ფაქტიურად სოციალური პირობების თავისებურება ქმნის. მისი აზრით ბავშვთა ხასიათის ჩამოყალიბებისათვის ოჯახისა და სკოლის პირობებს გადამწყვეტი. მნიშვნელობა აქვს.

როგორც ზევით აღნიშნეთ, საბჭოთა ქარაქტეროლოგია ემყარება თავის წინაპრების პროგრესულ შეხედულებებს; დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიის ნიაღაგზე იგი ამ პრობლემის ახალ მხარეებს აშუქებს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია შეხედულებები, რომლებიც გამოთქმულია დ. უზნაძის, ლევიტოვის, ანანიევის, მოსიშხევის და სხვათა მიერ. ეს ავტორები იმ აზრს ავითარებენ, რომ ხასიათი შედარებითად ცვალებადი პიროვნული

თვისებაა. გარემოს, სოციალური პირობების ცვლილებებთან ერთად იცვლება მთლიანი პიროვნების თავისებურება, მისი ხასიათი აკად. დ. უზნაძე ხაზგასმით შიუთითებს, რომ ხასიათის ჩამოყალიბებაში გადამჭრელი როლი გარემოს ზემოქმედებას ეკუთვნის „ხასიათი ამა თუ იმ განწყობის აქტუალიზაციის უნარი თუ დისპოზიცია იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარემო-სიტუაციაში მომხდარა ამ პიროვნების ჩამოყალიბება და რა გარემო სიტუაცია იმოქმედებს ყოველ ცალკე შემთხვევაში მასზე. ხასიათი როგორც გარკვეულ განწყობათა გამოვლენის დისპოზიცია, გარემოს ზემოქმედების პირობებში ყალიბდება“.¹

საბჭოთა ფსიქოლოგიის ზემოაღნიშნული მართებული დაკვირვება მტკიცდება მრავალი წლების განმავლობაში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი მუშაობით. მტკიცდება ის გარემოება, რომ ბავშვის ხასიათი ვითარდება, იცვლება, ყალიბდება. თუმცა ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი ძირითადში სრულდება მოწიფულობის ასაკში, ცხოვრების ამ ჰაერიოდში პიროვნების ხასიათის თავისებურებანი გამოიკვეთებიან, მაგრამ ამის შემდეგაც ხასიათი გარემო პირობების ზეგავლენით შეიძლება შეიცვალოს. ხასიათის ფორმირების პროცესს მოწიფულობის ასაკის შემდეგაც შეიძლება ჰქონდეს აღგილი. ხასიათი იცვლება თანდათანობით, გარეშესა-და თვით განმცდელი სუბიექტისგან შეუმჩნევლად. ხასიათის ერთბა-შად შეცვლა. მხოლოდ ცხოვრების განსაკუთრებულ კრიტიკულ პირობებში შეიძლება მოხდეს. ხასიათის ცვლილების მეცნიერული შესწავლა მეტად რთული და ძნელია. ხასიათის არსებითი ცვლილებები (მაგალითად, ნებელობის მიზნების, ნებელობის სიმტკიცის, ემოციური ცხოვრების ცვლილება) გამოკვეთილად თავს იჩინს მხოლოდ პიროვნების განვითარების კრიტიკულ ფაზებში, და აგრეთვე ცხოვრების კრიტიკული გამოცდილების, პიროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემო პირობების ზეგავლენით. ცხოვრების სხვა პირობებში ამ ცვლილების შესწავლა-როგორც ობიექტური, ისე თვითდაკვირვებით გაძნელებულია, ამისათვის ხასიათის ცვლილების შესწავლა ხელსაყრელია სწორედ. ცხოვრების კრიტიკულ პერიოდზე დაკვირვების ნიადაგზე. ყველა პირობებში ადამიანის ხასიათის განვითარებაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ხასიათის ცვლილება ხდება სრულიად კონკრეტული მიზეზების ზეგავლენით. რომელიმე კონკრეტულ გარემოს მხოლოდ მაშინ შეუძლია იქცეს ხასიათის ცვლილების მიზეზად, თუ ეს გარემო შესძლებს ზეგავლენას პიროვნების ყველაზე არსებითსა და

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ. გვ. 191—195.

თნტიმურ მხარეზე, თუ შესძლებს პიროვნების დიდი პიროვნულობის განწყობის შეცვლას, მის დარღვევას, მოსპობას და მის ნაცვლად პიროვნებისათვის სრულიად ახალი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განწყობათა შემუშავებას.

ეს მნიშვნელოვანი დებულება ჩენ მერ მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგადაა დადასტურებული. კლინიკურ—ექსპერიმენტული მეთოდით შესწავლილი იყო 12—16 წლამდე კონფლიქტების მატარებელი ბავშვების ხასიათის ცვლილების საკითხი. პედაგოგიურ პრაქტიკაში ცნობილია ბავშვთა გარკვეული კატეგორია, რომელიც ძნელად ემორჩილება სასკოლო რეაქტის, კონფლიქტში იმყოფება სკოლის გარემოსთან. ისინი პედაგოგის ყურადღების ცენტრში არიან მოქცეულნი და მათი ქცევის გამოსწორებაზე მუშაობა სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს. ასეთ ბავშვთა პედაგოგიური დახასიათების მიხედვით, ბავშვთა კონფლიქტები შემდეგი სახით მეღავნდება: ქცევის რეგულაციის უნარის სისუსტე, რომლის გამო ბავშვი ვერ ახერხებს გაჯევეთილის მიმდინარეობაში ჩართვას, დაუდევრობა, უხეშობა, ჯიუტობა, ნეგატივიზმი, კაპრიზები, ჭარბი აპატია, სიცრუე, ცინიზმი, აგრესული დამოკიდებულება პედაგოგებისა, მშობლებისა და ბავშვებისადმი, სუსტი ბავშვების მიმართ ძალმომრეობა, სასკოლო დავალებებისადმი უბასუნისმგებლო დამოკიდებულება, ჭარბი აფექტები და სხვ.

ასეთი ბავშვის ხასიათის შესახებ შეიძლება ვთქვათ: ბავშვი, სუბიექტი, გარკვეულ გარემოში იზრდება, მასზე მოქმედებს სოციალური, კერძოდ ორგანიზებული პედაგოგიური გარემო, კონფლიქტების მატარებელ სუბიექტისა და ორგანიზებულ გარემოს შორის კონფლიქტი იჩენს თავს. თვით კონფლიქტური სუბიექტი განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული თვისებებისა და გადამწყვეტი კრიტიკული გამოცდების ურთიერთ ზემოქმედებით თავისებურად მოდიფიცირებულია. ამ კრიტიკული გამოცდილების ზეგავლენით სუბიექტში გარემოს მიმართ გარკვეული პოზიციაა შექმნილი. სუბიექტი, როგორც აქტიური პიროვნება ვერ ახერხებს ისეთი პოზიციის დაჭრას გარემოს მიმართ, რომ მათ შორის ნორმალური ურთიერთობა მოხერხდეს. მას არ შეუძლია შესაფერისად განეწყოს მის მიმართ, რადგანაც მას დარღვეული აქვს ის მთლიანი პიროვნული პროცესი, ანუ განწყობა, რომელიც პიროვნებასა და გარემოს შორის მიზანშეწონილ ურთიერთობას შესაძლებელს ჰყოფს. რადგანაც ასეთი კონფლიქტური ბავშვების შემთხვევაში ნორმალური ურთიერთობა სუბიექტსა და გარემოს შორის აღკვეთილია,

აშიტომაც ამის მიზეზი სუბიექტის განწყობაში, ამ უკანასკნელის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. ასეთი ბავშვის განწყობის სპეციალური შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ იგი ერთხელ ფიქსირებული განწყობის მონა ხდება, განწყობა მთლიანად იმორჩილება პიროვნებას, უჭირს სხვა ახალი პირობების შესატყვისი განწყობის შემუშავება. განწყობის მონაბიდან თავის დახსნა ბავშვისთვის შეუძლებელი ხდება მაშინაც, როცა მან იცის, რომ მისი ქცევა შეუთავსებელია სიტუაციასთან; ერთხელ ფიქსირებული განწყობა მთლიანად მოიცავს პიროვნებას, ამის გამო იგი ანგარიშს ვერ უწევს სიტუაციას, ვერ სძლევს მას, ვერ ახერხებს განწყობის იმპულსიდან თავის დაღწევას.

ამგვარი ბავშვების ხასიათის შეცვლისათვის საჭიროა არა მარტო ცალკეულ პიროვნულ თვისებებზე ზემოქმედება, ცალკე ყურადღების, ემოციის, ნებელობის აღზრდაზე ზრუნვა, არამედ მთლიანი პიროვნების შეცვლის მიმართულებით სათანადო აღმზრდელობითი ზემოქმედებათა სისტემის შემუშავება. საჭიროა მათი დადგებითი, მაღალი მოთხოვნილებების აქტივაცია (ზეობრივი, ესთეტიკური, ინტელექტუალური). აქტივირებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ამ გზით სათანადო განწყობათა ფიქსაცია, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აქტივობის პროცესში ახალი განწყობების განმტკიცება, ისე რომ ეს განწყობები იქცნენ პიროვნებისათვის დიდი მნიშვნელობის, განსაკუთრებული წონის მატარებლად. პიროვნების ხასიათის შეცვლისათვის აუკილებელია პიროვნებაში ძველთან შედარებით ახალი, დიდი პიროვნული წონის განწყობების განმტკიცება, ე. ი. მთლიანი პიროვნების შეცვლისათვის ზრუნვა.

აღნიშნული კონფლიქტების მატარებელი ბავშვების (143 ბავშვი) შიმართ მიღებულ იქნა სპეციალური ღონისძიებანი. ბავშვების მშობლებს, პედაგოგებს, მიეცათ სათანადო კონსულტაცია ხასიათის აღზრდის საკითხებზე. საჭირო შემთხვევაში ჩატარდა სათანადო ფსიქონევროლოგიური მკურნალობაც. ბავშვის ხასიათის გამოსწორებაზე 2 წლის განმავლობაში სათანადო ზრუნვის შემდეგ ბავშვთა დიდი უმრავლესობის ხასიათი მთლიანად შეიცვალა. ბავშვებში გაჩნდა სკოლის გარემოსადმი შევუების მტკიცე ტენდენცია, აღიკვეთა შინაგანი კონფლიქტები, ამასთანავე ერთად მთლიანად შეიცვალა ამ ბავშვთა ფიქსირებული განწყობის ფორმებიც; ბავშვებში დადგებითი ხასიათის დამკვიდრებასთან ერთად გაძლიერდა განწყობის მიმდინარეობის ისეთი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებით, სიტუაციის მიმართ აღე-

ქვატურ ქცევას, გარემოში განმტკიცებულ მოთხოვნილებებისადმი აქტიურ შეგუებას, თავის მოთხოვნილების დაქმაყოფილებისათვის შესატყვისი სიტუაციის აღვილად პოვნის უნარს, აღვილად გადანაცვლებადობას, საქუთარი ქცევის ობიექტივაციას, ქცევის ნებელობის პლანზე გაშლას. მათი განწყობა ასაკის შესატყვისად დაუახლოვდა სკოლაში სანიმუშო ბავშვებისათვის დამახასიათებელ განწყობას.

რაღაც განწყობა ის ცენტრალური ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ქცევისა და განცდების მიმღინარეობის თავისებურებას, ამისათვის ყველა ასეთ შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, ცვლილებები ბავშვის ხასიათში განწყობის ცვლილებებითაა პირობადებული. ბავშვთა კონფლიქტების შემთხვევაში, ამ კონფლიქტების ფატალურ, ბიოლოგიურ ფაქტორებით განსაზღვრულობასთან კი არ გვაქვს ხაქმე, არამედ გარკვეული კრიტიკული გამოცდილების ზეგავლენით უანვითარების პროცესში ჩამოყალიბებულ განწყობის ცვლილებებთან. სათანადო აღმზრდელობითი, პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად შესაძლო ხდება განწყობის ნორმალური მიმართულებით მოდიფიკაცია, რითაც როგორც სუბიექტში, ისე სუბიექტისა და ვარემოს შორის მწვავე კონფლიქტები ისპობა.

ამრიგად, კონფლიქტურ ბავშვთა კლინიკურ-ექსპერიმენტული შესწავლა ადასტურებს, რომ პიროვნების ცვლილება ნათლადა ასახული განწყობაში. დასტურდება, რომ ხასიათი გარემოს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ცვალებადი ფენომენია. მიღებულ შედეგებს დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. ეს შედეგები ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა ზრდადასრულებულ ადამიანებზეც. ჩვენ შევისწავლეთ 150 სუბიექტის ხასიათის თავისებურება — ხასიათის ჩამოყალიბებისა და ცვლილების თვალსაზრისით; აგრეთვე გამოვყავით ჩვენთვის ახლობელი 25 სუბიექტი. და მრავალი წლების ვანმავლობაში სპეციალურად ვუკვირდებოდით მათი ხასიათის დინამიკას, აგრეთვე ვსწავლობდით მათს განწყობასაც. კვლევის შედეგად შემდეგი სურათი იშლება. 25 ც. პ-დან 8 წლის განმავლობაში 14 ც. პ-ს დაეტყო ხასიათის გარკვეული ცვლილება, 4 პიროვნებაში მოხდა მკვეთრი ცვლილება — მთლიანად შეიცვალა ხასიათის ტიპი; დანარჩენ შემთხვევაში ცვლილებები ნაწილობრივი ხასიათისაა, ცვლილება არ გასცილებია ძირითადი ტიპის ფარგლებს. 11 სუბიექტი დარჩა შედარებით უცვლელი. ხასიათის ცვლილება სრული სიზუსტით აისახა ფიქსირებული განწყობის თავისებურებაში. ხასიათის ტიპის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა განწყობის ტიპიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანები,

რომელთა ხასიათის ძირითადი ნიშანი იყო მძლავრი შინაგანი კონფლიქტები, მძიმე შინაგანი წინააღმდევობანი, იმპულსურობა, ორგანიზებული, მაღალი მორალის მატარებელ გარემოს ზეგავლენით შეიცვალნენ, შინაგანად ჰარმონიულ, მაღალ მიზნების მატარებელ, საზოგადოებასთან შეწყობილ ადამიანებად.

უკელა ჩვენი ც. პ-ბის შემთხვევაში ხასიათის ცვლილება ხდება სრულიად კონკრეტული მიზეზების გამო. ხშირად ეს ცვლილება ერთბაშად ჰარმონებს, პიროვნებაში ხდება ერთგვარი გარდატეხა, რომელსაც აღვიღლად ამჩნევს, როგორც თვითონ შეცვლილი პიროვნება, ისე მისი ახლობელი ადამიანი. მაგრამ გარე ფაქტორები მხოლოდ მაშინ იწვევენ ხასიათის ცვლილებებს, თუ ეს ფაქტორები მოახერხებენ პიროვნების ყველაზე ინტიმური მხარის შეცვლას — მთლიანი პიროვნების ახლებურად მოღიტიკაციას.

ჩვენს მიერ შესწავლილ პიროვნებათა ხასიათი იწრთობოდა დიდი სოციალურ-ეკონომიკური ძერების — ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტური წყობილება შეიცვალა სოციალისტურ წყობილებად. ამ უდიდეს სოციალურ გარდაქმნის ხანაში მოქმედი ადამიანის ხასიათი სრულიად შეუძლებელია უცვლელი დარჩენილიყო. მთელი რიგი ხასიათის ტიპებისა, რომელთა ძირითადი ნიშანია ნებელობის სიმტკიცე, პრინციპულობა, ენთუზიაზმი, ინიციატივა, აქტიური პატიმიზმი და სხვა, იწრთობოდა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. საზოგადოებრივი სიტუაცია ხელს უწყობდა, რათა პიროვნების წამყვან ტენდენციად გამხდარიყო მაღალი მიზნებისათვის ბრძოლა, დათრგუნვილი ყოფილიყო ეგოისტური, სუბიექტივისტური, ინდივიდუალისტური მიღრეკილებანი. თვით კონფლიქტური, სუსტი ხასიათის პიროვნებანი, უმრავლეს შემთხვევაში საერთო სიტუაციის ზეგავლენით, მტკიცედ დაგნენ საზოგადოებრივი მიზნების სამსახურში, თავის დაწესებულების, კოლექტივის, კლასის, სამშობლოს ინტერესები იქცა პირად, ინტიმურ ინტერესებად.

საბჭოთა ქარაქტეროლოგიის ძირითად ამოცანას შეაღვენს, ამ დიდ სოციალურ გარდაქმნასთან დაკავშირებით, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების კანონების წვდომა. როგორც აღვნიშნეთ, ამის მიღწევისათვის, პირველ რიგში, უცილებელია იმ პიროვნული მექანიზმის წვდომა, რომელიც განსაზღვრავს ხასიათის არსებით ცვლილებებს. ხასიათის ცვლილებებზე მეცნიერული დაკვირვებები აღასტურებს, რომ ხასიათის შეცვლისათვის უცილებელია პიროვნებაში ჩაისახოს წინააღმდელთან შედარებით. სრულებით ახალი მხარება, რომლის ნიადაგზე უნდა გაიშალოს ნებელობითი, ან იმპულსურო

ჰელივა. მტკიცე მიზნებით აღჭურვილ პიროვნებაში, რომელშიც მოცემულია ამ მიზნების შესატყვისი ქუევის გაშლისათვის სრული მზაობა; თუ აღიკვეთება ასეთი მზაობა, მაშინ პიროვნების ხასიათი ძირეულად იცვლება; მაღალი მიზნებისათვის ბრძოლით განწყობილ პიროვნებაში მკვიდრდება დაბალი, ვიტალური იმპულსების უპირატესობა, აღგილი აქვს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ადამიანშა აღიკვეთება ყოველი ახალი, წამყვანი განწყობის ფიქსაციის უნარი, ამის გამო პიროვნებას საჯებით გამოეცვალა შინაგანი წარმმართველი ძალა-განწყობა და ობიექტური გარემოს მონა ხდება. უფრო ტშირად აღგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სუსტი განწყობის, შინაგან წარმმართველ ძალას მოკლებულ პიროვნებაში ხდება. ახალი მოთხოვნილების აქტივაცია, ახალი დიდი პიროვნული წონის განწყობის ფიქსაცია, ძლიერდება ახალი მიზნებისათვის ბრძოლის იმპულსი და ამის ნიადაგზე ნებელობაც თავის აქტივობის გაშლისათვის ახერხებს დასაყრდენის პოვნას; ყოველივე ეს მიუთითებს ხასიათის მკვეთრ შეცვლას, შეიძლება აღინიშნოს სხვა ანალოგიური შემთხვევებიც, მაგრამ ყოველთვის პიროვნების ხასიათის შეცვლის საფუძველ ს წარმოადგენს განწყობის თავისებურების შეცვლა.

ამრიგად, მიღებული შედეგების მიხედვით გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს ხასიათის ცელილების პრობლემა. ხასიათი არაა გენოტიპურად განსაზღვრული უცვლელი დისპოზიცია. ხასიათი ყალიბდება აღზრდელობითი გარემოს, საზოგადოებრივი სიტუაციის ზეგავლენის შედეგად. იგი ყალიბდება ცხოვრების მიმღინარეობაში.

IV

ზემო თქმულიდან აშკარაა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ხასიათის აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლად, და რას უნდა მიექცეს ყურადღება ხასიათის აღზრდისას. ხასიათი წარმოადგენს მთლიანი პიროვნების თვისებას, მისი დიდი პიროვნული წონის განწყობის აქტუალიზაციის უნარს. ამიტომაც, ცხადია, ხასიათის აღზრდისათვის საკმარისი არაა ცალკეული ფსიქოლოგიური ფუნქციების, ნებელობის, ემოციის ან სხვა ცალკეული თვისებების სხვადასხვა შეთოდებით წრთვნა, არამედ აუცილებელია მთლიანი პიროვნების აღზრდაზე ზრუნვა. ამ მთლიანი პიროვნებისაგანაა დამოკიდებული ცალკეული ფუნქციები, თვისებები; მთლიანობის თავისებურება განსაზღვრავს თითოეულ ქრძო შემთხვევაში თვისებებისა და ფენომენების მიზანშეწონილ აქტუალიზაციას. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ

ჩაში მეტავნდება ეს მთლიანი პიროვნება; ენახეთ, რომ კონკრეტული პიროვნების ხასიათის რაობა მისი ნებელობისა და ემოციური ქცევის ხახით გაშლილი აქტიური, დიდი პიროვნული წონის განწყობის თავისებურებაში მდგომარეობს. ამიტომაც, ხასიათის აღზრდა, პიროვნების შექმნა, აღნიშვნული სახის განწყობების შექმნის მიმართულებით უნდა წარიმართოს. განვიხილოთ ეს საკითხი. უფრო დაწვრილებით.

საბჭოთა სკოლა, საბჭოთა საზოგადოებრიობა ამოცანად ისახავს არა „საზოგადოდ“ ხასიათის აღზრდას, არამედ ახალი აღამიანის, კომუნისტური მსოფლმხედველობითა და მორალით აღჭურვილი აღამიანის აღზრდას; მიზნად ისახავს ისეთი აღამიანის აღზრდას, რომლის ძირითადი ნიშნებია: ხასიათის სტრუქტურის მთლიანობა, საზოგადოებრივ და პირად მოთხოვნილებათა შორის ჰარმონია, შინაგანი კონფლიქტების ვარეშე, სოციალური მიზნებისათვის ბრძოლის მარადი მზაობა, სოციალურ-მორალური ემოციების, მოვალეობის, მეგობრობის, სიმპათიის, სიყვარულის მაღალი განვითარება; ახალი აღამიანისათვის უცხო უნდა იყოს ავადმყოფური თვითანალიზი, საკუთარი განცდებით ჰარბი დაინტერესება; მის მოღვაწეობას უნდა ახლდეს ენერგიულობა, სიმტკიცე, დარწმუნებულობა, მიზნებისათვის ბრძოლას, შემოქმედების პროცესს პრიცულობა, შეუდრევებობა, ენთუზიაზმი, აქტიურობა, ინიციატივა, ოპტიმიზმი, სიმართლე და პატიოსნება. ასეთმა აღამიანმა უნდა შესძლოს თავის მიზნისათვის ბრძოლის პროცესში, რომელიც საზოგადოებრივ მიზანს ემთხვევა, დიდი დაბრკოლების გადალახვა, გმირობის გამოჩენა, საკუთარი ვიტალური იმპულსების ალაგმვა, საკუთარი ქცევის მოწესრიგება¹.

ი. რა პიროვნული თვისებები უნდა აღზარდოს საბჭოთა სკოლამ, ოჯახმა და მთლიანად საზოგადოებრიობამ.

ბავშვი განვითარების დაბალ საფეხურებზე იმპულსური არსებაა. რეა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს თავისი ვიტალური იმპულსების რეაგულაციას, მთლიანად ჩართულია თავისივე ქცევაში, იგი მთლიანად საკუთარი განწყობის ტყვეა. აღმოცენებული განწყობის ნიდაგზე მის იმპულსურ ქცევას აწესრიგებენ და მიზანშეწონილად წარმართავენ აღმზრდელები; მშობლები უკრძალავენ, გმობენ ბავშვის ცუდ საქციელს და მიუთითებენ თუ როგორ უნდა მოიქცეოს იგი.

¹ ამ საკითხის შესახებ იხ. შრომა ვლ./ ნორავიშვ.; პიროვნების ხასიათი და ფიქსირებული განწყობა, 1948.წ. (დოქტორის დისერტაცია).

ბავშვში აღვილად მუშავდება განწყობა. სუსტი გამღიზიანებელიც შეიძლება გახდეს მიზეზი განწყობის შემუშავებისა. ერთხელ შემუშავებული განწყობა ერთბაშად, მთლიანად მოიცავს მის პიროვნებას, ვერ ახერხებს მის შეფერხებას, თანაც ერთბაშად შეიძლება შეიცვალოს ისევ იმპულსურად მიმღინარე სხვა სახის განწყობად. განწყობის ასეთი თავისებურებით უნდა აიხსნას სწორედ ბავშვის იმპულსურობა, მისი განცდების, გუნება-განწყობილების ლაბილობა, სწრაფი ცვალებადობა. სასკოლო ასაკში ბავშვები თანდათანობით ახერხებენ თავისი ქცევის ობიექტი-ვაციას, ახერხებენ საკუთარი საქციელის დაკვირვების საგნად ქცევას და ქცევის ობიექტივაციის პლანზე წარმართვას. ბავშვებში ჩნდება მოვალეობის გრძნობის მიხედვით საკუთარი ქცევის მოწესრიგების, ქცევის გარე პირობების შესატყვისად წარმართვის უნარი. ბავშვში თანდათანობით ისახება ისეთი პიროვნული თვისებები, რომლებიც მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე მიუთითებენ. ხასიათის ჩამოყალიბება, ზემო ჩამოთვლილი მაღალი მორალური ქცევისადმი მიზიდულობა, ასეთი ქცევის განმსაზღვრელი მტკიცე, დიდი პიროვნული წონის განწყობათა ფაქსაციისა და ფიქსირებული განწყობების ნებელობით მიზნებად გარდაქმნის პროცესის სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

შევჩერდეთ ამ საკითხზე დაწვრილებით. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პიროვნების სათანადო მიმართულებით შეცვლისათვის, ახალი განწყობის შემუშავებისათვის. აუცილებელია მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის არსებობა. მოთხოვნილებები, ის ძირითადი სუბიექტური საფუძველია, რომლის ნიადაგზე იქმნება პიროვნების ხასიათის თვისებები, ამიტომაც ხასიათის აღზრდის სისტემამ, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა დაისახოს მოთხოვნილებათა აღზრდა.

ბავშვს უნდა გავუღიძოთ მაღალი მოთხოვნილებები, ჩავუნერგოთ მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური მოთხოვნილებები; გავუღიძოთ მოთხოვნილება პატიოსუნი საქციელის, მეგობრობის, მოვალეობის, საზოგადოების ინტერესებისადმი, კომუნიზმის მაღალი იდეებისადმი საშსახურის, ჰეშარიტების შემეცნების შეურვილი და სხვ..

მოთხოვნილება პიროვნების აქტივობის წყაროა. იგი დანაკლისის განცდას გულისხმობს. მოთხოვნილების მატარებელი პიროვნება ესწრაფვის დანაკლისის შევსებას, ისწრაფვის გარკვეულ კონკრეტულ გარე პირობებში ამ დანაკლისის დაკმაყოფილებისაკენ. ასეთ პირობებში პიროვნების გარეთ არსებული საგნები, რომელიც წარ-

შოადგენენ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციას, იძენენ გარკვეულ მიზიდულობის ძალას. მოთხოვნილების კონკრეტულ სიტუაციაში დაკავყოფილებისას, პიროვნებაში ჩნდება გამოკვეთილი მიზიდულობის განცდა; მაგალითად მორალური მოთხოვნილებით აღჭურვილი აღამიანი ისწრაფეის ამ მორალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ, როგორც კი გაჩნდება სიტუაცია, სადაც მაგ აღამიანისადმი დამარების გაწევაა აუცილებელი, ეს სიტუაცია მისთვის იძენს მიზიდულობის ძალას. ასეთი პიროვნება ისწრაფვის ჩაიღინოს კეთილი საქციელი. აღამიანი, რომელსაც არ გააჩნია სიკეთის მოთხოვნილება, სრულად გულგრილი დარჩება ასეთი სიტუაციის მიმართ. როგორც ჩანს, ხასიათის აღზრდისათვის საჭიროა ყურადღების გამახვილება განწყობის წარმოქმნისათვის აუცილებელი სუბიექტური ფაქტორის, მოთხოვნილების მიმართულებით. მაგრამ ეს არაა საკმარისი, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გარე მოვლენებისადმი სუბიექტში აღძრული მიზიდულობა უნდა იქცეს კონკრეტულ მოქმედებად, ისეთ კონკრეტულ მოქმედებად, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნების დაუფლებისათვისაა საჭირო. მოთხოვნილება მიუთითებს მხოლოდ მოქმედების მიმართულებას, მაგრამ თუ როგორ კონკრეტულ ქცევაში უნდა განხორციელდეს მოთხოვნილება, თვით ამ მოთხოვნილების ცნებაში არ იგულისხმება. საჭიროა ცოდნა იმ ფსიქოლოგიური მექანიზმისა, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაში პიროვნების მიზანშეწონილ ქცევას.

აუცილებელია პიროვნებაში შემუშავდეს კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის მზაობა-განწყობა. განწყობის შემუშავებისათვის კი გარდა მოთხოვნილებისა აუცილებელია ობიექტური ფაქტორი. ამ ორთა ერთიანობის ნიადაგზე იქმნება განწყობა, რომელიც წარმოადგენს მიზანშეწონილი ქცევის ძრავს. ერთხელ შექმნილი განწყობა შეიძლება ვაქციოთ ფიქსირებულ განწყობად; განწყობის ფიქსაციის ძირითადი პირობაა განმეორება. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საკმარისი არაა ბავშვში აღვზარდოთ მაღალი მოთხოვნილებები, აღვჭურვოთ იგი ამ მოთხოვნილებების განხორციელების პირობებისადმი მიზიდულობით, ამასთან ერთად აუცილებელია ბავშვი ჩავაყენოთ მაღალ მორალურ სიტუაციაში. ამ პირობებში, ასეთ მოთხოვნილებებისა და შესატყვისი პირობების ერთიანობის ნიადაგზე წარმოიშობა მაღალ მორალური ქცევის განმსაზღვრელი განწყობა და ქცევაც იქნება მორალური. ასეთი განმეორების პირობებში ბავშვში თანდათანობით განმტკიცება, გაფიქსირდება აღნიშნული სახის განწყობა; იგი იქცევა დიდი პიროვ-

ჭული წონის, წამყვანი მნიშვნელობის განწყობად, ამის შემდეგ, ყოველთვის, სათანადო მსგავსი სიტუაციის განმეორების შემთხვევაში, მისი ხელახალი აქტუალიზაცია აღვილია. ამიერიდან ბავშვის ძირითადი წამყვანი იმპულსი მაღალ მორალური ქცევის განმსაზღვრელი განწყობა იქნება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაიშლება მორალური ქცევის სახით. ბავშვს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები (რეალური ან წარმოსახული), რომ მან შეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები; დაიკმაყოფილოს სიკეთის, მეგობრობის, გმირობის, სამშობლოსათვის თავდადების, ინტელექტუალური, ესთეტიკური და სხვა მაღალი მოთხოვნილებები. მოთხოვნილებათა დაქმაყოფილების შესატყვისი გარემოს შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებისათვის. ხასიათი როგორც ამა თუ იმ განწყობის აქტუალიზაციის უნარი თუ დისპოზიცია, იმაზეა დამოკიდებული თუ რა გარემო სიტუაციაში მომხდარა ამ პიროვნების ჩამოყალიბება და რა გარემო სიტუაცია იმოქმედებს ყოველ ცალკე შემთხვევაში მასზე.

ეს, უეჭველია, იმიტომ, რომ ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ განწყობის აღმოცენება ობიექტური ფაქტორის, გარემო სიტუაციის ზემოქმედების გარეშე სრულიად შეუძლებელია; თითოეული ჩვენგანის განწყობათა დისპოზიციები, ჩვენი ხასიათი, გარემოს ზემოქმედების პირობებში ყალიბდება¹.

განწყობა, პიროვნების მოთხოვნილების ფონზე, გარესინამდვილისასახვას წარმოადგენს, ამიტომაც პიროვნების ხასიათის ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულ, მაღალი მორალით გამსჭვალულ გარემო სიტუაციას, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იქცევა ბავშვის განწყობის შექმნისათვის ობიექტურ ფაქტორად.

ამრიგად, ხასიათის აღზრდის სისტემის დადგენისათვის, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ერთი მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემები, ბავშვის მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური ქცევისადმი მიზიდულობის აღზრდის ღონისძიებები; მეორეს მხრივ ამ მოთხოვნილებასთან ერთიანობაში მყოფი ისეთი გარემო სიტუაციები, რომლებიც ავითარებენ, აღვიძებენ, და აყალიბებენ ამ მოთხოვნილებებს და აგრეთვე წარმოადგენენ პირობას სრულიად გარკვეული ქცევის განწყობის შემუშავებისათვის. თუ ავგმენი განიმსჭვალება მაღალი მოთხოვნილებებით, განსაკუთრებული წონის მქონე მაღალ მორალური ქცევის განმსაზღვრელი ფიქ-

¹ დ. უზნადე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 194.

Կորյեծոց գանխյոնքեօթ, մա՛սին ասետո ծաց՛չզու վոնա՛նե, հռօցյալ յա-
դագցեծ սայութե, ուշ հռցոր լինա թույվը օցո, հռցորո լա-
մոյուց ծոված լամպարու սակոցալոյնեծատան, սեցա օջամանեցնետան,
հռցա մու վոնա՛նե սայութե լագցեծ ձորալուլուտան Մելահրեցնետ սակո-
ցալոյնեծրովուսատցու լինուրացյան մոնույնենա, մա՛սին մրացալ Մեսա-
մլու մոյմեցնետան, հռմելուսալ մուսո ձորացնեծ սկբնոն մոնանեց-
նետնուլագ, օցո աորհեց մուս, հռմլուս մոմարտալ մաս մերու մոնա-
լուլուն գասինա, աորհեց ուսետ յլուցաս, հռմլուս մոմարտալ մասն
արայրուցնու գոյխսորեցնուլ սատանալու գանխյոնն. ուշ ձորացնեծամո-
ցոյխսորեցնուլ մոռալուրո, սուրուալուրո յլուցու գանխյոնքն, հռմյ-
լունու թարմուացնենեն մուսո ձորացնեծ վամպչան ծորուց, մա՛սին օցո
տացու ահսմո ազցուլագ ունցուս մուրուց սուրուալուրո յլուցուսատցու,
սակոցալոյնեց մալլա լապչենեն ձորալուլն, տացու եղելունեն
մոնանս ազցուլագ Մելուտանեմեն տացու վոնատ գոյխսորեցնուլ գանխյոնքն,
եղելունեն, հռմյլուն ուայբուրուագ թարմուացնեն մոտեցնուլունեն
գանեռուցուլունեն լա գոյխսորեցնուլ գանխյոնքնուլունեն մոնանեցն-
նուլ հրյալունացուս սամուալունեն, ամ մմելունեն տանեմոնն նոա-
րացն, Մելուցերեցնուլ լագ, յոնուլույտուն գարե՛ն, մոյմասախորեցն ձո-
րացնենեն ամ սորուտագ մմելունեն Մելունեցնուլ թարմարուց.

ნებელობის სიმტკიცე და სისუსტე დამოკიდებულია პიროვნების შინაარსზე, მის მოთხოვნილებათა, განწყობათა თავისებურებაზე. თუ ნებელობის მიზანი მთლიანად ემთხვევა პიროვნების იმპულსებს, მაშინ ნებელობის აქტის მიმდინარეობა მტკიცეა და პირიქით, თუ ნებელობის მიზანია და დილი პიროვნული წონის განწყობებს და მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტია, მაშინ ადამიანი ვერ ახერხებს მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას, ნებელობითი ქცევაც სუსტი იქნება. ნებელობის სისუსტე, თუ სიმტკიცე არავითარ შემთხვევაში მის წმინდა ფორმალურ მხარედ არ შეიძლება ჩაითვალოს; ჩვენი გადაწყვეტილება ბევრის მხრივ იმ შინაარსზეა დამოკიდებული, რომელსაც იგი ეხება; ნებელობა წმინდა ფორმალურ ძალას არ წარმოადგენს, პირიქით, მისთვის შინაარსს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნებელობის სიმტკიცე დამოკიდებულია თუ რას ეხება ნებელობითი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შესრულების პროცესი. თუ იგი ეხება პიროვნებაში განმტკიცებულ, პიროვნების არსად ქცეულ შინაარს, თუ ეს, პიროვნების ძირითადი იმპულსები ეთანხმება ობიექტურ გარემოს მოთხოვნილებებს, მაშინ ნებელობა მტკიცეა, პლასტიკურად მიმდინარეა, დაბრკოლების აღვილად გადამლახველია. ინტენსიურ განწყობებზე დამყარებული ნებელობა აღვილად ახერხებს მიზნების საწინააღმდეგოდ იმმართულ მოწინააღმ

დეგვ იმპულსების შეფერხებას და ქცევის მიხანშეწონილად წარმართვას, საკუთარი იმპულსების, საკუთარი ტემპერამენტის დაუფლბას და პიროვნების მთელი ენერგიის ძირითადი მიზნის მიღწევისათვის გამოყენებას.

ნებელობამ უნდა შეაფერხოს, მოაწესრიგოს ტემპერამენტის თავისებურებაც. ცნობილია ტემპერამენტის 4 ტიპი: სანგვინიური, ფლეგმატიკური, ქოლერიკული, მელანქოლიკური. როგორც აღვნიშნეთ, ტემპერამენტის გამოვლენა იმპულსური ბუნებისაა, იგი ემოციების დისპოზიციას წარმოადგენს: იგი ემოციების აგზებადობისა და ინტენსივობის თავისებურებაში მულავნდება. თითოეული ტემპერამენტის ტიპს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, პიროვნება თავის მიზნების მიღწევისათვის მხოლოდ მაშინ ჰესძლებს. თავის ტემპერამენტის დადებითი მხარეების გამოყენებას, თუ იგი, უწინარეს ყოვლისა, მოახერხებს მათ დაუფლებას. ტემპერამენტის ბატონობის შემთხვევაში ადამიანი შეიძლება იქცეს იმპულსურ არსებად. ქოლერიკულ ტემპერამენტს შეუძლია ადამიანი აქციოს შეუკავებელ, მძაფრ, მუდამ ფეთქადი რეაქციების ადამიანად; სანგვინიურ ტემპერამენტმა კი ქარაფშუტა, გაფანტულ, ზერელე და არა მყარი გრძნობების ადამიანად. შელანქოლიკური ტემპერამენტის შემთხვევაში, შეიძლება ადამიანს გამოუმუშავდეს ჭარბი ჩაკრილობის, თავის განცდებში მთლიანად ჩაძირვის მიღრევილება, გადაქარბებული მორიდებულობა. ფლეგმატურმა ტემპერამენტმა აღამიანი შეიძლება აქციოს ცხოვრების უველა შთაბეჭდილებებისადმი დუხე, ინერტულ, გულგრილ ადამიანად. „საკუთარი ტემპერამენტის დადებითი და უარყოფითი თვისებების გაცნობიერება და მისი დამორჩილებისა და დაუფლების ჩვევების გამომუშავება შეადგენს ადამიანის ხასიათის აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას“ (ტეპლოვი).

ადამიანის ხასიათის აღზრდის ძირითადი არსიუპიროვნების კომუნისტური მორიალუთ შინაარსით აღჭურვაში, ამ შინაარსის განხორციელებისათვის აქტუალური, შესატყვისი გარემოს შექმნაში, აქტივობის პროცესშივე ამ შინაარსის პიროვნების თვისებად გარდაქცევაში მდგომარეობს. ასეთი განწყობებით აღჭურვილი პიროვნების მოღვაწეობა პრინციპულობით, სიმტკიცით, პატიოსნებით, სიმართლით, იდეურობით, ოპტიმიზმით და ენთუზიაზმით იქნება აღსავსე.

ზეობრივი აღზრდის პედაგოგიურ-ფინანსურული გიური საფუძვლები

I.

დღითი-დღე ძლიერდება ჩვენი დიადი ქვეყნის კომუნისტური შეგნებულობის ტემპები. ახლა, სოციალისტური მშენებლობიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში, კიდევ უფრო მკეთრად დგება. მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური შეგნებულობის დონის ამაღლებისა და, კერძოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები. ეს ამოცანები ყოველთვის იღვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე, მაგრამ ისინი ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ახლა კომუნიზმში შესვლის მიჯნაზე იმყოფება.

მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური შეგნებულობის უზრუნველყოფა თანდათან მაღლდება და ფართოვდება. მაგრამ ჩვენი ქვეყანის ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპებს კვალდაკვალ როდი მისდევს ყოველი აღამიანის შეგნება. ისევე, როგორც ყოველთვის „...აღამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ეკონომიკურ მდგომარეობას...“ (სტალინი),¹ ჩვენშიც, ზოგიერთ აღამიანთა შორის ვხვდებით სოციალისტური შეგნებულობის დაბალ დონეს და ჩამორჩენილობის შემთხვევებს.

კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში ამ აღამიანთა გარდაქმნის საკითხი, მათში სოციალისტური შეგნებულობის შეტანის საკითხი, მშრომელთა ფართო მასების სოციალისტური დონის ამაღლების საკითხთან ერთად, ამჟამად, განსაკუთრებული სიმძაფრით ისმის.

მაგრამ, თუ ამჟამად ჯერ კიდევ არსებობენ სოციალისტური შეგნებულობის დაბალი დონის მქონე აღამიანები, უახლოეს მომავალში ამას აღგილი არ უნდა დაურჩეს. ამის განხორციელება

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, II გამოცემა, 1939 წ., გვ. 581.

შესაძლებელია არა მარტო იმით, რომ მათში ამაღლდება სოციალისტური შეგნებულობის დონე, არამედ იმითაც, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთლიანად განათლებული იქნება და ჩამორჩენილობას ადგილი არ დაურჩება.

ადამიანი, რომ კომუნიზმის ლირსეული მშენებელი იყოს, არ კმართვარტო მისი გონიეროვი განათლება და მეცნიერების ცოდნა. კომუნიზმის აქტიური მშენებლისათვის გონიეროვი განათლების გარდა სპირო აგრეთვე ზნეობრივი განათლებაც. კომუნისტი მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს, არა მარტო ცოდნით, არამედ ზნეობითაც. არ შეიძლება კომუნიზმის ლირსეული მშენებელი იყოს ის, ვინც არ იქნება მორალურად სათანადოდ აღზრდილი, ვისთვისაც არ იქნება დამახასიათებელი შრომისადმი სიყვარული, ჩვენი სოციალურ ცხოვრებისადმი და საბჭოთა კანონმდებლობისადმი პატივისცემა და მისდამი ურყევად დამორჩილების შეგნება. „ჩვენი ადამიანები უნდა იყვნენ განათლებული, უაღრესად იდეური ადამიანები. მაღალი კულტურული, მორალური მოთხოვნილებებისა და გემოვნების მქონენი“ (ჟ და ნოვი) ¹.

საბჭოთა სკოლაში უნდა უზრუნველყოს მომავალ თაობაში ამ თვისებათა აღზრდა. ვიგორდსკის სიტყვით რომ ვთქვათ: „ჩვენ შეგვიძლია ჩვენში აღზრდისაგან მოვითხოვთ, რომ მან ისევე მოამზადოს ზნეობრივ სფეროშიაც მებრძოლი და რევოლუციონერი, როგორც სხვა ყველა სფეროებში“. ² ზნეობრივი აღზრდის მიზნის მიღწევე სწორედ ამ ამოცანის ლირსეულად გადაჭრაში უნდა ვიგულოთ.

ზნეობრივი აღზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პირველ დღე ნინგ მა მიუთითა. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინმა აღნიშნა: „საჭიროა, რომ თანამედროვე აზალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს შასში კომუნისტური მორალის აღზრდას“ ³.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მორალური აღზრდის საკითხი ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხია, მაინც იგი როგორც ამას ფურნალ „სოვეტსკაია პედაგოგიკა“-ს რედაქციიც აღიარებს, ნაკლებად არის დამუშავებული.

¹ ფურნალ „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ გაყოფებულ მოხსენებიდან (იხ. ფურნალი „მნათობი“, 1946 წ. № 9—10).

² Л. С. Выгодский, Педагогическая психология, Краткий курс, 1926 г. стр. 227.

³ ლ ე ნ ი ნ ი, სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ., გვ. 209.

კერძოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ძლიერ ცოტა არამ ვიცით ზნეობრივი აღზრდის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ.

ჩვენს საკითხს სწორედ მორალური აღზრდის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების გარკვევა შეადგენს. ამიტომ ჩვენი მიზანი არაა აღამიანის ზნეობრივი ნორმების შერჩევა და არც მისი ქცევის ნორმების დადგენა. აღამიანის ქცევის ნორმების როგორც განსაზღვრა, აგრეთვე ამ ქცევის სახეთა შერჩევა ეს შეიძლება მხოლოდ ეთიკის ამოცანად იქნეს დასახული და არა პედაგოგიური ფსიქოლოგიისა. ჩვენს ამოცანად ვთვლით ძირითადად იმ მეთოდებისა და საშუალებების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ლირებულებათა შეფასებას, რაც ზნეობრივ აღზრდისათვის გამოიყენება და შევეცდებით მოვნახოთ ის საფუძვლები, რომლებითაც ზნეობრივი შეგნება და ზნეობრივი მოქმედება ყალიბდება.

II

1. დავიწყოთ პირველყოვლისა მორალის განმარტებიდან. რა არის მორალი ანუ ზნეობა? როდის, რა შემთხვევაში ხდება საჭირო, რომ აღამიანი ზნეობას იმოწმებს და მის საფუძველზე სხვა აღამიანთა შეფასებას ახდენს?

მორალის საკითხი განსაკუთრებით გამოკვეთილად იქ ისმის, სადაც ცალკე ინდივიდის ქცევა ან ეგუება ან არ ეგუება კოლექტიკისა და საზოგადოების მიერ შემუშავებულ, საზოგადოდ აღიარებულ და მიღებულ აღამიანის ქცევის წესებს. ქცევის შეუსაბამობა ვლინდება ინდივიდის ისეთ მოქმედებაში, რომელიც ეწინა-აღმდეგება კოლექტივის საერთო ყოფისა და ცხოვრების წესებს ან მის სურვილებსა და ამოკანებს. ყოველ ასეთ შემთხვევებში კოლექტივი გმობს პიროვნების ამგვარ ქცევის და აცხადებს მას ამორალურ მოქმედებად ანუ არაზნეობრივ მოქმედებად.

პირიქით, აღამიანის მოქმედება ითვლება ზნეობრივად, როცა იგი საზოგადოების ან კოლექტივის მოთხოვნილებებს და ინტერესებს არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ მათ ნიაღაზე არის აღმოცენებული და მათ დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. აქედან ცხადია, რომ მორალი მხოლოდ აღამიანის ქცევაში ვლინდება, ქცევაში, სადაც ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესთა ურთიერთობის საკითხი ისმის; სადაც საჭირო ხდება ინდივიდის ქცევა შეფასებული იქნას სხვა აღამიანების ან კოლექტივის ინტერესთა, შეხედულებათა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

პიროვნების დამოკიდებულება საერთო ცნოვრების წესებთან, შეახთან, სხვა ადამიანებთან, მისი დამოკიდებულება შრომისიღმი, შაზოგადოებრივ და კერძო საკუთრებისადმი, მისი მოქმედება კოლექტივისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და სხვა, სადაც ადამიანთა ინტერესები ერთმანეთში იხლართებიან, წარმოადგენს ადამიანის ზნეობრივი მოქმედების სფეროს. აქ მუღავნდება ადამიანის ზნეობა. აქ ხდება მისი გამოვლენა და აქაა საჭირო პიროვნების ქცევის შეფასება კოლექტივის ინტერესთა გათვალისწინების საფუძველზე.

როგორც ეხედავთ, ზნეობის ცნებაში იგულისხმება პიროვნების ეცევის წესები, პიროვნების მოქმედების წესების „კოდექსი“. სწორედ ამიტომაც, რომ ზნეობას ანუ მორიალს ადამიანები იქ ხედავენ, სადაც ინდივიდი მთელ ნებისმიერ მოქმედებას კოლექტივის ინტერესებს უმორჩილებს, ხოლ უზნეობას კი იქ, სადაც ინდივიდის მოქმედება კოლექტივის მიერ შექმნილ ზნეობრივ შეხედულებებს და შოთოვნილებებს ეწინააღმდეგება.

2. მაგრამ დგება საკითხი: საიდან იქმნება ადამიანის მოქმედების შესახებ განსაზღვრული შეხედულებანი და როგორ ყალბდება ადამიანთა მოქმედების წესების ერთგვარი „კოდექსი“?

არის თუ არა ეს ზნეობრივი ნორმები ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი კატეგორია, რომელიც სავალდებულო უნდა ჰყოს ყოველი ეპოქის და ყოველი კლასის ადამიანებისათვის?

დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, რომელიც ერთად-ერთი კეშმარიტი თეორიაა, და რომელიც შექმნეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინმა, ზნეობას თვლის ისტორიული კატეგორიის მოვლენად. ამ თეორიის მიხედვით ადამიანების მიერ არსებობის საშუალებათა წარმოება ანუ მატერიალური ყოფა ის ბაზისია, რომელზეც აღმოცენდება რელიგია, პოლიტიკა, ზნეობრივი ნორმები და მთელი იდეალური სამყარო. ამიტომ იდეალური მხარის გაგება და მისი ახსნა, მხოლოდ მატერიალური ყოფიდან გამოსვლით უნდა ხდებოდეს. კერძოდ ზნეობაც, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, უნდა განხილულ იქნას მატერიალურ ყოფასთან დაკავშირებით, როგორც ამ უკანასკნელის ზედნაშენი.

„ისტორია გვიმტკიცებს, —წერს სტალინი, —რომ თუ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი აზრებითა და სურვილებით იმსპეციალებოდნენ ადამიანები, ეს იმის ბრალია, რომ სხვადასხვა დროს ადამიანები სხვადასხვანაირად ებრძოდნენ ბუნებას თავიანთი

მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად, და ამის თანახმად მათთ ეკონომიური ურთიერთობანიც სხვადასხვანაირად ეჭყობოდა. დრო იყო, როცა ადამიანები საერთო ძალლონით, პირველყოფილი კომუნისტური წესით ებრძოდნენ ბუნებას, მაშინ მათი საკუთრება კომუნისტური იყო, და ამიტომ იყო, რომ მაშინ შენ-ჩემობისა თითქმის არა ესმოდათ-რა, მათი შეგნებაც კომუნისტური იყო. დადგა დრო, როცა წარმოებაში შენ-ჩემობა შეიპარა, მაშინ საკუთრებამაც კერძო, ინდივიდუალისტური ხასიათი მიიღო, და ამიტომ იყო, რომ ადამიანები შეგნებულ შენ-ჩემობით გაიმსჭვალა. დგება დრო, დღევანდელი დრო, როცა წარმოება ისევ საზოგადოებრივ ხასიათს იღებს, მაშასადამე, ჩქარა საკუთრებაც საზოგადოებრივ ხასიათს მიიღებს,—და სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანების შეგნებაც თანდათან სოციალიზმით იმსჭვალება”¹.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით ადამიანთა ზნეობრივი შეხელულებანი, როგორც ამის შესახებ არა ერთხელ სხვაგანაც შიუთითებიათ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს, წარმოიშობა და ყალიბდება ადამიანთა პრაქტიკიდან, მათ პრაქტიკულ ურთიერთობაში. საზოგადოების შექმნის დასაწყისიდანვე ადამიანთა ისეთი ურთიერთობანი, როგორიცაა დამოკიდებულება თემისადმი, გვარისადმი, ოჯახისადმი, მამაკაცისა ქალისადმი და ქალისა მამაკაცისადმი და სხვა, „...იქცეოდა საყოველთაოდ მიღებულ ფსიქოლოგიურ მიზანდასახულებად, საზოგადოებრივ მორალად“ (კალინინი)².

3. მაგრამ ეს საზოგადოებრივი მორალი, რომელიც ადამიანთა საზოგადოების გარიერაუზნევე შეიქმნა, არ დარჩენილა სამუდამო „საყოველთაო მიღებულ ფსიქოლოგიურ მიზანდასახულებად“. ის დროთა განმავლობაში იცვლებოდა, როგორც ადამიანური შეგნების ერთ-ერთი ფორმა.

მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტში“ სწერდნენ, რომ „ნუთუ ლრმა მოსაზრებაა საჭირო იშის გასაგებად, რომ ადამიანთა საარსებო პირობებთან, მათ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, მათ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ერთად იცვლება მათი წარმოდგენანი, შეხელულებანი და ცნებანი, ერთი სიტყვით—იცვლება მთელი მათი შეგნება?“³.

იმ დროისათვის, როცა მარქსი და ენგელსი ამ სტრიქონებს სწერდნენ, მართლაც ბევრს „ლრმა მოსაზრება“ სჭიროდა, რომ

¹ სტალინი, თბილებანი, ტ. I, გვ. 295.

² მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1948 წ., გვ. 290.

³ კარლ მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1935 წ., გვ. 194.

გაეგოთ გონიერივის ანუ იდეალურის და მატერიალურის ურთიერთთან დამოკიდებულება, როგორც ბაზისისა და ზედნაშენისა. ახლა კი საყოველთაო ჭეშმარიტებად ითვლება, რომ მატერიალური წარმოების შეცვლას, როგორც ბაზისისას, თან მოსდევს მთელი იდეოლოგიის, როგორც ზედნაშენის, შეცვლა.

ადამიანის ზნეობრივი შეხედულებანიც, ზნეობაც, წარმოშობისა თუ შექმნის დღიდანვე განიცდიდა ცვლილებას იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ადამიანთა მატერიალური წარმოების წესი. ფრ. ენგელსი წერს „...ადამიანებს შეგნებულად თუ შეუგნებლად თავიანთი ზნეობრივი შეხედულებანი საბოლოო ინსტანციაში პრაქტიკული ურთიერთობიდან გამოყავთ, რომელჩედაც მათი კლასობრივი მდგომარეობაა დაფუძნებული, ეკონომიურ დამოკიდებულებიდან, რომელშიც ისინი აწარმოებენ და იღებმიცემობენ“.¹

აქედან ცხადია, რომ ამ ეკონომიურ დამოკიდებულების ცვლასთან ერთად იცვლებოდა ადამიანის ზნეობრივი შეხედულებანიც; მაგრამ, არა ავტომატურად, არამედ ჩამორჩენით, როგორც ყოველი იდეოლოგიური ზედნაშენი, როგორიც არის სამართალი, რელიგია და სხვ. (კალინინი).

საზოგადოების კლასებად დაყოფას მოყვა კლასობრივი მორალის წარმოშობა. თუ პირველყოფილ უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში მაინც არსებობდა მთელი საზოგადოებისათვის საყოველთაოდ შილებული ფსიქოლოგიური მიზანდასახულება ანუ საზოგადოებრივი მორალი, ახლა კლასების წარმოშობის შემდეგ ყველა კლასში თავისი მორალი შეიმუშავა. დღემდე არსებული მორალის კლასობრივი ბუნების შესახებ ენგელსი წერს „და რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივი წინააღმდეგობით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო; იგი ან გაბატონებული კლასის ბატონობასა და ინტერესებს ამართლებდა, ან, რამდენადაც დაჩაგრული კლასი— საქმაოდ ძლიერდებოდა, წარმოადგენდა მის აღშფოთებას ამ ბატონობის წინააღმდეგ და აგრეთვე ჩაგრულთა მომავალ ინტერესებს“.²

ამრიგად, როგორც ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, მორალი არა მარტო კლასობრივია, არამედ კლასობრივ საზოგადოებაში იგი გადაქცეულია გაბატონებულ კლასის მიერ მისი ბატონობის გამართლების იარაღად, მისი ინტერესების დამცველად. დამონავებული კლასისათვის კი მორალი მომავალი ინტერესებისა და გაბატონებული კლასის წინააღმდეგ აღშფოთების გამოვლენაა.

¹ ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ., გვ. 69.

² იქვე, 1933 წ., გვ. 70.

ენგელსი „ანტი-დიურინგში“ მიუთითებს აგრეთვე, რომ „...თანამედროვე საზოგადოების სამი დიდი კლასიდან, თითოეულს, ფერდალურ არისტოკრატიას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს თავისი საკუთარი მორალი აქვს“.¹

ამრიგად, ყოველი ეპოქისა და ყოველი კლასისათვის დამახსიათებელია განსხვავებული მორალი, რომელიც იმ კლასის მოქმედებას ამართლებს, რომლის საკუთრებასაც ის შეადგენს. იცვლება რა ეპოქა და კლასის გაბატონებული მდგომარეობა—იცვლება ზნეობრივი ნორმებიც და ზნეობრივი შეხედულებანიც. ამის დასაღამისტურებლად შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანაც.

ცნობილია, რომ პირველყოფილ საზოგადოების მორალი არ კიცხავდა და მიუღებლად არ თვლიდა საზოგადოებისათვის ისეთ საზიანო მოვლენას, როგორიცაა კაციჭამიობა. ეს მოვლენა ახლა არც ერთ კულტურული ერისათვის არაა მისაღები, ხოლო იმ დროისათვის კი ეს დასაშვებად იყო მიჩნეული.

მონათმფლობელთა საზოგადოებაში მონათმფლობელის მიერ მონის მოკვლა არ ითვლებოდა ამორალურ ქცევად. პირიქით, მონების სიკვდილი იმდენად გავრცელებული იყო, რომ მას მონათმფლობელთა წრეში ჩვეულებრივ და მისაღებ მოვლენად თვლიდნენ. ასევე, ამორალურ მოქმედებად არ ითვლებოდა ბატონიმობის დროს მებატონის მიერ ყმის ქალის გაუპატიურება და სხვა.

აქედან სრულიად ნათელია, რომ არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ საყოველთაოდ მისაღები მორალი; რომ ყოველი ზნეობრივი შეხედულება იცვლება და ის, რაც ერთი ეპოქისათვის და ერთი კლასისათვის მორალურად ითვლება, მეორე კლასისათვის მიუღებელია და ამორალურ მოქმედებად ცხადდება.

4. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ყველა ეპოქისა და ყველა კლასისათვის ერთი საერთო და სამუდამოდ უცვლელი ზნეობრივი ნორმები, მაინც ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი მორალი საერთო საკაცობრიო მორალია. რა თქმა უნდა, ასეთი მტკიცება სიცრუის მტკიცებაა და ეს სრულიად აშკარა ხდება, როგორც კი ბურჟუაზიული კლასის მორალს თვალს გადავავლებთ. მართლაცდა რას წარმოადგენს ბურჟუაზიული კლასის მორალი? რას ეყრდნობა ის? რა არის მისი საფუძველი და რაში ვლინდება იგი?

ბურჟუაზიულ მორალის საფუძველი კერძო საკუთრებაა. ამ მორალით ადამიანის ქცევა მისაღებია თუ ის დამყარებულია პრინცი-

¹ ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ., გვ. 69.

პებზე: „ყველა თავისთვის მხოლოდ ლმერთი ყველასთვის“. „თუ არ იცრუებ, ვერ იცხოვრებო“ და სხვა. ამ პრინციპებიდან ნათელია, რომ ბურუუაზიულ საზოგადოებაში პიროვნებათა ინტერესები ურთიერთ დაპირისპირებულია. პიროვნება მხოლოდ საკუთარი ეგოისტური ზრახვების დაქმაყოფილებისათვის ზრუნავს და ამიტომ გასაგებია, რომ იქ „ადამიანი ადამიანის მგელია“.

ბურუუაზიული მორალის დამცველები კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოშობილ ზნეობრივ ნორმებს თვლიან საერთო საკაცობრიო ზნეობად და მოითხოვენ, რომ იგი სავალდებულოდ იქნეს აღიარებული ყველასათვის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ბურუუაზიის ეს ლაქიები თავიანთ მოქმედებაში თითონაც არ იცვენ ამ ნორმებს და ფეხქვეშ თელავენ მას. ასე, მაგ. ბურუუაზიული მორალი ქადაგებს მოყვასის სიყვარულს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ ზნეობის „მატარებელ“ კაპიტალისტთა კლასს უსაშინელესი კონკურენციის საფუძველზე ძარცვონ ურთიერთი. ბურუუაზიულ მორალს დაუშვებლად მიაჩნია სიცრუე, მოტყუება, მაგრამ ამასთან ერთად ჩვეულებრივ პრაქტიკულ ცხოვრებაში პრინციპად მიღებულია „თუ არ იცრუებ, ვერ იცხოვრებო“ და სხვ.

კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი საზოგადოების მორალი არც შეიძლება იყოს სხვანაირი. მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალიზმი, სიცრუე, მოტყუება, ფარისევლობა, მლიქვნელობა, ეგოიზმი, ცბიერება, ზნედაცემულობა, ყოყოჩა, ქედმალლობა და სხვა კოველივე ის, რაც გამოსაყენებელია სხვათა დამონებისა, მოტყუებისა და მათზე ბატონობისათვის. ბურუუაზიული მორალი თავიდან ბოლომდის სიცრუის შემცველია. მისთვის ყველაფერი მისაღებია, რაც კი კაპიტალისტების მოგებას, მუშათა კლასის ექსპლოატაციას და საერთოდ ბურუუაზიის ბატონობას გაამართლებს.

5. სულ სხვაა დიადი სოციალიზმის ქვეყნის და საერთოდ მშრომელთა ფართო ფენების ზნეობრივი ნორმები და ზნეობრივი შეხედულებანი. ჩვენი კომუნისტური მორალი სრულიად განსხვავდება ბურუუაზიული მორალისაგან. მის საფუძვლებს შეადგენს არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. სწორედ ამ საფუძვლებიდან გამომდინარეობს კომუნისტური მორალისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ნიშანი.

საბჭოთა ადამიანის მოქმედება მორალურია, თუ ის კომუნიზმის მშენებლობას ხელს უწყობს, თუ ამ მოქმედებაში მოსჩანს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი უსასღლვრო სიყვარული და მისი მტრებისადმი უდიდესი ზიზლი; საბჭოთა ადამიანის მოქმედება ზნეობრივია, თუ ამ მოქმედებით ხელს უწყობს იმ დიადი ამოცა-

ნების განხორციელებას, რაც ლენინსტალინის პარტიას და მთავრობას აქვს დასახული მიზნად. საბჭოთა აღამიანის მოქმედება ზეობრივია, თუ იგი შეესატყვისება სოციალიზმის მშენებლობიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდის აღამიანთა შეხედულებებს და ამოცანებს.

პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ხალხს ყოველთვის უნერგაფ-და და უნერგავს მომავალი ცხოვრების ნათელ მიზანსა და კომუნიზმის საბოლოოდ გამარჯვების რწმენას. პარტიამ უანსაზღვრა საბჭოთა აღამიანის მორალური სახე და მის მიერვე აღზრდილი საბჭოთა აღამიანები ყოველს ნაპიჯზე ავლენენ კომუნისტური მორალის უშესანიშნავეს ნიშნებს. კალინინის სიტყვებით რომ ვთქვათ: „შემთხვევითი არ არის, რომ კომუნისტი ამაყად თავაწეული მიღის სასიკვდილოდ და მტრებს ესვრის ღრმა რწმენით გამსჭვალულ სიტყვებს: „მე ვკვდები, მაგრამ ჩვენი საქმე ცოცხლობს და კვლავ იცოცხლებსო“. იმ წუთებში აღამიანი მთლიანად უსისხლბორცულება კოლექტივს, რომლის ინტერესები მასთვის ყველაფერზე მაღლა დგას, სიკვდილზე ძლიერია“.¹

საბჭოთა აღამიანის მორალური სახე, რომელიც მის მოქმედებაში მეღლავნდება, ნათლად გვიჩვენებს, რომ მისთვის დამახასიათებელია: მაღალი პოლიტიკური და მორალური გამოწროობა. ამ აღამიანის მოქმედების სტიმულებად ყოველთვის გამოდის საბჭოთა პატრიოტიზმის დიალი, საბჭოთა ქვეყნის ყველა ჯურის მტრებისადმი უდიდესი ზიზლი, კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა და მისი მშენებლობისათვის თავდადებული ზრუნვა. ჩვენი მორალი გულისხმობს მაღალ იდეურობას და კომუნისტურ შეგნებულობას, შტკიცე ბოლშევიკურ ნებისყოფასა და ხასიათს, სოციალისტურ ჰუმანიზმსა და კოლექტივიზმს, შეგნებულ დისკიპლინას, ინიციატივას, უდიდეს პასუხისმგებლობის გრძნობას, მაღალ გონიერივ განათლებას, სიმამაცეს, უშიშროებას, თავმდაბლობას, კულტურულ ქცევასა და სხვა. ყოველივე ეს თვისებები ძლიერად ვლინდება პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა აღამიანებში და ამ თვისებებში გვეძლევა კომუნისტური მორალი ანუ აღამიანის ქცევის წესების ერთდაგვარი „კოდექსი“. ეს თვისებები, ახლა, სოციალისტური მშენებლობიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ეპოქის აღამიანის დამახასიათებელი თვისებებია.

6. ნათელი რომ გახდეს ამ თვისებების წარმოშობის მიზეზების სულ მოკლედ მაინც პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების საკითხს უნდა შევეხოთ და მათი საფუძვლები მოვნახოთ.

¹ მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1948 წ., გვ. 32.

ცნობილია, რომ ჩაც უფრო ვითარდება საზოგადოება კულტურულად, რაც უფრო იზრდება მისი მატერიალური და სულიერი ღოვლათი, მით უფრო მეტი მოთხოვნილებანი უჩნდება მას და მის წევრებს, საზოგადოების კულტურულ წინსვლასთან ერთად იზრდება ცალქულ პიროვნებათა ინტერესები, მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი, ამასთან ერთად აგრეთვე იზრდება რაოდენობრივად და რომელობითაც ის მოთხოვნილებები, რასაც საზოგადოება თავის წევრებს უყენებს. კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხი უფრო მეტს თხოულობს ადამიანებისაგან, ვიდრე კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი. ამიტომ არის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა განსაკუთრებული სიმძაფრით მოითხოვს საბჭოთა აღამიანისაგან ზეობრივ სიფაქიზეს და მაღალ კულტურულ ქცევას.

პიროვნული და საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები ბურუუაზიულ სახელმწიფოებში ყოველთვის ანტაგონისტურ ურთიერთობაში არიან. პიროვნული ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და პირიქით საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი ბორკავს პიროვნების მოთხოვნილებებს, ახშობს მას და არ აძლევს დაქმაყოფილების საშუალებას. ბურუუაზიულ სახელმწიფოებში პიროვნების ღირსება, პიროვნების ინტერესები ჩახშობალია, ჩვენთან კი, საღაც მოსპობილია კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, საღაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, საღაც მასების განთავისუფლების ნიაღაზე პიროვნებაც განთავისუფლებულია, არა თუ შესაძლებელია პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შეხამება, არამედ ას უკვე ვანხორციელებულიც არის. ჩვენთან, სოციალიზმის ქვეყანაში, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები ერთ მალიანობაშია მოცემული. ჩვენთან რამდენად მეტს მუშაობს ინდივიდი საზოგადოებისათვის, კოლექტივისათვის, იმდენად მეტად ხორციელდება მისი პირადი სურვილები და იმდენად მეტად კმაყოფილდება მისი პირადი მოთხოვნილებანი. საბჭოთა ადამიანი ახლა აზროვნობს არა ინდივიდუალიზმის, არამედ კოლექტივიზმის საფუძველზე. იგი თავის მე-ს თვლის დიდი კოლექტივის ნაწილად და მთელს მოქმედებას ამ კოლექტივის საკეთილდღეოდ წარმართავს. საბჭოთა ადამიანები ღიღი ხანია ღარწმუნდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არის შექმნილი ადამიანის ყოველმხრივად განვითარების პირობები: მხოლოდ აქ, ჩვენთან არის პიროვნების ინტერესების დაქმაყოფილების სრული შესაძლებლობა.

7. ახლა შეცვლილია საბჭოთა ადამიანის მთელი ფიქიური სტრუქტურაც, გარემოსადმი, საკუთრებისა და საზოგადოებრივ

დოვლათისადმი დამოკიდებულებაც. საბჭოთა აღამიანები სახელმწიფოს ინტერესებს, კოლექტივის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პირად სურვილებს. მათ საზოგადოებრივი საკუთრება მიაჩინათ პირადი ბედნიერების წყაროდაც. საბჭოთა აღამიანი უვლის და იცავს მას; მუშაობს ენერგიულად ამ საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისათვის იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს თითონ პიროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებასაც. ჩეგნთან ახლა აღამიანებს სამოქმედო პრინციპებად წადაქცეულო აქვთ „საკუთარი ინტერესების შეთავსება საზოგადოებრივ ინტერესებთან“, ამასთან საზოგადოებრივი ინტერესების მაღლა დაყენება და მისდამი თავისი მოქმედების დამორჩილება. საბჭოთა სახელმწიფომ ყოველგვარი ბედნიერება მისცა საბჭოთა აღამიანს. ამიტომ ეს უკანასკნელი მაღლა აყენებს მის ინტერესებს; საბჭოთა აღამიანისათვის სოციალისტური სამშობლო ყველაზე უფრო ძირფასი და საყვარელია. მასში ჩეგფს ნაციონალური ღირსების გრძნობა. მას შეგნებული აქვს, რომ ჩვენი საბჭოთა წყობა, საბჭოთა სისტემა უკეთესი სისტემა, ვიდრე ბურუჟაზიული; ჩვენი მეცნიერება ბურუჟაზიულ მეცნიერებასთან შედარებით უფრო წინ დგას, საბჭოთა აღზრდის მთელი სისტემაც უკეთესია, ვიდრე ბურუჟაზიული და სხვა. ყოველივე ამის საფუძველზე განსაკუთრებული სიყვარულია წარმოშობილი ჩვენი დიალი ქვეყნისადმი.

ახასიათებდა რა საბჭოთა აღამიანის ბრწყინვალე თვისებებს გაზითი „პრავდა“ 1948 წლის 12 ივნისის მოწინავეში წერდა: „საბჭოთა აღამიანი ამაყობს იმით, რომ მისი ქვეყანა კაცობრიობის ავანგარდში სდგას, რომ მასში აგებულია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, სოციალისტური საზოგადოება, შექმნილია ყველაზე პრაგრესიული იდეოლოგია და კულტურა, განხორციელებულია სოციალისტური დემოკრატია, გამოჭედილია თანასწორუფლებიანი ხალხების მტკიცე მეგობრობა. საბჭოთა აღამიანები ღირსეულად და სიამაყით ატარებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქის სახელს... საბჭოთა აღამიანის ღირსება არ შეიძლება იყიდო და გაჰყიდო. ოგი არ ფასდება ოქროთი“ (გაზ. „პრავდა“, 12/VII-48 წ.).

საბჭოთა აღამიანის ღირსება სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის ღირსებაა და მას იცავს არა მარტო მისი მატარებელი პიროვნება, არამედ მთელი სოციალისტური საზოგადოება, პარტია, ხელისუფლება, მთელი ხალხი. სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა მოქალაქის ინტერესები კი არ ემიჯნება საზოგადოების ინტერესებს, არამედ მას ემთხვევა. ამითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ ჩვენთან მოხუცი, თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ყველა ერთნაირად

გამსჭვალულია ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით და მისთვის თავდადების გრძნობით. კერძოდ, ჩვენმა ახალგაზირდობამ სამამულო ომში გმირული ბრძოლით და ზურგში თავდადებული შრომით დაამტკიცა, რომ მას გააჩნია ყველა ის თვისება, რასაც ცხოვრება და ჩვენი სამშობლო მოითხოვს. ჩვენი ახალგაზირდობა იყო და არის კომუნიზმის არა მარტო აქტიური მშენებელი, არამედ სოციალისტური ქვეყნის მტკიცე დამცველიც. მას უსაზღვროდ უყვარს სამშობლო და ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს მისი დიდებისა, დაცვისა და გაფურჩქვნისათვის.

8. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მეტი შესაძლებლობაა პიროვნების ინტერესების დაკმაყოფილებისა, მისი ნიჭისა და უნარის გამოვლინებისა, მისი ყოველმხრივ განვითარება-გაფურჩქვნისა, ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ფრონტზე წარმოიშვნენ სრულიად ახალი უნარისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანები. ახლა, აუარებელი ნოვატორები გვყავს ქალაქის მრეწველობასა, სოფლის მეურნეობასა და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მრავალმა მათგანმა დაიმსახურა სოციალისტური სამშობლოსაგან უმაღლესი ჯილდოები—სტალინური პრემიები, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სამშობლოს გმირის სახელწოდებები და სხვა. ყოველივე ეს კიდევ უფრო ხელს უწყობს ადამიანთა მთელი შესაძლებლობების გამოვლენას და პიროვნებათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საბჭოთა წყობის ერთ-ერთ "მნიშვნელოვან მონაპოვარს ის გარემოება წარმოადგენს, რომ საბჭოთა ადამიანები ყოველმხრივ მაღლა დგანან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით. ისინი თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ გარემოსადმი. არსებითად შეცვლილია მათი ზნეობრივი სახე, ხასიათი, ტემპერამენტი, მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, ოჯახისადმი; ხალხისადმი. უქტომბრის რევოლუციით განთავისუფლებული ადამიანი, რომელიც აწლა კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ეპოქის ადამიანია, არსებითად გარდაქმნილია.

დიდმა სტალინმა დაახასიათა რა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა სამამულო ომში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლის თავზე აღნიშნა: „საბჭოთა ადამიანები ბევრ აუცილებელ რამეს იქლებდნენ, შევნებულად იტანდნენ სერიოზულ მატერიალურ გაჭირვებას, რათა მეტი მიეცათ ფრონტისათვის. ახლანდელი ომის უმაგალითო სიძნელეებმა კი ვერ გასტეხს, არამედ კიდევ უფრო გამოაწრთეს საბჭოთა ხალხის რკინისებური

ნებისკოფა და მამაცური სულისკვეთება. ჩვენმა ხალხმა საშართლი-ანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი".¹

საბჭოთა აღაშიანებისა და ხალხის განსაკუთრებული თვისებები და ყოველდღიური წინსვლის სურათი მოცემულია ამხ. ედანოვის იმ მოხსენებაშიც, რომელიც მიეძღვნა უურნალებს „ზვეზდასა“ და „ლენინგრადს“. აი რას ვკითხულობთ ამ მოხსენებაში: „სად ნახავთ ისეთ ხალხს და ისეთ ქვეყანას, —წერს უდანოვი, —როგორიც ჩვენია? სად ნახავთ აღამიანთა ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც გამოიჩინა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დიდ სამაშულო ომში და როგორსაც იგი ყოველდღე იჩენს შრომითს საქმეებში, მშვიდობიან განვითარებაზე და მეურნეობასა და კულტურის აღდგენაზე რომ გადავსდა! ჩვენი ხალხი ყოველდღე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხეალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღესა ვართ. ჩვენ ის რუსები აღარ ვართ, როგორიც 1917 წლამდე ვიყავით, რუსეთიც ის აღარ არის, ხასიათიც უკვე სხვა გვაქვს. ჩვენ გამოვიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შესცალეს ჩვენი ქვეყნის სახე“.²

ბურუჟაზიული ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს არა ერთხელ აღუნიშნავთ; რომ ყოველგვარ კომუნისტურზე ლაპარაკი უტოპიაო, აღამიანის ბუნების კერძო საკუთრების ინსტიქტი თან ახლავს და ამიტომ „კერძო საკუთრების მოსპობა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ პირველად აღამიანის ბუნება არ იქნა შეცვლილიო“.

დე, საბჭოთა ხალხის მაგალითზე დარწმუნდნენ ეს ე. წ. „შეცვლე-ვარები“, რომ არა მარტო კერძო საკუთრების მოსპობა შეიძლება და ამით აღამიანის ბუნება არ დაირღვევა, არამედ სწორედ საწარ-მოო საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმების შედეგად იცვ-ლება თითონ აღამიანის ბუნებაც. ე. წ. „კერძო საკუთრების ინს-ტიქტი“ თვის ძალას კარგავს ჩვენთან, სადაც საწარმოო იარაღებ-ზე კერძო საკუთრება მოსპობილია. „კერძო საკუთრების ინსტიქ-ტი“ (თუ კი მას ინსტიქტად ჩავთვლით), საწარმოო საშუალებებ-ზე კერძო საკუთრების შედეგია და არა პირიქით.

საბჭოთა აღამიანის ბუნების შეცვლისა და მისი ახალი კომუნისტური მორალის წარმოშობის სოციალური საფუძველია. ჩვენში რქომბრის რევოლუციის შედეგად წარმოშობილი ახალი საზორ

¹ სტალინი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, XXVII წლისთავი.

² უდანოვი, მოხსენება უურ. „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ (იშ. „შნა-თობი“, № 9-10, 1946 წ.).

ზედომებრივი წყობილება, ახალი მატერიალური ყოფა, ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული წყობილება. აი, ის საფუძვლები, რამაც წარმოშვა ახალი მორალი, კომუნისტური მორალი და რამაც შესცვალა მთლიანად ადამიანის ბუნება. ამ ცვლილების პროცესი კი დღითი-დღე ძლიერდება თვით მატერიალური ბაზისის ცვლასთან დაკავშირებით.

III

1. ჩვენი ამოცანაა მოვნახოთ ზეობრივი აღზრდის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები. მაგრამ რა იგულისხმება ზეობრივ აღზრდაში? კონკრეტულად რაში მდგომარეობს მისი არსი?

ზეობრივი აღზრდის არსს ზოგი ხედავს ზეობრივ წარმოდგენათა გამომუშავებაში, ზეობრივი შეგნების ან ზოგადად გონების განვითარებაში. ასეთია ჰერბარტისა და საერთოდ ინტელექტუალისტური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულება.

მათგან განსხვავებით რომანტიკოსი პედაგოგები გულისხმობენ, რომ ზეობრივი აღზრდა ხორციელდება მოზარდი თაობის გრძნობებზე ზემოქმედებით, ხოლო პრაგმატიკოსების აზრით კი ნების-ყოფაზე ზეგავლენის მოხდენით.

ამ ოჯახციონული თეორიების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ადამიანი არც ცალკე გრძნობათა სფეროს წარმოადგენს, არც ინტელექტს და არც ნებელობას. ცალკე აღებულ ამ სფეროთაგან ზე ზემოქმედება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანზე ზემოქმედებას. როგორ შეიძლება ზეობრივი აღზრდა ისე განხორციელდეს; რომ თითონ პიროვნებაზე არ ვმოქმედებდეთ? ცხადია, მარტო გრძნობების აღზრდა, ან მარტო ნებისყოფის, ან ინტელექტისა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს პიროვნების აღზრდას. ავილოთ მაგალითისათვის, თუ გინდ გრძნობებზე ზემოქმედების საკითხი. განა შეიძლება გრძნობათა სფეროში რაიმე ცვლილებების გამოწვევა პიროვნებაზე ზემოქმედების გარეშე? რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ესეც რომ არ იყოს, ვთქვათ მოვახდინეთ პიროვნების გრძნობებში განსაკუთრებული ცვლილებანი, ე. ი. გამოვიწვიეთ სურვილები და გავაძლიერეთ ის. რას მივაღწევთ ამით ზეობრივი აღზრდის თვალსაზრისით? ჩვენი აზრით, სასარგებლოს ვერაფერს. მართალია, ვინც ძლიერად გრძნობს, ე. ი. ვისაც ძლიერი გრძნობები აქვს, იგი ძლიერ სწრაფეასაც განიცდის მოქმედებისაკენ, მაგრამ განა ჩვენი სურვილების თუ გრძნობების საფუძველზე წარმოშობილი ყოველი მოქმედება ზეობრივი მოქმედება იქნება? განა ზეობრივი მოქმედება არ გულისხმობს განსაზღვრულ შეგნებულ მიზნობრივ მოქმედებასაც და, მაშასადამე, გონებრივ მოქმედებასაც? მოკლედ, სურვილების გამომუშავება არ ნიშნავს ზეობრივ მოქმედებას და ვერც გავხდით მას

ზნეობრივი აღზრდის დასაყრდენად. არაფერს ნიშნავს აგრეთვე ცალკე ზნეობრივი წარმოდგენების შექმნა. როგორც ქვემოდ დავინახავთ, აღამიანის შეიძლება პენდეს ზნეობრივი შეგნება, მაგრამ ვერ იქცეოდეს ზნეობრივად. გარდა ზნეობრივი შეგნებისა კიდევ სხვა რამ არის საჭირო, რომ აღამიანი ზნეობრივად მოიქცეს. იგივე ითქმის ნებისყოფის შესახებაც. ზნეობრივი მოქმედება ნებისმიერი მოქმედებაა და მას განსაზღვრული სტიმულები უძევს საფუძვლად. საიდან უნდა მიიღოს ადამიანის ნებელობამ ეს სტიმულები, თუ სათანადო სიმაღლეზე არ ექნება განვითარებული პიროვნებას ინტელექტუალური და გრძნობითი სფერო? ცხადია, არსაიდან. შოკლედ, ზემოაღნიშნული თეორიები ამ საკითხებში ვერავითარ დადებით პასუხს ვერ იძლევიან. იდეალისტური თეორიების ეს ნაკლი იმითაც არის გამოწვეული, რომ მათი წარმომადგენლები დგანან ნაწილობრივ, თვალსაზრისშე და ადამიანის აღზრდის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვის დროს არ ამოდიან შთლიანიდან. მათ არ ესმით, რომ ზნეობრივად აღზრდა ხდება არა ადამიანის ერთი სფეროსი, ან ერთი ნაწილისა (გრძნობის, ინტელექტის, ნებელობის), არამედ მთლიანი პიროვნებისა; რომ მთელი პიროვნების შეცვლაა მთავარი და არა მის ნაწილებში ცვლილების მოხდენა.

2. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ბავშვის ზნეობრივად აღზრდისათვის სრულიად აუცილებელია ერთსა და იმავე დროს ვიმოქმედოთ როგორც მის გრძნობებზე, ისე მის ინტელექტზე და ნებისყოფაზე. ამასთან ამ აზრის ჭრილობების ნათელყოფისათვის მოყავთ უშინსკის ცნობილი აზრი, „რომ ცოცხლობ, მაშასადამე გრძნობ, აზროვნობ და მოქმედობ“ და გოვთეს შემდეგი გამოთქმა „ქვეყანაზე აზროვნება აღვილია, მოქმედება ძნელი, ხოლო მოქმედება აზრის მიხედვით უძნელესიო“. ¹

ჩვენის შეხედულებით მთლიანობითი თვალსაზრისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მომარჯვებული, როცა ვაღიარებთ არა ცალკე გრძნობებზე, ინტელექტზე და ნებისყოფაზე ზემოქმედების საჭიროებას, არამედ პიროვნებაზე როგორც მთელზე მოქმედების საჭიროებას. საჭიროა თითონ პიროვნებაზე, როგორც მთელზე ვიმოქმედოთ და შეცვალოთ. პიროვნების როგორც მთელის შეცვლით კი შეცვლება ზნეობრივი მოქმედებისათვის საჭირო მისი ინტელექტიც, მისი ნებისყოფაც და მისი გრძნობებიც.

3. მაგრამ რა იგულისხმება მთლიანი პიროვნების შეცვლაში? ან მის მორალურ აღზრდაში? სად, რა თვისებებში უნდა გამოჩნდეს, რომ ესა თუ ის პიროვნება ზნეობრივად აღზრდილია?

¹ Методы нравственного воспитания, № 6, 1946 г., стр. 10.

ჩვენი სკოლის მოსწავლეთა მორალურ აღზრდაში პირველყოფა ლისა გულისხმობენ მათი მაღალი იდეურობის, კომუნისტური შეგნებულობისა და მაღალი ზნეობრივი გრძნობების განვითარებას; მათში კომუნისტური მოქმედების ჩვევათა და ჩვეულებათა დანერგვას, ბოლშევიკური ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდას და მათ მომზადებას სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული საბჭოთა მოქალაქის ვალდებულებათა შეგნებულად შესრულებისათვის.¹

მორალური აღზრდის ამგვარი გაგება, ჩვენი აზრით, ზუსტი არ არის, მყითხველს მოეხსენება, რომ იდეური აღზრდა, ხასიათის აღზრდა, ნებისყოფის აღზრდა და სხვა, პედაგოგიკის ცალკე პრობლემებია და მათი აღზრდის ცალკე მეთოდები და პრინციპებიც არის გამონახული. მაშ რაღა რჩება ზნეობრივ აღზრდაში განსახილველი, ან რატომლა უნდა დადგეს ზნეობრივი აღზრდის საკითხი ცალკე, თუ კი მასში მხოლოდ ისეთ ცალკე საკითხებს ან ამ საკითხთა ჯამს ვიგულისხმებთ, რომლებიც პედაგოგიკაში ცალ-ცალკეა დამუშავებული. თუ ზნეობრივი აღზრდა საერთო სახელწოდებაა აღამიანის ცალკე მხარეების თუ თვისებათა აღზრდისა და მეტი არაფერი, მაშინ ეს გასაგებია. მაგრამ თუ ზნეობრივი აღზრდა სპეციფიკურ რამესაც შეიცავს, მაშინ განმარტებაში სწორედ ამაზე უნდა იყოს მითითებული.

ჩვენი აზრით ზნეობრივ აღზრდაში აღამიანის ზნეობრივი აღზრდის მეტი არაფერი არ იგულისხმება. ზნეობრივად აღზრდილი აღამიანი კი თავის მოქმედებაში ავლენს მაღალ იდეურობას და კომუნისტურ შეგნებულობას, საბჭოთა აღამიანისათვის დამახასიათებელ მაღალ გრძნობებს, კომუნისტურ ჩვევებსა და ჩვეულებებს ამჟღავნებს ბოლშევიკურ ხასიათსა და ნებისყოფას და ულიდეს პასუხისმგებლობის გრძნობას კოლექტივისაღმი, პარტიისაღმი, სამშობლოსაღმი, იჩენს კონსტიტუციით გათვალისწინებული საბჭოთა მოქალაქის ვალდებულებათა შეგნებულად შესრულების უნარსა, ხალისს და სხვა. მაგრამ ასეთი აღამიანის აღზრდა ისე კი არ უნდა ვეცადოთ, რომ მას ცალკე ან ნებისყოფა, ან ხასიათი, ან კომუნისტური შეგნებულობა და სხვა თვისებები აღვუზარდოთ, არამედ ზნეობრივი აღზრდა მთლიანად პირვენებას, როგორც მთელს უნდა შეეხებოდეს. აღამიანის ცალკე მხარეების (ნებისყოფის, გრძნობების; ხასიათის და სხვა) აღზრდას, რა თქმა უნდა, უაღრესად დი-

¹ Н. И. Болдырев, доцент, К-т педаг. наук, О принципах и методах воспитания коммунистич. морали в советской школе, журн. Совет. пед., № 7, 1947 г., стр. 38.

და მნიშვნელობა აქვს მისი ზნეობრივად გაკეთილშობილებისათვის. მაგრამ, როცა საკითხი ცალკე ზნეობრივი აღზრდის შესახებ დგას, მაშინ საჭიროა მთლიანი პიროვნების შეცვლის თვალსაზრისი მოვიჩ მარჯვოთ.

4. აქევ უნდა დავიყენოთ დისკიპლინისა და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთისაგან განსხვავების საკითხი. მართლაცდა რა განსხვავება დისკიპლინის აღზრდასა და ზნეობრივ აღზრდას შორის? ხომ არ ფარავს ეს ორი ცნება ურთიერთს? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისია თუ არა, რომ ადამიანში განსაზღვრულ მოთხოვნილებებისადმი თუ წესებისადმი დამორჩილების უნარი შევიმუშაოთ (დისკიპლინის აღზრდა) და ამით იგი ზნეობრივადაც აღზრდილად ჩაითვალოს? მოკლედ, დისკიპლინის მქონე ადამიანი და მაღალი ზნეობის მქონე ადამიანი ერთნაირი მნიშვნელობის ცნებებია თუ არა?

დისკიპლინის ცნების ქვეშ უფრო ხშირად და უფრო მართებულად გულისხმობენ იმ უნარსა და თვისებას, რომლის საშუალებითაც პიროვნება თვის მოქმედებას წინასწარ განსაზღვრულ წესებს უმორჩილებს. დისკიპლინა ეს არის განსაზღვრული წესებისა. ან განსაზღვრული რეუიმისადმი დამორჩილების უნარი. დისკიპლინის ცნებაში ზოგჯერ თითონ განსაზღვრულ წესებსაც ანუ რეუიმსაც გულისხმობენ, მაგრამ როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ა. მოსიავა¹ დისკიპლინის ცნების ეს მეორე მნიშვნელობა ამ მოვლენის ნამდვილ არსე ვერ გამოხატავს. რეუიმი მხოლოდ რეუიმია და შეუძლებელია ის დისკიპლინა იყოს. მაკარენკოს აზრით რეუიმა დისკიპლინის აღზრდის საშუალებაა და არა თითონ დისკიპლინა. გამოთქმებში, რომ „დისკიპლინა ყველასათვის საგალდებულოა“, „დისკიპლინას ყველა უნდა დაემორჩილოს“, „დამყარებულია მქაცრი დისკიპლინაო“, და სხვა იგულისხმება რეუიმი და არა დისკიპლინა. დისკიპლინის ნამდვილი მნიშვნელობა კი, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ესაა განსაზღვრულ წესებისადმი პიროვნების დამორჩილების უნარი, პიროვნება ხდება დისკიპლინიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თვის ქცევას ისე წარმართავს, როგორც ამას წინასწარ განსაზღვრული რეუიმი მოითხოვს: დისკიპლინიანი პიროვნება ქცევას განსაზღვრულს ჩარჩოებში ათავსებს და როცა ჩვენ მოსწავლეში დასკიპლინის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს, რომ მას განვუვითაროთ

¹ იქ. ალ. მოსიავას სტატია, სკოლაში დისკიპლინისა და ორგანიზირებულობის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები. საქ. სსრ პედ. მეცნ. ინსტ. შრომები „პედაგოგიკა“ № 11, 1944 წ.

სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში და მთელ გარემოში შექმნილ წესები-საღმი დამორჩილების უნარი. ასეთ წინასწარ დადგენილ და განსაზღვრულ წესებისაღმი დამორჩილების შემთხვევაში ე. ი. დისციპლინიანად ქცევაში აღამიანი გრძნობს ერთგვარ აქტიობას, ერთგვარ ძალისხმევას.

როგორც ვხედავთ, წესებისაღმი აღამიანის დამორჩილების უნარის ანუ დისციპლინის ამოქმედებას განსაზღვრული მნიშვნელობით იწვევს გარეგანი ძალა ანუ ის რეფიმი, რომელშიც პიროვნება ექცევა. პიროვნება „იძულებულია“ დაემორჩილოს რეფიმს ანუ ის „იძულებულია“ ისე მოიქცეს, როგორც ამის მას სთხოვენ. ასეთ შემთხვევებში, თვითონ პიროვნება პირველად სუბიექტურად გრძნობს ერთდაგვარ მორჩილებაში ყოფნას, მაგრამ ამგვარი განცდა დიდხანს როდი გრძელდება! როგორც კი შეიგნებს იგი განსაზღვრულ რეფიმსაღმი დამორჩილების აუცილებლობას, მაშინვე მისი დამორჩილებაში ყოფნის განცდაც ისპობა და ახლა მის აღვილზე სპონტანურად დისციპლინიანად მოქცევის განწყობა წარმოიშობა. დიდი ბელადი სტალინი გვასწავლის, რომ „პირიქით, რკინისებური დისციპლინა კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს შეგნებულად და ნებაყოფლობით დამორჩილებას, ვინაიდან მხოლოდ შეგნებული დისციპლინა შეიძლება იყოს ნამდვილი რკინისებური დისციპლინა“.¹

5. ნაწილობრივ განსხვავებულია ზნეობრივი ქცევის, წარმართვის ბუნება. თუ დისციპლინიანად მოქცევის შემთხვევაში აღამიანი მაინც რაღაც გარეგან წესებისაღმი დამორჩილების „იძულებას“ განიცდის, სამაგიიროდ ზნეობრივი ქცევის შემთხვევაში ასეთი გარეგანი წარმართველი ძალა ისპობა და იგი მთლიანად შინაგანი „მე“-თი განისაზღვრება. ზნეობრივად მოქცევის ცენტრი თვითონ პიროვნებაშია. იგი, ე. ი. ზნეობრივი ქცევა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამომუშავების შემდეგ სრულიად თავისუფალია. პიროვნება, რომ იქცევა ზნეობრივად ეს მის ბუნებრივ და სპონტანურ მოთხოვნილებათა გადაქცეული. ზნეობრივი ქცევა თავისუფალია ყოველგვარი იძულებისაგან. ზემონათქვამიდან არ უნდა გამოვიყანოთ ისეთი დასკვნა, რომ ყოველგვარი ქცევა, რომელიც რეფიმისაღმი დამორჩილებას გულისხმობს, ე. ი. დისციპლინიანი მოქცევა იძულებულ ქცევად ჩავთვალოთ, ხოლო ისეთი ქცევა კი, საღაც ასეთ იძულებას აღვილი არა აქვს, ზნეობრივ ქცევად. არა, ასეთი დასკვნა მცდარი იქნება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აღამიანი მორალურად მარტო მაშინ კი არ იქცევა, როცა მის

¹ ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 75.

ქცევას მორალური მოტივები ამოქმედებს, არამედ ზოგჯერ შაშინაც, როცა ასეთ მოტივებს შეიძლება სრულებითაც არ ჰქონდეს ადგილი. ამის მაგალითები შრავალია. ასე, მაგ., როცა ადამიანი რაიმე ვალდებულებას ასრულებს, ცხადია, ესეც მორალური ქცევაა, თუმცა ამას შესაძლებელია მოტივიც არ ედოს საფუძვლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, დისციპლინიან ქცევასა და ზნეობრივ ქცევას შორის, მართალია, საზღვრის დაღება მეტად ძნელია, მაგრამ მათ შორის განსხვავება მაინც არის. დისციპლინიანობა და ზნეობრიობა ერთმანეთსაც გულისხმობენ და ურთიერთისაგანაც განსხვავდებიან. დისციპლინა პიროვნების უნარია და ამ უნარის გამომუშავება მთლიანად ვერ ფარავს პიროვნების ზნეობრივად აღზრდის არსს. ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს მთლიან პიროვნების აღზრდას, მის გარდაქმნას და სასურველი მიმართულებით შეცვლას.

6. მაგრამ როგორაა შესაძლებელი მთლიანი პიროვნების სასურველი მიმართულებით შეცვლა, ან რა ედება საფუძვლად მოქმედებას, რომ პიროვნების შეცვლით თვით ეს მოქმედებაც შეცვალოთ?

როგორც მოქმედების, აგრეთვე მთლიანად პიროვნების შეცვლა პიროვნების განწყობათა შეცვლის ნიადაგზე ხერხდება. განწყობა, რომელიც პიროვნების მთლიანი ცვლილება ანუ განსაზღვრულ მოქმედებისათვის მზაობაა, წარმოადგენს როგორც მორალური, ისე ამორალური მოქმედების საფუძველს. ზნეობრივი აღზრდის ამოცანა და არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს ზნეობრივი მოქმედების განწყობა ან ზნეობრივი მოქმედებისათვის მზაობა შევუქმნათ. ასეთ განწყობათა შექმნით კი შეიცვლება მთლიანი პიროვნებაც.

მაგრამ როგორდა შევქმნათ მოსწავლეებში ასეთი სასურველი განწყობა ანუ ზნეობრივი მოქმედებისათვის შინაგანი მზაობა? თუ რა საფუძველზე შეიძლება ასეთი განწყობის გამომუშავება? ამ საკითხზე ახლა გადავდივართ.

IV

1. ზნეობა პირველ ყოვლისა, ადამიანის მოქმედებაში, ადამიანის ქცევაში მუღავნდება. ადამიანის ზნეობრიობა სწორედ მის ქცევაში შეიძლება იქნას შეფასებული. აქედან ცხადია, რომ ადამიანის ზნეობრივი მოქმედების არსი და ბუნება შეუძლებელია გაგებული იქნას, თუ წინასწარ არ გავითვალისწინეთ საზოგადოდ ადამიანის მოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება და ამ მოქმედების გამომწვევი მიზეზები. ამიტომ მოკლედ ამ საკითხსაც უნდა შევეხოთ.

ადამიანი ოოგორც ცოცხალი არსება მთელს თავის სიცოცხლეს აქტივობაში ატარებს. ყოველ ცალკეულ მომენტში იგი ან რაიმე ფიზიკურ შრომას ეწევა, ან გონებრივს; იგი ან თამაშობს ან რამეთი ერთობა. თვით დასვენების პერიოდშიც კი მისი აქტივობა არ სწყდება, სწორედ უ. წ. დასვენების დროს მის ცნობიერებაში ამოტივტივებული სხვადასხვა საკითხები აიძულებს მას იფიქროს და იზრუნოს ამ საკითხების გაღასაწყვეტად. მსჯელობას და საერთოდ აზროვნებით ოპერაციებს, რომელთაც ადამიანი დასვენების პროცესშიც ვერ უვლის გვერდს, ხშირად სცვლის ოცნება. მაგრამ თვით ოცნებაში ყოფნაც კი, განსაზღვრული აზრით, აქტივობაში ყოფნაა და სრულ პასივობას და ადამიანის უმოქმედობას არც აქ აქვს აღგილი. მოკლედ, ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს აქტივობაში ატარებს.

ბუნებრივად ისმის საკითხი რა იწყევს ადამიანის და საზოგადოდ ცოცხალი არსების მოქმედებას, აქტივობას?

ამ კითხვაზე საყოველთაოდ ცნობილი პასუხი ასეთია. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი და კერძოდ ადამიანიც სხვადასხვა მოთხოვნილებების მქონეა. ეს მოთხოვნილებანი რომ დაკმაყოფილოს ცოცხალ არსებას ბუნებასთან ურთიერთობის დამყარება უხდება. ამ ურთიერთობის საშუალებით ანუ აქტივობით ხდება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

გამოდის, რომ ცოცხალ არსებას მოთხოვნილებანი გააჩნია და მათი დაკმაყოფილება კი მხოლოდ ორგანიზმის აქტივობით, გარემოსთან ურთიერთობის დამყარებით ხერხდება. ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. ცოცხალი ორგანიზმი მიტომ მოქმედობს, რომ იგი ამ აქტივობით, ამ ქცევით რომელიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

2. მაგრამ ოოგორ ხდება კონკრეტულად ქცევის აღმოცენება და რა როლს თამაშობს მის ბუნების შექმნაში ცალკე სხვადასხვა საზის მოთხოვნილებანი და გარემო? ოოგორია საერთოდ ქცევისა და კერძოდ იდამიანის ქცევის მექანიზმი?

აკად. დ. უზნაძის ოოგორიის მიხედვით მდგომარეობა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ. მოთხოვნილების მატარებელ ორგანიზმები განსაკუთრებით მოქმედობს მხოლოდ ის გარემო, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანს შეიცავს. მხოლოდ ასეთი გარემოა ნამდვილი შესაფერისი სიტუაცია და მხოლოდ ამ სიტუაციას შეუძლია ორგანიზმი სათანადო და შესაფერისი მოქმედებისათვის თუ ქცევისათვის განაწყოს. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნები ანუ სიტუაცია იწვევს ორგანიზმში მთლიანობითი სახის ცვლილებას ანუ განაწყობს მას (ე. ი. შეექმნება განწ

ყობა) განსაზღვრული ქცევისათვის და ამ უკანასკნელის განხორციელებით ხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილება. როგორც ვხედავთ, განწყობის შექმნაში ანუ განსაზღვრული მოქმედებისათვის მზაობის შექმნაში ერთსა და იმავე დროს მონაწილეობს როგორც მოთხოვნილება, ისე სიტუაციაც. ცალ-ცალკე მათ ქცევის წარმოშობა არ შეუძლიათ, ხოლო ორივე ერთად კი მისი წარმოშობის პირობებია.

როცა ორგანიზმში მთლიანობითი ხასიათის ცვლილება მოხდება, ე. ი. როდესაც მას განსაზღვრული განწყობა შექმნება, ამის შემდეგ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგნები ან სიტუაცია ძლიერად იზიდავს მას მოქმედებისაკენ (მაგ. მშიერს საჭმელი, მწყურვალს წყალი და სხვ). თუ კი ორგანიზმს ხელი არაფერმა შეუშალა, ის შესაფერისად მოიქცევა და ამით მოთხოვნილებას იქმაყოფილებს. ასე ხდება დაახლოებით მოთხოვნილების დაკმაყოფილება ცხოველებში. ცხოველს როგორც კი გაუჩნდება რომელიმე იქტუალური მოთხოვნილება, ეს უკანასკნელი შესაფერის სიტუაციაში მაშინვე მოქმედებაში გადადის იმპულსური ქცევის საშით. ცხოველის ასეთი მოქმედება ჯერ ერთი გაუცნობიერებელია და მეორეც—მისი მექანიზმი დაბადებიდან თანდაყოლილია. მაგ. მშიერიძალლი საჭმლის მიუკრებისას ლეპვას და მის გადაყლაპვასაც იწყებს იმის შიუხედავად, რომ მისთვის ლეპვის მოძრაობანი არავის უსწავლებია. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ ცხოველი თავის მოთხოვნილებებს იქმაყოფილებს არაცნობიერი მოქმედებითო.

3. სულ სხვა მდგომარეობას აქვს აღგილი აღამიანთან. აღამიანი როგორც ვიტალურ, ისე მაღალ მოთხოვნილებებს იქმაყოფილებს წებისყოფის გამოყენებით, ცნობიერად, შეგნებულად. აღამიანს თავისი აქტივობის სტიმული, მოთხოვნილება, გაცნობიერებული აქვს და ამიტომ მისი მოქმედება შეუცნებლად კი არ წარიმართება, არამედ ცნობიერად, ცნობიერების კონტროლით. ამიტომ აღამიანის მოქმედება ანუ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხერხი თუ ფორმა ერთსა და იმავე დროს ცნობიერიცაა და მიზანწარმართულიც. ამ მოქმედებაში აღამიანი ახორციელებს თავის მიზნებს, სურვილებს და მისწარაფებებს. ამითვე უკავშირდება იგი გარემოსამყაროს და კერძოდ, სხვა აღამიანებსაც.

ნებისმიერი ქცევა, რომელსაც აღამიანი თავის მოთხოვნილებათა დასაჯმაყოფილებლად იყენებს გაშუალებული ქცევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღამიანი ვიდრე მოქმედებას დაიწყებდეს, მანამდე უკვე აცნობიერებს შესაძლო მოქმედებას და ახდენს ამ მოქმედების აწონდაწონას, მის შეფასებას. შესაძლო მოქმედების გათვალისწინების ნიაღაგზე ე. წ. „იდეური სიტუაციის“ წარმოსახვისა და მისი

შეფასების ნიადაგზე, აღამიანის აქტუალური მოთხოვნილება პირ-დაპირ მოქმედებაში კი არ გადადის, როგორც ეს ხდება იმპულსური მოქმედების დროს, არამედ ხდება მისი დაკმაყოფილების შეჩერება და შეიძლება პიროვნებას სრულიად სხვა მოქმედების განზრახვაც გაუჩნდეს.

4. მაგრამ რა იწვევს ადამიანის აქტუალური მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილების შეჩერებას? ცხადია, მისი დაკმაყოფი-ლება არ შეჩერდებოდა, რომ ადამიანს მისი საწინააღმდევო სხვა მაღალი მოთხოვნილებანი არ ჰქონოდა. მოსწავლეს კლასში, გაკვე-თილებზეც უჩნდება ზოგჯერ ისეთი მოთხოვნილება, რომლის და-კმაყოფილება გაკვეთილის მსვლელობის დროს შეუძლებელია. მოს-წავლე თავს იკავებს ამგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა-გან იმიტომ, რომ მას აქვს სხვა ისეთი მოთხოვნილებანიც (მასწა-ვლებლისაღმი პატივისცემის, კლასში წესიერად ყოფნის, მეცნიე-რების დაუფლების და სხვ.), რომლებიც მის დაკმაყოფილებას ეწი-ნააღმდეგებიან. ასეთი მოთხოვნილებანი, მაღალი სახის მოთხოვნი-ლებანია: ზნეობრივი, ინტელექტუალური და სხვ.

ადამიანი თავისი შეგნებული მოქმედებით და მაღალი მოთხოვნი-ლებების მხედველობაში მიღებით არა მარტო შესაფერისად აწარ-მოებს ზოგიერთ დაბალი ვიტალური სახის მოთხოვნილებათა დაკ-მაყოფილებას, არამედ აპავე მაღალ მოთხოვნილებათა საფუძველზე იგი იკავებს და ახშობს მთელ რიგ დაბალ მოთხოვნილებებს. ამი-თაა შესაძლებელი, რომ ადამიანი ასე თუ ისე თავს იზღვევს ამო-რალიზმისაგან.

საზოგადოება, ცხადია, არასრუოს არ დაუშვებს თანდაყოლილ-დაბალ მოთხოვნილებათა შეუზღუდველ დაკმაყოფილებას. მას ასეთი ნაბიჯი რომ გადაედგა, ეს იქნებოდა ჯერ ერთი ადამიანთა დამორჩილება ცხოველურ მოთხოვნილებებისაღმი და მეორეც—იმ ცხოველურ იდეალებისაღმი დაბრუნება, რომელნიც, ოდესლაცი, გან-ვითარების უდაბლეს საფეხურზე მყოფ საზოგადოებას გააჩნდა. სა-ზოგადოება ადამიანის ინსტიქტურ მოთხოვნილებებს აკავებს და გარდაქმნის მათ საზოგადოების ცხოვრების პირობებისა და მოთ-ხოვნილებების შესაბამისად.

კერძოდ, საზოგადოების ზევალენით და მაღალ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზემოქმედების საფუძველზეა რომ ადამიანის თვით-ვიტალური სახის მოთხოვნილებებიც (მაგ. კვება, სუნთქვა, ზრდა და სხვა) არსებითად სახეშეცვლილია და სრულიად აღარ ჰგავს ცხოველის მოთხოვნილებებს. ადამიანის ისეთი ვიტალური სახის მოთხოვნილება, როგორიც წყურვილია, სავსებით განსხვავდება ცხო-

ველის წყურვილისაგან. ცხოველის წყურვილის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ წყლით და ისიც ყოველგვარი ხარისხის წყლით, მაგრამ აღამიანი თავის წყურვილს მარტო წყლით და ისიც ყოველგვარი წყლით როდი იქმაყოფილებს. არა, მას ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სუფთა, კარგი ხარისხის წყლით და ზოგჯერ, ლუდით ან მინერალური წყლებით. და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ აღამიანის წყურვილი ესაა არა მარტო წყლის მოთხოვნილების წყურვილი, არამედ ლუდისაც, მინერალური წყლებისაც და სხვ. აი რატომ აღვნიშნავთ, რომ თვით ვიტალური სახის მოთხოვნილებანიც ცხოველისა და აღამიანისა არსებითად განსხვავდება.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღამიანი ვიტალურ მოთხოვნილებებს იქმაყოფილებს არა უშუალოდ როგორც ამას. ცხოველებში აქვს ადგილი, არამედ მხოლოდ მაღალ მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. ვიტალური მოთხოვნილებანი ემორჩილება მაღალ მოთხოვნილებებს და პიროვნების მოქმედება არსებითად მხოლოდ ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებას ემსახურება. საბჭოთა მებრძოლები ფრონტზე ყოველივე გაჭირვებას იტანდნენ და მათ ვიტალური მოთხოვნილებანი თითქმის დავიწყებული ჰქონდათ იმიტომ, რომ მათი ქცევა არსებითად წარიმართებოდა მაღალი მოთხოვნილებებით, ფაშიზმის განაღვეურებისა და სოციალისტური სამშობლოს განთავისუფლების მოთხოვნილებებით. ასე, მაგ. ისინი ხშირად შიმშილისა და წყურვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვას თავა ანებინენ და მხოლოდ მაშინ გრძნობდნენ ამას, როცა მაღალ მოთხოვნილებას, მეთაურის ბრძანებას, ფაშისტთა მოსპობის კონკრეტულ ამოცანას შეასრულებდნენ.

ამრიგად, აღამიანი ნებისმიერად რიგ მოთხოვნილებებს იქმაყოფილებს, ხოლო სხვა რიგს კი აკავებს და ახშობს. ერთი მოთხოვნილება მას აიძულებს, რომ განსაზღვრული მოქმედება ჩაიდინოს, მეორე მას ეწინააღმდეგება და ამ მოქმედებას აკავებს და ა. შ. გრძნობები და წარმოდგენანი, რომელთაც სხვადასხვა მოთხოვნილებანი და საგნები იწვევენ, აღამიანს ეწევიან აქეთ-იქით და ამ გზით, აღამიანის ცხოვრება ხდება გონივრული და ზნეობრივი.

* აღამიანის მაღალი მოთხოვნილებანი, ცხადია, ყოველთვის იცვლებოდა და თანდათანობით ჟითარდებოდა. ისინი წარმოიშვნენ და განვითარდნენ საზოგადოების განვითარების მთელი სტორიის მანძილზე. ტყუილად კი არ აღნიშნავენ, რომ აღამიანის ცნობიერების განვითარება ფილოგენეზში სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნილებათა გაზრდასა, გართულებისა და ახალ მოთხოვნილებათა-

წარმოშობისათვე. მართლაცდა თუ ცხოველებს არ უჩნდებათ არა-
კითარი ახალი მოთხოვნილებანი (თუგინდ პირობითი რეფლექსე-
ბის გამომუშავების ნიადაგზედაც კი), სამაგიეროდ აღამიანში გა-
რემოს ზეგავლენით მოთხოვნილებანი ერთიმეორეს იწვევენ და ასე
ჩნდება სრულიად ახალი რთული მოთხოვნილებები.

თუ მაღალ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მხედველობაში მი-
ლებით ხდება დაბალი ვიტალური სახის მოთხოვნილებათა დაკმა-
ყოფილება და აღამიანის აქტივობასაც, მის მოქმედებასაც არსები-
თად ასეთი მოთხოვნილებანი უძევს საფუძვლად, მაშინ, ცხადია,
რომ ზეობრივი აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მოს-
წავლებში სწორედ მაღალ მოთხოვნილებათა შექმნა უნდა დავ-
სახოთ.

V

1. როგორ ხდება, რომ მაღალი სახის მოთხოვნილება აკავებს
დაბალი სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ცვლის იმ
ვანწყობას, რომელიც ამ უკანასკნელის ნიადაგზე შეიქმნა და, რო-
მელიც ქცევაში უნდა გაიშალოს? ან როგორაა შესაძლებელი, რომ
მაღალი მოთხოვნილებანი, რომელთაც პიროვნება აქტუალურად არ
განიცდის ქცევის პირობად ხდება?

მაღალი სახის მოთხოვნილებანი, როგორც არა აქტუალური ანუ
როგორც არა ამეამადი მოთხოვნილებანი, უშუალოდ ვერ წარმარ-
თავს ქცევას. მაგრამ ის ქმნის მოქმედების შოტივს, რომლის საჭუ-
ქველზეც უნდა ამოქმედდეს ნებისყოფა და მივიღოთ რაიმე გადა-
წყვეტილება. პიროვნების მიერ ამა თუ იმ მოქმედებისათვის გა-
დაწყვეტილების მიღება კი—არა მარტო ძველი განწყობის შეცვლას
ნიშნავს და მაშასადამე, დაბალი, აქტუალური მოთხოვნილების
დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, არამედ ახალი განწყობის შექმნა-
საც. ამგვარად პიროვნება, რომ შესაძლო მოქმედებიდან გარკვეულ
გადაწყვეტილებამდე ანუ ნებისმიერ მოქმედებამდე მიღის, ამის
საფუძველს მოტივი წარმოადგენს, რომელსაც მაღალი მოთხოვნი-
ლებანი ჰქმნის.

აღამიანი რომ თავის სიცოცხლეს განსაზღვრული სახის მოქმე-
დებაში ატარებს, იგი რომ თავის სამოქმედოთ ხან ცხოვრების ერთ
სარბერელს ირჩევს, ხან მეორეს, რომ მრავალ მოთხოვნილებიდან
ერთ-ერთს უპირატესობას აძლევს, ამას მოტივი განსაზღვრავს. მო-
ტივი აღამიანის ნებისმიერი მოქმედების საფუძველია. მოტივად
შეიძლება ჩაითვალოს აღამიანის მიღრეკილებანი, გისწრაფებანი,
სურვილები, ჩვევანი და სხვ. ეს მოტივები აიძულებენ აღამიანს

რაიმე მოქმედება ჩაიღინოს და, მაშასადამე, უმოქმედობი დან გამოვიდეს.

მოტივი არ უნდა ავურიოთ მიზნის ცნებაში. მიზანი ისაა, საითკენაც ადამიანი მიისწაფების და რასაც უნდა დაეუფლოს. მოტივი კი მოქმედების აღმძერელია, ასე, მაგ. ვთქვათ, მოსწავლემ გადასწყვიტა, რომ ასტრონომია შეისწავლოს და კიდევაც ხელი მოკიდა ამ მეცნიერების დაუფლების საქმეს. ამ შემთხვევაში მიზნად დასახულია, ან ასტრონომიის შესწავლა, როგორც მეცნიერებისა თავისთავად, ან მისი გაცნობა იმისათვის, რომ რაიმე მოხსენებისათვის არის საჭირო, ან გამოცდების ჩასაბარებლად და სხვა.

რაც შეეხება მოქმედების მოტივს, აქ შეიძლება იყოს ან ასტრონომიისადმი ინტერესი, ან მასწავლებლისადმი პატივისცემის გრძნობა, ან პირადი სახელის მოხვეჭის მისწაფება და სხვა. ასე, რომ ამ მაგალითშიც ნათლად ჩანს განსხვავება მიზანსა და მოტივს შორის (ბ. მ. ტეპლოვი).

ფსიქოლოგი ლეონტიევი ძლიერ დიდ მნიშვნელობას აძლევს ადამიანის მოქმედებათა მოტივების საკითხის შესწავლას და მას მართლაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოტივი ადამიანის მოქმედებასაც იწვევს და მის შეკავებასაც.

კერძოდ, უნდა აღენიშნოთ, რომ, როცა ზნეობრივ სფეროში რომელიმე იდეალური მისწაფება გაძლიერდება, მაშინ მისი ზეგავლენით იცვლება მოტივთა ღირებულება. ის, რაც აქამდე ადამიანის შესძლებლად ეჩერებოდა ახლა გაძლიერებული მისწაფების საფუძველზე არამარტო შესაძლებლად გამოჩნდება, არამედ მისი შესრულება იოლიც იქნება. მართლაცდა, მოტივი ააღვილებს ადამიანის მოქმედებას, ხელს უწყობს მის გამოწვევას.

2. არ უნდა ვიფიქროთ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფ. რუდიკი, რომ ნებისმიერ მოქმედებას მხოლოდ რომელიმე ერთი სურვილი ან ერთი მისწაფება ახლდეს. პირიქით, ყოველ ნებისმიერ მოქმედებას ახასიათებს ცნობიერების მრავალგვარი მდგომარეობა, რაც ე. წ. „მოტივთა ბრძოლაში“ მუღავნდება. „თვით მოტივთა ბრძოლის პროცესი განპირობებულია არა რაოდენობრივი ფაქტორით (ინტენსიონით განსხვავება), რაღაც ასეთ შემთხვევაში მოქმედება შეუფერხებლივ და განსაკუთრებული ბრძოლის გარეშე თავს იჩენდა მაშინვე ძლიერი ინტერესების მოტივთან დაკავშირებით, არამედ იგი განპირობებულია რომელობითი ხასიათის განსხვავებით“¹.

¹ проф. П. А. Рудик, Воспитание воли, №. 27. „Советская педагогика“ № 10, 1944 г., стр. 16—17.

ჭროფ: ჩუღიყი მოტივთა შორის რომელობითი განსხვავებას ხელავს და სწორედ ესაა განმსაზღვრელი იმისა, თუ რომელი მოტივის საფუძველზე წარმოიშობა ესა თუ ის მოქმედება. მოტივთა სიძლიერე რომ გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს, მაშინ, მართლაც, უოველ ძლიერ მოტივს მაშინვე უნდა მოყოლოდა მოქმედება—ყოველგარი ყოყმანისა, მსჯელობისა და ძალისხმევის გარეშე.

ზოგჯერ ადამიანის მოქმედების ან მოქმედებათა შეკავების (როგორც მოქმედების ერთი სახის) მოტივად გამოდის არა ერთი რომელიმე მოტივი, არამედ ორი და რამდენიმეც ერთად. ასე, მაგალითად, მოსწავლე რომ რომელიმე მეცნიერების შესწავლას ჰქიდებს ხელს, შეიძლება ამ მოქმედების მოტივები იყოს ერთსა და იმავე ზროს თითონ ამ მეცნიერებისადმი ინტერესი, მასწავლებლის პატივისცემა და სხვა. ამ შემთხვევაში ყველა ეს მოტივი მოქმედებას ძალას მატებს და ის უფრო იოლად სრულდება.

ამრიგად, ადამიანის მთელი მოქმედებანი მაღალი მოთხოვნილებებით შექმნილ მოტივთა ნიადაგზე არის აღმოცენებული და ის სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ. ამავე თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული ადამიანის ზნეობრივი და ამორალური მოქმედებანიც.

3. მაგრამ დგება საკითხი: მოსწავლის ქცევაც მოტივის თვალსაზრისით უნდა შეფასდეს? ცხადია, მოტივს მოსწავლის ქცევაშიც იგივე მნიშვნელობა აქვს და მისი შედევლობაში მიღება აუცილებელია. მოსწავლის მთელი მოქმედება, რომ გავითვალისწინოთ ჩვენ შევხვდებით მასში ზოგს ისეთს რამეს, რაც საყველოთაოდ მისაღებად ითვლება და ჩვენც მას კარგ და, შეიძლება ითქვას, ზნეობრივ ქცევად ჩავთვლით. მაგრამ ამასთან ერთად მის მოქმედებაშივე ყველაფერი კარგი როდი აღმოჩნდება. ზოგჯერ მოსწავლე შეუფერებლად იქცევა. იგი უხვევს საერთო წესებს სკოლისას, კოლექტივისას; მას ეტყობა ვალდებულების შეუსრულებლობა, უფროსებისადმი არა საკმაობატივისცემა და სხვა. მოკლედ, მოსწავლის ქცევაში შევხვდებით როგორც მორალურ ქცევას, ისე ამორალიზმის ნიშნებსაც.

ოჯახი როგორც კი შეამჩნევს, რომ მოსწავლე ცუდად იქცევა, ცხადია, მაშინვე იწყებს განსაკუთრებული ზომების მიღებას. იგი მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა მოსწავლის მოქმედება შესცვალოს. ამ ღონისძიებათაგან ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალება დასჯაა. მოსწავლეს სჯიან იმისათვის, რომ მან გაკვეთილები ვერ დაამზადა და მასწავლებლის საყვედური და ცუდი შეფასება დაიმსახურა. იგი ისჯება იმისათვის, რომ მთელი დღე

ქუჩაში გაატარა, თამაშში გაერთო და სკოლა გააცდინა, გავვე-
თილები გამოსტოვა. მას სჯიან იმისათვის, რომ უფროსთა წრეში
ცუდად მოიქცა და ტოლ-ამხანაგებს წაეჩეუბა. იგი ისჯება სიც-
რუისა და უფროსებისადმი უპატივცემლობისათვის და სხვა. მაგ-
რამ დასჯით მოსწავლის ქცევის შეცვლა ყოველთვის როდი-
ხერხდება. პირიქით, იმ ოჯახში, საღაც ბავშვი ხშირად ისჯება,
დანაშაული არა თუ მცირდება, არამედ მატულობს კიდევაც. და
ეს იმიტომ ხდება, რომ ბავშვის დანაშაულებრივი ქცევა ხშირ-
შემთხვევაში სწორად არ არის გაგებული და შეფასებული.

დანაშაულებრივი ქცევისათვის, სანამ მოსწავლეს დავსჯიდეთ
განამ საჭიროა გავიგოთ ამ დანაშაულის მოტივი. რა მოტივით ხელ-
შძლვანელობდა იგი როდესაც ამა თუ იმ მიუღებელ მოქმედებას
ჩადიოდა? თუ ეს წინასწარ არ იქნა გათვალისწინებული, ისე
მოსწავლის დასჯით, უთუოდ, შეკდომას ჩავიდენთ და ვერც მას
გამოვასწორებთ. მოქმედების მოტივის წინასწარი გაგება მით
უფრო აუცილებელია, რომ ხშირად გარეგნულად სრულიად ერთ-
ნაირ ქცევებს შეიძლება სხვადასხვა მოტივი ჰქონდეთ საფუძვლად
და ფსიქოლოგიურად სრულიად სხვადასხვა აზრის მატარებელი
იყვნენ.

4. პატარა მოსწავლეს თავის მოქმედებათაგან ყველაფერი ნათ-
ლად კი არა აქვს გათვალისწინებული. იგი ზოგჯერ ისე იქცევა,
რომ თავის თავს ანგარიშს არ აძლევს, არ აცნობიერებს თავის
მოქმედებას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი ხანდახან უშუა-
ლოდ ემორჩილება თავის იმპულსებს. მოკლედ, ბავშვის მოქმედე-
ბა ზოგჯერ იმპულსური ხასიათისაა და შეუგნებლად ამორალუ-
რიც. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება მოსწავლე გარდავქმნათ
ისე, რომ იგი თავის მოქმედებაში იმპულსებს არ ემორჩილებოდეს,
მაგრამ თუ მოსწავლის დანაშაულებრივი ქცევა ნებისმიერი მოქ-
მედებაა, მაშინ, ცხადია, მის გამოსწორებისათვის სხვაგვარი ზომე-
ბის მიღება მოგვიხდება.

ამისათვის კი, პირველყოვლისა, საჭიროა მოსწავლის დანაშაუ-
ლებრივი ანუ ამორალური ქცევის სწორი შეფასება. ის უნდა შევა-
ფასოთ, როგორც პიროვნებიდან მომდინარე ამორალური ქცევისა-
დმი განწყობის გამოვლენა, როგორც სიმპტომი, რომელიც მიგვი-
თითებს თვით პიროვნების განწყობის შეცვლის საჭიროებაზე. რო-
ცა მალარიით შეპყრობილ აღამიანს სცივა, ჩვენ მარტო მისი გათ-
ბობისათვის კი არ ვზრუნავთ, არამედ ზომებს ვლებულობთ ავად-
მყოფის სამუდამოდ განკურნებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვწამ-
ლობთ არა სიმპტომს, არამედ მთელს აღამიანს. ასევე უნდა მოვი-

ქცეთ ზნეობრივი აღზრდის შემთხვევაშიც, რომლის მიზანსაც მო-
რალური მოქმედებათა გამომუშავება შეაღვენს და ამორალური
მოქმედებათა აღკვეთა.

ამორალური ქცევის გამოვლენის შემთხვევაშიც საჭიროა პირველ
რიგში ვუწამლოთ თითონ პიროვნებას, როგორც მთლიან არსე-
ბას, რომლიდანაც ეს ქცევა მომდინარეობს. თუ შეცვლით პიროვ-
ნებას, თუ შეცვლით მის მიღრევილებას ამორალურ ქცევისაუმი,
მაშინ, ცხადია, გაქრება ამ პიროვნებაში ამორალური ქცევის
შემთხვევებიც. ამორალური ქცევა პიროვნების განწყობის სიმპტო-
მია და, ამიტომ საჭიროა მთელი ორგანიზმის წამლობა და არა
მისი განწყობის რომელიმე სიმპტომისა.

მასწავლებელს საშუალება არც აქვს, რომ მოწავლე აღზარდოს,
თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველ გამლიზიანებელთან დამკიდე-
ბულების თვალსაზრისით. მას არ ძალუდს მოსწავლეს გააცნოს
ყოველი შესაძლო გარემოებანი და ამ გარემოებებში ქცევის წესე-
ბი. მასწავლებელი უკეთეს შემთხვევებში მოსწავლეებს უთითებს
როგორ უნდა მოიქცნენ უფროსებთან, ოჯახში, სკოლაში, ნათესა-
ვებთან, ქუჩაში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და სხვ. მაგ-
რამ რა ქნას მოსწავლემ, როგორ მოიქცეს, როცა იგი სრულიად
ისეთ გარემოში მოხვდება, რომლის შესახებაც მასწავლებელს არა-
ფერი უთქვამს. ასეთ გარემოში კი ბავშვი ზნეობრივად მაშინ
მოიქცევა, თუ მას გამომუშავებული ექნება ზნეობრივი მოქცევის
განწყობა. თუ იგი, როგორც მთელი პიროვნება, აღზრდილი იქნე-
ბა ზნეობრივად. აი რატომაა საჭირო, რომ ზნეობრივი აღზრდა
მთლიანი პიროვნების აღზრდისკენ იყოს წარმართული.

5. ერთ დროს პედაგოგი ბავშვის მიერ მორალის დარღვევის
შემთხვევებს აფასებდა, როგორც ისეთ ავადმყოფურ მოვლენებს,
რომლებიც ბავშვს თანდაყოლილი აქვს ისე, როგორც ზოგიერთს
გონიერი ჩამორჩენილობა ან რაიმე ფიზიკური ნაკლი, სიყრუე,
სიბრძმავე და სხვა. ამასთან მსგავსად ტერმინებისა „გონიერივად
დეფექტიანი“, „ფიზიკურად დეფექტიანი“ და სხვა, შემოღებული
იყო „მორალურად დეფექტური ბავშვების“ ცნება. „მორალურად
დეფექტიანობა“ თანდაყოლილად ან ფიზიოლოგიური მიზეზის შე-
დეგად ითვლებოდა როგორც, მაგალითად, შეძენილი სიყრუე, შე-
ძენილი უსინათლობა და სხვა.

ვიგორსკი ამ მცდარი აზრის საჭინააღმდეგოდ სწორად შენიშნავს:
როგორ შეიძლება ზნეობის დარღვევის შემთხვევები ჩაითვალოს
ისეთივე კატეგორიის მოვლენებად, როგორიც სიყრუე ან უსინათ-
ლობა. სიყრუე და უსინათლობა გრძნობის ორგანოების დაზიანე-

ბის შედეგადაც ჩნდება, მაგრამ რა ფიზიოლოგიური ორგანო გააჩნია მორალსო?

ამასაც რომ თავი დავანებოთ მცირეშლოვან დაშნაშავებსაც გააჩნიათ ზოგჯერ არა მარტო ძლიერი ნებისყოფა, არამედ თავისი „მორალიც“, რომელსაც ძლიერ დაუინებით იცავენ. მათ აქვთ თავისებური წარმოდგენები კარგზე და ცუდზე, სიკეთეზე და სიბოროტეზე, მისალებზე და მიუღებელზე და სხვა. ეს გარემოება საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ ზნეობის დარღვევის შემთხვევები არ ჩავთვალოთ იმ კატევორიის მოვლენა ბად, როგორიცაა რეცეპტორების დაზიანების ნიაღაგზე წარმოშობილი სიყრუე, ან უსინათლობა და სხვა.

ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევები იმით კი არ არის განპირობებული, რომ „მორალურად დეფექტური ბავშვები“ იბალებიან, არამედ იმით, რომ ჯერ ერთი, ბავშვი მაინც ბავშვია და სოციალური ცხოვრების სიმაღლემდე არ არის ასული და მეორეც—მასზე მოქმედი გამლიზიანებელთა წრე ჯერჯერობით მთლიანად მოწესრიგებული არაა.

VI

1. რა მიმართება, რა ურთიერთობა ან უკეთ რა დამოკიდებულება არსებობს პიროვნების ზოგად განათლებასა და პიროვნების მორალს შორის? ხდება თუ არა პიროვნების ზოგად განვითარების პარალელურად ან მეცნიერების დაუფლების კვალდაკვალ პიროვნების მორალური აღზრდა? მოკლედ განსაზღვრავს თუ არა აღმიანის განათლება, ცოდნა, კულტურა მის ზნეობრივ სახესაც?

ამ საკითხზე ტოლსტოი თავის დროზე უარყოფით პასუხს იძლეოდა. მისი აზრით, რაც უფრო ვითარდებოდა კულტურა, რაც უფრო წინ მიღიოდა საზოგადოება, მით უფრო, თითქოს იზრდებოდა ამორალიზმიც.

ტოლსტოის ეს აზრი ორიგინალური არაა. ასეთი შეხედულება რუსომ წამოაყენა, რომელიც ფიქრობდა, რომ ზნეობრივი იდეალი საზოგადოების ცივილიზაციაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ, საზოგადოებისაგან განდგომით, ბუნებაშიო.

თავისთავად ცხადია, რომ რუსოს ეს აზრი შემცდარია. სინამდვილეში აღამიანის განათლება, ცოდნა ამორალიზმს კი არ იწვევს, არამედ პირიქით, აღამიანის მორალურ გაკეთილშობილებას. მაგრამ, თუ რუსო მაინც ამის საწინააღმდეგოს ხედავს და კულტურასა და ზნეობას შორის ანტაგონისტურ დამოკიდებულებას გულისხმობს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვერ შენიშნა ბურ-

უსაზიულ, გადაგვარებულ კულტურაში მოწინავე კულტურის, პრო-
ლეტარული კულტურის ჩანასახი. მან კულტურა აღებული აქვს
საერთოდ, (რაც არ არსებობს) და ამ საერთოდ აღებულ კულ-
ტურასა და მორალის ურთიერთობის საკითხს ეხება. ბურუუაზიული
კულტურა, მართლაც, ხელს უწყობს ამორალიზმს. მაგრამ პროლე-
ტარიის კულტურა, მისი ცივილიზაცია, პირიქით, იწვევს ადა-
მიანთა ზნეობრივ აღზრდას.

2. მაინც რაში მდგომარეობს კონკრეტულად ადამიანის გონებ-
რივი განათლების მნიშვნელობა. ადამიანის ზნეობრივად გარდაქ-
მნის სფეროში? როგორაა, რომ ცოდნის შეძენა, ცნობიერების
გამდიდრება, მეცნიერების დაუფლება ხელს უწყობს ადამიანის
მორალურ აღზრდას?

ზნეობრივი აღზრდის მიმართულებით გონებრივი განათლების,
ცოდნის შეძენის, ან ცნობიერების გამდიდრების პირველი მნიშვნე-
ლობა მდგომარეობს იმაში, რომ მის გარეშე ადამიანი დაეჭანე-
ბოდა ცხოველურ ინსტიქტებამდე და მთელი მისი ქცევაც არსე-
ბითად ამ ინსტიქტების დაკმაყოფილებას მოემსახურებოდა. ადა-
მიანი, რომ ძლიერ ხშირად აკავებს და აფერხებს ინსტიქტების
გამოვლენას, რომ ახშობს ამ ცხოველურ მოთხოვნილებებს და არ
აძლევს მათ დაკმაყოფილების საშუალებას, ეს მხოლოდ გონებისა,
აზრისა და ცოდნის დახმარებით ხორციელდება. გონებრივად და-
ქვეითებულ ადამიანთა ინსტიქტები, რაც ხშირად წმინდა ცხო-
ველურ ფორმებში ვლინდება, ზემოაღნიშნულ აზრს სავსებით ადას-
ტურებს.

ასე, მაგ. როგორც ცნობილია, იდიოტები ცენტრალური ნერვუ-
ლი სისტემის დაზიანების გამო მაღალ ადამიანურ გრძნობებს მოკ-
ლებული არიან. სამაგიეროდ მათში ძლიერად ვლინდება დაბალი
ცხოველური ინსტიქტები და სრულიად შეუფერხებლად ხდება ამ
უკანასკნელთა დაკმაყოფილება. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს,
რომ გონება, რომელიც საკმაოდ შეიიარაღებულია მეცნიერებათა
ცოდნით, ჰქმნის მოტივებს და აკავებს ადამიანს მთელ რიგ მოქ-
მედებათა ჩადენისაგან. მისი წყალობით ხდება დაბალი, ემოციური
მისწრაფებების დათრგუნვა და მაღალ მისწრაფებათა და მოთხოვ-
ნილებათა დაკმაყოფილებისათვის გზის გაკაფვა. ცნობიერებაში მა-
ღალ მისწრაფებათა გაბატონება ახშობს დაბალ ცხოველურ
მოთხოვნილებებს; ან უკეთ, სცვლის მთელ იმ მოტივთა ფსიქო-
ლოგიურ ბუნებას და მათ ღირებულების სიძლიერეს, რომელთა
ნიადაგზედაც გადაწყვეტილების მიღება და მაშასაღამე დასაკმა-
ყოფილებელ მოთხოვნილებათა შერჩევა ხდება. მოკლედ, გონე-

ბის გარეშე თავაშვებული ცხოველის სახით წარმოგვიდგებოდა ადამიანი, რომელსაც ზნეობრივ ქცევას ვერ მოვთხოვდით. კერძოდ, უნდა ითქვას, რომ ბავშვი მხოლოდ ცოდნით უნდა გაერკვეს მოვლენათა მამოძრავებელ ძალებში. ცოდნით უნდა მოახდინოს კარგისა და ცუდის დაპირისპირება, მისაღებისა და მიუღებლის ურთიერთისაგან გარჩევა. ცოდნის გარეშე შეუძლებელია ღირებულებათა შეფასების კრიტერიუმის მონახვა, მორალური პრინციპების ჩამოყალიბება და სხვა. და განა, ნათელი არაა, რომ ამ ნიშნების გარეშე მორალური ქცევის მოთხოვნა შეუძლებელი და უამრობა იქნება?

3. ზნეობრივი აღზრდისათვის ცოდნის მიღებას, მეცნიერების დაუფლებას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. ახლა, კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში განსაკუთრებული სიდიადით დგას მასებში სოციალისტური შეგნებულობის განვითარების საკითხი. მაგრამ ეს შეგნებულობა კი მეცნიერების დაუფლების გარეშე, ცოდნის შეძენის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერების დაუფლება არა მარტო გონებრივი განათლების გზა და საშუალებაა, არამედ ზნეობრივი აღზრდისაც. რამდენადაც ცოდნის ნიადაგზე უყალიბდება ადამიანს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მაღალი სოციალისტური შეგნებულობა, ამდენად ცოდნა შეიძლება ზნეობრივი აღზრდის არა მარტო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ჩავთვალოთ, არამედ ამასთან ერთად საუკეთესო მეთოდადაც. ახლა ეს აზრი საყოველთაოდ მიღებულ აზრადაა აღიარებული და არავითარ დავას აღარ იწვევს.

ესეც რომ არ იყოს, ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადამიანს ჰქონდეს ნათელი მიზანი და ამ მიზნის განხორციელების ურყევი რწმენა. ამიტომაა, რომ მარქსი ცოდნას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა და როგორც ენგელსი აღნიშნავს, მისთვის, ე. ი. „მარქსისათვის მეცნიერება იყო ისტორიული მამოძრავებელი, რეალური ძალა, მას განუსაზღვრულ სიხარულს გვრიდა ყოველი აღმოჩენა კოველ თეორიულ დარგში, რომლის პრაქტიკული გამოყენების გათვალისწინებაც ჯერ კიდევ თითქმის შეუძლებელი იყო“.¹

თუ გავიხსენებთ აგრეთვე ლენინის ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ ჰქმნის კიდევ მას“ (Сознание человека не только отражает объективный мир, но и творит его)² მაშინ ჩვენთვის სრულიად ნათელი განვება ცოდნის მნიშვნელობა.

¹ კარლ მარქსი, ოჩეული ნაწერები ოპ. ტომად, ტ. I, გვ. 13.

² Ленин, Философские тетради, стр. 203.

ლენინის ეს დებულება გვამცნობს, რომ, როცა თღამიანს შევ-
ნებული აქვს ის, რაც უნდა გააკეთოს, მხოლოდ მაშინ არის მისი
მთელი ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობა წარმართული
სინამდვილის შესაცვლელად. სინამდვილეს სახეს სწორედ ცნობი-
ერება უცვლის, რომელიც პირველ ყოვლისა მას აქტიურად ასახავს.

4. ამრიგად შეგნებას, ცოდნას მნიშვნელობა აქვს ზნეობრივი აღზრდისათვის, მაგრამ ბუნებრივად დგება საკითხი: მარტო ცოდნა განსაზღვრავს ადამიანის ზნეობას?

ზოგადი განათლება ან ცოდნა არ შეიძლება რომ ზნეობრივი ქცევის ერთაღერთ და უშუალო წარმართველად ჩაითვალოს. ცოდნას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მარტო იგი არ კიარა აღამიანის ზნეობრივი მოქმედებისათვის. ეს რომ ასეა, ის გარემოებაც აღასტურებს, რომ ზოგჯერ საკმაოდ განათლებული აღამიანიც ამორალურ საქციელს ჩადის, ხოლო გაუნათლებელი კი ამორალურად იქცევა. ესეც რომ არ იყოს, ხომ არსებობენ ისეთი ბავშვებიც, რომელთაც საკმაო ცოდნა აქვთ, მაგრამ ამასთან ერთად ხშირად ამორალურ ქცევასაც მიძართავენ. მოკლედ, ცოდნა ხელს უწყობს: ზნეობრივ განათლებას, ის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს აღამიანის ზნეობრივად გაკეთილშობილებისათვის, მაგრამ ის არ არის ერთადერთი ფაქტორი.

თავის მხრივ, თვითონ ზნეობაც ხელს უწყობს აღამიანის ცოდნის შექმნას; აიძულებს აღამიანს, რომ მეტი იმუშაოს გონებრივი პო-რიზონტის გასაფართოებლად. ასეთია მათი ურთიერთობა.

5. მაგრამ ამის შემდეგაც შეიძლება საკითხი ასე დაისვას. რაოდ დამოკიდებულება არსებობს არა საზოგადოდ ცოდნასა და ზნეობრივ აღზრდას შორის, არამედ კონკრეტულად ზნეობრივ შეგნება. სა და ზნეობრივ მოქმედებას შორის? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ადამიანმა რომ იცოდეს ყოველივე ის, რაც ზნეობრივად მისაღებია და რაც მიუღებელია, იქნებოდა თუ არა. ეს სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ მას ზნეობრივად ემოქმედნა?

ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს და-იგი სხვადასხვანაირად შედებოდა. ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სოკრატმა ზნეობრივი ცნობიერება და ზნეობოივი მოქმედება გააიგივა და ამით ადამიანის ზნეობრიობაში ზნეობრივი შეგნების აბსოლუტური მნიშვნელობა აღიარა. მისი აზრით ზნეობრიობა ცოდნაა, ხოლო ამორალობა უვიცობის ნაყოფი. მორალური აღზრდა მორალის სფეროში ზოსტი და ნათელ კნებათა შექმნით ხორციელდება.

შემდგომ ამ თვალსაზრისს ხელიწებას კიდა იდეალისტმა ფსიქოლოგ-
გა ვილიამ ჯემსმა და მას ერთგვარ ფსიქოლოგიურ „დასაბუთება-

საც“ აძლევს. მისი აზრით, ადამიანმა რომ იმოქმედოს ზნეობრივად, ამისათვის საჭიროა მას ცნობიერებაში ჰქონდეს ნათელი ზნეობრივი ხასიათის წარმოდგენები. მაგრამ ეს წარმოდგენები, რომ გონებაში შევაჩეროთ და სხვა წარმოდგენებმა არ განდევნოს, ამისათვის საჭიროა ყურადღების გაძლიერება და ამ წარმოდგენებისათვის მეტი სინათლის მიცემა.¹ ეს აზრი, არსებითად ნიშნავ-ზნეობრივი მოქმედებისა და ზნეობრივი შეგნების სრულ გაიგის ვებას.

6. რა ითქმის ამ გაიგივების შესახებ: ნუთუ ზნეობრივი ცნობიერება ანუ ზნეობრივი შეგნება სრულიად სჯვარისა ზნეობრივ მოქმედებისათვის? ნუთუ მათ შორის სრული იგივეობა არსებობს?

ჯერ კიდევ არისტოტელემ მიუთითა, რომ ზნეობრივი მოქმედება ზნეობრივი შეგნებით არ განისაზღვრება და აღნიშნა, რომ „სათნოება ძირითადად ჩვევებშია“ და ნამდვილად მორალურ მოქმედება, მორალური პრაქტიკა წინ უსწრებს მორალურ შეგნებას, მორალურ ცნობიერებასო. აქედან არისტოტელეს აზრით, ცოდნის, ზნეობრივი შეგნების როლი ზნეობრივ აღზრდაში უმნიშვნელოა. ასეთივე აზრისაა ლოკიც:

ჩვენ ვფიქრობთ, არც სოკრატე და ჯემსი, არც არისტოტელე და ლოკი არ იქცევიან მართებულად, როცა ისინი ერთმანეთს უპირისპირებენ ზნეობრივ შეგნებასა და ზნეობრივ ქცევას და აქედან, ან მათ გაიგივებას ახდენენ (სოკრატე; ჯემსი) ან ზნეობრივ შეგნების მნიშვნელობის უარყოფამდე მიღიან (არისტოტელე; ლოკი).

ზნეობრივი ქცევა, არ შეიძლება ზნეობრივ ცნობიერებასთან გავაიგივეოთ. საყოველთაოდ ცნობილია აურაცხელი ფაქტები იმისა; რომ ადამიანმა იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ იქცევა სწორედ მის საწინააღმდეგოდ. ლოთმა კარგად იცის, რომ ლვინო მისთვის მავნებელია. მისთვის ისიც ცნობილია; რომ დალევა მას ბევრ უბედურებას იყენებს და ამიტომ ათასჯერ ილებს „გადაწყვეტილებას“ ამ ცოდნის საფუძველზე, რომ ლვინოს აღარ დალევს. მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ განა იგი ხელს ილებს ლვინის სმაზე? არა. იგი ჩვეულებრივად სვამს, თუმცა ცოდნა საწინააღმდეგოს უკარნახებს. იგივე ითქმის პაპიროსის მწეველის შესახებაც. რამდენჯერ გადაწყვეტია ზოგიერთ მწეველს, რომ „აღარ მოვწევო“. ამ „გადაწყვეტილების“ ნიაღაგზე სალამო ხანს მას პაპი-

¹ Уильям Джемс, Беседы с учительями о психологии, перевод с английского, А. Громбаха, 1912 г. стр. 123—124.

როსებიც კი დაუმტვრევია და გადაუყრია. მაგრამ რა? დილით ან გადაყრილ თამბაქოს შევროვება ხდება და მისი მოწევა.

7. ზნეობრივი შეგნებისა და ზნეობრივი ქცევის გაიგივების საწინააღმდევოდ ძლიერ სწორად მიუთითებს მ. მ. რუბინშტეინი. აი მისი სიტყვებიც: „იმისათვის, რომ იყო ზნეობრივი, არ კმარა მხოლოდ ცოდნა, საჭიროა მტკიცე ნდომაც. იყო ზნეობრივი აგისათვის საჭიროა არა მარტო ცოდნა იმისა, რაა კეთილი, არამედ საჭიროა გიყვარდეს კიდევაც იგი და გახადო შენი ნებისყოფის ობიექტი“.¹ ასე, რომ ზნეობრივი შეგნება, როგორც ცარიელი ცოდნა, ზნეობრივ ხასიათს ვერ შექმნის.

მეორე ადგილას იგივე რუბინშტეინი წერს, რომ ზნეობრივ აღზრდაში მთავარია „თვითცნობიერებისა და თავისი ქცევისა და მოქმედების სამართლიანი შეფასების უნარის გამოწვევა, ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ცოდნა და მზა ფორმულები, არა მედ მთავარი და აუცილებელია ფსიქიკის ამ მიმართულებით წარმართვა“.

აქედან გამომდინარეობს რომ რამდენადაც არ უნდა დავტვიოთოთ ჩვენი ახალგაზრდობა ზნეობრივ მოქმედებათა წესებით, რამდენადაც არ უნდა გავამდიდროთ მათი გონება ამ წესების ცოდნით, მაინც ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ჩვენ ამასთან ერთად მათ არ შევუქენით ზნეობრივად მოქმედების განწყობა. ზნეობრივ მოქმედებაში ზნეობრივი შეგნების როლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შეგნებით პიროვნებამ მაღლა უნდა დააყენოს ზნეობრივი წარმოდგენები და მაშასადამე, მათი შესატყვის მორალური მოქმედებანიც სხვა ყოველგვარ ინსტიქტურ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე და ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვაზე. ზნეობრივი შეგნება თავისი მოტივებით უნდა გახდეს ზნეობრივი მოქმედების სტიმულად.

8. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის შეგნებაში მოვალეობის გრძნობის აღზრდას, მოვალეობის გრძნობის გაღვივებას, რომელმაც იგი კოლექტივის სურვილებისადმი ანგარიშის გაწევას უნდა მიაჩვიოს.

მოვალეობის გრძნობა ერთ-ერთი უძლიერესი გრძნობაა. იგი არის საბჭოთა აღამიანის ზნეობრივი მოქმედების მძლავრი სტიმული. მას ეყრდნობა და მით ხელმძღვანელობს საბჭოთა მოქალაქე თავის მოქმედებაში. ეს გრძნობა ჩრდილავს და ძალას უკარ-

¹ M. M. Рубинштейн, Очерки педагогической психологии, 1920 г., стр. 368, 369, 875.

ვაკს ადამიანის მოქმედების ისეთ სტიმულებს და მოტივებს, რომელიც წმინდა ინდივიდუალურ ზრახვებიდან და ინსტიქტებიდან გამომდინარეობენ.

მოვალეობის გრძნობა, პირველ რიგში, ეს არის მოვალეობა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, ესაა მოვალეობა კომუნიზმის საქმისა და სახელმწიფოსადმი. ლენინ-სტალინის პარტიისადმი მოვალეობის გრძნობიდან უნდა გამომდინარეობდეს საბჭოთა ადამიანის სხვა მოვალეობანი და არა პირიქით. აი რას გვასწავლის ამის შესახებ ლენინი „ჩვენ გვესმის მოვალეობა ყველა ამხანაგებისათვის მხარის დაჭერის, მოვალეობა ამხანაგთა აზრის ატანისა, მაგრამ ჩვენთვის ამხანაგური მოვალეობა გამომდინარეობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მოვალეობისაგან და არა „პირქით“ (ხაზი ლენინისა).¹

მოვალეობის გრძნობა მელავნდება იმ უსაზღვრო სიყვარულში, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ავლენენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს—საბჭოთა კავშირისა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი, იმ თავდადებაში, რასაც ისინი იჩენენ ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველ ფრონტზე.

მოვალეობის გრძნობის განვითარების საფუძველს, როგორც სწორად აღნიშნავს უურნალ „სემია ი შეოლას“ რედაქცია, წარმოადგენს ის გარემოება, რომ „საბჭოთა ადამიანი საერთო საქმის მიღწევას და წარუმატებლობას განიცდის, როგორც თავის პირად შიღწევას და წარუმატებლობას. ის გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის, და აქედან უვითარდება. მას მოვალეობის „გრძნობა“.²

როგორც ვხედავთ, მოვალეობის გრძნობა ვითარდება საკუთარი ქცევისა და მოქმედების თვითშეფასების საფუძველზე. თუ პიროვნებას არ ექნება საკუთარი მოქმედების შეფასების უნარი, ცხადია, მას არც ის შეეძლება, რომ საერთო საქმის მიღწევა და წარუმატებლობა საკუთარ მიღწევად და წარუმატებლობად მიიჩნიოს. პიროვნების მოქმედებას აფასებენ იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს ის კოლექტივის წევრის მოვალეობას. თვითონ პიროვნებაც აფასებს თავის მოქმედებას იმის მიხედვით, თუ რამდენად გაამართლა მან კოლექტივის ნდობა და ის ვალდებულება. რაც მას ეკისრება.

¹ ლ. ე. ნ. ი. თბილებანი, ტ. 11, გვ. 714, 1929 წ.

² იბ. უურნ. „Семья и школа“ № 6, 1948 წ. მოწინავე.

თალსანიშნავია ის გარემოება, რომ, რაც უფრო ძლიერდება მოვალეობის გრძნობა, რაც უფრო ნათელი ხდება პიროვნებისათვის. ას ვალდებულება, რომელსაც მისგან კოლექტივი მოითხოვს, მათ უფრო ენერგიულად მოქმედებს ის ამ მოვალეობის შესასრულებლად. უწოდება აზიტომაა საჭირო მომავალი თაობის იდეური დონის ამასულება, თუ გვსურს მათი ზნეობრივი აღზრდა.

როცა იდეური დონის ამაღლების ნიადაგზე პიროვნებას განსაკუთრებით უვითარდება მოვალეობის გრძნობა, როცა ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა ხდება მისთვის ისეთ შიზანდასასულებად, რომელიც იმორჩილებს სხვა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს და მიზნებს, მაშინ ასეთი პიროვნება არაფერს არ აშურებს ამ მოვალეობის გრძნობის რეალიზაციისათვის, ვალდებულების შესრულებისათვის, მიზნის მიღწევისათვის.

პიროვნება, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულება თავის სამოქმედო ჩათველ მიზნად დაუსახავს, წინდახედულად, მოფიქრებულად, მიზან-შეწონილად და გულადად იქცევა. იგი ამ მიზანს ყოველთვის სკვრეტს გამარჯვების რწმენით. იმიტომ ის გამბედავია, მამაცია, გმირია. უმიზნო ადამიანის ცხოვრება საცოდაობაა. ასეთი ადამიანი შედარებით მხდალი, მშიშარა და შესაბრალისია.

სიცოცხლეს და ცხოვრებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, როცა ადამიანშა იცის, რისთვის იბრძვის, რისთვის შრომობს, რას მოითხოვს მისგან სამშობლო და საითკენ მიღის. თუ ადამიანი კეთილსინდისიერად ასრულებს სამშობლოსა და პარტიის წინაშე ვალდებულებას, იგი ცხოვრობს შინაარსიანად. თუ კი ასე არაა, მაშინ მისი ცხოვრება არარაობას წარმოადგენს.

9. მოვალეობის გრძნობის განვითარება და საერთოდ ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება იწყება ჯერ კიდევ ოჯახში. უფროსები პატარა ბავშვს უთითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის უფროსებთან, ამხანაგებთან, შინ, გარეთ, ქუჩაში და სხვა. ასეთი მითი-თების საფუძველზე ბავშვი ძლიერ აღრე იძულებული ხდება დაუკვირდეს თავის ქცევას, გააცნობიეროს მისი შინაარსი. იგი ყურადღებას აქცევს და იხსომებს უფროსების ქცევას. მას ესმის ქება იშამხანაგებისა, რომელიც კარგად იქცევიან უფროსებთან. ესმის იგრძელება საყვედლური უწესო ბავშვების მიმართ. თითონ ბავშვი ბევრ-ჯერ ხდება ოჯახში ხან ქებისა და ხან გაკიცხის ღირსი: ყოველივე ეს მოქმედებს ბავშვზე და ამის შედეგად მასში თანდათანობით მუშავდება განსაზღვრული ზნეობრივი შეგნება. ბავშვისათვის ნათელი ხდება, თუ რა არის დასაშვები და რა დაუშვებელი. იგი

ეჩვევა უფროსებისადმი ანგარიშის გაწევას, მათი მოთხოვნილებების და დავალებების შესრულებას. ბავშვი თავის ქცევას თანდათანობით უმორჩილებს დიდების მოთხოვნილებას და ამით იწყება მისამოვალეობის გრძნობის განვითარება.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ და ბავშვში ვერავითარზნეობრივ შეგნებას ვერ გამოვამუშავებთ თუ სიმძიმის ბერკეტი მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის ლექციების კითხვაზე გადავიტანეთ. აქ მთავარია იმ ცოცხალ მაგალითებზე მითითება, რაც ბავშვის ირგვლივ ხდება. ამ მაგალითებზე უნდა ავუხსნათ და გავაგებინოთ ბავშვს რა არის მისი ქცევიდან მისაღები და მიუღებელი, კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი და სხვა.

ზნეობრივი შეგნება განსაკუთრებით ვითარდება მოწესრიგებულ და ორგანიზებულ გარემოში, კერძოდ, საბავშვო ბალებში და შემდგომ კი საბოლოოდ სკოლებში. საბავშვო ბალებში ისევე, როგორც ოჯახშიც, ბავშვი თანდათანობით ეჩვევა იმ მარტივი დავალებების შესრულებას, რასაც მისგან მოითხოვენ აღმზრდელები. იგი იძულებულია აგრეთვე თამაშის დროს თავის ნებისყოფა დაუმორჩილოს სხვა ბავშვების მოთხოვნილებებსაც და ასე თანდათან მუშავდება მასში. ამხანაგებისადმი მოვალეობის გრძნობა.

ზნეობრივი შეგნება თანდათან ფართოვდება სკოლაში შესვლის შემდეგ. ახლა, მასში თავს იჩენს სწავლისადმი ვალდებულების გრძნობა. იგი შეიძროდ უკავშირდება კოლექტივს და იძულებულობება უფრო მეტი ანგარიში გაუწიოს სხვას და შეასრულოს მათი სურვილ მოთხოვნილებანიც. აი, სწორედ, ამ პერიოდში, ე. ი. სკოლაში ყოფნის პერიოდში ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს იმის შეგნება, რომ იგი ვალდებულია ისწავლოს. ამასთან ეს ამოცანა მან ისე უნდა შეისისხლორცოს, რომ მას თვლიდეს ყველაზე უფრო მთავარ ამოცანად და მთელ თავის მოქმედებასაც ამ ამოცანის შესასრულებლად წარმართოვდეს. ამ პერიოდში მოსწავლის მოვალეობის გრძნობის გასაღვივებლად, რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება, თუ მას ხშირად ვეტყვით: „შენი მოვალეობაა კარგად ისწავლო, ეს შენი პირველი რიგის ამოცანაა და შენთვის უმთავრესი“.

VII

1. ბავშვების შნიშვნელოვანი ნაწილი სკოლებში პირდაპირ ოჯახებიდან მოდის. სკოლაში მისვლამდე ყოველი მათგანი ქუჩის მეტნაკლებ ზეგავლენას განიცდიდა. ამიტომ გასაგებია, რომ სკოლაში ახლად მოსულ ბავშვს, ბევრ კარგ და მისაღებ ცოდნა-ჩვევებთან ერთად საბჭოთა ბავშვებისათვის შეუფერებელი თვისებებიც გააჩნია.

სკოლაში ახლად შრმოსული ბავშვები ყოველთვის ვერ იქცევიან წე-
სიერად, ისინი ხშირად არღვევენ წესრიგს კლასში და კლასის გა-
რეთაც.. ამასთან ბავშვებს აკვირვებთ ის გარემოება, რომ მასწავლე-
ბელი მათ უწყრება სხვადასხვა სახის „დანაშაულთა“ ჩადენის გამო. მოკლედ, მოსწავლე სკოლაში შედის არა მარტო უსწავლელი, არა-
მედ არასაკმაოდ აღზრდილიც; ამიტომ იგი ზოგჯერ არღვევს იმ
რეჟიმსა და ელემენტარულ წესებს, რაც მოეთხოვება მოსწავლეს
სკოლაში და სკოლის გარეთ, მასწავლებლებთან და უფროსებთან,
გაკვეთილზე და დასვენების დროს და სხვა. ამასთან სკოლის რე-
ჟიმისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო წესების დარღვევის აზრი
და მისი დაუშვებლობა სკოლაში ახლად შემოსულ მოსწავლეთა
მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ ნათლად გაცნობიერებული
არა აქვს.

სკოლის წინაშე სასწავლო ამოცანებთან ერთად დგას სააღმზრდე-
ლო ამოცაებიც. სკოლამ უნდა უზრუნველყოს ჯერ ერთი იმ და-
დებით და მისაღებ ცოდნა-ჩვევათა განმტკიცება და გალრმავება,
რაც ბავშვს სკოლაში შემოსვლისას მოჰყვა. მეორეც, მან უნდა
აღმოფხერას ის მიუღებელი და დაუშვებელი ჩვევები, რომელიც
პირველ ხანებში ბავშვს გააჩნია, როგორც შედეგი შეუფერებელი
გარემოს ზემოქმედებისა და მესამე, რაც მთავარია, სკოლამ უნდა
ჩაღნერგოს და გამოუმუშაოს ჩვენს ახალგაზრდობას ყველა ის თვი-
სებანი, რაც კომუნიზმის აქტიური მშენებლებისათვის არის დამა-
ხასიათებელი. კურძოდ, სკოლამ უნდა გამოიმუშაოს და აღზარდოს
ბავშვებში ზნეობრივი შეგნება და ზნეობრივი მოქმედება.

2. მაგრამ იმისათვის, რომ სკოლამ აღზარდოს ახალგაზრდობა
ზნეობრივად, საჭირო არაა მორალის ცალკე გაკვეთილების შემო-
ლება. ასეთი მორალის გაკვეთილები შეიძლება აუცილებელი იყოს
მხოლოდ ბურუუაზიულ სკოლებში, სადაც გარემო პირობების ზემო-
ქმედება და ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა არსებითად ეწი-
ნააღმდეგება იმ ზნეობას, რომელსაც ბურუუაზის მორალისტები
ქადაგებენ და რომელსაც თითონაც არ იცავენ ყოფაცხოვრებაში.

ჩვენში მორალური აღზრდა უნდა წარმოადგენდეს მთელი სასწავ-
ლო-სააღმზრდელო მუშაობის ძირითად, უმნიშვნელოვანეს. და
განუყოფელ ნაწილს. სკოლამ ისე უნდა მოაწყოს მთელი სასწავლო-
სააღმზრდელო მუშაობა, რომ მოსწავლეთა ქცევა მთლიანად მო-
რალური ხასიათის მატარებელი შეიქნეს. უნდა გვახსოვდეს, რომ
მორალურ მოქცევასა და იძულებით მოქცევას შორის განსხვავე-
ბაა. როცა ადამიანი ამა თუ იმ გარემოების გამო ისე მოქმედებს,
რომ იგი იძულებას გრძნობს, მაშინ ასეთი მოქმედება მორალურ

ქცევად ვერ ჩაითვლება. მორალურად აღზრდილი ადამიანი უნდა შოქმედობდეს თავისუფლად და არ გრძნობდეს რაიმე შიშს „ვაი თუ ზნეობის ამა და ამ მუხლის თანახმად ვერ ვიქცევიო“.

მაგრამ, თუ მოსწავლეთა მორალურ აღზრდისათვის სკოლას, არ სჭირდება მორალის ცალკე გაკვეთილების შემოღება, მაშინ რა საშუალებებს უნდა მიმართოს მან? სკოლა, სკოლის გარემო და, პირველ რიგში, მეცნიერების დაუფლება—ეს ის ბაზისია, რომელზედაც მოსწავლეთა ზნეობრივი შეგნება უნდა ჩამოყალიბდეს.

მართლაცდა, იყილოთ ჯერ სკოლის პირობები და შევხედოთ მას თუ რას წარმოადგენს იგი ბავშვისათვის. სკოლაში ბავშვის შესვლა და სკოლის გარემოში მოხვედრა მთლიანად სცვლის მისი ცხოვრების ჩვეულებრივ წესს. სკოლის ცხოვრება ბავშვს აყენებს ერთგვარი აუცილებელი მოქმედების წინაშე. ბავშვი ახლა მოვალეა იმოქმედოს არა ისე, როგორც დღემდე მოქმედებდა, თავისუფლად და შეუზღუდველად, არამედ ახლა ვალდებულაა ანგარიში გაუწიოს სკოლას, მასწავლებელს, გაკვეთილს, ამხანავებს და სხვა. სკოლაში სიარული ეს იმასაც ნიშნავს, რომ ბავშვის ქცევის მთავარი ფორმა თამაში ახლა შეცვლილი იქნეს სწავლით. სწავლა კი, როგორც ქცევის განსაკუთრებული ფორმა განსაზღვრულს კალაპოტში აყენებს ბავშვის მოქმედებას. ბავშვს სთხოვენ გადაწყვიტოს სხვა-დასხვა ამოცანები, ავალებენ ყოველდღიურად გაკვეთილების მომზადებას, სთხოვენ სკოლის რეჟიმისადმი დამორჩილებას და სხვა. მოკლედ, ბავშვის მოქმედება ახლა თვით ბავშვის უშუალო მოთხოვნილებებიდან მომდინარე სტიმულებით კი არ წარიმართება; არამედ ძირითადად სკოლის მოთხოვნილებებით. ესაა ის განსაზღვრული მნიშვნელობის ფაქტი ბავშვის ცხოვრებაში, რომელიც არ სებითად სცვლის ბავშვის მოქმედებას, ბავშვის ქცევას და მას განსაზღვრულ რეჟიმულ წესებს უმორჩილებს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ სწორედ სკოლაში და სწავლების პროცესში ყალიბდება მოსწავლეთა მორალური შეფასებანი. ყველაზე უფრო სშირად, ყველაზე უფრო მეაფიოდ და დამაჯერებლად მოსწავლეს სკოლაში ესმის, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, რა ითვლება სამართლიანად და რა უსამართლოდ, რა არის მისაღები და რაა მიუღებელი, რა არის ტასაშვები და რაა დაუშვებელი, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი და სხვა. ყველა ამ მორალურ წარმოდგენებსაც და მათ კრიტერიუმსაც მოსწავლე სკოლაში ეცნობა და ამიტომაცაა, რომ ეს უკანასკნელი ითვლება ძირითად და გადამწყვეტ ფაქტორად იმ

ფაქტორთა შორის, რომლებიც უმუშავებს ბავშვებს ზნეობრივ შეგნებასა და ზნეობრივ მოქმედებას.

3. ზოგიერთი პედაგოგი ფიქრობს, რომ აღმზრდელობითი მიზნები საერთოდ და, კერძოდ, მოსწავლეთა კომუნისტური მორალის სულისკვეთებით აღზრდა თავისთავად განხორციელდება, თუ კი სწავლება კარგად იქნება დაყენებულიო; მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება სწყვეტს როგორც სასწავლო, ისე სკოლის სააღმზრდელო ამოცანებსო.

ეს შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ არის ჭეშმარიტი. მეცნიერების დაუფლება, სწავლება, ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა მოსწავლეთა აღზრდაში საერთოდ, და კერძოდ, მორალურ აღზრდაშიც. მაგრამ ამის გარდა, აღმზრდელობითი მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა აგრეთვე ცოდნის შეძენის სწორი ორგანიზაცია, განსაზღვრული რეჟიმი, მუშაობის შესაფერისი პრინციპიების და მეთოდების გამოყენება და სხვა.

სკოლა როგორც სასწავლო, ისე სააღმზრდელო ამოცანების გადასაწყვეტად იყენებს სხვადასხვა პრინციპებს და მეთოდებს. კერძოდ, ზნეობრივ აღზრდაც განსაზღვრულ პრინციპების და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. მაგრამ ზნეობრივი აღზრდის მეთოდებისა, პრინციპებისა და შინაარსის საკითხების შესახებ ამ უკანასკნელ დროს გამოაშვარავდა მთელი რიგი ურთიერთ შეუთანხმებელი და ზოგ შემთხვევაში საწინააღმდევო აზრებიც. უურნალ „სოვეტსკაია პედაგოგიკა“-ს ფურცლებზე გაშლილმა დისკუსიამ ნათელყო, რომ ზნეობრივი აღზრდის პრინციპებისა და მეთოდების საკითხში ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია და გარკვევას მოითხოვს.

ჩვენ არ გამოგვადგება ბურუუაზიული მორალის აღზრდის არც მეთოდები, არც პრინციპები და არც შინაარსი. მართალი არიან, — როცა მიუთითებენ, რომ მოსწავლეებში ჩვენც ვზრდით პატრიოტიზმს და ბურუუაზიაც; ჩვენც ვზრდით შრომისაღმი. სიყვარულს და ბურუუაზიული სკოლაც; მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ ვზრდით ჩვენს მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმს და შრომისაღმი სოციალისტურ დამოკიდებულებას, ხოლო ბურუუაზიული სკოლა კი ცდილობს აღზარდოს ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც ეყვარებათ ბურუუაზიული სახელმწიფოები და რომელთაც ექნებათ ისეთი შრომისაღმი სიყვარული, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს, ხოლო შრომის შედეგი კაპიტალისტებს რჩებათ. აი სწორედ ამიტომაა, რომ ბურუუაზიული მორალური აღზრდის და ჩვენი მორალური აღზრდის პრინციპები და მეთოდები ურთიერთისაგან პრინციპულად

განსხვავდებიან. ისინი სხვადასხვა შინაარსიდან მომდინარეობენ და ამიტომ ბურუუაზიული მორალის აღზრდის დღემდე დაღვენილი პრინციპები და მეთოდები ჩვენთვის მიუღებელია.

ამჯამად არსებულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში ზნეობრივი აღზრდის სხვადასხვა პრინციპები არის ჩამოთვლილი. ზოგიერთი მათგანის პრინციპად მიღების საკითხი სადავოდაც კი გახდა¹. მაგრამ ჩვენ ამ დავას გვერდს ვუვლით და იმ პრინციპებს განვიხილავთ, რომელნიც ჩვენი აზრით, სრულიად ოუკვოდ შეიძლება რომ ზნეობრივი აღზრდის პრინციპებად იქნეს მიჩნეული. დავიწყოთ მიზანსწრატველობის პრინციპიდან.

4. ა. მიზანსწრატველობის პრინციპი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რიცესი, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპთაგანია. ეს პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს ლენინის შემდეგი მითითებიდან „საჭიროა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.“²

ლენინის ეს აზრი სრულიად ნათელ ამოცანებს აყენებს ჩვენს წინაშე. იგი მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა მთლიანად წარმართული უნდა იყოს ერთი მიზნის მიღწევისაკენ, კომუნისტური მორალის აღზრდისაკენ. თუ ეს მიზანსწრატვა არა აქვს მასწავლებელს, მაშინ იგი ვერც მაღალ იდეურად აღზრდის მოსწავლეებს. „პედაგოგის არც ერთი მოქმედება არ უნდა გადიხაროს სკოლის მიზნიდან“,³ კომუნიზმის მშენებლის აღზრდის მიზნიდან. ამას გულისხმობს მიზანსწრატველობის პრინციპი და არ შეიძლება ის ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანეს პრინციპად არ მივიჩნიოთ.

ბ. ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, აგრეთვე, პედაგოგიურ ზემოქმედებათა ერთიანობის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ზნეობრივ აღზრდაში მონაწილე ყველა ორგანიზაცია და ინსტიტუტი ბავშვებ ერთნაირად უნდა მოქმედედეს და მას ერთნაირ მოთხოვნილებას უყენებდეს. სკოლის, კომკავშირის, პონერთა ორგანიზაციისა და მშობლების ის ლონისძიებანი,

¹ იხილეთ ამის შესახებ К. А. Петров, О принципах воспитания коммунистической нравственности в советской школе и Н. И. Болдырев, О принципах и методах воспитания коммунистической морали в советской школе. журн. „Советская педагогика“ № 7, 1947 г.

² იხ. ლენინი, სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ., გვ. 200.

³ С. М. Ривес—чл. коресп. АПН РСФСР, О принципах и методах воспитания коммунистич. морали, Сов. пед., № 12, 1947 г., стр. 24.

რომელნიც კი გამოიყენება ბავშვის ზნეობრივად აღსახრდელად, უნდა წარმოადგენდეს ზემოქმედების ერთ მთლიან სისტემას. თუ სკოლა ერთი სახის მოთხოვნილებას წაუყენებს მოსწავლეს და ოჯახი კი მის საწინააღმდეგოს მოსთხოვს; ცხადია, ასეთ პირობებში ნაშროვილი მიზანდასახული ზნეობრივი აღზრდა შეუძლებელი იქნება. ზნეობრივი შეგნების განვითარებისათვის და ზნეობრივი ქცევის აღზრდისათვის საჭიროა მოსწავლებზე ერთნაირად ვმოქმედებდეთ და ერთნაირადვე ვთხოვდეთ. ამას გულისხმობს პედაგოგიურ ზემოქმედებათა ერთიანობის პრინციპი.

გ. ზნეობრივი აღზრდის მონაცემეობისა და თანამიმდევრობის პრინციპის საფუძველზე უხდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი აღზრდა რთული მოვლენაა და მისი განხორციელება ერთბაშად არ ხდება. ზნეობრივი აღზრდა ამ პრინციპის მიხედვით ხორციელდება პიროვნების გარდაქმნის გზით, მასში თანდათან ჩვევებისა და ჩვეულებების ვამომუშავების, ახალ-ახალი თვისებების შეძენის გზით, რომელიც გართულებულ მოთხოვნილებათა ნიადაგზე აღმოცენდება. ამასთან, ზნეობრივი განვითარების რაც უფრო მაღალ დონეზე ადის ბავშვი, მით უფრო რთული მოთხოვნილებანი უჩნდება მას. და ამ ნიადაგზე თანდათანობით იცვლება მისი როგორც ზნეობრივი შეგნება, ისე ზნეობრივი მოქმედებაც.

დ. ზნეობრივი აღზრდის ქმედითობის პრინციპი გულისხმობს, რომ ზნეობრივი ნორმები და წესები მხოლოდ მაშინ იძენენ ნამდვილ აზრსა და ძალას, როცა ისინი გამოიყენება მოქმედებაში, ქცევაში; როცა ისინი ქმედითებია და ხორციელდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში.

სწორედ ამის გამოაუცილებელი ხდება, რომ ზნეობრივ აღზრდაში მხოლოდ დარიგებით კი არ ვემაყოფილდებოდეთ, არამედ პირველ რიგში ბავშვებს ვასჭავლიდეთ ზნეობრივ მოქმედებას და პირდაპირ ვავარჯიშებდეთ ამ მიმართულებით.

ქმედითობის პრინციპი გამომდინარეობს ლენინის იმ მითითებიდან, რომ სწავლა კომუნიზმის შენებას უნდა დაუუკავშიროთო. ბავშვი უნდა მოქმედებდეს ზნეობრივად და თავის ზნეობრივ შეგნებას სწორედ პრაქტიკაში კომუნიზმის მშენებლობაში ანალეპდეს.

ე. ზნეობრივი აღზრდის მოვლენათა დადებითი მხარეებიდან დაწყების პრინციპი გულისხმობს, რომ ზნეობრივი აღზრდა უნდა იწყებოდეს არა ბავშვის ამორალურ ქცევისადმი ბრძოლის გამოცხადებით, არამედ პირველ რიგში იმ კარგი და დადებითი თვისებების აღზრდის დაწყებით, რაც მასშია მოცემული. მოსწავლეს გააჩნია მოაღალური შეხედულებანიც და ამორალურიც. და აი ზნეობრივი აღზ-

რნდა უნდა დაიწყოს კარგი მხარეების აღზრდით და განვითარებით, ხოლო რაც შეეხება ბავშვის ამორალურ მოქმედებას, მის წინააღმდეგ შემდეგ და თანდათანობით უნდა გავშალოთ ბრძოლა. მოკლედ, ზნეობრივი აღზრდისათვის ჩვენ ორიენტაცია უნდა ავილოთ არა იმაზე, რაც ბავშვს ეკრძალება და რაც მან არ უნდა ჩაიდინოს, არამედ იმაზე, რაც მას უნდა დაევალოს გასაკეთებლად და ქცევაში განსახორციელებლად.

ვ. ზნეობრივი აღზრდის შინაარსისა და მეთოდების ბავშვის ასაკთან შეგუებლობის პრინციპი, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, გულისხმობს, რომ ზნეობრივი აღზრდის როგორც შინაარსი, ისე მეთოდებიც უნდა ესატყვისებოდეს და ანგარიშს უწევდეს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს. ზნეობრივი აღზრდა მაშინ მოგვცემს რაიმე მნიშვნელოვან ეფექტს, როცა 7-წლიანი ასაკის ბავშვებთან მუშაობის დროს სწორედ ამ ასაკის თავისებურებებს მივიღებთ მხედველობაში, ხოლო 18 წლის ჭაბუქებთან მუშაობის დროს კი ჭაბუქისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ზ. მოსწავლისადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნილებებისა და მისი პიროვნების დაფასების პრინციპის საფუძველზე მოსწავლეს უნდა წავყუენოთ მაღალი მოთხოვნილებები. უნდა მოვთხოვოთ მაქსიმუმი თავის ქცევაში, დავალებების შესრულებაში და სხვა. მაგრამ ამასთან ერთად უნდა დავაფასოთ მისი პიროვნება, მისი ლირსება. მოსწავლე უნდა გრძნობდეს არა მარტო იმას, რომ მას სთხოვნენ, არამედ არა ნაკლებ უნდა გრძნობდეს ის, რომ მას კიდევაც აფასებენ, პატივს სცემენ.

ეს პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს უდიდესი საბჭოთა პედაგოგის მაკარენკოს პედაგოგიურ შემოქმედებიდან. თითონ მაკარენკო წერდა: „ჩემი ძირითადი პრინციპი ყოველთვის იყო: ადამიანისადმი, რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება, მაგრამ ამასთან ერთად, რაც შეიძლება მისი მეტი პატივისცემაც“.¹

თ. ზნეობრივი აღზრდის პრინციპად შეიძლება დავასახელოთ ინდივიდუალური მიღომის პრინციპიც. ისევე, როგორც მთელს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში, კერძოდ ზნეობრივი აღზრდის შემთხვევაშიც, საჭიროა ყველა მოსწავლისადმი განსახლვალული ანგარიშის გაწევა, მათი თვისებების მხედველობაში მიღება და ამის მიხედვით მათთან მუშაობის გაშლა. ინდივიდუალური მიღომის პრინციპი ზნეობრივ აღზრდაში იმას გულისხმობს, რომ ამ შემთხვევაშიც ბავშვის ინდივიდს გაეწიოს ანგარიში.

¹ А. С. Макаренко. Избранные педагогические произведения. Статьи, лекции, выступления. Учпедгиз, 1946 г., стр. 160—161.

5. ზნეობრივი აღზრდა რთული მოვლენაა და გასაგებია, რომ შისი განხორციელება როგორც მრავალი პრინციპის ისე მრავალი სტადიანისა სტადიანისა და საშუალების გამოყენებით არის შესაძლებელი. ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ ყველა იმ საშუალებას, რაც ადამიანის ზნეობრივ აღზრდას ემსახურება. ეს არა მარტო მიზანშეუწონელი, არამედ შეუძლებელიც იქნებოდა. შევჩერდებით მხოლოდ იმ მეთოდებზე, რომლებიც ძირითადად ზნეობრივი აღზრდისათვის არის გამოყენებული და რომელთაც, მართლაც, მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნიათ.

პედაგოგიკის პროგრამებს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ აქ, ზნეობრივი აღზრდის მეთოდებად დასახელებულია დარწმუნება, მაგალითი, ავტორიტეტი, რეჟიმი ოჯახსა და სკოლაში, ვარჯიში, განსჯა, წახალისება, დასჯა და სხვა. ზნეობრივი აღზრდის ამ მეთოდებს ზოგიერთი პედაგოგი მეცნიერი ჰყოფს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფში ათავსებს ისეთ მეთოდებს, რაც ძირითადად ზნეობრივი შეგნებისა და მოქმედების აღძრა-განვითარებას ემსახურება (წაჭება, წახალისება, ვარჯიში, დარწმუნება და სხვა), ხოლო მეორე ჯგუფში თავსდება ის მეთოდები, რაც შეაკავებს და ჩაახშობს ისეთ მოქმედებას, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით დაუშვებელი და მიუღებელია (გაფრთხილება, გადანაცვლება, დასჯა და სხვა).

6. სხვები წინააღმდეგნი არიან ზნეობრივი აღზრდის მეთოდების ასეთ ორ ჯგუფად გაყოფისა. ისინი სრულებით არ ხედავენ ამის აუცილებლობას და სხვათა შორის მიუთითებენ, რომ „განა დარწმუნების მეთოდი არ წარმოადგენს ამასთან ერთად ქცევისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ გამაფრთხილებელ მეთოდს და დასჯა კი თავისი ქცევისადმი შეგნებული პასუხისმგებლობის აღზრდის მეთოდს“.¹. რატომლა უნდა მოვაქციოთ ეს ორი მეთოდი სხვადასხვა ჯგუფებშიო?

ჩვენის აზრით ყოველ მეთოდს, მართლაც აქვს ერთსა და იმავე ღროს ორგვარი შნიშვნელობა. იგი მოსწავლეში, ერთი მხრივ, აკავებს და ახშობს იმ სურვილებს და მოთხოვნილებას, რაც მიუღებელია და მეორე მხრივ, ხელს უშეიობს სასურველი თვისების გამოვლენას და განვითარებას. მაგრამ ყოველ მეთოდში ორივე ამგვარი შნიშვნელობა თანაბარი რაოდენობით როდის შეიძლება ვიგულოთ. არის მეთოდი, რომელსაც მართლაც, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ სურვილისა და მოთხოვნილების შესაკავებლად, რომელიც ზნეობის თვალსაზრისით მიუღებელია და

¹ Огородников и Шимбиров—„К вопросу о методах правственного воспитания“. „Советская педагогика“, № 12, 1946 г., стр. 24.

ნაკლებ პნიშვნელოვანია იმისათვის, რომ რომელიმე სასურველი თვასება ალვძრათ და განვავითაროთ მოსწავლეში. მაგრამ არის: ამის საჭინაალმდეგო მეთოდებიც. ამიტომ პროფ. ოგოროდნიკოვის და პრიოფ. შიმბირევის საყვედური ზნეობრივი აღზრდის მეთოდების ორ ჯგუფად დაყოფის შესახებ მაინცდამაინც საფუძვლიანდ არ არის. პირიქით, ჩვენ მართებულად მიგვაჩნია, რომ პროფ. კაიონვის რედაქციით შედგენილ სახელმძღვანელოში მეთოდები სწორედ ორგვარად იყოფა. ამას გაცილებით მეტი სინათლე შეაქვს მათ ღირებულებაში.

7. ღოცენტ ბოლტირევის აზრით,¹ ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი მეთოდებია ა) დარწმუნება ანუ დაჯერება, რომლის ფორმებიც არის ახსნა, მოხსენება, საუბარი, ლექცია, დისპუტი, დარიგება, შთაგონება და სხვა; ბ) ვარჯიში, რომლითაც გამომუშავებული უნდა იქნას მორალური ქცევა, გ) შეჩევა ე. ი. ჩვევის გამომუშავება, დ) წახალისება, რომლის ფორმებიც არის მოწონება, ქება, დაჯილდოება და სხვ. და ე) დასჯა, რომლის ფორმებიც შეიძლება იყოს პირადი შენიშვნა, საყვედური კლასის წინაშე, ერთი ადგილიდან კლასში მეორე ადგილზე გადასმა, სხვა სკოლაში გადაწვანა, სკოლიდან დროებით გარიცხვა და სხვა.

ყველა ამ მეთოდს ერთ-ნაირი მნიშვნელობა არა აქვს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ზნეობრივი აღზრდის საქმეში. დაბალი სასკოლო ასაკის ბავშვებთან ზნეობრივი აღზრდის მთავარი მეთოდებია პირადი მაგალითი აღმზრდელისა და სხვა ავტორიტეტისა, რომელსაც ბავშვი განსაკუთრებით ბაძავს და შთაგონება, რომელსაც აგრეთვე ძლიერ ემორჩილება პატარა მოსწავლე. ხოლო რაც შეეხება საშუალო ასაკის მოსწავლეს, აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარწმუნება. საშუალო ასაკის ბავშვი ზნეობრივად ფაქიზდება და მაღალ საფეხურზე ადის სწორედ დარწმუნებით. თუმცა აქ ახვა მეთოდების გამოყენებაც შეიძლება, ოღონდ შეცვლილი სახით.

8. ფსიქოლოგიაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ცნობიერებაში შექმნილ თუ ამოტივტივებულ წარმოდგენებს მოქმედებებში გადასვლის ტენდენციები ახასიათებთ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: რომ ყოველი მეთოდის თუ პრინციპის გამოყენების დროს რთვენადაც შესაძლებელია უნდა ვერიდოთ, რომ ბავშვს არ შევუქმნათ ისეთი წარმოდგენები, რომელთა შესაბამისი მოქმედებაც ზნეობრივად დაუშვებელი იქნება. ჩვენ, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ ავცდებით იმ გარმეობას

¹ Н. И. Борзырев—доцент, к-д поэзии, О принципах и методах воспитания коммунист. морали в советской школе, Сов. педагогика, № 7. 1947 г.

რომ ბავშვს სრულიად არ გამოუმუშავდეს ცუდ მოქმედებებზე და ცუდ მაგალითებზე წარმოდგენები, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი წარმოდგენები მას რაც შეიძლება მცირე რაოდენობით შეექმნას. მართალია, ჩვენ იძულებული ვართ თავიდანვე ბავშვებს მრავალი რამ ისეთი ავუკრძალოთ, რაც მათ ჯერ კიდევ წარმოდგენების სახით გააჩნიათ. მაგრამ ასეთი აკრძალვა ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს და ბავშვი მაინც იმას აკეთებს, რაც მას ეკრძალება. აკრძალული ხილი ტკბილია, აი ეს ანდაზა თავს აქაც იჩენს ხოლმე.

თუ ჩვენმა დარიგებამ გასჭრა და ბავშვი დაუშვებელ წარმოდგენათა რეალიზაციას არ ახდენს და მით ცუდს საქციელს მოერიდა, არც აქ უნდა ვიფიქროთ ყოველთვის, რომ ჩვენი მიზანი მიღწეულია. არ შეიძლება ჩვენი აღმზრდელობითი მიზანი მიღწეულად ჩავთვალოთ, იმიტომ, რომ ბავშვი ცუდს ყოველთვის ერთნაირი საფუძვლით ან ერთნაირი მოტივებით როდი სცილდება. ცუდი ქცევისაგან ჩამოშორება შეიძლება-ორგვარი საფუძვლით მოხდეს. ერთ შემთხვევაში ბავშვი შეიძლება ცუდ საქციელს იმისათვის გაურბოდეს, რომ მხოლოდ ისაა მიუღებელი. მაგრამ მეორე შემთხვევაში კი ბავშვი შეიძლება ასეთ ქცევას იმისათვის გაურბოდეს, რომ სხვა საქციელი მას უკეთესად მიაჩნდეს. ორივე ამ განსხვავებულ საფუძვლებს სხვადასხვა ღირებულება და მნიშვნელობა აქვს ბავშვის ზნეობრიობის გასათვალისწინებლად. ჩვენი მომავალი თაობა ისე უნდა აღვზარდოთ, რომ ისინი საგნებს და მოვლენებს ყოველთვის სიკეთისა თუ დადებითი მხრით იხილავდნენ.

ეს კი შესაძლებელია მიღწეული იქნეს მაშინ თუ ახალი თაობისადმი ცოდნის მიწოდების შემთხვევაში გამოსავლად ჩვენ ავიღებთ მოვლენის დადებითს და არა მის უარყოფით მხარეს. ასე, მაგალითად, სიმართლის თქმას რომ მივაჩიოთ ბავშვი, არაა საჭირო რომ მას სიცრუის მთელი ბოროტება გადავუშალოთ და მხოლოდ ამ მიუღებელი მხარიდან დავიწყოთ. ან როცა ბავშვს ალკოჰოლის გავლენაზე ვესაუბრებით, მიუღებელია, რომ მას გავაცნოთ ალკოჰოლისაგან მუცლის ღრუში გამოწვეული მთელი რიგი ცვლილებანა და ავადმყოფობანი ან ნერვული დაძაბულობანი და სხვა. საჭიროა მოკლეთვუთხრათ, რომ ალკოჰოლი საზიანოა, ხოლო ვრცლად კი ვესაუბროთ იმაზე, თუ რა სიკეთე გააჩნია ჯანმრთელ ორგანიზმს და ა. შ.

ფსიქოლოგი ვიგორდსკი მოითხოვს, რომ ბავშვებს მოვლენების და საგნების კეთილ თუ დადებით მხარეებზე ვესაუბროთ და გამოსავლადაც მხოლოდ ეს მივიჩნიოთ და არა მათი ცუდი მხარეები. იგი

იცავს იმ შეხედულებას, რომ ზნეობრიობა არ გადავაქციოთ სულის შინაგან პოლიციად: „მოსცილდე რაიმეს შიშის გამო ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზნეობრივად იქცევიო“ აღნიშნავს იგი. მას მცდარად მიაჩნია რუსოს მოქმედება, რომელსაც ემილი საავადმყოფოებში დაყავდა, რათა ვენერული სენით შეპყრობილთა შეკლულები ეჩვენებინა და ამით მისთვის საშიში სიყვარული აეცილებინა. ვიგოდ-სკის აზრით ასეთი მაგალითების ჩვენება ბავშვში კი არ სპოს ცუ-დისადმი მიღრეკილებებს, არამედ მისკენ იწვევს მას. ბავშვი უნდა იქცეოდეს თავისუფლად და არა შიშის ნიაღაგზე.

ეს მოსაზრებანი ჰქონდარიტებას მოკლებული არ არის. მართლაც არაფრად ლირს ისეთი „ზნეობრივი საქციელი“, რომელიც შიშისა-და ცახცახის ნიაღაგზეა აღმოცენებული. ნამდვილ ზნეობრივ მოქ-მედებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი პირდაპირ, ძალდაუ-ტანებლივ, ბუნებრივად ხორციელდება. ასეთი თავისუფალი ზნე-ობრივი მოქმედების უნარი კი პირველ ყოვლისა, მართლაც, კარგ მაგალითებზე შეიძლება გამომუშავდეს და არა შიშის ქვეშ.

VIII

1. საკუთარი გამოცდილების მნიშვნელობა. ბავშვის ზნეობრივად აღზრდისათვის, მის ზნეობრივ გაკეთილშობილებისათვის ზოგიერთი ახლაც კი განსაკუთრებულ შინაგანებულ მნიშვნელობას მიაწერს ბავშვის საკუ-თარ, უშუალო გამოცდილებას. „დევ ბავშვმა თითონ იგრძნოს-თვისი საკუთარი ცუდი მოქმედების მწარე შედეგი. ეს შედეგი მი-სი გამოსწორების საშუალება იქნებაო“ აღნიშნავს მრავალი მშობე-ლი და პრაქტიკოსი მასწავლებელი.

ეს მოსაზრება, რა თქვა უნდა, ახალი არაა. ჯერ კიდევ რუსო მიუთითებდა, რომ ზნეობრივ აღზრდაში დარიგებასა და ახსნა-გან-მარტებას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. იგი არც იმის მომხრე იყო, რომ ბავშვის ამორალური მოქმედება რაიმე გარეგანი იძულებოთ ჩაგვეხშო. მას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, რომ უფროსების ნებასურვილი მოგვეხვია ბავშვისათვის და ამით აგვეძულებინა იგი, რათა სასურველი ქცევა განეხორციელებინა. რუსოს აზრით, ბავშვის ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება იმით, რომ მასზე მოქმედებს ყოველი ამორალური ქცევის უსიამოვნო-განცდებიო, იგი ერთ ადგილს პირდაპირ სწერს: „არ უთხრათ ბავშვს არავითარი საყვედური, მიეცით მას ნება მიიღოს იგი გამო-ცდილებით. ემილი სტებს ავეჯს. ნუ იჩქარით მას სამაგიერო მის-ცეთ. დაე; მან თითონ იგრძნოს მისი უქონლობის უსიამოვნება. მან ფანჯარა გატეხა ოთახში: იქროლოს ქარმა. ემილს სურდო-

გაუჩნდება. არა უშავს! სამაგიეროდ მორალური გაკვეთილი ძლიერ მნიშვნელოვანი იქნება: როდესაც ემილი გაიგებს, რომ არ შეიძლება იმისი ჩადენა, რაც მან ჩაიდინა, მაშინ ჩასვით ფანჯარა¹.

როგორც აქედან ვხედავთ, რუსოს აზრით ბავშვის ზნეობრივი გარდაქმნა ხდება იმის შედეგად, რომ მის ამორალურ მოქმედებას ცუდი შედეგი მოსდევს. ეს შედეგი კი ბავშვში იწვევს უსიამოვნების განცდას, რაც მომავალში აიძულებს მას მსგავს მოქმედებას თვით აარიდოს. მოკლედ, რუსო ფიქრობს, რომ მწარე გამოცდილება ბავშვის ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

შავრამ სად არის აქ აღზრდაში თავიდანვე. ნაგულისხმევი ორგანიზებული ზემოქმედება? ნუთუ უმნიშვნელოა გეგმიანი ზემოქმედება ბავშვის ზნეობრივი მხარის აღზრდისათვის? რუსოს საჭიროდ არ შიაჩნია ბავშვის აღზრდაში უფროსების ორგანიზებული ჩარევა. ბავშვის ზნეობა, ბავშვის მოვალეობის გრძნობა, განსაზღვრულ წესებისადმი დამორჩილების უნარი და სხვა, რუსოს აზრით, ჩვენ უფროსებმა კი არ უნდა გამოვიმუშავოთ, არამედ ყოველივე ეს თითონ ჩვენს გარეშე ბავშვის პირად გამოცდილებაში გამომუშავდება, მოქმედებიდან მიღებულ ეპოციების ნიადაგზეო.

ეს თავისუფალი აღზრდის თეორია რუსოდან იწყება. ამ თეორიის მიხედვით ბავშვში თავიდანვე მოცემულია განვითარების ტენდენციები. ასეთი ტენდენციების მქონე ბავშვი ცხოვრების ყოველ მომენტში ისწრაფების განსაზღვრული მიმართულებით და აი აღზრდამ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოს ამ შინაგან გიმართულებებსა და ტენდენციების განვითარებას. აღზრდა მხოლოდ დახმარებას გულისხმობს და მეტს არაფერსო.

როგორც ვხედავთ, თავისუფალი აღზრდის თეორია დაფუძნებულია ადამიანის საერთოდ განვითარების ნატივისტურ თეორიაზე, რომელიც განვითარებაში არსებით მნიშვნელობას მხოლოდ შინაგან „ფაქტორს“ ან თანშობილ შესაძლებლობებს ანიჭებს და აღზრდის როლს არარაობად თვლის.

რა ითქმის ამ თავისუფალი აღზრდის თეორიის შესახებ? შეიძლება თუ არა ბავშვის უსიამოვნების განცდა, მართლაც, მის ზნეობრივ გარდაქმნის უებარ საშუალებად მივიჩნიოთ? ნუ თუ მართლა „ბავშვის საუკეთესო მასწავლებელი“ მისი საკუთარი ტკივილი ან უსიამოვნებაა?

ბავშვის ზნეობრივი აღზრდის ასეთი პრინციპი სრულიად მიუ-

¹ Ж. Ж. Руссо, Эмиль, 1911 №. გვ. 97.

დებელია. მართლაც, აღნიშნულ თეორიის მიხედვით ბავშვი უნდა საკუთარი გამოცდილების ამარა დავტოვოთ; მას უნდა ნება მივცეთ ყოველივესა და არაფერი ავუკრძალოთ. ბავშვი თუ სანთელს ეტოტინება, დე ნუ ჩავერევით, ხელს როპ დაიწვავს მერე მოერიდება. ჩაგრამზედა სართულის ფანჯრიდან გადმოხტომა რომ მოისუროს, ნურც მაშინ ჩავერევით? ამ შემთხვევაში ჩაურევლობა ხომ ბავშვის დალუპვას გამოიწვევს? როგორ შეიძლება ბავშვის თავმინებება ყოველგვარი დაუშვებელი მოქმედების ჩასადენად?

ესეც რომ არ იყოს, ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვი გამოცდილების მწარე შედეგის საფუძველზე მოქმედებს, მაშინაც არ იქცევა ის ზნეობრივად. მართლაც და ვთქვათ, ბავშვი სანთელს ხელს მიტომ ალარ კიდებს, რომ მან ხელი დაიწვა და ეს უხსოვს. განა ასეთი დამახსოვრებით იგი ზნეობრივად გარდაქმნილია? ცხადია, აქ ზნეობრივ გარდაქმნასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ ბავშვში ამ ერთი მოქმედების თავშეკავების უნარის გაჩენასთან. მწარე გამოცდილების, თუ უსიამოვნო შედეგების ნიაღაგზე ბავშვს შეიძლება გამოუმუშავდეს მხოლოდ ზოგიერთ მოქმედებათაგან თავშეკავების უნარი — და ისიც არა ყოველთვის გაცნობიერებული. აი რატომ მიგვაჩნია, რომ გამოცდილების პრინციპით ბავშვი მორალურ ლირებულებათა ცხოვრებამდე ვერ მივა და ამიტომ ამ პრინციპს ვთვლით არაპედაგოგიურად.

2. **ძალა-უფლების თეორია (იძულება).** რუსოს თავისუფალი აღზრდის თეორიისაგან არსებითად განსხვავდება ჰერბარტის მიერ წამოყენებული ე. წ. „ძალაუფლების თეორია“.

ჰერბარტის აზრით, ვიდრე ბავშვს ნამდვილი ნებისყოფა ჩამოუყალიბდება, მანამდე მასში თავს იჩენს უგნერი თავშეუქავებლობა, რაც იწვევს მოზრდილთა მიერ დადგენილ საყოველთაო წესების დარღვევას. ჰერბარტის აზრით უნდა დავიმორჩილოთ ბავშვი, დავამყაროთ მასში ერთგვარი წესრიგი და თანდათანობით გამოვიმუშაოთ მისი ნებისყოფაო. თუ დროზე არ დავიმორჩილეთ ბავშვის უგუნური თავშეუქავებლობა, მაშინ ის თანდათან „უხეშ ნდომაში“ გადადის. ასეთმა ნდომებმა შეიძლება ნებისყოფაც კი დაიმორჩილოს და მას ანტისაზოგადოებრივი მიმართულება მისცეს. ჰერბარტის ბავშვის დამორჩილება და მაშასადამე, მისი ზნეობრივი აღზრდა შესაძლებლად მიაჩნია „ძალაუფლების“ გამოყენებით. მისი აზრით, ზნეობრივი აღზრდა დაკავშირებულია ნებისყოფის გამომუშავებასთან, რომელიც აღზრდის შედევად წარმოიშობა. იმისათვის, რომ ამ ამოცანის განხორციელებას მივაღწიოთ, ჰერბარტი ფიქრობს, რომ უნდა ვიმოქმედოთ ბავშვის გონებაზე, რათა დავარწმუნოთ ის, რომ იგი უნდა დაგვემორჩილოს. ეს იმას ნიშ-

ნაეს, რომ ჩვენი „ძალაუფლების“ გამოყენებით სიკეთე და ზნეობრიობა ბავშვმა მოქმედების პრინციპად ან ნებისყოფის ნამდვილ საგნად უნდა გადააქციოს. ბავშვში ჩვენს მიერ აღძრულ წარმოდგენებს ბავშვის გონებამ უნდა უხელმძღვანელოს.¹

როგორც აქედან ჩანს ჰერბარტს ზნეობრივ აღზრდაში ესმის. არა რაიმე სააღმზრდელო მიზნის მიღწევა, არამედ ბავშვის დაწმუნება ჩვენდამი დამორჩილების აუცილებლობაში. მაგრამ ბავშვის ჩვენდამი დამორჩილება ხომ ზნეობრივი აღზრდა არაა! ჰერბარტი ბავშვის ნებისყოფის განვითარებას ძალის გამოყენებით ცდილობს ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, იგი მიმართავს ბავშვის დაშინებას და ამ საფუძველზე ცდილობს, რომ მას ნებელობა განუვითარდეს, მაგრამ აქვს კი რაიმე პედაგოგიური მნიშვნელობა ბავშვის დაშინებას? არის თუ არა შიში რაიმე ღირებულების მქონე ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეში?

როგორც ცნობილია, შიში ჩვეულებრივად ითვლება თანშობილ რეაქციად. მისი გამოვლენა ყველა დამიანში ერთნაირი სიძლიერით არ ხდება. ზოგს მეტად ეშინია, ზოგს ნაკლებად; ზოგს ისეთი რამეც კი აშინებს, რაც სხვებისათვის სრულიადაც არ წარმოადგენს საშიშროებას, მაგრამ საზოგადოდ შიშის განცდას მოქლებული კა არავინ არ არის.

კერძოდ, დასჯის შიში საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა როგორც ერთ-ერთი ღონისძიება სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვეულებრივ დაშინების გამოყენება ასე ხდება. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლის დაშინებას. და აიძულებს მას ის გააკეთოს, რაც მის ნება-სურვილიდან მომდინარეობს. ზოგჯერ დაშინება გამოყენებულია არა სასურველი მოქმედების გამოსაწვევად, არამედ მიულებელ მოქმედების შესაკავებლად. ასეთ შემთხვევებში დაშინებული პიროვნება აჩერებს და არ აძლევს რეალიზაციის საშუალებას იმ მოთხოვნილებებს და იმპულსებს, რომელთა ნიადაგზე აღმოცენებული ქცევა სხვებისთვის მიულებლად ითვლება, პიროვნება თავს იკავებს ამორალური ქცევისაგან „სამაგიეროს მიზღვის შიშით“. იგი „მსჯელობს“ — ასე, „ეს მოქმედება რომ ჩავიდინო, სამაგიეროს მომიზღვიან, დამსჯიანო“.

მაგრამ დასჯის შიში, რომელიც პიროვნების იმპულსურ მოთხოვნილებათა შეჩერებას იწვევს, არ არის მაინცდამაინც მისაღები სტიმული. აღამიანი შიშის ქვეშ კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ

¹ И. Ф. Гербарт, Избранные педагогич. сочинения, 1940 г. т. I, стр. 161—167.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტი მნიშვნელობის მქონე სტი-
მულების საფუძველზე. ასეთი სტიმულის თავისუფალი არჩევანის
საშუალება უნდა ჰქონდეს პიროვნებას და მისი მოქმედება აქციან
გამომდინარეობდეს.

საერთოდ, დაშინების პედაგოგიკის საწინაღომდეგოდ დიდი ხანია
შრავალ ნაკლს მიუთითებენ. მათგან მაინც აღსანიშნავი სამია:
პირველი, დაშინების პედაგოგიკას არ შეიძლება წარმატება
ჰქონდეს იმიტომ, რომ დაშინება შესაძლებელია მხოლოდ
სუსტებისა. რაც შეეხება ძლიერებს მათში შიშის მაგიერ წინა-
აღმდეგობას გამოვიწვევთ და მათთან ამგვარი მოქმედებით ვერას
გავხდებითო. მეორე ნაკლი დაშინების პედაგოგიკისა იმაში მდგრ-
მარეობს, რომ იგი ეყრდნობა ბავშვის თავისუფლების წართმევას
და იძულებას. მაგრამ „რაიმეს არ ჩადენა ცუდი შედეგის შიშით
ისევე უზნეობაა, როგორც მისი გაკეთება... საგნებისადმი ყოველი
არათავისუფალი დამოკიდებულება, ყოველივე შიში უკვე ნიშნავს
ზნეობრივი გრძნობის უქონლობას. ზნეობრივობა ფსიქოლოგიურის
აზრით ყოველთვის თავისუფლებაა“ მიუთითებს ვიგოდსკი¹.

დაბოლოს დაშინების მესამე ძირითადი ნაკლი გამომდინარეობს
აქიდან, რომ, როცა ბავშვს ვაშინებთ და ვუთითებთ, რომ ცუდი
მოქმედება არ ჩაიდინოს, სწორედ აკრძალული ცუდი ქცევის ამ
აღწერით ბავშვის ცნობიერებაში ვჭმნით მის რეალიზაციის ტენდენ-
ციასო; ბავშვი აშ აღწერით მიგვყავს რქითკენ, რომ მან აკრძალუ-
ლი მოქმედება ჩაიდინოს (აკრძალული ხილი გემრიელიაო).

დაშინებას მართლაც გააჩნია ზემოაღნიშნული ნაკლი, მაგრამ
განა ამ ნაკლის გამო ჩვენ სრულიად უნდა უარყოთ დაშინების
პრინციპის პედაგოგიური ღირებულება? ან შეგვიძლია კი ავცდეთ
ყველგან და ყოველთვის ამ პრინციპს?

საქმე იმაშია, რომ დაშინება მეტად ფართო ცნებაა და მის
ქვეშ იგულისხმება სხვისი ნებისყოფილან მომდინარე ყოველგვარი
იძულება, რომელსაც ბავშვი უნდა დაემორჩილოს. მაგრამ უფრო-
სებისა და აღმზრდელ მასწავლებლებისაგან მომდინარე იძულება-
ზე როგორ შეგვიძლია უარი ვთქვათ? ვიგოდსკის ისიც კი
მიაჩნდა შეცდომად, რომ დედა თავის შვილს ეტყვის „ნუ იზამ,
თორემ დედა არ შეგიყვარებსო“. ბავშვმა ნამდვილად შეიძლება
თავი შეიკავოს ამ საქციელისაგან, მაგრამ ზნეობრივი და აღმზრდე-
ლობითი ზემოქმედება ამ თავშეკავებისა ნოლს უდრისო იმიტომ,
რომ ის შიშის და დამცირების შედეგად მოხდა და არა ბავშვის

¹ Л. С. Выгодский, Педагогическая психология, краткий курс, 1926 г.
стр. 231.

გარდაქმნის ნიაღაგზეო. ასე, რომ სხვისგან მომდინარე იძულების და სხვისაღმი დაჯერების ზნეობრივი ლირებულება ვიგოდსკის არ სწამს. „არა დაჯერება ვისმესაღმი ან რაიმესაღმი, არამედ თავისუფალი არჩევა და მიღება ქცევის ისეთი ფორმისა, რომელიც ხაერთო მოქმედების სწორ გარანტისა იძლევაო“.¹

ჩვენ, რა თქმა უნდა უფროსებისაგან მომდინარე იძულებას და უფროსებისაღმი დაჯერების საკითხს ასე არ ვუყურებთ. საქმე ისაა, რომ ძლიერ ხშირად მაინც იძულებული ხდებით ბავშვის ქცევის მარეგულირებლად ან შესაცვლელად ან რაიმე საქციელისაგან თავ-შესაკავებლად მაინც იძულება გამოვიყენოთ. ბავშვისაგან მოვითხოვთ, რომ იგი განსაზღვრულ რეაქტს დაემორჩილოს. ვაიძულებთ მას და, მაშასაღამე, ზოგჯერ ვაშინებთ კიდევაც, რომ ზოგიერთი მოქმედება შეაკავოს და არ მისცეს ყველა თავის მოთხოვნილებებს რეალიზაციის საშუალება. ჩვენ ვთხოვთ ბავშვს და პირდაპირ ვეუბნებით „მოუსმინე უფროსებს, დაუჯერე მასწავლებელს და შენთვის კარგი იქნება, თუ არა და შენთვის ცუდი იქნებაო“. ჩვენ ამ მოქმედების შედეგად მოსწავლის იძულება სასარგებლოდ მიგვაჩნია ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით იმის მიუხედავად, რომ მოსწავლეს ნაწილობრივ თავისუფლება ერთმევა.

უფროსების ბრძანებით, ცხადია, ბავშვი იძულებას განიცდის. მაგრამ ასეთი ბრძანებებით ბავშვი იქამდის მიღის, რომ იგი ხდება ბრძანების შინაარსის განხორციელების აუცილებლობას. ასეთი მიხვედრის შემდეგ მას იძულების განცდაც უქრება და თითონ ექმნება იმგვარი მოქმედების თუ თავშეკავების სურვილი და მოთხოვნილება, რომელსაც აქამდე უფროსები თხოულობენ. ახლა ბავშვი თვითონ ხდება თავის თავის მბრძანებელი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მას ბრძანება აღარ სჭირია, რადგან სხვისგან მომდინარე იძულება უკვე მოთხოვნილებად გადაექცა.

იძულებას ვიყენებთ ორი მიმართულებით. ერთ შემთხვევაში ბავშვს ვუკრძალავთ მოსალოდნელ მოქმედებას და მეორე შემთხვევაში სავალდებულოს ვუხდით რაიმე მოქმედების ჩადენას. როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ბავშვი იქცევა იძულებით. მაგრამ ამ იძულებით ქცევას, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, და რა ხდება ფსიქოლოგიურად ყოველი ასეთი იძულებითი მოქმედების დროს? რას განიცდის ბავშვი?

ყოველი იძულების შემთხვევაში ბავშვი კარგად გრძნობს, რომ ის იმას აკეთებს, რაც მას ამჟამად არ სურს. მაგრამ ის ამავე

¹ იხ. დასახელებული შრომა, გვ. 237.

დროს ფიქრდება იმაზე, თუ რატომ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მას უბრძანებენ ან რა არის მისაღები ასეთ მოქმედებაში. სწორედ ასეთი დაფიქრების გამო ბავშვი თანდათან ეჩვევა, ჯერ ერთი თავის ქცევის წარმოსახვას და გაანალიზებას და მეორეც ამითვე თანდათანობით უმუშავდება მას ქცევის ღირებულების კრიტერიუმები.

ბავშვის პირველი გაუცნობიერებელი ქცევა, რომელსაც, შესაძლებელია, იგი ახორციელებდეს ან შიშის და ან ხათრის ნიაღაგზე თანდათან შეგნებული ხდება და ბავშვის პირად მოთხოვნილებებს უკავშირდება.

3. დასჯის შესახებ. ბურუუაზიულ სახელმწიფოებში როგორც ლოკი იტყოდა „წკეპლა და სადავე“ აღამიანის მოქმედების გამომწვევე ძირითად სტიმულებათ არის მიჩნეული. ეს მეთოდები გამოყენებულია არა მარტო სკოლაში, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, არამედ მოზრდილთა წრეშიც.

აღსანიშნავია, რომ არც ინგლისში და არც ამერიკაში კანონით არ არის აკრძალული მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა. ფიზიკური სასჯელი იქ გამოყენებულია იმისათვის, რომ ჩაახშონ ბავშვის პიროვნება, დაუჩრდილონ მას ცნობიერება, შეგნება და გადაამუშაონ ან უკეთ თავიდანვე დაამუშაონ იგი ისე, რომ მისვან კაპიტალისტისათვის საჭირო მსახური, ყურმოჭრილი მონა მიიღონ.

ჩვენთან ფიზიკური დასჯა, როგორც ბავშვის პიროვნების ჩამქველელი და მომსპობი საშუალება, კანონით აკრძალულია. დასჯის სხვა სახეებსაც ჩვენ სულ სხვა მნიშვნელობით ვიყენებთ და არა აქვს ის დანიშნულება, რასაც ბურუუაზიული ქვეყნები მას ანიჭებენ. ბურუუაზიულ სახელმწიფოებში დასჯა გამოყენებულია შიშის გრძნობის გასავითარებლად. ჩვენთან კი დასჯას პიროვნების გარდა საქმელად მიმართავენ. ჩვენში დასჯას, ცხადია, უკიდურეს შემთხვევაში მივმართავთ და ისიც არა მარტო მას, არამედ მასთან ერთად ახსნასა და დარწმუნებას. როცა მოსწავლე შეგნებულად ჩაიდენს რაიმე დანაშაულს, ცხადია, ჩვენ მას შესაფერის სასჯელს ვადებთ. მაგრამ ამასთან ერთად მას ვუხსნით ჩადენილი დანაშაულის შინაარს და ვარწმუნებთ, რომ მისი ამგვარი ქცევა ბოროტებაა: ასე, რომ ჩვენთან სასჯელი, რომელიც უკიდურეს ზომას წარმოადგენს არ არის მოცილებული სხვა აღზრდელობით ლონის ძიებებს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ სკოლაში სრულიად არ უნდა ვიყენებდეთ სასჯელს. დასჯის საწინააღმდეგოდ და მისი მიუღებლობის დასაღასტურებლად განსაკუთრებით მიუთითებენ იმ გარემოებაზე,

რომ იგი მასწავლებლის ავტორიტეტის დაკარგვას იწვევს: მოსწავლე თუ რაიმე „დანაშაულს“ ჩაიდენს, ეს სკოლის ცუდი მუშაობის შედეგია და ამისათვის ის არ უნდა ისჯებოდეს.

მაგრამ სასჯელის აღნიშნული ნაკლი მაინც მის გამოყენებაზე ხელს ვერ ავალებინებს. სასჯელის გამოყენება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში იმდენადაა აუცილებელი, რომენადაც იმით ვაძლევთ მოსწავლეს მომავალში აღარ იმოქმედოს ისე, რისთვისაც სასჯელი მიიღო.

მაგრამ როგორაა, რომ სასჯელი ბავშვის მოშავალ ქცევაზე მოქმედობს? მარტივი ახსნა ამ საკითხისა ასეთია. სასჯელი იწვევს შიშის, ეს შიში წარმოდგენის ან წარმოსახვის სახით თავს იჩენს, ხოლმე ყოველთვის, როცა ბავშვს რაიმე მიუღებელი ქცევის მოთხოვნილება თუ იმპულსი უჩნდება. შიში ეწინააღმდეგება ამ იმპულსს და ბავშვი იძულებული ხდება თავი შეიკავოს არასასურველ ქცევიდან. ასეთია მოკლედ ე. წ. დაშინების თეორიის არსი.

ამ თეორიას ძალა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მცირე ასაკის ბავშვებში. და სუსტებში. რაც შეეხება მაღალი ასაკის ბავშვებს, იქ დაშინებასთან დაქაյშირებულმა უსიამოვნების განცდამ შეუძლებელია მათ ხელი ააღებინოს განზრახულ მოქმედების ჩადენაზე, მოზრდილი ბავშვები გაურბიან ამორალურ საქციელს არა შიშის, ნიადაგზე, არამედ ხათრის, სირცევილის და სხვა გრძნობების, საფუძველზე.

აქედან გამომდინარეობს, რომ მოსწავლეთა გარდაქმნისათვის, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ხშირად და ძლიერად იქნება გამოყენებული სასჯელი, არამედ იმას, თუ რამდენად შევძლებთ ახსნა-განმარტებით, რომ მათში გამოვიმუშაოთ ხათრისა, და სირცევილის გრძნობა, ამხანაგებისადმი ანგარიშის გაწევის, გრძნობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დასჯის ღონისძიებათა გაძლიერებას ხშირად, საწინააღმდეგო შედეგი მოსდევს; ე. ი. რამდენადაც ძლიერდება, იგი, იმდენად სუსტდება მისი ეფექტი. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელისაღმი თვით ბავშვის დამოკიდებულებას. რამდენად გრძნობს იგი თავს დამნაშავედ, თუ მიაჩნია თავისი მოქმედება შეცდომად ან როგორ აფასებს მას, და სხვა.

ბავშვის დანაშაულისათვის მრავალი სახის სასჯელი არსებობს. თავისებურ დასჯას წარმოადგენს ისიც, როცა მასწავლებელს მოსწავლე კინოში აღარ მიჰყავს, როცა მშობლებთან შეთანხმებით ბავშვს ეკრანება სანახაობათა ნახვა, თამაში, გასე-

ირნება და სხვა. ასეთ შემთხვევებში ბაკევი, მართლაც, ისჯება იმით, რომ მას ვუბოჭავთ ცნობისმოყვარეობას და არ ვაძლევთ დაქმაყოფილების საშუალებას მის ძლიერ სურვილებს. მაგრამ ყველა სასჯელის ძირითადი მიზანი, ცხადია, იმაში მდგომარეობს, რომ ბაკევს შევაგნებინოთ თავისი წარსული ქცევა რათა მისი გაცნობიერების ნიაღაგზე აღარ დაუშვას მსგავსი მოქმედება მომავალუში. მაკარენკოს სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა იგი დამნაშავე ალსაზრდელს თავის კაბინეტში საათობით ამყოფებდა და სთხოვდა კარგად გაეთვალისწინებინა, თუ რა დანაშაული ჩაიდინა.

დანაშაულის გაცნობიერება, იმ ქცევის წარმოსახვა, რაც მოსწავლემ ჩაიდინა როგორც ამორალური მოქმედება, ხელს უწყობს მოსწავლის შეცვლას. იცვლება მისი მოქმედების განწყობა, მოსწავლე თანდათანობით ეჩვევა მომავალი მოქმედების ან, მომავალი ხამოქმედო სიტუაციის წარმოსახვას და გაანალიზებას. ეს კი ხელს უწყობს მისი მთლიანი პიროვნების გარდაქმნას.

4. წახლისების ლომისძიება. ახალთაობის აღზრდის ერთ-ერთ გნიშვნელოვან მეთოდს დასჯასთან ერთად წახალისებაც წარმოადგენს. არ დაემორჩილები გარედან მომდინარე იძულებას—დაისჯები, დაემორჩილები—დაჯილდოვდები. ლირსეულად შეასრულებ უფროსების ნებისყოფის მოთხოვნილებას—ჯილდოს მიიღებ. ასეთია პედაგოგიკის მოთხოვნილება.

ვიგოდსკი როგორც დასჯის, ისე წახალისების მნიშვნელობასაც უარყოფს და მიუთითებს „მორალური ქცევა უნდა ეფუძნებოდეს არა გარეგან იძულებაზე, არამედ შინაგან თავშეკავებაზე, უფრო სწორად იმაზე, რომ აღამიანი ბუნებრივად უნდა ილტვოდეს კეთილისა და მშვენიერებისაკენ. მორალური ქცევა უნდა შეიქმნეს მისი ბუნება და იგი ხორციელდებოდეს თავისუფლად და იოლად“. ¹

ვიგოდსკის ეს მოსაზრება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ მორალური ქცევის შინაგან მოთხოვნილებად გადაქცევისათვის აუცილებლად საჭირო ხდება გარეგანი ზომები; კერძოდ დასჯისა და წახალისების ლონისძიებანი. ამ ლონისძიებების გარეშე შეუძლებელია მოსწავლეს მორალური მოქმედების მოთხოვნილება ერთგვარ ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაექცეს. პიროვნების ყოველი ქცევისადმი მიღრეკილება და თითონ ქცევის სტრუქტურა და შინაარსიც არსებითად მოქმედებაში, ქცევაში ყალიბდება. და როგორ შეგვიძლია ამ ქცევაზე არ

¹ იხ. დასახელებული შრომა, გვ. 238.

კიმოქმედოთ გარედან და მას არ მივცეთ ან კვლავ მოქმედებისა და განმტკიცების საშუალება და ან არ ჩავახშოთ იგი თავიდანვე; მოკლედ, თუ გვსურს, ომმ მოსწავლეს მორალური ქცევის მოთხოვნილება შევუქმნათ, ამისათვის უნდა გამოვიყენოთ როგორც დასჯის, ისე წახალისების ღონისძიებანი.

მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ჩვენთან წა-
ხალისება მიზნად არ ისახავს ერთი მოსწავლის მეორესთან და-
კირისპირებას. პირიქით, წახალისების ღონისძიებებს ჩვენ მივ-
მართავთ მხოლოდ იმისათვის, რომ თითონ მოსწავლე გახდეს
უფრო გაბედული, გამოვიდეს ის მერყეობის მდგომარეობიდან და
დარწმუნდეს თავის ძალების სიძლიერეში. ჩვენთან წახალისების
ღონისძიებანი ეს არის ერთ-ერთი საშუალება გაუბედაობისა და
ყოყმანის წინააღმდეგ ბრძოლისა. წახალისებით ჩვენ წარვმართავთ
ბავშვის ყურადღებას მისსავე კარგ თვისებებზე და ეს აჭტკიცებს
და აძლიერებს ამ კარგ თვისებებს. შემდგომ ეს თვისებები თანდა-
თან ხდება ბავშვის მოქმედების დამახასიათებელ, ბუნებრივ ნიშ-
ნებას.

წეხალისებისათვის მოსწავლეებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას ფულადი ჯილდო. და ეს არა მარტო იმი-ტომ, რომ შესაძლებელია ეს ფული ბავშვმა ბოროტად გამოიყენოს, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი ჯილდო არ წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომ მან ქცევის გაცნობიერებისაკენ წარმართოს ბავ-შვის ყურადღება. პირიქით, როცა ბავშვი საჩუქრად ფულს ლებუ-ლობს, ის მთელი ყურადღებით ფულისკენ და მის ლირებულები-მაკენ არის მიმართული და თავის ქცევის შინაარსს არა თუ აცნო-ბიერებს, არამედ ივიწყებს კიდევაც.

მაგრამ სასჯელსაც და ჯილდოსაც იმიტომ და იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც მათ ბავშვი მიყავთ იმ ქცევის გაცნობიერებამდე, რაც მას ჩაუდენია. ბავშვს ამ ნიადაგზე უნდა გამოუმუშავდეს იმის უნარი, რომ ყოველი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის წარმოსახოს ის სიტუაცია, რომელშიაც ეს მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს. იდეური სიტუაციის წარმოსახვის უნარის განვითარება კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზნეობრივი გარდაქმნისათვის. ამ უნარის გარეშე შეუძლებელიც არის ბავშვის ზნეობრივი აღზრდა. როცა ბავშვს ჯერ კიდევ არ გააჩნია იდეური სიტუაციის წარმოსახვის უნარი, მაშინ ჩვენ მის ზნეობრივ აღზრდას კი არ ვაწარმოებთ, არამედ მას მთელ რიგ სასაჩვენებლო და მისალებ ჩვევებსა და ჩვეულებებს ვუმუშავებთ. იდეური სიტუაციის წარმოსახვის უნარი და ზნეობრივი შეგნება ან ზნე-

ობრივი მოთხოვნილებანი გადამწყვეტი მნიშვნელობის შეონენს არიან ადამიანის ზნეობრივი მოქმედებაში.

თუ როგორ მოქმედებს ზნეობრივი მოთხოვნილებები სხვა მოთხოვნილებებზე, ისეთ ადამიანში, რომელსაც იდეური სიტუაციის წარმოსახვის უნარი გააჩნია, ამის შესახებ ნათელ პასუხს ვპოვლობთ აკად. დ. უზნაძის ცნობილ შრომაში „ზოგად ფსიქოლოგიაში“. აი რას წერს ეს მკვლევარი ერთ ადგილას.

„შესაძლოა, რომელიმე აქტუალურ ბიოლოგიურ მოთხოვნილების იმპულსი ისეთი ქცევისაკენ გვიზიდავდეს, რომელიც ჩვენს მორალურ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება — ვთქვათ, მშიერადვილად დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, რომ მას ნება მიეცა თავისი თავისათვის, თავისი ამხანავის ულუფა ქურდულად ან ძალით მიეთვისებია.

მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ქცევა სრულიად არ ეთანხმება მის მორალურ მოთხოვნილებას. რა არის ასეთი მდგომარეობის შედეგი? რასაკვირველია, ის, რომ მშიერი სხვისი ულუფის მითვისების იმპულსს არ ემორჩილება და, ამრიგად, მონაცემ სიტუაციაში თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ცდაზე ხელს იღებს. სხვანარად: შიმშილისა და მონაცემი სიტუაციის, ე. ი. სხვისი ულუფის მითვისების შესაძლებლობის ნიადაგზე სუბიექტს გარკვეულ ქცევას — სხვისი ულუფის მითვისების — განწყობა უჩნდება. მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი ქცევაში გადავიდოდეს, მისი შეორე მოთხოვნილება — მორალური მოთხოვნილება — იღვიძებს, და აღნიშნული განწყობის ქცევაში რეალიზაციას აფერხებს. მაშასადამე, სუბიექტი სხვის ულუფის მითვისების განწყობის აღმოცენებისთანავე როდი მიმართავს სათანადო ქცევას — მისი განწყობა უშუალოდ როდი გადადის ქცევაში. არა! სუბიექტის განწყობა სხვა სახით პოულობს თავის რეალიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ მან სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლენა, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს — ნაცვლად იმისა, რომ სუბიექტმა სხვისი ულუფის მითვისების რეალურ აქტებს მიმართოს, იგი ჯერჯერობით მხოლოდ იმით ქმაყოფილდება, რომ ამ აქტების განხორციელების სურათს წარმოადგენს: სხვისი ულუფის მითვისების განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ექვივალენტში პოულობს რეალიზაციას.

თავისთავად იგულისხმება: სუბიექტს რომ წარმოსახვის შესაძლებლობა არ ჰქონოდა, იგი რომ მოკლებული ყოფილიყო

ც ნობიერებას, მისი განწყობა მყის ქცევის სახით უნდა გამოვლენიყო, და ყოველი მისი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს მაშინათვე სათანადო ქცევა უნდა გამოეწვია".¹

ნ. ვარჯიშისა, ჩვევების და რეფიმის ოლიის ზესახებ. უძველეს დროიდან ვარჯიში ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ირის მიჩნეული. მაგრამ რა არის ვარჯიშში ისეთი რამ, რაც ხელს უწყობს ახალთაობის ზნეობრივ გაკეთილ-შობილებას! ან როგორი უნდა იყოს ეს ვარჯიში? რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ?

ვარჯიში ადამიანის მოქმედების მრავალგზის განმეორებას გულისხმობს. ამ მრავალგზის განმეორების შედეგად ხდება მოქმედების ანუ ქცევის ფიქსაცია. ასეთი ფიქსირებული მოქმედებისათვის საკმარისია კვლავ შვასაფერისი გარემო, რომ მაშინვე ის, როგორც შზაობაში მყოფი ქცევა, სასწრაფოდ განხორციელდეს. ამასთან ადამიანს აღარ სჭირდება დიდი ძალისხმევა, რომ ამგვარი მოქმედება განახორციელოს. ასეთი მოქმედება პირდაპირ ხდება ისე, როგორც იტყვიან, ავტომატურად, ცნობიერების ნაკლებად ჩარევის გზით. ამგვარ მოქმედებას ჩვეულებრივ ჩვევის სახელწოდებით აღნიშნავენ და მის დამახასიათებელ ნიშნად სწორედ იმას თვლიან, რომ იგი ავტომატურად სრულდება.

ჩვეულებრივ მეტყველებაში ჩვევის ცნების ქვეშ გულისხმობენ ცუდ მოქმედებებს ან უკეთ რომ ვაქვათ, ცუდ ჩვეულებებს (ლო-თობას, პაპიროსის წევას, პუდრის წასმას, ხელების უადგილო ადგილას ქნევას და სხვა მრავალს) და არ გულისხმობენ ადამიანის, ისეთ ლირს შესანიშნავ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა, თავ-შეკავება, უფროსებისადმი პატივისცემა და სხვა. თუმცა ეს თვისებებიც არა ნაკლებ შეიძლება ჩაითვალოს ჩვევად, ვიდრე ჩვევის სხვა სახეები.

მოკლედ, ჩვევებში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ახალი მოქმედება, რომელიც ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ნიაღაგზე არის განმტკიცებული და ის სრულდება ისე, რომ აღარ მოითხოვს ცნობიერების ძლიერ კონტროლს.

ჩვევები შეიძლება იყოს მორალური და ამორალური ხასიათისა. ყოველ მორალურ ანუ ზნეობრივ ჩვევაში ორ ძალას ან მოქმედების ორ სტიმულს ვამჩნევთ. ერთი სტიმული ადამიანს ცუდი შიმართულებით მოქმედებისაკენ ეზიდება, ხოლო მეორე სტიმული კარგისაკენ. მაგ. ადამიანს როცა ალკოჰოლის მიღების მოთ-

¹ დ. უნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 71—72.

ხოვნილება ანუ ე. წ. სმის მოთხოვნილება უჩნდება, მასში თავს იჩენს აგრეთვე საზოგადოებიდან გაყიცხვის შიში. ეს უკანასკნელი თუ პიროვნებისათვის, მართლაც, ფსიქოლოგიური ღირებულების მატარებელია და მას ამ მხრივ რაღაც ძალა გააჩნია, მაშინ ადამიანი თავის მოქმედებას მხოლოდ ამ ნიადაგზე ან ამ სტიმულის საფუძველზე წარმართავს და სმის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ხელს იღებს. მაგრამ თუ საზოგადოების გაყიცხვას პიროვნება მნიშვნელოვნად არ თვლის და ამას მისთვის არავითარი ღირებულება არა აქვს, ცხადია, იგი მთლიანად ემორჩილება სმის მოთხოვნილებას და ამ იმპულსითაც მოქმედებს. ზეობრივი აღზრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაძლიერებულ იქნეს ზეობრივი მოქმედების სტიმულები, რათა მათ უფრო მეტი ღირებულება პქონდეთ პიროვნების თვალში.

მაგრამ როგორ შევქმნათ და გავაძლიეროთ ასეთი მისაღები მოტივი? როგორ განვამტკიციოთ იგი, რომ პიროვნება თავის მოქმედებას სწორედ ამ მოტივის ნიადაგზე წარმართავდეს.

ამ შემთხვევაში, ცხადია, მნიშვნელობა ვარჯიშს აქვს. ვარჯიშის მეშვეობით ხდება ადამიანში მთვლემარე ძალების გაღვიძება და მათი მოქმედებაში მოყვანა. ვარჯიშში და მოქმედებაში ხდება ძალების განვითარება და ჩამოყალიბება. ვარჯიშით შესაძლებელია მთელი რიგი ისეთი ჩვევების გამომუშავება, რომლებიც ადამიანის ზეობრივი მოქმედებისათვისაა საჭირო. მოკლედ, ადამიანის ძალების მოქმედებაში მოყვანა, ადამიანის საქმიანობა, პრაქტიკა, გადამწყვეტი როლს თამაშობს საზოგადო. ადამიანის ძალების განვითარებაში და, კერძოდ, ზეობრივი მოტივების შექნა-ჩამოყალიბებაში.

მ. ი. კალინინს ერთ ადგილას მოყავს ლენინის შემდეგი სიტყვები: „მარქსისტული მორალის ძირითადი შინაარსი ოქტომბრის რევოლუციამდე იყო „ბურუუაზის კრიტიკა, მასებში მისღამი სიძულვილის განვითარება, კლასობრივი შეგნების განვითარება, საკუთარ ძალთა დარაზმვის უნარი“. და აქედან მიუთითებს, რომ „პროლეტარული მორალი თვით მუშათა ყოველდღიურობაში—ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში ყალიბდება. მარქსისტული პროპაგანდა მხოლოდ აფართოვებდა პროლეტარული ეთიკის გაგების პორიზონტს“.-ო.¹

აქედან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ცხოვრება, პრაქტიკა, საქმიანობა ჰქონის მორალს. მუშას ფაბრიკაში მუშაობასა და საქმია-

¹ მ. ი. კალინინი, კომუნისტული აღზრდის შესახებ, 1948 წ., გვ. 296—297.

ნობაში უყალიბდება თავისი მორალი. მას აქ უჩნდება შთელი რიგი ზნეობრივი მოტივები და „ყოველი მოტივი— როგორც ამას სწორად მიუთითებს რუბინშტეინი—პოტენციაში ხასიათის ნიშანია“. მოახდენ რა მოქმედებაში და ქცევაში მის რეალიზაციას და ამგვარად განამტკიცებ რა მას ყოფაქცევაში, ის თანდათანობით ხდება ქარაქტეროლოგიურ ნიშნად. „ნებისყოფა, ისე როგორც ზოგადად პიროვნების ყოველი ფსიქიკური თვისება ვლინდება რა, ამასთან ერთად ფორმირდება კიდევაც“.¹

აქედან კი გამომდინარეობს აუცილებელი საჭიროება, რომ ბავშვები თავიდანვე მივაჩიოთ სწორი და გეგმიან მუშაობას, თავის სასწავლო ნივთების მოვლა-პატრონობას, დავალებების ზუსტად შესრულებას და სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ როგორ გამოვლენასაც მოვახდენთ ჩვენი ფსიქიკური ძალისას—ისეთს ძალად და ისეთ უნარიდ გაფორმდება ის. წესიერ და გეგმიან სამუშაოზე გამოვლინებული თუ გავარჯიშებული უნარი ადამიანში ყალიბდება წესიერ და გეგმიან მუშაობის უნარად.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ განსაზღვრულ რეჟიმულ პირობებში ჩაყენებული პიროვნება იზრდება წესიერად, რომ რეჟიმი წარმოადგენს ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. რეჟიმი გულისხმობს ერთი მხრივ, აკრძალვას, ხოლო მეორე მხრივ, დაძალებას. აკრძალვა ძირითადად მაინც ადამიანში მოქმედების შეკავების უნარს იმუშავებს, ხოლო დაძალებამ კი უნდა უზრუნველყოს აღზრდა მოვალეობის გრძნობისა, რომელიც ზნეობრივი აღზრდის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მოვალეობის გრძნობა შეიძლება აღვზარდოთ და განვავითაროთ მხოლოდ სისტემატური წესიერებისა და წესიერი ქცევის მოთხოვნის გზით, რასაც პიროვნებაში მორალური ცნობიერების გამომუშავებაც თან მოსდევს.

მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები ესაა მათი მორალური ქცევის კოდექსი და, ცხადია, მის დაცვას მის შესრულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო სკოლის კოლექტი-ვმა, არამედ აგრეთვე ოჯახმაც. ეს წესები ისე უნდა შეისისხლხორცონ მოსწავლეებმა, რომ ყოველთვის იმის მიხედვით მოქმედებნენ და ამასთან არ გრძნობლნენ არავითარ ძალდატანებას ანუ იძულებას.

ისევე, როგორც ზემოქმედების სხვა ლონისძიებების შემთხვევაში, რეჟიმის დაცვის მიზანსაც ის შეაღგენს, რომ ახალგაზრდას გამოვუმუშაოთ საკუთარი მოქმედების ცნობიერად მართვის უნარი. ასეთი

¹ С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, изд. II-е, 1916 г. стр. 158.

უნარი პირველად მას არ გააჩნია, იგი სწორად და სასურველად ჟერ მართავს თავის აქტივობას და აი რეეიმით ვაიძულებთ მას ასეთი უნარი შეიმუშაოს. პიროვნება მაშინ შეძლებს საკუთარი აქტივობის სწორად წარმართვას, როცა მას გამოუმუშავდება გარკვეული მიზანი და მოქმედებას ამის მიხედვით შეარჩევს. ამისათვის კი რეეიმიც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

6. მიმბაძველობის შეხახებ. რომ ყოველი ადამიანის ქცევის ერთ-ერთ უძლიერეს სტიმულს სხვა ადამიანთა ქცევა წარმოადგენს. როგორც იქცევიან სხვა ადამიანები, ისე გვსურს ვიქცეოდეთ ჩვენც. ეს მოვლენა ბავშვებში შემდეგნაირად ვლინდება: მოსწავლეს უჩნდება სურვილი ისე მოიქცეს, როგორც იქცევიან მისი ამხანავები. „თუ ის ისე იქცევა მე რალა ვარ?“ ასეთია ხშირად დასაბუთება ან გამართლება იმ მოქმედებისა, რომელსაც მოსწავლე ან საზოგადოდ ბავშვი იძლევა. ბავშვის გამოთიშვა მის ტოლამხანაგთა წრიდან და მოთხოვნა ისეთი მოქმედებისა, რომელსაც არც ერთი მისი ამხანავი არ მიმართავს ფსიქოლოგიურად მეტად ძნელია. პირიქით, ბავშვი ძირითადად ისე მოქმედებს, როგორც იქცევიან მისი ამხანავები. და როცა შისი ქცევა კოლექტივს და ამ უკანასკნელის მოქმედებას არ ეგუება, მაშინ იგიც ცვლის თავის ქცევას.

რატომ არის, რომ ბავშვი და საზოგადოდ მოზრდილიც სხვა ადამიანთა ქცევას ანგარიშს უწევს?

ამ კითხვაზე პასუხი ასეთია. ადამიანი მიმბაძველი არსებაა, მასში მოცემულია მიღრეკილება თუ მისწრაფება იმისა, რომ მოიქცეს ისე, როგორც სხვები იქცევიან. იგი პაბაკავს სხვებს მოქმედებაში, ქცევაში და ამით თითონაც ისე იქცევა, როგორც სხვები. ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანი იმასვე აკეთებს, რასაც სხვები აკეთებენ.

მაგრამ ერთი ადამიანი მეორეს ყველაფერში კი არ პირადავს, არამედ ზოგიერთ მოქმედებაში, და განსაკუთრებით ისეთ მოქმედებაში, რომელიც მას ნათლად აქვს გაცნობიერებული. თვით პატარა ბავშვებიც კი მხოლოდ სხვა ადამიანთა ისეთ ქცევას, პირავენ, რომელიც ცოტად თუ ბევრად მათთვის გაცნობიერებულია. ამიტომ აღნიშნავენ, რომ მიმბაძველობა ეს არის არა-მექანიკური პროცესი, არამედ ცნობიერი შემოქმედებითი აქტივობაა.

როცა ბავშვი სხვის მოქმედებისაღმი მიბაძვას ახდენს, როცა იგი სხვის ქცევისამებრ იქცევა, ამით იგი არა მარტო სხვის, არამედ თავის ქცევასაც აცნობიერებს. საკუთარი ქცევის შეგნება-გაცნობიერება თანდათანობით მაღალ საფეხურზე ადის სწორედ

სხვათა ქცევის გათვალისწინების ნიადაგზე. და რაკი იკი თანდათანო - შით აუნობიერებს თავის ქცევას, ამის მიხედვითაც ცვლის მას და აუმჯობესებს იმ მიმართულებით, რომ იგი დაუახლოოს შინაარ- სით და ხასიათით სხვის ქცევას. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ ბავშვი მიბაძვით ფსიქიურად ვითარდება და კერძოდ, ზნეო- ბრივად კეთილშობილი ხდება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვი, როგორც მიმბაძველი არ- სება, ხშირად არ არჩევს მისაბაძ მოქმედებებს მათი ლირებულების თვალსაზრისით. იგი პბაძავს არა მარტო ქცევის კარგ ნიმუშებს, არამედ ხშირად მისი მისაბაძი ხდება სხვა აღამიანთა დაუშვებელი საქციელიც ან დაუშვებელი მოქმედებაც. სწორედ ამიტომ შეიძლება, რომ ბავშვმა მიბაძვის უნარი გამოიყენოს ჩენი აღმზრდელობითი მიზნების საწინააღმდეგოდაც და მის სასარგებლოდაც.

მიბაძვის უნარი, რომ გამოიყენებულ იქნას მხოლოდ ზნეობრივად გაკეთილშობილებისათვის, ამისათვის საჭიროა პირველ რიგში ბავშვს მოვუსპოთ ცუდი მაგალითებისადმი მიბაძვის საშუალება. ამის მიღწევა შესაძლებელია სკოლაში და სკოლის გარედ ყოველ- გვარი ცუდი ქცევის წინააღმდეგ ფართო საზოგადოებრივი ბრძო- ლის გაზიარებით და ბავშვებში საუკეთესო ქცევის წესების დანერ- ვით.

7. სასკოლო ორგანიზაციების მნიშვნელობა. ზნეობრივი აღმზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს ბავშვთა გაერთიანება სხვადასხვა ორგანიზაციებში. მათი შემჭიდროება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მათში შევიმუშაოთ ერთი მთლიანი ნებისყოფა დაფუძნებული პრინციპზე „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასა- თვის“ და მივაჩვიოთ, რომ მოსწავლეები ურთიერთს მაქსიმალურ დახმარებას უწევდნენ.

სწორედ ამიტომაა, რომ ზნეობრივ აღმზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასკოლო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობი- თაც ხორციელდება ბავშვების შემჭიდროება და მათი ქცევის კო- ლექტივის ინტერესებისადმი დამორჩილება. განსაკუთრებით მნიშ- ვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეოთა ზნეობრივ აღმზრდაში კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებში ბავშვი იღებს განსაზღვრულ დავალებებს და ამ ნიადაგზე მასში თანდათანობით ვითარდება მოვალეობის გრძნობა და მისი შესრუ- ლების შეგნება. ამავე ორგანიზაციების მეწვეობით ბავშვებს უვი- თარდებათ კოლექტიური სულისკვეთება. ისინი ეჩვევიან წესიერ ქცევას და კოლექტივის ინტერესებისადმი საკუთარ სურვილების დამორჩილებას.

თითოეული კომკავშირელი და პიონერი ანგარიშს უწევს ორგანიზაციის აზრს, კოლექტივის მთელ შეხედულებას. ისინი ცდილობენ ისე იმოქმედონ, ისე მოიქცნენ, როგორც ეს ორგანიზაციისათვის მისალები იქნება და რომელიც მთელ კოლექტივის სურვილებს და მოთხოვნილებებს შეესატყვისება. მაგრამ თუ მოსწავლე კოლექტივშიც შენიშნავს ცუდი მოქმედების მაგალითს, შეიძლება. ამან მასზეც იმოქმედოს და მისი მსჯელობა ასე წარიმართოს „მერე მარტო მე ხომ არ ვიქცევი ასეო“. აი სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ კოლექტივმა, ორგანიზაციამ გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადოს ცუდი ქცევის ყოველ გამოვლენას.

8. შრომის როლი. ჩვენში აღამიანის ადგილი საზოგადოებაში ფასდება შრომისაღმი და სოციალისტური საკუთრებისაღმი მისი დამოკიდებულებით. საბჭოთა აღამიანი, რომელიც ესოდენ უდიდეს შემოქმედებით შრომას ეწევა და, რომლისათვისაც ეს უკანასკნელი უკვე მოთხოვნილებად არის გაღაქცეული, სოციალისტურ მშენებლობაში თავისი აქტიური მონაწილეობით იმსახურებს საზოგადოების საყოველთაო პატივისცემას. ის უდიდესი მიღწევანი, რაც ჩვენ გაგვაჩნია სოციალისტური მშენებლობის ყოველ ფრონტზე, ჩვენი ახალი თვისებების მქონე აღამიანთა შრომის შედეგია. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღამიანებმა შრომით მიაღწიეს ამ განსაცეიფრებელ შედეგებს და შრომის პროცესში თვითონაც შეიცვალნენ. ამ შრომაში შეუქმნა ჩვენს აღამიანებს მთელი რიგი კეთილშობილური თვისებები. შრომისაღმი თავისებური დამოკიდებულების შედეგადვე განვითარდა ჩვენში სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა. ახლა ათეულ ათასობით აღამიანი საყოველთაოდ ცნობილია თავიანთი შრომითი წარმატებების წყალობით.

შრომა წარმოადგენს ნებისყოფის განვითარების ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. შრომის პროცესში აღამიანები დღითი-დღე ეცნობიან თავიანთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებათა საშუალებებს და უფრო გონივრულ მოქმედებას ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. აი სწორედ ანიტომაა საჭირო, რომ ახალგაზრდობას შრომა შევაყვაროთ და მისდამი პატივისცემის გრძნობა გამოვუმუშაოთ.

შემოქმედებითი შრომა და მისდამი სიყვარული კომუნისტური მორალის ერთ ელემენტად ითვლება. ჩვენში ვინც აწარმოებს ნაყოფიერ და სასარგებლო საზოგადოებრივ შრომას, ის ხალხის მიერაც დაფასებულია. ჩვენი ამოცანაა სწორედ ისეთი ახალგაზრდობის წარმატებების წყალობით.

დები აღვწარდოთ, რომელთაც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრო-
მა ეყვარებათ და როშლებიც ხალხის მიერ დაფასებულნი იქნებიან.
მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას? ამის მიღწევა შესაძლებელია
თითონ შრომაში შეგნებული მონაწილეობით. საზოგადოებრივ
სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობა აკეთილშობილებს
ადამიანს და აძლევს მას საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ
საუკეთესო თეისებებს. ლენინი კომუნისტის სრულიად რუსეთის
მესამე ყრილობაზე ამბობდა: „ახალგაზრდობის კივშირის წევრობა-
ნიშნავს იმას, რომ მთელი შრომა, მთელი ძალლონე საზოგადო
საქმეს მოახმარო, აი ეს არის კომუნისტური აღზრდა. მსოლოდ
ამნაირ მუშაობაში გადაიქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდ-
კაცი, თუ ქალი“¹.

¹ იხ. ლენინი, სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ. გვ. 216.

ჩვევის აღზრდის ფინანსური საფუძვლები

შეაგლის ანალიზი

რა არის ჩვევა, როგორია მისი მოქმედება ადამიანის გარემოს-თან დამკიდებულებაში? — ამ საკითხს რომ დამარტმუნებელი პა-სუხი გავსცეთ, საჭიროა ჯერ ის გაირკვეს, თუ როგორ იქმნება ჩვევა, როგორია პროცესი მისი ჩამოყალიბებისა. სანიმუშოდ დავაკვირდეთ რომელიმე ჩვევის შემუშავებას, — ესთქვათ, ველო-სიპედის ტარების ჩვევისას. — როგორ მუშავდება იგი?

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეიძლება მთე-ლი დღეებითაც გრძელდებოდეს, სუბიექტი აბსოლუტურად უძლური ჩანს მის შესრულებაში, რადგან, მიუხედავად ხელ-მძღვანელის ახსნა-დახმარებისა და თავის მხრივაც მრავალჯერ სინჯვისა, ვერც შეჯდომას, ვერც „შერჩენას“ და მითუმეტეს და-მოუკიდებლად გატარებას სულ მცირე ხნითაც ვერ ახერხებს. მაგრამ ბოლოს ისეთი პერიოდიც დგება, როცა იგი ხან ახერ-ხებს და ხან ისევ უძლურია და ახლა მხოლოდ იმას ცდი-ლობს, რომ ეს „ხან მოხერხებაც“ დასძლიოს და სანუკვარი მოქ-მედება გააბატონოს. ერთი სიტყვით, ფაქტი ასეთია: ველოსიპე-დის ტარება, რომელსაც დამწყები სუბიექტი მხოლოდ სხვისი ქცე-ვის სახით აღიქვამს, უბრალო წაბაძვითი განმეორების გზით არ ხერხდება (მზა მოქმედების სახით არ ჩნდება!); სუბიექტი მას სა-განგებოდ იმუშავებს; მის გამოყვანაზე ზრუნავს, ე. ი. სწავლობს მას და, როგორც ჩანს, მისი ეს სწავლა ორ ფაზას განვლის: ჯერ სრული „უძლურებისას“ და შემდეგ „ხან მოხერხებისას“, რომელიც სანუკვარი მოქმედების სრული დაუფლებით მთავრ-დება.

საჭიროა ახლა ვიკითხოთ: რა ფსიქოლოგიური ჟინიარსი გააჩ-ნიათ ამ ფაზებს სწავლის ერთიან პროცესში?

„უძლურების პერიოდი“ არასოდეს ისე არ უნდა გავიგოთ, თით-ქოს იგი სრულ სიცარიელეს ნიშნავს და სწავლაც, თიოქოს, ამ სიცა-რიელიდან იშევება. არა! ველოსიპედის ტარების სწავლა, ისე რო-გორც ყოველი სხვა სწავლაც, გარკვეული ამოცანის გადაწყვე-ბის 252

ტას გულისხმობს და როგორც ასეთი, საჭიროებს სათანადო მონაცემებს ანუ „დასაყრდენთ“, რომელიც მოსწავლე სუბიექტიმა წინასწარვე „ხელთ უნდა იქონიოს“, მხედველობაში უნდა მიიღოს. „უძლურების პერიოდიც“ სწორედ ამ დასაყრდენთა მოპოვების პერიოდია სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსწავლისათვის რომელიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მრავალჯერ სინჯავს და ცდება, ეს სინჯვა-შეცდომები ბრძან და უმიზნო მოქმედებები კი არაა, არა-შედ მეთოდია, — ეზაა, საშუალებაა, რითაც იგი საკუთარი მოტორული შესაძლებლობების დაკიორვებას ახერხებს, მათ ეცნობა, აანალიზებს და მათზევე დაყრდნობით სწორ მოქმედებასაც წვდება. ერთი სიტყვით გარეგნულად თითქოს უსუსური და უშედეგოდ მომქმედი სუბიექტი მთავარსა და არსებითად მნიშვნელოვან საქმეს სწორედ ამ პერიოდში აკეთებს: აქ იგი ახალი მოქმედების (ველოსიპედის ტარების!) შესრულების ამოცანითაა დაკავებული, და სანუკვარი მოქმედების პირველად მოხერხება ნიშნავს იმას, რომ მან ეს ამოცანა გადასწყვიტა, სათანადო ხერხები მონახა.

ვნახოთ ახლა, თუ რას წარმოადგენს „ხან მოხერხების პერიოდი“.

„უძლურების პერიოდში“ სუბიექტია არც ის იცის გარკვევით (პრაქტიკულად!) თუ რა მოძრაობები უნდა შეასრულოს, და არც ის, თუ რომელი არ უნდა შეასრულოს, ამიტომ აქ იგი საერთო შოსინჯვისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ვიპოთეზებით სკლის“ მდგომარეობაშია; „ხან მოხერხების“ პერიოდი კი სხვანაირი სიტუაციაა: აქ სანუკვარი მოძრაობების მოხერხება, ერთიანი მოქმედების სახით ასე თუ ისე უკვე მიღწეულია; ყოველ შემთხვევაში სუბიექტი მიმხვდარია, მან უკვე იცის გამოცდილებით, თუ რა მოძრაობები უნდა შეასრულოს, და ყოველ განმეორებისას იმას ცდილობს, რომ ისინი სხვა მოძრაობებში არ აურიოს, მათგან „გამოყოს“, „გამოკვეთოს“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ახლა იგი ხელისშემშლელ მოძრაობებსაც ითვალისწინებს და მათ დასაძლევად საგანგებო ხერხებს მიმართავს.

ასეთი ვითარებისა გამო არ იქნებოდა სწორი, თუ აღნიშნულ ფაზას მხოლოდ მეხსიერებაში აღბეჭდვის ან უბრალო მნემურ-მექანიკური ფიქსაციის ფაზად ჩავთვლიდით: აღბეჭდვა, რა თქმა უნდა, ფაქტია, მაგრამ თვითონ პროცესი ამ აღბეჭდვისა, რომელიც გარკვეული მოძრაობების სახით სწორი მოქმედების გამოყოფა-გამოკვეთას ეხება, უაღრესად აქტიურ პროცესს წარმოადგენს, რადგან სუბიექტს იგი ბოლომდე, ვიდრე სრულს დაოსტატებამდე, გარკვეული ამოცანების წინაშე აყენებს: როგორ უნდა აღიყენოთს ეს შეცდომა, ეს ზედმეტი ან ხელისშემშლელი მოძრაობა და.

როგორაა შესაძლებელი სანუკვარი მოქმედების სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით და ნაკლები ენერგიის ხარჯვით შესრულება,—ასეთია ამოცანები ამ „ხან მოხერხების“ პერიოდში, რომელსაც ამიტომ ცხადია, მექანიკურ პროცესადაც ვერ მივიჩნევთ. ერთი სიტყვით, მსგავსად პირველი ფაზისა, „ხან მოხერხების“ ფაზაც ამოცანით წარმართული პროცესია (და შეიძლება ითქვას არა ერთი, არამედ მრავალი ამოცანით!) ოლონდ იმ სპეციფიკური შინაარსეული განსხვავებით, რომ აქ იგი (ამოცანა!) ჩნდება არა რაღაც სრულიად უცნობისა და მიუგნებლის მოსინჯვის მიმართულებით, არამედ ერთხელ უკვე მიღწეული მოქმედების „დეტალებში შეკეთებისა“ და მისი საბოლოოდ დასრულების მიზნით.

ჩვენ გავაანალიზეთ მხოლოდ ერთი ჩვევის შემუშავების პროცესი; მაგრამ რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს და, რაც ზემოთ ითქვა, იგივე ითქმის ყოველი სხვა ჩვევის შემუშავებაზეც,— იქნება იგი მოტორული ოუ არამოტორული. ერთი სიტყვით, ჩვევა მოქმედებაა, რომელიც თავისთავიდ არ ჩნდება; სუბიექტი მას საგანგებოდ იმუშავებს, სწავლობს და ეს სწავლა ორ პერიოდს შეიცავს: პერიოდს იმ დასაყრდენთა ძიებისას, ოუ როგორ უნდა მოხერხდეს სწორი მოქმედება, და პერიოდს პირველიდ შესრულებული სწორი მოქმედების თანდათანობით შეკეთება-დასრულებისა და მისი ამ „შეკეთებულის“ სახით განმტკიცებისას. ორივე ეს პერიოდი სუბიექტის აქტივობითაა აღნეჭდილი და არსად მისი ცნობიერების მონაშილეობას არ სწყდება.

* * *

ვნახოთ ახლა, ოუ რა მდგომარეობაა სწავლის იმ შემთხვევებში, როცა სუბიექტი მოქმედებას კი არ ეუფლება, არამედ ცოდნას იძენს. სანიმუშოთ ვიღებთ ერთ-ერთ მეთოდიკურ სახელმძღვანელოში რეკომენდირებულ სქემას სასკოლო გაკვეთილისას: საქმე ეხება ცოდნის შემუშავებას კონკრეტულ საგანზე დაკვირვების გზით; გაკვეთილის თემაა „გრანიტი“ (IV კლასი)¹. სწავლა იწყება იმ ქვების გაცნობით, რომელიც ბავშვებმა ექსკურსიის ღროს შეაგროვეს. მასწავლებელი წინასწარ აწარმოებს გამოკითხვას, თუ სად ნახეს მათ ასეთი ქვები, იციან თუ არა მათი თვისებების შესახებ, რისთვის იხმარება ისინი და რას ეძახიან სახელად. შემდეგ ბავშვებს ეძლევათ დავალება დააკვირდნენ. გრანიტის გა-

¹ М. Н. Скаткин, Методика естествознания в начальной школе, 1946, стр. 17.

რეგნობას, შეიტყონ რისგან შედგება იგი, გაეცნონ მის ძირითად თვისებებს და შემაღენელ ნაწილებს.

მასწავლებელი: დააკვირდით გრანიტს, რა ფერისა? რისგან შედგება? (გრანიტი შედგება ცალკეულ კვნიშებისაგან). სცადეთ დააშოროთ კვნიშები ურთიერთისაგან ლურსმნით (რაც შეუძლებელი ხდება: კვნიშები მტკიცედ არიან ურთიერთთან დაკავშირებული!).— რით განსხვავდება კვნიშები ურთიერთისაგან? (სხვადასხვა ფერის არიან!) მონახეთ მოწითალო. ფერის კვნიში, შეეხეთ ლურსმნის წვეროთ (მასწავლებელი ამოწმებს ხელავენ თუ არა ბავშვები, რაც საჭიროა). ამ მოწითალო ნაწილს ქვია „მინდვრის შპატი“ (სწერს დაფაზე, ამეორებინებს ბავშვებს ამ სახელს.—ასევე აცნობს გათ გრანიტის სხვა ნაწილებსაც: კვარცი, ქარსლი).

დააკვირდით ქვებს, რომელიც თქვენს წინაშეა. სცნობთ თუ არა ამ ქვებს? (ბავშვები უცქერიან და ასახელებენ: კვარცი, მინდვრის შპატი, ქარსლი).

შეაღარეთ ეს ქვები ურთიერთს სიმაგრით. ამისათვის საჭიროა გაუხატუნოთ ისინი ერთმანეთშე; უფრო მაგრები სტოვებენ ნაჩხაპნს უფრო რბილებზე. შეაღარეთ მათი სიმაგრე მინისას (ბავშვები ასრულებენ დავალებას).—შემდეგ მასწავლებელი უამბობს გრანიტის სიმაგრისა და ადამიანის მიერ მისი გამოყენების შესახებ.

განმეორება: რა შეიტყვეთ დღეს თქვენ გრანიტზე, მის შემაღენელ ნაწილებზე.

განმტკიცება: 1. შესაფერი თავების ჭითხვა სახელმძღვანელოში: „გრანიტი“, „რისთვის იუნებენ გრანიტს“. 2. ჩაწერვა: „გრანიტი შედგება კვარცისაგან, მინდვრის შპატისაგან. და ქარსლისაგან. 3. კლასგარეშე მუშაობა: დამზადება სხვადასხვა ფერის გრანიტთა კოლექციისა და ტაბულისა „გრანიტი და მისი ნაწილები“.

ასეთია ყოველი გაკვეთილი: იგი მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით მიმღინარეობს, სახლში ბავშვის მიერ მხოლოდ გრძელდება (თუ რეპეტიტორს არ საჭიროებს!) და შეთვისებულის შესამოწმებლად (აღრიცხვა!) კვლავ მასწავლებელთან მოდის და ამითვე სრულდება. გავაანალიზოთ ახლა ეს მაგალითი.

თემის მიზანია ბავშვს დაკვირვების გზით შეუმუშავდეს ნათელი და გამოკვეთილი წარმოდგენა ანუ იდეა გრანიტზე. მაგრამ დაკვირვება უბრალო საქმე როდია! მას სჭირდება თვალსაზრისი, წინასწარი მომზადება, შესაფერი აპერცეპციული მასალა,—და აი, სანამ გრანიტის დემონსტრაცია მოხდებოდეს, მანამ მასწავლებლის მიერ ხდება ბავშვებში მათივე წარმოდგენების მარაგის გათვალისწინება; იგი იწვევს მათში თემის შესაფერ იდეებს, რაც უკვე მომზადებაა.

გრანიტზე დაკვირვებისათვის, და ამის შემდეგ პირდაპირ ამოცანაზე გადადის („დააკვირდით გრანიტს“ და სხვ.).

მასწავლებლის დავალებები („შეიტყვეთ რა ფერისაა გრანიტი“—რისგან შესდგება? და სხვა) პრობლემებია, რომელთა წყალობით ბავშვისთვის აქამდე მხოლოდ უბრალოდ ხილვადი გრანიტი გამოსაცნობი ობიექტის სახით წარმოსდგება და იგიც მას ამ პრობლემების გადასაწყვეტად აკვირდება. რა თქმა უნდა, დაკვირვება ზოგჯერ მრუდდება, მოწაფე ცდება, მაგრამ იქვე ხელმძღვანელი, რომელიც ყოველს ასეთ შემთხვევაში ბავშვს განმეორებით დაკვირვებას ავალებს და საჭიროებისამებრ ძნელი პრობლემის გადაწყვეტაშიც შევლის.

დაკვირვებას მოსდევს თხრობა გრანიტის სიმაგრისა და მისი გამოყენების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს გაუთვალისწინოს ბავშვს მნიშვნელობა იმისა, რაზეც მან პირველად დაკვირვება მოახდინა, დაუკავშიროს იგი მის ცნობიერებაში სხვა უკვე ცნობილ ფაქტებს, ქონებულ ცოდნათა მარაგს და ამით დაასრულოს თვალსაჩინოდ აღქმულის გააზრება.

შემდეგ მოდის „განმეორება-გამოკითხვა“, რომელიც რა თქმა უნდა, „საგამოცდო“ ანუ „საეგზამენო“ არაა და მით უმეტეს არც ალრიცხვის ის სახე, რომელსაც პედაგოგი წესისამებრ „მასალის შეთვისების“ შემდეგ მიმართავს: იგი არის მხოლოდ საორიენტაციო განმეორება, რომლითაც მასწავლებელი არკვევს, გაიგეს თუ არა მოწაფეებმა მიწოდებული მასალა, ხოლო თვითონ მოწაფისათვის კი მას წმინდა სწავლითი განმეორების მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ ვინიცობა, მისთვის რაღაც გაუგებაროს რჩება, კვლავ ეხმარებიან და დანაკლისს უვსებენ.

ამრიგად, საორიენტაციო „განმეორება-გამოკითხვით“ მიღწეულია ისეთი მდგომარეობა, როცა მოსწავლეებმა უკვე გაიაზრეს მიწოდებული მასალა, იციან თუ რა ყოფილა გრანიტი, და დამატებით ასახსნელიც აღარიაფერია. მაგრამ როგორ?—დასრულდა ამით თემის დამუშავება? რაკი ცველაფერი ახსნილი და გაეგებულია, თითქოს მართლაც დასრულდა და საჭიროა ახლა სხვა მორიგი „თემის“ დამუშავება ანუ ახალი შინაარსის სწავლება დაიწყოს. მაგრამ ნამდვილად ასე არ ხდება და, როგორც მაგალითიღანჩანს, თემის დამუშავების პროცესს, ე.წ. „განმტკიციურება“ აგვირგვინებს.—რატომაა იგი საჭირო?

„განმტკიცებამდე“ მასალა გავებულია; ბავშვი უკვე მიმხვდია, თუ რა არის გრანიტი, ე. ი. აქვს იდეა მის შესახებ. მაგრამ ერთია იდეური შინაარსის წარმოქმნა, რომელიც წარმავალია

და პიროვნების დოკუმენტაციად ჯერ კიდევ არ ქცეულა, და მეორეა ამ იდეური შინაარსის მუდმივ შენაძენად ქცევა, როცა მას სუბიექტი ცოდნის სახით ფლობს და საჭიროებისამებრ მისგან სათანადო დასკვნების გამოყვანასაც ახერხებს. იდეა ანუ აზრი საგნის შესახებ, რომელიც მოსწავლეს „აპერცეპციული მასალის“ საფუძველზე პირველად ექმნება, არ არის ცოდნა მანამდე, სანამ მას იგი თავის ცოდნათა სისტემაში არ შეიყვანს და ამ სახით მეხსიერების კუთხინილებადაც არ აქცევს; და სწორედ ამ მიზანს ემსახურება სწავლების მთლიან პროცესში „განმტკიცების“ ის პერიოდიც (закрепление знаний), რომელიც, როგორც ვთქვით, გაკვეთილზე იწყება და სახლში „საშინაო დავალებების“ შესრულების გზით გაკვეთილზევე „შემოწმებით“ მთავრდება.

თუ ფაქტების ერთგული დაკრჩებით, უნდა ვალიაროთ, რომ სწავლების ეს მონაკვეთი ფსიქოლოგიურად სულ სხვანაირი პროცესია შედარებით იმასთან, რაც მანამდე ხდება: თუ „განმტკიცებამდე“ მასწავლებელი მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ მოწაფე ამოცანის ანუ პრობლემის წინაშე დაეყენებინა, მისი დაკვირვება და აზროვნება ამ პრობლემის მიხედვით წარემართა და ამ გზით მასში პირველად ახალი იდეური შინაარსი წარმოექმნა, ახლა ეს მიზანი მიღწეულია: ბავშვს მან შეუქმნა წარმოდგენა საგნის შესახებ (ე. ი. უკვე ქონებული ინტელექტუალური გამოცდილების სათანადოდ ორგანიზების საფუძველზე მიახვდირა თუ რა ყოფილა გრანიტი) და, შემდევ რომ იგი მუშაობას აწარმოებს, ფაქტიურად რაიმე ახალი საგნობროვი ვითარების გასაგებად და მაშასადამე ახალ იდეური შინაარსის შესაქმნელად კი არა, არამედ მხოლოდ უკვე წარმოქმნილის განსამტკიცებლად. როგორც სქემიდან ჩანს, ჯერი აქ სახელმძღვანელოზეა მიმდგარი; მაგრამ მასში ხომ რაგინდარა მასალა არ შედის?! — იგი შეიკავს გარკვეულ თემებზე საკითხავ „სტატიებს“, რომელთაგან ბავშვს ეძლევა მხოლოდ ისეთი, რომელიც მისთვის ცნობილ იდეურ შინაარსს ეხება და ზოგიერთი გამოთქმის თუ სიტყვის „ახსნა-განმარტებით“ (მასწავლებლის მიერ) გასაგები და ადვილად მოსაყოლი ხდება. ერთი სიტყვით მოსწავლე დავალებისამებრ გაკვეთილს ამზადებს: კითხულობს, ყვება, წერს, ახსნილის ირგვლივ მაგალითებს სწყვეტს, აკეთებს ნახაზებს, ტაბულებს, — და მთელი ეს პროცესი განძტკიცებაა მასში იმ იდეური შინაარსისა, რომელსაც იგი თავიდანვე მასწავლებლის დახმარებით წვდა და, რომელიც ახლა ინტელექტუალური დოკუმენტის ანუ ცოდნის სახით ყალიბდება.

ამრიგად ისეთი სწავლაც, რომელიც ცოდნას გვძენს, ორპერიოდიანი პროცესია: პირველ პერიოდში იგი მიმართულია მანამდე უცნობი

საგნობრივი ვრთარების გაგებისაც აკენ, სადაც საქმე ეხება მოსწავლის მომზადებას დაკვირვებისათვის, მასში სათანადო „აპერცეპტიული წარმოდგენების“ გაღვიძებას და ამ დაკვირვებისა და „ასესნა-განმარტების“ გზით ახალი იდეული შინაარსის წარმოქმნას, ხოლო მეორე პერიოდში კი მისი მიზანია საკუთრივ განმტკიცება ამ წარმოქმნილი შინაარსისა, რაც უკანასკნელს ცოდნად აქცევს და ამ ახალი ცოდნის სახით სუბიექტის ინტელექტუალურ დოკუმენტს ამდიდრებს.

ცოდნის შემუშავების ორპერიოდიანობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს რომ იგი, თითქოს, ჩვევის შემუშავებისაგან არაფრით არ განსხვავდება: ცოდნა აზრია საგნის, შესახებ, ჩვევა კი მხოლოდ მოქმედებაა,—და შეუძლებელია, რომ მათი შემუშავების პროცესებიც შინაარსეულად ურთიერთს უდრიდნენ. შევეხოთ ახლა ამ განსხვავებასაც.

1. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, როცა სუბიექტი რაიმე ახალ მოტორულ მოქმედებას სწავლობს, მიუხედავად ხელმძღვანელის ინსტრუქციის გაგებისა და „ნიმუშის“ ზედმიწევნით დაკვირვებისა, პირველ სწორ შესრულებას იგი მხოლოდ მრავალი შეცდომის გზით აღწევს და არასოდეს ისე, რომ მას თითქოს დასაწყის—შივე უშეცდომოდ მზა მოქმედების სახით ნახულობდეს.—უკანონი იქნებოდა საკითხის იმგვარად დასმა, თუ რატომაა შეცდომა აუცილებელი ან რატომ ცდება სუბიექტი; რადგან თვითონ ფაქტია ისეთი, რომ ჩვევა უშეცდომოდ არ მუშავდება; მაგრამ საესებით კანონიერია ვიკითხოთ ამ შეცდომის მნიშვნელობის შესახებ და აქ კი გვმართებს შემდეგნაირად ვიმსჯელოთ: მოსწავლე-სუბიექტს ხელთ უნდა ჰქონდეს რაღაც დასაყრდენი მონაცემები. საიდანაც იგი უნდა „გამოვიდეს“, რომ სწორ მოქმედებას სწვდეს. მაგრამ ასეთი მონაცემები მას თავიდანვე არ აქვს და, ცხადია, არც შეიძლება ჰქონდეს მანამდე, სანამ სანუკვარი მოქმედების შესრულებას თვითონვე არ სინჯავს; და როცა იგი ცდილობს წესისამებრ გარკვეული მოძრაობები შეასრულოს,—სინჯავს, ცდება და კვლავ ცდას ანახლებს,—სწორედ ამ სინჯავა-შეცდომის პროცესშია, რომ იგი საკუთარი მოძრაობების დაკვირვებას ახერხებს, აანალიზებს, ზომავს, ურთიერთს აღარებს და ამ გზით სწორ მოქმედებას იმუშავებს. ერთი სიტყვით მხოლოდ შეცდომებში ნახულობს სუბიექტი „დასაყრდენთ“ ანუ საჭირო „მონაცემებს“ და ამ შეცდომის გარეშე არ არსებობს სხვა გზა სანუკვარი მოქმედების მიკვლევისა. გაგება და პრაქტიკულად მოხერხება იმისა, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, შესაძლებელი ხდება არა ერთბაშად

დასაწყისშივე, არამედ მხოლოდ რამდენიმეჯერ ცდა-სინჯვით და მაშასაძამე შეცდომის შედეგად.

ჩვევის შემუშავების მთლიანი პროცესის განმავლობაში შეცდომის ასეთი დაღებითი მნიშვნელობა მომდევნო „ხან-მოხერხების“ პერიოდშიც უკეთელი ფაქტია: როგორც ვიცით, აქ იგი უკვე სწორ მოქმედებასთან სპორადულის მონაცემებით ჩნდება, მაგრამ, სუბიექტი რომ ახლა მისი ლიკვიდაციის შესახებ ზრუნავს, ეს მისი შედეველობაში მიუღებლად და უბრალო „მიყრუებით“ როდი ხერხდება! არა, შეცდომას, რომელიც აუცილებლად ჩნდება, იგი საგანგებოდ ითვალისწინებს და მისი ჩამოშორების სათანადო ხერხებსაც მხოლოდ მისივე დაკვირვების საფუძველზე წვდება.

ასე იქმნება ჩვევა. „შეცდომებით სვლა“ უგამონაკლისო კანონია მისი შემუშავებისა, რაღვან გზა სწორი მთქმედებისაკენ მხოლოდ სინჯვისა და შეცდომის შედეგად ირკვევა.

რაც შეეხება ცოდნის შეძენას, აქ მდგომარეობა უკვე სხვანაირია: პედაგოგი რომ მოსწავლეს შეცდომებს უსწორებს, უკანასკნელი ხვდება მათ, ცდილობს შემდეგში აღარ გაიმეოროს და მიზანსაც აღწევს; მაგრამ არის თუ არა აუცილებელი თვითონ შეცდომა? უნდა შემცდარიყო თუ არა ბავშვი რომ მას მიწოდებული ახალი მასალა გაეგო? — რა თქმა უნდა, არა! სწავლებას უთუოდ რაღაც და აკლდა ან მასწავლებლის „ახსნა-განმარტების“ მხრივ, ან კიდევ თვითონ მოწაფის ყურადღების მხრივ, თორებ ყველა პირობა რომ დაცული ყოფილიყო, გაგებაც უთუოდ თავიდანვე უშეცდომობა მოხდებოდა. ერთი სიტყვით ცოდნის შემუშავების პროცესი არ საჭიროებს „შეცდომებით სვლას“, ჩვევისა კი მხოლოდ მას ემყარება და თავის არსებით „სინჯვა-შეცდომით“ სწავლას წარმოადგენს.

2. შედარებითი ანალიზი შემდეგ განსხვავებასაც გვიჩვენებს: ჩვევის შემუშავება-განმტკიცება „ისტოლაცია-გამონაწევრების“ პროცესია, ცოდნისა კი, პირიქით, „შეკავშირებისა“. გავერკვეთ ჯერ უკანასკნელში.

როგორც ვიცით, პედაგოგის დახმარებით მოწაფე წვდება ახალი იდეურ-ცნებითს შინაარსის; მაგრამ ეს წვდომა ხომ მანამდე ქონებულის, „ძველი“ ცოდნა-წარმოდგენების საფუძველზე ხორციელდება! და აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ახალი იდეურ-ცნებითი შინაარსის წარმოქმნით მისი ფუძემდებელი ძველი ცოდნა-წარმოდგენები ზედმეტი კი არ ხდებიან და უკვალოდ კი არ იქარგებიან, არამედ მასთან აზრითს ლოლიურ კავშირში შედიან და თავის მხრივაც შინაარსეულად ზუსტდებიან: ბავშვი რომ წვდება,

თუ რა არის გრანიტი, ამით იგი იმასაც იგებს, თუ რატომ არ ჩაითვლება გრანიტად სხვა ქედი, რომელნიც მას მანამდე უნახავს. ერთი სიტყვით, ახალი იდეური შინაარსი ძევლის საფუძველზე მიიწვდომება და ეს წვდომა იმავე ღროს კავშირის დამყარებაცაა მათ შორის.

ახლა ვიკითხოთ: როგორი უნდა იყოს ამ პირველად წვდომილი იდეური შინაარსის „განტკიცება“, რამაც იგი სუბიექტის ცოდნად უნდა აქციოს?

მის შემთხვევა, რაც მასწავლებლის დახმარებით მოწაფე წვდა გარკვეულ იდეურ-ცნებითს შინაარსს, მას კარგა ხენს—სკოლაშიც და სახლშიც—აძლევენ „ამოსახსენელ“ მაგალითებს, აკითხებენ, აყოლებენ, აზეპირებენ, მაგრამ, ცხადია, არც რაგინდარა თემაზე, რომელიც გაგებულს სრულიად არ ეხება, და არც ისეთზე, რომელიც მხოლოდ უბრალო სიტყვიერი განმეორება იქნებოდა ამ გაგებულის დეფინიციისა: ცოდნის განსამტკიცებულად მოწოდებული მასალა ახალს, უცნობ ცნებებს არ შეიცავს, მაგრამ არც მარტო ეს-ეს არის ახსნილ ცნებას; მასში მოცუმულია სხვა ცნებებიც, რომელნიც ბავშვს მანამდეც პქონდა ცოდნის სახით შეძენილი, სანამ ახალს გაიცნობდა; და კითხვა-დამუშავება ამ მასალისა, რომელსაც იგი უნდა მოყვეს, კიდეც დაწეროს და დასმულ კითხვებზე უპასუხოს, ნიშნავს იმას, რომ ის ამ ახალ ცნებას სხვა ძეველ ცნებებთან ლოგიკურ კავშირში ახრობს, წვდება აზრითს, ლოგიკურ მიმართებას ცნებებს შორის. ერთი სიტყვით, ცოდნის განსამტკიცებულ მასალაზე მუშაობა ბავშვს ავალებს ახლად გაგებული იდეური შინაარსის ირგვლივ იაზროვნოს, დასკვნები გააკეთოს, და აი სწორედ ასეთი ცოცხალი ლოგიკური ფუნქციონის გზითაა, რომ ეს ახლად გაგებული იდეური შინაარსიც სუბიექტის აქტიური მეხსიერების კუთვნილებად ხდება და ამ სახით გარკვეულ ცოდნად იქცევა.

ასეთია საერთოდ „ცოდნის განმტკიცების“ (закрепление знаний) ფსიქოლოგიური პროცესი. შევადაროთ ახლა მას საკუთრივ მოტორული ჩვევის შემუშავება-განმტკიცების პროცესი.

ცოდნის შემუშავებისას რომ ახალი იდეური ცნებითი შინაარსის წვდომა მანამდე ქონებულ ცოდნა-წარმოდგენების ბაზაზე ხორციელდება, მოტორული ჩვევის შემთხვევაში შესაფერიდ ასეთ ბაზად შეიძლება ვიგულოთ მოძრაობები, რომელთაც სუბიექტითავიდანვე სასიჯათ მიმართავს და მათი დაკვირვება-გაანალიზების გზით ბოლოს სწორ მოქმედებასაც წვდება. მაგრამ რა დამკიდებულებაშია ეს სწორი მოქმედება „სასიჯა მოძრაობებთან“

შის შემდეგ, რაც იგი სუბიექტმა პირველად მოახერხა — რჩება თუ არა იგი დადებით კავშირში მათთან, ვთქვათ, ანალოგიურად იმისა, როგორც პირველად წვლომილი იდეური შინაარსი თავის ფუძემდებელ ცოდნა-წარმოდგენებს უკავშირდება?

მკითხველი უთუოდ მიმხდარია, რისი თქმაც გვინდა: სუბიექტმა რომ პირველად მოახერხა სანუკვარი მოქმედება, — ვთქვათ, ველო-სიჰედის გატარება; — ეს პირველი მოხერხება ნიშნავს არა დაკავ-შირებას სწორი მოქმედებისას იმ ნასინჯ მოქმედებებთან, რო-მელთა დაკავირვების საფუძველზე იგი წარმოიქმნა, არამედ, პირი-ქით, პირველ შემთხვევას მათკან გამოყოფისას, იზოლაცი-ისას, და ამ სწორი მოქმედების ჩვევად ჩამოყალიბების შემდგომი პროცესიც მხოლოდ აგრძელებს ამ „გამოყოფა-გამონაწევრებას“ მანამდე სანამ შეცდომებისა და ზედმეტი აქტების სრული ლიკვიდა-ცია არ მოხდება. ერთი სიტყვით ჩვევის შემუშავებისათვის დამა-ხასიათებელია „იზოლაცია-გამონაწევრება“ სანუკვარი მოქმედებისა შის ფუძემდებელ წარმომქნელ მოქმედებათაგან და არა მათთან დაკავშირება, იმ დროს როცა ცოდნის შემუშავებისათვის სპეციფიკურია. ის, რომ ახალი იდეურ-ცნებითი შინაარსი ძველ-თან ლოგიკურ კავშირში ჩნდება და, ამ სახითვე ხდება მისი ფიქსირება ვითარება ცოდნისა.

3. დასასრულს, არანაკლებ არსებითია შემდეგი განსხვავებაც: როგორც ანალიზმა გვიჩენა, სწორი მოქმედება, რომელიც პირვე-ლად ხერხდება, ჯერ კიდევ არ არის ის, რაც საბოლოოდ ჩვევის სახით უნდა ჩამოყალიბდეს: კარგა ხანს იგი დიფუზურია, უსრუ-ლი, რაღაც მრავალ არასაჭირო ზედმეტ ელემენტს შეიცავს და მისგან რომ ჩვევა გამომუშავდეს, საჭიროა იგი ამ შეცდომებისა და ზედმეტ ელემენტებისგან სამუდამოდ განთავისუფლდეს, გაი-თაშოს, დაიხვეწოს. — რას გვეუბნება ეს ფაქტი?

მოქმედების მრავალჯერ განმეორებით შეცდომები და ზედმეტი აქტები აღმოიფხვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველად მო-ხერხებული მოქმედება შემდეგში იცვლება, შინაარსე-ულად სულ უფროდაუფრო მარტივდება, ცნობიერ-ნებითს შესრუ-ლებიდან „ავტომატურად შესრულების პლანში“ გადადის და, რა თქმა უნდა, რომ ამ გამომუშავების შედეგად მიღებული ბოლო მოქმედება სტრუქტურულად არაა იგივე მოქმედება, რომელიც სწავლის პროცესში პირველად მოხერხდა. ერთი სიტყვით, ფაქტი ასეთია: ჩვევა მუშავდება, მაგრამ ისე კი არა, რომ, რაც პირვე-ლად მოხერხდა, თითქოს იგივე მეორდებოდეს და უცვლელის სა-ხით მტკიცდებოდეს, არამედ მუდამ ისე, რომ ჯერ დამზადება

ჰდება იმისა, რაც შემდეგ უნდა განმტკიცდეს. პირველად მოხერხებული სწორი მოქმედების „შეკეთება-დასრულება“ ფაქტიურად სხვა ახალი სტრუქტურის მქონე მოქმედების გამოყვანაა დაცხადია, რომ ყოველ განმეორებას აც ამ „სტრუქტურის დამზადების“ გასწვრივ მუდამ რაღაც ცვლილება მოაქვს.

რაც შეეხება ცოდნის შემუშავებას, აქ მდგომარეობა სხვანაირია: მოსწავლე რომ გარკვეულ იდეურ-ცნებითს შინაარსს წვდა, — ვთქვათ ჩევნს მაგალითში, თუ რა არის გრანიტი, რით განსხვავდება იგი სხვა ჯიშებისაგან, რისთვის იყენებენ და სხვ., — თვითონ ეს წვდომილი ვითარება ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წარმოქმნილი იდეა-აზრი, როგორც ასეთი, შინაარსეულად აღარ იცვლება და აღარაფერს იძენს იმით, ერთხელ მოხდება მისი სიტყვიერად განმეორება (ან სათანადო მასალის კითხვა!) თუ მრავალჯერ. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია მისი დავიწყება, — და ზრუნვაც „ცოდნათა განმტკიცებისათვის“ (закрепление знаний) ვითარცა პედაგოგიური ღონისძიება, აქ ნახულობს თავის გამართლებას, — მაგრამ ბავშვს რომ ოცჯერ დავიწყებულიც კი ოცდამერთუჯერ აუხსნათ, მან ხომ მაინც იგივე უნდა გაიგოს, რაც პირველად ნამდვილად გაიგო და დაავიწყდა?! — ერთი სიტყვით, ერთხელ გაგებულს, ერთხელ შემუშავებულ აზრს, როგორც სწორედ აზრს, იდეას, რომელიც ამ ობიექტურ ვითარებას ასახავს, მრავალჯერ განმეორება-განმტკიცების პროცესი შინაარსეულად აღარაფერს ახალს აღარ მატებს; მას იგი მხოლოდ აქტიური მეხსიერების კუთვნილებად ხდის და ამ სახით დაცულს გარკვეულ ცოდნად აქცევს.

ამრიგად, ჩვევის შემუშავების შემთხვევებში საქმე გვაქვს. სანუქვარი მოქმედების თანდათანობით გამოყვანასთან და მაშ, ისეთ პროცესთან, რომელშიც პირველად მიღწეული სწორი მოქმედება განმეორებითი შესრულებების გზით იცნლება, იმ დროს როცა ცოდნის შემუშავების შემთხვევებში ის, რაც ამ ცოდნის სახით შესიერებაში უნდა განმტკიცდეს, — ე. ი. წარმოქმნილი აზრი ან ღდეა, — თვითონ ამ განმტკიცების პროცესში შინაარსეულად აღარ იცვლება და რა ობიექტური ვითარების წვდომაც თავიდანვე იყო, განმტკიცების შემდეგაც იმავე ვითარების წვდომად რჩება.

სწავლა და გარჯიში

ა) „სწავლითი გარჯიში“ და „ფორმაში ყოფნის გარჯიში“.

ჩვენ გავაანალიზეთ სწავლა როგორც ჩვევისა და ცოდნის შემუშავების პროცესი. მაგრამ თუ ჩვევის შემუშავებაც სწავლაა, მაშინ რაღა ყოფილა ვარჯიში და რას გულისხმობენ, როცა ამბობენ:

„ჩვევა არის ვარჯიშით შემუშავებული მოქმედება,“ „ვარჯიში ჩვევა გის შემუშავების პროცესია-ო“?

უდავოა, რომ ყოველდღიური მეტყველების სემანტიკური ცნობიერება „სწავლასა“ და „ვარჯიშს“ ასხვავებს, ვამბობთ: „ვ ს წა-ვლობ ველოსიპედის ტარება-ას“, „ფორტეპიანოზე დაკვრა-ას“, „ტექ-ას“, ხოლო „ვვარჯიშობ ველოსიპედის ტარება-ში“, „ფორტეპიანოს დაკვრა-ში“ და სხვ. ე. ი. სიტყვა „სწავლა“ ვერ ითანხმებს „შა“—თანდებულს წარასწავლი შინაარსის სახელთან, იმ დროს როცა სიტყვა „ვარჯიში“ მხოლოდ მას ეგუება (და შესაბურად ასეა სხვა ენებშიც!). მაგრამ როგორ გავიგოთ ეს განსხვავება? ისე ხომ არა, როცა ვსწავლობთ, მაშინ თითქოს არ ვვარჯიშობთ და, როცა ვვარჯიშობთ აღარ ვსწავლობთ?

ჩვენის აზრით, თანახმად ფაქტიური მონაცემებისა უნდა განსხვავებულ იქნას ორგვარი ვარჯიში: ერთი, რომელიც სწავლის ანუ ჩვევის შემუშავების მთლიან პროცესშია შენასკვლი და მის განუყრელ საფეხურს შეადგენს, და მეორე ისეთი, რომელიც დამოუკიდებელ, ავტონომიურ პროცესს წარმოადგენს, თუმცა კი ისევ ამ სწავლას ემყარება და გენეტიკურად მისგანვე ჩნდება. პირველს ჩვენ ვუწოდებთ „სწავლითს ვარჯიშს“, ხოლო მეორეს კი ვარჯიშს „ფორმაში ანუ მზაობაში ყოფნისას“. განვიხილოთ ჯერ პირველი.

ჩვეულებრივი გამოთქმა—„ვსწავლობ ველოსიპედის ტარებას“, „ცეკვას“ და სხვ., რა თქმა უნდა, სწორია: ყოველი ჩვევის შემუშავების პროცესი ნამდვილი სწავლაა; მაგრამ, როგორც დავინახეთ, ამ სწავლამ ორი პერიოდი უნდა განვლოს: პერიოდი, როცა სუბიექტი გარკვეული ამოცანის გადაჭრის მიზნით მონაცემთა „მოსინჯეისა“ და „პიპოთებით სვლის“ ანუ „ძიების“ მდგომარეობაშია, და პერიოდი, რომელიც იმ მომენტიდან იწყება, როცა ამოცანა უკვე გადაწყდა, სანუკვარი მოქმედება მიგნებულია და ახლა საქმე მხოლოდ მის „დამუშავება-გაუმჯობესებას“ ეხება; და აი სწორედ ამ მეორე პერიოდშია მოცემული ის, რასაც ჩვენ „სწავლით ვარჯიშს“ ვუწოდებთ და რაც, როგორც ასეთი, ამ სწავლასაც ამთავრებს.

მაშასადამე, ახლა შეგვიძლია ასე ვიმსჯელოთ: ჩვევის შემუშავების პროცესში რომ სწორ მოქმედებას პირველად ვწვდებით, ამით სწავლა არ სრულდება, რადგან აღნიშნული მოქმედება დიტუზურია, უსრული და მორიგი მიზანი ისაა, რომ იგი უნდა დამუშავდეს და ამ დამუშავებული მოქმედების სახით საბოლოოდ განმტკიცდეს, რასაც, ცხადია, მრავალჯერ განმეორებითი შესრულების გზით ვალშევთ და ამ სახით „სწავლითი ვარჯიშის“ კონკრეტ

შინაარსს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, სანამ სწავლას დავასრულებდეთ, მანამდე ამ სწავლის პროცესშივე ვვარჯიშობთ; —ასეთია ფაქტი, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ ვარჯიში თითქოს იგივე იყოს, რაც სწავლა: ჩვევის შემუშავების. ანუ სწავლის მთლიანი პროცესის გასწვრივი იგი იწყება ზეოლოდ და მხოლოდ სწორი მოქმედების პირველად მიგნების მოქმენტიდან და მდგომარეობს იჩაში, რომ სუბიექტი სავანგებოდ ლონემძიებლობს, რათა ამ დიუტჩურ მოქმედებისგან უფრო სრული მოქმედება გამოიყვანოს, შეცდომები და ზეღმეტი ელემენტები აღკვეთოს და ჩვევის სახით მხოლოდ ეს დასრულებული, შინაგნად გამარტივებული მოქმედება განამტკიცოს; ანუ სხვანაირად: „ხან მოხერხების“ აღკვეთის პერიოდი და მაში ვარჯიში „უკვე მოცემული მოქმედების“ დასრულებაში ვარჯიშია და, სანამ თვითონ ეს „სავარჯიშო“ არ მოგვცემია, მანამ მხოლოდ ვეძებთ, ე. ი. ძიების პერიოდში ვართ და არა ვარჯიშისა.

ამრიგად, შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: „სწავლითი ვარჯიში არც განსხვავებული სახის სწავლა, რადგან, როგორც ასეთი, იგი სწავლის პროცესშია შენასკვული, — არც მეთოდი, რადგან, რა მეთოდითაც უნდა ვიკარჯიშოთ, ვარჯიში მაინც ვარჯიშია, ე. ი. პერიოდი, რომელიც სწავლამ აუცილებლად უნდა განვლოს, — და არც იგივე, რაც სწავლა, რადგან სწავლის მთლიანი პროცესი მოიცავს ვარჯიშს, ვითარცა საფეხურს საბოლოო ეფექტის მიღწევისას, და რომ მოიცავს, ამით წინასწარ სხვა ისეთი საფეხურის განვლასაც გულისხმობს, რომელიც შემდეგ ამ ვარჯიშსაც აუცილებლად ხდის. ყოველი ჩვევის შემუშავების პროცესი ანუ სწავლა შეძენაა რაღაც ისეთი მოქმედებისა რაც მანამ დე აბსოლუტურად არ შეგვეძლო, და ამ შეძენის ერთიანი პროცესის გასწვრივ საკუთრივ ვარჯიში ის აუცილებელი ეტაპია, რომელსაც პირველად მიგნებულ სწორ მოქმედებიდან დასრულებული მოქმედება გამოჰყავს, აფიქსირებს და ამით სწავლასაც ამთავრებს; ასე რომ ნამდვილ სწავლას უთუოდ არ ექნებოდა ადგილი, თუ რომ მხოლოდ ამ „პირველად მიღწეულ მოქმედებაზე“ შევჩერდებოდით (ე. ი. სწავლას აქვე შევწყვეტდით და ვარჯიშს არ დავიწყებდით!), ისე, როგორც არც იმ შემთხვევაში, თუ ეს „პირველი მიღწევა“ არ გაჩნდებოდა, რადგან მაშინ ხელთ არ გვექნებოდა სწორედ ის, რაშიც უნდა გვევარჯიშნა.

ასეთია ჩვენი ანალიზის თანახმად „სწავლითი ვარჯიში“, როგორც აუცილებელი კონსტიტუტური საფეხური სწავლის მთლიანი პროცესისა.

განვიხილოთ ახლა მეორე სახის ვარჯიში, რომელსაც ჩვენ ზემოთ „ფორმაში ან მხაობაში ყოფნის ვარჯიში“ ვუწოდეთ. „ბავშვი ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობსო“, — ვიტყვით ხოლმე, — და, თუმცა ჩვენი ანალიზის მიხედვით ეს სწავლა ვარჯიშსაც შეიცავს (სწავლით ვარჯიშს!), მაგრამ გამოთქმაში მას ხაზი არ ესმის. და, ალბად, იმიტომ, რომ საქმე ეხება რაღაც სრულიად ახლის მოპოვებას, ფორტეპიანოზე დაკვრას, რომელიც ეს-ეს არის პირველად ისწავლება. მაგრამ ავილოთ ახლა სხვა მაგალითი.

როცა, ვსთქვათ, ვირტუოზი-პიანისტი საკონცერტოდ ახალი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაში მეცადინეობს, ეს, რა თქმა უნდა, სწავლაა, რომელიც აი ამ განსაზღვრული ნაწარმოების ზეპირად შესრულების ჩვევის შემუშავებისაკენ არის მიმართული; მაგრამ მის ცხოვრებაში ხომ სხვანაირ მეცადინეობასაც ვამჩნევთ! იგი გამებში მეცადინეობს, ან რომელიმე კარგად დასწავლილ და კონცერტებზეც არაერთხელ შესრულებულ ნაწარმოებს კვლავ უკრავს, რამდენიმეჯერ იმეორებს, და ასე ყოველდღიურად, თითქოს ერთგვარი. ჩვეულების სახით და არა იმ მიზნით, რომ მომავალ კონცერტზეც გამებს დაუკრავს, ან კიდევ აუცილებლად იმავე ნაწარმოებს შეასრულებს. — და აი ჩნდება საკითხი: რა აზრი აქვს ვირტუოზის ამ მეცადინეობას, ზრუნვას განუწყვეტლივ ერთისა და იმავის განმეორებისათვის? და წარმოადგენს თუ არა მისი ეს ქცევა „სწავლით ვარჯიშს“ ანუ სწავლას ამ ცნების ზემოთგაანალიზებული შინაარსის მნიშვნელობით?

უდავოა, რომ ვირტუოზი-პიანისტი ყველაფერს ფლობს იმისათვის, რომ საკონცერტოდ გათვალისწინებული პროგრამა მისთვის ჩვეულის ოსტატობით დაამუშაოს, და მის ნიჭისაც სათანადო ჩვევებით შეიარაღებულს არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა შესრულების მწვერვალნი ეჩვენებინა; მაგრამ, როცა იგი, ვთქვათ, დღესაც იმავე რეპერტუარით გამოდის, რაც სხვა დროს და სხვაგანაც მრავალჯერ შეუსრულებია, რაღაც სჭირდება მაინც კიდევ და კიდევ გამებით მეცადინეობა? — რას აძლევს ეს მას? — რაიმეს ახალს; რაც მანამდე არ ჰქონდა? უთუოდ არა, თორებ ერთხელაც არის მასაც შეიმუშავებდა და ერთი და იმავე მოქმედების თუ გამების განუწყვეტლივ განმეორება არ დასჭირდებოდა. ჩვენის აზრით ვირტუოზი-პიანისტის განუწყვეტლივ ყოველდღიური მეცადინეობა, მისი ეს „რეჟიმი აუცილებლად დაკვრისა“ არ არის სწავლა და მაშ „სწავლითი ვარჯიში“ ამ სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობით, რადგან აქ იგი ახალ ჩვევებს კი არ იმუშავებს და ახლა კი არ სწავლობს, არამედ მხოლოდ ამზადებს ს შესრულებისათვის საჭირო

ტექნიკურ სისრულეს (რასაც ფაქტიურად უკვე ფლობს!), ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მანამდე უკვე შემუშავებული და განმტკიცებული ჩვევები მორიგ საჭიროებისათვის სამოქმედო მზაობაში გადაჰყავს.

მეცნიერულ-ფიქოლოგიური ანალიზი ვერ იტყვის, რომ ვირტუოზის სისტემატური მეცადინეობა ვარჯიში არ არის; მაგრამ იგი ვერც იმას იტყვის, რომ ეს ვარჯიში თითქოს „სწავლითია“, ე. ი. ისეთი, როცა, ვთქვათ, ფორტეპიანოზე დაკვრას ან რომელიმე უცნობი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებას ეს-ეს არის ვსწავლობთ და ვარჯიშიც, ვთარცა პირველად მიგნებული „სწორად მოქმედების“ თანდათანობით დამუშავება-გაუმჯობესება, ამ სწავლის ცოცხალს პროცესშივე ხორციელდება. ერთი სიტყვით სხვანაირი ვარჯიშიც ყოფილა, ვარჯიში, რომელიც „წარმოადგენს მხოლოდ კონტროლს ჩვევითი მოქმედების მიღწეული დონის შენარჩუნებისას, მის „მზაობაში ქონებას“, „მოსალოდნელოდაქვეითებისაგან დაცას“, „არდაკარგვას“, ანუ, თუ შეიძლება ასეც ითქვას, მოქმედების მუდამ შესაფერ „ფორმაში ყოფილი ზრუნვას“.¹ რა თქმა უნდა, გენეტიკურად ეს „ფორმაში ყოფის“ ვარჯიში ემყარება „სწავლითს“, რადგან ჩვევა უკვე უნდა გვერნდეს, რომ მის „მზაობაში მოყვანაზე“ ვიზრუნოთ, მაგრამ ეს, მხოლოდ იმას ნიშავს, რომ იგი ზეღანვენი ვარჯიშია და არა უბრალო გაგრძელება ან განმეორება „სწავლითისა“.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ფორმაში ყოფილის ვარჯიში“, თოთქოს, მხოლოდ პიანისტის პრაქტიკაშია საჭირო და მხოლოდ მისთვის არის სპეციფიკური; არა! იგი დასტურდება ყველგან, სადაც კი აღამიანის ერთიანი მოქმედება რთულია და მრავალი ჩვევის მონაწილეობით ხორციელდება (საბალეტო ცეკვა, ჯამბაზობა, უონგლიორობა და საერთოდ „არტისტული ჩვევები“), ან კიდევ შეჯიბრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება და ამის გამო ობიექტურად ღირებული ქცევის ხასიათს იძენს, როგორც მაგალითად, ყოველ სპორტულ „სარეკორდო მოქმედებისას—იქნება იგი ველო-რბენა, სტილით ცურვა („კროლი“, „ბრასი“, და მისთ.), ორძელზე მოქმედება, ღერძზე ტრიალი, ყინულზე გლესაობა, მეთხილამურობა, მძლეოსნობა, ტენისი, თუ სხვ.

¹ გაიხს. რესული გამოთქმები: „Быть в форме“, „Поддерживать форму“—აქ საქმე გვაქვს ვარჯიშის ისეთ ფაქტთან, რასაც დაახლოებით მაინც, ინგლისური წარმოშობის სიტყვა „тренировка“ გულისხმობს, თუმცა თვითონ ინგლისურში იგი (Traininig) ამ სპეციფიკურობის მნიშვნელობით არ იხმარება და მსგავსად გერმანულ მხენგ-ისა საერთოდ „ვარჯიშს“ აღნიშნავს, ე. ი. ვარჯიშს, როგორც პირველად დამწყებისა, ისე დახელოვნებულ ოსტატისაც.

ამრიგად ფაქტი ასეთია: არსებობს ორგვარი ვარჯიში და ორივე გულისხმობს რაღაც წინასწარვე მოცემულს ანუ სავარჯიშოს. სწავლითი ვარჯიშის შემთხვევაში ასეთია სწორი მოქმედება, რომელზე საც სუბიექტი მანამდე წვდება, სანამ ეს ვარჯიში დაიწყებოდეს, და რომელიც მან, ამ ვარჯიშმა, შეცდომებისაგან უნდა გასწმინდოს, გამოანაწევროს და ჩვევის სახით ჩამოაყალიბოს; ხოლო „ფორმაში ყოფნის“ ვარჯიშისათვის კი ასეთ მონაცემს წარმოადგენს უკვე შემუშავებული ჩვევა, რომელიც სუბიექტმა მუდამ სამოქმედო მზაობაში უნდა იქონიოს. პროცესი გაგრძელებაა სწავლისა, მასში შენასკვლი პროცესია („მეორე პრიოდი!“), მეორე კი დამოუკიდებელია მისგან და, როგორც მხოლოდ ზრუნვა შემუშავებული ჩვევის საფუნქციოდ მზადყოფნაზე, ცალკე სახეა ვარჯიშისა.

ყოველი „სწავლითი ვარჯიში“ ჩვევის გამომუშავებისაკენ არის მიმართული და ამ სახით მოსწავლის ცხოვრებაშიც მხოლოდ ერთხელ ხდება (თითოეული ჩვევის მიმართ!); „ფორმაში ყოფნის“ ვარჯიში კი სწავლას ანუ ახლის შეძენის პროცესს სცილდება, მის შემდეგ მოდის და, ვითარცა მზაობისათვის ზრუნვა, სისტემატურად მეორდება.

განვითარება და გარჯიში საჯაროაზი

სუბიექტი რომ ჯერ სწორ მოქმედებას წვდება და შემდეგ მის უშეცდომოდ შესრულებაში ვარჯიშობს, ეს ვარჯიში, რა თქმაუნდა, განმეორების გზით ხორციელდება; მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სწავლის მთლიანს პროცესში განმეორებებს მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის სახით აქვთ ადგილი?

1. გავიხსენოთ ველოსიპედის ტარების სწავლა. კარგა ხანს მოსწავლე უძლურია: ჯდება, მაგრამ მყისვე ვარდება, ანახლებს ცდას და კვლავ ცდება—და ასე მანამდე, სანამ სწორ მოქმედებას პირველად შესძლებდეს. რას წარმოადგენს ეს ცდა—შეცდომის პროცესი? ჩვენი აზრით, სუბიექტი რომ სინჯავს, ცდას განუწყვეტლივ ანახლებს. ამ „განახლებების“ გზით იგი აწარმოებს ხელახალ დაკვირვება-გაანალიზებას მოცემულ სიტუაციისას, ე. ი. იმეორებს რა ცდას ველოსიპედის გატარებისას, ამით იგი იმეორებს თავის მოტორული შესაძლებლობების დაკვირვებას, შეაქვს მათში სულუფრო და უფრო მეტი დიფერენციაცია,—და შედეგი სიტუაციის ასეთი ზრდადი დიფერენციაციისა ისაა, რომ იგი ახალ-ახალ „დასაყრდენებს“ ნახულობს და ამ გზით სანუკვარი მოქმედების მოხეხებამდე მიღის.

მაშასადამე განმეორება, როგორც განმეორება ამოცანის შესრუ-

ლების მიზნით კვლავ დაკვირვებისა და კვლავ ცდისა, სწავლის ამ პირველ პერიოდშიც უეკუელი ფაქტია: იგი ემსახურება „სიტუაციაში ორიენტაციას“, მის ღიფერენციაცია-განაწევრებას და მაშ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ „სიტუაციის დამზუშავებელი“, „სადიფერენციი ციონ (საანალიზო) განმეორებაა, — შევადაროთ ახლა მას საკუთრივ „ვარჯიშის განმეორებები“.

2. როგორც ვიცით, სწავლის იმ მეორე პერიოდისათვის, პომელსაც ჩვენ „ვარჯიში“ ვუწოდეთ, დამახსასიათებელია ის, რომ სწორი მოქმედება აქ უკვე მიღწეულია, მაგრამ არა იმ სახით, რა სახითაც მისგან ჩვევა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან სუბიექტი მას მხოლოდ ზოგჯერ ახერხებს (შეცდომებთან მონაცვლეობით) და ისიც მრავალი „ზედმეტი ელემენტის“ თანხლებით; მაშასადამე, მიზანიც აქ უკვე სხვა არის: მოსწავლე უნდა ეცადოს აი სწორედ ამ სანუკვარ მოძრაობას დაეუფლოს, შეასრულოს ის უშეცდომოდ, ჩამოაშოროს ზედმეტი ელემენტი, გამოანაწევროს ანუ გამოთიშოს. იგი მათგან და საბოლოოდ დახელოვნდეს მის შესრულებაში.— როგორ აღწევს იგი ამას? რა თქმა უნდა, განმეორებების გზით; მაგრამ ფუნქციონალურად ეს გზა სულ სხვანაირა, ვიდრე სწავლის პირველ პერიოდში.

საერთო განსხვავება ასეთია: თუ პირველ პერიოდში ყოველი განმეორება მხოლოდ და მხოლოდ მასალის დაკვირვების განმეორება, მხოლოდ მისი დამზუბავების მიზნით წარმოებული და მხოლოდ საღიფერენციაციო მნიშვნელობის მქონე, რომელიც არც ერთი კონკრეტი მოქმედების გაუმჯობესებას არ ემსახურება, აქ, ვარჯიშის პერიოდში, სუბიექტს სწორედ რომ გარკვეული მოქმედების გაუმჯობესების მიზანი ამოძრავებს, ე. ი. უკვე ხელთ აქვს რაღაც და ახლა მისგან უფრო სრული მოქმედების მიღება და განმტკიცება სწადია.

მაგრამ დასრულებისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა ფსიქოლოგიურად ერთიდაიგივე არ არის და ამის გამო სავარჯიშო განმეორებებიც განსხვავებულია.

ა) სწორი მოქმედება, რომელიც მოსწავლე სუბიექტშა პირველად მოახერხა, შემდეგშიც კარგა ხანს უსრულო ჩანს, არა მარტო იმიტომ რომ ამ მოქმედების შესრულება მხოლოდ ზოგჯერ ხერხდება, არამედ იმითაც, რომ ის დიფუზურია და მრავალ ზედმეტ ელემენტებს შეიცავს. მაშასადამე, ფიქსაციისათვის აქედანვე ზრუნვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან თვითონ მოქმედება გაუმჯობესებას მოითხოვს: იგი უნდა შესწორდეს, შეკეთდეს, ზედ-

მეტი ელემენტებისგან განთავისუფლდეს და ამგვარად სიტუაციის დაკვირვება და მისი შინაარსის დიფერენციაცია ახლა ამ გაუმჯობესების მიმართულებითაც უნდა გაგრძელდეს. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს „გაუმჯობესება-შეკეთება“ ფაქტიურად ახალი მოქმედების დამზადება, რომელიც მხოლოდ „პირველად მოხერხებულის“ საფუძველზეა გამომუშავებული, გამოყვანილი და სტრუქტურულად მას არ უდრის. ეს კი ნიშნავს: ვარჯიშის ამ ეტაპზე, როცა საბოლოოდ განსამტკიცებელი მოქმედება ჯერ კიდევ „გამოსაყვანია“, სწორი მოქმედების ყოველი მომდევნო განმეორებითი შესრულება მიზნად ისახავს მისი სულ უფრო და უფრო მეტი სისრულით განხორციელებას, ე. ი. სავარჯიშო განმეორებები აქ ფაქტიურად მოქმედების დამმუშავებელი და მისგან ახლის დამამზადებელი განმეორებებია.

ბ) მოქმედების დამუშავება, მისი გაუმჯობესება უსასრულო არ არის. იგი მთავრდება და გარკვეულ ეტაპზე სუბიექტი მას უკვე მიაღწევს ხოლმე; მაგრამ აღწევს არა ისე, რომ მისი შესრულება-საჭიროებისამებრ მუდამ უშეცდომოდ და ცნობიერების დაუხმარებლად შეეძლოს; მას ჯერ კიდევ ფიქრი და ძალისხმევა სჭირდება, მოქმედებას ვერ ფლობს, და ახლა მიზანიც ისაა, რომ მისი სწრაფიდ და ძალდაუტანებლივ შესრულება მოხერხდეს. აღნიშნულ მიზანსაც, ცხადია, განმეორებების გზით მივაღწევთ, მაგრამ ახლა ეს განმეორებები სხვანაირია, სახელდობრი: ისინი მოქმედების სტრუქტურას კი არ სცვლიან, არამედ მას მხოლოდ აფიქსირებენ, ე. ი. უკვე გამომუშავებული მოქმედების განსამტკიცებელ საფიქსაციო-მნემურ განმეორებებს წარმოადგენენ.

გ) სრულიად თავისებურია „ფორმაში ყოფნის“ სავარჯიშო განმეორებები, რადგან ისინი არც სიტუაციის დამუშავებას ემსახურებიან, არც მიღწეული მოქმედების დამუშავება-გაუმჯობესებას, რომლის საფუძველზე სტრუქტურულად ახალი მოქმედება მიიღება, და არც, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის პირველად ფიქსაციას: ეს პროცესები უკვე მანამდეა შესრულებული (სწავლის დროს) და ახლა კი, რაც სუბიექტი უკვე დახელოვნებული (ჩვევას ფლობს), განმეორება მიზნად ისახავს მხოლოდ იმას, რომ ეს უკვე ჩამოყალიბებული ჩვევა „საფუნქციო მზაობის შდგომარეობაში“ იქნას მოყვანილი, ანუ სხვანაირად: „ფორმაში ყოფნის“ სავარჯიშო განმეორებებით სუბიექტი მხოლოდ ემზადება, მოიმართება ანუ განეწყობა მისთვის საჭირო მოქმედებისადმი და არა პირველად იმუშავებს მას.

ამრიგად ფაქტი ასეთია: ყოველი „სწავლითი ვარჯიში“ განმეორების გზით ხორციელდება; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლის ერთიან პროცესში თითქოს მხოლოდ ამ სავარჯიშო განმეორებებს აქვთ აღილი და რომ ისინი დანიშნულებითაც ერთნაირია! — სწავლა შეიცავს: а) „სიტუაციის დამმუშავებელი“, რითაც სუბიექტი მანამდე პრატიკულად მოუხერხებელ მოქმედებას შვდება, და ბ) საკუთრივ სავარჯიშო განმეორებებს, რომელთა შორის ერთი ჯგუფი პირველად მიღწეული სწორი მოქმედების დამუშავებასა და მისგან სტრუქტურულად ახალი მოქმედების გამოყვანას ემსახურება და მეორე ჯგუფი კი (მომდევნო) — ამ უკანასკნელის ფიქსაციას ანუ მნემურ აღმეცდვას. ხოლო, რაც შეეხება „ფორმაში ყოფნის ვარჯიშს“, მისი განმეორებები, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა „საჩეკეტიციო“ განმეორებებია, რომელიც შეძენის თვალსაზრისით არაფერს ახალს აღარ იძლევიან და მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ უკვე შემუშავებული ჩვევა საფუნქციო მზაობაში გადაჰყავთ.

დასასრულს, რამდენიმე სიტუაცია შემდეგი დეტალის შესახებაც, რომელიც ჩვენი ანალიზის კონტექსტში უთუოდ გათვალისწინებას მოითხოვს.

როგორც დავრწმუნდით, ორპერიოდიანია როგორც ჩვევის შემუშავების პროცესი, ისე ცოდნისაც; მაგრამ საკუთრივ ჩვევის შემუშავების მეორე პერიოდს ჩვენ ვუწოდეთ „ვარჯიში“ (სწავლითი), და აი ჩნდება საკითხი: შეიძლება თუ არა ვარჯიში ეწოდოს ცოდნის შემუშავების მეორე პერიოდსაც, ე. წ. „ცოდნის განმტკიცებას“?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვარჯიში, რა სახითაც იგი ჩვევის შემუშავების პროცესში შეიმჩნევა, უბრალო განმეორება კი არაა იმისა, რაც პირველად მოვახერხეთ, არამედ იგი არის „დამზადება-გამოყვანა“ ამ პირველად მოხერხებული მოქმედებიდან უკეთესი და უფრო დასრულებული მოქმედებისა, რომელიც საბოლოოდ ჩვევის სახით მტკიცდება და შინაარსეულად აღარც ამ პირველად მოხერხებულ მოქმედებას უდრის. რაც შეეხება ცოდნის განმტკიცებას, იგი ასეთ პროცესს არ წარმოადგენს; როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ცოდნის სახით განმტკიცებული იდეა ანუ ცნება გრანიტისა შინაარსეულად სავსებით იგივეა, რაც მაშინ იყო, როცა იგი მოსწავლის ცნობიერებაში პირველად წარმოიქმნა, როცა მან პირველად გაიგო, თუ რა არის გრანიტი: იდეის ცოდნის სახით განმტკიცების პროცესი თვითონ ამ წვდომილ იდეას, ცნებას შინაარსეულად

ხრაფერს მატებს; ცოდნა არ იქმნება ჩვევისნაირად რომელიმე იდეის წაწილ-ნაწილ და თანდათანობრივი დამზადების გზით; ასეთი რამ შეუძლებელია და, როცა ვარჯიშის შესახებ ვლაპარაკობთ, ეს განსხვავება უნდა გვაჩსოვდეს.

ერთი სიტყვით, ვარჯიშის სპეციფიკა იმაშია, რომ იგი მოქმედების თანდათანობრივ და ნაწილ-ნაწილ დამზადება-გამოყვანის პროცესია, რომელშიც პირველი მოქმედება შინაარსეულად არ უდრის უკანასკნელს, ცოდნის განმტკიცების პროცესი კი ასეთ რასმეს არ გულისხმობს და ამიტომ მას ვარჯიშადაც ვერ ჩავთვლით.

ახლა შეგვიძლია შესაფერად გავიგოთ ტრადიციული გამოთქმებიც: „ვარჯიში არის ჩვევის შემუშავების პროცესი“, „ჩვევა არის ვარჯიშით შეძენილი მოქმედება“. აღნიშნული დეფინიციები მისაღებია, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ რაკი ვარჯიში ჩვევის შემუშავებისათვის არის სპეციფიკური, ამიტომ მთლიანად ეს პროცესიც ხითქოს სულ სხვაა, ვიდრე ნამდვილი სწავლა, არამედ მხოლოდ შემდეგი მნიშვნელობით: ჩვევის შემუშავების პროცესიც თუმცა სწავლა, მაგრამ მაინც ისეთი სწავლა, რომელიც, ცოდნის შემუშავებისგან, განსხვავებით ვარჯიშის გზით ხორციელდება.

ჩვევის გუნდისათვის

ა) ქცევა და ჩვევა

უველაფერი, რაც კი აქამდე ითქვა, არსებითად სწავლისა და საკუთრივ ვარჯიშის დახასიათება იყო და არა თვითონ ჩვევისა, რომელსაც მხოლოდ პროდუქტის სახით ვგულისხმობდით. მაგრამ სწავლა ხომ უსასრულო არ არის! იგი მთავრდება, სუბიექტს უმუშავდება გარკვეული ჩვევა და, რაც მანამდე აბსოლუტურად არ შეეძლო, ახლა მას მზა მოქმედების სახით ფლობს: უკვე ცურავს, ველოსიპედით მიპჭრის, ლერძნებით ხელებით დაკიდებული საოცარი სისწრაფით ტრიალებს და სხვ. და, აი ჩნდება საკითხი: რას წარმოადგენს თვითონ ეს ჩვევა, როგორც უკვე ჩამოყალიბებული მზა მოქმედება ინდივიდისა? (ჯერ-ჯერობით მხედველობაში ვიქონიოთ მხოლოდ მოტორული ჩვევები).

კონკრეტული კაცი მდინარეში იხრჩობოდა. ვილაც უცნობმა იგი დაინახა, სასწრავფოდ ტანს გაიძრო, აზვირთებულ ტალღებში გადაეშვა და დასახრჩობად განწირული ცურვით ნაპირზე გამოიყვანა. რა თქმა უნდა, ცურვა თავისთავად ჩვევაა, მაგრამ, სხვისდამი დახმარების იმპულსით აღტკინებულმა, უცნობმა რომ თავი დასდო

და კაცი გადაარჩინა, არის თუ არა ეს ჩვევა? — რაღაც არ უხდება! ძალიან სახამუშოა! აღწერილ მოქმედებისათვის ადექვატური სახელ-შოდებაა „საქციელი“, „ქცევა“ — და მერე ისიც „თავგან-წირულის“, „გმირულის“ ეპიტეტით — და არავითარ შემთხვევაში „ცურვა“ ან „ჩვევა“ („გმირული ცურვაც“ ხომ აბსურდია!). ერთი სიტყვით, განსხვავება ჩვეულებრივ მეტყველებაშიც იგრძნობა და მაშ, ჩვევის ბუნების დასაღვენად პირველს რიგში საჭიროა მისი ქცევასთან დამოკიდებულება გაირკვეს.

ყოველი ქცევა, უთუოდ, რაღაც მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსით წარმართული მოქმედებაა და, როგორც ასეთი, სამ მომენტს გულისხმობს: 1. თვითონ მოთხოვნილებას ანუ „დანაკლისს“, რომელიც უნდა „შევსებულ“ იქნას, 2. საგანს, რომელ-საც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, და 3. ძალას ანუ უნარს ცოცხალი არსებისას, რომელნიც მან ამ სანუკეარი დასაკმაყოფილებელი საგნის მოსაპოვებლად უნდა აამოქმედოს. ამ დახასიათების მიხედვით ჩვენი უცნობი სუბიექტის თავგანწირულ ქცევაში მოთხოვნილება „სხვისადმი დახმარების გაწევა“, მოქმედება (resp ძალების აქტივაცია!) ცურვა და საგანია ის (კაცის გადაარჩენა!), რაც ამ ცურვით მიიღწევა და მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

განვიხილოთ ჯერ, თუ რა მიმართებაში არიან ურთიერთთან ქცევის ეს მომენტები.

პირველი, რაც ამთავითვე დასტურდება, ეს ისაა, რომ ცურვის ჩვევა აქ ტექნიკური საშუალებაა გარკვეული მიზნის (კაცის გადაარჩენის) მიღწევისა, — იმ მიზნისა, რომელიც სუბიექტს მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული მოთხოვნილების საფუძველზე უჩნდება. მაგრამ მარტო ამის თქმა არ კმარა! მოთხოვნილებას და მიზანს შინაარსეულად არაფერი საერთო ცურვა-სთან, როგორც მოქმედებასთან, არ აქვს: მოთხოვნილება აქ არის მიღრეკილება სუბიექტისა „სხვას დაეხმაროს“, საკუთრივ მიზანია იმ კონკრეტულ შემთხვევაში „დასახელჩობად განწირულის გადაარჩენა“, რომელიც გარკვეული იდეური შინაარსის სახით ჩნდება, ხოლო ცურვა კი თავისითავად არც მიღრეკილებაა სხვისადმი დახმარებისა და არც მიზნობრივი იდეური შინაარსი: ცურვის ჩვევა გირკვეული მოქმედების შესრულების უნარის სახით არსებობს და სუბიექტის მოთხოვნილება და მიზანი მხოლოდ ბიძგს იძლევა ამ უნარის ამოქმედებისათვის, ე. ი. მხოლოდ მოტორია ჩვევის ფუნქციონიბისა და არა მისი კონსტიტუტურო თვისება. მაშასადამე, დასტურდება შემდეგი: ა) სუბიექტის „თავი-

განწირული ქცევა“, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჩეტია“ ცურვითს მოქმედებაზე იმიტომ, რომ იგი შეიცავს მოთხოვნილებას და მიზანს, რომელიც საკუთრივ ამ ჩვევის ბუნებიდან არ გამომდინარებს, და მაშ, საერთოდ ყოველი ქცევაც იმით უნდა განსხვავდებოდეს ჩვევისგან, რომ იგი (ქცევა) მუდამ გარკვეული მოთხოვნილების დაქმაყოფილების იმპულსით წარმართული მოქმედებაა, და თვითონ ჩვევა კი მასში მხოლოდ ამ იმპულსის ძალით ფუნქციობს.

მაგრამ მკითხველმა შეიძლება გვითხრას: მაინც რალაა თვითონ ფაქტი ჩვევისა? რა ნიშნებით უნდა დახასიათდეს იგი, როგორც მოქმედება, რომელიც ქცევაზი თუმცა შედის, მაგრამ ქცევა მაინც არ არისო?

ავილოთ ისევ ცურვა. რას სწავლობს სუბიექტი, როცა მას იგი პირველად ეუფლება? უეჭველია, რომ სუბიექტის ეს სწავლითი აქტივობა ანუ ქცევა შეიძლება გამოწვეული იყოს ნაირნაირი მოთხოვნილებით ანუ მოტივით: ან, ვთქვათ, სამხედრო-სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებით, ე. ი. ავალებენ და სწავლობს, ან სპორტსმენად გახდომისა და რეკორდის დამყარების იმპულსით, ან, ყოველგვარი ობიექტური საჭიროების შეგნების გარეშე უბრალოდ თვითონ ცურვის, როგორც სასიამოვნო მოქმედების ფლობის მოთხოვნილებით და სხვ.;¹ მაგრამ მიზანი ერთია: უნდა დაეუფლოს აი ამ გარკვეულ მოქმედებას, ცურვას, ე. ი. ტანისა და კიდურების იმნაირი ჰარმონიული კომბინაციით ამოძრავებას, რომ წყლის ზედაპირს შერჩე და არ ჩაიძირო. მაშასადამე, ცურვა რომ გამომუშავდა, ეს იმას ნიშნავს, რომ გაჩნდა ახალი მოქმედება, ხერხი ანუ ოპერაცია საგნისაღმი (წყლისაღმი!) ისეთი მოპყრობისა, რომელიც „წყლის ზედაპირზე შერჩენა-მოძრაობის“ სახით თრგუნავს ბუნებრივ ტენდენციას დაძირვისას. ერთი სიტყვით, კაცს რომ განსაზღვრება მოეცა იმისა, თუ რა არის ცურვა როგორც სუბიექტის მოქმედება (და არა როგორც ფიზიკური მოვლენა), უბრალოდ ასე უნდა ეთქვა: იგი არის წყლის ზედაპირზე შერჩენა—მოძრაობის ავტომატურად მოხერხება ანუ „შეძლეობა“ (Könen), რომელიც არავითარ სხვა მიზანს, გარდა ამ მოხერხებისა არ ეშვასურება, ან კიდევ უფრო ზუსტად: რომელსაც არ აქვს თავისთავის გარეშე სხვა ისეთი.

¹ შესაფერად აქაც იგივე ხდება, რაც „სასკოლო საგნების“ სწავლაშეც, როცა მოწაფე გავვთილებს ამზადებს ან იმის ზეგნებით, რომ შემდეგ საომაშოდ გაუშვებენ, ან კარგი ნიშნის მიღებისათვის, ან სპეციალისტი რომ გახდეს და ქვეყნას გამოადგეს, ან თვითონ საგნისაღმი ინტერესით და სხვ.

შიზანი, რის მიმართაც იგი მხოლოდ განხორციელების გარე საშუალება იქნებოდა.

რაც ცურვის შესახებ ითქვა, იგივე ითქვის სხვა მოტორულ ჩვევებზეც. ველოსიპედის ტარების ჩვევა მხოლოდ ტარებაა და მეტი არაფერი, ე. ი. ისეთი მოქმედება, რომელიც ველოსიპედზე შეჩრენისა (წონასწორობას დაცვისა) და მისი მოძრაობის მოხერხებაში გამოიხატება; ცეკვის სჭავლა გარკვეული „მოტორული ფორმების“ ანუ „ფიგურების“ (ყოველი ე. წ. „პა“ ასეთი ფიგურაა) გამომუშავებას ემსახურება. ცხადია, ჩამოყალიბებული ჩვევაც მეტს არაფერს წარმოადგენს, თუ არა ამ „ფიგურების“ სახით მოქმედებას; შერის ჩვევა გულისხმობს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელსაც ხელის თითების, მტევნის და წინამხრის კომბინირებული მოძრაობებით ასო ნიშნები გამოჰყავს. ერთი სიტყვით ჩვევა არის გარკვეული მოქმედების შესრულების ანუ განხორციელების უნარი, შემძლება, დისპოზიცია (ცხადია, შეძენილი!), რომელსაც არავითარი სხვა რამ მიზანი გარდა ამ მოქმედების „სათანადოდ განხორციელებისა“ არ გააჩნია.

ჩვევა რომ გარკვეული მოქმედების შესრულების შემძლეობაა, ამით გასაგები ხდება ისიც, რაც ზემოთ ჩვევის ქცევასთან შედარებამ გვიჩვენა: ჩვევას არ გააჩნია საკუთარი იმპულსი აქტივაციისა; ვითარცა მხოლოდ შემძლეობა, თავისთვად იგი მუდამ უიმპულსო და უმოთხოვნილებოა, რომელიც თავის არსებაშიც კი არ ატარებს მოტორს ამოქმედებისას, არამედ მას მხოლოდ ქცევაში ნახულობს,—ანუ უფრო სწორად: თვითონ სუბიექტის მოთხოვნილებანი და მიზნები ნახულობენ მას, როგორც რესურსს, როგორც თარაღს გარემოზე ზეგავლენისა, და იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნილებას ხვდება იგი, მისგან აგებული ქცევაც ყოველს კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურია.

შევეხოთ ახლა ჩვევის ამ „ბეჭსაც“ ადამიანის ქცევებში საერთოდ, რადგან აქ ჩანს სწორედ დანიშნულება და როლი, რომელსაც იგი პიროვნების გარემოსთან დამოკიდებულებაში ასრულებს.

ცურვა შეიძლება შედიოდეს არა მარტო „გმირულს“, არამედ მთელ რიგ სხვა ქცევებშიც. ასე, მაგალითად: ა) დასახრჩობად განწირული კაცი რომ პროფესიულმა მცურავმა გადაარჩინოს, ეს სხვა ქცევა იქნება, იმიტომ რომ მას იგი სამსახურით ევალება,—ბ) გლეხმა რომ მდინარეში ხის მორი დაინახოს და იგი ცურვით ნაპირას გამოიტანოს, ცხადია, ესეც განსხვავებული ქცევა იქნება და გ) უთუოდ, სულ სხვა კატეგორიის ქცევაა, როცა სპორტსმენი-მცურავი შეჯიბრებაში მონაშილეობს და „რეკორდის დამყარების“ მი-

ზნით ცურავს. ერთი სიტყვით, ცურვა, როგორც მოქმედება, ერთია, ხოლო ქცევა, რომელშიც მას შეიძლება ვხვდესოდეთ, მრავალი და ნაირნაირი.

მაგრამ ცურვა არაა გამონაკლისი, და სხვადასხვა ქცევაში შენასკვეულობა მეტ ნაკლებად დამახასიათებელია როგორც ე. წ. „სპორტულ“, ისე მთელ რიგ სხვა ჩვევებისთვისაც. ასე მაგალითად:

1. შეიძლება მიჯნური იყო და სატრფიალო ბარათს სწერდე, პოეტი იყო და ლექსი ქალალზე გადაგქონდეს, სახელმწიფოს მეთაური ნოტას აღგენდე, ნატურალისტი-მოგზაური შთაბეჭდილებებს იწერდე, ან სამსახურის მაძიებელი განცხადებას სწერდე და სხვ. ყველგან მოქმედება, როგორც მოქმედება, წერის ჩვევაა, მაგრამ ქცევები, რომლებშიც იგი შედის, განსხვავებულია.

2. ერთია ჭიანურზე დამკვრელის ქცევა, როცა იგი შეჯიბრებაში მონაშილეობს, და სულ სხვაა, როცა იგი იმავე ნაწარმოებს მოწაფის საჩვენებლად ასრულებს,—ან უბრალოდ გართობის მიზნით უკრავს,—ან, ვთქვათ, ეზო-ეზო დადის და დაკვრით დღიურ საზრდოს შოულობს.

3. ფსიქოლოგიურად განსხვავებული ქცევებია: ა) როცა პარიკმახერი ვარ და პირს სამართებლით სხვას ვარსავ (სხვათა მომსახურება!) და ბ) როცა თვითონ მე ვიპარსავ (თვითმომსახურება!), თუმცა კი ჩვევა (სამართებლის ხმარების ფლობა!) ორივე შემთხვევაში ერთია; ან კიდევ: როცა პროფესიონალი დურგალი დასამზადებელი კარადის ნაწილებს რანდავს, აქ ეს რანდავ (ჩვევა!) შრომითს ქცევაში მოცემული; მაგრამ შეიძლება მას არაპროფესიონალი სუბიექტიც მიმართავდეს პირადად მისთვის საჭირო. საგნის დასამზადებლად (და არა პროდუქტის ანუ საქონლის შექმნის მიზნით!) და მაშინ ქცევაც, ცხადია, სხვა კატეგორიის იქნება (მომსახურებისა და არა შრომისა). ერთი სიტყვით, სხვადასხვა ქცევაში შენასკვეულობა არც ე. წ. „საყოფაცხოვრებო-ჰიგიენურისა“ და „პროფესიულ-შრომითი“ ჩვევებისათვისაა უცხო, თუმცა კი სხვა ჩვევებთან შედარებით მათ უფრო მცირე რიცხვის ქცევებში ვხვდებით.

ასეთია საერთოდ ჩვევის ბეღი აღაშიანის გარემოსთან დამოკიდებულებაში. სუბიექტს მუდამ რაღაც „აკლია“, რაღაც მოთხოვნილებები უჩნდება და, ყოველი მისი ჩვევა რომ თითოეულ კერძო შემთხვევაში გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, ეს უკვე ქცევა და არა ჩვევა, რაღაც საკუთრივ ჩვევა მხოლოდ შემძლება გარკვეული მოქმედების შესრულებისა და, როგორც ასეთი, არავითარ იმპულსს ანუ მოტორს ამოქმედებისას

თავისთავში არ გულისხმობს. ჩვევა მხოლოდ მოიხმარება მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და, როგორც ასეთი, მის განუყრელ კომპონენტს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ნამდვილად არსებობს ქცევები და არც ერთ ჩვევის ქცევის გარეშე დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია; ჩვევა არ არის ქცევის ფორმა, იგი მხოლოდ მისი ისეთი ელემენტია, რომელსაც ნაირ-ნაირ ქცევაში ვხვდებით.

რას გვეუბნება ჩვევის ეს ნაირ-ნაირ ქცევაში შენასკვულობა მასი აღვილისა და მნიშვნელობის შესახებ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში? — თანახმად წარმოებული ანალიზისა უფლება გვაქვს შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ.

ა) ყოველი ჩვევა მართლაც დოვლათია, მართლაც რომ გამდიდრებაა პიროვნებისა ახალი რესურსით ანუ იარაღით, რითაც იგი გარემოსთან მიზანშეწონილ დამოკიდებულების ამყარებს, და მერმე არა ისეთი „მოუქნელი“ და „სიტუაციურად ზღვარდებული“ იარაღით, რომელიც მას მხოლოდ ერთ კონკრეტ სიტუაციაში და ერთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოადგება, არამედ ისეთით, რომლითაც იგი ნაირ-ნაირ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს.

ბ) დაქტი ერთი ჩვევის მრავალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოყენებისა გასაგებად ხდის მის დამოკიდებულებას. აღამიანის ნებისმრერ გონიერ ქცევებთან: ყოველი ჩვევა ავტომატიზებული მოქმედებაა, რომელიც ცნობიერების მონაწილეობის გარეშე სრულდება, მაგრამ ამ ავტომატიზებული მოქმედების სახით იგი მაინც ნებელობის განკარგულებაშია, ნებელობისა, რომელიც მას გარევული მოთხოვნილების გაკნობიერების საფუძველზე მიმართავს და შეგნებული, გონებით განკვრეტილი ქცევის განხორციელების რესურსად აქცევს. და სხვაგვარად წარმოუდგენელიცა ხდებოდეს, რადგან, რაკი ჩვევა მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად შეიძლება გამოდგეს, ამიტომ მიზანშეწონილი ქცევაც ვერ განხორციელდებოდა, თუ კი რომ სუბიექტს საკუთარი ჩვევების თავისუფალი ნებისმიერად გამოყენების უნარი არ ექნებოდა. ერთი სიტყვით, ნებისმიერი გონიერი ქცევა კი არ რიცხავს და უპირისპირდება ჩვევას, როგორც ავტომატიზებულ მოქმედებას, არამედ, პირიქით, გულისხმობს და საჭიროებს მას, ვითარცა მიზნის მიღწევის უკე მზა ტექნიკურ საშუალებას.

ბ) ნაირ-ნაირობა ჩვევებისა და „არამოტორული“ ჩვევის საკითხი

მკითხველს უთუოდ შემჩნეული აქვს, რომ აქამდე მხედველობაზი გვქონდა მხოლოდ მოტორული ჩვევები. მაგრამ ყოველი ჩვევა

მოტორული არ არის და, რათა ჩვენს ანალიზს ცალმხრიობა არ დასჩემდეს, ასეთი ჩვევების დახასიათებაც აუცილებელია:

გვიტოლებული შეხედულების თანახმად, გარდა მოტორულისა, არსებობს ე. წ. სენსომოტორული და სენსორული ჩვევებიც. პირველის შესახებ მოყლედ შემდეგს ვიტყვით: ყოველი სენსომოტორული ჩვევის დაუფლება გულისხმობს მოძრაობითი ოპერაციის შემუშავებას, მაგრამ ისე კი არა, რომ ისინი ერთი უცვლელი თანამიმდევრობით ფუნქციობდნენ, არამედ ისე, რომ თითოეული მათგანის შესრულება თვითონ გარეშთაბეჭდილების ცვალებადობითაა განსაზღვრული. ასე, მაგალითად, სოლისტის საპალეტო ცეკვა, რომელიც ტიპიური მოტორული ჩვევაა, თავიდან ბოლომდე მოძრაობების ერთი გარკვეული თანამიმდევრობით ხორციელდება (გარკვეული „პა“ გარკვეულ „პას“ მოსდევს) და არსად გარეშთაბეჭდილების შესაფერად „შეცვლას“ არ საჭიროებს. უთუოდ, სხვანაირ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ფარიკაობის შემთხვევაში, რომელიც წმინდა სენსომოტორულ ჩვევას წარმოადგენს: დუელში „მებრძოლმა“ მოფარიგავემ მუდამ მხედველობაში უნდა იქმნიოს მოწინააღმდეგის ტაქტიკა და, როგორც კი შეამჩნევს, — ოპტიკურად თუ შეხებით, — თუ რა მიმართულებით მოძრაობს მისი (მტრის!) რაპირა, მყის შესაფერი „რიპოსტით“ უნდა უპასუხოს; ე. ი. მოწინააღმდეგის ყოველი მოულოდნელი ხერხის (თავდასხმითი მოძრაობის) საპასუხოდ „მებრძოლს“ შემუშავებული აქვს სათანადო მოძრაობითი რეაქცია, და „კრიტიკული მომენტებიც“ მისი წარმატებით მოქმედებისა სწორედ ამ „სხვისი“ ხერხების სწრაფად პარიტებაში მდგომარეობს.

ფარიკაობისნაირად სენსომოტორულია ყოველი სხვა ჩვევაც, სადაც კი მოქმედება, „დუელის“ პროცესში იშლება (ორ ინდივიდს ან ჯგუფს შორის), ან საერთოდ გარეშთაბეჭდილების მოულოდნელი ცვალების შესაფერისად ისაზღვრება (კრივი, ტენისი, ფეხბურთი, კალათბურთი, პინგ-პონგი, ხოკეი, მონადირის ჩვევა აფრენის-თანავე ფრინველის მიზანში ამოღებისა და სხვ.); და სპეციფიკური აქ კიდევ ისიცა, რომ „ავტომატიზაცია“ მხოლოდ ცალკეული მოძრაობითი ოპერაციების შესრულებას ეხება და არა მათ შერჩევას. ცეკვის, ცურვის ან ველოსიპედის ტარების დროს შეგვიძლია ფურადლება სხვა რამესაც მივაქციოთ, მაგრამ ფარიკაობის, კრივის და სხვა მსგავსი ჩვევების ფუნქციობისას რომ ყურადლება ფარეშთაბეჭდილების ცვალებას მოსწყდეს, ამით უთუოდ მოქმედების მიზანშეწონილობაც დაირღვევა.

ასეთია სენსომოტორული ჩვევა. მეტს მის შესახებ აღარაფერს ვიტყვით, რადგან, საბოლოო ანგარიშში აქაც მოძრაობის ოპერატორი ციიბთან გვაქვს საქმე და მაშასადამე იგულისხმება, რომ მისი შემუშავების პროცესიც (სწავლა) არსებითად იგივეა, რაც პროცესი ყოველი მოტორული ჩვევის წარმოქმნისა.

ენახოთ ახლა სენსორული ჩვევა. რას წარმოადგენს იგი შინაარსეულად?

სიტყვა „სენსორული“ გახაზავს არა სხეულის ან მისი რომელი-მე ნაწილის მოძრაობას, რომელიც კუნთების საშუალებით სრულდება, არამედ „გრძნობის ორგანოს“ მოქმედებას, მის ფუნქციობას; მაგრამ როგორც წერითი მოქმედება პიროვნების ჩვევაა და არა ხელის კუნთებისა, ისე სენსორული ჩვევაც პიროვნების ჩვევაა და არა საკუთრივ გრძნობის ორგანოსა.—ავილოთ სანიმუშოდ „მორჩეს კოდით სმენითი სიგნალების მიღება“, რომელიც კლოფ-ვერისტის პროფესიული მუშაობის ძირითად შინაარსს წარმოადგენს (განსაკუთრებულ შემთხვევებში აგრეთვე რადისტისაც!) და თავის ბუნებით წმინდა სენსორული ტიპის ჩვევაა.

სუბიექტი ისმენს გარკვეულ ბერითს სიგნალებს, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბერითს კომპლექსებს. ყოველი ცალკე კომპლექსი რამდენიმე ბერის შეიცავს, და „მორჩეს კოდით“ ერთ რომელიმე ასოს აღნიშნავს; მაგალითად: კომპლექსი, რომელშიც პირველად „მოკლე“ ბერი შეიმჩნევა და შემდეგ ერთი „ხანგრძლივი“, ნიშნავს „ა“-ასოს, პირველად „ხანგრძლივი“ და შემდეგ თანმი-ყოლებით სამი „მოკლე“ ბერი ნიშნავს „ბ“-ს და ასე შესაფერად დანარჩენი სიგნალების მიმართაც. მაშასადამე არსი კლოფვერისტის მუშაობისა იმაშია, რომ ყოველი ბერითი კომპლექსი მოსმენილ უნდა იქნას როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი ერთეული და მრავალ ასეთ კომპლექსში უნდა ამოვიკითხოთ აზრიანი სიტყვა (ან, თუ საქმე რადისტის საიდუმლო მუშაობას ეწება,—სიტყვების ნაცვლად ასოების ტექსტი ანუ შიფრი!).

სწავლება მიმდინარეობს შემდეგი წესით: დამტყვებს სათანადო ქარატით რამდენიმეჯერ ასმენინებენ ერთსპლაიმაცია ბერითს კომპლექსს, როგორც გარკვეული ასოს აღმნიშვნელს, და ავალებენ მის დახსომებას; აცნობენ კიდევერთ ბერითს კომპლექსსაც და შემდეგ ასმენინებენ ამ კომპლექსთაგან შემდგარ მთლიან ტექსტს, რომელიც მან შესაფერი ასოების სახით უნდა ჩასწეროს. როცა ეს პირველი დავალება შესრულებულია, გადადიან სხვა ახალი ბერითი სიგნალის გაცნობაზე, რასაც თან სდევს კვლავ შესაფერი ტექსტის მოსმენა-ჩაწერა, და ასე დანარჩენი სიგნალების მიმართაც.

ბევრითი კომპლექსის იზოლირებულად აღქმა, ცხადია, არავითარ სიძნელეს არ ქმნის; მაგრამ ამოცანა ისეთია, რომ სუბიექტმა ისინი „მთლიანს ტექსტში“ უნდა გაარჩიოს და აქ კი იგი კარგა ხანს უძლურია: მოსმენილი ტექსტის შემადგენელ „კომპლექსებს“ ურთიერთისაგან ვერ ასხვავებს, „ურევს“, მათ-მათი ულერის სპეციფიკურობას ვერ გრძნობს და, რა თქმა უნდა, მნიშვნელობის გამოცნობასაც ვერ ახერხებს. მაგრამ განმეორებითს ექსპოზიციებში თითოეული კომპლექსის კვლავ იზოლირებულად და კვლავ „მთლიან ტექსტში“ მოსმენა წარმოებს. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ მოსწავლე უკვე ახერხებს აკუსტიკურ სიგნალთა რიგის (ტექსტის) წაკითხვას, ოლონდ არა ერთბაშად და აღქმის ერთ აქტში უშეალოდ, არამედ დაყოვნებით და თითოეული „ასო-სიგნალის“ აქტიური გამოცნობით: იგი აკვირდება აღქმულ სიგნალთა რიგს, საგანგებოდ იცნობიერებს თითოეული სიგნალის ულერითს ხატს, არკვევს ცალ-ცალკე მათ მნიშვნელობას (რომელი რა ასოს აღნიშნავს!) და შემდეგ უკვე წერს, ე. ი. მიღწეულია ისეთი მღვმარეობა, როცა გარკვეული ასო-სიგნალების ფარგლებში „მთლიანი ტექსტის“ მიღება ორი დამოუკიდებელი აქტის გზით ხორციელდება: აღქმულში ელემენტების დაკვირვება-გარჩევით და მათ-მათი მნიშვნელობის წვდომით.

აღარ გამოვუდებით საკუთრივ იმის განხილვასაც, თუ რა გზებით მიღის მოსწავლე ამ წარმატებამდე, და პირდაპირ ვიტყვით შემდეგს: როგორც მოტორული და სენსორორული ჩვევების შემუშავების პროცესში, ისე აქაც აღნიშნული წარმატება მთავარი მომენტია, საიდანაც ახალი პერიოდი იწყება: თუ მანამდე სუპიექტი ბევრითი კომპლექსების გარჩევას სრულიად ვერ ახერხებდა, ახლა მათ სათანადო ხერხების ცნობიერი გამოყენებით მაინც ასხავებს და უკვე ხელთ აქვს ის, რაშიც ამიერიდან სისტემატური გარჯიშით უნდა გაიწვროთნეს, რომ სიგნალების რიგი სწრაფად და უშუალოდ მათ, მნიშვნელობაშივე იქნას აღქმული. ერთი სიტყვით, ბევრითი სიგნალების კომპლექსთა კითხვის სწავლა, რომელიც რიგ-რიგობით ახალ-ახალ სიგნალთა გაცნობის გზით ხორციელდება (და არა, ჯერ ერთბაშად ყველა ნიშნის ცალ-ცალკე მიწოდებით და შემდეგ ტექსტის კითხვით!), ყოველ ამ თავის ახალს მონაცემში ორპერიოდიანი პროცესია.— შევეხოთ ახლა ამ კითხვის ჩამოყალიბებულ ჩვევას რა სახითაც იგი პროფესიონალის ქცევაში ფუნქციობს.

თუ მოსწავლეს საგანგებო ზრუნვა სჭირდება იმისათვის, რომ მოსმენილი ბევრითი კომპლექსის ელემენტები დაითვალის, გაარ-

ჩიოს, სხვა კომპლექსთაგან განასხვავოს და მის მნიშვნელობაზეც მხოლოდ ამ აქტების მოხდენის შემდეგ იფიქროს, სპეციალისტისათვებს უს უკვე ერთი პროცესია, რომელშიც აღარ არსებობს ცალკე ულერა და ცალკე ასო-ნიშანი: აღმნიშვნელი და აღსანიშნი აქ ერთ მთლიან აღქმაშია შეტყუშილი, და, როგორც ჩვეულებრივი კითხვის პროცესში არ გვიჩვენება ასოს ცალკეული ნაწილების გაცნობიერება, ისე არც რაღისტს სჭირდება ბგერითი სიგნალების წასაკითხად მათი შემაგრენელი ელემენტების („მოკლე“ და „გრძელი“ ხმების) ცალ-ცალკე ცნობა; იგი ბგერითი სიგნალების ულერას ელემენტების თავურილობად კი არ აღიქვამს, არამედ ერთ აკუსტიკურ ხატალ, ერთ ისეთ მთლიანობად, რომელიც მნიშვნელობას თვის აღქმაშივე ატარებს.

ასეთია „სმენითი სიგნალების კითხვის“ ჩვევა.—აღარ შევჩერდებით სხვა სენსორულ ჩვევების განხილვაზე. მათ შეიძლება ადგილი პქრნდეთ გრძნობის ყოველი მოდალობის სფეროში (ფერის, გემოს, სუნის და სხვ.), სადაც კი საქმე ჯერ გამლიზიანებელთა შემჩნევა-გარჩევის აქტიურად მოხერხებას ეხება და შემდეგ კი თითოეული მათგანის გამოცალევებული აღქმის სახით ფიქსაცია-რეპროდუქციას. ერთი სიტყვით, ყოველი სენსორული ჩვევა შინაარსეულად აღქმაა (გამომუშავებული აღქმა!) და მაშასადამე თქმა იმისა, რომ ჩვევა მხოლოდ მოტორული და სენსორმოტორული შეიძლება იყოს, ფაქტიურ საფუძველს მოკლებულია. ვნახოთ ახლა ის ჩვევებიც, რომელიც მოსწავლეს „მეცნიერული დისკიპლინების“ (სასკოლო საგნების!) შეთვისების პროცესში უმუშავდება.

სათანალო მაგალითებით მასწავლებელი უხსნის ბავშვს, თუ რას ნიშნავს რიცხვის გამრავლება 2-ზე, 3-ზე, 4-ზე და ასე შემდეგ. მოწაფე ხვდება მოქმედების ხერხს, ვთქვათ, იმას, რომ 4×3 ნიშნავს სამი ოთხიანის ერთმანეთზე მიმატებას ($4+4+4$)—და კარგაბანს ყოველ სხვა მაგალითსაც ამ ხერხის შეგნებული გამოყენებით წყვეტს. მაგრამ მუდამ ასე არ ხდება! ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად გამრავლების „პასუხს“ ანუ ნაწარმოების რეპროდუქციას შორდება „მითვლისა“ და „მიმატების“ პირვანდელი ხერხები, ე. ი. წესის ცნობიერად გამოყენება საჭირო აღარ ხდება და ჩნდება მხოლოდ პასუხი, მხოლოდ იზოლირებული წარმოდგენა ნაწარმოები რიცხვისა. ერთი სიტყვით, მოსწავლე აღწევს ისეთ მდგომარეობას, რომ ფაქტიურად იგი აღარც კი ანგარიშობს, მოცემული მაგალითი მისთვის ამოცანაც აღარაა, მას იგი აღარ „გამოჰყავს“ და საჭირო რეზულტატს პირდაპირ მზა პროდუქტის სახით ნახულობს. ასე ყალიბდება საერთოდ ზეპირი ანგარიშის ჩვევები.

რა თქმა უნდა, მოწაფემ დაუფლების შემსუეგაც იცის მოქმედების წესი და შეუძლია სხვასაც გააგებინოს, აუხსნას, თუ რატომ არის ვთქვათ, $8 \times 4 = 32$, მაგრამ ეს სწორედ რომ ცოდნაა და არა ჩვევა,— ცოდნა, რომელიც თვითონ ჩამოყალიბებული ჩვევის არსები არ იგულისხმება, მის ფუნქციობაში არ შედის და არც შეიძლება შედიოდეს, რადგან მაშინ იგი ცნობიერების მონაწილეობით დაიტვირთებოდა და ავტომატურად შესრულების უნარსაც დაჰკარგავდა.— ჩვევა საერთოდ არავითარ ამოცანას არ სწყებტს, იგი არაა განსჯითი პასუხი კითხვაზე, იგი მხოლოდ ხდება; ასეთია კერძოდ ზეპირი ანგარიშის ოპერაციაც და ამიტომ იგიც ნამდვილი ხალასი ჩვევაა.

საინტერესოა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს ეს ჩვევა შინაარსეულად? ერთი შეხედვით ასე გამოდის: რაკი მოტორული ჩვევების შემუშავებისას მონაცემია მოძრაობები, სენსორულისას—გრძნობადი აღემითი მოქმედებები, ხოლო ანგარიშისას კი—ვერბალურაზრითი ანუ იდეური შინაარსი, ამიტომ არ იქნებოდა თითქოს შეცდომა, თუ ამ უკანასკნელთ უბრალოდ აზროვნების ჩვევებად ჩავთვლიდით; მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ჩვევა სწორედ იმით არის ჩვევა, რომ მისი ფუნქციობის პროცესი აზროვნებას არ საჭიროებს და, მაშასადამე, „აზროვნების ჩვევა“ რომ გვეცნო, ამით უთუოდ შინაგანი წინააღმდეგობის შემცველ ცნებას მივიღებდით. ჩვენი აზრით, საიდუმლოება ანგარიშის ჩვევის სპეციფიკურობისა სიტყვასთან მის ორგანულ კავშირშია, რომელიც, თუმცა არც ერთ ზემოთ გარჩეულ კატეგორიას ჩვევებისას არ ახასიათებს, მაგრამ, მეორის მხრივ, მაინც ისეთი ნიშანია, რაც აღნიშნულ ჩვევაში (ანგარიშისა) მოტორული მომენტის გარდაუვალ საჭიროებასაც გახაზავს და ამ მხრივ მას მოძრაობითს ჩვევებთანაც ანათესავებს,

მართლაცდა, რას გვეუბნება ის ფაქტი, რომ ანგარიშის ჩვემუშავებისას მონაცემის თანახმად საქმე გვაქვს ვერბალურ-აზრითს შინაარსთან?

ბავშვმა რომ გაიგო 4×3 -ის საიდუმლოება და საგანგებო ხანგრძლივი ფიქრის შედეგად ახერხებს სწორი პასუხის მოცემას ($4 \times 3 = 12$), ვარჯიშმა ახლა ის უნდა გააკეთოს, რომ ანგარიშის ოპერაცია ფიქსირებულ იქნას გარკვეული სიტყვების გარევული თანამიმდევრობით წარმოთქმის სახით; და ასეც ხდება ნამდვილად! რაკი „სიმძიმის ცენტრი“ ახლა უკვე გარკვეულად წარმოთქმაზე გადაყვანილი და მხოლოდ განსაზღვრული სიტყვების რეპროდუქციაზე, სწორედ ამიტომაა, რომ წინადელი „მითვლა-მიმატების“ ხერხებიც ანუ შეგნებული ანგარიში საჭირო

აღარ არის და ამოცანის ჩეზულტატს პირდაპირ ავტომატურად რეპროდუქცირებულ სიტყვებში ვნახულობთ. ერთი სიტყვით, ანგარიშის ჩვევის შემუშავება „გაპერიფერიულება“ მიღწეული აზ-რითი შინაარსისა, აზროვნების ოპერაციის გარკვეულ სიტყვებში „გაყინვაა“, ისე რომ თვითონ ეს ოპერაცია აღარ ხდება და მის როლს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირი ანუ წარმოთქმა ასრულებს.

ამრიგად, საკითხი ანგარიშის ჩვევის რაგვარობის შესახებ შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: იგი არაა მოტორული ჩვევა იმ მნიშვნელობით, რომ არავითარი ახალი მოძრაობითი ოპერაციის სწავლას მისი შემუშავება არ გულისხმობს, მაგრამ, როგორც ვერბალური ჩვევა, რომლის არსი გარკვეული სიტყვების გარკვეულ თანმიმდევრობით რეპროდუქციაშია და რომელიც მაშასადამე არტიკულაციური მოძრაობების სახით ფიქსირებულ მოქმედებას წარმოადგენს, მაინც მოტორული ჩვევის მონათესავეა.

ანგარიშისნაირი ვერბალური ჩვევა ადამიანს მრავალი აქვს. ასე, მაგალითად: ჩვევაა ყოველი ლექსის თუ პროზის ზეპირად წარმოთქმა, ან კიდევ კანონის ერთი და იმავე სიტყვებით ფორმულირება, რადგან საკუთრივ გაზეპირებისას და ზეპირად თქმისას ხაზი იმას კი აღარ ესმის, რომ წაკითხული შინაარსი გავიგოთ, აზრებს ეწვდეთ, ცოდნა შევიძინოთ (რაც უკვე გაზეპირებამდე მომხდარი ფაქტია!), არამედ მხოლოდ იმას, რომ შინაარსის ტექსტუალურად რეპროდუქცია მოვახდერხოთ; და მერე როგორ? სწორედ ისე, რომ საგანგებო იმპულსი მხოლოდ დასაწყისის გასახსნელად გვჰქირდებოდეს და, როგორც კი მას ალვადგენთ, მომდევნო სიტყვებიც სრულიად ავტომატურად და ძალდაუტანებლივ ზედ მიჰყება, ე. ი. სავსებით იმნაირადვე, როგორც, ვთქვათ, ცურვის ან მანქანით ბეჭდვის მოძრაობები სცვლიან ურთიერთს: ვიხსენებთ პირველ სიტყვებს: „იყო არაბეთს როსტევან“... და თავისთავად ჩნდება „...მეფე ლმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ-მრავალი, ყმიანი“ და ასე შემდეგ სხვა სიტყვებიც, რომელთა რეპროდუქცია, მსგავსად ანგარიშის ჩვევისა, მათი განსაზღვრული თანმიყოლებით წარმოთქმით ფიქსირებული მოქმედებაა. ერთა სიტყვით, ყოველი აზრითი შინაარსი, რომელიც სიტყვების გზით გვეძლევა, შეიძლება ჩვევის შინაარსად ვაქციოთ, თუ კი რომ ეს საჭირო იქნება და „სიმძიმის ცენტრს“ ნისი გარკვეულ სიტყვებში ფორმულირების ფიქსაციაზე გადავიტანთ.¹

¹ შეიძლება ვერბალური ჩვევა მხოლოდ არტიკულაციური მოქმედების გარკვეული თანმიმდევრობით შესტულებას ეხებოდს და შინაარსეულიად არავითარ ანრს ანუ იდეას არ გულისხმობდეს (და ასეთია სწორედ უაზრო მარცვალთა დასწავლის შედეგად მთელი რიგის უშეცდომოდ წარმოთქმა, რაც, სხვათა შორის, ჩვევის ექსპერიმენტული კვლევა-ძიების პრაქტიკაშიც ერთ-ერთ მეთოდათ არის გამოყენებული!), მაგრამ წმინდა მოტორულ ჩვევა კვეცა და ამით იგი მაინც არ იქცევა, რადგან ისწავლება მხოლოდ თანამიღდევრობა უაზრო სიტყვების წარმოთქმისა და არა თვითონ ეს წარმოთქმა, როგორც მოძრაობითი ოპერაცია.

შეტი მაგალითების განხილვა, ვფიქრობთ; არ გვჭირდება: ანგარიშის ჩვევების მსგავსად მუშავდება ყოველი სხვა სასკოლო ჩვევაც, რომელსაც კი მოსწავლე ამა თუ იმ თეორიული მეცნიერულზე დისკუიპლინის შეთვისებისას იძენს, და ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: აღნიშნული „სასკოლო ჩვევების“ სახით საქმე გვაძეს ისეთ ჩვევებთან, რომელნიც, გარკვეულის მნიშვნელობით, არც მოტორული არიან და არც, რა თქმა უნდა, სენსორული თუ სენსორტორულნი, რადგან არავითარი ახალი მოძრაობითი ოპერაციის ან სენსორული მოქმედების სწავლას ისინი არ გულისხმობენ, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც მოქმედებები, ისინი მაინც გარკვეულზეა მოძრაობითი აქტის სახით ფიქსირებული მოქმედებებია და ამ სახითვე ფუნქციონებნ (მსგავსად ზეპირი ანგარიშისა, რომელიც სიტყვიერ-არტიკულაციური მოქმედების სახითაა ფიქსირებული!).

როგორია ამ ჩვევების შემუშავების პროცესი? არის თუ არა იგი რითომე განსხვავებული იმისაგან, რაც ზემოთ მოტორული ჩვევების შემუშავების ანალიზმა ვთქვენა? აქ მდგომარეობა, უთუოდ, თავისებურია, მაგრამ არც ისე, რომ აღნიშნულ ჩვევების შემუშავება, თითქოს, სხვა ბუნებისა იყოს და სულ სხვა გზით მიმდინარეობდეს.

როგორც არა ერთხელ ვთქვამს, სუბიექტი რომ ველოსიპედის ტარებას სწავლობს, სწორი მოქმედების პირველად მოხერხებამდე იგი მხოლოდ მრავალი სინჯვისა და შეცდომის გზით მიდის და სხვა საშუალება მისთვის არ არსებობს; მაგრამ როცა ბავშვს პირველად უხსნიან რიცხვებზე მოქმედებას და აცნობენ წესს, ხერხებს ამ მოქმედებისას, აქ, ცხადია, ასეთ „სინჯვა-შეცდომას“, ვითარცა აუცილებელ გზას სწორი მოქმედების წვდომისას, ვერ ვიგულისხმებთ: პედაგოგის მიერ სათანადო მეთოდიკურ-დიდაქტიკური ხერხების გამოყენებით ბავშვი უბრალოდ იგებს ვერბალურად მოცემულ აზრითს შინაარსს, ე. ი. წვდება რიცხვებს შორის დამოკიდებულებას და მაშასადამე წესს არითმეტიკული მოქმედებისას; და აქ ეს წვდომა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ყურადღებითაა ბავშვი და რაოდენ ოსტატია თვითონ პედაგოგი. მაგრამ „წესის გამოყვანით“ და მოქმედების აზრის გაგებით მთავრდება მხოლოდ პირველი პერიოდი სწავლისა და შემდეგ იწყება საკუთრივ ვარჯიში (მეორე პერიოდი!), რომელიც მიზნად ისახავს ამ გაგებული „წესითი მოქმედების“ ფიქსაციას გარკვეულ სიტყვიერ ფორმაში, ისე, რომ საჭიროებისამებრ მივიღოთ პასუხშერხებისათვის მიუმართავად, მათი გაცნობიერების გარეშე ანუ ავტომატურად; და აი სწორედ ავტომატიზაციის ეს პროცესია.

რომელიც აქაც, ისე როგორც ყოველი სხვა ჩვევის შემუშავების შემთხვევებში, „იზოლაცია-გამონაწევრების“ გზით ხორციელდება: საკარჯიშო დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უხდება მრავალჯერ გამოიყანოს ერთი და იგივე მაგალითი და მაშასადამე მრავალჯერ დაუფიტრდეს სისწორეს პასუხისას, საგანგებოდ განაზროს, თუ რა შეცდომა მოსდის, საღ უჭირს, რომელი მაგალითი რომელში ერევა, იზრუნოს თითოეული მათგანის ამოხსნის ჭიტყვიერ გაზეპირებაზე; და შედეგი ამ ღონისძიებებისა ისაა, რომ ყოველი ცალკეული მაგალითის პასუხი დიფერენცირდება მის მეხსიერებაში, ეთიშება დანარჩენთ და საჭიროების შემთხვევებშიც მუდამ ასეთი გამოთიშული მზა პასუხის სახით ჩნდება. ერთი სიტყვით, განურჩევლად კატეგორიისა, ყოველი ჩვევის შემუშავების პროცესი ორ პერიოდიანი პროცესია და არსებით განსხვავებას მოტორულ და არამოტორულ ჩვევებს შორის ამ მხრივ აღვილი არ აქვს.

ჩვევების ინტერცერიაცია (შემორჩებები)

შემუშავებული ჩვევა სხვადასხვა ქცევაში ფუნქციობს. მაგრამ ეს ფუნქციობა ყოველთვის და ყველა პირობებში ერთნაირი არ არის. ღადასტურებულია ორი შემთხვევა: ა) როცა სუბიექტი ახალს ისეთ ჩვევას იმუშავებს, რომლის მსგავსი ჩვევაც მას უკვე შემუშავებული აქვს, უკანასკნელის გავლენით ამ ახალი ჩვევის შემუშავება ბრკოლდება, გვიანდება, უფრო ძნელი ხდება, ვიდრე მაშინ, როცა ამ მსგავსებას აღგილი არ აქვს;— ბ) როცა სუბიექტი ორს თანაბრად განმტკიცებულ მსგავს ჩვევას ფლობს, განსაკუთრებულ პირობებში მას ეს ჩვევები ურთიერთში ერევა: ნაცვლად ერთი ჩვევისა მისღაუნებურად მეორე ჩვევა მოქმედებს, და საგანგებო გულისყური სჭირდება იმისათვის, რომ ასეთი „აღრევები“ არ დაუშვას.

აღნიშნული შეფერხებები, რომელთაც დღეს „ჩვევების ინტერცენტრიის“ სახელწოდებით ვიცნობთ, პირველად ებინგჰჰაუსმა შეამჩნია უაზრო მარცვლების დასწავლის ცდებში და თითოეულ მათგანს სახელწოდებაც მანვე მისცა: პირველს უწოდა „ასოციაციური შეფერხება“, და მეორეს „რეპროდუქციული“. განვიხილოთ ახლა მათი გამოვლენის კონკრეტული შემთხვევებიც.

1. ბავშვმა რომ რუსულბდ კითხვა უკვე ისწავლა და შემდეგ რომელიმე უცხო ენაზე კითხვას (ფრანგულს, ინგლისურს ან გერმანულს) ასწავლიან, პირველ ხანებში მას ზოგი ასო რუსულში ერევა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისეთები, რომლებიც ორივე შრიფტ-

ში საერთოა, მაგრამ სხვადასხვა ბერების აღნიშნავენ; ასე მაგალითად: გერმანულ სიტყვაში „Flammen“ „F“ და „L“ ასოებს ცოტა-ოდენი გავარჯიშების შედეგად დაუბრკოლებლივ კითხულობს, მაგრამ „P“ და „G“ ასოების მყის აღექვა ტურად ამოკითხვა კარგა ხანს უძნელდება: თუ ნიშანს ხშირად „ტ“-დ წარმოსთქვამს და არა ლათინურ „მ“-დ, „P“-ასოს „პ“ ბერები და არა „ნ“-დ, —ან და, თუ ზოგჯერ ლათინურის ტრანსკრიპციით წაიკითხავს, მაინც დაყოვნებისა და რუსულად კითხვის ტენდენციის საგანგებო ცნობიერი დაძლევის შედეგად. ერთი სიტყვით, განმტკიცებულორუსულად კითხვის ჩვევა შემაფერხებლად მოქმედებს მაშინ, როცა მოწაფე იძავე ასო-ნიშნების კითხვას სხვა ტრანსკრიპციით სწავლობს (მსგავს ჩვევას იმუშავებს!), და ეს შეფერხება თავს იჩენს იმაში, რომ მათი დანახვისას კვლავ ძველი ჩვევით წაკითხვის ტენდენცია ჩნდება.

მაგრამ ასეთ შემაფერხებელ გავლენას ადგილი აქვს დედა-ენაზე კითხვის სწავლაშიც; ასე მაგალითად: ყველა ვამჩნევთ, რომ ქართველ ბავშვს წერა-კითხვის სწავლების დასაწყის საფეხურებზე „ს“, „ნ“, „ძ“ ასოები ურთი-ერთში ერევა: „ს“ რომ უკვე ისწავლა და მას მთელ რიგ სიტყვებშიც კითხულობს, ამის შემდეგ „ნ“—ნიშნის ცალკე გაცნობა კარგა ხანს მდგომარეობას ვერ შველის და ისიც „ს“-დ იკითხება,—ან თუმცა „ნ“-დ, მაგრამ საგანგებო შეჩერება-დაკვირვებით; და ასევე ემართება „ძ“—ნიშნის მიმართაც, რომლის წერა-კითხვას მანამდე უკვე შეთვისებული „ნ“—ნიშნის რეპროდუქცია აფერხებს.

2. იგივე მოვლენა დასტურდება ნოტების კითხვის სწავლაშიც: მოწაფემ რომ შეითვისა, ვთქვათ, ჭიანურის გასაღებით ნოტების კითხვა და ამის შემდეგ ბანის ახალი გასაღებით კითხვას აწყვებინებენ; კარგა ხნის განმავლობაში იგი მაინც შეთვისებული გასაღებით კითხულობს: მაგალითად: თუ ახლა (ბანის გასაღებში!) მესამე ხაზზე მდებარე სანოტო ნიშანი *re*—ტონის სახით უნდა აიღოს, უნებურად ხელი ისევ *si*—ტონისაკენ გარბის, ე. ი. კითხვა კვლავ ჭიანურის გასაღების შესაფერად ხდება: უკვე ჩამოყალიბებული ჩვევა აფერხებს ახალი ჩვევის (ბანის გასაღებით კითხვის ჩვევის) შემუშავებას.

3. წარმოებით შრომითი სწავლების პრაქტიკაში შემჩნეულია, რომ მოტორული ჩვევა, რომელსაც შეგირდი უკვე ფლობს, ხელის შემშლელად მოქმედებს მაშინ, როცა მას ამ ჩვევის ახალი ვარიანტის გამომუშავება სჭირდება: დიდი ქლიბით მუშაობის ჩვევა კარგა ხანს უძნელებს შეგირდს პატარა ქლიბით მოქმედების დაუ-

ულებას, რაღაც უკანასკნელი უფრო ნაზსა და წვრილ მოძრაობას შება მოითხოვს, ვიდრე დიდით ქლიბვა, და ფაქტიურად კი ისე ხდება, რომ ძალაუნებურად იგი კვლავ ამ ძეელი მოტორული ჩვევის მიხედვით მოქმედებს (პატარა ქლიბს ზომაზე მეტის იმპულსით აწვება, შეუფერებელ მოძრაობებს ხმარობს).

4. საფრენოსნო სწავლების სპეციალისტები შემდეგ საინტერესო დაკვირვებას გვაცნობენ: შეგირდები, რომლებიც სკოლაში შემოსულადე პროფესიით შოთერები, მჭედლები, უროსმცემელნი ან მოკრივენი ყოფილან, სწავლისას ზომაზე მეტად უჭერენ ხელებს თვითმფრინავის საჭეს და უფრო ძლიერს, ინტენსიურ და წყვეტილ მოძრაობებს იძლევიან, ვიდრე ეს ნამდვილად საჭიროა, იმ დროს როცა სხვა პროფესიებიდან მოსულთ ასე არ ემართებათ და უფრო მაღალ ახერხებენ შესაფერი მოძრაობების გამომუშავებას. ერთი სიტყვით, აქაც საქმე გვაქვს წინათ შემუშავებული ჩვევების (შოთერის, მჭედლის, უროსმცემლის და სხვ.) შემაფერხებელ უარყოფით გავლენასთან ჩვევის აწალი ვარიანტის შემუშავებაზე.

5. როცა მანქანაზე გადამწერი ერთ ენაზე ბეჭდვას და ერთი მანქანით მუშაობას სისრულით ფლობს, ცხადია, სხვა ენაზე მბეჭდავი მანქანით მუშაობასაც იგი ადვილად სწავლობს (ტრანსპოზიციის ძალით), თუ, რა თქმა უნდა, ამ სხვა ენაზეც მას წერა-კითხვა და ლაპარაკი უკვე შეუძლია; მაგრამ ერთგვარ სპეციალისტები სიძნელეს მაინც აქვს ადგილი, — სიძნელეს, რომელიც პირველი (ძველი) ჩვევის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „პარიიალური“ უარყოფითი გავლენით არის გამოწვეული: მაგალითად, თუ წინათ ქართულ ენაზე ბეჭდავდა, შემდეგ რუსული მანქანის კლაფიატურის დასწავლისას ასოების განსხვავებული განლაგების დამახსოვრება უჭირს, ისე რომ, როცა რომელიმე ასო-კლავიშის, ვთქვათ, რუსული „ც“-ს ადგილმდებარეობას ეძებს, მაშინ ხშირად ქართული ასო-ნიშანი „ც“ აგრძელდა და ტენდენცია უჩნდება აქაც თითი იმ მიმართულებით წაიღოს, სადაც „ქართულს კლავიატურაში“, „ც“-ს ამობეჭდავდა ხოლმე; და შესაფერად იგივე ითქმის რუსულად ბეჭდვაში გაწვრთნილ სუბიექტის შესახებაც, რომელიც შემდეგ სხვა ენის შრიფტით ბეჭდვას ეუფლება. ერთი სიტყვით, უკვე შემუშავებული ჩვევა ბეჭდვისა, რომელიც ტიპოლოგიურად განსაზღვრულ ასო-მოძრაობებს შეიცავს, შემაფერხებლად მოქმედებს, როცა საქმე ამ ასო-მოძრაობების სხვა განლაგებით სწავლას ეხება, და შედეგი ამ შეფერხებისა ისაა, რომ ახალი კლავიატურით ბეჭდვის დაუფ-

ლებას მეტი ღრო უნდება, დახსომება ძნელდება და სიტყვების ამობეჭდვისას ზოგი ასოს ნაცვლად შეცდომით სხვა ასო იბეჭდება.

ასეთია მზა ჩვევის უარყოფითი გავლენის ფაქტები შესამუშავებელ ჩვევაზე. მზა ჩვევა აძნელებს ახალი ჩვევის შემუშავებას მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი ან იმავე სიტუაციაში მუშავდება, რაშიც მზა ჩვევა მუშავდებოდა, ანდა მის მსგავსში. მაგრამ შეფერხება მხოლოდ გაძნელებაა და, ბოლოსდაბოლოს, სუბიექტი ამ მსგავს ჩვევასაც იმუშავებს,—და რა ხდება შემდეგ?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში აღგილი აქვს ჩვევის ფუნქციონის შეფერხებას: თანაბრად მტკიცე მსგავსი ჩვევები ურთიერთს აფერხებენ, ერთის გავლენით მეორის რეპროდუქცია ბრკოლდება. მაგრამ მარტო ამის თქმა არ კმარა! საჭიროა გაირკვეს, თუ რა პირობებში შეუძლიათ მსგავს ჩვევებს ურთიერთის მოქმედება შეაფერხონ.

მართლაცდა, რად ეღირებოდა მრავალ ენაზე მბეჭდავი მემანქანის მუშაობა, რომ მსგავს ჩვევებს მასში მუდამ ურთიერთის შემაფერხებლად ემოქმედნათ? ფაქტია, რომ ერთ ენაზე ბეჭდვისას სხვა ენებზე ბეჭდვის ჩვევები ხელისშემშლელად არ მოქმედებენ, ე. ი. რეპროდუქციული შეფერხება არ ხდება! და განა პოლიგლოტი სუბიექტი, რომელიც რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ წერა-კითხვას სისრულით ფლობს, აუცილებლად ფერხდება (ურევს, აგვიანებს!) რომელიმე ამ ენაზე წერა-კითხვისას იმის გამო, რომ სხვა ენებზე შრიფტით კითხვის ჩვევებსაც ფლობს? რა თქმა უნდა, არა! მაშასადამე საქმე მარტო მსგავსებაში არაა: სუბიექტს შეიძლება მრავალი მსგავსი ჩვევა ჰქონდეს შემუშავებული და თითოეული მათგანი თავ-თავიანთ ჯერში სისრულით მოქმედებს, ისე რომ დანარჩენების შემაფერხებელ გავლენას არ განიცდიდეს. მაშ, რა პირობებში ხდება ეს შეფერხება?

პასუხს ისევ ფაქტებზე დაკვირვება იძლევა: როცა მემანქანე ერთ რომელიმე ენაზე დაწერილ ტექსტს ბეჭდავს, მაშინ მას სხვა ენაზე ბეჭდვის ჩვევა არ აფერხებს; მაგრამ, როცა ტექსტი შერეულია, რომელშიც სხვადასხვა ენის შრიფტები ურთიერთს ხშირად სცვლიან, და საჭირო ხდება მალ-მალ ერთი მანქანის კლავიატურიდან მყის მეორისაზე გადასვლა, აი სწორედ მაშინაა, რომ მას შეფერხება მოსდის: ერთი კლავიატურის შესატყვის „ასო-მოძრაობას“ მეორისაში ურევს, შეცდომით სხვა ასო გამოუდის და, თუ სწორად ბეჭდავს, მაინც წინასწარი გაცნობიერებით და დაყოვნებით, ერთი სიტყვით მრავალ ენაზე ბეჭდვის ჩვევების რეპროდუქციული შეფერხება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მბეჭდავს სჭირდება მალ-

მალ გადანიცვლება ერთ ჩვეულის შოქმედებილან მეორეზე.

ცხადია, მანქანით ბეჭდვა განსაკუთრებულ რასმეს არ წარმოადგენს! რეპროდუქციული შეფერხება პოლიკლოტის წერა-კითხვაშიც შეიძლება მოხდეს, თუ საჭერი და საკითხავი მასალა ისეთი იქნება, როცა მას ერთი ენის შრიფტით წერა-კითხვიდან სწრაფად უხდება-გადანაცვლება მეორეზე და იგივე შეიძლება დაემართოს მუსიკა-ლურ ინსტრუმენტზე ღამეცვრელსაც ახალი სანოტო ტექსტის გარჩევისას იმ ადგილებში, სადაც ერთ სტრიქონზე სხვადასხვა გასაცვლები ურთიერთს მალ-მალ სცვლიან.

ამრიგად ფაქტი ასეთია: ერთი მსგავსი ჩვევა აფერხებს მეორე მსგავსი ჩვევის ფუნქციონას, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სუბიექტს ერთიდან მეორეზე სწრაფად გადანაცვლება სჭირდება.

ჩვევა და „დახელოვნება“

ის, რასაც „დახელოვნება“ (ან „დახელოვნებულობა“) გვინდა ცუშინდოთ, ძალიან ჰვავს ჩვევას და ჩვეულებრივად ჩათ არც ანსხვავებენ ურთიერთისაგან; მაგრამ მსგავსება იგივეობა არაა და ჩვევის დახასიათება მოითხოვს, რომ იგი ამ მსგავს მოვლენისგანაც იქნას გამიჯნული.

ცნობილია, ე. წ. გამოთქმითი ანუ მხატვრული კითხვა (Художественное чтение), რომელიც სპეციალური სწავლა-გარჯიშით შეიძინება და უთუოდ მაშინაც კი, თუ მას სუბიექტის ბუნებით-განვე ბოძებულ ტალანტად ჩავთვლიდით (რადგან სწავლის გარეშე ყოველი ტალანტი მკვდარია!); მაგრამ არის თუ არა იგი ჩვევა? ჩვენი აზრით, ვინც მხატვრულად კითხულობს, შეიძლება მასში ეს კითხვა მხოლოდ ჩვევა იყოს და დახელოვნებულობას არ ნიშნავდეს, ანდა ორივე იყოს და ურთიერთს არ ფარავდეს.

ეს ფაქტი რომ უფრო ნათელი გახდეს, წინასწარ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი გარემოება, რაც უთუოდ ყოველ ხალას ჩვევაში შეიმჩნევა. სუბიექტზა რომ ცურვა ისწავლა და მაშასადამე ცურვის ჩვევა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ, სადაც კი იგი ამიერიდან წყლის სიტუაციაში მოხვდება, აღნიშნული ჩვევაც მყის მოქმედებას იწყებს: ე. ი. მოხერხება „წყლის ზედაპირზე დარჩენა-მოძრაობისა“ მხატვედების სახით ჩნდება, ფუნქციონს და არავითარი „დამატებითი სწავლის“ საჭიროებას არ გულისხმობს; იგივე ითქმის ყოველ სხვა ჩვევაზეც: წერა-კითხვა რომ ვისწავლეთ, შემდეგ ყოველ ისეთ სიტყვასაც ვწერთ და ვკითხუ-

ლობთ, რომელიც ახალია და შეიძლება აზრის მხრივაც გაუგებარი, ე. ი. თვითონ ასოების ქალალზე გამოყენა და მათი სათანადო არტიკულაციურ მოძრაობებში გამოსახვა ისეთივე მზა მოქმედების სახით წარმოებს, როგორითაც ყოველი სხვა კარგად ცნობილი სიტყვის წერა და კითხვა. მაგრამ რატომ ხდება ასე? უთუოდ იმიტომ, რომ, მიუხედავად ტექსტის სიახლისა, ყველგან საქმე მაინც ერთი-დაიმავე მასალით მოქმედებას, განსაზღვრულ ასო-ნიშანთა კომპლექსების დაწერა-ამოკითხვის ენება და მაშასაბამე ფაქტიურად საფუძ-ბით იმავე სიტუაციას, რომელშიც ეს მოქმედება თავიდანვე შემუშავდა. ერთი სიტყვით, ყოველ ჩვევას საფუძქციოდ ერთი სიტუაცია აქვს და ამ სიტუაციაში იგი მუდამ მზად არის, მხოლოდ ზღება, ავტომატურად ფუნქციობს და არავითარ დამატებით სწავლას არ საჭიროებს.— მაგრამ ახლა ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მხატვრული ანუ გამოთქმითი კითხვა.

როცა სუბიექტი რომელიმე ლექსს ან მოთხრობას იშვიათი ექსპრესიით და სახეების შინაგანი განცდით კითხულობს, ვკულისხმობთ, რომ იგი მხატვრულად კითხვის ჩვევას ფლობს. მაგრამ, ვთქვათ, მას წასაკითხად სრულიად ახალი ტექსტი მივეცით: წაიკითხავს თუ არა იგი ამ უცნობ ტექსტსაც მყისვე ჩვეული მხატვრულობით? ცხადია, ამას იგი ვერ შესძლებს და ფაქტიურად ისე ხდება, რომ ყოველ ახალ ტექსტს იგი საგანგებოდ ეცნობა, მის ფაბულას, იდეას და მხატვრულ აღგილებს ითვალისწინებს, წარმოსათქმელად ძნელ „კრიტიკულ“ აღგილებს ინიშნავს, სათანადო რიტმს, ტემპს და ინტონაციებს იმუშავებს, ე. ი. სწავლობს ტექსტის მხატვრულად კითხვას და მხოლოდ ამ სწავლის შედეგადაც, რომ თავის ხელოვანობით გვაჯადოებს. მაგრამ მაშინ სადღაა მხატვრულად კითხვის ჩვევა, თუ კი რომ ყოველი ახალი ტექსტის მხატვრულად კითხვა საგანგებო სწავლას წოითხოვს? ნუთუ იგიც ისეთივე მზა მოქმედების სახითაა მოცემული, როგორც, მაგალითად, ცურვა, რომელიც ერთხელვე სწავლის შემდეგ წყლის სიტუაციაში მოხვედრისას მუდამ მზად გვაქვს და ავტომატურად ფუნქციობს? უცველია, რომ აქ სხვანაირი მღვმარებაა: მხატვრულად კითხვა, როგორც ვითომდა ისეთი ჩვევა, რომელიც ყოველი ახალი ტექსტის მყის შესაფერს კითხვაში გამოვლინდებოდა, არ არსებობს; და ეს გასაგებიც არის, რადგან, თუ ცურვის ან წერის სიტუაცია მუდამ ერთია (წყალი, განსაზღვრული ასოებით წერა), მხატვრულად მკითხველისათვის ახალი ტექსტი, რაც უნდა იყოს, მაინც სხვა სიტუაციაა.

მაშ, რა შეუძენია მხატვრულად მკითხველს? თუ საქმის ვი-

თარებას ჩავუკეირდებით, შემდეგ გარემოებას დავაღასტურებთ: ალ-ნიშნული მოქმედება ორნაირ შენაძენს გულისხმობს.

1. სუბიექტი რომ მოცემულ ტექსტს მხატვრულად გვიკითხავს, მისი ეს მოქმედება ნამდევილი ხალასი ჩვევაა, რადგან მან იგი სპე-ციალურად დაამუშავა, ისწავლა და, ახლა რომ მას კითხულობს, წინანდებურად აღარ ფიქრობს იმაზე, თუ რა სიტყვა როვორ წარ-შოსთქვას: ე. ი. რაკი სათანადო რიტმს, ტექსტს და ინტონაციას კითხვისას იგი უკვე გამომუშავებული მჰა თვერაციის სახით ფლობს, ოპერაციისა, რომელიც საჭიროებისარებრ ავტომატურად ხორციელდება, ამიტომ, მგვესად ვირტუოზ-პიანისტისა, მისი ყუ-რადღებაც ახლა ტექსტის შინაარსის მხატვრულად გადმოცემას უხება და არა თვითონ ძოხერხებას ამ ოპერაციისას. ერთი სიტყვით, ჩველა ცალკეული ტექსტის მხატვრულად კითხვა, როგორც მომ-ზადებული მოქმედების ფუნქციონად, რომელიც მოხერხებაზე ზრუნვას აღარ მოითხოვს, ჩვევაა—და მაშასადამე სუბიექტს იმდენი ასეთი ჩვევა შეიძლება ჰქონდეს, რამდენი ტექსტის მხატვ-რულად კითხვაც ძას უსწავლია.

2. მაგრამ განა მხოლოდ ამ ცალკეული ჩვევების ქონებით ამოი-ჭურება ის, რაც მხატვრულად მყითხველს ნამდვილად შეუძნია? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ვერაფრით მას იმ ბავშვისაგან ვერ გავარჩევდით, რომელსაც მასწავლებელი ყოველი ახალი ლექსის გაცნობის შემთხვევაში საგანგებოდ უხსნის, ასწავლის, თუ როგორ უნდა მისი გამოთქმით წაკითხვა (და თვითონაც ხომ იგი მოწაფეო-ბის პერიოდში კარგა ხანს ასეთ განუწყვეტელ სწავლებას საჭირო-ებდა!). ნამდვილად კი ფაქტი ისეთია, რომ მხატვრული კითხვის სპეციალისტი სხვისგან სწავლებას აღარ საჭიროებს: მან თვითონ იკითხის, თუ როგორ უნდა დაამუშაოს ტექსტი, თვითონვე ახერხებს ყოველი ახალი მასალის მხატვრულად კითხვის დასწავ-ლას, ე. ი. ისეთ მოქმედებას, რაც მანამდე მოწაფეობის პერიოდ-ში არ შეეძლო. ერთი სიტყვით, კონკრეტული ტექსტის მხატვრუ-ლად კითხვაში არა მარტო ის ჩანს, რომ სუბიექტს საგანგებოდ უსწავლია იგი და გარკვეული შენაძენის სახით მისი „მხატვრული წა-კითხვის ჩვევას“ ფლობს, არამედ ისიც, რომ ჩას საერთოდ ყო-ველი ტექსტის მხატვრულად წაკითხვის სწავლის უნარიც შეუძენია, ანუ ისიც უსწავლია, თუ როგორ უნ-და თვითონ მხატვრულად კითხვის სწავლა. ამ მეორე „შენაძენის“ (ყოველი ტექსტის მხატვრულად წაკითხვის სწავლისა!) პირველთან გათანაბრება არ შეიძლება, რადგან პირველი არის დასწავლილი მოქმედების მზა ჩვევის სახით ფუნქციონა, ხოლო

შეორე კი დამოუკიდებლად და ადვილად მოხერხებაა თვითონ აშ
დასწავლისა.

ამრიგად, მხატვრულად კითხვის ფაქტში ჩვენ ვასხვავებთ ორ-
ვარ შენაძენს: ა) საკუთრივ ჩვევას მოცემული ტექსტის მხატვრუ-
ლად კითხვისას. რასაც სუბიექტი ჯერ საგანგებოდ იმუშავებს და
შემდეგ მზა მოქმედების სახით საჭიროებისამებრ მხოლოდ იმეო-
რებს ანუ აღადგენს, და ბ) საერთო უნარს ანუ მოხერხებას ყოველი
ახალი ტექსტის მხატვრულად კითხვის დამოუკიდებლად და ადვი-
ლად დასწავლისას, რომელიც ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად
შუშავდება.

დადასტურებული ფაქტი არა მარტო მხატვრულ კითხვაში იჩენს
თავს, არამედ ყოველი სხვა მოქმედების სწავლაშიც. ასე, მაგალითად:
ლექსის გაზეპირების პროცესი სწავლაა, ხოლო მისი ეფექტი – ზეპი-
რად თქმა, როგორც მოქმედება, ნამდვილი ჩვევაა. მაგრამ მოწა-
ფე რომ მრავალ ლექსს სწავლობს, ამის შედეგად იგი არა მარტო
მათი რეპროდუქციის ჩვევებს იძენს, არამედ იმასაც, რომ ყოველი
ახალი ლექსის გაზეპირებას სულ უფრო და უფრო ადვილად ახერ-
ხებს ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაზეპირებაში ოსტატდება.

წერა-კითხვის სწავლებას იწყებენ ორი ან სამი ასოს გაცნობით
(ცხადია, მთლიანს სიტყვაში!), რომელთაც ბავშვს იქვე აწერინე-
ბენ და აკითხებენ, შემდეგ მორიგეობით ამას მოსდევს ახალ-ახალი
ასოების გაცნობა და ასე ბოლომდე; მაგრამ ყოველმა მასწავლე-
ბელმა იცის, რომ, რამდენადაც მატულობს შეთვისებული ასოების
შარავი იმდენად უფრო ადვილი ხდება ბავშვისოვის მომდევნო
(ახალი) ასო-ნიშნებით წერა-კითხვაც და ბოლოს ისე ადვილიც,
რომ უკანასკნელი ასოების „გამოყვანას“ უკვე პირველ სინჯვისთანა-
ვე ახერხებს და საჭირო სიზუსტესა და სისწრაფესაც სულ მცირეო-
დენი გავარჯიშების შედეგად აღწევს. ერთი სიტყვით, მოსწავლე
რომ, ვთქვათ, 15 ასო-ნიშნისგან შემდგარ ტექსტს კითხულობს
და წერს, ცხადია, ამით იგი წერა-კითხვის ჩვევას ჯერ კიდევ და-
უფლებული არ არის, მაგრამ ჩვევის შემუშავების რა დონეც მიღ-
წეულა, მას ამ საფეხურზე არა მარტო ის შეუძნია, რომ განსაზ-
ღვრულ ფარგლებში უკვე წერს და კითხულობს, არამედ ისიც, რომ
ახალი ასო-ნიშნებით წერა-კითხვასაც უფრო ადვილად სწავლობს.

ამრიგად, უეჭველი ფაქტია, რომ სწავლა არა მარტო ჩვევას
გვძენს – ე. ი. იმ მოქმედებას, რისი დაუდლებაც თავიდანვე გვინდო-
და – არამედ სხვა მსგავსი ჩვევების აღვილად მოხერხებაშიც გვაოს-
ტატებს. მაგრამ მოსალოდნელია მკითხველმა ახლა გვითხრას: რატომ
არ შეიძლება ეს შენაძენიც ჩვევად ჩავთვალოთ? ყოველი ჩვევა ხომ

შეძენილი უნარია რაღაც მოქმედების შესრულებისა და რა გვიშალის ხელს სწავლის ამ აღვილად მოხერხების შეძენილ უნარსაც „ჩვევა“ ვუწოდოთ?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველი ჩვევა (ცურვის, ველოსიპედის ტარების, წერის და სხვ.) მზა ავტომატიზებული მოქმედების სახით ვლინდება, მაგრამ „სწავლის აღვილად მოხერხების უნარზე“ ამას უთუოდ ვერ ვიტყვით: მხატვრულად კითხვის სპეციალისტი რომ ყოველ ახალ ტექსტს სწავლობს, მისი ეს სწავლა ავტომატიზებული მოქმედება როდია! იგი ნამდვილი სწავლაა, რომელიც ყოველი დეტალის საგანგებო გააზრებასა და მოფიქრებას მოითხოვს და მისი აღვილად მოხერხებულობაც მხოლოდ იმაში მეღაენდება, რომ სუბიექტში გამოცდილებით იცის, თუ როგორ უნდა ისწავლოს. ამგვარად, სიტყვა „ჩვევა“, თუ მასში მხოლოდ მზა მოქმედების სახით მოცემულ შენაძენს ვიგულისხმებთ, ალწერილი შენაძენის აღსანიშნავად ვერ გამოდგებოდა. მაშ რა შეიძლება მას ვუწოდოთ?

ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი შემთხვევების აღსანიშნავად სიტყვა „დახელოვნება“ გვეხმარა, რადგან მზატვრულად მკითხველი რომ ყოველი ახალი სარეპერტუარო ტექსტის დამუშავებას დამოუკიდებლად და აღვილად ახერხებს, ეს მართლაც რომ დახელოვნება ასათანადო სწავლითს მოქმედებაშია: ე. ი. სუბიექტი ცნობილი ტექსტის მზატვრულად წაკითხვის ჩვევასაც ფლობს და იმავე დროს ყოველი ახალი ტექსტის მზატვრულად დამუშავებაშიც დახელოვნებულია; იგივე ითქმის სხვა შემთხვევებზეც: მოწაფეს რომ ზეპირად სწავლის პრაქტიკის შედეგად არა მარტო მრავალი ლექსის ზეპირად წარმოთქმა შეუძლია, არამედ ყოველი ახალი ლექსის დასწავლასაც აღვილად ახერხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პრაქტიკის პრაცესში იგი თვითონ ამ ზეპირად დასწავლაშიც თანდათან ხელოვნდებოდა; და გარკვეული დარგის სპორტსმენი რომ სხვა მონათესავე დარგის სპორტსაც აღვილად ეფლება, ესეც უთუოდ მისა „სწავლაში დახელოვნებულობას“ ნიშნავს. ერთი სიტყვით „დახელოვნება“ მისაღები ტერმინი უნდა იყოს, რადგან, თუ ცნება „ჩვევაში ნაგულისხმევია ავტომატიზებული მზა მოქმედების ფაქტი, „დახელოვნებაში“ ხაზი ესმის რმას, რომ ყოველი ახალი მოქმედებისა თუ შინაარსის სწავლა გარკვეული ხერხების გამონახვით და შეგნებული გამოყენებით წარმოებს; დახელოვნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პრაქტიკული ცოდნაა“ იშისა, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამოსახსნელი ამოცანის ამოხსნა, დასასწავლის დასწავლა.

ამრიგად უფლება გვაქვს დავასკვნათ: ცოდნა, როგორც ცნება ანუ აზრი სინამდვილის შესახებ, ჩვევა, როგორც გამომუშავებული შეა მოქმედება, და და ა ხელოვნება, როგორც სწავლითი მოქმედების და საერთოდ ახალი ამოცანის გადაჭრის დამოუკიდებლად და ადვილად მოხერხება, ასეთია მოსწავლე სუბიექტის შენაძენები,—სწავლის პროდუქტი, რომლებშიც თვითონ ეს სწავლაც თავის აზრსა და დანიშნულებას ნახულობს.

შენი შვენა: რუსულს ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ლიტერატურაში, გარდა სიტყვა „навык“-ისა, ჩვეულებრივად ხმარობენ აგრეთვე სიტყვა „умение“-საც; მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ვერც ფსიქოლოგებთან და ვერც პედაგოგებთან ამ სიტყვების ცნებით შინაარსთა ნათელ განსხვავებას ვერ ვნახულობთ. ჩვენ კი ასე ვიტყოდით: ის, რასაც აღნიშნული რუსული სიტყვა, როგორც მეცნიერული ტერმინი, „навык“-ისგან განსხვავებით ნამდვილად შეიძლება გულისხმობდეს, იგივე ფაქტი უნდა იყოს, რასაც ზემოთ „და ა ხელოვნება“ ვუწოდეთ; და აქვე დავუმატებდით შემდეგსაც: ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში ლაპარაკობენ მხოლოდ ცოდნა-ჩვევების შემუშავებაზე და რუსულ „умение“-ს შესატყვისად აქა-იქ სიტყვა—„უნარსაც“ ხმარობენ; მაგრამ „უნარი“ შეუფერებელი ტერმინია, რადგან იგი თანაყოლილობის მომენტს გახაზავს, იმ დროს როცა სწავლებით შენაძენი სწორედ რომ „შენაძენია“ და არა თანდაყოლილი; ამიტომ „დახელოვნება“, რომელიც მხოლოდ „შეძენილს“ გულისხმობს, ჩვენის აზრით „უნარს“ შეუდარებლად სჯობნის და, თუ ტერმინილოგიური სიზუსტე საჭიროა, ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაშიც, ნაცვლად უნარისა „დახელოვნება“ უნდა დამკვიდრდეს.

ჩვენა და ჩვეულება

აღამიანის შენაძენთა სამკვიდროში, გარდა ცოდნა-ჩვევებისა და დახელოვნებისა, ისეთ ფაქტებსაც ვამჩნევთ, რომლებიც გარეუნულად ჩვევას ჰქვანან, მაგრამ ნამდვილად კი განსხვავებული ბუნების არიან. სანიმუშოდ ავილოთ შემდეგი მაგალითი: ბავშვს რომ სხელების დაბანვა ვასწავლეთ, ე. ი. ჩვევა შევუმუშავეთ (გასაპნა, ხელების ურთიერთზე წასმა, ხელსახოცით შემშრალება), ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ჭამის წინ მუდამ ხელებს დაბანს. პირიქით, შეიძლება დაბანვა კიდეც ეზარებოდეს და არც იბანდეს, თუ საგანგებოდ არ შევახსენეთ. მაგრამ იმ მომენტიდან, როცა მას დიდების მხრივ ეს „შესენება-ძალდატანება“ აღარ ჟჭირდება, ყოველი ჭამის წინ თვითონვე გარბის დასაბანად და

სხვანაირად აღარც კი შეუძლია მოიქცეს, აღნიშნული ჩვევის გარდა მას უთუოდ კიდევ რაღაც შეუძენია. მაგრამ, სახელდობრ რაზეცველია, რომ ბავშვი და ეჩვია ჭამის წინ ხელების ბანვას, მას იგი ჩვეულებად ექცა, „დასჩემდა“ და მაშასადამე ახლა არა მარტო ხელის დაბანვის ჩვევა აქვს, არამედ ჩვეულებაც ჭამის წინ ამ ჩვევის აუცილებლად შესრულებისა.

საკითხი ისმის: რა ყოფილა მაშ ჩვეულება? რით სხვავობს იგი ჩვევისაგან?

საბჭოთა ფსიქოლოგების აზრით ყოველი ჩვევა გარკვეული მოქმედების უნარია, ხოლო ჩვეულება კი მოთხოვნილებაა ამ შეძენილი მოქმედების შესრულებისა: ბავშვი რომ ჭამის წინ ხელების დაბანვას შეეჩვია, ეს იმას ნიშნავს, რომ შრავალჯერ „შეხსენება-ძალდატანებით“ დაბანვის შედეგად მას გაუჩნდა მოთხოვნილება დაბანვისადმი,—შეუმუშავდა მიღრეკილება „ჭამის წინ აუცილებლად ხელების დაბანვისა“, და ახლა უკვე ყოველს განმეორებულ სიტუაციაშიც მხოლოდ ამ მოთხოვნილების ანუ მიღრეკილების იმპულსით მოქმედებს (იბანს!); სხვანაირად რომ ვთქვათ, სანამ ბავშვი „შენიშვნა-ძალდატანებით“ იბანს (ეზარება და მაინც აპანინებენ), მანამ იგი მხოლოდ ჩვევას ფლობს, რომელსაც ნებისმიერად იყენებს; მაგრამ როცა ამ მოქმედებისადმი მიღრეკილება უჩნდება და თვითონვე აღარ შეუძლია, რომ ჭამის წინ ხელი არ დაიბანოს, მაშინ, გარდა ამ დაბანვის ჩვევისა, მას დაბანვის ჩვეულებაც აქვს. ერთი სიტყვით „ჩვეულება არის მოთხოვნილებად ქცეული ჩვევა“. ასეთია გაბატონებული აზრი ჩვენს საკითხებე.

ჩვეულების ასეთი გაგება პრინციპულად უთუოდ სწორია, მაგრამ არის შემთხვევები, რომელთაც იგი სისრულით ვერ უდგებადა ერთგვარ შესწორებას მოითხოვს. პიგიენური ჩვეულებები: „ცივი წყლით ტანის ბანვა“, „დათქმულ დღეებში აბაზანების მიღება“,— ან ისეთი „აკვიატებული მოქმედებები“, როგორიცაა: „დაძინების წინ კითხვა“, ლაპარაკის დროს „პარაზიტი სიტყვების ხმარება“, „ხელში ცომის ტლეზა“ და სხვ.,— უთუოდ ეგუებიან აღნიშნულ გაგებას: ისინი მართლაც „მოთხოვნილებად ქცეული ჩვევებია“, რომელთა შესრულება სუბიექტს გარკვეულ სიტუაციებში დასჩემებია, მაგრამ სხვა უფრო მაღალი რიგის ჩვეულებების მიმართ ასე უთუოდ აღარ გამოდის. გაუგებარი რომ არ დარჩეს, მივმართოთ აქაც მაგალითებს.

ბავშვს სკოლაში აფრთხილებენ, რომ დაგვიანება არ შეიძლება, ღროණე უნდა მოვიდეს, მოიტანოს მხოლოდ ის სახელმძღვანელოე

ბი, რომლებიც აი ამ დღისათვის სჭირდება, უნდა იქონიოს რვეულები, კალმისტარი, წათლილი ფაქტარი, არ უნდა იხმაუროს და სხვ.

მოწაფეს, რა თქმა უნდა, ესმის დავალება, მაგრამ კარგა ხას იგი მაინც უწესრიგოდ იქცევა: რა სჭირდება ხვალისათვის, ამის შესახებ არ ფიქრობს, ზოგ სახელმძღვანელოს ივიწყებს ან ზედმეტი მიაქვს, დაგვიანება მაინცდამაიც არ აწუხებს და მხოლოდ მასწავლებლისა და მშობლების მრავალჯერ შენიშვნისა და მოთხოვნის შედეგადაა, რომ ბოლოსდაბოლოს საჭირო „კალაპოტტი დგება“. მაგრამ ამიერიდან იგი უკვე ჟველაფერს წესისამებრ ასრულებს და ისე კი არა, რომ სხვისი შენიშვნა სჭირდებოდეს, ან ეზარებოდეს და თავის თავს ძალას ატანდეს, არამედ სრულიად სპონტანურად.

რა უნდა ვუწოდოთ ამ უთუოდ ლირებულ ცვლილებას ბავშვის ქცევაში? უეჭველია, რომ იგი შეეჩია გარკვეული წესით მოქმედებას, მას იგი ჩვეულებად ექცა, რადგან ყოველდღიურად გარკვეულს მომენტში ერთსადაიმავე ქცევას ასრულებს და იღარ შეუძლია ასე არ მოიქცეს.

რა თქმა უნდა, აღწერილი მაგალითი არ არის გამონაკლისი: ჩვეულებაა ისიც, როცა მოწაფეს, ჯერ გაკვეთილების დამზადება ეჩარება, შემდეგ კი მას ყოველდღიურად გარკვეულ პერიოდს უთმობს და სანამ არ მოაზადებს, მანამ სხვა მოქმედებაზე უარს ამბობს: მოსწავლე მეცადინი გახდა, იგი შეეჩია ყოველდღიურად გაკვეთილების დამზადებას და ახლა სხვების ჩაგონებით და საგანგებო ნებისმიერი გადაწყვეტილებით კი არ მუშაობს, არამედ მიღრეკილია იმეცადინოს. გაკვეთილების სწავლა მას მოთხოვნილებად ექცა, რომლის დაუკმაყოფილებლობა უსიამოვნებას გვრის და სხვა გასართობ მოქმედებებშიც ხალისს უკარგავს.

ერთი სიტყვით, ჩვეულების ფაქტები უამრავია და არა მარტო მოსწავლის, არამედ ნასწავლის სერიოზულ ცხოვრებაშიც. მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ისინიც „მოთხოვნილებად ქცეული ჩვევები არა?“ ვფიქრობთ, ამის დამტკიცება ვერ მოხერხდებოდა.

ბავშვი რომ სადილის წინ ხელის დაბანვას შეეჩია და ამ ჩვეულების ძალით მაშინაც იბანს, როცა ჭუჭი არც აქვს, დაძინების წინ რომ წიგნის კითხვა გვწალია და წაუკითხავად ველარ ვიძინებთ, მოლაპარაკე რომ ერთსადაიმავე სიტყვას წამდაუწუმ ხმარობს („პარაზიტი სიტყვები“), ყველა ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს მართლაც გარკვეულ ჩვევასთან, რომლის შესრულებაც სუბიექტს გარკვეულ სიტყაციაში დასჩემებია: ხელის ბანვა—ჭამის

სიტუაციაში, წიგნის კითხვა — დაძინებისაში და „პარაზიტი სიტუაციების“ წარმოქმა — ზეპირს მეტყველებითს მოქმედებაში. ¹ მაგრამ, რაც შეეხება მოწაფის ზემოაღწერილ ჩვეულებებს, მათში ამის ანალოგიური რამ არ დასტურდება: მოსწავლის გაუჩნდა მოთხოვნილება სკოლაში წასვლის სამხადისისა, გაკვეთილების თავის დროზე დასწავლისა, მას მათი შესრულება ჩვეულებად ექცა; მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ სკოლისათვის სამზადისი ან გაკვეთილების სწავლა ჩვევაა? სწავლის სახით საქმე გვაქვს გარკვეულ ქცევასთან, რომელშიც ნაირნაირი ჩვევა შეიძლება შედიოდეს იმის მიხედვით, თუ რას სწავლობს ბავშვი, და წარმოუდგენლია, რომ შინაარსეულად ახალახალი გაკვეთილების დამზადების ჩვეულება განსაზღვრული ჩვევის ან ჩვევების მოთხოვნილებად ქცევა იყოს; არა! აქ მდგომარეობა სხვანაირად უნდა წარმოვიდგინოთ: სუბიექტს მიღრეკილება ექმნება თვითონ სწავლითს მოქმედებისადმი და მაშასადამე, გარკვეულ ქცევისადმი, ისე, რომ ჩვეულებად იქცევა არა ჩვევა, არამედ ქცევა მთლიანად, რომელიც გარკვეული მიზნის მიღწევას ემსახურება; იგივე ითქმის „სკოლაში წასვლის სამზადისზეც“. ერთი სიტყვით, დებულება, რომ „ჩვეულება მოთხოვნილებად ქცეული ჩვევაა“ მხოლოდ ფაქტების ერთ ჯგუფს იტევს, იმ დროს, როცა თვითონ სფერო ჩვეულებისა გაცილებით უფრო ფართოა და არა მარტო ცალკეულ იზოლირებულ ჩვევებს ეხება, არამედ ქცევებსაც.

საქმის ვითარების ნათლად წარმოდგენის მიზნით აქ საჭიროა შემდეგ დეტალსაც მიუუთითოთ: მოწაფეს რომ სწავლისადმი მოთხოვნილება უმუშავულება და ყოველდღიურად გაკვეთილების დამზადება ჩვეულებად ექცევა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს ამით სწავლის პროცესი გაავტომატურდა! არა, სწავლა სწავლად რჩება, იგი წინაძებურად აზროვნების პროცესია და მხოლოდ ის წდება, რომ მოსწავლე სუბიექტს აღარ სჭირდება მეცადინეობის დასაწყებად თავის თავს ძალა დაატანოს; იგი მისი ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმშია შესული და გარკვეულს მომენტში, თუ შეიძლება ისე ითქვას, იმპულსურად იწყება.

ერთი სიტყვით, ჩვეულება ნიშნავს გარკვეულ მოქმედების შესრულებისადმი მოთხოვნილების ანუ ტენდენციის გაჩენას, მაგრამ არა მარტო ჩვევის, არამედ აგრეთვე მთლიანად ქცევის მიმართაც იმ მნიშვნელობით, რომ სუბიექტი ახლა ნებისმიერითაა გაჩენილი.

¹ საგანგებოდ რომ გვეკვლა, დავადასტურებდით, რომ „ხელში ცომის ტლეზისა“ და სხვა მისნაირი ჩვეულებებიც უთუოდ რაღაც სიტუაციასთან დაკავშირებითაა გაჩენილი.

რად კი აღარ სწყვეტს — შესრულდეს თუ არა ჩვევა, არამედ უბრალოდ ტენდენცია აქვს მისდამი და ყოველდღიური ცხოვრების ჩეუიმის გარკვეულს მომენტში მას იმპულსურად იწყებს.

სფავლა ცხოველთან და მისი გაცხევაშება აღაშიაშენი სწავლისგან

ჩვენ გავაანალიზეთ ჩვევა და მისი შემუშავების პროცესი მხოლოდ ადამიანური სწავლის შემთხვევებში: მაგრამ ჩვევას ხომ ცხოველიც იძენს და ამ მნიშვნელობით მაშასადამე კიდევაც „სწავლობს!“ ადამიანის ჩვევებზე რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა ამ ცხოველური სწავლის თავისებურებაც იქნას გათვალისწინებული.

ცხოველის სწავლის ერთ-ერთი ტიპიური ექსპერიმენტული მაგალითი ასეთია: მშიერ ძალს გალიაში ამწყვდევენ და გარეთ გამოსვლის იმპულსის გაძლიერების მიზნით იქვე გარეთ ხორცის ნაჭირს უდებენ. პირუტყვი ცდილობს განთავისუფლდეს, თათებით და კბილებით მოაჯირს აწყდება და, ამასობაში რომ შემთხვევით კარის რაზასაც ეხება და გალია იღება, გარეთ გამორბის და ხორცის მიირთმევს. ცდის რამდენიმეჯერ გამეორებისას მდგომარეობა უცვლელია. ე. ი. ცხოველი კვლავ „ცდება“: ერთ მოძრაობიდან მეორეზე ინაცვლებს, მეორედან მესამეზე და ამ „გადანაცვლების“ პროცესში ჯერი იმ მოძრაობასაც უწევს, რომლითაც გალიის კარი იღება და პირუტყვს განთავისუფლების საშუალება ეძლევა; მაგრამ მრავალი ასეთი „შემთხვევითი გაღების“ წყალობით იგი „სწავლობს“ მას და ამის შემდეგ, კვლავ გალიაში მოხვედრილი, წინანდებურად კი აღარ „იცვლის მოძრაობებს“, არამედ მაშინვე კარისაკენ გარბის, რაზას დინგით ან თათით ძირს წევს და დაუბრკოლებლივ თავისუფლდება. ერთი სიტყვით ცხოველს უმუშავდება გალიის კარის გაღების ჩვევა. შევადაროთ ახლა მისი ეს „სწავლა“ ადამიანურისას.

შეღარების სისრულისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აქვე „პირობითი რეფლექსის“ ფაქტიც გავითვალისწინოთ. ცნობილია, რომ მოძღვრება პირობით რეფლექსებზე (რეფლექსოლოგია) ერთნაირ ასენას აძლევს როგორც ცხოველის, ისე ადამიანის სწავლასაც. თვითონ ახსნას თავი დავანებოთ და შევხედოთ პირობით რეფლექსს როგორც მხოლოდ ფაქტს, როგორც გარეგნულად გამოვლენილ მოქმედებას ცხოველისას. იგი ასეთია: ექსპერიმენტატორი ძალს საკვებს აძლევს; ცხოველი მას ჭამს და, რა თქმა უნდა, ჭამის პროცესში ნერწყვიც მოსდის. მაგრამ იმავე დროს ზარს რეკავენ და მთელს ამ პროცესს — კვებას და ზარის რეკვას, — რამდენიმეჯერ

სიტუაციაში, წიგნის კითხვა — დაძინებისაში და „პარაზიტი სიტუების“ წარმოთქმა — ზეპირს მეტყველებითს მოქმედებაში.¹ მაგრამ, რაც შეეხება მოწაფის ზემოალწერილ ჩვეულებებს, მათში ამის ანალოგიური რამ არ დასტურდება: მოსწავლეს გაუჩნდა მოთხოვნილება სკოლაში წასვლის სამშადისისა, გაკვეთილების თავის დროზე დასწავლისა, მას მათი შესრულება ჩვეულებად ექცა; მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ სკოლისათვის სამშადისი ან გაკვეთილების სწავლა ჩვევაა? სწავლის სახით საქმე გვაქვს გარკვეულ ქცევასთან, რომელშიც ნაირნაირი ჩვევა შეიძლება შედიოდეს იმის მიხედვით, თუ რას სწავლობს ბავშვი, და წარმოუდგენელია, რომ შინაარსეულად ახალახალი გაკვეთილების დამშადების ჩვეულება განსაზღვრული ჩვევის ან ჩვევების მოთხოვნილებად ქცევა იყოს; არა! აქ მდგომარეობა სხვანაირად უნდა წარმოვიდგინოთ: სუბიექტს მიღრეკილება ექმნება თვითონ სწავლითს მოქმედებისადმი და მაშასადამე, გარკვეულ ქცევისადმი, ისე, რომ ჩვეულებად იქცევა არა ჩვევა, არამედ ქცევა მთლიანად, რომელიც გარკვეული მიზნის მიღწევას ემსახურება; იგივე ითქმის „სკოლაში წასვლის სამშადისზეც“. ერთი სიტყვით, დებულება, რომ „ჩვეულება მოთხოვნილებად ქცეული ჩვევაა“ მხოლოდ ფაქტების ერთ ჯგუფს იტევს, იმ დროს, როცა თვითონ სფერო ჩვეულებისა გაცილებით უფრო ფართო და არა მარტო ცალკეულ იზოლირებულ ჩვევებს ეხება, არამედ ქცევებსაც.

საქმის ვითარების ნათლად წარმოდგენის მიზნით აქ საჭიროა შემდეგ დეტალსაც მივუთითოთ: მოწაფეს რომ სწავლისადმი მოთხოვნილება უმუშავდება და ყოველდღიურად გაკვეთილების დამზადება ჩვეულებად ექცევა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს ამით სწავლის პროცესი გაავტომატურდა! არა, სწავლა სწავლად რჩება, იგი წინაძებულად აზროვნების პროცესია და მხოლოდ ის ხდება, რომ მოსწავლე სუბიექტს აღარ სჭირდება მეცადინეობის დასაწყებად თავის თავს ძალა დაატანოს; იგი მისი ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმშია შესული და გარკვეულს მომენტში, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმპულსურად იწყება.

ერთი სიტყვით, ჩვეულება ნიშნავს გარკვეულ მოქმედების შესრულებისადმი მოთხოვნილების ანუ ტენდენციის გაჩენას, მაგრამ არა მარტო ჩვევის, არამედ აგრეთვე მთლიანად ქცევის მიმართაც იმ მნიშვნელობით, რომ სუბიექტი ახლა ნებისმიე-

¹ საგანგებოდ რომ გვეკვლა, დავადასტურებდით, რომ „ხელში ცომის ტლეზისა“ და სხვა მისნაირი ჩვეულებებიც უთუოდ რაღაც სიტუაციასთან დაკავშირებითა გაჩენილი.

რად კი ოლარ სწავლის — შესრულდეს თუ არა ჩეცეა, არამედ უძრავოდ ტენდენცია აქვს მისდამი და ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმის გარეულს მომენტში მას იმპულსურად იწყებს.

ცხადობა ცხოვრების და მისი განსაზღვავა აღაშიაზე ადამიანის აზაფლისგან

ჩვენ გავაანალიზეთ ჩეცეა და მისი შემუშავების პროცესი მხოლოდ აღამიანური სწავლის შემთხვევებში: მაგრამ ჩეცეას ხომ ცხოველიც იძენს და ამ მნიშვნელობით მაშასალამე კიდევაც „სწავლობს!“ აღამიანის ჩეცებზე რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა ამ ცხოველური სწავლის თავისებურებაც იქნას გათვალისწინებული.

ცხოველის სწავლის ერთ-ერთი ტიპიური ექსპერიმენტული მაგალითი ასეთია: მშიერ ძალს გალიაში ამწყვდევენ და გარეთ გამოსვლის იმპულსის გაძლიერების მიზნით იქვე გარეთ ხორცის ნაკერს უდებენ. პირუტყვი ცდილობს განთავისუფლდეს, თათებით და კბილებით მოაჯირს აწყდება და, ამასობაში რომ შემთხვევით კარის რაზასაც ენება და გალია იღება, გარეთ გამორბის და ხორცის მიირთმევს. ცდის რამდენიმეჯერ გამოირებისას მდგომარეობა უცვლელია. ე. ი. ცხოველი კვლავ „ცდება“: ერთ მოძრაობიდან მეორეზე ინაცვლებს, მეორედან მესამეზე და ამ „გადანაცვლების“ პროცესში ჯერი იმ მოძრაობასაც უწევს, რომლითაც გალიის კარი იღება და პირუტყვს განთავისუფლების საშუალება ეძლევა; მაგრამ მრავალი ასეთი „შემთხვევითი ვალების“ წყალობით იგი „სწავლობს“ მას და ამის შემდეგ, კვლავ გალიაში მოხვედრილი, წინანდებურად კი ოლარ „იცვლის მოძრაობებს“, არამედ მაშინვე კარისაკენ გარბის, რაზას დინგით ან თათით ძირს წევს და დაუბრკოლებლივ თავისუფლდება. ერთი სიტყვით ცხოველს უმუშევდება გალიის კარის გაღების ჩეცეა. შევადაროთ ახლა მისი ეს „სწავლა“ აღამიანურისას.

შედარების სისრულისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აქვე „პირობითი ოეჭლექსის“ ფაქტიც გავითვალისწინოთ. ცნობილია, რომ მოძღვრება პირობით რეზლექსებზე (რეზლექსოლოგია) ერთ-თვითონ ახსნას აძლევს როგორც ცხოველის, ისე ადამიანის სწავლასაც. ლექსის როგორც მხოლოდ ფაქტს, როგორც გარეგნულად გამოვლენილ მოქმედებას ცხოველისას. იგი ასეთია: ექსპერიმენტატორი ძალის საკვებს აძლევს; ცხოველი მას ჭამს და, რა თქმა უნდა, ჭამის პროცესში ნერწყვიც მოსდის. მაგრამ იმავე დროს ზარს რეკავენ და მთელს ამ პროცესს — კვებას და ზარის რეკავას, — რამდენიმეჯერ

იმეორებენ. და რა ხდება? როცა მხოლოდ ზარს ჩეკავენ და საჭმელი არ ჩანს, ძალი მაინც ინერტუვება.

პირში მოხვედრილ საჭმელზე ნერტვების დენა თანდაყოლილი ანუ „უპირობო რეფლექსია“, რაღან ასე ემართება ყოველორგანიზმს დაბადებიდანვე, როგორც კი კამას დაიწყებს, მაგრამ, ზარის ხმაც რომ იმავე რეაქციას იძლევა, ეს უპირობო რეფლექსი აღარ არის: იგი შეძენილი ანუ „პირობითი რეცლექსია“, იმიტომ რომ მხოლოდ საგანგებოდ შექმნილ პირობებში ჩნდება, როცა, ვთქვათ, ზარის ხმა კვების და ნერტვების გამოდენის უპირობო რეფლექსთან ერთად მოქმედებს.

დადასტურებულია, რომ ნერტვების პირობითი რეფლექსი შეიძლება შემუშავებულ იქნას სხვა „პირობით გამლიზიანებელზეც“: — მეტრონომის ხმაზე, ტონებზე, ფერებზე, სინათლეზე; და ცნობილია აგრეთვე მოძრაობის პირობითი რეფლექსის ფაქტიც: მაგალითად, ძლიერი ელექტროდენით გალიზიანებულ თათს რომ ცხოველი მაღლა სწევს და იმავე დროს გარკვეულ ბგერას ისმენს, რამდენიმე ასეთი ცდის შემდევ იგი ამ თათს მაშინაც ხრის, როცა მხოლოდ ბგერა ესმის.

აღწერილი პირობითი რეფლექსები ექსპერიმენტულ-ლაბორატორულ პირობებში შემუშავებული რეფლექსებია, მაგრამ ამავე წესით მუშავდება საერთოდ ყოველი პირობითი რეფლექსი ბუნებრივს გარემოშიც (ე. წ. „ნატურალური“ პირობითი რეფლექსები!) და არა მარტო ცხოველთან, არამედ ადამიანთანაც: ვისაც ტყემალი არა ერთხელ უჭამია და იმავე დროს, ცხადია, შეუხედავს, მას ამ ტყემლის დანახვაზეც კი ნერტვები მოსდის, ან, როცა მშიერი ვართ, საჭმლის სუნითაც კი პირი ნერტვებით გვევსება, და ასეთი რეფლექსები უთუოდ ბლომად გვიმუშავდება როგორც ბავშვობისას, ისე, შემდეგაც. ერთი სიტყვით პირობითი რეფლექსი, როგორც რეფლექსი, ერთია ადამიანში და ცხოველშიც, იგი ორივეში ერთნაირის წესით მუშავდება და გარკვეული თანდაყოლილი რეფლექსის გარკვეულ მანამდე „ინდიფერენტულ გამლიზიანებელთან“ დაკავშირებას ნიშნავს.

ასეთია საერთოდ პირობითი რეფლექსი. შევხედოთ ახლა ამ თვალსაზრისით ცხოველის ზემოაღწერილ სწავლას: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ იგიც პირობითი რეფლექსის გამომუშავების პროცესია?

რეფლექსოლოგი ასე იმსჯელებდა: გალიაში დამწყვდეული ძალით რომ მოძრაობიდან მოძრაობაზე ინაცვლებს და ასე იქცევა მანამდე, სანამ შემთხვევით გამორეული „სწორი მოძრაობით“ რაზა

გაიღებოდეს, მთელი ეს პროცესი მხოლოდ ინსტინქტური თანდა-
ყოლილი რეაქციების თანამიმდევრობით გაშლაა და სავსებით ისე-
თივე, როგორიც, ვთქვათ, ფართხალი მახეში გაპმულ ფრინველისა;
მაგრამ ცდის მრავალჯერ განმეორებით მდგომარეობა იცვლება:
„შეცდართა“ შორის შემთხვევით გამორეული „სწორი მოძრაობა“
(რაზაზე თათის ჩამოკვრა) სულ უფრო და უფრო ხშირდება
და ბოლოს ცხოველის ერთად-ერთ გაბატონებულ რეაქციად იქცე-
ვა, რომელსაც იგი კვლავ გალიაში მოხვედრისთანვე მხოლოდ
სარაზის მიმართ ასრულებს; ე. ი. ისე, როგორც ზარის
ხმაზე ნერწყვის გამოდენის შემთხვევაში, აქაც ფაქტიურად საქმე-
გვაქვს კავშირის გამომუშავებასთან: გალიის გარკვეული ნაწილი
რაზა იქცევა სიგნალად გარკვეული მოძრაობისა, ინსტინქტურად
მოცემული რეაქცია (თათებით მოქმედება!) რაზას უკავშირდება და
ამიერიდან მისი დანახვაც მყის ამ რეაქციის იწვევს. რეფლექსო-
ლოგის თვალსაზრისით არ შეიძლება ითქვას, რომ ცხოველი თით-
ქოს შეგნებულად ეძებს კარს, ხვდება, რომ „ეს ნაწილი რაზა“
და გონივრულად მოქმედებს; არა! მისი სწავლა გულისხმობს მხო-
ლოდ მექანიკურ შერჩევას რეაქციისას სიტუაციის გარკვეულ ნა-
წილზე, შერჩევას, რომელსაც წმინდა ფიზიოლოგიური კანონზომი-
ერება საზღვრავს და არაფრით ჩვეულებრივ ტიპიურ რეფლექსის-
გან არ განსხვავდება.

ასეთია გავრცელებული შეხედულება ცხოველურ სწავლაზე. მაგ-
რამ რა ითქმის ადამიანური სწავლის შესახებ? იგიც პირობითი
რეფლექსია? როგორც თავის დროზე დავინახავთ, თანმიმდევარი
რეფლექსოლოგების აზრით ასეც არის, მაგრამ მაშინ ნაჩენები
უნდა იქნას, რომ ფენომენოლოგიური ადამიანის სწავლაც სავსე-
ბით ისეთივე პროცესია, როგორიც ცხოველისა. ჩვენ კი ასე ვფიქ-
რობთ: რაც შეხება ცხოველურ სწავლას, იგი მართლაც სიგ-
ნალების გამომუშავების პროცესს წარმოადგენს, მაგრამ
კერძოდ ადამიანური სწავლის შესახებ, ამის თქმა უთუოდ ფაქტე-
ბის უგულებელყოფა იქნებოდა, რადგან არსებითად განსხვავებუ-
ლია როგორც პროცესი ამ სწავლისა, ისე მისი პროდუქტიც.

1. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა შემდეგი ექსპერიმენტული
ფაქტი: გალია მიბრუნებულია ექსპერიმენტატორისაკენ იმ კედლით,
რომელიც კარის დანიშნულებას ასრულებს, და მრავალი „ცდა-შე-
ცდომის“ შედეგად ძალი იწვრონება მის გალებაში. მაგრამ შემ-
დეგ ამ გალიას აბრუნებენ ექსპერიმენტატორისგან 180°-ით, ისე
რომ კარგი ახლა სხვა მხარეზეა: და არ ხდება? „ნასწავლი“ ძალი-
კარგა ხანს უმწეოა: ახლა იგი მანამდე შემუშავებული ჩვევით მო-

ქვედებს, ე. ი. ექსპერიმენტატორის შხრივ მდებარე ყრუ მოჯი-
რისკენ გარბის, თითქოს ახლაც ამ მხარეზე იყოს კარები, და უშე-
დეგოდ იმავე მოძრაობებს ასრულებს, რითაც წინათ რაზის ჩამო-
შვება ისწავლა. რა თქმა უნდა, ბოლოსდაბოლოს, ცხოველი ამ
შეცვლილ მდებარეობაშიც სწავლობს კარის გაღებას, და უთუოდ
უფრო მაღლეც, ვიდრე პირვანდელში, რაღვან, მიუხედავად ცვლი-
ლებებისა, სიტუაცია ასე თუ ისე მაინც ნაცნობია, მაგრამ, შემდეგ
რომ გალიას კიდევ 90°-ით აბრუნებენ და კარების მდებარეობას
კვლავ სცვლიან, იგი ისევ უმწეო ჩანს. ერთი სიტყვით, კარის გა-
ღების პირველი სწავლა არ კმარა და ყოველს ახალ „მობრუნები-
სას“ მისი ცალკე „დამატებითი სწავლა“ საჭირო.

რას გვეუბნება ეს ფაქტი? რატომ სჭირდება პირუტყვს გალიას
უოველ მობრუნებისას კარის გაღების „დამატებით სწავლა“? ცხა-
დია, ცხოველისათვის რომ რაზიანი კარი პირველი სწავლის შედე-
გადვე „დანიშნულების მქონე საგნალ ქცეულიყო“, მაშინ მას იგი სხვა მდებარეობაშიც, როგორც ასეთს, როგორც
სწორედ „გასაღებ კარს“ მოეპურობოდა, ე. ი. მისი ქცევა, ვითარ-
ცა აი ამ საგნის მოხმარის ქცევა, ანტიციპირებული იქნებოდა
ერთგვარი ცოდნით ანუ კარის ნიშნების წარმოდგენით და,
რა თქმა უნდა, ყრუ კედელზე თათებით უაზრო ბლაუჭაც ადგილი
არ დაურჩებოდა. მაშასადამე, ცხოველი ვერ წვდება საგნისა
და მის მიმართ საკუთარი მოქმედების შნიშვნელო-
ბას, მისი სწავლა „სიტუაციურად ზღვარდებულია“, კონკრეტულ
„სიტუაციაზე მიკრულობით“ ხასიათდება და ესაა სწორედ მიზეზი,
რომ მას ყოველ შეცვლილ სიტუაციაშიც დამატებით „ცალ-ცალკე
სწავლა“ სჭირდება.

რაც შეხება ადამიანურ სწავლას, მისთვის ეს ნიშანი უცხოა:
ძალიან ადრე სწავლობს ბავშვი ოთახის კარების გაღებას, მაგრამ
რაკი ამ კარის გაღება ერთხელ კი ისწავლა, შემდეგ მას იგი საჭი-
რებისამებრ ყოველს უცხო ბინაშიც ეძებს, აღიქვამს, შესაფერი
მიმართულებით მოძრაობს და მუდამ სპეციფიკურად ეპყრობა; და
არც შეიძლება სხვანაირად ხდებოდეს, რაღვან, მოზარდი რომ კა-
რის გაღებას დაეუფლება, ამიტომ მისთვის ეს კარი იდეური
ობიექტის სახით აც არ სებობს, რომელიც ცნობიერებაში
სიტყვა—„კარის“ მნიშვნელობად არის ფიქსირებული და, როგორც
ასეთი, „სიტუაციაზე მიკრულობის“ ნიშანსაც აღარ ატარებს. ერ-
თი სიტყვით ადამიანის სწავლა არ არის ცხოველისნაირად „მიმარ-
თულება-მდებარეობით“ განსაზღვრული, კონკრეტს „სიტუაციაზე
მიკრული“, იგი მუდამ მნიშვნელობის წვდომით აღმეცლილი პრო-

ცესია და არსად ცნობიერების წარმმართველ მოქმედებას არ სწყდება.

2. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, აღამიანური სწავლა, ვითარება ჩვევის შემუშავების პროცესი, თავის ბუნებით ცდა-შეცდომითია; მაგრამ, ცხოველურ „ცდა-შეცდომით“ სწავლას იგი არც ამ მხრივ ჰგავს.

როცა სუბიექტი ველოსიპედის ჭარებას ან სხვა რაიმე ახალ მოქმედებას სწავლობს, კარგა ხანს იგი ცდება; მაგრამ მისი ეს მცდარი მოქმედებები ან ნამდვილი სიჯვაა, ე. ი. წინასწარვე გარკვეული პიპოთებით წარმოებული ქცევა (ვარაუდით: „გამოვა ასე თუ არა?“), ან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნებლივ შეცდომა (როცა გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა „გამოდის“), რომელსაც იგი post factum მხედველობაში იღებს და კვლავ განმეორებას განხრას ერიდება. ორივე შემთხვევაში კი ეს გაუმართლებელი სიჯვაც და უნებლივ შეცდომაც მოსწავლეს უღრმავებს და კვირვებას დასასწავლი შინაარსის მიმართ, საშუალებას აძლევს მას მიუხედებით თითოეული მოძრაობის დადგებით თუ უარყოფით მნიშვნელობას და ამ გზით იმ ხერხე ბსაც, რომელიც სანუკვარი მოქმედების მიგნებას უზრუნველყოფენ. ამგვარად, აღამიანური სწავლა, მიუხედავად „ცდა-შეცდომითობისა“ მაინც აზრონებით ანტიციპირებული პროცესია, იმიტომ რომ იგი გარკვეული ვარაუდის ანუ წინასწარ მიღებული პიპოთების საფუძველზე ხდება, რომლის მიმართ ფაქტი თვითონ შეცდომისა მის (პიპოთების) გაუმართლებლობას ნიშნავს, ხოლო ყოველი ახალი ცდა ანუ კვლავ სიჯვა კი—სხვა (შეცვლილი) პიპოთებით მოქმედებას.

რაც შეეხება ცხოველის „ცდა-შეცდომას“, იგი უთუოდ სხვანაირია: გალიაში დამწყვდეული ძალლის პირველი სწორი მოქმედება ნასიჯი ანუ წინასწარ ნავარაუდევი როდია, არამედ იგი „შემთხვევით გამორეული“ მოქმედებაა იმ მცდარ მოძრაობათა შორის, რომელიც განთავისუფლების იმპულსით გააქტივებულ ცხოველს ინსტიქტურად უჩნდება; და არც ისე ხდება, რომ ამ ერთხელ „შემთხვევით შესრულებულ სწორ მოქმედებას“ ცხოველი შემდეგაც „თითქოს“, შეგნებულად მიმართავდეს, და მსგავსად აღაშიანისა, თითქოს „ბედნიერი შემთხვევით“ სარგებლობდეს და მის აზრს post factum წვდებოდეს. არა! როგორც ზემოთ გავარკვიეთ, აქ მხოლოდ ის ხდება, რომ სწორი რეაქციის მრავალჯერ შემთხვევით შესრულების წყალობით იგი სიტუაციის გარკვეულ ნაწილს უკავშირდება,— ნაწილს (რაზას) რომელზე ზემოქმედებაც ცხოველს თავისუფლებას ანიჭებს და რომელიც ამის გამო იმავე რეაქციის გამომწვევ სიგნალად იქცევა.

ამრიგად, თუ სწორია, რომ ძალლის სწავლის ნაირია საერთოდ უცველი სხვა ცხოველური „ცდა-შეცდომით“ სწავლაც, უფლება გვაქვს მისი ადამიანურ სწავლასთან შედარების საფუძველზე შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ცხოველურს სწავლაში „ცდა-შეც-დომა“, ამ სიტყვის ნამდვილი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ფიქციაა; იგი ასეთია მხოლოდ დამკვირვებლის თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, პირობითად, ობიექტურად, როგორც უბრალო ანალოგია, თორებ თვითონ ცხოველი არც ცდას აწარმოებს (არ ჟინჯავს) და მაშ, არც არასოდეს ცდება. ცდა არის სინჯვა, რომელიც, როგორც ასეთი, წინასწარ შიღებულ აზრითს ვარაუდს ანუ ჰიპოთეზს ემყარება, და „შეცდომა მხოლოდ ფაქტიური გაუმართლებლობაა ამ ვარაუდისა; ცხოველს კი არც ერთი ახასიათებს და არც მეორე, რაღაც მის სწავლაში სწორი მოქმედება ნავარაუდებს კი არა, არამედ „შემთხვევით გამორჩეული მოქმედებას“ წარმოადგენს, და „შეცდომებიც“ მხოლოდ თანრიგითი გაშლაა იმ მოძრაობებისა, რომელთაც მოცემული სიტუაცია ინსტიქტურად ბუნებრივი რეაქციების სახით აღვიძებს. ერთი სიტყვით პირველი შეხელვით თითქოს პარადოქსულს, მაგრამ არსებითად კი უდაოდ სწორ დასკვნამდე მივდივართ: ნამდვილი „ცდა-შეცდომითი“ სწავლა სწორედ რომ ადამიანური სწავლის სახით არსებობს და არა ცხოველურის (სადაც იგი ასეთია, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით!), და განსხვავებაც მათ შორის იმაშია, რომ ცხოველური „ცდა-შეცდომით“ სწავლა დრესურაა, რომელიც მხოლოდ სიგნალის, ანუ—შეიძლებოდა ასეც გვეთქვა—სასიგნალო აღჭმის გამომუშავების პროცესს წარმოადგენს, იმ დროს, როცა ადამიანის ცდა-სინჯვა და შეცდომები ჰიპოთეზებით სვლაა სწორი მოქმედებისაკენ და, როგორც ასეთი, არსად აზროვნებას და მოცემულის მნიშვნელობის წინასწარ გაცნობიერებას არ სწყდება.

3. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სტრუქტურული თავისებურებაც ცხოველური ჩვევისა ადამიანურთან შედარებით.

ჩვენს მიერ აღწერილ მაგალითში ცხოველს უმუშავდება გალიის კარის გალების ჩვევა და მაშ, საქმე გვაქვს მოტორულ ან, უკერომ ვთქვათ, სენსოროტორულ ჩვევასთან; მაგრამ სარაზე თათის ჩამოკვრა, როგორც საკუთრივ მოძრაობა, ძალლს იმთავით ვე გააჩნია; იგი მოცემულია მისი კიღურების ანატომიურ სტრუქტურაში, რომელიც ამ სტრუქტურის მომზიდების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება და საგანგებო გამომუშავებას ანუ აგებას არ საჭიროებს. მაშასადამე სრულიად უეჭველია, რომ გალიის კარის გალების სახით ძალლი თვითონ მოძრაობას (თათის ჩამოკვრის)

კი არ სწავლობს, როგორც ვითომდა აზალს, მანამდე შისთვის ტექნიკურად მოუხერხებელ ოპერაციას, არამედ იგი სწავლობს ავ თავიდანვე მზადქონებული მოძრაობით (ინსტიქტური რეაქციით!) მხოლოდ კარის სარაზზე მოქმედებას.

რაც შეეხება ადამიანურ ჩვეულებს, აქ მდგომარეობა უთუოდ სხვანაირია. მაგალითად, ავილოთ თოვების დატენვა: შაშხანის დატენვის შემსწავლელს, რა თქმა უნდა, შეუძლია, უნარი აქვს სათანადო მოძრაობების შესრულება ისწავლოს, მაგრამ თუ გალიაში დამწყვდეული ძალლის ინსტიქტურ მოძრაობათა შორის სწორი მოძრაობა მხოლოდ ერთ-ერთი „გამორეული მოძრაობაა“, რომელიც არსებითად შეპირობებულ კავშირში სხვა ინსტიქტურ მოძრაობებთან არ არის და მათგან არ გამოიყვანება, შაშხანის მოსწავლეზე ეს არავითარ შემთხვევაში არ ითქმის: როგორც თითოეულის, ისე ოთხივე ოპერაციის ერთი მთლიანი მოძრაობის სახით „პირველად მოხერხებამდე“ იგი შემთხვევით კი არ მიღის და მას მზა-მზა-რეულად კი არ ნახულობს, არამედ მანამდე „უნაყოფო ცდებს“ (პირველ პერიოდში!) აკვირდება, საკუთარ მოტორულ შეგრძნებებს აანალიზებს და, ყოველ მომდევნო ცდას რომ ამ წინა ცდებში მიღებულ გამოცდილების საფუძველზე ახორციელებს, ბოლოს სწორ მოქმედებასაც აგნებს; მაგრამ ამით უკვე ეს „მიგნება“ აღარც მზა მოძრაობის უბრალო ნახეა! „მიგნება“ აქ ნიშნავს გარკვეული ზომის „მოტორულ იმპულსთა თარგზე ცნობიერად გამოჭრას საჭირო მოძრაობებისას“ და ამ მნიშვნელობით მათ აგებას, გამომუშავებას, რომელთა ერთი მთლიანი მოქმედების სახით შესრულება სუბიექტს ჯერ კიდევ კარგად არ ეხერხება და ახლა მის განმტკიცებაზეც საგანგებოდ ზრუნავს. ერთი სიტყვით, განსხვავება არსებითია, რომელიც ზოგადი სახით ასე შეიძლება გამოვთქვათ: ცხოველშიც ასა ადამიანშიც მოტორული ჩვევა ახალი მოქმედებაა, რადგან იგი მოასწავებს ორგანიზმის ქცევის შეცვლას გარემოს მიმართ, მაგრამ ადამიანთან ამ ახალი მოქმედების შემუშავების პროცესი მუდამ ახალი მოძრაობითი ოპერაციის სწავლაა, ხოლო ცხოველთან კი—მხოლოდ სწავლა სიგნალზე იმავე მოძრაობის სახით მოქმედებისა, რომელიც მას მანამდეც მზად ჰქონდა. ყოველს ცხოველურ ჩამოყალიბებულ ჩვევითს მოქმედებაში ფაქტიურად „წინათ გამორეული მოძრაობა“ სრულდება, ადამიანურისაში კი, გარკვეული მნიშვნელობით, ახალი მოძრაობა, რომელიც აგებულია და „შემთხვევით გამორეულის“ განმტკიცებას არ წარმოადგენს.

ამრიგად, თუ სწორია, რომ ძალლის სწავლის ნაირია საერთოდ ცოველი სხვა ცხოველური „ცდა-შეცდომით“ სწავლაც, უფლება გვაქვს მისი აღამიანურ სწავლასთან შედარების საფუძველზე შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ცხოველურს სწავლაში „ცდა-შეცდომა“, ამ სიტყვის ნამდვილი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ფიქცია; იგი ასეთია მხოლოდ დამკირვებლის თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, პირობითად, ობიექტურად, როგორც უბრალო ანალოგია, თორემ თვითონ ცხოველი არც ცდას აწარმოებს (არ სინჯავს) და მაშ, არც არასოდეს ცდება. ცდა არის სინჯვა, რომელიც, როგორც ასეთი, წინასწარ მიღებულ აზრით ვარაუდს ანუ ჰიპოთეზს ემყარება, და „შეცდომა მხოლოდ ფაქტიური გაუმართლებლობაა ამ ვარაუდისა; ცხოველს კი არც ერთი ახასიათებს და არც მეორე, რაღაც მის სწავლაში სწორი მოქმედება ნავარაუდევს კი არა, არამედ „შემთხვევით გამორჩეული შოქმედებას“ წარმოადგენს, და „შეცდომებიც“ მხოლოდ თანრიგითი გაშლაა იმ მოძრაობებისა, რომელთაც მოცემული სიტუაცია ინსტიქტურად ბუნებრივი რეაქციების სახით აღვიძებს. ერთი სიტყვით პირველი შეხედვით თითქოს პარადოქსულს, მაგრამ არსებითად კი უდაოდ სწორ დასკვნამდე მივდივართ: ნამდვილი „ცდა-შეცდომით“ სწავლა სწორედ რომ აღამიანური სწავლის სახით არსებობს და არა ცხოველურის (სადაც იგი ასეთია, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით!), და განსხვავებაც მათ შორის იმაშია, რომ ცხოველური „ცდა-შეცდომით“ სწავლა დრესურაა, რომელიც მხოლოდ სიგნალის, ანუ—შეიძლებოდა ასეც გვეთქვა—სასიგნალო აღქმის გამომულის მნიშვნელობის წინასწარ გაცნობიერებას არ სწყდება.

3. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სტრუქტურული თავისებურებაც ცხოველური ჩვევისა აღამიანურთან შედარებით.

ჩვენს მიერ აღწერილ მაგალითში ცხოველს უმუშავდება გალიის კარის გალების ჩვევა და მაშ, საქმე გვაქვს მოტორულ ან, უკეთ რომ ვთქვათ, სენსოროტორულ ჩვევასთან; მაგრამ სარაზე თათის ჭამოკვრა, როგორც საკუთრივ მოძრაობა, ძალლს იმთავით ვე გააჩნია; იგი მოცემულია მისი კიდურების ანატომიურ სტრუქტურაში, რომელიც ამ სტრუქტურის მომზიდების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება და საგანგებო გამომუშავებას ანუ აგებას არ საჭიროებს. მაშასადამე სრულიად უეჭველია, რომ გალიის კარის გალების სახით ძალლი თვითონ მოძრაობას (თათის ჩამოკვრას)

კი არ სწავლობს, როგორც ვითომდა ახალს, მანამდე მისთვის ტექნიკურად მოუხერხებელ ოპერაციას, არამედ იგი სწავლობს ამ თავიდანვე მზად ქონებული მოძრაობით (ინსტიქტური რეაქციით!) მხოლოდ კარის სარაზზე მოქმედებას.

რაც შეეხება აღამიანურ ჩვეულებს, აქ მდგომარეობა უთუოდ სხვანაირია. მაგალითად, ავილოთ თოუის დატენვა: შაშხანის დატენვის შემსწავლელს, რა თქვა უნდა, შეუძლია, უნარი აქვს სათანადო მოძრაობების შესრულება ისწავლოს, მაგრამ თუ გალიაში დამწყვდეული ძალლის ინსტიქტურ მოძრაობათა შორის სწორი მოძრაობა მხოლოდ ერთ-ერთი „გამორეული მოძრაობაა“, რომელიც არსებითად შეპირობებულ კავშირში სხვა ინსტიქტურ მოძრაობებთან არ არის და მათვან არ გამოიყანება, შაშხანის მოსწავლეზე ეს არავითარ შემთხვევაში არ ითქმის: როგორც თითოეულის, ისე ოთხივე ოპერაციის ერთი მთლიანი მოძრაობის სახით „პირველად მოხერხებამდე“ იგი შემთხვევით კი არ მიდის და მას მზა-მზარეულად კი არ ნახულობს, არამედ მანამდე „უნაყოფო ცდებს“ (პირველ პერიოდში!) აკვირდება, საკუთარ მოტორულ შეგრძნებებს აანალიზებს და, ყოველ მომდევნო ცდას რომ ამ წინა ცდებში მიღებულ გამოცდილების საფუძველზე ახორციელებს, ბოლოს სწორ მოქმედებასაც აგნებს; მაგრამ ამით უკვე ეს „მიგნება“ აღარც მზა მოძრაობის უბრალო ნახვა! „მიგნება“ აქ ნიშნავს გარკვეული ზომის „მოტორულ იმპულსთა თარგზე ცნობიერად გამოჭრას საჭირო მოძრაობებისას“ და ამ მნიშვნელობით მათ აგებას, გამომუშავებას, რომელთა ერთი მთლიანი მოქმედების სახით შესრულება სუბიექტს ჯერ კიდევ კარგად არ ეხერხება და ახლა მის განმტკიცებაზეც საგანგებოდ ზრუნავს. ერთი სიტყვით, განსხვავება არსებითია, რომელიც ზოგადი სახით ასე შეიძლება გამოვთქვათ: ცხოველშიც და აღამიანშიც მოტორული ჩვევა ახალი მოქმედებაა, რაღაც იგი მოასწავებს ორგანიზმის ქცევის შეცვლას გარემოს მიმართ, მაგრამ აღამიანთან ამ ახალი მოქმედების შემუშავების პროცესი მუდამ ახალი მოძრაობითი ოპერაციის სწავლაა, ხოლო ცხოველთან კი—მხოლოდ სწავლა სიგნალზე იმავე მოძრაობის სახით მოქმედებისა, რომელიც მას მანამდეც მზად ჰქონდა. ყოველს ცხოველურ ჩამოყალიბებულ ჩვევითს მოქმედებაში ფაქტიურად „წინათ გამორეული მოძრაობა“ სრულდება, აღამიანურისაში კი, გარკვეული მნიშვნელობით, ახალი მოძრაობა, რომელიც აგებულია და „შემთხვევით გამორეულის“ განმტკიცებას არ წარმოადგენს.

4. ადამიანისა და ცხოველის სწავლის შედარებითი დახასიათება—
კიდევ ერთი განსხვავების გათვალისწინებასაც გვავალებს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ადამიანური სწავლა ორგვარია: ა) სწავლა როგორც დამოუკიდე ბეჭი ქცევის ფორმა და ბ) სწავლა როგორც თანმხლე ბი არაპირდაპირი ეფექტი ანუ პროცესუატი სხვა კატეგორიის ქცევისა¹. ცხოველური სწავლა კი მუდამ მთლიან თანმხლე ბია და ისიც ისეთი, რომელიც ადამიანურ თანმხლებ სწავლას, შინაარსეულად მაინც არ უდრის.

პირველის ნიმუშს წარმოადგენს სასკოლო სწავლა და აგრეთვე ადამიანური სწავლის ის შემთხვევებიც, რომელიც ზემოთ გავაანალიზეთ. აღწერილ მაგალითებში სწავლა თვითონვეა ქცევა, მმიტომ რომ სუბიექტის აქტივობას ცოდნა-ჩვევების შეძენის მოთხოვნილება საზღრავს: როცა ველოსიპედის ტარებას, ღერძზე ტრიალს, ცურვას ან ცეკვას ვსწავლობთ, მოთხოვნილება გვაქვს გარკვეულ მოქმედებას დავეუფლოთ, და მოწაფე რომ გაევეთილს ამზადებს, მასაც გარკვეული ცოდნა-ჩვევების შეძენის მოთხოვნილება ამოძრავებს და არავითარი სხვა რამ ამ „დამზადების“ პროცესში არ სწავია. ერთი სიტყვით, ადამიანს ნაირ-ნაირი ქცევები ახასიათებს: „მოვლა-მომსახურება“, „თამაში“, „შრომა“, „გართობა“ და მათ შორის სწავლაც, რომელიც ქცევის თავისებური ავტონომიუროფორმაა, იმიტომ რომ მოთხოვნილება, რომელიც მას საზღრავს, ცოდნა-ჩვევების შეძენას ეხება და არა, ვთქვათ, სისუფთავის დაცვის (მოვლის ქცევებში), ან კვებას (მომსახურების ქცევებში), ან რაიმე ობიექტურად ლირებული პროდუქტის შექმნას (შრომითს ქცევებში), და სხვ.

რაც შეხება სწავლას როგორც თანმხლებ ეფექტს სხვა ქცევისას, ტიპიური სახით მას ვხვდებით სკოლისწინარე ასაკის ბავშვში. არის ქცევის ისეთი ფორმები, რომელთაც მოზარდი აღრეულ ასაკობრივ საფეხურზეც მიმართავს, მაგალითად: პირველს რიგში „მოხმარებას“, შემდეგ „თამაშს“ და ცოტა უფრო გვიან „მომსახურეობასაც“. — მაგრამ ადამიანურ კულტურულ გარემოცვაში ამ ქცევების განხორციელება გარკვეული საგნებით მოქმედებას გულისხმობს და მაშასადამე მათი გამოყენების სახით სათანადო ცოდნა-ჩვევების შეძენასაც; მაგალითად: დედოფლებით თამაში, როგორც ქცევის ფორმა, თამაშია და არა სწავლა, მაგრამ ამ თამაშის პროცესში ბავშვი საგნებს ეცნობა, ძაფის ნემსში გაყრას სწავლობს,

¹ დაყოფა ეკუთვნის დ. უზნარეს. იხ. „სწავლა—სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა“—პედ. იხსტიტ. შრომები, 111, 1947.

კრა-კერვის მარტივ ოპერაციებს ეუფლება; თამაშია აგრეთვე, როცა ბავშვი ნიჩბით სილას იღებს, პატარა თუნუქში ყრის, ბეჯითად ერთ ადგილას აგროვებს, ვითომდა სახლს აშენებს, გზები და გვირაბები გაჰყავს, ჩაქუჩით ლურსმნის ფიცარნაგში ჩაჭედვას ცდილობს და სხვ. მაგრამ ამასთანავე იგი საგნობრივი წარმოდგენებითაც მდიდრდება, ნიჩბისა და ჩაქუჩის მოხმარას სწავლობს, ზუსტ მოქმედებებს ეუფლება. ერთი სიტყვით ბავშვს მიზნად ის კი არა აქვს, რომ თავისთავად საგნებს გაეცნოს, დააკვირდეს, მათი ხმარება ისწავლოს და მერმისისათვის იცოდეს და გამოიყენოს! არა, მას მხოლოდ თამაში სწავლია, რომლისკენაც საკუთარი ძალების „ფუნქციობის მოთხოვნილება“ უბიძგებს, მაგრამ, რომ თამაშობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ განუზრახველად გარკვეულ ცოდნა-ჩვევებსაც იძენს, ე. ი. ფაქტიურად სწავლობს კიდეც.

Mutatis mutandis იგივე ითქმის „მოხმარებისა“ და „მომსახურეობის“ ქცევებზეც. ბავშვს შია ან სწყურია და ამ კვების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ციკლურს ქცევებში სათანადო „იარაღების“ (კოვზის, დანა-ჩანგლის, ხელსახოცის, წყლის დასალევი ჭურჭლის) მოხმარასაც სწავლობს, —ან ჩატა-გახდის თუ კარის გაღების საჭიროებას გრძნობს და მისი განხორციელების მცდელობის პროცესში შესაფერ მოქმედებასაც ეუფლება, ე. ი. სწავლა აქაც „თანმხლებ“ პროცესს წარმოადგენს, მხოლოდ პროდუქტს სხვა ქცევებისას და არა თვითონ ქცევას.

ასეთია აღამიანური სწავლის ფორმები. ვნახოთ ახლა, თუ როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ცხოველთან.

გალიაში დამწყვდეული ძალი რომ კედლებს ეხეთქება და თათებით და კბილებით რიკულებს წვდება, მას კარის გაღების სწავლა კი არ სწავლია, არამედ განთავისუფლება, ხორცის შეჭა: იგი ხორცისაკენ ისწრაფვის, გზას ეძებს და ამ თავისთავად კვებითი (მომსახურეობის) ქცევის პროცესში კიდეც კარის გაღებას სწავლობს (ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, კარის გაღება „ესწავლება“). ერთი სიტყვით, სწავლა აქ არის თ ა ნ ა შეღეგი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და არა საგანი ამ მოთხოვნილებისა.

აღარ გავაგრძელებთ: ცხოველური სწავლის ყოველი სხვა კონკრეტული შემთხვევაც „თ ა ნ მ ხ ლ ე ბ ი ა“, რომელიც მუდამ ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების დაკმაყოფილების პროცესში ხორციელდება და არასოდეს, მსგავსად აღამიანურისა, ამ მოთხოვნილებისაგან დამოუკიდებელი სწავლითი აქტიობის სახით არ ჩნდება. მაგრამ განსხვავება კიდევ უფრო შორს

მიღის, რადგან თავის მხრივ არც ეს თანმხლები სწავლაა ცხო-
ველში ფსიქოლოგიურად სავსებით იგივე, რაც აღამიანში.

რა თქმა უნდა, პირობითი რეფლექსის სახით აღამიანთანაც მო-
იპოვება წმინდა ცხოველურისნაირი თანმხლები სწავლის შემთხვე-
ვები, მაგრამ საკუთრივ ზემოდ გარჩეული ფაქტები
მაინც უთუოდ სხვანარია: მართლაც და, შეიძლება თუ არა
სერიოზულად მტკიცება იმისა, რომ სკოლისწინარე ასაკში დედა-
ენის სწავლა თვლა-ანგარიშის მარტივი ოპერაციების დაუფლება
და საყოფაცხოვრებო ჩვევების (ჩატაბ-გახდა, დანა-ჩანგლის-ხმა-
რება და სხვ.) შეძენა სავსებით იგივე პროცესია, რაც გალიის კა-
რის გალების სწავლა ძალითან? ჩვენი აზრით, არ არსებობს სა-
ბუთი, რომელიც ამნაირ დასკვნას აუცილებლად გახდიდა, და
თვითონ დაკვირვება კი სწორედ რომ საჭინააღმდეგო დებულების
მიღებას გვაიძულებს.

დედოფლებით მოთამაშე ბავშვი რომ ძაფის ნემსში გაყრასა და
კერვის მარტივი ოპერაციებს ეუფლება, ეს უეჭველია, და, რა
თქმა უნდა, არა იმ განზრახვით, რომ მას ჭრა-კერვის სწავლა
ჰქონდეს მიზნად დასახული, მაგრამ ოპერაცია „გაყრის“ ან „გაკე-
რვის“ თავიდანვე ხომ ისე არ შეიძლება მოხერხდეს, რომ ბავშვი მას
ყურადღებას არ აქცევდეს, საოპერაციო საგნების (ნემსის, ძაფის,
მატერიის) ნიშნებს მხედველობაში არ იღებდეს და მაშასადამე, მო-
ქმედების შესრულებისკენაც ცნობიერად მიმართული არ იყოს!—
არა, იგი თამაშობს და ამ სპონტანურ ქცევაში ისე კი არ
ხდება, რომ რაღაც გარე გამღიზიანებელი სათანადო მოქმედების
სიგნალად იქცევა, არამედ ისე; რომ ამ მოქმედებას ბავშვი წინა-
სწარ დიდებში ხედავს, აღიქვამს და თამაშშიც მას აქტიურად ბაძავს. ყველამ ვიცით, თუ რაოდენ მშთანთქმე-
ლის ინტერესით აკვირდება დედოფლებით მოთამაშე გოგონა ან
ლურსმნის ჩაჭრებით გატაცებული ბიჭუნა დიდების ყოველ იმ მოქ-
მედებას, რომელიც კი მისი თამაშის შინაარს შეაღგენს; და თუ
„ოპერაციის წაბაძვითი სწავლა“ ცხოველისთვის საერ-
თოდ უცხოა, თქმა არ უნდა, რომ ბავშვის თამაშის ეს „თანმხლები
სწავლაც“, რომელიც შეგნებული წაბაძვით ხორციელდება,
ფსიქოლოგიურად მაინც აღამიანურია და მაშ, სულ სხვა ბუნე-
ბისაა, ვიდრე სწავლა ცხოველისა: ცნობიერი მიმართულება გარ-
კვეული მოქმედების შესრულებისაკენ და ღონემძიებლობა მისი
განხორციელებისა (ნიმუშის მიხედვით) აქ უთუოდ არის და იმა-
შია მისი განსხვავებაც ცხოველურისგან;—და *mutatis mutandis*.

რგივე ითქმის „შოხმარებისა“ და „შომსახურეობის“ ქცევების თანმხლები სწავლის შესახებაც.

დასკვნა ასეთია: აღამიანური სწავლა არა მარტო იმით სხვაობს ცხოველურისგან, რომ იგი ორთორმიანია, ე.ი. ჯერ (სკოლის წინარე ასაკში) სხვა ქცევის „თანმხლები სწავლისა“ და შემდეგ დამოუკიდებელი წმინდა სწავლითი ქცევის სახით ვლინდება (იმ დროს, როცა ცხოველური სწავლა მუდამ მხოლოდ თანმხლებია!), არამედ იმითაც, რომ აღამიანში თვითონ ეს „თანმხლები სწავლაც“ არაა ისეთი, როგორიც იგი ცხოველშია: სკოლის წინარე ასაკის ბავშვის „თანმხლები სწავლა“ იმ შემთხვევების სახით, რომლებიც ჩვენ გავაანალიზეთ მაინც სპეციფიკურ-აღამიანური სწავლაა, იმიტომ, რომ ცნობიერების მონაწილეობით სრულდება, მნიშვნელობის წვდომას გულისხმობს და არავითარ შემთხვევაში ცხოველური სწავლისნაირად სიგნალის გამომუშავების პასიურ პროცესს არ წარმოადგენს.

შევეხოთ ახლა იმ შემთხვევებსაც, როცა თანმხლები სწავლა აღამიანთანაც ისეთია, როგორიც ცხოველთან:

ა) 6—7 თვის ბავშვს რძე ეძლევა მხოლოდ ერთი გარკვეული ფერის ან ფორმის ბოთლიდან, იმ დროს როცა რიგ-რიგობით მიწოდებული სხვა ფორმისა და ფერის ბოთლებში იგი ამ გემრიელ საკვებს ვერ ნახულობს. რამდენობეჯერ იძეორებენ ამ ცდას და ბოლოს ისეთ მდგომარეობას აღწევენ, რომ მრავალი განსხვავებული ბოთლის დანახვისას ბავშვი მხოლოდ იმ ფორმის (ან ფერის!) ბოთლისკენ მიიწევს, საიდანაც საკვები ეძლეოდა. ეფექტის თვალსაზრისით ეს უთუოდ სწავლაა: კვებითი ქცევის პროცესში ბავშვმა ისწავლა ფორმის ან ფერის მიხედვით მოქმედება.

ბ) რამდენიმე თვის ბავშვს უჩვენებენ ძაფით დაკიდებულ შოკოლადს, რომელიც მას არასოდეს უგემნია. პირველს ხანებში იგი ინდიფერენტულია, მაგრამ როცა დროგამოშვებით მას ამ შოკოლადს ხელშიც აძლევენ და შეჭმაშიც ეხმარებიან, ზოგჯერ იგი თვითონაც მიიწევს იმისაკენ. რამდენიმეჯერ მეორდება ეს ცდა და ბოლოს ის ხდება, რომ ბავშვს მხოლოდ დადებითი რეაქცია უმტკიცდება: დაინახვეს თუ არა ძაფით დაკიდებულ შოკოლადს, მყის მისკენ ისწრაფვის, ხელს სტაცებს და დაუყოვნებლივ პირისაკენ აგზავნის.

ამ აღწერილ შემთხვევებში სწავლა ხორციელდება ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით და მაშასა-დამე, წმინდა კვებითი ქცევის შედეგად; მაგრამ არის თუ არა იგი ფსიქოლოგიურად იმავე ბუნებისა, რა ბუნებაც ზემოთ სკოლისწინარე ასაკის ბავშვის „თანმხლებ სწავლას“ აღმოაჩნდა? უთუოდ არა!

შას ამ უკანასკნელის არც ერთი ნიშანი არ ახასიათებს; სახელდობრ: იგი არ არის ცნობიერებით წარმართული პროცესი, იღეური ობიექტის ანუ მნიშვნელობის წვდომას არ გულისხმობს, მხოლოდ სიგნალის გამომუშავებას ემყარება და, მაშასადამე, ეფექტის (ჩვევის) სტრუქტურის მხრივაც მხოლოდ „სიგნალით შოკმედების“ სწავლაა და არა თვითონ ამ შოკმედების შესრულების ტექნიკური ოპერაციისა. ერთი სიტყვით საქმე გვაქვს წმინდა ცხოველისნაირ თანმხლებ სწავლასთან, რომელიც არაფრით ჩვეულებრივი მოძრაობითი პირობითი რეფლექსის გამომუშავებისგან არ განსხვავდება.

მაგრამ აღწერილი შაგალითები გვითვალისწინებენ ცხოველისნაირ თანმხლებ სწავლას მხოლოდამხოლოდ აღრეულ ბავშვობაში— დასაწყის საფეხურებზე აღამიანის ონტოგენეტური განვათარებისა, და არ შეიძლება არ ვიკითხოთ: გვხვდება თუ არა იგი შემდეგ საფეხურებზეც? ჩვენი პასუხი ასეთია: ცხოველისნაირი თანმხლები სწავლა ერთად ერთი ფორმა ბავშვის სწავლისა უენობის ხანაში და უთუოდ მეტყველების დაუფლების პერიოდით უნდა იწყებოდეს ის ეტაპი, საიდანაც ბავშვი სოციალურ არსებად იქცევა, მნიშვნელობების სამყაროში შედის და სიტყვებში იღეური ობიექტების დაცვით ამ ცხოველისნაირი სწავლის საფეხურსაც ერთხელ და სამუღამოდ სტოვებს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სწავლა გარემოსთან დამკიდებულებაში აქა-იქ შემდეგაც არ ხდებოდეს და არა მძრტო ბავშვობის ხანაში, არამედ მოწიფულებაშიც: „სიგნალებით მოქმედების სწავლა“ არაა გამორიცხული დიდის ცხოვრებაშიც, თუ კი რომ გარემოსთან ურთიერთობა მას საჭიროდ გახდის, თუმცა კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოაზროვნე აღამიანი ხშირად ასეთ სწავლაშიც ცნობიერებას ატანს და წმინდა ცხოველურსაც სცილდება.

ამრიგად აღამიანის თანმხლები სწავლის მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებია, რაც ცხოველისას შეიძლება გაუთანაბრდეს და ისიც წმინდა სახით მისი ბავშვობის უენობის პერიოდში, თორემ საერთოდ კი აღამიანური სწავლა რომელობითად განსხვავებული ფაქტია.

5. დასასრულს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის განსხვავებაც, რომელიც ეხება თვითონ მოქმედებას უკვე შემუშავებული ჩვევისა და არა პროცესს შემუშავებისას (სწავლას):

ყველი ცხოველური ჩვევა რომ მუღამ ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში მუშავდება, იგი შემუშავების შემდგაც ამავე კატეგორიის ქცევაში რჩება და არსებითად იმავე

შოთხოვნილების იმპულსით ფუნქციონს, რაც ცხოველს თავიდანვე აქტივებდა; პირუტყვის ცხოვრებამ არ იცის ჩვევის ნაირ-ნაირ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გამოყენება. ადამიანთან კი მდგომარეობა სხვანაირია და არა მარტო იმ ჩვევების მიმართ, რომელიც საგანგებო სწავლითი ქცევის გზით შეიძინებიან და, როგორც ასეთნი, ვიტალურ მოთხოვნილებებსაც არ უკავშირდებიან (ცურვა, ველოსიპედის ტარება, ცეკვა, წერა და სხვ.), არამედ ისეთების მიმართაც, რომელთა შემუშავება წმინდა ვიტალური ქცევის პროცესში ზორულება („თანმხლები სწავლით!“); მაგალითად: კოვჭის ხმარებას რომ ჩვეულებრივ ჭამის პროცესში ვეუფლებით, მას მარტო შაშინ კი არ ვიყენებთ, როცა ჩვენ თვითონ გვშია, არამედ მაშინაც, როცა სხვას ვაჭმევთ, წამალს ვალევინებთ, ან როცა ფარმაცევტი ვართ და სამედიკამენტო პრეპარატს კოვჭით ვიღებთ, ვრწყავთ, ვზომავთ და სხვა. ერთი სიტყვით, ერთდაიმავე ჩვევის ნაირ-ნაირ ქცევაში შენასკვულობა მხოლოდ სპეციფიკურ-ადამიანური ზოვლენაა და იმდენად სპეციფიკური, რომ შეგვეძლო, არც ერთი სხვა განსხვავება ცხოველურ და ადამიანურ ჩვევებს შორის მხედველობაში არ მიგვეღო და მაინც ორი ურთიერთზე დაუყვანებადისა და რომლებითაც განსხვავებული სინამდვილის არსებობა გვეცნო. ყოველი ცხოველური ჩვევა მუდამ ერთ ქცევაშია „ჩაკრული“ და არასოდეს ადამიანურის ნაირად სხვადასხვა მოთხოვნილების დაქმაყოფილების საშუალებად არ იქცევა.

ასეთია განსხვავება ადამიანურ და ცხოველურ სწავლას შორის. უკანასკნელი ფაქტია მხოლოდ ეფექტის თვალსაზრისით, თორემ, გამოთქმა „სწავლობს“ რომ ცხოველის ქცევასაც ისე ეგუებოდეს, როგორც ადამიანისას, იმას უთუოდ ვერ ვიტყვით: დაკირვება საჯუთარ შესაძლებლობებზე „პიპოთეზებით სვლა“ და გამოცდილებით შეგნებულად სარგებლობა, რომლებითაც მოსწავლე ადამიანი პირველად მიღის სანუკვარ მოქმედებამდე და მის დასრულება-განმტკიცებისათვის საგანგებო ღონისძიებებს მიმართავს, ყველაფერი ეს მას ხდის სწავლის სუბიექტად, იგი მართლაც რომ სწავლობს, და გარკვეული მნიშვნელობით მისი ეს აქტივობა თანმხლებ სწავლაშიც განმსაზღვრელია.

დედოფლებით მოთამაშე გოგონა რომ ძალის ნემსში გაყრას ეუფლება, მას, რა თქმა უნდა, მომავალი საჭიროების იღეა არ ამოძრავებს. მაგრამ, რომ იგი ცნობიერია მიმართულია მის დაძლევა-მოხერხებისაკენ და გარკვეული ნიმუშის მიხედვით მოქმედებს, ეს უკველია; და იგივე ითქმის

შესაფერად სხვა შემთხვევებზეც. ცხოველის თანმხლებ სწავლას კი
ასეთი რამ არ ახასიათებს: აქ ისე ხდება, რომ სიტუაციის მრა-
ვალჯერ იძულებითი განმეორების შედეგად მისი რომელილაც ნა-
წილი ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი რეაქციის სიგნალიდ იქცევა!
და მაშასადამე, ცხოველი თვითონ კი არ სწავლობს, არამედ უბრა-
ლოდ იწრთვნება ანუ იხედნება იმ მოქმედების შე-
სრულებაში, რომელსაც სხვა ინსტიქტურ რეაქციებს შორის
თვითონ სიტუაცია ხდის აუცილებლად, და ე.წ. დრესურაც
სწორედ ასეთი, მთლიანად სიტუაციით ნაკარნახევი, „თავზე მო-
ხვეული“ და ორგანიზმის მხრივ გაუთვალისწინებელი მოქმედების
შეძენის პროცესია.

հԵՂԱԺԹՈՒԽՈՏԱՑԱՆ

Քոնամդրեարյ քրեծուլնի մոտավեծուլո սტաტիօնո Համբազեծուլո ոյն օյնա սայարտացուլոս և սր პեճացոցոյուր մեպնոյրեատա օնսքութիւնուու პեճացոցոյուր ցոսոյշոլոցուոս սյէժորորուո ხելմմծլանելոնծուոտ 1948—49 թլեթմո. առնոնշնուլ սյէժորորուո թլեթմուո մանմուլից ხելմմծլանելոնծուո սայարտացուլոս և սր մեպնոյրեատա այագուուոս նամ- ձուուո Պեղրո, այ գանսացոնեծուլո პհոռո. Շ. Բ. պանամը, հոմելուո սայրոտո ხելմմծլանելոնծուոս ութիւզու ամ քրեծուլնի մոտավեծուլ գամոյցուլուցուոս Համբազեծուոս.

Քրեծուլնի մոտավեծուլո ստատիօնո յշուտանոտ: „մեխսոյրեթուոս ալթիրուուո ցոսոյշոլոցոյուրո սագումցուլուո ա. Պհանցոնցուուու, „պարագ- լեթուոս ալթիրուուո ցոսոյշոլոցոյուրո սագումցուլուո ալ. մոսուացաս, „նեթուուուուոս ալթիրուուո ցոսոյշոլոցոյուրո սագումցուլուո թ. Բեկու- թուուու, „եասուատուո ալթիրուուո ցոսոյշոլոցոյուրո սագումցուլուո թլ. նորայուու, „իցուուո ալթիրուուո ցոսոյշոլոցոյուրո սագումցուլուո թ. եոջացաս դա „նեթուուուուո ալթիրուուո პեճացոցոյուր-ցոսոյշոլոցո- ուրո սագումցուլուո թլ. ծցուացուու.

Բոյթեճազաւու օմուսա, հոմ ամ քրեծուլո, პեճացոցոյուրո ցոսոյշոլո- ցուոս պայլա սայութո ար արուո գանենուլուո, մանց, պայոյշոնծու, հոմ ու յրտցար դաեմարեթոս ցայթիցու մասթացուլուուո տացուոս პեճա- ցոցոյուր-ցոսոյշոլոցոյուրո մոմթալեթուոս դռնուոս ամալլուուոս մայթեթո.

ს ა რ ჩ გ ი

1. ა. ფრანგიშვილი—მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები	3
2. ა. მოსიავა—ყურადღების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები.	60
3. გ. ჩხარტიშვილი—ნებისყოფის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები	103
4. ვ. ნორაკიძე—ხასიათის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები	151
5. ვ. ბეჟიაშვილი—ზნეობრივი აღზრდის პედაგოგიური ფსიქოლოგიური საფუძვლები	188
6. ზ. ხოჯავა—ჩვევის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები.	252
7. რედაქტორისაგან	311

რედაქტორი გ. ბეჟიაშვილი
ტექნიკური გ. იამანიძე
კორექტორი ა. დუმბაძე

შე17113.

შეკ. № 1415.

ტირაჟი 2000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/Х-00 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქალალდის ზომა 60×92. ნაბეჭდ ფორმათა ოაოდენობა 19,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა 17,76. საავტორო ფორმა 17,44.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამსართველოს სტამბა № 2- თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ЗАКОН 20 856.

46

ВОПРОСЫ ПЕДАГОГИЧЕСКОЙ
ПСИХОЛОГИИ
(Сборник)
(на грузинском языке)

Издательство Института педагогических наук
Министерства просвещения Грузинской ССР

Тбилиси
1950